კვირა. 19 თებერვალი 1928 წ. № 140 წელიწადი მეხუთე ფასი 15 კაპ.

# ტარტაროზი



ცოლი (ქმარს):—რას ერჩი ბავშს? რათ აღვიძებ? იძინოს კიდევ!
ქმარი:— როგორ თუ რათ ვაღვიძებ! მე უკვე სამსახურში მივდივარ; აქედანვე უნდა გადავარჩიო ბიუროკრა-
ტობა... ხომ ხედავ თორმეტის ნახევარია!?

# რწყილი და ჭიანჭველა

## ძველი იგავ-არაკი

არის ხშირი შემთხვევები, როცა რაციონალიზაციას ცუდათ ატარებენ, რაც იწვევს აპარატის უფრო გართულებას.

(გაზეთებიდან)

რწყილი და ჭაინჭველა დაძმობილდნენ. შეკრეს ოპოზიციონერებსავით უპრინციპო ბლოკი და როგორც ცნობილმა ტურისტებმა, გადასწყვიტეს მოევლოთ ქვეყანა...

გაუდგენ გზას.

გზაში შეხვდა მდინარე, რწყილმა კურდღელივით ისკუპა და მეორე ნაპირზე მოადინა ფხეკა. ჭიანჭველამაც დაარტყა ფასონი, მაგრამ შიგ შუაგულ წყალში ჩაყურყუმალდა.

ძმათ-ნაფიცი რწყილი, ახტა-დახტა მივიდა ღორთან და სთხოვა:

ღორო, მომე ჯაგარი,
დავგრეხ თოკსა მაწარსა,
ჩაუგდებ და ამოვიყვან
ჩემს ძმას პირის ზიარებასა.

ღორმა ცალი თვალით კაბინეტისაკენ მიუთითა და უთხრა:

— მდივანს მოელაპარაკეთ, მისგან მიიღებთ პასუხსაო.

მდივანმა უთხრა:

— წერილობითი განცხადება დასწერეთ, რეგისტრატურაში გაატარეთ. იქიდან მე გადმომცემენ და თქვენ ზავ კანცთან მიიღებთ პასუხსო.

სამსახური თავდებოდა, რომ რწყილი ზავკანციდან მიიღო დათოძრილ და რეზოლიუციებით აფცუადეიული განცხადება შემდეგი შინაარსით: „შენ რომ ჩემთვის რქო არ მოგიტანია"-ო.

რწყილმა იფიქრა:

ამდენი ორღობეები ტელემაკის თმაშიც არ შემხვედრია და ეხლა რა ხათას შავეპიო?!—მაგრამ რას იზამდა... ახტა-დახტა, მოვიდა მუხასთან და სთხოვა:

— მუხა მომე რკო,
რკოს მიუტან რეგისტრატორს და...

მუხამ უთხრა:

— შემოდგომამდე რკო არ გაიცემაო, მაგრამ თუ ვინმე ნაცნობი გყავს, ან და ერკოპის ორდერს მოიტან, განცხადებასთან ერთად... ვნახოთ... როგორ წავა საქმე!

რწყილს მეტი რა გზა ჰქონდა... მაგრამ დიდი ხნის ლოდინით აჯამილეული ჭინჭველას ტალღები მიაგორებდა და...

და წაიღო თქვენი ჭირი
ჩვენმა ჭაინჭველამ...
დაგვიანდა, ვერ მიუსწრო
მეგობარის შველამ.

**კოლიელა.**

# პორტფელი

მართალი უნდა გითხრათ, ჩემს ხელში ის არავის უნახავს, ამის მიზეზი ერთის მხრივ ჩემი თანამდებობა იყო და მეორე მხრივ კი რესურსების უქონლობა.

თანამდებობა, მაინცა და მაინც არაფერ როლს თამაშობს ახლანდელ დროში, — დაწყებული გამგიდან შიკრიკამდე ყველას აქვს პორტფელის ტარების უფლება.

აქვს, მაგრამ, როგორც მოგახსენეთ, უქონლობას მეტი ბრალი მიუძღვის.

იმდენი ამწი-გამსწიეს, იმდენი მახლაფორთეს, რომ ერთ მშვენიერ დღეს გამგის ადგილზედაც წამომასკუპეს. მართალია ხელფასის გადიდებას ადგილი არ ქონებია. მაგრამ მაინც თანამდებობაც რამეთ ღირს.

რამდენიმე „მაკარიჩის" გადახდის შემდეგ, მეც შევუდექი ჩემს მოვალეობის შესრულებას.

მართალია გამგე ვიყავი, მაგრამ არც ხელქვეითები, არც პორტფელი და არც კაბინეტი საკუთარი არ მქონია. ოთი-ხუთი თანამშრომელი, რომლებიც ჩემს საგანგებო დარგში მუშაობდენ უფროსად, ათასჯერ მოვიწვიე მათი კრება; ათასჯერ აუხსენი:

— ამხანაგებო, მართალია თქვენთან აღზრდილი ვარ; მართალია მუშა ვიყავი; არაფერი მესმოდა, მაგრამ დაიჯერეთ, რომ ეხლა თქვენი გამგე ვარ. იქონიეთ მოთმინება, რიდი, ხათრი; მომექეცით ისე, ვითარცა გამგეს, გაიგონეთ ჩემი; როცა კაბინეტში ვზივარ და ვისმე მანდილოსანს ველაპარაკები, უზრდელათ ნუ შემოვარდებით; მაგიდაზე ნუ იცით შემოჯდომა; ხანდიხან კაბინეტიც გამომისუფთავეთ... და სხ... მაგრამ ჩემი ეს სიტყვები სიცილს იწვევდა მათში.

— ასწია ცხვირი ზევით! გიცნობთ რაც იყავი: სამ შაურს რომ სესხულობდი ჩემგან, ხომ არ დაგვიწყებია? მომაძახა ერთმა. ამაზე სხვებსაც სიცილი აუტყდა მე იდიოტივით გაშეშებული დავრჩი. რა ზომები არ ვიხმარე, რა არ მოვიგონე, მაგრამ ვერაფრით ვერ დავარწმუნე ისენი, რომ მე მათი უფროსი ვიყავი.

მართალია, რასაც დავსაქმებდი ასრულებდნენ, მაგრამ ბოლოს და ბოლოს მეც თავმოყვარეობა: მქონდა, მეც მინდოდა ვეცანი მათ როგორც გამგე და ყოფილიყვნენ მორჩილი ჩემი. მაგრამ არაფერი ეშველა. შინაურებს რომ თავი დავანებო, ამ გარეულებმაც რომ ვერ შეითვისეს ჩემი ღირსების მნიშვნელობა! რომ იყვნენ დაჩვეული „ბიჭოს" დაძახებაზე.

— თუ გინდა ხალხში პატივი დაიმსახურო, ასე უნდა მოიქცე — დამიწყო ერთ დღეს ჭკუის სწავლება ერთმა ამხანაგმა.—ხვალ დილით შენს კაბინეტზე მიაწერე: **„ნებადაურთველად შემოსვლა აკრძალულია"**

— კაცო, მიეაწერო კი არა, თვითონ რომ ავეყუდო და ვიყვირო, მაინც შემოვარდებიან ჩემი თანამშრომლები; შენს წარწერას ვინ მიაქცევს ყურადღებას!?

— მოიცა კაცო—გაჯავრდა ის.—ჯერ სიტყვა დამასრულებიე. ამის შემდეგ გააკარი განცხადება:

**„დღეს საღამოს 8 საათზე ვიწვევ საერთო კრებას, დღის წესრიგში დგას ჩ0 პროც. შტატის შემოკლება".**

რომ წაიკითხავენ თანამშრომლები ამას, მაშინ ყველა შენს გულის მონადირებას შეეცდება და მოპყრობასაც შეიცვლიან.

—ხა-ხა-ხა! — გამეცინა მე, როცა დავრწმუნდი, რომ ასეთი ხერხით მართლაც მოვარჯულებდი თანამშრომლებს.

— ეს შინაურებს. რა მოუხერხო იმ გარეშე პირებს, რომლებიც იურიდიულად არ მცნობენ ჯერაც? შევეკითხე.

-- სულელი! — ღიმილით სთქვა მან—მაგაზედ ადვილი რაღაა. შეიძინე ერთი კარგი პორტფელი. გატენე ქაღალდებით, (შეგიძლია თონის პურიც ჩადვა შიგ). ასწიე თავი მაღლა. დაანებე თავი სალამის მიცემას.—თუ ვინმე მოგესალმოს, ნუ უპასუხებ, ან თავი გაუქნიე და... მაშინ ეს გარეშე საზოგადოების აზრიც გამოიცვლება შენზე.

მისი რეცეპტი მართლა დამიჯდა ჭკუაში. პირველად თანამშრომლებზე გავილაშქრე. ცდა დიდებულად ჩატა-

# რეჟისორის ფიქრი



ალ. ახმეტელი: ამ ზარბაზნებიდან რომ აქამდე მესროლა ყუმბარები უფრო ადრე გავარღვევდი თეატრსა და ხალხს შორის ამართულ კედელს!

რდა. სალამოს დაიბმულ კრებაზე ყველამ სიფრთხილით შემოაღო კარები. მაგიდასთან ახლოს არავინ მოსულა. მე ვადავეცი მათ „უმაღლეს ორგანოს დირექტივა" შემოკლებაზე და ისიც ვთქვი, რომ მე ვეცდები არსებული შტატი შევინარჩუნო და ყოველ შემთხვევაში 25 პროც.-ზედ მეტი არ შევამცირო. ყველამ თითო თითო ამოიხვენეშა და გასვლის შემდეგ ცალ-ცალკე ყველა მომელაპარაკა თავის გაჭირვებაზე. მეორე დღიდან სიტყვები: „შენ", „მოდი", „წადი" და თითქმის „ამხანაგოც" შეიცვალა ასე: „თქვენ", „მობრძანდით", „მიბრძანდით" და „ბატონო"...

სალამოს „მაკარიჩი" მზად იყო მალაქიეს დუქანში ჩემს დამრიგებელთან.

ეხლა საკითხი გარეშე პირების მოპყრობაზე მიდგა. ამისათვის კი საჭირო იყო პორტფელი და ისიც კარგი. ვერც ჯამაგირმა, ვერც ნისიამ, ვერც სესხმა და ვერც ურთიერთ დამხმარე სალარომ ვერ შესძლო ჩემი ბიუჯეტის იმდენეთად გაზრდა, რომ პორტფელის ფული მოეპოვებინა. რევიზია დაწესებულებაში, რევიზია სალაროში, რევიზია ჩემი ცოლის მიერ ჯიბეებში ყოველთვის საშუალებას მართმევდა ფულის გადანარჩუნებისას. ხსნა არსით იყო.

„ძაგრამ ღმერთი არ გასწირავს კაცს შენსაგან განაწირსო" რომ უთქვამს იმ ოჯახ-აშენებულს, სულ მართალია. ერთს დღეს ჩემს კაბინეტში უწყება დამიხვდა, „თბილისიდან 60 მან. ჩემს სახელზე. კინაღამ ისტერიკა დამემართა.

— არა, ვინ გაგიჟდა ნეტავი" — ვიფიქრე.—სამოცი მანეთი და მე?—არა ეგ სიცრუე იქნება. ასჯერ წავიკითხე, სხვასაც უჩვენე და ნამდვილი ჩემი გვარი და სახელი ეწერა. იმ ღამეს ენა მუცელში ჩავიგდე და ცოლთან კრინტიც არ დამიძრავს.

მეორე დღეს მორიდებით მივადექი ფოსტის მოხელის ფანჯარას. უწყება გადაშინჯა გამომგზავნის ბლანკი ამოიღო, ჩემი მოწმობები გაშინჯა და სამოცი მანეთი ხელში მომცა. (ტარტაროზი მიგზავნიდა გონორარს) თვალები ამემღვრა. კიბეზე კინაღამ კისერი მოვიტეხე და როგორც იქნა კარებში გამოვედი.

— მიიღე უკვე? — მომახედია ვიღაცამ და მკლავში ხელი მტაცა.

ღმერთო კურთხეულო, საიდან, როგორ გაჩნდა იქ ჩემი ცოლი, ვერაფერი გავიგე.

— რა უნდა მიმეღო, ქალო? ვუთხარი მე და ხელში დაკავებულ ფულს დამალვა დაუწყე.

— გვიანაა, ყმაწვილო, გვიან!—მითხრა მან და ფულებს ჩაავლო.

რაღას ვიზამდი, გავყევი შუაზე და სამი თუმანი მივეცი.

მოვიცილე ის თუ არა, „გოსიზდატში" შევირბინე და ერთი კარგი პორტფელი ავარჩიე. რაც მითხრეს, მივეცი. ორ ძველ გაზეთს მაშინვე ვაკვრიე თავი შიგ; ცოტა ამოვბერე და ქუჩაში დინჯი ნაბიჯით გამოვედი. უნდა გითხრათ, რომ ეს პირველი მოვლენა იყო ჩემს ცხოვრებაში. ყველას მადლიანად ვუყურებდი. მანამდე თუ მთელ ქალაქს ვიცნობდი, ეხლა ვერავის ვერ ვცნობდი.

გამარჯობა პარმენ! — გამარჯობა ამხანაგო! სალამი ძმაო! გაუმარჯოს მეგობარს!—მოცვივოდა აქეთ-იქიდან. ერთმა ისეთმა კაცმა მომცა სალამი, რომელსაც არასოდეს ჩემთვის ჩემს სალამზე პასუხი არ მოუცია.

სალამომდე ჩემი კურსი 1921 წელში არსებულ ლირის კურსსავით აიწია.

მეორე დილას, როცა ოთახიდან პორტფელით გამოვედი, მეზობლებიც კი მორიდებით მომესალმენ. დღეს ქალაქში ერთი „ოტვესტვენი" თუ კი არის, მეც ვარ. ეს მიქნა პორტფელის შეძენამ, ღმერთი მის მომგონს მისცემს შველას.

პ. ოგოლი.




მოქალაქე: აფიშებს რომ მთაელიტში კიბრულობდენ, ალბად ასეთ მოვლენებსაც ყურადღება მიექცევა.

# ქალაქი და სოფელი

მათე ობოლია მამით.

ქალაქში კი არასოდეს არ ყოფილა.

აი, ეხლა ჩამოვიდა და თავის ძმას დედისაგან გამოგზავნილი სურსათი ჩამოუტანა.

მათეს ძმა — ნესტორი საქმის მწარმოებლად მსახურობს ერთ დაწესებულებაში. თავისი მუშაობით თავს ირჩენს და უნივერსიტეტშიაც სწავლობს.

—:—

სამი დღე დარჩა მათე ძმასთან.

ამ ხნის განმავლობაში მან ქალაქში გაიარა-გამოიარა და ყველაფერი დაათვალიერა.

მესამე დღეს დაღონებული მათე მატარებელში იჯდა და „პირი სოფლისაკენ" ჰქონდა.

მატარებლის თვლების ხმაური და ძიგ-ძიგი ვერ აფრთხობდა მათეს ოცნებას და ქალაქში მიღებულ შთაბეჭდილებებს:

— ცხოვრება ქალაქშია, თორემ სოფელი რა არის!? რამდენი ავტომობილი, რამდენი ფაეტონი, ტრამვაი!?! რა მოძრაობაა?! ასე გეგონება — სადმე ქორწილია და იქითკენ მიიჩქარიანო! ყველგან სავაჭროებია, შიგ ყველაფერია, — (ვაი, საწყალი ჩვენი დამრჩვალი კოოპერატივი!). კაფეები, რესტორანები... რა სისუფთავეა! რა კარგ საჭმელება სჭამდენ რომ დავინახე!? ცხოვრება ეს არის!.. ქალაქი ღამითაც განათებულია.. გადააბრუნებ თუ არა, მაშინვე იფეთქებს სინათლე... თეატრები, კინოები... ყოველნაირი გართობა... რამდენი მშვენიერი ქალებია!? ყველა კარგად ჩაცმულია... სოფელში კი გასათხოვარი ქალები ფეხშიშველი დარბიან... კაცი ვერ გამოელაპარაკები, ახლოს არ გაგიკარებენ... (აილე თუ გინდ ნიტიფორეს თებრონა — მე რომ მირიგებენ ცოლათ. წვივებ დატლინკული ვნახე; გაარშიყება მინდოდა, მარა, — ვაი ჩემი სიკვდილი, — და გაიქცა)... ქალაქში კი—ტრამვაიში ისეთი ლამაზი ქალის გვერდით ვიჯექი, რომ ჩვენი ეკლესიის ღვთისმშობელის ხატი მეგონა... რა დიდი შენობებია; თვალის აწვდენაც გაგიჭირდება კაცს...მთელი ქვეყანა ქალაქში ცხოვრობს... ო, რამდენი სიმდიდრეა... ამოდენა სიმდიდრეში, რასაკვირველია, ყველა ბედნიერი იქნება... ცხოვრება ქალაქშია!—ამ ფიქრებში კიდეც ჩაეძინა მათეს და კონდუქტორმა დილით ძლივს გამოაღვიძა თავის სადგურში.

—।—

ამის შემდეგ მათეს ოჯახში მუშაობაზე გული აუცრუვდა.

დედა ვერ მიმხვდარიყო მიზეზს მათეს ასეთი ცვლილებისა.

— შვილო, რა გემართება! — ეტყოდა ალერსით დედა, — შენ აბლად თებრონა გიყვარს... მოიყვანე შვილო ქალი... მეც ეს მინდა.. ოჯახი დაამაგრეთ.

მაგრამ მათე გავარდებოდა:

— არა; რას ლაპარაკობ... მე არ შემიძლია სოფელში ცხოვრება. დღედაღამ ოფლს ვღვრი, მაგრამ საშველი მაინც არ არის... აბა, ერთი მითხარი, ყანის მუშაობით შეიძლება გამდიდრება!.. ყოველთვის ასე გაჭირვებული ვიქნებით. რა გვინდა სოფელში?! ნესტორი თბილისშია... სწავლასაც რომ გაათავებს, ის მაინც იქ დარჩება... მივაყიდი აქაურობას და წავიდეთ ქალაქში საცხოვრებლად... დედა, რომ იცოდე რა ადვილია და რა მშვენიერია ქალაქში ცხოვრება, შენ მოუფიქრებლად დამეთანხმები! — ეუბნებოდა ალტაცებული მათე დედას და დაწვრილებით მოუთხრობდა ქალაქის ამბებს.

მაგრამ დედა მაინც ცივ უარზე იდგა:

— არა, შვილო, ჩვენი მამა-პაპის თავნაკლავია ეს ოჯახი... არვარგა ამისი განადგურება. ქალაქში არ ვყოფილვარ, მარა ისიც კი მინახავს, რომ ქალაქიდან სოფელში გამორბოდენ საცხოვრებლად...

— სულელები ყოფილან!—

— არა, შვილო, სულელები არ იყვენ, — მარა გაჭირვებამ გამოაქცია სოფელში.

— რას ამბობ, დედა! ქალაქში ყველაფერი ისე ბევრია, რომ იქ გაჭირვება წარმოუდგენელია.. მე გადაწყვეტილი მაქვს გავყიდო სოფლად ყველაფერი და ქალაქში გადავბარგდეთ მუდმივ საცხოვრებლად.

დედამ შეატყო, რომ ვერაფერს გახდებოდა თავისი სიტყვებით და ასე ურჩია:

— კარგი, შვილო, მარა ნესტორსაც ხომ უნდა შევეკითხოთ და მოველაპარაკოთ ასეთი დიდი საქმის შესახებ? ის უფროსია და ყველაფერი იმას ეკითხება... ამიტომ შენ წადი ისევ ქალაქში, მოელაპარაკე ნესტორს და როგორც თქვენ გინდათ, ისე ჰქენით!

—:—

მეორე დღეს მათე თბილისში ძმას მიადგა სრულიად მოულოდნელად.

— რა ამბავია? დედა როგორ არის?! — დანახვისთანავე შეეკითხა მათეს ნესტორი.

— კარგად ვართ ყველა!..

და მათემ უამბო ძმას ჩამოსვლის მიზეზი.

— ცდები, მათე! — უთხრა ნესტორმა, როცა მათემ დაასრულა თავისი ლაპარაკი — ქალაქს შენ არ იცნობ...

— როგორ არა! უწინ რომ ვიყავი, ორ-სამჯერ შემოვიარე მთელი ქალაქი.. არა, ძმაო, მე გადაწყვეტილი მაქვს ასე მოვიქცე. თუ ძმობას მიზამ და დამეთანხმები, კარგი,— თუ არა და, მე მაინც ასე უნდა ვქნა!

— მოვიფიქროთ. ორი დღე დარჩი და ვნახოთ რა გზაზე ვიქნებით მაშინ!—

—।

— ამას რა ჯობია!? — ალტაცებით წამოიძახა მათემ, როცა მოედანზე დიდი მოძრაობა და ხალხი დაინახა, — აქ უფრო იოლია ცხოვრება... სულ რომ რა იყოს, ამდენ ხალხში ვინმეს რამე გაუარდება. დაეკარგება და იმითაც კი შეინახავ თავს... სოფელში კი ვის რა უხდა გაუვარდეს, ან დაეკარგოს, როცა ყველა გაფხეკილია! ამდენი კარგი სანახაობით რომ თვალს წყალს დაალევინებ, ისიც კმარა... შეხედე, უცქირე და ისე გაძღები ცქერით, რომ არც კი მოგინდება არაფერი! — უმტკიცებდა მათე ნესტორს ქალაქის უპირატესობას სოფლის წინაშე.

— აბა, ტრამვაიში ჩავჯდეთ და გავისეირნოთ! — უთხრა ნესტორმა მათეს.

ადგილი ვერ იშოვეს. ვიღაცამ მაგარი მუჯლუგუნიც ამოჰკრა მათეს გვერდში; მათემ თავი ვერ შეიმაგრა და მიწაზე გაინართხა... შემდეგ წამოდგა და გულმოსული დაედევნა ვაგონს; (ეგონა ნესტორი ვაგონს გაჰყვა)... შემოახტა... ვაგონი გაჩერდა.

— ათი შაური! — უთხრა. კონდუქტორმა მათეს და მოემზადა ქვითარის ამოსახევათ.

— ორ შაურიანი ბილეთი მინდა!

— რისი ორი შაური? შემოხტომისათვის ათი შაური ჩამოდი ჯარიმა!

— რას ამბობ. კაცო? მე ძმას ვეძებ.... ის ამ ვაგონში ჯდებოდა, მეც ვჯდებოდი მარა...

— თავი დაანებე იშკილებს.... რისი ძმა, რისი ბიცოლა!?

კომისარიატში მანეთი გადაახდევინეს მათეს და გამოუშვეს.

— ნეტა იმისათვის მიმეცა ათი შაური! ათი შაური ეხლა ჯიბეში მექნებოდა.. რა უსინდისოები ყოფილან! — მიდიოდა მათე და ელაპარაკებოდა თავის თავს.

ნესტორი ძმას დამალულათ კვალდა - კვალ სდევდა და თვალიდან არ უშვებდა.

მათე კარგი რესტორანის წინ გაჩერდა. სადილობის დრო იყო და რესტორანი სავსე იყო მოსადილეებით. მუსიკა უკრავდა. ოფიციანტები დარბოდენ და სადილს არიგებდენ. მათე მიეყუდა კარებზე და უცქერის. აქვე არიან

მათხოვარი ქუჩის ბავშები. მეკარე წამოეპარა მათ და თავში წაუშინა. ერთი მაგარი პანღური მათესაც ამოჰკრა.

— დაიკარგეთ აქედან!—დაიღრიალა მეკარემ და ისევ რესტორანში შევიდა.

— ძმობილო რაშია საქმე!—უნდოდა შეეკითხა მათეს, მაგრამ ქუჩის ბავშები მას დახარხარობდენ.

უსინდისოები. ჩვენში რომ სადილობის დროს კაცი ესტუმროს კაცს, უსადილოთ არ გამოუშვებს... ესენი კი ხედავთ რასა სჩადიან!.. ფუი თქვენს კაცობას! — მიაფურთხა მათემ და გზას გაუდგა.

უნივერსალურ მაღაზიაში შევიდა და მთელ მის სიგრძეზე ორ-სამჯერ გაიარ-გამოიარა.

— აქ ბაღი არ გახლავთ... გაბრძანდით გარეთ! — დაცინვით უთხრა ნოქარმა და ძალით გარეთ გაიყვანა.

— კაი შენს პატრონს, რა უზრდელი ყოფილხარ!—ჩაილაპარაკა მათემ თავისთვის და მეორე მხარეზე გადასვლა დააპირა.

ნესტორი ხედავდა ამას და იცინოდა; თანაც მალულად უკან მიჰყვებოდა.

მათე მეორე მხარეზე გადადიოდა, რომ ეტლი კინაღამ დაეტაკა.

— ვოტ ეშაკ! — დაიღრიალა მეეტლემ და მათრახი გადმოჰკა მათეს.

— ეშმაკიც კი ხარ და უარესიც! — შეუტია მათემ მეეტლეს, რომელსაც არც კი გაუგონია მათეს სიტყვები.

— ხა-ხა-ხა-ხა!.. ეშაკი იცი რას ნიშნავს? — უთხრა ნესტორმა და მათეს ხელი მოჰკიდა.

მათემ შემოხედა და გაუხარდა ძმის ნახვა.

— ეშაკი ეშმაკს კი არ ნიშნავს, არამედ ვირს! — აუხსნა ნესტორმა მათეს ამ სიტყვის მნიშვნელობა.—შენ მანდ კინოსთან დამიცადე და მე ეხლავე მოვალ! — უთხრა ნესტორმა და სადღაც ხალხში გაქრა.

— მართლა კარგია კინო... ბევრი ლამაზი ქალები იქნებიან! — გაიფიქრა მათემ და კინოს სალაროსთან გაჩერდა.

— ვანიაეტ! — უთხრა თავის ამხანაგს ერთმა ქალმა და დაღრეჯით მათეს გადმოხედა.

— არა, ბატონო, მე ვანია კი არ მქვია, მე მათე მქვია!

— მათე აქედანაც კინწის კვრით გამოაგდეს გარეთ.

— რა ოხრები არიან ეს ჯიბგირები; იცვამენ სოფლელების ტანსაცმელს, რომ თავი სოფლელათ მოაჩვენონ კაცს და გაქურდონ! — შეიქნა რიგში ქალების ლაპარაკი.

— მაგათი რჯულიც არ იყოს! — სთქვა მათემ და ხელი იკრა ჯიბეზე, პაპიროსის ფულის ამოსაღებათ...

მაგრამ ჯიბეც კი ამოეჭრათ ჯიბგირებს და ისე წაეღოთ საფულე, რომელშიაც ორიოდე გროში ჰქონდა მათეს.

— რა იყო? რა მოგივიდა, ასე რომ ტრიალებ?—შეეკითხა მათეს ნესტორი.

— ბიჭო, თვალსა და თვალს შორის ქე არ წაუღიათ ჯიბე და ფული? უყურე რა ოხრები ყოფილან?

— კი მარა, შენ რომ ამბობდი — ამდენ ხალხში ვინმეს რამე კი გაუვარდება, დაეკარგება და იმითაც შეიძლება ცხოვრებაო?!

— გასაკვირი არ არის, რომ მე არაფერი არ შემიტყვია, ისე მოუპარავთ!

—:—

საღამოს დაღლილ-დაქანცულნი დაბრუნდენ სახლში ძმები.

შემოუჯდენ სუფრას და სოფლიდან ჩამოტანილ საჭმლის ჭამა დაიწყეს. ლუკმა ყელზე ადგებოდათ, მაგრამ გაყინულ წყალს იშველიებდენ.

ელექტრონი ჩაქრა. დაბნელდა.

— რა დაემართა ნეტა? — იკითხა მათემ.

— ალბათ აუზი გაიყინა და იმისი ბრალია.

მთელი საათი იჯდენ სიბნელეში. ბოლოს სინათლე მოვიდა და შეუდგენ დაწოლას.

— კაცო, ფეჩს არ ანთებ ამეღამ!? მოვკდი სიცივით!—შეეკითხა მათე ძმას.

— არა ძმაო; ნახევარი ფუთი შეშა მაქვს და ისიც ხვალ დილისთვის მინდა!

— რავა, შეშა ფუთობით იყიდება აქ?

— მაშ რა გგონია! ტყეტრესტმა ზამთარში გამოიღვიძა და შეშა მოუტანელი დარჩა... ჩვენ კი ფუთობით ვყიდულობთ... ფუთი ოთხი აბაზი ჯდება შინ მოტანილი.

— ბიჭოს! ჩემი ორი საჟენი შეშა რომ აქანა მქონდეს, ხომ კი გავკეთდები კაცი!

—:—

მეორე დღეს დილით მათემ სულ სხვა მსოფლმხედველობით გაიღვიძა.

— ხვალ წადი სოფელში. დღეს კიდევ დარჩი, გაიარგამოიარე! — ეუბნება ნესტორი მათეს, რომელიც ეხვეწებოდა ძმას.

— ოღონდ გზის ფული მიშოვნე, დღესვე გამგზავნე სოფელში და მე თუ კი ოდესმე აქეთ პირი ვქნა, ზურგზე მცემე. დაიქცეს აქაურობა... ესეც ცხოვრებაა!?

მათემ თებრონია შეირთო ცოლად და არხეინად ცხოვრობს სოფელში.

ისელი.

# ლექსიკონი წმ. იუსტინესი



მეშვიდე საუკუნის მკითხველთათვის

# მოკლე კაბა

— ნუ აყოლიხარ ფეხის ხმას, მე ვთქვი და გავათავე. შეიკერავ ისე, როგორც აქამდე იკერავდი. არავითარი მოკლე კაბა.

— სულაც არ ვიკერავ!

— „პაჟალუსტა"! არ შეიკერავ და ან დარდი. მადლობა ღმერთს, შიშველი არ ხარ. ქე გაქვს კიდევ კაბა.

— არც იმას ჩავიცვამ! არაფერს არ ჩავიცვამ არც არსად წავალ, ვიქნები და ვიქნები სულ სახლში.

— „პაჟალუსტა"! ბრძანდებოდეთ. ტყუილა იმედი ნუ გაქვს, რომ ბარძაყებ მოშვლეპილი გამოგიყვან ხალხში.

— „მეშჩანინ"! ცხოვრებას მისპობ. არ შემიძლია! შეხედე ერთი შენი ამხანაგების ცოლებს, გაახილე თვალი. თუ სულ ყველას აცვია, მე რა მიჭირს?

— არავითარ შემთხვევაში. სხვაა სხვა თავი აბია; მე ჩემი. მე გრძელი კაბითაც არ გწუნობ. გრძელი კაბა გეცვა მაშინ, როცა ჩვენ პირველად შევხდით ერთმანეთს, მაგრამ ძალიან კარგად მომეწონე და კარგადაც შეგიყვარე.

— მაშინ ისეთი იყო „მოდა". წავიდა ის დრო. ცხოვრება წინ მიდის. არ უნდა ჩამოვრჩეთ!

— შენ, სხვა რამეში ნუ ჩამორჩები ცხოვრებას, და ეს არაფერია. გრძელი კაბითაც შეგიძლია დაეწიო ცხოვრებას.

— შენ არ გესმის, რომ ეხლა სირცხვილია გრძელი კაბით სიარული. ქვეყანა გამცინებს! აბა წარმოიდგინე! ჩემი ამხანაგები, მოკლე კაბებით, გამომდებენ მკლავს მკლავში და მე კი მივაფლაშუნებ კაბას კოჭებამდე!

— ანაფორა შეიკერე მეთქი, კი არ გეუბნები! შეიკერე ისე, ადამიანურად. არც ნამეტანი გრძელი იყოს და არც ნამეტანი მოკლე!

— აბა სადამდე უნდა მწვდებოდეს, მითხარი... აქამდე?

— უფრო ქვევით.
— აქამდე?
— კიდევ ქვევით.
— აქამდე?
— კიდევ ქვევით.
— აქამდე?
— კიდევ ქვევით.
— აქამდე?
— კიდევ ქვევით.

— შენმა მზემ! აბა ბარემ „კუდიან კაბას" შევიკერავ. ბებია შენს რომ აქვს ეგერ, სურათზე.

— არა, კარგი, მაქ შევჩერდეთ. აქამდე თანახმა ვარ.

— ერთი მე მკითხე, მე თუ ვარ თანახმა!

— აბა კარგი, შენ სთქვი, სანამდე გინდა აიტანო.

—აი, აქამდე.— ცოლმა მუხლის თვალს ორი თითის დადება აასცილა ზევით.

— კი მაგრამ, მაშინ ხომ შენს თეთრეულს „რემონტი" დასჭირდება.

— ამაზე ნუ დარდობ.

— არა, ჩვენ ავირჩიოთ საშუალო პუნქტი. აი, აქ: მუხლის ქვევით —ერთი ციდა.

— კარგი, თანახმა ვარ, —ცოლმა დამკრა ხელი მკლავზე და გაღიმებული სახით გაეშურა მკერვალთან.

— პირობა, ხომ იცი? არც უგრძესი არც უმოკლესი, თორემ ჩხუბი მოგვივა.

გავიდა რამდენიმე დღე. ცოლმა ცეკვა-თამაშით შემოაღო კარები და შემოიტანა ის საბედისწერო კაბა, რომელიც გახდა ჩვენი აქამდე ტკბილი ცხოვრების ამფორიაქებელი.

ჩაიცვა კაბა.

— ეს რა არის, ქალო? ეს არის ერთი ციდა მუხლს ქვევით? აქ ხომ მუხლია? აბა დავზომოთ... ორი თითის დადებაა სწორი. შენ შეგარცხვინა ღმერთმა!

— გეფიცები პატიოსნებას! გეფიცები შენს სიყვარულს, სწორედ შენს ნათქვამზე ავაღებიე ზომა. ეხლავე წავალ და საყვედურს ვეტყვი იმ დედაკაცს, რომელმაც მომატყუა!

— მე ვიცი, რომელმა „დედაკაცმაც" მომატყუა, მაგრამ, ვნახოთ როგორ უნდა მოტყუება!

— გოგი, შენ არ გჯერა. ღმერთო ჩემო! წამოდი ეხლავე წავიდეთ იმ დედაკაცთან და შენი თანადასწრებით შავს დღეა დავაყრი. თუ გინდა აქ მოგიყვან, რომ თვითონ შენ დარწმუნდე ყველაფერში.

ცოლი გაიქცა და მომიყვანა სათითურიანი დედაკაცი, რომელსაც „ყასიდათ" კარებთან ხმა-მაღალი ლაპარაკი დაუწყო.

— მატერიის ბრალია,—შემოილაპარაკა დედაკაცმა ჩემდა გასაგონად.

— რისი ბრალია?— ვეკითხები.

— გეთაყვა, მე რაში მინდა შენი მოტყუება. როგორც

# „შეშის საკითხი

მოწაფეები ვალდებული არიან თითო ნაჭერი შეშა ყველამ მოიტანოს სკოლაში.

**სოფლის ხინამდვილიდან.**



— ჯერ-ჯერობით არა გვიშავს, მაგრამ როცა ნიკიფორეს ლობე გამოილევა, მაშინ რა ვქნათ? ივანეს ლობე იქვე არ არის! აბა ხახლიდან ხომ არ წავიღებ სკოლაში შეშას?!

# შარი



— იუბილეს გიმართავთ და აწი არაფერი გიჭირთ; პენსიასაც მიიღებთ.
— რად მინდა ან ერთი, ან მეორე... მადა არა მაქვს, კუჭი მოშლილია და კბილებიც ჩამცვინდა...

მითხრა, ისე ზომა ავიღე, მაგრამ შემდეგ როცა მატერია დავასველე და გავაუთოვე, ალბად დამოკლდა, შეგორდა. ეხლანდელი მატერიები ასე შვრება.

— ჯერ დაგესველებია და შემდეგ დაგეჭრა. მაშინაც დამოკლდებოდა?

— არა, საერთოდ, გეთაყვა, ჩვენ ასე ვჭრით და ასე ვკერავთ.

— ეჰ! კარგი გავათავოთ ეხლა. რაც იყო იყო.

დედაკაცი წავიდა.

— ეხლა ხომ დარწმუნდი? მე არაფერ შუაში ვარ!— რაღაც ეშმაკური ღიცინით მითხრა ცოლმა.

გაეიდა ორი-სამი დღე. მე და ჩემი ცოლი სტუმრათ მიგვიწვიეს.. ცოლმა ჩაიცვა ახალი კაბა. შევხედე: კაბის ბოლო უკვე მუხლის თვალს უსწორდება.

— რა ჯანდაბა მოსდის ამ კაბას!? გუშინ წინ მუხლს ქვევით იყო; ეხლა მუხლამდე ასულა, ხვალ და ზეგ, ვინ იცის სად ავა!

— რა ვქნა, კაცო, მატერიის ბრალია.

როგორც იყო სტუმრად ყოფნას მოვრჩი. ვერ წარმოიდგენთ, როგორ ვიტანჯებოდი, როცა ვხედავდი ჩემი ცოლის მუხლებს, რომ თვალით ზომავდენ შეზარხოშებული სტუმრები.

ეს კიდევ არაფერი.

ერთ ღამეს ძალიან ადრე დავიძინე და შუა-ღამე იქნებოდა გადასული, რომ გამომეღვიძა. მომწყურებოდა. ავანთე ოთახში სინათლე. გავიხედე სად არის ცოლი!

გავაღე კარი, გავიხედე მეორე ოთახში და რას ვხედავ!

ჩემი ცოლი მიჯდომია საკერავ მაშინას. ხელში უჭირავს მაკრატელი და კიდეს აჭრის იმ კაბას, რომელზედაც ამდენი უბედურება გადამხვდა.

— რას შვრები, ქალო, მანდ?

— იქნება სიგრძე მოუმატო-მეთქი,—თანაც მალავს კაბას.

დავინტერესდი, გამოვართვი ხელში კაბა.

კაბას უკვე სანახევროდ შემოჭრილი ჰქონდა ორი თითის დადება.

— შენ შეგარცხვინა ღმერთმა. შენ უბედურო! სულ შიშველი გივლია. ჯანდაბასაც გივლია. ჩვენს შორის ამიერიდან ყველაფერი გათავებულია. ყველაფერს ავიტანდი, მაგრამ ამდენ ტყუილს ვერ გაპატიებ.

— არა გოგი, წინად მატერიის ბრალია იყო, ეხლა კი შევცდი და მაპატიე.

მე ჩავიცვი ტანზე და გამოველ გარეთ. ოთხი დღეა სახლში არ ვყოფილვარ. ჯერ საბოლოოდ კიდევ არ მაქვს გადაწყვეტილი როგორ მოვიქცე.

ხევგირ—ბენ—შეახ.

# საკამპანიო კონფერენცია

არ დაიჯერებთ, მაგრამ უნდა დაიჯეროთ. ყოველ შემთხვევაში, ხსენებულ რაიონში დაარსდა ერთი დაწესებულება, რომელიც იწოდებოდა **რადიო-აქტივობის** ჩამტარებელ კომისიათ.

კომისიამ იმუშავა, იმუშავა და ბოლოს საქმე იქამდე მიიყვანა, რომ კინაღამ დაასრულა რადიო-აქტივობის კამპანიის ჩატარება.

ის-ის იყო, კამპანიის ჩამტარებელ კომისიის თავმჯდომარის თანაშემწის მოადგილემ დაამთავრა 200 გვერდიანი მოხსენება კამპანიის ჩატარების შესახებ, რომ ამ დროს გამოცხადდა

**შეფობის გამავრცელებელი კამპანია**

იფიქრეს, იფიქრეს და რადიო-აქტივობის კამპანია გადააკეთეს შეფობის გამავრცელებელ კამპანიის ჩამტარებელ კომისიათ.

არ გასულა დიდი დრო. საშეფო კამპანიის კომისიის მდივნის მოვალეობის დროებით აღმასრულებელი საშეფო კამპანიაა დასრულებულათ სთვლიდა და შვებულებაში წასვლას აპირებდა. ამ დროს... ჰოი საკვირველებავ! გამოაცხადეს

**თვითდაბეგვრის იდეის პოპულიარიზაციის კამპანია**

— ჰეი, ბიჭო! რა კამპანიებია?!— აღტაცებით გაიძახოდა საშეფო კამპანიის პასუხისმგებელი რეგისტრატორი.—ძლივ-ძლივობით ვიშოვე სამუშაო! ეს ახალი კამპანიაც ალბათ კარგა ხანს გაგრძელდება.

დიდი ხანი არ გასულა თვითდაბეგვრის კამპანიის დაწყების შემდეგ, რომ მაა მიყვა

**დიაკვნებთან ბრძოლის კამპანია**

— გენაცვალეთ დიაკვნებო! ვაჟკაცები ხართ, ვაჟკაცები!—ჩურჩულებდა თავისთვის თვითდაბეგვრის კამპანიის (ახლა უკვე დიაკვნებთან ბრძოლის კამპანიის) პრეზიდიუმის კანდიდატი.—ახლა მაინც კი გახდება ავად პრეზიდიუმის რომელიმე წევრი და მის ადგილას მე დავჯდები....

დიაკვნებთან კამპანიას, ბუნებრივათ მოყვა

**მინდვრის მავნებლებთან ბრძოლის კამპანია**

— თუ კამპანიობაა, კამპანიობა იყოს—გადასწყვიტეს ადგილობრივმა მუშაკებმა და საკამპანიო კომისია გადააკეთეს აღმასკომის ერთ-ერთ მუდმივ განყოფილებათ, რომელსაც დაერქვა კამპანიების ჩამტარებელი განყოფილება.

ამ განყოფილებამ მოაწყო რამოდენიმე კამპანია, როგორიც არის: ჭია-ღუასთან ბრძოლის, ადგილობრი კოლოების საწინააღმდეგო და სხვ.

რადაი კამპანიების რიცხვი მეტად გამრავლდა, ამიტომ შეუძლებელი შეიქნა მარტო განყოფილებისთვის ნდობა და ამიტომ დაარსებულ იქნა კამპანიების ჩამტარებელი ცენტრალური სარაიონო ბიურო, რომელიც შემდეგ გადააკეთეს საკამპანიო სამმართველოდ. სამმართველომ ჩაატარა ექვსი კამპანია და შემდეგ, თავის მხრივ დაარსა საკამპანიო სამმართველოს რწმუნებულის ამმართველოები თემებში.

კიდევ შვიდიოდე კამპანიის ჩატარების შემდეგ რწმუნებულის სამმართველოები დარწმუნდენ, რომ მარტო მათი გამოყოფა არ არის დამაკმაყოფილებელი და გადასწყვიტეს ქვე-სამმართველოების გამოყოფა სოფლებში და უბნებში.

ამრიგად, მთელი რაიონი შეიკრა საკამპანიო ორგანიზაციის ქსელით. არავინ იცოდა, სად იწყებოდა კამპანიების თავი, ან სად თავდებოდა მათი ბოლო.

— საჭიროა ჩვენი ორგანიზაციის ჩამოყალიბება,— გაიფიქრა სარაიონო საკამპანიო მთავარმმართველობის იურისკონსულტმა და წინადადება შეიტანა საკამპანიო ორგანიზაციების კონფერენციის მოწვევის შესახებ.

ასეთი კონფერენცია მართლაც შედგა.

მოგვყავს კონფერენციის ანგარიში, რომელიც „ტარტაროზის" სპეცკორმა გამოგვიგზავნა.

საპატიო და საქმიან სამანდატო კომისიის არჩევის შემდეგ კონფერენციამ ერთხმად გადასწყვიტა შესდგომოდა საქმიან მუშაობას. მაგრამ კონფერენციის ერთ-ერთი წევრის წინადადებით, დელეგატებმა ფეხზე ადგომით პატივი სცენ კამპანიების ჩატარების დროს დაზარალებულ ორატორების ყანყრატოებს. (ორმა თავი შეიკავა).

ამას შემდეგ გაიმართა მოხსენებათა კამპანია. პირველად წაკითხულ იქნა მოხსენება კამპანიების ოცდახუთწლიან პერსპექტიულ გეგმის შესახებ. მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათის კამპანია, რომლის დროს ილაპარაკეს დელეგატებმაც.

კონფერენციის მუშაობა სამი კვირა გაგრძელდა. დელეგატებმა ჩაატარეს მრავალი სხვადასხვა ხაიათის კამპანია, როგორიც არის: ღვინის სმის, არაყის ხუხვის და სხ. კონფერენციის მუშაობის დროს დაიკლა ამოცი გოჭი და ოთხმოცი ინდაური, მათ შორის: 30 მამრობითი სქესის, 60—მდედრობითის და დანარჩენი —საშუალო სქესის.

ბოლოს დამტკიცებულ იქნა დღის წესრიგში და მიიღეს რეზოლიუციები ყველა მოხსენებათა გამო. რეზოლიუციაში აღნიშნულია. რომ საჭიროა ყურადღება მიექცეს კამპანიების გამრავლების საკითხს და ჩატარდეს კამპანიების გახშირების სასარგებლო კამპანია. დამტკიცებულ იქნა აგრეთვე კამპანიების განვითარების 29 წლიანი პერსპექტიული გეგმა.

კონფერენცია დაიხურა საკამპანიო ჰიმნის ღიღინით.

**ალლარ-სალლარსან.**

# კამკულა

მთავრობის საწინააღმდეგო დემონსტრაციებს პოლონეთის პოლიცია იარაღით უმასპინძლდება.

(გაზეთებიდან)



# „უჭკვიანესი“



— მე კაცო, ორივე ერთად დაგვნიშნეს გამგეთ, ასე მალე როგორ გასუქებულხარ!
შენ არ გცოდნია მდგომარეობის კარგად მოხმარა

# „ვოთ ტებე ნა“

მოვკვდი, ბატონო, აღარ შემიძლიან. აშევიდა სული კისერში. გეიფხიკა ჯიბა და აღარ დამეთხოვით!?. „ვოტ თებე ნა!“... ამისთანა გინახავთ! ერთ საათს აღარ დეისვენოს კაცმა, გაგონილა! ყოველ ნიმუტს დახმარება, ყოველთვის სხვისი ფულის ძლევა მე კი არა, გოსუდარცკი ბანკს აღარ შეუძლიან! ეს ლატარიის ბილეთები გაგვისაღეო, ეს ტიატრისაო, ეს ამას დაეხმარეო, ეს იმასაო, ეს წითელ ჯვარს შეეწიეო, ეს პლექიანებსაო, ეს ავიოქიმსაო, ეს რემედასსაო და თელათ კუდის რიკამდე გამშვლიპეს ტყავი! ერთი კაპეიკი რომაა, აღარ გამიჩერეს ჯიბაში! „ვოტ თებე ნა“. კაცო, ამისთანა გინახავთ!..

მაინც და რომ მომადგებიან კრუშკებით ეს კუპატივით გატენილი ბარიშნები. საშველს აღარ მაძლევენ! დედაია, მოვკვდი კაცი, აღარ შემიძლიან, ბიძია: ერთი ყუა გახვრეტილი გროში რომაა, იგი აღარაა ჩემს ბარობაზე, მარა რომ არ გიჯერიან! სანამ მქონდა, იცის ღმერთმა, რომ უკან არ დამიხევია, მარა როცხა არა მაქვს, არა მაქვს! გეიგონეთ ყურში, ჰო... „ვოტ თებე ნა!“—„ჩააგდეო!“. ადვილი სათქმელია „ჩააგდეო!“, მარა იმას კი არა კითხულობენ, რომა მაქვს თუ არა ჩასაგდები ფული! მოვკვდი. აღარ შემიძლიან. გეიჩისტა თელათ ჯიბეები, გეიგონით ყურში ჰო!... „ვოტ თებე ნა!“ კაცს პურის ფული შენატრება და აგენი კი დამდევენ: „შეგვეწიე“-ო. მაინც და რომ ვერსად დავემალე ამ კრუშკიან ქალებს. ამისთანა გინახავთ! გუშინწინ რაცხა ეშმაკაა ევგზალზე გამევიარე და ქე არ დამინახეს ამ ბარიშნებმა! გამომეკიდენ, მარა შევვარდი პერვოი კლასის გუფეტში. შევვარდი. — შემომყვენ იგენიც! გევიქეცი ტრეტი კლასში, — დამედევნენ უკან! წინ მე და უკან იგენი! ბოლოს რომ გამიჭირდა, ვდურთე თავი უბორნიაში. ვიფიქრე: აქანა მაინც გადავირჩენ თქვა თავს. მარა მისთანა გადარჩენა მიეცა შენს მტერს, მე იქანა დღეი დამადგა! ამ სირქარეში, თურმე, დამწკი უბორნიაში შევსულვარ და მერა ვიცი! დამესიენ ეს ქალები და დამიშინეს თავში! „აი, შე უნამუსო, შე გაფუჭებულო! რა გინდა ქალების უბორნიაში შენ რომ კაი სული იყოვო!“... აქეთ აგენი მირტყამენ და იქით ის კრუშკიანი ბარიშნები მაკრავენ რაცხა ნაჰირ ქალალდებს და ფულით იძახიან! რაღას ვიზამდი, ამევიღე პასლედნი ფული და ჩაუგდევი ბარიშნას კრუშკაში! ამ დროს საცხა ეშმაკიდან შემოპრაკუნდა ჩემი ალათია და რომ დამინახა ამ ქალებში და ფულის ჩაგდებას შეხედა,—გედირია, მარა რა გედირია! ლაფშებიდან თლათ დობლები ცვიოდა და მურზაყანის. ჯორივითა ყრიდა ტლინკებს! მსტაცა ქოჩორში ხელი და გამომათრია! „რავაო, მე სახლში სიმშილითა მკლავ და აქანე უბორნიებში ქალები გყავს და ფულებს აძლევო!“. მირტყა და მირტყა, მიფსკვნა და მიფსკვნა! იმდენი მირტყა, რომე ჭაჭები თლათ ჩამაყრევია! ვყვირი, ვეხვეწები: ალათია, არა ვარ მინავათი, დეითქვი სული და ყორიფელს გიამბობ თქვა, მარა არ შეგჭამოს ჭირმა! თლათ ამაპუტა ზევით ულვაში! ერთი ღერი ბანალი არსა არ დამიტია! ვაი, დედაჩემო, რავალი შაქარყინულივით ცოლქმრობა გაგვიმწარდა მე და ალათიას! ვაი, ჩემი ცოდვა მიეცა იმ კრუშკიან ქალებს, რავარც იმათ მე მომჯაყეს და ამომაგდეს კაცი! ფული ფულათ დეიკარგა და ქალი ხომ გადამერია და ყოველ დღე მიკეთებს გვერდების მასაჟს!

აგია საქმე, აგია სამართალი?!.

გოგია.

# „უცხო ქმარი“

ექვს თვეზე მეტია, რაც ტყიბულის მაღაროების აბანოები არ მუშაობენ. ერთი კვირის შემდეგ სოფლათ სახლში დაბრუნებულ გამურულ მუშებს ცოლები ველარ ცნობენ.

(„დილა“)



ცოლი: — გარეთ გაეთრიე ვილაცა ობერი ხარ, თორემ თუ ჩემმა ქმარმა მოგისწრო, მაშინ ვაი შენი ბრალი!

ქმარი: — ქალო, რომელ ქმარზე ლაპარაკობ? მეორეზე გათხოვდი თუ?

# „ჩუმჩაირა“

## ლანჩხუთელ ჩიბათელი გლეხების სიმღერა

ნეტავ თუა ქვეყანაზე... უჩაირა-ჩაირა...
ჩვენი ალმასკომისანა.. კუკუ:
ანდამატებრ გულს იზიდავს... უჩაირა-ჩაირა...
როცა ეშხით სტოლს უჯდანა... კუკუ..
სახალხო სახლს ხელი მოჰკრა... უჩაირა-ჩაირა..
თვალთ წარმტაცი აშენა.. კუკუ...
გზებზე გაჰყავს ქვაფენილი... უჩაირა-ჩაირა...
და ქალაქიც დაამშვენა... კუკუ..
ქება მათ მოღვაწეობას... უჩაირა-ჩაირა...
მათ გზა სავალს ვარდი ია... კუკუ...
გული არვის აუჩქარდეს... უჩაირა-ჩაირა..;
რადგან რაც ვსთქვით პროექტია.... კუკუ..;

ჩიბათელი.

ლანჩხუთელო, რას ტრაბახობ... უჩაირა-ჩაირა...
რომ მომართე ქების სტვირი.. კუკუ...
შენს ალმასკომს შეეყარა... უჩაირა-ჩაირა...
ჩემი ალმასკომის ჭირი... კუკუ...
სამიკიტნო უყვარს მარა.. უჩაირა-ჩაირა..;
ურჩევნია ალეგრაო... კუკუ.;;
მარა ნისიას ვინც მოსთხოვს... უჩაირა-ჩაირა..;
იცის ზურგის მოლეგრაო... კუკუ.
პროექტზეც თავს არ იხეთქავს... უჩაირა-ჩაირა..;
საქმეს ჯვარი სწერიაო... აირა..;
მის დავთარში მიხწევების... უჩაირა-ჩაირა..
ასი წელი სწერიაო... აირა.

ჯუჯუათელი დეზი.

# იერიში



ტფილისის სადგურში

# რადიო

(სოფ. საწირე, ქუთ. მაზრა)

სამი წლის წინათ შეგვპირდა „პოლიგრანიამ", თუ რაცხა ჯანდაბა, რო,—საწირეში იმისთანე რაცხას ძკ. ვიტან რო „ნიქვით" უკვეთსიო: „ტესნიკის უმაღლესი მიღწევაა" და იმისთანე ნაინტერესი რაძეა, რო „ოკოიბლებს" იმისთანე რამე სიზმარში თუ მეელანდა კიდო კაი, თვარა ისე ცხადში ხო ვერ ნახავთო.

ბებია ჩემ ალათის (აცხონა ღმერთმა), ჩეეწვეთა ყურში ეს თვარა, გააბზიკა ფეხები ძიროვნელი ღვდელ გაბადაძის ჯორივით და საიქიოში წასვლაზე აღარ იფიქრა:

— ისე მაინც არ მოვკვდები „ტეხნიკმა" რაცხას მიაღწია, ის თვარ ნავხეო.

ბევრი ვაჯერე:

— შენ კი არა, იმის ნახვას მე თუ მეევსწარი, კიდო კაი! ისე რცის „პოლიგრანმა"—რო შეგპირდება რამეს, ერთი საუკუნეს მერე რო შეასრულოს კიდო მადლობა უნდა უთხრა! ნუ უყურებ შენ თვარა, იქითაც ცდები გზას და ვერც „იმის" ნახვას მეესწრები.

არ დამიჯერა, მაინც ითბინა ორი წელიწადი; მერ კი ჩემი და თქვენი ჭირი წეილო.

გევიდა მერე კიდო დიდი ხანი და ერთხელ „რანდიო" „სპეციალისტები" მოადგენ საწირეს. დიდხან იქეიფეს; კარგა ლაზათიანათ, მამა-პაპურათ მეილხინეს და დაიწყეს რანდიოს გაკეთება. თურმე ნუ იტყვით და. (არც მე გეუნებით მაინცა და მაინც გასამხელად), იმგენს თურმე ალმასკომის „კრიშნაზე" დიდხანს ყოფნა შეეზარათ და ამიტომ რანდიოს დიდი უშველები არძა, ორი მავთულით გააპოკჰიკეს.

იქინავე ალმასკომის გვერდით საძკითხველო როა, თუ იცით (ან ქე რაფერ გეცოდინებათ, როცა კვირაში ერთხელაა ღია?!), იქინე ერთი პატარა „მიმღები" (მიმღები ბერია ჩვენში; შენ მომტანი თქვი თვარა!) მოაკვარახჭინეს და გაუდგენ გზას.

როგორც მეხი, ისე გავარდა ჩვენში ხმა რანდიო მეიტანესო.

მოხდა თუ არა ეს ამბავი ჩემ დედაკაცს, ვერაფერით ვერ დავამაგრე, ვერა ვეხვეწები:

— ბოშო, ამ შუაღამეზე არ წევიდე, რა მეჩქარება. აქანე არ იქნება სულ? წევიდეთ დილას და ნავხოთ მაშინ!? მარა ჩამომეკიდა კისერზე ძველი ხურჯინივით!

მოუძვრა ბზიკი ჩემ დედაკაცს და ატყდა სამგლე გოჰივით; ვერაფლით ველარ დავაკავე, გოუყარე „პროდუქი" და ქე წევიყვანე იქინე.

აპა, გეიკმინდეთ ხმა, სული არევინ დაბეროთ, „კონცერტი" იწყებაო.

რაცხამ ძეძგვა იმისთანე, რომე ყველას ეგონა მენობა დეინგრაო და გარეთ გამოვარდით. აღარც ქალი მიძებნია, არც არაფელი. გამოვბრუნდი გარეთ, მოუსვი ხელი და ისე გამევიქეცი, რო ტყიბულის მაღაროების დრეზინაც ვერ მომეწეოდა. (ახლა კი არა,—ქერო მუშაობდა). ცოტა მაღალზეა ი დასამტროვი სამკითხველო. მე აღარც ქე გამხსენებია მაშინ; სწორი გზა მეგონა და რას ვიფიქრებდი, თუ იქინე კიბეზე უნდოდა ჩასვლა, გადავარდი ყირამალა; გევიშხლართე მიწაზე; დიდხან ვიყავი დაგდებული ძირს.

მეილოლდი რავაც იქნა სახლში, დავწევი, მომცა სიცხე და ანთება. ქე ვაგდივარ ახლა ლოგინში; თუ ავდგები, მე ვიცი, რასაც ვიზამ!

დონ-გან.

# დეპეშები

## ძლიერი ქარი ინგლისში

**ლონდონი.** მთავრობის ხელმძღვანელთა და მუშათა პარტიის მემარჯვენე ლიდერთა (მაკდონალდი) თავში ეს ერთი ხანია ძლიერი ქარი ჰქრის, რამაც დიდი ზიანი მიაყენა ინგლისის ბიუჯეტს.

## საბჭოთა კავშირის ბრალია

იქიდანვე. ადგილობრივ ბურჟუაზიულ პრესის გამოკვლევით ინგლისში ამოვარდნილი ძლიერი ქარი გამოგზავნილია მოსკოვიდან კომუნისტების მიერ.

## ხახა-მშრალი მათხოვარი

**კანტონი.** გუშინ ბანკში გამოცხადდა მათხოვარი (ჩან-კა-იში) და ითხოვა მოწყალება, მაგრამ ცინწის კვრით გამოაგდეს გარეთ.

## ლაქიების ყსოფლიო ჩემპიონი

**ლონდონი.** მეფის სიტყვის წარმოთქმის შემდეგ, გაიმართა რაუტი, რომელსაც ესწრებოდა მაკდონალდი. რაუტზე მონაწილეობას ღებულობდენ უცხოეთის წარმომადგენლები, რომელთა წინადადებით გაიმართა კონკურსი მსოფლიოში ყველაზე უფრო კარგ ლაქიაზე. მაკდონალდის კანდიდატმა ყველას აჯობა. რაუტმა ერთხმად მიულოცა მაკდონალდს მსოფლიო ლაქიობის პირველობა და ჩემპიონობა.

მაკდონალდს განზრახვა აქვს მეორე ინტერნაციონალში დაარსოს ლაქიობის უმაღლესი სასწავლებელი, რომლიდანაც გამოვლენ დახელოვნებული ლაქიები ბურჟუაზიისა და კაპიტალისტების სამსახურისათვის

# ძიმითი

ტარტაროზ, მოინახულე
ჩვენი სოფელი ძიმითი,
რომელიც არე-მარეში
განთქმული არის იმითი,—
რომ თავმჯდომარეთ ალმასკომს
აქა ჰყავს „ჩვენი გოგია"...
რასაც ამბობენ იმაზე,
არ არის დემაგოგია.
თავკასულობას გოგიამ
თანდათანობით უმატა.
თითქოს ის იყოს ცენზორი,
ხსნის სხვის წერილებს ჩუმადა.
ჯანი გავარდეს რაც არის,
ეს კიდევ არაფერია;
დეე გაიგოს ვინ რას სწერს,
წერილში თუ რა სწერია,—
მაგრამ... მაგარიც ის არის,
ღამით ლობეზე ხტებაო,
და ხმაურობა მოისმის,
როდესაც ლობე ტყდებაო...
ამაყობს იგი, რომ არის
სოფლის ქალებში მარდია...
თუმცა ჰყავს სახლში ცოლ-შვილი,
არა აქვს მისი დარდია.

ქიცმაცური.

# ნახული და გაგონილი

**ამბროლაური. (რაჭის მაზრა)**

ღამის ათი საათი იქნებოდა, როცა ამბროლაურში წასასვლელად ბოდანს მივადექი.

საშინელი სიცივე იყო.

ხარიტონს სძინავს. ბორანი გაღმაა.

— ხარიტო...ო..ონ უუუ!—ვუყვირი და თანაც უკმაყოფილოდ ვხედავ ხიდის კურტნებს, რომლებიც თეთრად გამოიყურებიან ბნელ ღამეში. ვფიქრობ:—რა ოხრად გვინდა კურტნები, თუ ზედ ხიდის გაკეთებას ვერ მოვესწრებით!?

— როდის მაოთავსებენ ამ ხიდს, რომ თავისუფლად იაროს ხალხმა,— ვკითხე ნაღვლიანი ხმით ხარიტონს.

— ამბობენ: რკინის ხიდა მოელიანო. ერთი ათ წელიწადში არ მოესწრება! მანამდი მეც გვარიანად გავისქელებ ჯიბეს და მერე აღარ ვიდარდებ ხიდის მოთავებას!—მიპასუხა კმაყოფილებით ხარიტონმა.

წავედი ამბროლაურისკენ. მაგრამ ვაი მისთანა წასვლას. წელამდი ტალახში ვეფლები. სხვა გზა არ იყო, გადავიწერე ჯვარი, გავხსენი ალმაცკოში და შევსცურე ტალახში. თუმცა ცურვა ნაკლებად მემარჯვება, მაგრამ მაინც გადავრჩი.

კოოპერატივისკენ გავსწიე „ორი მეტრი ჩითი მინდოდა, მაგრამ რომ მიუახლოვდი, იმედი დავკარგე ყიდვისა. ვხედავ ხალხი დამდგარა რიგში, რიგის ბოლო ზურაბას დუქნამდი აღწევს. ხალხი ერთი- მეორეს აწყდება. ფანჯრიდან შევიხედე კოოპერატივში, —ეყოფა თუ არა საქონელი ამ ხალხს თქვა... ოცი მეტრი ფართალი თუ იქნება! თაროები ცარიელი იყო. გამოვბრუნდი. გავჩერდი ერთ ალაგას და უგდებ ხალხს ყურს.

— ამდენი მუშტარი ნეტავ ხისკოს ფართალს ეხვიოს ვადაი!—ჩაილაპარაკა კმაყოფილებით მოშიამ, როცა ცარიელ კოოპერატივში შეიხედა.

— შვიდ მანეთს მოგცემ, ამხანაგო; მეტი არ ღირს ეგ შეშა!—ისმის ვაჭრობა.

— შე დალოცვილო, სამი დღე სახლიდან აქ ჩამოტანას მოუნდი და მაგ ფასში როგორ მოგცემ?

— სამი დღე არა, შვიდი არ გინდა! ახალ სოფლამდე ნახევარი ვერსია და სამ დღეს როგორ მოუნდებოდი?

— ეჰ. ძმაო, შენ რომ ერთხელ მაინც ახალ სოფელში გაგევლო, მაგას აღარ იტყოდი, მართალია: ნახევარი ვერსია, მაგრამ ჩვენ რამდენიმე ვერსი უნდა მოვიაროთ, რომ აქ მოვიდეთ.

— კაცო, საბჭომ ხომ გადასწყვიტა ახალ სოფელში გზის გაყვანა და ტეხნიკს პლანიც შეადგენია!?

— პლანი და ტეხნიკი კი არ მინდა. ძმაო,—გზა გვინდა. ჩვენი თემის საბჭო ეს სამი წელიწადია იმუშავებს პლანებს, მაგრამ ყანაა და ვენახზე ნუ გავიყვანთო და აპა ჰაერზე მარტო ჰაეროპლანის გზა შეიძლება. ამიტომ ვართ უგზოთ!

**ნაღვლიანი.**

# „უმნიშვნელო ნაკლი“

უადგილობისა და მოუწყობლობის გამო ტყიბულის საავათმყოფოში ავათმყოფებს საჭირო დრომდე ვერ აჩერებენ საქიმოთ.

(„დილა“)



ექიმი (ავადმყოფს): შენ აკი ოპერაცია გაგიკეთე წელან და სახლში რატომ არ წასულხარ?

ავადმყოფი: წავედი, მაგრამ გზაში შიგნეულობა გადმომიცვინდა... ალბათ, ხიჩქარის გამო, მოკერვა დაგავიწყდათ... არა უშავს... უკაცრავად, მაგრამ თუ შეიძლება ამომიკერეთ.

# წერილი

## ტარტაროზის მიმართ

ვსწერდი და ვაგზავნიდი წერილებს „ტარტაროზში“ დასაბეჭდათ.

მივიტანე რედაქციაში, სიამოვნებით მიმიღეს. ვნახე შემდეგი ნომრები. ვფიქრობდი — ჩემი წერილი იქნება - მეთქი, მაგრამ ამაოდ! აბა „ცნობათა მიღება“ ვნახოთ!? არც წერილი, არც პასუხი! დავსწერე მეორე, დავსწერე მესამე; ყველას ასეთი ბედი ეწვია. რა კაცებია? რა ხალხი!? დავფიქრდი და ვერაფერი ახალი ვერ ამოვარჩინე.

ბევრი ფიქრების შემდეგ გადავსწყვიტე „ტარტაროზი“-ს რედაქტორის ნახვა. ვიფიქრე: — მოველაპარაკები; თუ ჩემი ეინი აქვს, იმასაც შევიტყობ; ვაი ჩემი ბრალი! დავქაჩე ენა და ვსწერე ორ-სართულიანი სიტყვები; რისი თქმაც მინდოდა, თურმე ის უთქმელი დამრჩა და ამიტომაც ჩემი წერილი გოდრისკენ გამგზავრებულა. მასალა უნდა დაიწერონ სოფლის ჭირ-ვარამზე, თანამედროვე საკითხზე და ცხოვრების მახინჯ მოვლენებზე. ეხლა მივხდი, ტარტაროზო, — რაც ყოფილა საჭირო; მომავალში გადავიხდი ჯარიმათ აუარებელ უსინდისო ვაჭარს, მღვდელს, მკითხავებს, ექიმბაშებს, მექთამეებს, სოფლის წურბელებს, და სხვა ასეთებს.

**მეხი — შიხაძე.**

# პირველი ნაბიჯი
## ანუ
## გულჩვილი-მონადირე



# ჭიათურა

ჭიათურისა ვაჭრები
ძველ დროით გალაღებულნი,
( ალა კი ცოტა შეფერთხილ
და ლიპებ შეთხელებულნი),

შემოკრბენ ერთად, გამართეს
კრება რამ სანახავია:
„ნალოგებიდან" თუ როგორ
მათ დაეძვრინათ თავია.

ახსენეს ღმერთი მაღალი,
ხელი ალაპყრეს ზეცათა,
ჩვენი მარკოზა ფხალაძე
მთლად გადაიქცა „რეჩათა":

დავილუპენით ვაჭრები,
ჩვენი საქმენი მთლად წახდა,
„კაკ" „მოჟნა", კაცო, ამდენი
„ნალოგებისა" გადახდა?

ორშაბათს დუქნებს გვიკეტენ,
დღე გვეკარგება მთელია,
ათასებს კიარად გვადებენ,
გადახდა მეტად ძნელია!

ჩვენი ასეთი წაყრონჭა
ეს „მესტნი" ვლასტის ბრალია;
მოდი წავიდეთ მაზრაში,
ვითხოვოთ სამართალია.

ტყუილა არის უჩვენოთ,
რომ სახელმწიფო არ ვარგა;
ვინ მოიტანოს: ფართალი,
ზუთხი, კეფალი, ან ფარგა?

მივმართოთ, ვნახავთ ჩვენ იქა
შემბრალეს, კაცსა ღვთიურსა,
ადვო არის მიიღებს
ჩვენს თხოვნას კოლექტიურსა".

— მართალი არის,—იყვირა,
მთელმა კრებულმა ერთადა:
„შენა ხარ ჩვენი მფარველი,
შენ გსახავთ ყველა ღმერთადა".

დამწკრივდენ ჩვენი ვაჭრები,
ულვაშს გადისვეს ხელია:
წინ გაიმძღვარეს მარკოზა,
ვაჭარი ძველის-ძველია.

გვერდს ევა ამოუყენეს,
რომ დარჩეა „რავნოპრავია",
დავითი შალამბერია,
უმანკო, როგორც კრავია.

უკან ილო გალუსტოვი,
შემდეგ მიხა ფურცხვანიძე,
ნაკიძე და ჩასპანდი
ლადია შარაშენიძე.

წარსდგენ, მაზრას მოახსენეს,
მათ მიზანი დასახული,
კომბინაცია მიიღეს.
სამი თითით ასახული.

ჩაუვარდათ კოვზი ნაცარს,
დარჩენ ყურებ ჩამოყრილი;
„ნალოგების" პროცენტებიც
თავზე იქნა მიწერილი.

სტირის მარკოზ იოაბიჩ,
ევა ცრემლს სწმენდს, თავს ევლება:
ილო, მიხა, დავით, ლადო,
ქვითინებს და იცრემლება!

დავილუპეთ, გავნადგურდით,
გვახრჩობს: ცრემლი, სევდა, დარდი,
აფსუს ზუთხი, ხიზალალა,
ორაგული, სუკის მწვადი!..

ია.

# „ჩხუბი სულ არაფერზე"

ზოგიერთ სოფლებში ხშირათ ხდება ჩხუბი იმის შესახებ, თუ მიცვალებული რომელ სასაფლაოზე დაასაფლაონ—ახალზე თუ ძველზე.

**გლეხკაცის წერილიდან**



**მიცვალებული: — ნუ ჩხუბობთ... არ დამამტვრიოთ... ჩემთვის სულ[illegible]ია სადაც დამ[illegible]აფლავებთ...**

# უხერხული მდგომარეობა




ალმასკომის თავმჯდომარე:—ამხანაგებო, ეს რას ნიშნავს რადიო! ცალკე [illegible] ისმენთ ოპერას მოსკოვიდან და თბილისიდან!

გლეხი: ის კაცი პალატოში რომ მღერის, დააჩუმე, თორემ შენს რადიოში ხრიწინის მეტი არაფერი არ ისმის.

# მესტვირული

დაუკარ სტვირო, დაუკარ,
მოვინახულოთ ყველაო
ჩვენ მიხოს ასატიროვსა,
ნეტავი რადა სცხელაო.
ვარდისუბანში გაგზავნეს,
მიტომ აუტყდა ხველაო,
მაგრამ, თუ კოოპერატორობს
არ უნდა იქაც შველაო.
სტვირო, დაუკარ, დაუკარ,
ხევზე წავიდეთ ნელაო.
სილნალის ეპოს გამგეებს
სულ არ ეღირსად შველაო.
ხუთმეტი გამოიცვალა
(კოლაც კი ძველის-ძველაო);
ვნახოთ ახალმა გამგემა
თუ კი დრო გაიგრძელაო,—
ბიჭი იქნება ვაჟკაცი,
შეაქებს მუდამ ყველაო,—
მაგრამ კერძოთა ვაჭრობა
არ არის მისი „დელაო".
ღვინოებს სხვაგან ყიდულობს,
ფალალი ახლავს ყველაო;
თუ ასე იზამს შემდეგაც
ეშმაკმაც დააწელაო...

—:—

სტვირო დაუკარ, დაუკარ
გათენდა, აღარ ბნელაო;
კომუნალურსა ბანკშია
შევიდეთ მძიმეთ, ნელაო.
ვიკითხოთ გამგე, იქნება
ჩიბუხი ჩააწელაო
კოოპერატორობს ვითომდა,
კვეხნით ცა დააბნელაო.
ღვინო რომ კერძოდ იყიდა,
„ცხრაკბილამ" ჩაახველაო;
თუ გიგდე ხელში მათიავ,
ძნელია შენი შველაო,
ჩაგიქრობ ჩიბუხს, იცოდე,
დარჩები მარტო-ხელაო.
აქ შევაჩეროთ ჭამანჩავ
ტკბილი სიმღერა ჩვენია;
შემდეგში დავალიოინოთ,
რაც ახლა გამოგვრჩენია.

ცხრაკბილა.

# ორი ჯიუტი

ორთაჭალაში, სადაც ტრამვაის ლიანდაგის ერთი ხაზია, ხშირათ ვაგონები ერთმანეთს ხვდებიან და ვატმანებს შორის იმართება ჩხუბი. თუ რომელი მათგანი გაბრუნდეს უკან მეორესათვის გზის მისაცამეთა.

(მუშკორის შენიშვნიდან)



— გაბრუნდი უკან, თორემ ვაგონს დაგაჯახებ და მა შინ ნახავ!
— მოკვდეს ბიჭი. თუ შენს ვაგონს ჩემი ვაგონი ჩამორჩეს სიყოჩალეში!

# შარადები

შარადის დასაწყებათა
ისეთი ფერი გვჭირდება,
რაც ადვილ მისახვედრია
და ოთხ ასოსგან შესდგება.
შუა გავკვეთოთ ეს სიტყვა
და წინა ასო ორია
დავსტოვოთ,—და უკანა კი
გადავისროლოთ შორეა.
შემდეგ ვეძიოთ, რაც ყოველ
სახლსა აქვს შესავლელადა,
რაც შარადისთვის გვჭირდება
ასაწყობ-შესათხზველადა,
ეს სიტყვაც ოთხი ასოსგან
შესდგება, როგორც პირველი,
(ვეჭვობ ამ ქვეყნად, რომ იყოს
კაცი, მის არა-მხილველი),
წინა-უკანა ასონი
ჩამოვსჭრათ ჩვენ ამ სიტყვასა,
და ორ შუანა ასოთი
ი შარადას კინძვასა,
მხოლოდ უკანა ასო წინ
გადმოვსვათ ნელა-წყნარადა,—
და რაც მივიღეთ, მივაბათ
პირველს სწრაფად და ჩქარადა.
ეხლა ნადირი გვჭირდება
უვნო, ზანტი და ნელია,
უყვარს მას წაბლი და თაფლი,
ლევარსის საყვარელია.
ხუთი ასოსგან შესდგება
მისი სახელი მთელია,
ჩვენ წინა ორი გვჭირდება,
სხვასთან არა გვაქვს ხელია.

—

დასრულდა ჩვენი შარადა,
მივიღეთ ის რაც გვინდოდა...
ოთხჯერ ვსთქვი და ახ რომ მიხვდეთ,
რა ბიჭობაა ვითომდა!?

ტ. გუზელი.

პირველი ძველი ნივთია,
სასმისი არის ქებული.
დიდსა ქეიფში ხმარობდნენ
როს იყო დიდი კრებული.
ამჟამად იგი სუფრიდან
არის შორს გადაგდებული.

—:—

ლიკლიკით სჩქეფდა მისგანა
ღვინო კახური ლალია.
მაინც დალევდა სტუმარი,
გინდ ყოფილიყო მთვრალია;
(ვახ მის მომგონე ძველი დრო
რა რიგად შესაბრალია!).
ოთხი ასოსგან შესდგება
ამა სასმისის სახელი;
ჩვენშიაც ბევრი იქნება
იმ ძველი ნივთის მნახველი.

—:—

მეორეც მალე მოვნახოთ,
კილოა საუბარისა;
იმერნი ხშირად ხმარობდენ
თუნდ მთისა, თუნდა ბარისა.
„პო“-ს მაგიერა ი იტყვიან,
წესია მათი გვარისა.
ორი ასოსგან შესდგება
იგი კილოცა ჩვეული.

—:—

მოთავდა მთელი შარადაც
ორ სიტყვით გამორჩეული.
მიიღეთ სახელწოდება
საშიში, მუდამ წყეული.
სოფლად თუმცა გარიყულა
და დარჩა მარტო ეული,—
მაგრამ ხან კიდევ საბჭოში
შეძვრება, ვითა გრძნეული.
ამიტომ გმართებს სიფრთხილე
რომ დავრჩეთ მათზე ძლეული.

კარდანახელი.

# „ამერიკელი ძია“-ს „რღვევა“

როსთაველის თეატრის ახალი დადგმა რევოლიუციონალური პიესა „რღვევა“, რომელსაც აუარებელი მაყურებელი ესწრება, არის ჩვენი თეატრალური ხელოვნების გაზაფხულის მერცხალი.

(გაზეთებიდან)



არშაკ მინაიჩ („ამერიკელი ძია“-დან:) — ვაშ! ერთი ამათ დამიხედეთ და! ორი წელიწადი ტრიატი არენდათ მქონდა აღებული, ეხლა კი შიგ როგორ შავი დე, როცა ცხვირის წინ ზარბაზანი წამოშიშვირეს!?

მეზღვაური („რღვევა“-დან): ჩაიარე, ჩაიარე არშაკ მინაიჩ... რაც გინახავს, ველარ ნახავ...

პოლიგრაფტრესტის მე-6-ე სტამბა, კამოს ქ. № 88

შაბათი, 25 თებერვალი 1928 წ. № 141 წელიწადი მეხუთე ფასი 15 კაპ.

# ნიანგი

## ძლიერი პანღური



პანღურ - ამოკრული მენშევიკი: კიდევ კა რგი, ისეთი მაგარი პანღური ამომკრა, რომ ზღვის მეორე ნაპირზე გამომაგდო,—თორემ სხვებსავით მეც ზღვაში ჩავარდებოდი; იმათ რა უჭირთ,— ცურვა სცოდნიათ!



## ნაწყვეტი რომანიდან: „პანლური“

თარგმანი ქართულიდან

ბაღში დაღვრემილი იჯდა ახალგაზრდა ქალი.

ეტყობოდა— მისი ფიქრები სადღაც შორს, იქით, ქედების გადაღმა იყო.

უცბათ მას თავზე წაადგა „მამა“ ბატონი ვიკი.

იგი სამინისტროდან დაბრუნდა. კარგ გუნებაზე იყო ბატონი მინისტრი. რატომაც არ იქნებოდა, როცა მოზრდილი კომბინაცია გააკეთა: კონცესია მისცა უცხოეთელ მისტერ კაპ-ბურჯა.

კაპ-ბურჯი ხნიერი კაცია. მის ორგანიზმში სიდამპლე და სიმსუქნე ერთმანეთშია აღრეული. კეთროვანის სხეულივით დამუწუკებულია მისი ტანი. საზარელი სუნის ჩირქი გადმოდის იარებიდან. მის აწინდელი ცხოვრების დღეების დათვლა არ გაუჭირდება მოსამზადებელი საფეხურის სკოლის პატარა მოწაფეებსაც... მაგრამ—

მისტერ კაპ-ბურჯს თვალი უჭირავს ახალგაზრდა ქალზე.

სწორეთ ბაღში ამავე ალაგას, ამავე საჯდომზე და ამავე მდგომარეობაში ნახა ახალგაზრდა ქალი პირველათ მისტერ კაპ-ბურჯმა, რომელიც ბატონ ვიკს ესტუმრა სახლში კონცესიის შესახებ მოსალაპარაკებლად. (დიახ, სახლში სჯობია ყოველთვის ასეთ საქმეებზე ლაპარაკი!)

პირველ დანახვისთანავე მოეწონა მისტერს ახალგაზრდა ქალი.

—:—

— ტყვილათ ოცნებობ ოკტოზე!—მრისხანებით უთხრა ვიკიმ ახალგაზრდა ქალს, რომელიც შეკრთა „მამის“ დანახვაზე.— გეუბნები,—განაგრძო ბატონმა ვიკიმ,— შენ იმასთან არაფერი არა გაქვს საერთო. რა შენი შესაფერია აბრაგი ოკტო, რომელიც თავზეხელაღებულია—არაფერი არ იცის, გარდა ბრძოლისა და ომისა... ისედაც ღარიბი იყო; ბრძოლაში კი მთლად განადგურდა; მას არასოდეს არ ექნება თავისი სახლ-კარი და საცხოვრებელი; ქვეყანა მისი მტერია. განა ჭკუათმყოფელი შეიყვარებს ასეთ რამეს?!? არა, ჩემო მშვენიერო, შენი ოკტო ვერ ეღირსება შენს ხელს, შენზე დაქორწინებას... შენ მკუთვნი მისტერ კაპ-ბურჯს, რომელიც სიმდიდრისა და ფუფუნების მორევში ოქრო-ვერცხლის იალქნით შეგაცურებს და განახვებს ცხოვრების წარმტაც უსაზღვროებას.. მე შენი ხელი მისტერს დავპირდი; საქმე გათავებულია!— დაასრულა სიტყვა ბატონ ვიკიმ და მიხუჭულ თვალებით მიაცქერდა ახალგაზრდა ქალს, რომლის ფუფუნა თვალები მწუხარების ცრემლებით იყო სავსე.

— არასოდეს!—მხოლოდ ეს სთქვა ქალმა.

— რა არასოდეს!? შენ ჭკუიდან შეგშალა ოკტოს სიტყვებმა და სიყვარულმა... მაგრამ მამის ვალია შვილს ეპატრონოს. ხომ გაგიგონია: „დედის გადამტროში კვიცი მგელმა შეჭამაო“... ასე დაგემართება შენაც ოკტო მგელია... მაგრამ ყველა ამას რომ თავი დავანებოთ,—მე რას მპირებ? შენ ხომ ჩემს ხელში იზვი და გაიზარდე? ნუ თუ მე ღირსი არა ვარ შენგან პატივისცემისა?! განა არ იცი, რომ მე უკვე შევეჩვიე კეთილ ცხოვრებას, სიმდიდრეს და ფუფუნებას და არ შემიძლია ასეთი მდგომარეობა დავკარგო... არა, ათასჯერ არა... შენი სიმშვენიერე ჩემთვის არის კეთილდღეობის მომცემი. შენ უნდა გახდე მისტერ კაპ-ბურჯის, რომელიც მდიდარია და მე უზრუნველმყოფს... არა, ჩემო მშვენიერო, შენ არ ჩაუმწარებ ცხოვრებას შენს საყვარელ მამას, რომელიც...

— არა, შენ არა ხარ ჩემი მამა, ეს მე კარგად ვიცი... მე შენ ძალაუნებურათ მიშვილე, და, თურმე, აი ამ ბოროტი ზრახვით რომ ჩემი სილამაზე გაგეყიდა და მით დაგეკმაყოფილებია შენი ჭამაში-მოსრული გაუმაძღარი მადა...

— მერე რაა, რომ გიშვილე?! მამობილი იგივე მამა...

— მაგრამ შენ ცუდი მამობილი ხარ... მე არ გავხდები მისტერის: მე იგი მეჯავრება!

— ოკტომ შეგაჯავრა?

— თავიდან მძაგდა, მაგრამ ოკტომ კიდევ უფრო მეტად!

— მიატე კისერს მოუგრეხს ოკტოს და შენ მაშინ რაღას იზამ?

— ტყუილი იმედი გაქვთ. არა ერთხელ სცადა, მაგრამ კუდით ქვა ასროლინეს... ბებერი, გამოფიტული მისტერი რას დააკლებს ახალგაზრდა, ჯანსაღ, ენერგიით სავსეს და დიდი იდეალებით გატაცებულ მებრძოლ ოკტოსა?!

—:—

პირიქით: ქარბუქი ეხმარებოდა. ფრთიანს ასხამდა მერანს, რომელიც გრიგალივით მიაქროლებდა თავის მხედარს მთა-გორაკიან ადგილებში.

კარავის წინ მერანი შესდგა, დაეხო... და სწრაფად გადმოხტა მხედარი, რომელმაც კარავში ოკტოს ბარათი გადასცა:

**„ბოროტი მამობილი ძალით მიპირებს მითხოვებას საძაგელ მისტერ კაპ-ბურჯზე. კი იცი ჩემთვის რას ნიშნავს ეს! ეს უდრის ჩემს სრულ დამონებას, აწ შენ იცი. მე მზათ ვარ შენს შეხვედრათ“.**

ასე სწერდა ოკტოს ახალგაზრდა ქალი.

# ჭკუის სწავლება



— წითელია არმია დაგვაკლებს რამეს?! ვისა ეშინია ჩიხი!.. ხა-ხა-ხა-ხა..

— ოი, ისე მაგრად ამომკრა პანღური, რომ ტვინი მელრძო.

—:—

და როდესაც გათენებისას უკუნი ღამე ქალაქის დასავლეთ კარებში მიიპარებოდა,— ქალაქის აღმოსავლეთ კარებში გამარჯვებული ოკტო შემოდიოდა.

ახალგაზრდა ქალი იქვე შეხვდა... და... შეყვარებულები ერთმანეთს ჩაეკონენ.

იმავე დღეს ქალაქში საბჭოთა საქართველოს რევოლიუციონურმა კომიტეტმა და რევოლიუციონურმა ტრიბუნალმა განიხილა რა სისხლის სამართლის დანაშაულების საქმე „ბატონ“ ჟიკისა და მისტერ კაპ-ბურჯის, რომელთაც ბრალი ედებოდათ ახალგაზრდა ქალის ექსპლოატაციაში და ძალმომრეობის ცდაში,— დაადგინა:

სისხლის დანაშაულების მომქმედნი: „ბატონი“ ჟიკო და მისტერ კაპ-ბურჯი გადასახლებულ იქნენ სამუდამოთ საბჭოთა საქართველოს რესპუბლიკის საზღვრებიდან... სასტიკი იზოლიაციით.

განაჩენი საბოლოოა... და დამნაშავეთ შეუძლიათ გაასაჩივრონ ერთა ლიგაში და მეორე ინტერნაციონალში.

ენუქი.



# კატოს გასაბჭოება

## 1 წლის თავზე

კატო (თავის ქმარს):—ლევან! მე ვიფიქრობ, რომ წააგე ჭკუა! შენი გამოანგარიშებით, ერთი წელიწადი მაქსიმალური ვადა იყო.

ლევანი: უკაცრავად ხარ ნამეტანი! მე ერთი წელიწადი არ მითქვამს, ერთი თუ ორი წელიწადი მეთქი, სულ ასე ვამბობდი და ეხლაც ამას ვამბობ.

კატო: —ეს „თუ ორი“ ეხლა წაუმატე?

ლევანი:— რანაირი ადამიანი ხარ, კატო! არ გახსოვს? იქ რომ ვიყავით, რა გვარია... ჰო! ილიკო რომ არის. იქ არ ვთქვი, რომ ერთი თუ ორი წელიწადი თუ გასძლეს ბოლშევიკებმა, დიდია მეთქი!?

კატო:—კარგი! რაა აპირებ ეხლა მაინც მითხარი. კიდევ ასე ფიქრობ „ბუტიობას“?

ლევანი:—მოიცა: შენ არხეინად იყავი... ისეთი ამბები ხდება. ისე ეწყობა საქმე, რომ მალე ავტომობილით მოგიბრძანდები სახლში.

კატო:—ისე ღმერთი შენ გიშველის! შენ მაინც ვინ მოგცემს ავტომობილს, თუნდაც რომ მოხდეს გადატრიალება! რა გაგიკეთებია. ერთხელაც ციხეში არ მჯდარხარ.

ლევანი:— სწორედ ვაჟკაცობაც ის არის, რომ ციხეში არ ვმჯდარვარ, ისე უბრმავებ თვალებს ბოლშევიკებს, რომ მთელი ორგანიზაცია რომ ჩავარდეს, მე მაინც ვერ ჩამიგდებენ ხელში. მთელი მუშაობა მე მაწევს ზურგზე.

კატო: გენაცვალე. ლევან, პრინციპის კაცი ხარ.

## 2 წლის თავზე

კატო:—ეს არის შენი „ერთი თუ ორი წელი“? საწყალი, ბოლშევიკები! გარბიან. გაიხედე ქუჩაში! საწყლები!.. ერთი თუ ორი წელი დიდია. ეს არის შენი შორსმჭვრეტელობა?.

ლევანი:—როდის ვსთქვი „ერთი თუ ორი წელი მეთქი“? ასე ვამბობდი ყოველთვის: „ორი თუ სამი წელი“ დიდია. ბოლშევიკების „დუხს“ ვერ ნახავთ. მე ეს არალეგალურ კრებაზეაც მითქვამს. თუ გინდა დაგიმტკიცებ. ოქმშია შეტანილი ჩემი სიტყვები.

კატო:—კარგი ეხლა, ცრუპენტელობას თავი დაანებე. შენ ყოველთვის ლაპარაკობდი, რომ ორი წელიწადი უკანასკნელი ვადა მიმიცია ბოლშევიკებისათვისო!

ლევანი:—ჩემს ცოლს რომ არ სჯერა ჩემი ნათქვამის სისწორე, სხვა როგორ უნდა დავაჯერო! „ორი თუ სამი წელი“, ეს არის ჩემი სიტყვები და წინადადებას გაძლევს ჩაიწერო ჩემი სიტყვები, რომ შემდეგ შარი არ მომდევა.

კატო: კარგი, ჩავიწერ... „ორი თუ სამი წელი“ აბა მოაწერე ხელი.

ლევანი:—ხელის მოწერა არ შემიძლია, რადგან ეშმაკა არ სძინავს. ვინ იცის, იქნება ხელში ჩაიგდოს ვინმემ ქაღალდი და საქმე გაფუჭდეს. ისე იყოს და დაიხსომე: თუ სამ წელზე მეტი გასძლეს მე ყველაფერზე თანახმა ვიქნები. შენ რო იცოდე რა ამბები მოგვდის უცხოეთიდან, პირდაპირ სიხარულით ცას აწვდებოდი.

კატო: ოჰ! შენ გენაცვალე, ჩემო „პოლიტიკოსო“.

## 3 წლის თავზე

კატო:— გარბიან ბოლშევიკები. თურმე იხვეწებიან, ბოლქვები დაგვიტოვეთ და თქვენი ფეხია, ბანის მეტს არაფერს გავაკეთებთო. „ორი თუ სამი წელი“ დიდია. დაკვირვებული კაცი მყავხარ, ჩემო ლევან!

ლევანი:—არა, კატო, საქმე რაშია იცი? საერთაშორისო მდგომარეობაში მოხდა ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი, რომელმაც წარმოიდგინე შენ, დააგვიანა გადატრიალება. მაგრამ უკანასკნელად სარწმუნო წყაროებიდან მიღებული ცნობებით, ახლო მომავალში ერთი ხელის დაკვრით გადატრიალდება მთელი რუსეთი. ეს იქნება „სულ ახლო მომავალში“.

კატო: ეხლა დაიწყება „სულ ახლო მომავალში“. აღარ დაადგება აშველი ამ „სულ ახლო მომავალს“. თუ ვაჟკაცი ხარ, ვადა დამიდევი.

ლევანი: —ერთი წელი უკანასკნელი ვადაა. ისე მე ვიცოცხლე, თუ ერთი დღით შევცდე. შენ არ იცი ისეთი საიდუმლოება გავიგე, რომ ერთ წელიწადს ისე ყასიდად გელაპარაკები. თორემ შეიძლება ორ კვირაში გადაწყდეს მაგითი ბედი. მაგრამ ამას ვერ გეტყვი, რადგან „საიდუმლოებაა“.

კატო:—ჩვენ ქე გაგვძრა ტყავი და შენ შეინახე ეს საიდუმლოდ.

## 4 წლის თავზე

კატო:—მამაჩემის ძვლებს გეფიცები, ისეთ საქმეს გიზამ, რომ თვალი ვერსად გაახილო! გაანებე თავი ჩხირკიდელაობას და შეძვერი სადმე კარგს ადგილას, თორემ მერე არ ინანო; რაც მოგივა, ყველაფერი შენს თავს დააბრალე.

ლევანი: —არა, კატო! საქმე იმაშია, რომ ერთმა სახელმწიფომ, რომელიც ჩვენ უნდა დაგვხმარებოდა. მეორეს დაავალა ეს საქმე, ვინაიდან მას ბევრი საქმე ჰქონდა და ეს მეორე სახელმწიფო ეხლა ემზადება და რაც ხანია მოადგება. დიდი-ძიდი ექვსი თვე,— გადატრიალება უეჭველია.

კატო:—შენმა მზემ! მე ასე ულუკმაპუროდ დაგიჯდები სახლში „ექვსი თვე“. მე მოვნახავ გზას..

ლევანი:—კატო. რა გამოვიდა, თუ ამდენი „ატაკის“ სიკეთის დროს წყალში ჩავყარე. უკანასკნელი სარწმუნო ცნობა დიდ იმედებს გვაძლევს.

კატო:—ეს თქვენი „უკანასკნელი სარწმუნო ცნობა“ „ეფროსინეს ფოსტაა“, მეტი არაფერი. ეფროსინემ ყველაფერი ზეპირად იცის. რაც ხდება უცხოეთში.

## 5 წლის თავზე

კატო:—ენა არ გამაგონო! შენი, „გადატრიალება“, საკუთრად შეინახე. მე უკვე ყოველგვარი პატივისცემა დამეკარგა შენდამი. ჩემო „პოლიტიკოსო“, რა ჯანდაბას იზამ ეხლა არ გიკვირს? რომ გამოგელია ყველაფერი და მათხოვარივით დაეთრევი, განამდი გინდა ასე იყო?

ლევანი:— კატო, მოითმინე ცოტა და თუ კაცი ვარ, პატიოსან სიტყვას გაძლევ, ერთ-ორ თვეში თუ არაფერი მოხდა, მერე გადავალ პლატფორმაზე.

კატო:—კი გადახვალ. თუ მიგიღებენ!



— ვა, სად გარბის ეს კაცი!?

(იხ. მეათე გვერდი)

# დღეს პარიზში




ერთი ემიგრანტი (მეორეს): — რატომ არ სტირი! დღეს ხომ ჩვენი უბედურების დღეა—საქართველოს გასაბჭოება?

მეორე ემიგრანტი: — შვიდი წელიწადია ვსტირი და—ცრემლი კი არა წყარო დაშრებოდა ამდენხანს!

---

### 6 წლის თავზე

კატო:— გთხოვთ, ბინა დაგვიცალოთ. თქვენთვის, „არალეგალურ მდგომარეობაში მყოფი" კაცისათვის უმჯობესია სხვადასხვა ადგილას იცხოვრო, რომ ვერავინ მიაგნოს შენს კვალს.

ლევანი:— კატო, ერთ საიდუმლოებას გეტყვი და თუ შენ ამას შემდეგაც აღარ მოისურვებ ჩემთან ცხოვრებას, მეტი რა ჩარაა, გავშორდეთ!

კატო: შენი საიდუმლოება შეინახე და ეფროსინეს უამბე, ის არის თქვენი „სარწმუნო წყარო". მე რატომ უნდა მითხრა საიდუმლოება, როცა მე უკვე სხვა მრწამსი მაქვს. ჩვენ უკვე ერთმანეთის პოლიტიკური მტრები ვართ...

### 7 წლის თავზე

კატო მოხსენებას აკეთებს ქალების კრებაზე საბჭოთა კავშირი თავდაცვის ამოცანების შესახებ.

ლევანი არავინ იცის, სად არის. ამბობენ „პლატფორმას" დაეძებსო.

სეგეირ—ბენ—შეიხ.

# სიტყვა და საქმე



მენშევიკების გვარდიელი (სარკის წინ): — აჰ! ძალიან ბიჭი ვარ სწორეთ! ხიჭას გავაცლი კომუნისტებს!

იმიჯა გვარდიელი: რათ? ფრონტზე წადით? ვაიმე რა მეშველება... ვაი, ჩემო ცოლ-შვილო... რას ხულელობენ! გიჟი ვარ ომში წავიდე?! ჰრახა ხომ არა ვარ, რომ მეორეჯერ ამოვიყარო!

# „გლოვის ერთობა დღე“

**(ასეთი იქნებოდა „ერთობის“ მე თაური, რომ იგი გამოდიოდეს)**

დღეს საქართველოს გასაბჭოების შვიდი წლის თავზე, საქართველოს სოციალ-დემოკრატია, რომლის რიგებში ითვლება 4—5 მილიონამდე წევრი და რომელიც სათავეში ედგა საქართველოს „სოციალ-დემოკრატიულ“ (დიახ, **სოციალ-დემოკრატიულ**) რესპუბლიკაა, მწუხარებით და ცრემლთა ფრქვევით დასტირის დაკარგულ პორტფელებს, თბილ კაბინეტებს და „კეთილ ცხოვრებას“.

ჩვენი მტრები —ბოლშევიკები დღეს დაგვცინიან— თითქოს ჩვენ დაგვამარცხა ცხოვრებამ.

მაგრამ ეს ასე არ არის.

ვინც კი იცნობს ჩვენი სამი წლის (აკლია სამი თვე) მოღვაწეობას, იგი დაგვეთანხმება იმაში, რომ ჩვენ არ გადაგვიხვევია ჩვენს პოლიტიკის გზაზე „**არც მარჯვნივ და არც მარცხნივ**“... და, აი ასეთი სწორი მიმართულებით ჩვენ შევასრულეთ ჩვენი **მიზანი: „აღმოსავლეთის ფანატიკოსებს დასავლეთის იმპერიალისტები გვირჩევნია“.**

დღეს ჩვენ ევროპის ყვავილნარში—პარიზში ვართ. არც მაინცდამაინც ვფიქრობთ აქედან უკან დაბრუნებას ვინაიდან საქართველო აზიას ეკუთვნის და აზია წარმოადგენს მოსკოვის დასაყრდენს

ამგვარათ, ჩვენი პოლიტიკა გამარჯვებულათ უნდა ჩაითვალოს. რა ვუყოთ მერე, რომ მთავრობა დამარცხდა; პოლიტიკამ ხომ გაიმარჯვა! ეს მთავარია; ჩვენ მეტი არაფერი გვინდა. რასაკვირველია, მთავრობაც გაიმარჯვებდა, რომ იგი არ დამარცხებულიყო.

აქედან ლოლიკური დასკვნა: საქართველოს სოციალ-დემოკრატიას არ ულალატნია თავისი პოლიტიკისათვის. საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ რესპუბლიკის მთავრობის გაევროპიელება მთავრობის დღეს უდავო ფაქტია.

ჩვენ სრული იმედი გვაქვს, რომ **საერთაშორისო** სოციალ-დემოკრატია ან გაიმარჯვებს. ან არა; ამ ორში ერთი აუცილებელია.

ასეთია არისტოტელის ლოლიკის კანონი.

გაუმარჯოს ჩვენს უიმედო იმედს.

**ლევარსი.**



მტრები რას გვავნებს, როცა მებრძოლთა
ისრები მათკენ მიმართულია!
და დღის სიმაგრე მიუწდომელი
ამაყად ცამდინ ამართულია...
ზედ კი გუშაგი ფხიზელი თვალით
ათვალიერებს გარემოს შავსა.
მილიონების სიცოცხლისათვის
ის არ იშურებს საკუთარ თავსა.

# ნოეს კიდობანი



# საიდუმლო ბარათი

**ნოე რამიშვილს ფოდრაჩიკ კირაკო- ზოვისაგან.**

თქვენო პატიოსნებავ, დიდათ პატივცემულო ბატო-ნო ნოე! პირველათ მოგიკითხავ დიდი სიყვარულით.

ახლა ვიცი შენი კეთილი გულის ამბავი, რომ ჩვენ ამბავს მოისურვებ—მადლობა ზეციერ ღმერთს, ჩვენ ყველანი კარგათა ვართ, ესე იგი პირში სული გვიდგია.

დღეა შვიდი წელიწადი სრულდება, რაც რომ შენ მოგვშორდი, დაპირებით, რომ ერთ თვეში ისევ ინგლი-სის და საფრანგეთის ჯართან ერთად დავბრუნდებიო.

ჩვენც ამ მოლოდინში ვიტანდით ბალშევიკების რე-კვიზიციას, კონფისკაციას, ჩეკას, ნალოგებს, ჩასახლებას, გადასახლებას, ჩვენ საკუთარ სახლის ოთახებში ტრაი-ნოი ქირის მიცემას, სუბოტნიკებს, ვასკრესნიკებს და ყვე-ლა ამნაირ მოდნი რამე-რუმეებს.

ბან ჩუნეს! ვის ველოდებოდით და ვინ მოდის!

მააწყეს მიტინგები, კავშირები, კამიტეტები, სავეტე-ბი და ეს საწყალი ხალხი ისე ამოიღეს ჭკვიდან, რომ მთე-ლი საქართველო ბალშევიკებათ გადიქცა.

პირველ წელში ჯერ მიანგრიეს-მოანგრიეს. დალე-წეს, გადააბრუნეს, გადმოაბრუნეს; რაც იყო შეჭამეს, და-ლიეს და სუყველაფერი უფასოთ გამოაცხადეს. ჩვენც, თუმცა ძალიან დაგვჩაგრეს, მაგრამ გვიხაროდა სუყველა ესა. ვფიქრობდით: ბალშევიკები ამნაირათ თავიანთ თავს თითონ მოუღებენ ბოლოს და ერთ ორიოდე თვეში აიბარ-გებიან აქედანო.

მაგრამ მალე დაჭკვიანდნენ. ჯერ ფაბრიკები და ზა-ვოდები ჩაიგდეს ხელში, მემრე მდიდრებს მიწები ჩამო-ართვეს და ღარიბ გლეხებს დაურიგეს. მემრე ვაჭრობაში შემოგვიძვრნენ და კოოპერატივებით და გოსტორგებით მოფინეს მთელი საქართველო. ჩვენგან ჭკუა ისწავლეს, ყაირათიანობა დაიწყეს, აგური აგურზე, ქვა-ქვაზე და-ადეს და ზურგი გაიმაგრეს.

ჯერ ჩვენ ვატყვილებდით: ქონებას ვმალავდით, იმათ კამისარიატებში ჩვენ კაცებს ვაყენებდით, საქონელს ვაფუჭებდით, რკინის გზებზე ფოკუსებს უკეთებდით, ერ-თი სიტყვით, საქმეში ყველანაირათ ხელს უშლიდით.

მაგრამ ეშმაკობა მალე გაგვიგეს. შენ გამოგზავნილ აგენტებს და ჩვენ მომხრეებს ჩეკაში ფიშტი მოუხდინეს, ყველგან სათავეში თავიანთი ბიჭები ჩააყენეს, ისწავლეს ვაჭრობაც, უჩიტლობაც, პროფსორობაც, ექიმობაც და ჩვენ კი დავრჩით პირში ჩალა-გამოვლებული.

ამნაირათ კარგი გროშები გააკეთეს. დაიწყეს აშენე-ბა აბგესებისა, ზაგესებისა, რიონგესებისა, აგურხანებისა, კრამიტხანებისა, ახალი ფაბრიკებისა და ქარხნებისა და, ძმაო ნოე, თუ რომ ასე მარდათ და გულიანად ამათ განაგ-რძეს მუშაობა, მაშინ შენი წირვაც გამოსულია და ჩემიც. რაც მართალია—მართალია!

ნოეჯან, მენშევიკურ მთავრობას ტყვილათ ვემდუ-რებოდით. რას ამობთ, ხალხნო, შენი პარიადკები სალო-ცავი გაგვიხდა. ფოდრათების, რაზრეშენიების, სახელმწი-ფო ქონების ბატონ-პატრონები სულ ჩვენ არ ვიყავით?!

# მისტერ ჯორი და მენშევიკური მთავრობა



ერთი პატარა სადილი რომ გამემართნა, რა შტუკასაც გინდა იმას ვიზამდი. შენი ადიუტანტები და სეკრეტრები, ჩემი ადიუტანტები და სეკრეტრებიც არ იყვნენ? რა უყო რომ შენ სომხები არ გიყვარდა. მემრე ამით ჩვენ რა გვაკლდებოდა. დღეს მე კირაკოზოვი ვარ, შენ დროს კი კირაკოზაშვილს მეძახდნენ.

ეხლა? ვაი ჩვენ დღეს! იშკილები არავის არ გაუდის... ჩვენი ხელობისა და ყაიდის ხალხი ვინც უნდა იყო: სომეხი, ქართველი, თათარი, რუსი, ყიზილბაში, ერთ ტაფაში ვართ ყველანი მოქცეული და ბალშევიკების ცეცხლზე ავეტიქას ჩიჟი-პიჟივით ვიხრაკებით.

ნოე, (ვა, შე პირგასაშავებელო), შენზე მე დიდი ზმაგი მაქვს და ამ გაჭირვებაში უნდა დამეხმარო. მე გავიგე, რომ შენი პარტია მანდ ფალშივ ჩერვონცებს აკეთებს და ფულიც გულუხვათ გაქვთ. თუ ძმა ხარ. ერთი ასი ჩერვონცი ჩემთვისაც მოაჭრევინე და როგორმე სანდო კაცის ხელით გამომიგზავნე. თუ რომ ფულის მაგიერ კოვერკოტს, ჩულქებს და პუდრას გამომიგზავნი, უფრო კარგი იქნება—შენმა მზემ, აქ ამ საქონელს კარგი ფასი აქვს.

ბევრს ნუ მალოდინებ; იაიც მეყო, რომ შვიდი წელიწადი შენ ჩამოსვლას ველოდი და არც შენ გეღირსა საქართველო და არც მე შენი ნახვა.

— დღევანდელ ხალხის მანიფესტაციებს და რეჩებს რომ უყურებ, მე მთლიანათ იმედსა ვკარგამ ბალშევიკების წასვლაზე და შენი დაბრუნებიაას. ნოეჯან, ენა ვერ ასწერამს რაც აქ ხდება. დიდი და პატარა, ქალი და ვაჟი, ყველანი ქუჩაში გამოსულა... იმათ ძახილს: „დალოი მენშევიცკი პრახვოსტოვ"—მეც ტაში და „ჰო" შევსძახე...

რას იზამ, ნოეჯან, ასი ათასი კაცი წინ გიდგა და სუყველანი შენ გაგინებენ, მე როგორ შემიძლიან, რომ იმათ მხარი არ დაუჭირო?! არ დაგავიწყდეა, რომ მე ვაჭარი გევლო კირაკოზოვი ვარ და არა ლომი და ვეფხვი. რას იზამ, ნოეჯან, სული ტკბილია და ყოველ დღე ერთ კილოგრამ წებოსა ვსვამ, რომ ეს სული ჩამეწებოს გულში და ცოცხალი დავრჩე!

გწერს შენი ყოფილი ფოდრაჩიკი

**გევლო კირაკოზაშვილი.**

დედანთან სწორია: **ვინმე:**

# დამფუძნებელ კრებაში



# დარჩენილი მგზავრის მონოლოგი

ვით მანქანი ვდგევარ უძრავი
და გულის ტკენით ასე ვიძახი:
— ანგელოსებო, რა ამბავია,
რამ გააგიჟა ნეტა ეს ხალხი?!.
დღეს, უსაქმობით ნაყაჩაღევი
რუსთაველის პროსპექტს ვეწვიე მარტო.
ნეტა სანამდე გამოგრძელდება
შვიდი წლისწინად დამდგარი მარტი?
ქუჩაა ვესტუმრე, ვხედავ, ვგიჟდები...
ეს უგუნურთა დემონსტრაცია
გულსაც მიკოდავს და შავ ფიქრების.
ველარ შევიძელ რეგისტრაცია.
ნეტა.სად იყო ესდენი ხალხი,
ასი ათასი ვგონებ კაცია,
საშინელია და საკვირველი
ჩემთვის ასეთი დემონსტრაცია.
მახსოვს ჩვენი დრო, ოცდაექვს მაისს
რამიშვილური იყო გარემო
და თვით თბილისის ღუბერნატორსაც
გვარდიელები ჰყავდა გარშემო.
მახსოვს ქუჩებში გვარდიელები
მაუზერებით მიმოდიოდენ.
მაშინ იქ ვიყავ მე საცოდავი
და სიხარულით ცრემლი მდიოდა.
მე იარც მახსოვს, როს მენშევიკთა
გამოაცხადეს საქვეყნოთ რომა,
დაკვრითი წესით უნდა იჯემნას
ბოლშევიკთაგან საქართველომა.
ბევრი სხვაც მახსოვს... მაგრამ ამ ხსოვნას
რა თავში ვიხლი ამჟამად როცა,
წითლად იცვალა გარემოება,
წითლად იცვალა საქართველოცა.
ეს ჩვენი მწველი და დამდაგველი
ამოაშენეს რაღაც ზაჰესი.
მამისგან სიცხე ბევრი მინახავს
უმხურვალესზე უმხურვალესი.
ამბობენ: ბევრი კარგი ქარხანა
ააგო ჩვენში საბჭოთა ხელმა.
მე ამის ფიქრით, ქრისტიანებო,
ლამის წამიღოს ბოღმა-ნაღველმა.
კამპანიებიც ტარდება ბლომად;
ვაჭარ-კულაკი ბევრი ჩაყლაპეს,
მაინც არ იქნა მათი გაძღომა
ერთი ზეიმი მოდევს მეორეს.
ღვდელს და დიაკვანს მნათეს და ბერებს
საშველ-სახიდი არ დაგვაყენეს,
მოდი და ჯავრი ნუ დაგაბერებს?!
დღეს შვიდი წელი შესრულდა, რაცა
გაგვისაბჭოვდა ეს საქართველო.
ამ შეჩვენებულ და უღვთო წითლებს
ვგონებ შერჩება ბურთი და ლელო.

ალლარ-ალლარსან.



— რა ამბავია? სად მირბიხართ?
— მეხუთმეტე გვერდზე!



— თავს უშველოთ! ეს რა ყოფილა... ახია ჩვენზე,—ვერ გავჩერდით ჩვენთვის!!.

# ს ხ ვ ა-დ ა-ს ხ ვ ა

— რა მოხდა ამხანაგო? ე ხალხი რას ხორხოტობს შუა ქუჩაზე?

— არაფერი! ტრამვაის ვაგონი და ავტომობილი დაეჯახენ ერთმანეთს და ორთავე დაიმტვრენ.

— მერე ამდენი ხალხი იმიტომ შეგროვილა?

— შე კაი კაცო, არ იცი, პირალიებს ხულ ჩვეულებრივი რამეც კი გაუკვირდებათ ხოლმე.

—:—

— ამხანაგო! შენ ბევრ საქმეში ჩახედული კაცი ხარ. თუ ძმახარ მიხხენი: მეეზოვების მოვალეობა რაში მდგომარეობს?

— ხწორედ მოგახსენო, არ ვიცი.

— მა როგორი სანიტკომისიის თავმჯდომარე ხარ, თუ ეგეც არ იცი.

— არ ცოდნა— არ ცოდვაა! რა ვუყოთ მერე! მე ვიცი მხოლოდ—რა არ შეადგენს მეეზოვეების მოვალეობას.

— ეგ მაინც მითხარი, რახან ჩემ კითხვაზე არ შეგიძლიან მიპასუხო.

— ეგ ხულ ადვილი საქმეა. მეეზოვის მოვალეობას არ შეადგენს: ქუჩის დაგვა, ტროტუარის გაწმენდა, თოვლისა ან ტალახის გადაყრა და საერთოდ ყველაფერი, რაც შეეხება მის გამგებლობაში მყოფ ქუჩის სისუფთავეს. თუ არა გჯერა, რახაც ვამბობ, ქალაქის რომელ ქუჩაშიაც გინდა, გაიარე და თუ გავმტყუნდე, თუნდა მეორე დღესვე შემოკლებაში მომახვედრე!

—:—

—შე რაღას დაღონებულხარ ამხანაგო?

— როგორ არ დავღონდე კაცო! ორი კვირაა ცუდათა ვარ.

— რა სამსახურში იყავი განა?

— დამკრძალავი კომისიის მუდმივი წევრი ვარ. განა არ იცოდი.

— ე, რა გიშავს ძმაო! მა შენ შემოკლებაში არას დროს არ მოხვდები.

—:—

— აი, ეხლა კი ქუჩის ყოველ კუთხეში ვრწმუნდები, რომ დიდი მომჭირნეობა ტარდება ალმასკომის მიერ.

— მომჭირნეობა რომ ტარდება, ეს მეც კარგად ვიცი, მაგრამ ქუჩის კუთხეები რა საბუთს იძლევიან საამისოდ?

— აბა, შეხედე! „გადასახელელები“ რომ არის გამოკიდული, ერთს აღარ შერჩენია მთელი შუშა. მიუხედავად ამისა, ალმასკომი აღარ ასხამს, ალბათ მომჭირნეობის მოსაზრებით.

— არა! მომჭირნეობის საბუთი უფრო სხვა არის: მიუხედავად იმისა, რომ დარწმუნდენ „გადასახელელების“ უსარგებლობაში, მაინც აღარა ხსნიან, რომ ზედმეტი ფული აღარ დაიხარჯოს მათ მოსპობაში.

—:—

— დღეს როგორ არის შენი საქმე, არ მუშაობდი განა?

— როგორ არა, მაგრამ ადრე გავანებე თავი.

— რათა? ალბათ მამაშენის მძიმე ავადმყოფობის გამო, მა?

— არა კაცო! ბადრაკას პარტია მაქვს მოხათავებული ერთ ამხანაგთან და იქ მივეჩქარები.

ხორასნილი.

# ქალი ბაზრობიდან

— ჰე... ჰე... შენ, ბიჭო, გიუნაანთ თედუა არა ხარ!?

— აჰაა! ჩვენს მიხოს გაუმარჯოს, ჩვენს მიხოს! შენც ზოგეხასიათა ქალაქში გააეირნება ა?

— მა შვილოსა, ყველაფერი რომ გადახალისებულა ამ ქალაქში, მარტო შენ გინდა შეგრჩეს?!

ასეთი ლაპარაკით მისეირნობდენ რუსთაველის პროსპექტზე სოფ. ჩირიანთ-კარის შუახნის გლეხი მიხო კოხატელი და ამავე სოფლის ყოფილი მასწავლებელი თედო გიუნაშვილი.

— მიხო, როგორ შეეწყვეთ კოოპერატივს? რასა იქს შენი თეკლე? ილა სად არის?

— დაიცა, შე ოხერო, ყვეფერა ერთად ნუ მკითხავ, გაქცევას არ ვაპირებ. შენა... ძველი ცოდვები გინდა გამიხსენ კოოპერატივის წინაალმდეგო რომ ვიყავი, არა?

— არა, მიხო, მაგას ვინ გეუბნება, მაშინ სულ ყველანი წინაამდეგ იყავით; ის თქვენი ჩარჩი საქულა ზოგის ნათლიმამა იყო, ზოგის ძმად-ნაფიცი და რა ვიცი კიდევ რა.

— ჰო, ძალიან აგიხირდით მაშინ, მარა ეხლა ყველა მადლობელია... ჩემი ბიჭი ილაც ნოქარი გახდა, იმ კოოპერატიაში.

— ნოქარი საიდან!? წერა-კითხვა ისწავლა?

— მაშა! ჯარში იყო ორ წელიწადს, ისწავლიდა მარა ოხრობას იქდა... ჩემი ბებრუცუნა თეკლეც საბჭოს წევრია, ჩირიანთ კარიდან მარტო ისაა ქალებიდან.

— ყოჩაღ, თეკლე ყოჩაღ! შენ ის მითხარი, მიხო...

— დაიცა! დაიცა! კი ნუ გეწყინება და ამ ქალაქში ნაკლები ხარჯები მომივიდა. თაფლი, ჩურჩხელა, ჩირი და რამეები ჩამოვიტანე გასაყიდათ; ი დალოცვილები გლეხოა სახლში აბაზს გახდევინებენ, აბაზი რა ჩემი ფეხებია! ერთი აიტყვით ფულზე არ მოგეხათროს, თითო ბოთლიკა ღვინო დავლიოთ აგერ წითელ სააადილოში და იქ ვილაპარაკოთ: შენთან ძალიან მესიამოვნება ლაპარაკი.

— არა, მიხო, შენი ამბავი ვიცი პურმარილიანი კაცი ხარ, მარა ღვინო საჭირო არაა შენ ქალაქში სტუმარი ხარ მოდი მე კინოში დაგპატიჟებ; ლაპდება კიდეც.

მიხო ცოტა ხნით შეჩერდა—ეს ოხერი მესამე დღეა უფასოდ უყურებ გლეხთა სახლში ამ კინოს, აქ რა დაპატიჟება მინდაო—გაიფიქრა, მაგრამ ამაზე არაფერი სთქვა და თანხმობა განაცხადა.

აი ასე შემთხვევით მოხვდა ეს ორი კაცი კინო „სოლეი“-ში ორშაბათს საღამოს და ნახა **„ქალი ბაზრობიდან“**

რამოდენიმეჯერ სცადა თედომ დამთავრებამდე მიეტოვებია სურათი, მაგრამ მიხო არ დანებდა.

— კაცო ფული გადაგიხდია, უყუროთ ბოლომდი, არც მე მეხალისება იმ ქალის პრანჭვა-გრეხის ყურება, მარა კაი ძროხებია და დავათვალიეროთ.

— რა ღმერთი გამიწყრა, რათ არ გავყევი ღვინის დასალევად; ამია ყურებას ლოთობა სჯობია! —ბუტბუტებდა თედო და ტუჩებს იკვნეტდა...

გამოვიდენ კინოდან. მიხომ აურებელი კითხვებით მიმართა დამპატიჟებელს და ასეთი პასუხი მიიღო:

— მოვალ მე თითონ გლეხთა სახლში; გინახულებ და სულ ყველაფერს გეტყვი. მან სასწრაფოდ ჩამოართვა ხელი და განშორდა განცვიფრებულ მიხოს.

სახლში მიაქლისთანავე თედომ ხელში ფანქარი აიღო და თავის თავს უთხრა:

— უნდა გამოსცე წიგნი სათაურით: **„კითხვა-პასუხი კინოზე“**,—და დაიწყო:

**კითხვა:**— რატომ არ ნახულობთ ეკრანზე ჩვენი ქვეყნის მშვენიერ ბუნებას მაგ. ულრან ტყეებს?

**პასუხი:** ტყის დასაფარავათ... გლეხები გამოარკვევენ—სადაა დიდი ტყეები და ჩეხას დაუწყებენ.

**კითხვა:** რატომ კინო-რეჟისორები არ გაკიცხავენ ეკრანის საშუალებით ბიუროკრატიზმს, საქმის გაჭიანურებას, პროტექციონიზმს?

**პასუხი:** თვითკრიტიკა ყველაათვის არაა ხელსაყრელი.

**კითხვა:** რატომ აქვს არშიყობას, ხვევნა-კოცნას და მოტაცებას უმთავრესი ადგილი ჩვენ ეკრანზე დათმობილი?

**პასუხი:** კოკასა შინა რაცა არის, იგივე წამოდინდების.

სიმონ-ალა.



## ფოთი.

სოლომ სთქვა:—იმ საკრამენტო
ერემოს ვენაცვალები.
თავი აბია ბრძენისა,
შორს გამჭვრეტი აქვს თვალები.
ბანკით სურს გამოაკეთოს
მან ჩვენი საქმე წამხდარი,—
რომ ის არ გვყავდეს ხელოსნებს—
აგვყრეოდა დავთარი.
დღეს არ სხვა არის, სულ მალე
ოხრად გვექნება ფულები.
დახლი ზრიმობს წინდაწინ,
სიამით გვილევს გულები.
ღმერთო, გვიცოცხლე ერემო,
ქვე იმას ვენაცვალები;
მისი წყალობით ეგების
გადავიხადოთ ვალები...
პლატინიც თავზე გვევლება,
ბიჭია ჩასუქებული;
ხმა ტკბილად მოლაპარაკე
გახდა ყოველგან ქებული.
ტალკვესი არის, ერემოს
ზევოჯერ უწველა პირშია;
მისი მირონი, პირიმე
ჩაჭული მოსდგამს ჯიშია.

ბიჭუკუნა.

## გამოცანა ჟიათურისათვის

გამოიცანით ტრანსპორტში
კაცია ერთობ ბაქია;
მორიგი მუშაობის დროს,
კლემენტის გახდა ლაქია.

სულ მასთან დადის, კუდს უქნევს,
ქსოუბრება ძმურათა;
კლემენტის საზიანოსა
არ იტყვის ათას თუმნათა.

სამაგიეროთ კლემენტის
აქვს მისი სიყვარილია.
ვინც მას არ უყვარს, გათავდა,
მის საქმე ჩახლართულია.

ეხლა შევამკობ სამეულს,
სამივე ღვინის მსმელია;
რაო იყენს იშოვის—ჩაყლაპავს,
რომ არ გაუშრეთ ყელია

პირველი ამათაგანი,
მუშია ძველის-ძველია;
სიმთვრალის დროსა ერთხელა
მან გაიფუჭა ხელია!

მეორე არის მაღალი:
უ, ვაშა ცოტა ხმელია,
ხშირათ ღვინოსგან სიმთვრალით,
ჰკუაზედ არის თხელია.

მესამეს უყვარს გარმონი,
ქეიფში იცვამს ხალათსა.
მას მუდმივ სიმთვრალისათვის
ართმევენ ხშირად მანდატსა.

დამზღვევ სალარომ გაგზავნა
ქობულეთს ამას წინაზე,
იქაც გადაკრა ნუნუა
და აღარ დადგა ბინაზე.

იქ აუკრძალეს ღვინის სმა,
რათ შვრები კაცო ამასა?
რისთვის ატირებ შენს საწყალს:
ცოლსა, შვილსა და მამასა!!!

ვინც გამოიცნობს ამ პირებს,
უძღვნი: ვარდსა და იასა;
იოივ მყავს ამ ' თანები
შემდეგ გაახლებთ სიასა.

თ. ბ.

# როლების შეცვლა





# ივარგა ჩემმა ბიჭმა

რატომ არ დეიქცა იგი საათი, რაცხა საათს გამოვეყავი ამ ქვეყნად თავი! სანამ მარიფათი მქონდა და ახალგაზრდა ვიყავი, მონობაში ამომხადენ სული,—და ახლა, ვინცხამ სთქვა:— მოლა მოკვდა და თავზე ფლავს აყრიდენ, იმისი არ იყოს. ისეა ჩემი საქმე.

იმ სულ წაწყმედილ ნიკოლოზის დროს, ყველაფერ უბედურებასთან ერთად, სალდათობაც შემხვდა და ზე ამომაყოფიეს თავი რუსეთში. მევიხედე უკან სად არის შენი მტერი და მოყვარე, შენი დამტირებელი!?

სამი წელიწადი მაქანჯალეს აქეთიქით და რავარი ვირიც წევედი, იმაზე უარესი გამომიშვენ. (ვირათ რომ ჩამოვსულიყავი, რა მიჭირდა,—ვირი წევედი და ჯორი ჩამოვედი). არა ხელზე რომ ხელი დეიდევას კაცმა, ერთი კაი სიმდიდრე ჩამ.მყვა.—მარა ქეც დოურიგე ყველას: მოუყარე თავი და ოცდათუთხმეტნაირი რუსული სისტიქონი შევასწავლე ჩვენი კუთხის ბიჭებს.

ხოდა იმას ვჩიოდი—ამ ყველაფერ უბედურებასთან და გაჭირვებასთან, უფროსი ბიჭი გამომივიდა იმსანე უდრეკელი და უქნელი, რომ გულის ძარღვები გვისივდებოდა ორივე ცოლ ქმარს მის შეხედვაზე. თუ მოგასწრებდე სკამზე დაჯდომას, ოცი სტუმარი რომ დადგომოდა თავზე, განძრევასაც ვერ მიხვდებოდა. რომ დაგედვა ერთი ქვის კეცის ჭადი, მოუწევებოდა დალალულ კამეჩივით და დოუწყებდა ღეჭვას,—ერთ ხეფსაც არ დატიებდა. ეს იყო მისი ლაზათი და ვაჟკაცობა. დანარჩენიდენ ღმერთმა დაგიფაროს—პირდაპირ ხელით სარჩენი იყო.

გოუწყრა ჩემ მტერს გამჩენი და ამ კომუნისტებმა ქე გაიწვიეს სალდათათ! მივასკდით ორივე ცოლქმარი კედელაზე და უმჯახუნე თავი, ვიკივლეთ და დევეხპოტეთ ყველაფერი,— მარა ვინ შეგიბრალა?!

წერა-კითხვა მაინც იცოდეს, რომ მისი გაჭირვება მეიწეროს. დაატირ ა დედამისმა.

რომ გადევ და ეზოდან. ისეთი მოტახჯული თვალებით გადმომხედა მის მამა-პაპურ ჯარგვალას, რომ დევიწვი და დევიოაგე მისი საცოდავობით; მომაწვა ყორყინტაში სისხლი და ზე გადმოუტრიალე კომუნისტებს ყველაფერი.

თურმე გინება კია არა. მუხლებზე საკოცნელ საქმეს გიშობიან. გევიდა ნახევარი წელი და წერილი მივიღეთ: „ბაბა. არ მინჯავროთ. მე ბედნიერი კაცი ვარ. ამ წერილს ჩემი თითებით გწერთ, თო მშვიდობით დავამთავრე, სამსახური, ჩვენ მტერს დედას უტირებთ"-ო.

რევა ვიფიქრებდი და დევიჯერებდი რამეს. რომ ჩემს სიცოცხლეში არ მომსწროდა!

გევიდა ორი წელიწადი და მევიდა: მიდიდა მარა, რა მევიდა—თელაო აგი ყაზილარი ენას რომ ვერ აბრუნებდა, ისე გადაქცეულა ქადეგად, რომ გეგონებათ სანაწერო ბალანეაო. ისე დაგიკაკლავს და დაგიკვარახჭინებს ამ ივლის, ფრანციის და ჩინეთის ამბავს, რომ ეს არის ახლა გადმომხტარა პარახოდიდანო.

არ გაუარია ორ კვირეს და ამ კომუნისტებმა ქე არ წამოასკუპენ ალმას კომის თავმჯდომარეთ!

აგი არხები, აგი შკოლები, აგი სამკითხველო, წისქვილები გზებიო და რე ვიცი რამ ენი რა ჩააბარენ გასაკეთებლად. ყველა მის რჩევა და დარიგებას თხოულობს; ყველა მის პრიკაზს ელის. რა მომესწრო აგი სასწაული,—ჭკუიდან ვირყევი.. თუ ჩემ ბიჭს ვინმე რამეს შეაგონებდა რავა მეგონა! თუ კაზარმას უნივერსიტეტათ გადააკეთებდენ, რავა ვიფიქრებდი?! ეხლა სიხარულისაგან ოცი წლით გამახალგაზრდავა და მე ვიცი როგორ მოვიხმარო ჩემი ახალ გაზდობა.

ვენაცვალე კომუნისტებს ყორყინტაში—ივარგა ჩემმა ბიჭმა.

„ოსტატი"

# ჩოხატოური

ერთ სოფლელ გლეხს, საწყალს, ღარიბს,
ძროხა ჰყავდა მძიმე ავად..
რაღა ექნა, —წაიყვანა
მან ექიმთან სანახავად...

—:—

გზაში ასე წაიროქა,
აღარ ჰქონდე ბედშავს ძალა;
(იქნებ არც დაუსუსტებოდა,
რომ ეჭმია პატრონს ჩალა).

—:—

მოსარჩენად ვერ ხედავდა,—
გლეხს უცემდა შიშით გული;
ან ფიქრობდა ძლიერ შევცდი,
რომ არა მყავს დაზღვეული.

—

მაგრამ, თურმე, მან რა იცის,
რომ მოელის ბედი გზაში.
რაღაც შორით დაინახა
მოფრინავდა ორი რაში!

—:—

სთქვეს, რომ—მხედრებს კრება ჰქონდათ
მოწვეული ხიდისთავში:...
კაცი მეტად მაშინ ჩქარობს,
თუ ბახუსი უქრის თავში...

—:—

გზატკეცილი იყო „ვიწრო",
ზომით რომ ვსთქვათ—მეტრო ათი;
აღარც კი შეიძლებოდა
უხიფათოდ ვავლა მათი!

—:—

ვით ტრამვაი აეტომობილს,
ძროხა ცხენებს დაეჯახა,
განუტევა წამსვე სული
და დაალო მკვდარმა ხახა!..

—

ან კი რა შეაჩერებდა
მერნებს სწრაფად განაქენებს!?
„კატასტროფა" იყო მკაცრი,—
ქვეშ მხედრებიც მოჰყვა ცხენებს...

—:—

ამ ოროს გლეხი ალრიალდა:
—ვაი ცოლო! ვაი შვილო!
დავიღუპე, ამოვარდი,
ჩემო ბედო დაწყევლილო!

—:—

მგზავრები გლეხს შეეკითხენ:
—„რა გაყვირებს, რა გიჭირსო?
მაგალითს ხომ არ ასრულებ,
რომ მოუხდა ერთხელ ვირსო?!

გლეხი მგზავრებს მოუბრუნდა:
— „გამომეჭრა, ძმებო, ყელი;
ძროხა იყო მებათმანე,
მქონდა ბევრი: რძე და ყველი!..

—:—

ჭურჭლები არ ამითავდა,
დღეში სამხელ იწველიდა;
ცოლს ხელები დაელალა,
სულ თავის ბედს იწყევლიდა...

—:—

დღეს მიმყავდა ბეითალთან,
რომ დაეკლო ეგზომ წველა,
და მუდამჟამს შრომაში მყოფს,
მოეშალა ცოლსაც წველა!..

—:—

მხედრები კი... ძლივს კვნესოდენ...
„აწი, ძმაო, არ დავთვრები!!.
აღარ ექცვათ საწყლებს ტანზე,
შარვალი და არც გეტრები...

—:—

წაიყვანეს „ბოლნიცაში",
შეუხვიეს „ბინტით" წყლული,
და გლეხთან კი გააგზავნეს,
შერიგების მოციქული:

—:—

„სთქვი რა ღირდა შენი ძროხა;
დაიმშვიდე, ძმაო გული;
გაგვერიგდი, ნუ გვიჩივლებ
და მიიღე ფასად ფული!...

—:—

გლეხი სტირის: მე არ ძალმიძს,
რომ გამოვსთქვა მისი ფასი;
ხომ იცოდეთ ჩამეთვლება,
რომ აეიღო ორჯერ ასი!..

—:—

ოგორც იყო დიდი თხოვნით,
დაითანხმეს ჩვენი გლეხი,
მაგრამ ნესტორს ვინ გადუხდის
რომ დაემტვრა ცხენებს კეხი?!.

—:—

თუმც გაგრძელდა ეს ამბავი,
მაგრამ რაც ვსთქვი არის სწორი,
მომავალში ფრთხილად იყო,
ცხენზე მჯდომი „ინსტრუქტორი!..."

—:—

გლეხს ხომ ბედი მოუვიდა,
მკვდარი ცოცხლად გაასაღა
თუ რომ შეხვდა ასეთ ამბავს,
კვლავ მოგაწვდით.

ისმაილა.

# გურული სცენა

**ელპიტო:**— არიქა, დესპინე, დამიფაცურდი. დღეს სასიძო მომივა და სირცხვილი არ მაჭამო. ისე უნდა გამომიწყო ჩემი კესარიაე, რომ მტერსაც კი დოუფსო თვალები. ტასის უთხარი კონტრაბანდი შიფონის კაბა ათხუოს გოგოს. პაშაისაც შემახვეწე —ფეხსაცმელები გვათხუოთქვა შენ გენაცვალე, ისე დაუხუნჭე თმები, რომ რავარც მოუხთება, მასთან. შემოგეველოს, ჩემი თავი, ეიღე ერთი ხუთი კეკელი ნიგოზი, მოწვი. მოთუშე და მოუსვი იმ წარბებზე. ნამდვილ არტისტკას დაამგავოთ უნდა, ნამდვილ.

**დესპინე:** —შენ დარდი ნუ გაქვს, ბიცოლა ჩემო. კესარიეს მორთვა და მოკვარაჭინება, ჩემი საქმე იყოს. ერთი არ მომირთავს და ორი გასათხოვარი ქალი. თედორიეს მართაიე ისე გამოვაკვარაჭინე, რომ მის საქმროს კინაღამ გული წოუკიდა საწყალს. ერეთოელზეს გოგოს რომ ჩავაცვი ჩემი კაბა და მოუსვი გუნდო-ლახოსტაკი, ანგელოზს დეეგვანა იყი შერევენებული, ანგელოზს. უშანგიეს კატოიე ხომ დიდი გვარის ქალი ეგონა მის მხლებლებს! შენ დარდი ნუ გაქვს ბიცოლა ჩემო. მე ვიცოდი და ჩემმა გონებამ. ვინ არის ბიცოლა. ჩემო თქვენი სასიძო

**ელპიტო:**—ვინ არის, შვილო, და ჩვენი ალმასკომის მდივანი. თუ გაგიგონია კირილე მარგალიტაძის ცოლის ბიძის შვილის მამიდეს შვილი, ვენაცვალე, შვილო იმ ენის კლიტეში, კალონები, —ხალხი ამბობს.— სულ ზეპირად იცისო. მაგი რომ პრატაკოლებს დასწერს თურმე, ნუღარ იკითხავ, რაც უნდა მართალი იყოს კაცი, მაინც შეშინდება თურმე. ლიმნაზია გაათავა ჩახატაურშიო. უჩიტლის ადგილი უძლევიენ მარა. არ მოკიდა ხელი თურმე. მე უნდა ხალხს ვემსახურო და გლეხებთან მქონდეს საქმეო. წახდა დრო ბიცოლა. ახლა ნასტაველი ხალხი ჩვენსკენ აღარა შობა პირს. ჩემი სასიძო სულ სხვა ფასონზე ყოფილა გაზრდილი. გუშხამ, თურმე, კოსტაიეს ცოლს რომ ინდოური მოუკლა ალმასხანამ. ხუთი მანეთი გადაამელექა შტრაფი

**კესარიე:**— ხუთი კი არა, დედა ექვსი მანათი ექვსი. დესპინე, რომ იცოდე იმფერი ბიჭი ჩემ დღეში არ მინახავს. ისეთი ანგლისკი გალიფე აცვია, რომ ნამდვილ გადასარევი. ყვითელი პოლსაპოშკები და ზოლებიანი პიჯაკები ხატავენ, მისი ჭირიმე. ჯარიანობაში ვნახე ერთ ორჯერ, მარა კინაღამ გადვირიე. ისე შემომხედა თვალები, რომ მე ვიფიქრე ჩავარდა ამ კაცმა მეთქინ. პირში რომ გაკეთებულ პაპიროზს გაირჭობს, ასე გგონია ვინცხა დიდი კაცის შვილი არი. მე ბევრს არ ვაქებ. მარა ნამდვილი, დესპინე. ნახატი. ჩემი პირველი კონსომოლისტების მდივანია, იმას უთხარი რომ მაგი ბიჭი მიყვარს მეთქინ,— და მართლაც გამიკვარაჭინა მაგი საქმე გირგოლიამ. არიქა. დესპინე, კარგად წამისვი წარბებზე, თვარა ჰოველიენ აწი სადაცაა

**სასიმამრო:**—ქალო. რომელი ღვინო მოვხადო? ადესე თუ ჩხავერი.

**ელპიტო:**—კაცო, ადესე კი არა, მაგფერი სტუმრები მიდლემჩი არ მოგივა. ჩხავერი მოხადე და თუ ჩარჩება ქვრში, გადავიღებთ მერე. ხომ იცი—დღეს მთელი ალმასკომი აქანე იქნება. მასწავლებელიც მოყობათ მგონია.

**სასიმამრო:**—ქალო და მაგენს ერთი ძროხ არ ეყოფა და ქორწილი რომელი სულით უნდა გადიხადო? მა[illegible]ლხს რომ აატიყომბეთ რა უნდა მიართვათ?!

**ელპიტო:**—მაგის დრო ახლა არა არის მგონია მოდიენ კიდეც მზითევზე თუ დეიწყოს ლაპარაკი, უარი არ უთხრა რაც უნდა მოგვთხოვოს.

**სასიმამრო:**—ოჯახს მაგ გონთოყოიან გოგოზე ვერ გავახიბაკებ! თუ ნასწავლია, მეურთაქაზე და კარდალაზე ნუ მევაჭრება, თვარა სადღაც მოეთრევა, იქით წავეთრიოს.

ძნელ-იქლელი.

# ცნობათა მოღება

დიმ. წ. რ. ის. თქვენს „ცოლ-ქმარი“-დან მოგვყავს უკეთესი ადგილი:

ცოლი: აჰი არის შენზე ყველა
რად გაფლანგე ფული?!
და ახლა კი, ჩემო საქმე,
ჭამე ნიახური...

ხოლო მეორე ლექსიდან „ვაი დედავ“,—შემდეგი:

ამ ლექსისათვის ჰონორარსაც მომცემენ;
გოდორში თუ ჩააგდეს. რას მომცემენ?!
მე ფულებს, შენ ეს ლექსი გაკლია;
ტარტაროზო, დამიშეჭდე მადლია.

ასეთ ლექსებში ჩვენ ჰონორარს ვიძლეოდეთ მაშინ... მაშინ რა უპირდა ზესტაფონელ გუგულს, რომელიც შემდეგს გვატყობინებს:

კოწია დათიაშვილი
კონტრაბანდობდა. იჯდა ციხეში;
ჭკუა მაინც ვერ ისწავლა,
ისევ არის ის უხეში....

ზოგი ისეთია, რომ ციხეში კი არა, „ტარტაროზი“-ს უფსკერო გოდორშიაც ვერ სწავლობს ჭკუას.

თუღუს (ოზურგეთის):—რა თქვენი საქმეა მერე?! ეს ჩვენთვის სრულიად არ არის საინტერესო.

ავქარს:—მართლაც ავქარი შემოჭრილა თქვენს აზროვნებაში და ყველაფერი აუფორიაქებია.

მოშარდეს (ლანჩხუთი):—ვერაფერი ვერ გავარჩიეთ. წერილი დასწერეთ ქაღალდის ცალ გვერდზე და გარკვეულ ხელით.

დათვის ხაფანგს (ქუთაისი):—თქვენს გამოცანას —„ნარჩიდა“-ს.

აქ პენსიას ღებულობს,
თბილისში კი მსახურობს....
ცოლიც კლუბში მოეწყო,
(მუშებს ლანძღავს, აბურებს)...

ყველა მიხვდება, რომ ეს არის ვლადიმერ ნარჩემაშვილი, რომელსაც

პროფბიურო (აბულაძე)
ძმაბიჭურად სწყალობს. რა კი—
აბა თქვენ სთქვით რას დააკლებს
იმას სხვების ლაპარაკი?!

„წითელ-ქუდა“-ს (სადგ. ბოსლევი):—რაღას გვემუქრებით; პირიქით, მადლობელი უნდა იყოთ, თუ კი თქვენს (და სხვების) შესახებ „ტარტაროზში“ მოთავსებულმა წერილმა:

ხიცილისა მოგცა მადა
და გაცინა დღე-ღამეა...
მაშინ გიცან ტარტაროზათ
შენი ძალა ვიწამეა.
სხვებსაც ახე მოუვიდათ და, აცინეს მათ ბევრია;
წელი მუცელზე ეკიდათ
და ხიცილი მეერია....

ჩვენ ბევრი გვაცინა ამ თქვენმა ლექსთა წყობამ და კიდევ უფრო მეტად წერილის დასასრულმა, სადაც იმუქრებით:

ხჯობია, რომ ისევ სწეროს,
სანამ ფეხს არ მოიტეხავს
და გამხახლში საკადრისსა
თავის ალაგს არ მოხახავს...

შიშისაგან გასწორების დროს თქვენი წერილი ხელიდან გაგვისხლტა და... კიდევ კარგი, რომ სარედაქციო კალათას არ ასცილდა....

აეტხ:—შარადა ვერ არის გასაგებათ შედგენილი.




— ჰაა, კი მართებდათ სირბილი და დაჩქარება, რომ მარტისათვის დროულათ გამოეწერათ „მუშა“ და „ტარტაროზი“...

# საიმედო გუშაგი




მეორე ათი წლის თავზე ასე გაგმირული იქნება ყველა ქვეყნის გველეშაპები

პოლიგრაფტრესტის მე-ხ-ე სტამბა, კამოს ქ. № 08

კვირა 4 მარტი 1928 წ. № 142 წელიწადი მეხუთე ფასი 15 კაპ.

# ტარტაროზი

## „უებარი წამალი"



1. უძილობა სჭირდა და თეთრად ათენებდა ღამეებს... ვერავითარმა წამალმა ვერ უშველა მას... ისევ იტანჯებოდა იგი...



2. ერთხელ, შემთხვევით იგი დაესწრო მოხსენებას... და, ოი საკვირველებავ!.. ცოტა ხნის შემდეგ მასაც სხვებსავით ტკბილათ ჩაეძინა.



3. მას შეხვდა ამხანაგი, რომელიც მასავით უძილობით იტანჯებოდა. ამხანაგს ასწავლა უებარი წამალი უძილობის წინააღმდეგ, და



4. წაიყვანა მოხსენებაზე... მომხსენებელმა, თითქოს „ნანას" უმღერის მსმენელებსო, მთელი დარბაზი დააძინა... ტკბილათ ეძინათ [illegible] ამხანაგებ...




პროვინციიდან ალმასკომის თავმჯდომარე (რა საჭირო დასახელება) გვწერს:

ჟურ. „ტარტაროზში“ მოთავსებული ცნობა ჩვენი სოფლის შესახებ არ შეეფერება სინამდვილეს. მართალია გზები ჩვენს სოფელში, როგორც ყველგან, გაფუჭებულია, მაგრამ ეს ალმასკომის თავმჯდომარის ბრალი ხომ არ არის?! ჩვენ ვმუშაობთ. ერთბაშათ ყველაფრის გაკეთება არ შეიძლება. სტყუის ავტორი, როცა ამბობს: „ასეთი წამხდარი გზები არასოდეს არ ყოფილა, კაცი ტალახში იღლება“-ო.

მისი უვიცობა აშკარათ სჩანს მისივე სიტყვებიდან. მას ძველი „დედაენაც“ არ წაუკითხავს (ან და ზარმაცობდა და არ სწავლობდა), ალბათ, თორემ შიგ ნახავდა:

**კამეჩი წევს და იცოხნის**
**თავის ამინდი ჰგონია....**
**ლაფში ჩაფლული ურემი**
**შინ მიტანილი ჰგონია.**

რას ნიშნავს ეს?

ეს იმას ნიშნავს, რომ, ალბათ, მაშინაც ყოფილა ცუდი გზები (და უფრო უარესიც, ვიდრე ეხლა). კამეჩი რომ ლაფიდან ურემს ვერ ამოიღებს, ცხადია, გზები მეტად გაფუჭებული ყოფილა.

მაშასადამე: ავტორის თქმა, რომ „ასეთი ცუდი გზები არასოდეს არ ყოფილა“-ო, არის ჭორი და სხვა არაფერი. როდესაც ხალხმა ეს თქმულება გამოიგონა, მაშინ ხომ არ ყოფილა ალმასკომები და მისი თავმჯდომარეები?!

ამას რომ თავი დავანებოთ, ჩვენ კიდევ შეგვიძლია მოვიყვანოთ სხვა ხალხური ბრძნული თქმულებები, რომლებიც ჩვენს სასარგებლოთ ლაპარაკობენ. მაგ.:

**წინა კაცი. უკანა კაცის ხიდია-ო.**

რას ნიშნავს ეს?

ესეც იმას ნიშნავს, რომ შარა-გზები მაშინაც არ ყოფილა დღევანდელზე უკეთესი.

როცა წინ ვინმე მიუძღვის კაცს, თუ გზაზე ტლაპო ან ორმო, შიგ ჩავარდება წინამძღვარი და მით სიგნალს ძლევს უკან მომავალს:

— შესდექ, თორემ შენც ჩემსავით დაგემართებაო.

ასეთია ამ თქმულების ნამდვილი შინაარსი. თუმცალა სიტყვა-სიტყვით რომ გავიგოთ, მაშინ მეორე აზრსაც გამოვიტანთ აქედან.

მივუდგეთ სიტყვა „ხიდს“, ხიდის ნამდვილი მნიშვნელობით.

—

წინა კაცი უკანა კაცის ხიდი (ამ სიტყვის თავისი მნიშვნელობით), მაშინ არის, როცა „წინა კაცი“ გზაზე ორმოში თუ ტლაპოში გადაყირავდება მთელი თავისი სიგრძით იმნაირათ, რომ „უკანა კაცი“ მის ზურგზე, როგორც ხიდზე, არხეინათ გაივლის და მით გავა მეორე ნაპირათ სამშვიდობოზე.

კიდევ ერთი თქმულება:

**„ურემი რომ გადაბრუნდება, გზა მასუკან გამოჩნდებაო“.**

რატომ უნდა გადაბრუნდეს ურემი, თუ კი გზა კარგი არის?

ცხადია—არ გადაბრუნდება.

მაშასადამე: მაშინაც, როცა ხალხი ამ თქმულებას ხნზავდა, მაშინაც არ ყოფილა კარგი გზები... და ეხლა კი გამოხტარა თქვენი კორესპოდენტი და გაიძახის: — „ასეთი ცუდი გზები არასოდეს არ ყოფილა“-ო.

ერთი სიტყვით და ამგვარათ, გზების უვარგისობაში თავმჯდომარე უდანაშაულოა. ერთბაშათ ყველაფრის გაკეთება შეუძლებელია.

ხოლო, რაც შეეხება იმას, რომ ასეთ გზებს დიდი ზარალი მოაქვს სოფლისთვისო, ამაზე უნდა მოგახსენოთ, რომ ეს ასე არ არის.—პირიქით, სარგებლობაც მოაქვს. ინებეთ ცოცხალი მაგალითი:

ჩვენს სოფელში ხუთი კაცი დამთვრალიყო სამიკიტნოში. საღამოს, როცა სახლში წავიდნენ, ჩაფლულიყვნენ გზაზე ტლაპოში.... ის დღე დღეთ დასთვალეს და მას შემდეგ მე ისინი მთვრალი არ მინახავს.

დამჯერეწმუნეთ: გზები რომ კარგი ყოფილიყო და მათ არ მოსვლოდათ ასეთი საჯაყი საქმე, ისინი ლოთობას არ დაეთხოვოდენ.

მაგრამ ყველა ამასაც თავი დავანებოთ. ავტორის უსუსურობას სხვა მიდგომითაც დავამტკიცებთ.

ადამიანი ასე არ უნდა დაწვრილმანდეს და დაკნინდეს, როგორც ეს თქვენს კორესპოდენტს მოსდის. ჭურში ხომ არ ზის? გადახედოს რა ხდება ჩვენში!? განა ღირს დღეს ასეთ წვრილმანებზე წერა? დღეს, როცა მთელი საბჭოთა კავშირი გიგანტიურ მუშაობას აწარმოებს მსოფლიო პირველი პროლეტარული სახელმწიფოს შესაქმნელათ; დღეს, როცა დღის წესრიგში დაკვრითი საკითხად სდგას ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია, ელექტროფიკაცია და ამათ შესახებ სესხი გამოდის; დღეს, როცა სოფლის მეურნეობას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა და უკვე გამოცემულია ამ საქმისათვის საგლეხო მეურნეობის სესხი; დღეს, როცა მთავრობის ლოზუნგია: „ტრაქტორიზაცია სოფლის“... „ძლიერი ავიაცია მტრების საწინააღმდეგოთ“... დღეს, როცა ჩვენი ქვეყანა ისერება ოქროს ნისგზის ხაზებით; შენდება უამრავი ჰესები, რიონჰესები და სხვები.... დღეს, როცა კოოპერაცია და სახელმწიფო ვაჭრობა აქრობს კერძო კაპიტალს და ნეპის მეშკიდრეობას; დღეს, როცა ყოველი ჭეშმარიტი საბჭოთა მოქალაქე ყურადღებით ადევნებს თვალყურს მსოფლიო ამბებს და ჩემბერლენ-პილსუდსკის ყალთაბანდობას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ,—აი, ასეთი გრანდიოზული მოვლენებისა და გიგანტიური მუშაობის დროს, გამოსულა თქვენი კორესპოდენტი და მაკრიტიკებს: „სოფლის შარა-გზების შეკეთებას ჩვენი ალმასკომის თავმჯდომარე ყურადღებას არ აქცევს“-ო.

მე არც მის წერილზე მინდოდა ყურადღების მიქცევა, მაგრამ თუ ვაგზავნი ამ წერილს მხოლოდ იმისთვის, რომ ჩემი საყვედური გამოვუცხადო რედაქციას, რომელიც. კიდევ ვიმეორებ, ასეთი გრანდიოზული მოვლენებისა და გიგანტიური მუშაობის დროს „დათვურ სამსახურს“ გვიწევს.

ამხანაგური შენიშვნით მოგაგონებთ, ერთხელ კიდევ ვიმეორებ, რომ ასეთი გრანდიოზული მოვლენებისა და გიგანტიური მუშაობის დროს, არც გასაკვირია, რომ კაცს გამორჩეს ისეთი წვრილმანი საქმეები, როგორიც არის სოფლად გზების შეკეთება-გაკეთება.

დეე, ჯერ შევქმნათ ინდუსტრია, ელექტროფიკაცია, ტრაქტორიზაცია და შემდეგ ასეთი წვრილმანების გაკეთება, აღარ გაგვიჭირდება.

ეს კარგად უნდა ახსოვდეს რედაქციას და ტყუილუბრალოთ არ უნდა „გვცხებდეს“ სოფლად მომუშავე ამხანაგებს.

ამხანაგური სალამით ტალახეთის
თემკომის თავმჯდომარე: ენუქა.

# კონკურსი საუკეთესო სექციაზე



გამოცხადებამდე




გამოცხადების შემდეგ

# ოთხის შესახებ

ომის შემდეგ კირკიტაძე მკლავში ხელგაყრილი ალილუიდა მასთან ერთად განყოფილებაში მბეჭდავ ქალს, უკანასკნელი ისე გულჩვილად ქვითინებდა და მიკვროდა გამცილებლის ხმელ მკერდს, რომ გულაჩუყებულ კირკიტაძეს მძაფრი სურვილი დაებადა გადაეშალა უმანკო ქალის წინ თავის მრავალტანჯულ ცხოვრების ფურცლები.

— ჩემო კარგო, დღეს, როდესაც ჩვენ ასე გულახდილად გამოვუტყდით ერთმანეთს ლამაზსა და მარადიულ სიყვარულში, როდესაც მტკიცე, სალ კლდესავით ურყევი სიტყვა მივეცით ერთმანეთს, დიდი დანაშაული იქნებოდა, რომ დამემალა შენგან ზოგიერთი ჩემი ნებსითი თუ უნებლიე შეცოდებანი...

ამ საზარელ სიტყვების შემდეგ მბეჭდავი ქალი კიდევ უფრო მაგრად მიეკრა კირკიტაძეს, ისე მაგრად, თითქოს ეს-ეს არის საშინელი გრიგალი უნდა ამოვარდეს და მოგლიჯოს სამუდამოდ კირკიტაძის თბილ მკერდს.

კირკიტაძემ ამოიოხრა.

— მაგრამ, ჩემო ძვირფასო, ეს იყო მხოლოდ სიზმრები, ცუდი სიზმრები, რომლებიც შენთან გაცნობამ, შენთან ერთმა საუბარმა და გასეირნებამ აღმოფხვრა მთლიანად ჩემს გულის სიღრმიდან და წარშალა სამუდამოდ მეხსიერებიდან...

პირველად ეს მოხდა ცამეტ-თოთხმეტი წლის უკან, შენ თვითონ გამოიანგარიშებ თუ რა ახალგაზრდა ვიყავი მაშინ.... თუმცა არც ისე, მაგრამ, ხომ იცი, მამაკაცისათვის ამას დიდი მნიშვნელობა არ აქვს... როგორ მოხდა ყველაფერი, დღესაც არ ვიცი... როდესაც ოდნავად გამოვერკვიე, უკვე ცოლიანი ვიყავი. მხოლოდ, როდესაც სავსებით გონს მოვედი, მზითევის ნიშან-კვალიც აღარ სჩანდა.

ვცხოვრობდით ბედნიერად, იმ დროს, როდესაც მე მამულ დედულის გაყიდვით ვერთობოდი, ჩემი ცოლი ათას საქველმოქმედო საზოგადოებებში იყო ჩაბმული და ქალთა უუფლებობა სრულებითაც არ უშლიდა ხელს.

თვე არ გავიდოდა, რომ ერთი გრანდიოზული საქველმოქმედო საღამო არ მოწყობილიყო მის თაოსნობით.

აი, სწორედ ერთმა ასეთმა საღამომ დაანგრია ჩვენი ტკბილი ოჯახური ცხოვრება.

ეს საღამოც საქველმოქმედო იყო. შემოსავალი ფრონტზე მყოფ ჯარისკაცებისათვის საჩუქრების საყიდლად უნდა გადადებულიყო.

ვინაიდან საღამო რაღაც არაჩვეულებრივი უნდა გამოსულიყო, როგორც ჩემი ცოლი, ისე სხვა წარჩინებულ პირების ცოლები რამდენიმე თვით ადრე ემზადებოდენ ამ დღესასწაულისათვის და საქველმოქმედო საზოგადოების სხდომებიდან პირდაპირ თავიანთ მკერავებისაკენ მიეშურებოდენ.

საღამო მართალც საუცხოვო გამოვიდა. შეწირვების დროს, ექსტაზში შესულმა ჩემმა ცოლმა ფრონტის სასარგებლოდ გამოაცხადა:

— ხელზე კოცნა— თუმანი!..

— ცოტა ზევით, მკლავზე— ორი!..

— კიდევ უფრო ზევით, ლოყაზე—ხუთი!..

— ცოტა ქვევით, ტუჩებზე— ათი!

დანარჩენზე ნიხრი არ ყოფილა გამოცხადებული. რო-

მოდენიმე წუთში ისეთი რიგი გაჩნდა, რომლის მსგავსი არ მოლანდებია 1919 წელს.

ეს იყო და ეს. ამის შემდეგ მე ჩემი ცოლი აღარ მინახავს. ვიღაც პრაპორს (მაშინ პრაპორშჩიკები დიდ გასავალში იყვენ) ეხელთა დრო და შეწირვების გათავების შემდეგ ერთ მყუდრო ადგილას ისე დაეწია გამოცხადებულ და გამოუცხადებელ საგნებზე ნიხრი, რომ ამის შემდეგ ჩემი კანონიერი ცოლი პრაპორს მთლიანად გაჰყოლოდა თან.

კირკიტაძე შეჩერდა. მხოლოდ მბეჭდავმა ქალმა კი ოცნებით მინაბა თვალები. შესაფერ პაუზის შემდეგ კირკიტაძემ კვლავ განაგრძო თავის ცხოვრების ფურცლების გადაშლა:

— მაგრამ, ჩემო კარგო, ეს იყო მხოლოდ ცუდი სიზმარი და ჩვენი უმწიკვლო სიყვარული ძოგონების ღირსადაც კი რა გახდის მას!..

მეორე მოხდა 1920 წელს.

გავიცანი მე იგი ერთ ფურნეში მჭადისათვის რიგში დგომის დროს.

როდესაც მისი რიგი მოვიდა, მეფურნემ ისეთი ნაჭერი აუწონა, რომ კანი ცალკე დარჩა და გული ცალკე.

— ბატონო,— ჰკითხა მან წკრიალა ხმით მეფურნეს,—მაგისთანა საძაგელ ნაჭერს ქალიშვილი კი არა, ვაჟკაციც ვერ გაეკარება.

— უკაცრავად!— შეუტია მეფურნემ.— ქალი და კაცი კარგი ხანია გათანასწორებული არიან... ორივეს ერთნაირი უფლება აქვს მისცეს კენჭი არჩევნების დროს!..

მეფურნე მართალი იყო, ამიტომ ისევ მე გავუცვალე ჩემი ნაჭერი ქალს თავის ნაჭერზე.

ამის შემდეგ ჩვენ ძლიერ დავმეგობრდით. მე ხშირად მივდიოდი მასთან სტუმრად და იშვიათად მივსულვარ ისე, რომ ლობიან მჭადის ზორბა ნაჭერი ან ერთი კოლოფი სახარინი არ მიმეტანა.

რამოდენიმე ხნის შემდეგ ჯვარი დავიწერეთ კიდეც. ვცხოვრობდით, როგორც სხვები. ვმსახურობდით ორივე. რადგანაც უფლებებში ორივე გათანასწორებული ვიყავით, ამიტომ ისიც ნახევარ გირვანქა პურს ღებულობდა და მეც. ხარისხიც კი ერთი და იგივე იყო, რომ ერმთანეთსთვის არ გვესაყვედურებია.

ბოლოს, ერთ დღეს ჩემმა ცოლმა თვით მინისტრიც კი გაიცნო. ამაზე უკეთესი რა იქნებოდა. ყველანი ბედნიერი ვიყავით: მინისტრიც, ჩემი ცოლიც და მეც.

მაგრამ, როდესაც საერთო უბედურება მოხდა, არევდარევის შემდეგ აღმოჩნდა, რომ მინისტრს არხივთან და სხვადასხვა სავალიუტო საქონელთან ერთად ჩემი ცოლიც გაეყოლებინა თან ბათომისაკენ და შემდეგ კიდევ იმის იქით...

დღეს ჩემი ცოლი მგონი საფრანგეთში უნდა იყოს...

აქ მბეჭდავი ქალი შურით სავსე თვალებით შეაჩერდა გაჩუმებულ კირკიტაძეს. უკანასკნელი კი განაგრძობდა:

— მაგრამ, ჩემო უძვირფასესო, ჩვენი დიადი და განუზომელი სიყვარული მალე დაგვავიწყებს ამ ცუდ სიზმარსაც... დაგვავიწყებს იმ მესამესაც, რომელსაც ამ ერთი წლის უკან ჰქონდა ადგილი...

ვნახე მე იგი ერთ კრებაზე. მოკლედ თმა შეკრეჭილი, პორტფელით ხელში და პაპიროსით კბილებში შემოვიდა ის კრებაზე. ვისხედით ერთმანეთის გვერდით. თუმცა მისი თამბაქოს ბოლი ბევრს გვაწუხებდა, მაგრამ ვიცოდით, რომ აქტიური მომუშავე ქალი უპაპიროსოდ ვერ გაძლებდა. მალე გამოველაპარაკეთ. კრების დასასრულ მან დამარტყა ვაჟკაცურად მხარზე ხელი და ბოხი ხმით ჩამომძახა:

— ვინ რა!.. სად რა!.. პრინციპიალურად ხომ ერთ და იგივე პლატფორმაზე ვდგევართ. თანასწორობის გამო დედაკაცსაც უფლება აქვს მოიქცეს მამაკაცსავით... ამიტომ, თუ თქვენ საწინააღმდეგო არაფერი გაქვთ— მე ცოლი, თქვენ ქმარი!

უარის თქმა უხერხული იყო.

მალე ცოლქმარი გავხდით... დღეს, ბედნიერ შემთხვევაში, ვხედავ ჩემს ცოლს დილის რვა საათიდან ცხრა საათამდე. დანარჩენ დროს მას ახ სძინავს ახ როგორც აქტიური და ორგანიზატორი ქალი კრებებზე და სხდომებზეა.

ხშირად მივლინებაშიაც მიდის. მაგალითად ეს ერთი კვირა სრულებით აღარ მინახავს. გავიგე მოსკოვში უნდა იყოს მივლინებული... დანამდვილებით კი არ ვიცი...

კირკიტაძე კვლავ შეჩერდა. შემდეგ ათრთოლებული ხმით დაუმატა: —მაგრამ, ჩემო საყვარელო და შეუდარებელო... დაივიწყე ეს ცუდი სიზმარიც... როდესაც გული გაშუქებულია ახალ, ნამდვილ და სპეტაკ სიყვარულით, ცოლთან გაყრა სულ ადვილი საქმეა... შემდეგ კი ვიცხოვრებთ ერთად... ბედნიერად... დაუსრულებლივ...

გამოთხოვების ჟამი დადგა, რადგან უკვე ქალის ბინასთან იყვენ. უკანასკნელად ქალმა მოცხვად ჩასჩურჩულა კირკიტაძეს:

— ჩემო რაინდო და პრინცო... დამივიწყებია ყველაფერი... ყველაფერი!.. მე მჯერა, რომ შენ მუდამ ერთგული იქნები ჩემი... მაშ ასე ჩემო: შენ გაეყრები იმ საძაგელ ცოლს... ჩვენც მაშინათვე დავიწეროთ ჯვარს სიონში... ისეთ ქორწილს გადავიხდით, რომ მთელი თბილისი გაკვირდეს... შემდეგ შენ დაიქირავებ სოლოლაკში საძღოთხ ოთახიან ბინას... მოვაწყობთ საუკეთესო ავეჯეულობით... შემდეგ გავმართავთ საუცხოვო საღამოებს და ბალებს... შემდეგ შენ მოახერხებ ისე, რომ ჩვენ საზღვარგარეთ გაგვემგზავრებით, მაგალითად საფრანგეთში... შემდეგ დავბრუნდებით... და ვიცხოვრებთ ბედნიერად... ბედნიერად... მე რა თქმა უნდა აღარ ვიმსახურებ... არც მივლინებებში ვივლი, როგორც ეხლა შენი ცოლი... შენ კი, ჩემო კარგო, იმუშავებ ძველებურად... ივლი როცა გინდა, და რამდენიც გინდა მივლინებებში, რადგან მე ჩემს თავს ნებას არ მივსცემ იოტის ოდენაც ხელი შევუშალო საყვარელ ქმრის საქმეებს... ახ, რა მშვენივრად ვიცხოვრებთ, რა ბედნიერი ვიქნებით!..

გამოთხოვების შემდეგ კირკიტაძე, ცივ ოფლგადასხმული მოდიოდა შინისაკენ.

**სინემატო.**



— მე რომ მოვკვდე, შენ რას იზამ, გრიშა?
— რას ამბობ!.. ჰკუიდან შევიშლეიი!
— და შემდეგ ცოლს შეირთავ!
— ოო, ეს კი აოა... არც იმდენად შევიშლები, რომ მეორეჯერ ცოლი შევირთო.

# მკვდრისაც კი ეშინიათ!

მილანში (იტალია) ფაშისტებმა ციხეში აწამეს და მოკლეს კომუნისტი სოლი, რომლის გვამი ჩასვეს კუბოში და შეიარაღებულ პოლიციის თანხლებით დაასაფლავეს.

(დეპეშებიდან).



# კონტრაბანდისტი ბუჭა

ჩამწარდა ბუჭა ელენძეს თავისი ახალგაზრდობის მოგონება. გაუმწარდა მოხუცება... სოფლელი აზნაურის პირობაზე მანაც შესაფერად მოყამა სოფელი, თავის დროზე პურ-ღვინო არ აკლდა და მწევარ-მეძებარ-ძიძი-ჩო. მამაპაპეული ქონება შემოეჭამა, მის „კეთილშობილებასაც" ფასი დაეკარგა და უკვე ხანში შესულმა დატოვა თავისი სამშობლო სოფელი და სამახროდ ქალაქს შეეფარა.

საბჭოთა მთავრობის დეკრეტებს, ბუჭა სიხარულით შეხვდა, „ცარიელ კაცს საბადოზე მიუხარია", ბუჭაც ცარიელი გახლდათ. ჩამოსართმევი არაფერი ჰქონდა, გარდა „კეთილშობილებისა" და ცარიელი „ღირსება" რაღათ ეპრიანებოდა.

— მე ვიცოდი, რომ მამაპაპის ცოდვა არ შემარჩებოდა. ვიცოდი რომ ერთ დროს აზნაურობასაც ჩამომართმევდენ და მამულსაც, ამიტომ იყო, რომ სხვის დეკრეტს მე თვითონ დავასწარი... ყოჩიფელს ჭკვა უნდა! დაიტრაბახებდა ბუჭა.

და იყო თავის ხვედრის მადლიერი მაგრამ...

ერთ „მშვენიერ დღეს", ბუჭას შორეული ნათესავი ქვრივი სონია მიადგა კარებზე ეტლით და კოხტა ჩემოდანი რედიკულით, კოპწიათ გამოწყობილი, ლორიგანის სუნელებით ამჭორებული ჩაეხვია ბუჭას და მხურვალეთ ჩაჰკოცნა.

ბუჭა პეპელა სტუმარს მდიდრულად და გულმხურვალეთ დაუხვდა...

მეორე დღეს, მოგვიანებით გამოღვიძებულს სტუმარს ამბავი—ხაბარი გამოჰკითხა.

ბუჭას უნდოდა გაეგო, თუ რითი ცხოვრობს ასე ლამაზათ და უკლისათ. სონია გაუტყდა და უთხრა, რომ ის კონტრაბანდ საქონელს ასაღებს და ძლიერ ბევრი შემოსავალი აქვს.

**მთლად ქვეყანა ასე ცხოვრობს მე ხომ არ ვარ სულიწმინდა.**

ეშმაკური ღიმილით ჩაალიღინა მაქციერა სონიამ.

ერთი თვე დაამოგვალა სონიამ ბუჭას ოჯახში.

ბუჭა ძლიერ ხშირად სახლში ღამეც არ მოდიოდა, ორი-სამი დღით თავისი ზურგძაგარა ლაფშა ცხენით სად იყო არავინ იცოდა.

ყოველივე მზათ იყო.

საიდუმლოთ შეიკერა ახლათ - ახალი ნაბან-ლები, მუთაქა და ბალიში, ყველა ჩვეულებრივზე ზორბა და მოზრდილი.

ბუჭაც „დალოგინდა", ძლიერი ავათყოფი შეიქნა... მნახველებმა გაიგეს, რომ მისი გადარჩენა საეჭვოა, თუ თბილისში არ წაიყვანეს და იქ პროფესორებმა ოპერაცია არ გაუკეთეს.

მგზავრობა და ჭირისუფლობა სონიამ იკისრა.

—კვნესითა და „ვაი ნეტავ მოვკვდი, შინ მაინც მომკტარიყავი"-ს ძახილით ჩასვეს კი არა, ჩააგდეს ბუჭა ეტლში. ახალ შეკერილი ქვეშაგებ - ზედსახურით მომაკვდავი ბუჭა რიგს გარეშე, მილიციონერის (ზოგნი ამბობენ ჩეკისტისო) დახმარებით რონოდაში შეიყვანეს. მისი კვნესა-კუთილი, ცოლის ცრემლით გამოთხოვება ქვასაც კი აატირებდა.

— შენ იცი და შენმა ქალობამ, ჩემო სონია; შენ გაბარებ ჩემს მარჩენალს, ჩემს მოციქარ-მოტირალს; თუ მომინატროს და საქმეს გლახათ დაატყო, ტელეგრამა დამირტყი!

— კი ბიცოლა, კი, შენ ნუ გეშინია; უნივერსიტეტის

# „ცენტრალიზაცია“

დიდ-ჯიხაიში ყველა დაწესებულებებს თავს უყრიან ოლმასკომის ახლოს, რაც იწვევს სამართლიან საყვედურს ადგილობრივ მცხოვრებლებში.

(ბაბაიკა)




**სამკითხველოს მეთვალყურე** (შეშინებული): — რა ამბავია? სად მიდის ეს სამკითხველო?
— ნუ გეშინია, ქალიშვილო! ალმასკომთან მიგვაქვს!

პროფესორებს დავასევ; ნუ გეშინია, არაფერს არ მივაკლებ, ჩემო ბიცოლა!

თბილისის სადგური.

სონიას წესრიგის დამცველებიც ეშველებიან ავათმყოფის გადმოყვანაში.

ბუქა უკვე სონიას ოთახშია. უცხო ალარავინ არის... ბუქაც ალარ კვნესის; ვაი ნენავ მოვკტის ალარ იძახის...

სონია საქმეზე მიდის. საქმე კი დიდი აქვს გასაკეთებელი — ავათმყოფის საბან-ლეიბ ბალიშ-მუთაქა უნდა გაასალოს... რამოდენიმე საათის შემდეგ დალონებული ბრუნდება.

— ჩემი კაი მუშტარი, ვისთანაც მე საქმე მქონდა, ბაქოში წასულა; ამხანაგისთვის დაუბარებია, რომ საქონელი იქ ბაქოში წაუღოთ, რადგან იქ თურმე ორჯერ მეტათ ღირებულა. ეს ძლიერ კარგია. ორივეს ორჯერ მეტი მოგვიწევს, მაგრამ მე იმას ვწუხვარ, რომ შენ შინ ადრე ვერ ჩახვალ; ოცი დღე მაინც დაგაგვიანდება და ბიცოლა შეშინდება.

— რა უყოთ, მერე ბიძია; საქმე კი გაკეთდეს, ზეირი იყოს და ოცი დღის მერე იყოს. უცბათ რომ ჩევიდე მძიმე ავათმყოფობის შემდეგ, არც ის ვარგა.

— შენ გენაცვალოს, ჩემო ბიძიკო, შენი სონიეი, რა ჭკვიანი ხარ! აბა წავალ მე და იმ კაცს შევიყვან; დროით დევიბაროთ; ვინ იცის, სხვა დროა; ახლა კედელსაც ყური და ენა აქვს...

გაეიდა, ოცი დღე, ორი, სამი თვე და... და ორმოცი დღეც...

ბუქა და სონია ეხლაც ციხეში სხედან. ქვეშაგებ-საბურავი (საბან-ლები და მუთაქა-ბალიში) რომ არ ჩამოერთმიათ, ეხლა სახლში იქნებოდენ და ფულსაც ბევრს მოიგებდენ.

პიტნა.

# ტკბილი სიზმარი

## ტყიბულის მაღარო

გამიგონია: რასაც ძილის წინ ინატრებ, იგი სიზმარში აგისრულდებაო.

მართალია: სიზმარსა და ცხადს შორის არის მცირეოდენი განსხვავება, მაგრამ რა მენაღვლება — სიზმარში მაინც მელირსოს ის, რაზედაც ყოველდღე ვოცნებობ.

დამესიზმრა: თითქოს ვიყავი მაღაროების დირექტორის ძმისწული, თუ მამიდაშვილი (ეს სულერთია), ხიდაშელიძე თუ ფურცელაძე, კარგად აღარ მახსოვს (ესეც სულერთია), თუ გინდ ახლათ მისული ხუსკივაძე; ერთი სიტყვით—ვიყავი დირექტორის ნათესავი.

ვნახე სიზმარში: მე უმუშევარი კი აღარა ვარ,—არამედ მშვენიერი თანამდებობის პატრონი გახლავარ... ჩემი ცარიელი ჯიბე ფულებით ამოვსებულია... მარტო პურის მაგიერ გემრიელ საჭმელებს მივირთმევდი.. კარგად ძაცმია... კარგად მახურავს.:::: რა კარგია ასეთი ცხოვრება... არ მინდა გამეღვიძოს არასოდეს::: მინდა ვიყო ამ სიზმარში... მაგრამ....

გამომეღვიძა.

მე იგივე საწყალი ვარ... მე არა ვარ დირექტორის ნათესავი:....

ო, როგორი მშვენიერი ცხოვრება (სიზმარში რომ ვნახე) დამეკარგა! გეფიცებით ქრისტე-ღმერთს და მის დედმამას, (თუ საჭირო იქნება იოსებსაც, რადგან მარიამს ეწყინება რომ დავაშორო ერთმანეთს), რომ იგი სიზმარი ისევ მენატრება.

„ცაცახი“.




ახლად დაქორწინებულნი:— ხედავ. მაიმუნები როგორ ეალერსებიან ერთმანეთს, როგორც ახალ ჯვარდაწერილნი?!




ერთი თვის შემდეგ

— ესენი ისევ სიყვარულობით ცხოვრობენ... ჩვენ კი ყოველდღე ჩხუბი გვაქვს...

# გატეხილი არშინი

ებრაელებს. როგორც მთელ საბჭოთა კავშირში, ქუთაისის მაზრაშიაც აძლევენ მიწას, რომ ხელი მიჰყონ მეურნეობას და მით გააუმჯობესონ თავისი მძიმე ცხოვრების პირობები, რომლებშიაც ამჟამათ იმყოფებიან.

— ელოა ლაძეს*) შენც იყავი იმ კლუბშიი!

— შევიხედე ბიძია და ისევე წემევედი, თორა თუ მწამს.

— რა მოვარბენინებდა! გეგეგონა ერთი რა ილაპარიკეს ი ქალაქიდან ჩამოსულებმა. რა არიო?

— ვისთან გაკჩერებულიყავი? რავა, თავი კაცები იყვენ თუ?! —

— მამა გიცხონდა, ნონიაი და შიშმონია ხომ არ გინდოდა, რომ ყოფილიყვენ ვითომ? რას მოიჭოდი!

— ვაი ამ საათ; რაც ღარიბი ისრეელობა იყო, სულ ისინი იყვენ.... მეე შაბათის ნაკვაში ტაძისამოსი მეცვა; ვიიმეს ბუჯუა ვეგოიებოდი: არა ბიძია, არა, ავდექი და წემევედი. აპა რა მიიდოდა, რომ გაჩეოებულიყავი?!

— რა უთქვიათ, ან რა გადაუწყვიტიათ, თუ გაიგე, რა არიო?

— რა არის და ვისაც უნდაო, მიწა მიეცემაო, წაჟიდესო და დაამუშავოსო.

— მიწაში წავიდა იმათი მყვარიბელ-მწამებელი; ამინ... ვაი ამ საათ, მაგათთან მინდა საქმეე?!

— აპა რავა გეგონა.—იმ კრიბაზე ვარეებ ხომ არ დაარიგებდენ? პირიქით, რაძალა ბილეთები უყიდინებიათ და იქვე რაძალაში ჩაუწერიავე კიდევაც ელოა ლამეულა.

— უწინ შავათ ექცა იმათ, სანამდი ელოა ლამეულა მე ჯიბიდან ფულ არ გავცემდი.

— ვადაი, რაც თორაში წერია, ემეთია**).

— რაზე ამბობ? რა იყო?

— ხომ წერია თორაში—დამაქცეველსა შენსასა გამოვიყვან წელისა შენისაგანაო, ისე. ჩვენი შვილები გამოვიდენ ჩვენი ოჯახის დამაქცევრები.

— მაგას მართალ ამბობ. ისე იცოცხლე. ერთი შვილი მყაავს, რომ ვკვდებოდე ერწამა წვრიმალზე ვერ გავაჩერებ, ასე იძახის. რა ჩემი საქმე არის ვაჭრობაო,

— აპა რა მინდაო, რაო, იმ იმახშემოშ ***).

— რა მინდაო და.—კლაში უნდა ვიაროვო და გაზეთები უნდა ვიკითხოვო; —ჩემ გაჭირვებას კი არაფრათ იგდებს ექვსი ქალიშვილი მყაავს; ასე მეჩვენება: ყოველ თითო ტკაველი სიმაღლე ემატებათ—თქვა. გულზე ვსკდები კაცი, ექვსი ქალიშვილის მზითვს შენე ხომ არ ებუმრები!

— მერე ი შენი ბიჭი არაფერში გეხმარებაა? ბარე 16—17 წლიის არი მე მგონი!

— ვაიმე, ბრმა რას ტირისო და მის ორ თვალსაო; მეც იმას ვტირი, რომა ექვს დას ერთი ძმა ყაავს და არ ვეცოდები; მემეხმაროს კი არა, თავის დებს აზიზიანებს—თქვენეც წერა-კითხვა ისწავლეთო და კლაში იარეთო.

— ვაი ამ მოსწრებას!

— ვაიც აქ და ვუიც, აპა რა არი ესე!?

— მოგიფონოს, მამფონებელმა, ეირასონ.

— ამინ, ეირასონ, როგორც მექივოებოდეს.

— ეს მითხარი, ახლა მაგას თავი დავანებოთ, უნდა შეურიგდეთ. ჩემო ძმაო იმ მდგომარეობას, რომა, შვილები აღარ გვიჯერებენ; ღმერთი აღარ წამს და რჯულის შაბათეულა პაპიროზ წოვენ; კარქი, გავიგეთ ესენი, — მაგრამა მე იმას გეკითხები, რა გადაუწყვეტიათ იმ ლამის კრებაზე, სად წადითაო,—შენე ეს მიპასუხე.

— გითხარი აკი. მიწის სამუშაოთაო, როგორც რუსეთში, ისრეელებისთვინ მიუციათ მიწა და თურმე ამუშავებენ; აპა ხომ უყურებთ ვაჭრობას, რომ აღარ არი დღესე თავრობამ რამე წყარო უნდა გამონახოს, თვარემა იმ ღარიბ ხალხს რა ეშველებათ.

ღვთის წინაშე რომ თქვაას კაცმა, მართლაც საშუალება უნდა გამოიძებნოს, რომ კაცმა ოჯახი შეინახოს; იქნება კარქიც იქნეს მა მიწაზე მუშაობა.

— ჩაწერილან ბევრი წევრებათ, იმდენი იცოცხლე; როგორც თქვეეს ყველაზე მეტი თურმე ყუბელი ისრეელები ჩაწყოილან და მიჩვეულიც არიან ისინი მიწაზე მუშაობას; არც გაუჭირდებათ!

— ჩვენ გაგვიძნელდება ჩვენე, რომ მიდღემდი ვაჭრობაში ვაართ ჩამკვდარი. ჩვენთვის არი ძნელი მიწის მუშაობა. თვარემა ცუდი საქმე კი არ არი, თუ გავიადვილებთ!.

იზეტის წევრი.

*) ელოა ლამე—შაბათ საღამო.

**) ემეთი—ჭეშმარიტი —

***) იმახშემო—წყეული

## ჩვენი „მონადირე“

ტბილისში ალაზნის ქუჩაზე ოთხმა მგელმა ძროხა შეჭამეს.

(ქრონიკიდან)




მოქალაქე (მონადირეს):— გარე უბნებში მგლები შემოსულა... ძროხა შეუჭამიათ... ევებ მოუსწრო და დახოცო!

მონადირე: — რა იქ წავიდე და თავი ხიფათში ჩავი გდო! ის არ სჯობია აქ დავუცადო?!

# ქარიანი ფიქრები

ყველაფერი ქარია და ჩვენება,
ყოველგვარი ავტოს გადაჭენება,
ყოველგვარი შენობების შენება,—
ჩემთვის მხოლოდ ქარია და ჩვენება!

—•—

მარადია ერთად ერთი პორტფელი,
პროტექციაც მარადია უთუოდ-
რომ მეძახი:— რომელი ხარ რომელი?—
კიდევ გინდა დამპირდე— მომატყუო-?
ჩემი გული მოტყუებით დახიეთ!
ჩემი ტანი სიცივეში გახვიეთ.
ჩემი სული პორტფელებმა დაკოდეს.
მალე ნახავ გამსახლისკენ გარბოდე.
კარგი იყო არ მეფიქრა თავიდან:
სამსახურის შოვნა, ტკბილი ცხოვრება.
სიყმაწვილე ხეტიალში წავიდა...
გულზე მაწევს დარდი მძიმე გორებათ.
ყოველგვარი შენობების შენება,
ჩემთვის მხოლოდ ქარია და ჩვენება!

რადგან მუდამ უბინოთ ვარ და ვსტირი,
არ მშორდება მწუხარება და ჭირი
ჩემი სატრფოც საყვედურით მიცქერის
ველარ დამყავს თეატრში და კინოში!
ჩემთვის მაინც ამაოა ნუგეში
ექვს შაურად რომ გაყიდონ კალოში!
მეც კაცი ვარ, ჩემო ძმაო, თათრახან!
და ფულები მეც მქონია ხანდახან:
ესლა წყალში გადავარდი ნავიდან;
კარგი იყო არ მეფიქრა თავიდაი:
სამსახურზე. პორტფელზე და ავტოზე
და ლექსები არ მეწერა კატოზე!
ათასგვარი ოცნებების შენება...
ავტოების აქეთ-იქეთ ჭენება,
რომელი ხარ, რომ მეძახი რომელი?
კიდევ გინდა დამპირდე— მომატყუო?
მარადია ერთად ერთი პორტფელი
პროტექციაც მარადია უთუოდ.

იანო.




— ე. ვერანი რაღაცა მუწუკი გამომივიდა ყელშია და მეც გამიკეთეთ ოპერაცია!

# „იღბალი“

— წინად თუ ყანწებს სცლიდი, ეხლა ეს პატარა ჭიქა მაინც დალიე!

— აოას მამარჩენობით არ შემიძლია

— რაშია საქმე! ერთი მაინც ნახე!

— ერთი წვეთის დამლევი არ ვარ.

— იქნებ კახური გსურს, აქ გურულებია. ადესაიც ექნებათ გადამალული შინაურებისათვის! —მივაძალე ჩემ მეზობელ მილიციელს.

— რავა გეკადრება, რომ მინდოდეს კახურს რა სჯობია!

საშინელ მდგომარეობაში ჩავარდი. არავითარმა ხვეწნა-მუდარამ არ გასჭრა. ორი კვარტი ღვინო უკვე მოტანილია; დაბრუნება უხერხულია, ამას ემატება ჩემი პრინციპი—რასაც რესტორანში მოვითხოვ უეჭველად, უნდა შევჭამო და შევსვა. თეფშებს ისე მოვალამაზებ, რომ კაცი სახეს დაინახავს... მარა ამ ღვინოს რა ეშველება? მინდა მეზობელ სუფრას გაუგზავნო. მაგრამ ჩვეულების მიხედვით, ორი კვარტის მაგიერ ოთხს გამომიგზავნიან. დავადექი ასეთ გადაწყვეტილებას: უნდა დამეცალა ისე, რომ არ დავმთვრალიყავი... ხელახლა მივეცი წინადადება ჩემ მიერ დაპატიჟებულ მეზობელს::

— აი, ძმაო ჩემო! ეს ორი კვარტი ღვინო უნდა დავლიოთ ორივემ; უარს თუ იტყვი. მე დავლევ, მაგრამ ათი საათის განმავლობაში, ესე იგი ეხლა, რომ ორი საათია შენ ჩემთან ერთად უნდა იჯდე ღამის 12 საათამდე.

მილიციელმა გიჟივით გადაიხარხარა, მუცელზე ხელს იჭერდა და ხველა აუტყდა.

— კაცო. მეზობლები ვართ; ამდენი ხანია ერთმანეთი არ გვინახავს; ხომ არ გწყინობს ჩემთან ჯდომა? — ცოტა უკმეხად შევეკითხე მეზობელს, როცა პირველი კვარტი შევამდე დავიყვანე.

— როგორ გეკადრება! შენთან ყოფნას რა სჯობია; ჩემ ამბავსაც მოგიყვები, პატარა ხნის, ხომ არ ვარ! — განაგრძო მან— სარაყამიშის ჩხუბში რომ ვიყავი, ჩემთან მხოლოდ ერთი ქართველი აფიცერი იყო, მოხვდა ტყვია ბარკალში; ავსტეხე ყვირილი; მოვარდა ის ერთი ქართველი აფიცერი და მეუბნება:

— ბიჭო, ქართველი კაცი ხარ, ვაჟკაცი ხარ; ნუ ყვირი, ნუ გეშინია!

— მიშველე რამე!—ვეუბნები და ვყვირი.

— ბიჭო. ნუ ყვირი; ვაჟკაცი არ ხარ?

ძალიან გული მომივიდა და მივაყვირე:

— რას ლაპარაკობ! მამა არ მყოლია ვაჟკაცი და დედა. რა მაქვს საჟაჟკაცო? კაცი ძალით ჩხუბში წამომათრიეს; ვკვდები სადღაცა და შენ კიდევ ვაჟკაცობაზე მელაპარაკები?!

იღბალი რომ მქონოდა. იგი თავქარიანი არ შემხვდებოდა. აფიცერი იყო; უბრძანებდა და პირველად მე შემიხვევდნენ ბარკალს..

ჰო. იმას გეუბნებოდი: გავხსენი რესტორანი მენშევიკების დროს; შემოვიდოდნენ გვარდიელები. გაძღებოდნენ, დათვრებოდნენ. დაადობდნენ გახურებულ პლიტაზე მაუზერს და დაიწყებდნენ ლაპარაკს:

— აბა გვიანგარიშე რამდენია ჩვენზე!

რა ჯანდაბა მაანგარიშებდა. ვეხვეწებოდი— ეილეთ კაცო მაი მაუზერები. ტარი გაუფუჭდება! რათ გინდათ ანგარიში?.. გეცინებოდნენ. გეღრიჭებოდნენ და გზას გაუდგებოდნენ... ეგიც იღბალია არაა?..

კომუნისტების დროს ნალოგს ველარ გოუძელი და მივხურე რესტორანი...

სახლი მქონდა ჩემი ცოლის ნამგზითი (დასწყევლოს ღმერთი)... მე რომ სახლი არ მქონებოდა, ასე გლახათ არ წევიდოდა საქმე.

ერთ ოთახში მე ვიდექი და ორი გაქირავებული მქონდა... აფიცრები იდგენ მენშევიკების დროს: მოვითხოვდი სახლის ქირას და მიჩვენებდნენ ხმალს და მაუზერს.— რის ქირა! რა ქირა?!

მევიდნენ კომუნისტები. მივადექი სახლის ქირისათვის და ხმალის და მაუზერის მაგიერ, მიჩვენებენ კავშირის წიგნაკს,—„მეტი არ გეკუთვნის ჩვენგანო“

— კაცო, ეს იღბალი კი არ არის,—კანონია!—შევნიშნე მე.

— ჰმ კანონი!.. მე რომ სახლში ხეირი ვერ ვნახე და სიმამრს დაუბრუნე,— ქირები მოუმატეს კვადრატიულ მეტრზე... ეს კანონია თუ იღბალი?—კანონია!— მტკიცეთ უპასუხე მე.

— აბა ერთ ამბავსაც გეტყვი—შენ ქე იცი ცალფეხზე ექვსი თითი რომ მაქვს. ჩავედი ერთ რესტორანში, მოვითხოვე ორი სადილი და ამხანაგსაც ვუცდი. შევყევი ხაზეინს ლაპარაკში და ვუთხარი: ორ კაცს ფეხზე ოცდაერთი თითი გვაქ-მეთქი. დავნიძლავდით კარგ სადილზე და ერთ თუმან ფულზე. მოვიდა იგი ოჯახ დასაქცევი ჩემი ამხანაგი. კაი გამძღარი ვიყავით ჩემ ამხანაგს რომ ნიძლავის შესახებ ვუთხარი და იმან ყურში ჩამჩურჩულა:

— კაცო, შენ ჩემი იმედი არ დაიკავო; მარცხენა ფეხზე მე ოთხი თითი მაქვს!

წავაგე აქაც... ხომ კანონი არაა? ეს ხომ იღბალია?

მე ვეღარაფერი ვუთხარი.

— მილიციაში დავდექი,—დაიწყო ისევ.—იქნებ ვინმეს შეეშინოს ჩემი-მეთქი. მარა მაშინვე შემოიღეს წესათ: თუ ხულიგანმა დანა არ დაგარტყას, ან არ გასროლოს,—ვერ გსვრი. დაიჭირო უნდა და კომისარიატში წაიყვანო... არა, ძმაო, ყველაფერს იღბალი უნდა, ისე არაფერი არ იქნება!—ამოილაპარაკა მან და საოდაფიდან ამოვედით.

მე ფეხები არ მემორჩილებოდა და მილიციელს ხელი-ხელ გაყრილი მივყვებოდი.

უცებ ბრძანების ხმა შემოგვესმა:

— მთვრალ კაცს ტროტუარზე არ უნდა წაყვანა: ჩადექი შუა ქუჩაში და ისე მიაცილე კომისარიატამდე.

— ეს კაცი დაჭერილილი არ მიმყავს; ერთად პური ვჭამეთ და სახლამდე ვაცილებ!— უპასუხა მილიციელმა.

— მართალია, ამხანაგო!— დავუმოწმე მეც.

— აჰაა. მაშ გიქეიფია და შენ თითონ არღვევ წესიერებას! ყველაფერს შეამოწმებს ექიმი... ასეთი მილიციელებისაგან უნდა გაიწმინდოს ჩვენი რიგები! —განაცხადა უფროსმა მილიციელმა და კომისარიატისაკენ გზას გაუდგა.

— მშვიდობით! მშვიდობით!— მომაძახა მან.— შიშით ლიმონათიც ვერ დავლიე და სიმთვრალე შემწამეს... იღბალია! ა? იღბალი!— გავიფიქრე უკმაყოფილი და ბარბაცით გავემართე სახლისაკენ.

**სიმონ—ალა**

# ახალი გამოგონება

## მოსიარულე მკვდარი

ამერიკულ ჟურნალ „დელი დელა"-ში დაბეჭდილია სენსაციური ამბავი ერთი ახალი გამოგონების შესახებ, რომლის საშუალებით მიცვალებულს შეუძლია საკუთარი ფეხით გაემგზავროს მისთვის განკუთვნილ სასაფლაოზე. გამოგონება ეკუთვნის დღემდე უცნობ, მაგრამ ამიერიდან საქვეყნოდ განთქმულ მეცნიერს ოგიუსტ ანასუნს.

ჟურნალი „დელი დელა“ გადმოგვცემს, რომ ერთი კვირის წინად, მრავალი ხალხის თანადასწრებით, მოახდინეს გამოგონების პირველი ცდა. რომელმაც ყოველივე მოლოდინი გადააჭარბა. ეს ცდა მოხდა ქალაქ ბოსტონში. *) იმ საავადმყოფოს ეზოში და ახლო-მახლო ქუჩებში, სადაც ცდა უნდა მომხდარიყო, ხალხი ბუზივით ირეოდა. უპატრონო მკვდარი, რომლის გარშემოც უნდა ჩატარებულიყო ეს ცდა, წინასწარ გულდასმით შეამოწმა ექიმების საგანგებო კომისიამ, შემდეგ მიცვალებული სამკვდროდან საავადმყოფოს საჯარო დარბაზში გადაიტანეს. გამომგონებელმა დარბაზში შეგროვილ ხალხს მიმართა შემდეგი თხოვნით:

ჩემ მიერ გამოგონებული კორსეტი, რომლის საშუალებითაც ამ მკვდარმა ფეხი უნდა აიდგას, ჯერ-ჯერობით საიდუმლოს შეადგენს და მე არ შემიძლია იგი ვინმეს ვაჩვენო. ამის გამო გთხოვთ, რამდენიმე წუთით მარტო დამტოვოთ მიცვალებულთან, რომელსაც უნდა ჩავაცვა ხსენებული კორსეტი.

დარბაზი დაიცალა, კარები დაიკეტა, ფანჯრებს ფარდა ჩამოეფარა.

როდესაც დარბაზი გაიღო, მკვდარი წინანდებურად მორთული და ტახტზე გაშხლართული იყო.

ცდა დაიწყო.

გამომგონებელი მივიდა მკვდართან, უბეში ხელი ჩაუყო და ცოტა ხანს აფათურა. მიცვალებული წამოდგა, დახუჭული თვალებით იქით-აქეთ მიიხედ-მოიხედა, მოხდენილი რევერანსით გამოესალმა მის ირგვლივ მყოფ საზოგადოებას, გაემართა კარებისაკენ, ჩაირა გრძელი და დაკლაკნილი კიბე, გავიდა ხალხით სავსე ეზოში და ზომიერი ნაბიჯით გაეშურა ქუჩის კარებისაკენ.

სანამ მიცვალებული ქუჩის კარებამდე მიდიოდა, გამომგონებელი წამოეწია მას, ისევ ჩაუყო ხელი უბეში და მკვდარი წყნარად დაეშვა მიწაზე.

ხალხი შეტორტმანდა. მქუხარე ტაშით ჰაერი შეირხა

— ბატონებო!—გაისმა გამომგონებლის ბოხი ხმა და ერთბაშად სიწყნარე ჩამოვარდა

— ბატონებო! სიხარული მახრჩობს და ენას მიდუნებს, მაგრამ ორიოდე სიტყვა მაინც უნდა მოგახსენოთ, რაც დღემდე მხოლოდ თეორიული სინამდვილე იყო ჩემთვის, დღევანდელმა ცდამ ბრწყინვალედ დაამტკიცა და გაამართლა. ეს უპატრონო, მთელი ქვეყნის მიერ მიტოვებული და დათრგუნვილი მკვდარი, რომლის ვინაობის გამოსარკვევად მე ჩემს ძალ-ღონეს არ დავზოგავ, ამიერიდან სამუდამო უკვდავებით შეიმოსა. [illegible] არ [illegible]რი. მან.—ამას გაბედულად ვიტყვი უკვდავებით შემოსა აგრეთვე ჩემი დღემდე შეუმჩნეველი სახელიც. [illegible]ტომ მე ვალდებული ვარ მას დამსახურებული პატივი მიუძღვნა. მე გადავსწყვიტე მიცვალებული,— რასაკვირველია. მისივე საკუთარი ფეხით.—წავიყვანო ჩემს საკუთარ ბინაზე. შევასრულო მაზე მიცვალებულისთვის განკუთვნილი ყველა წესები და მხოლოდ ამის შემდეგ მივაბარო მიწას. დასაფლავების დრო ცალკე გამოცხადდება და უმორჩილესად გთხოვთ, მაშინაც პატივი მცეთ და გამოცხადდეთ ჩემს ბინაზე, სასაფლაოზე მიცვალებული წავა თავისი ფეხით“

ერთსულოვანი ტაშის გრუხუნმა ისევ მოიცვა არემარე. ხალხის დაწყნარების შემდეგ ანასუნმა წამოაყენა მკვდარი, მკლავში ხელი გაუყარა და უცნაური წყვილი წყნარად გაუდგა გზას ანასუნის ბინისაკენ. ზღვა ხალხმა ისინი სახლამდე მიაცილა.

ამ სასწაულებრივმა ამბავმა იმ დღესვე მთელი ქალაქი შესძრა. ახმაურდა ტელეგრაფი. რადიო, ტელეფონი. გამოვიდა გაზეთის ცხელ-ცხელი ნომრები.

რამდენიმე მსხვილ სამრეწველო დაწესებულებათა ბატონ-პატრონთ ერთბაშად აღეძრა ახალი მოგების შადა. რომელი მათგანი დაასწრებს ახლად გამოგონილი კორსეტების დამზადების მონოპოლიური უფლების ხელში ჩაგდებას— აი რა შეიქნა მათი გადაუდებელი ზრუნვის საგანი. ერთდა იმავე დროს ათმა ფირმამ გააბა მოლაპარაკება ანასუნთან.

— ჯერ, ბატონებო, ნაადრევია მაგაზე ლაპარაკი, რადგან მიცვალებული მყავს დასასაფლავებელი. მერმეც მოვასწრებთ —ეუბნებოდა მათ ანასუნი.

— სავსებით გეთანხმებით, მაგრამ ამას რას უშლის წინასწარი შეთანხმება. ეხლა მხოლოდ მოგვრიგდით. შინაური ხელწერილი გვიბოძეთ, რომ კორსეტების დამზადების უფლებას ჩვენ გვანიჭებთ; თქვენ კი ღირებულების ანგარიშში ბე მიიღეთ და დღეს ამით გათავდება. დანარჩენი კი მაშინ იყოს, როდესაც თქვენ გსურთ!— უპასუხებდნენ მას ფირმათა წარმომადგენლები და მართლაც

*) ეს ქალაქი იმყოფება ინდოეთში.—მთარგმნელი.



**ტბილისელი მოქალაქე** (ქუთაისელს):— თუ გინდ, დროის დროზე გქონდეს სინათლე, ეხლავე შეიტანე განცხადება სინათლის გაყვანის შესახებ

**ქუთაისელი მოქალაქე**:— ჯერ რა დროსია... რიონჰესი ახალ დაწყებულია...

**ტბილისელი მოქალაქე**:— ზაჰესის დაწყების დროს რომ ჩვენ შეგვეტანა „ტელას"-ში განცხადება, ეგებ ეხლა მაინც გვღირსებოდა ელექტრო სინათლე... დამიჯერე... მე გამოცდილება მაქვს...

---

თავისი გაიტანეს. დაიდო პირობა ოხერერის ფირმასთან. ანასუნმა ბეის სახით მიიღო ასი- ათასი დოლარი. დანარჩენი ოთხასი ათასი დოლარი უნდა მიეღო მიცვალებულის დაკრძალვის მეორე დღეს, კორსეტის გეგმისა და მოდელის ფირმისათვის გადაცემის შემდეგ. მაგრამ...

აქ უკვე იწყება ახალი ამბავი. ოხერერისაგან ასი ათასი დოლარის მიღების ღამესვე ანასუნი და მისი მკვდარი სადღაც გაქრენ. პოლიციამ მათ ასავალ-დასავალსაც კი ვერსად მიაგნო. კვლევა-ძიება დღესაც გრძელდება.

ქალაქში ათასნაირი ხმებია გავრცელებული. ამბობენ, ანასუნი ცნობილი აფერისტი ატყაპუნე უნდა იყოს, რომელმაც მთელი ეს საქმე ფულის გამოტყუების მიზნით მოიგონაო და რომ ატყაპუნეს ასეთი საქმე სხვა დროსაც ბევრჯერ ჩაუდენიაო. ჩვენ ეს არ გვჯერა და უფრო სწორი გვგონია ხმების მეორე ვერსია. რომელიც დაჟინებით ამტკიცებს, რომ ანასუნი და მისი მკვდარი ოხერერის ფირმისადმი მტრულად განწყობილმა წრეებმა გააქრეს და ანასუნის გამოგონებაც მათ ხელთ იმყოფებაო.

ასეა თუ ისე, სამწუხარო აქ მხოლოდ ის არის, რომ ანასუნის ძვირფასი გამოგონება საზოგადოებისთვის, დროებით მაინც, დაკარგულად უნდა ჩაითვალოს.

### ცოცხალი კატლეტები

იმავე ჟურნალ „დელი-დელა"-ში დაბეჭდილია ცნობა. მეორე. არა ნაკლებ საინტერესო, გამოგონების შესახებ, რომელიც ცნობილ მეურნეს — ბოლოკს ეკუთვნის. მას სხვადასხვა ჯიშის მცენარეთა და ცხოველთა შეჯვარედინების გზით, გამოუმუშავებია მცენარის ახალი ჯიში. რომელიც დღეში ორჯერ ცხელ-ცხელ კატლეტებს ისხავს. მე ამ გამოგონებასაც სიამოვნებით ავსწერდი დაწვრილებით, მაგრამ კატლეტის მოგონებაზე კუჭმა საშინელი წრიალი დამიწყო და, იძულებული გავხდი წერისათვის თავი გამენებებინა.

კანტრალიონი.

# სიმულიანტი

ქორწილში წასვლა მინდოდა. სამსახურიდან შვებულების აღება ვერ მოვახერხე.

ამხანაგებმა მასწავლეს: —თავი მოიავადმყოფე და ექიმთან გაგწერენ. ჩვენ ყოველთვის ასე ვიქცევით, როცა დაგვჭირდება!

— კი მაგრამ რომ არაფერი მტკივა?

— ეეე, შენც დამიწყე ეხლა! ვინაა ამდენს რომ მოგდევს ან და ექიმი გსინჯავს თუ?

მეორე დღეს სამსახურში „ავად" გავხდი —„გული წამივიდა". როცა „მოვსულიერდი", საჩქაროთ ექიმთან გამგზავნეს.

მივედი ამბულატორიაში. რიგს ყურადღება არ მივაქციე, შევაღე კარები, რადგან „გაჭირვებული" ვიყავი უკვე ლამ შემიცოდეს.

— რა გტკივა?.

— აი, აქ მტკივა!— და გულზე მოვისვი ხელი.

ექიმმა გამსინჯა და რეცეპტი გამომიწერა.

გავკვეთდი კაცი. რეცეპტი მომცა და მითხრა: —წაიღე ვაჰქის ქუჩაზე აფთიაქში წამალი აიღე და თავს მოუფრთხილდი.

— დიდათ მადლობთ! თუ შეიძლება მითხარით —რა მტკივა?

— გულის კუნთები გაქვს გაციებული, მაგრამ არაფერია, მალე გაქრება.

— მადლობთ!

წამოვიცეკვე გზაზე. ვიყიდე წამალი და ეტლით გავსწიე სახლისკენ.

მართლაც დავფიქრდი: ეგებ ავად ვარ და მე ვერ ვამჩნევ ჩემ თავს? თუ არაფერი არ მტკივა, მაინც არ მაწყენს ეს წამალი. თუ მტკივა—მართლაც გააქრობს!

დავლიე წამალი და შეუდექი მზადებას ქორწილში წასასვლელათ. მაგრამ...

მთელი ტანი ამიძაგძაგდა. თვალები დამიბნელდა. ჩამაგდო ანთებაში, მუცელში რაღაცამ დაიგრიალა. ვის ახსოვს ქორწილი, ან რამე.

ეხლა კი მომცეს შვებულება, მაგრამ...

ჩემი ცოდვა ჰქონდეს იმ ექიმს! მეხი—მიხაძე.

---



— ხად მიგაქვს, მაკრინე, ეს წამალი?

— ჩვენს ალმასკომის თავმჯდომარესთან!

# მ ო რ ი გ ე ო ბ ი თ




— დღეს რატომ არ იყავი უნივერსიტეტში? ისეთი საინტერესო ლექცია იყო რომ...

— როგორ ვიქნებოდი, როცა დღეს სახლში ჯდომა ჩემი ჯერი იყო, რადგან პალტო და ფეხსაცმელები დღეს [illegible]ძას აცვია.

# არ მომეწონა

მოვიდა სესია. გაიტენა ქუჩები ხალხით. მიუხედავად სასტიკი კონტროლისა. მაინც ბევრმა მოახერხა შეძრომა. ჩემი ცოლი ყოველთვის კვიცივით უკან დამდევს. მოხერხებულად შევძვერინე დარბაზში.

გაიხსნა სესია. წარმოსთქვეს სიტყვები. სიმართლე უნდა გითხრათ, ყველას ლაპარაკი მომწონდა. მაგრამ ამხ. ვარძიელის სიტყვებმა და მოხსენებამ დავთარი ამირიეს, რამდენათ მე მწყინდა, იმდენათად სიხარულს გრძნობდა ჩემი ცოლი.

— აი, ეხლაც იტყვით მამაკაცები: გაგიშობთო!— ნიშნის მოგებით მითხრა ცოლმა.—ხომ გესმია როგორი კანონები გამოუმუშავებიათ? ვენაცვალე მაგის მომგონს.

— კაი ქალო; აბა ვინ მისცემს ხმას მასეთ კანონს! საქმე ხომ თითის აწევაზეა? აქ მამაკაცები უფრო მეტია და ეს კანონი არ გავა! —აი ნახავ აბა!

კენჭის ყრა ჩემი ცოლის სასარგებლოდ დამთავრდა. მოდი ახლა და ნუ ტოგივა გული?

ცოლი რომ შევირთე, მაშინ უბრალო მუშა ვიყავი, კაი ქალს ვინ მომცემდა მაშინ! მომცეს ისეთი, რაფერიც შემეფერებოდა.

ეხლა ისეთ კაბინეტი მაქვს, რომ მამაჩემს ეკლესია ეგონა, როცა შიგ შემევიდა პირჯვის წერა დაიწყო. ისეთი „სეკრეტარშა" მყავს, ისეთი მემანქანეები, ისეთი რეგისტრატორები, რომ იმათთან ყოფნა სწორედ სამოთხეა. თუ კაბინეტი გამგის მაქვს თუ ავტო ატვესტვენის მყავს, თუ ჯამაგირი შეიდი კაცის მაქვს.—როგორ არ მეკუთვნის საპასუხისმგებლო ცოლი? ყველაფერს რომ თავი დავანებოთ. მითხარით, თქვენი ჭირიმე, როგორ შეიძლება. ჩემო გვერდით ისეთი ქალის ამოყენება?

—„იცნობდეთ. ჩემი ცოლი გახლავთ"—როგორ უნდა უთხრა ვისმეს?.. თითონ კი, ნურას უკაცრავად, შეხვდება ვისმეს თუ არა, მაშინვე წამოიძახებს: ჩემი ქმარი გახლავსთ, იცნობდით.

როგორ მოგწონთ? აბა როგორ უნდა მოვითმინო ასეთი გარემოება?

წამოყენებული კანონი ერთხმად იქნა მიღებული.— ჯანდაბას თქვენი თავი, სესიელები ხართ თუ ვიღაც კანონის მდებლები. მარტო მე ხომ არ შემჩა ძველი ცოლი? თქვენც ჩემს ყოფაში ხართ, იყავით თქვენს ძველ ცოლებთან. არა რა ღმერთი გამიწყრა, რავა ვერ მოვისაზრე. ერთი ორი დღით ადრე მაინც დამესწრო გაშვება. აწი უყარე კაკალი... ათსუს! აფსუს! რა პასუხისმგებლი ამხანაგი ვილოპები შეუფერებელ ცოლის ხელში?!

ასე მიქნა იმ სესიამ, რომელიც აჭარისტანში ჩამოვიდა ამას წინად და მთელი ქალაქი ფეხზე დააყენა, ამდენ ხან ყველათაური მომწონდა ამ ჩვენი მთავრობის, მაგრამ ამის შემდეგ ფინიშ. არა აწი, რომ სესიის მოსვლის ამბავი გავიგო, პირდაპირ მატარებელს დავეჯახები და გადავაბრუნებ სწორედ.

ბ. ობოლი.

# „სიცოცხლის პრობლემა"

## ლექცია წაკითხული აბიტუ-რენტის მიერ თავის სოფელში

როგორც პროფესორი უტყვინოშვილი გადმოგვცემს, მის შრომას ტყუილად არ ჩაუვლია და მან სრულიად [illegible] სიცოცხლის ხანგრძლივობის გამორკვევა.

ღმერთმა მისცა კაცისთვის 30 წლის სიცოცხლე, ვირისათვის — 50, ძაღლისთვის—45, მაიმუნისთვის — 120 წელიწადი.

ადამიანი, როგორც ყველა ცხოველებში მოხერხებული, უფრო უკეთესად სცხოვრობდა. მან ისეთი ცხოვრების პირობები შექმნა თავისთვის, რომ ეს 30 წელიწადი სულ სიმხიარულეში და ქეიფში გაატარა. მაგრამ დაფიქრდა რა, რომ ახლოვდება მისი სიცოცხლის დასასრული, დაეხსნა თავი სასიკვდილოთ.

წავიდა და შესთხოვა ღმერთს მისთვის რამდენიმე წლის სიცოცხლე კიდევ მოემატებინა. ღმერთმა კაცი მიგზავნა ვირთან. რომელსაც კაცისთვის უნდა დაეთმო თავისი სიცოცხლიდან ოცი წელიწადი. სულ ერთი იყო. თავის სიცოცხლეს მაინც ტანჯვა-წვალებაში ატარებდა ვირი.

აბა ვირი როგორ გაუბედავდა უარის თქმას და მისცა კაცს 20 წლის თავის კუთვნილი სიცოცხლე.

კაცი შეუდგა თავისი ცხოვრების მეორე ხანას. ესე იგი ვირულ სიცოცხლეს. შეირთო ცოლი. გაუჩნდა შვილები და ისე მუშაობდა ოჯახისათვის. როგორც სინდისიერი ვირი, მაგრამ გაატარა რა ვირული 20 წლის სიცოცხლე, თავი უფრო მიტად დაინახა სასიკვდილოთ და დარიგებისთვის მიმართა ღმერთს, თუ როგორ მოქცეულიყო.

ღმერთმა ურჩია კაცს ძაღლისთვის ეთხოვა 20 წლის სიცოცხლე. რაც კაცმა შეასრულა და ძაღლისგან კიდეც მიიღო ასეთი.

ამგვარათ. 50 წლიდან კაცი იწყებს ძაღლურ სიცოცხლეს და ცხოვრობას იმდენად ეცვლება ხასიათი, რომ თავისი „ცხოვრების - მიმნიჭებელისავით" (აქ იგულისხმება ძაღლი) ღრინავს.

გაატარა ყეფა-ღრინით კაცმა ეს ოცი წელიწადიც. მაგრამ რომ იტყვიან: „სოლი ტკბილია"-ო. მართლაც ისე დაემართა. ვერ შეურიგდა სიკვდილს და ისევ ღმერთს ეწვია რჩევა-დარიგებისთვის. შესტირა. შეევედრა და თავი შეაბრალა. რა ექნა ღმერთს?, ადგა ისიც და უკანასკნელად ურჩია მაიმუნისთვის ეთხოვა 20—30 წელიწადი.

დიდი ყოყმანის შემდეგ, მაიმუნიც დასთანხმდა და ნათხოვნი სიცოცხლე მისცა... და თუ 70 წლიდან მაიმუნის-ხანაში კაცი რა სახეს მიიღებდა, და რაც ცხოვრებას დაიწყებდა, ეს ყველასთვის ნათელია. **ვანო უჩინარი.**

# სიბერემდე სიქაჩლე

ახალციხის მაზრაში 75 წლის მოხუცს კბილები ამოუვიდა.



— აი შე ქალო, გიხაროდეს—კბ ილბი ამოვიდა!

— ვაი შენ; უკბილო იყავი და,—აშინ სჭირდა შენი რჩენა.. ეხლა რა გეიშველება!

# ახალი ექიმის წერილი სატრფოსადმი

სულ მცირე ინკუბაციური ხანაა, რ ინ დაისადგურე ჩემ გრძნობის კლინიკაში და მას შემდეგ არ ვიცი რა მიმართება. მოსდიხარ ნელი, ზანტი კურაციით, მაგრამ მახვილ ლანცენტს უსოფ ისედაც გაფაშარებულ ჩემ გულს.

შენი შეხვედრა და დალაპარაკება პეპესებრს ბორძიგს მგვრის. მინდა ბევრი გითხრა, მაგრამ ვთრთი ჰიალინისებურად გადაგვარებულ ღვიძლივით და ვიბნევი, როგორც შიზოტიმი კი.

შენი თვალები უფრო შავია, ვიდრე პროფესორ ელენტის ანტრაკზიანი ლიმფიური ჯირკვლი; განა შენი ტუჩების წითელი ფერი რითმე ჩამოუვარდება ფილტვების ჰემორაგიულ ინფარკტს?—არა და არა.

იცოდე ჩემი გარდაწყვეტილების ბიძგედი უფრო მძლავრია, ვიდრე (თუ ნდა ნამეტურ) პროფესორი ვირსალაძის მალაარიის დიაგნოზი.

იცოდე, თუ დროზე არ მომეელინე, ჩემი გული საზღვრებს დაჰკარგავს და მერე ვერც პროფ. წინამძღვრიშვილი უშველის და ვერც დეკანი მაჭავარიანი.

და თუ ორ დღეში არ მიპასუხე, ტვინის პერიტონიტი დამემართება; პროფესორი მუხაძე ოპერაციას გამიკეთებს და... მერე, მშვიდობით! (ეგებ ვერ გადავიტანო!).

ამ რიგად, შენგან მხოლოდ მოვითხოვ ბერიტაშვილის ირადიაციის შეუღლების კანონს, ანუ უკეთ რომ ვსთქვათ შეუღლების სურვილს.

მაგრამ, გახსოვდეს, შენი პასუხის გაუკუღმლობა პათოლოგიურ აფექტში ჩამაყენებს, კომპლექსიური ამხნები დამემართება და მერე ვერც პროფ. ასათიანის რეპროდუქციული განცდები და ვერც პროფესორ ყიფშიძე გამომიყვანენ გამკვრივებულ აფექტიდან.

იცოდე, ძლიერ დავიღალე, პროფესორ თოფანეძემ სამჯერ ჩამჭრა: თავი გამოძელაყა ეკლამპსიის თეორიებით, სახელმწიფო გამოცდები ძლივს მივაჩოჩე ბოლომდის; თუმცა ჩვენი თავმჯდომარე პროფესორი ნათიშვილი, აღტაცებული ჩემის პასუხებით, გუნებაში სულ „ჩუქდს" გაიძახოდა.

მეტის ატანა აღარ შემიძლიან. მე პროფესორ ლამბარაშვილივით ანეკდოტს ვერ მოგიყვები. არა მაქვს ამისი თავი და უნარი. თუ ჰო.-ჰო, თუ არა და „ამ ჩემ ფეხებს".

**ილიკ შაითამ.**

# თბილი კამპანია

**სოფ. ოგჩა (ქუთაისის მაზ.)**

დილის 8 საათია. ობჩის თემამასკომში ბუხრის წინ სხედან: ლევან ქელიძე, მიხა ბურჯანაძე და მიხა ახრახაძე და მუსაიფობენ. გარეთ თოვს და ჰქრის.

ლევან: (ფანჯარაში გეიხედავს)—დასწყევლოს ღმერთმა. ცალიან ცოდოხა ამიდია. ასე თუ წეიჯინა, ჩვენი ბოგირები არ მოთავდება მალე და ჩაბარება დაგვიანდება.. რომ ჩევიბარებთ, ეგებ რამე ინამუსოს ამხ. ვანომ.

**მიხა ახრახაძე:**—შე კაი კაცო, ტელეფონის გაყვანაზე გვერგო ცოტა რამე და ბოგირები ხომ მეტი საქმია! რათ არ უნდა გვასაჩუქრებლოს რამე ამხ. ვანომ!?

**მიხა ბურჯანაძე:** —ამხანაგებო, ჩვენ სამივე ერთი ვართ და გეტყვით საქმე რაშია: შენ, ლევან, რომ შარშან სალდათათ იყავი გაწვეული მე და მიხამ ბოგირების საქმე ისთე მოვახერხეთ, რომ მივეცით ვანოს უტორგოთ და ასე ალმითქვა ვანომ—როცა ბოგირებს ჩეიბარებთ, 500 მანეთს ჩავიდებ ჯიბეშიო.— ოღონდ ეხლავე უნდა მომცეთ დამთავრების ნიშანი.

მეც ხელი დოუკარი. ის მე ვერ მომატყუებს; სამივემ გევიყოთ, ოღონდ ცოტას თუ მეტს მარგებთ. ეს თქვენი ნამუსი იქნება. მე მეტი ნაშრომი მაქვს ამ საქმეზე.

**მიხა ახრახაძე:**— მაგაზე ჩვენ არ წევიკიდებით, მაგისთანაები ჩვენ ბევრი გაგვიყვია და არ წავკიდებულვართ. მაგრამ მე ძალიან მეშინია—ვინმემ გაზეთში არ გაგვჭიმოს

**ლევან ქელიძე:**—რატომ. კაცო?!

**მიხა ახრახაძე:**—რატომ და ჯერ უტორგოთ გევეცით მაგხელა საქმე, იაიც სასოფლო. მერე ამ ყინვაში ვაკეთებიებთ ქვითკირს წყალში; ეხლა კირით მუშაობა არ შეიძლება. ისე წაზდება ყველა მაგ ხიდები, როცა წყალი მოვა, როგორც ძეძოვანის ბოგირს დეემართა. საღამოს რომ გაათავეს იმ ღამესვე წეიღო წყალმა.

**ლევან ქელიძე:**—მაგისი ნუ გეშინიათ. მაგის პასუხისგებელი მე ვიქნები: ბევრი დამიწერეს, მაგრამ ვერაფერი ვერ მიქნეს. ხალხია ქორებს რომ აყვე და ყური უგდო, ნამდვილათ გადირევი. ჩვენი აფთიაქის გამგის გამოცვლის არ იყოს; რას ერჩოდენ საწყალ ლოლიჩკას? საბჭომ გადააყენა და დეითხოვა თავის გუნებით, მაგრამ ვერ მიართვეს პატრიჯანი. რავარც მე მინდოდა ისთე მოვაწყე საქმე და ისთევე ქე მუშაობს ის საწყალი ქალი თავის ადგილზე ოღონ. ინდაურს და ხაჭაპურებს დაადგა ჯაფა.

(ამ დროს გარეთ მოისმის ხმა მაღალი ლაპარაკი და ყვირილი: „კოოპერატია გოუტეხიათო" და სამივე გარეთ გავარდებიან).

**მეთვალყური.**

## სოფ. აგაშა

მინდა მოგწერო ამბავი,
ტარტაროზ ჩვენო ძმობილო.
ზოგიერთს დასცე თავზარი,
მახვილით გამოწყობილო.

სოფელმა გამოილობა
აქ სასაფლაო ორია...
(გაშლილი არის მიდამო)
სეირნობს თხა და ღორია!).

ამბავი მოხდა ასეთი:
მოკვდა სოფელში გლეხია.
(ქრისტიანთა დაეცა
უბედურების მეხია)

როცა მოთავდა ქელეხი —
და ყველა გამაძღარია, —
გამოასვენეს სახლიდან
მიცვალებული — მკვდარია...

და ატყდა დავიდარაბა:
„არა აქ“.. „არა იქაო“.
თუ არ დაგვენიბდით, იცოდეთ,
ყველას გაგძვრებათ სიქაო

წმინდა გიორგის საყდარზე
გვაქვს მიწა ჩვენ ნაყიდობია.
ი — კი არის უკუთხი
ეშმაკთა დანათქვირობია...

მეორე მხარე გაჰკივის:
—მიწა საყველგან ერთია,
რადგან არ არის იმ ქვეყნად
ეშმაკი და არც ღმერთია...

დაჰკრეს ერთმანეთს და ამ ორის
მცხადებს ქრისტიანები
—ორივე მხარე ბრძანდებით
მკვდარისგან თავისუფალი.

ეზოში დავასაფლავებ,
თქვენ კი იბრძანდით სახლშია...
ამ განცხადებამ პროტესტი
გამოიწვია ხალხშია...

დარჩა სამარე მოთხრილი
ეკლესიის და ქედისა...
(აქა-იქ გამოისმოდა
ჩუმათ გინება დედისა).

იური.

## მუშათა ახალი კლუბი

(„რეროვნანინახ“ ხმაზე)

ტარტაროზო ძსუოს გაგიცნო
საქმე სეიოზურლიო,
ჩვენი კლუბი მეჩვენება
უსაქმობით ორსულიო.
ლიბრაძე და ცურინოვი
ერთი-მეორეს კბენსაო;
მაგრამ „საქმის“ დროს ორთავე
ქვასაც ადებენ წვენსაო.
ამ კლუბში სასადილოა,
„მუქთაა ყველაფერიო;
სანამ სადილს მოგიტანდენ
ცხრაჯერ გეცვლება ფერიო.
შენ რომ ხარჩო მოითხოვო,—
მოდის აჯაფ-სანდალიო.
და გიხდება უწყინარ კაცს
უნებურად სკანდალიო.
კერძო ამასთან მიჰქარავს,
ფულს „ტაქსაზე“ იღებენო,
თუმცა მუშკოპის მარკა აქვს,—
ოთხში ამოგიღებენო.
მუშათა თეატრი მართავს
აქ ხშირ წარმოდგენებსაო,
ლიბრაძე კი მაყურებლებს
დერეფნებში ეძებსაო.
კინოზე არა ითქმის რა,
არც კარგი და არც ავიო:.
(თუმცა აქაც ხშირად მოდის
სურათები ნაგავიო).
„სტრელკოვ“ კროკის თოფები აქვს,
მოგედება ანთებაო.—
უნდ ნიგუზალი დაადო
მაინც არ გავარდებაო.
„ოქინუგოლოკი“ რალაცას
ქე აკეთებს მგონიაო;
(თუმცა თვალით არ მინახავს
ი ქმული გამიგონიაო).
კლუბში ხშირად იმართება
„სემეინ ვეჩერებიო“
(ინკრინტრესტი კულტკომებო,
თქვენ საქმეშიც ვერიებიო?),
ეს ფოქსტროტი. ეს ბალეტი
ყველაფერი კარგი მარა.
თქვე დალოცვილი შვილებო
მარტო ტანცი როდი კმარა!
გოძიაშვილსაც გამოვდოთ
ტარტაროზის ჩანგალიო;
მას „ზრდილობის“ სკოლა გაევლო,
მიტომ არის ანგალიო.
გამგეობავ. დლენაკლულო
ხომ უყურებ ბერდებიო;
სანამ ისევ აგირჩიოთ,
არ აგიდგათ გვერდებიო...
გასწი მერანო გაფრინდი...
ჰაცე ვირო! ოქში. ოქში...
ჰა თუ ვინმე აქ გამოგვრჩა
ლომინაძე ჩადი ჩოთქში.

დონ-კიხოტ

## „ძმა-ბიჭები“

ლელვან - მარელისის თემი



ლელვან მარელისის „ძმაბიჭები“ ასე იმღერიან თუ საქმეზე მოსული გლეხობას უხდებათ გარედ წვიმაში ცდა.

მოწერილი ამბებიდან

ალმასკომის თავმჯდომარე ტ. მაღრაძე

ქარხნის ფულით გავკუპატდი,
გავძეხი და გამოვსუქდი
როცა პანღური ამომცხეს
ბლამსკომში გადმოვსკუპდი.

შალიკო მაღრაძე

შვიდწლედი გავაჩანაგე.
გლეხკომს გავკარი კბილია,
ნეტავ რა არის ფულებზე
ამ ქვეყნად უფრო ტკბილია?

გლახკომის თავმჯდომარე დათიკო დევდარიანი

შალვა ჩემო სიხარულო
და ტერენტი ნიჭით სრულო,
მე ხომ თქვენი კუდი გავხდი.
რას მეტყვით. რომ აგისრულოთ?

# ცნობათა მიღება



**ნაწამებს.** თქვენზი ნაკლები ჭაპან-წყვეტა არც ჩვენ გადაგვიტანია, რომ „ტელას" სინათლე გაეყვანა ჩვენს ბინაში. მაგრამ ასეთი მკაცრი წერილი ჩვენ არ დაგვიწერია მაზე. თქვენ ხუთი თვე მოგიხდათ ლოდინი და ათასი ტანჯვა. ეს არაფერია შედარებით იმასთან, რაც გადაგვიტანია.

**ჩალვადარს** (იგივე „ტელას" აბონემენტი № 6492). ხელშეკრულება დადებულია 18 მაისს 1927 წ. № 2799... ხოლო სინათლე ესტუმრა 8 თებერვალს (ცხადია 1928 წ.) მაგრამ მიუხედავად ამისა, საყვედური მაინც არ ეკუთვნის „ტელას"... რამდენადაც სინათლე სწრაფია (ფიზიკიდან), იმდენად ზანტია „ტელას" მუშაობა. ასეთია ელექტრონის კანონი (დადებითი და უარყოფითი ელექტრონაკადი).

მაგრამ ყველა ამას რომ თავი დავანებოთ, წერილის მოთავსება მაინც ვერ შეიტანს ზაჭესის სინათლეს იმ დაბლართულ ლაბითურულ (უნდა იყოს—ლაბირინთულ) მუშაობის სისტემაში, რომლითაც მუშაობს „ტელას".

**„არ მოგასვენებ"-ს.** ვერც დიდათ შეგაწუხებ თქვენი წერილებით—ავიღებთ და კალათში ვაკრევინებთ თავს და აბა ვნახოთ თუ არ მოისვენებთ!

**ფიდოს.** არც ერთს არ გირჩევთ პოეტებათ გახდომას. სხვა რამეს მოჰკიდეთ ხელი.

„ტარტაროზი"-ს არქივში № 0709183-ით აღნიშნულია შემდეგი სურათი და წარწერა:



**პოეტი ლექსს წერს ზაჰესზე და ზაჰესის სინათლე კი არ არის გაყვანილი მის ბინაში )შესაძლებელია მას არც თვით ზაჰესი უნახავს!).**

ჩვენი გულწრფელი რჩევაა—დელეგატს ნუ აგზავნით ქუთაისში რიონჰესზე ლექსის დასაწერათ.

**პარ-ბ-ს:** ანდა თქვენს მაყრებს რატომ უნდა ედარდათ ქუდებზე, თუ კი თავი „გაუტეხელი" წამოიღეს!

**ზუარ-ბეკს** (ტყიბული): მე კაი კაცო, თუ კი მძიმე ავათ ხართ (ტყიბულის გზაზე დაეცით და დაიმტვრიეთ), რაღა ლექსის წერის თავი გაქვთ!?

რიკორიკოს (ტყიბული): რა თქვენი საქმეა!?

ონელს:—ძალიან კარგად მოქცეულა მასპინძელი.

კურკანტელას:—მართალია: „კესარიასთან ჩხუბი არც ისე ხუმრობაა", მაგრამ „ტარტაროზი"-ს თანამშრომლობა არც ისე ადვილი საქმეა, როგორც თქვენ გგონიათ.

**„პიკორას"**—ასეთი წერილებით ვერ მიაღწევთ მიზანს—გახდეთ ჩვენი მუდმივი თანამშრომელი.

**ქ. ბანის:**—თქვენი შარადა ასე იწყება:

**არის ორგანო, რომელიც**
**სამართლის საქმეს განაგებს.**
**ბოროტებას და სიავეს**
**ადებს საშინელ განაჩენს.**

ტარტაროზმაც საშინელი განაჩენი გამოიტანა თქვენს შარადაზე—მოთავსდეს იგი (შარადა) უფსკრულ გოდოლში და ამის შესახებ ეცნობოს მის ავტორს

მაგრამ, როგორ უნდა დაიკარგოს ასეთი მშვენიერი გამოთქმები და რითმები (ისიც ასეთ ზამთარში, როცა შეშა არ იშოვება!):

**ქვით ნაშენი, კედლებს შუა**
**რაშიც ხალხი ანთებს ცეცხლსა,**
**სიცივეში წამომჯდარი**
**არხეინათ ითბობს გვერდსა**

ეს არის ბუხარი, რომელსაც არ აწყენდა ასეთი შარადები.

**გუტო გორისელს:**—ჩვენ ისედაც ბევრს ვაგზავნით მის მასალებს სარედაქციო კალათში. ეს იქნებოდა გამოწვევა, რის შემდეგაც ის მოსვენებას აღარ მოგვცემდა მასალების გზავნით. შევედივართ რა ჩვენ მიკროკის მდგომარეობაში, რომ მას უხდება სარედაქციო კალათის დალა. ჩვენ არ შეგვიძლია დავბეჭდოთ თქვენი შარადა და მას ვაგზავნით იმავე კალათში, სადაც არის მისი მასალები, დეე, იქ ინახულონ ერთმანეთი.

**დ. ცხომელიძეს:**—მიმართეთ სასამართლოს.

ვაზს (კარანახი):—ჩვენ სიამოვნებით დავბეჭდავდით თქვენს ლექსს:

**ოდელა დელა დელასა.**
**უნდა ვესტუმრო ყველასა;**
**ხუყველას სათითაოთა**
**მივართმევ შემწვარ მელასა,—.**

მაგრამ „ყველა მელას ხორცს არ სჭამს" და თქვენ ტყუილათ შეიწუხებდით თავს ყველასთან ჩამოვლით.

ფილთაქვას (სადგ. გურჯაანი): რას ერჩით საშა წულუკიძეს? კაცი იმიტომ გაიპარა, რომ, ალბათ, შერცხვა ამდენი ვალების და ნისიების, რომლის გადახდაზე იგი ბოლო თუ თავს იწუხებდა, არამედ არც კი ფიქრობდა. მიიღეთ მისგან ვალებისა და ნისიების ასანაზღაურებლად ის პატივისცემა, რომელიც მას მიუძღვის თქვენს მიმართ, როგორც სახელოვან, პროფესიონალურ ტოლუმბაშს. თავი ნუ უგეშეთ იმით, რომ თქვენისებური ამბავი სხვებსაც დაემართათ, მაგალითად, მოუსმინოთ.

**„პაკუა მტკაველას"**, რომელიც შემდეგ გვატყობინებს საჯევახოს არე-მარიდან:

**ირაკლი მახათაძე თავისი ცოლით მუდმივ საცხოვრებლად ტყბიულში გადასახლდა... და ეს ამბავი ისე მოხდა, რომ კრედიტორებს არ გაუგიათ. ამიტომ მარკოზ ღვდელი თავისი ფოფოდიათი დასტირის 12 ფუთ ადესის ღვინოს, (რომელიც ირიცხება მახათაძეზე); ნათლია პართენ (ესეც თავისი ცოლით)—1400 ლარიან კრამიტს, რომელიც ირაკლის უსესხებია მისგან; მოსე მღვდელი—28 ფუთ სიმინდს; აპეკუნი თედო—17 ფუთ სიმინდს (ცოლქმარმა როგორ შესჭამეს ამდენი სიმინდი!) და სხვა პატივისცემას; მედუქნე ბესარიონ—11 მანეთის ნისიას.**

**გარდა ამისა გამზრდელი მამაო. მარკოზი აცხადებს ყველას (და უფრო კი ნათესავების) საყურადღებოთ, რომ ჩაეწერონ სანამ გვიან არ არის „ირაკლი მახათაძის მევალეთა სია„-ში. ამის შემდეგ შესაძლებელი იქნება ერთად გამოსვლა და ნოტის გაგზავნა ტყიბულში ირაკლისადმი, რომელიც ტყიბულში „იცინის, იცინის, კვდება სიცილითა",**

# ხშირი მოვლენა



— როგორ არის ივანე თქვენი გზების საქმე — კიდევ არ დასრულდა?

— რა დაასრულებს, ჩემო გიორგი: რამდენი ალმასკომის თავმჯდომარე მოვიდა, ყველამ თავისი სახლისაკენ გაიყვანა გზის პლანი და გზას არასოდეს აღარ ეღირსა დასრულება,

პოლიგრაფტრესტის მე-5-ე სტამბა, კამოს ქ. № 8

კვირა. 11 მარტი 1928 წ. № 143 წელიწადი მეხუთე ფასი 15 კაპ.

# ტარტაროზი

## „საპატიო მიზეზი“




ცოლი: გავწყდი წელში ამდენი მუშაობით, დღეს მაინც მომეხმარე და გამანთავისუფლე.
ქმარი: სად მცალია შენს გასანთავისუფლებლად? დღეს რვა მარტია და მოხსენებისთვის ვემზადები — ქალთა განთავისუფლების შესახებ.

# ეგნატე, როგორც მეუღლე

— ეგნატე, შეირთე გელაპარაკები, მაგისთანა ქალი ერთია საქართველოში და ის ერთიც ეგ არის! ფული აქვს, ქონება, სახელი და დიდება... ეს აუარებელი დუქნები რომ არის, ეგენი არაა მაგის სამზითვო, თორემ სხვა ყველა სხვისია...

ეგნატემ იფიქრა, იფიქრა და ბოლოს შეირთო ის ერთად - ერთი ქალი საქართველოში.

— მადლობა ღმერთს, ამ პატარა საქართველოში ერთი ყვავილი იყო და ისიც მე მოვწყვიტე,—კმაყოფილებით იღიმებოდა ეგნატე.

გავიდა დრო. სიყვარულის ცეცხლი ცოტათი მინელდა. ბოლოს სულ განელდა და სულ ბოლოს მთლად ჩაქრა.

— მოდი კინოში წავიდეთ! უთხრა ერთ დღეს ქალმა. ეგნატე აექვიანდა.

— კინოში? კი მაგრამ... ხომ იცი, ახლა კინოს დრო არ არის, სურათიც არაა ხეირიანი.

— მაშ თეატრში წავიდეთ!

— თეატრი რა გგონია ვითომ? ახლანდელი თეატრი...

— აბა კლუბში მაინც შევიაროთ!

— კლუბი კი არა ის არ გინდა! რა სეირნობა აგიტყდა ქალო.

— მაშ დავჯდე და გიყურო?

— განა არ იცი?

ეგნატემაც უთხრა, ცოლმაც უპასუხა, ეგნატემ იწყინა, ცოლი გაჯავრდა. ეგნატემ ხმას მოუმატა, ქალმა ცრემლები მოიხმო. ეგნატე აყვირდა, ქალმა ბროლის საწყლე მოიმარჯვა და იატაკზე დაამშენა.

— ვაიმე ჩემო ღრაფინკავ!—ალრიალდა ეგნატე.

— ვაი შენ და ქარ-ცეცხლი, შე უშნო!

— აი შე უნამუსოვ?

— აი შე ცხოველო, ესეც შენ... და ქალის ისტერიულ ყვირილს ფაიფურის ჭურჭლის მტვრევის ხმაური შეერთო.

— დავიღუპე, ჩემი ფარფორის ჭურჭელი...—გაცეცხლდა ეგნატე და ქალისაკენ წაიწია. ამას მოყვა მარელისის ქარხანაში მექანიკურ წესით დამზადებულ სკამის გასეირნება ეგნატეს ზურგზე. ეგნატემ სკამს ეტაჟერკის მოქნევით უპასუხა, მაგრამ უცებ ცოლისგან ძარჯვეთ გაქნეული „კეროსინკა“ მოხვდა თავში და ნავთში განიბანა. კეროსინკით შემოტევას ეგნატე ხორცის საჭრელ მანქანით დაუხვდა, მაგრამ იმავე წუთს იგრძნო ახალ ნაყიდ სამოვრის სიმძიმე, რამაც კინაღამ შეიწირა ეგნატეს წელი.

ბრძოლა გამწვავდა. შეყვარებულები გააფთრებით ეკვეთენ ერთი - მეორეს. შეტაკება საათზე მეტი გაგრძელდა. ბრძოლის ველი, საბოლოოდ შემდეგ სურათს წარმოადგენდა: დამტვრეული ავეჯი ერთი მეორეზე იყო შეყრილი, გულ-წასულ ქალს მეზობლები აბრუნებდნენ, თავგატეხილი ეგნატე კი სასწრაფო დახმარების ეტლის საძებრად დარბოდა.

— გაიყარენით შე კაცო,—ეუბნებოდნენ მეზობლები, ეგნატეს.

— როგორ გავეყარო, ხომ მომეჭრა თავი ქვეყანაში,—იმართლებდა თავს იგი.

— რა ეშმაკმა შემართვია მაგი შეჩვენებული, მეგონა ყვავილი მოვწყვიტე თქო და თურმე ნამდვილი ქინქარი შემხვედრია.

გავიდა დრო. კვირაში ერთხელ ეგნატეს ბინაში გენერალური ბრძოლა იმართებოდა. ომის დროს, როგორც მიღებულია, ჯარისკაცები ყველაზე მეტი იხარჯებოდა (ჯარისკაცებში იგულისხმება: შუშეულობა, ავეჯი, ჭურჭელი და სხვ.).

მოხდა ისე, რომ ეგნატეს მეუღლე წარმოებაში მიიღეს სამუშაოთ აქ იგი მეტად მუყაითი აღმოჩნდა და ადამიაური ძოაკოოპა იგოოიო. ეგნატე კი, როთელიც ფეხზე ვაჭრობას მისდევდა, თანდათან მკაცრი ხდებოდა და ბოლოს ნამდვილ მუსოლინად მოქონდა თავი.

მოხდა ისეც, რომ რევოლიუცია მოხდა. მას ბევრი ბრწყინვალე რამ მოუყვა და სხვათა შორის, ქალთა საერთაშორისო დღის თავისუფალი დღესასწაული.

ერთ ასეთ დღეს, ქალთა საერთაშორისო დღეს, ეგნატეს მეუღლე დააწინაურეს და ადგილობრივ ზაქსის გამგის მოადგილეთ დანიშნეს. აქ მან დაწვრილებით გაიგო ყველაფერი.

კიდევ ბოლოს საქმე იქამდე მივიდა, რომ ეგნატეს და მისი მეუღლის გაშორების საკითხი დაისვა. ეგნატეს მეუღლემ საქმე ზაქსში გადაიტანა და....

— ეს რა საქმე მომივიდა, ქალმა მიმატოვა,—ამბობდა ხახა მშრალი ეგნატე, როცა ზაქსიდან დაბრუნდა მარტოდ მარტო.

აქეთ ეცა, იქეთ ეცა, მაგრამ ამაოდ: ცოლი ველარ დაიბრუნა. ბოლოს გადასწყვიტა ისევ პრესის საშუალებით გამოემჟღავნებია ცოლის საქციელი და გაზეთში ასეთი წერილი გაგზავნა:

## „ალვირი ამოსდეთ ამ ქალბატონს“

მე მყავდა ცოლი, რომელიც შევირთე. რადგან ცოლიანი კაცი გავხდი, ვაჭრობის საქმეც გავაფართოვე, მაგრამ ცოლი გამექცა სრულებით უმიზეზოთ. იმედია, პრესა და უბნის მილიცია ყურადღებას მიაქცევს ჩემს მდგომარეობას, რადგანაც ამით ვაჭრობაში მეშლება ხელი. მაშ ასე, ალვირი ასეთ ქალბატონებს, რომლებიც ხელს უშლიან ვაჭრობა - მრეწველობას და ამით არღვევენ გეგმიან მუშაობას.

ეგნატემ გადაიკითხა წერილი.

— კონტრ-რევოლიუციონერობას დამწამებენ...—გაიფიქრა მან და წერილს მიუმატა:

„არავინ იფიქროს, რომ მე ქალების მტერი ვიყო. პირიქით, მე თავიდანვე ვიყავი ქალთა საერთაშორისო დღის მომხრე, მაგრამ ხომ იცით, ქალი ეშმაკია, ამიტომ მოვითხოვ დამიბრუნოთ ჩემი „სულის კლაპიტონი“, რომ ისევ შევუდგე სოციალისტურ აღმა-შენებლობას“.

## ფეხვაჭკორი ეგნატუშკა

ეგნატე ელის წერილის დაბეჭდვას. ელის, მაგრამ უშედეგოთ. მისმა კლაპიტონმა კი ზაქსის გამგეობა მიიღო, ქალთა განყოფილებას დაუხალოვდა. იქიდან უშლის ხელს ეგნატეების აღმა-შენებლობას.

მუზ—მუზ

# „მიმაგრებული ამხანაგი“

— ჩქარა გაათავე სადილი, სუფრა უნდა ავალაგო, კრებაზე მეჩქარება.

— სად არის კრება?

— ვითომ არ იცი? სად იქნება! ჩვენს კლუბშია.

— მამაკაცს არ შეუძლია დაესწროს?

— როგორ? შენ ხომ არ აპირებ წამოსვლას?

— წამოვიდოდი, თუ შეიძლება.

— არა, დღეს მხოლოდ პარტიულ ქალების კრებაა.

— შენ ხომ პარტიული არა ხარ?

— ჯერ არა ვარ, მაგრამ მალე ვიქნები.

— რა საკითხს არჩევთ, შეიძლება გავიგო?

— ეგ შენ არ გეხება. დღეს „მიმაგრებული ამხანაგი“ აკეთებს მოხსენებას.

— ვინ არის ეს „მიმაგრებული ამხანაგი“?

— არც ეს არის შენი საქმე.

ცოლმა აალაგა სუფრა ნაჩქარევად, მისწმინდ-მოსწმინდა თეფშები და დაჯდა სარკესთან. ცოტა ნაწყენი დავრჩი, რომ სადილზე ათი წუთი არ გაჩერდა, ხოლო სარკეს ნახევარი საათი უტრიალა, მაგრამ მას არაფერი ვუთხარი.

შარია მეთქი, ვიფიქრე. დამალავს ქალების დევნას და რო დააყენოს საკითხი კრებაზე, „მიმაგრებული ამხანაგი“ შავს დღეს დამაყრის... ისევ სჯობს შემდეგ გავახსენო, როცა კრებიდან დაბრუნდება.

წავიდა ჩემი ცოლი. მე წამოვწექი ლოგინზე და ჩემდა უნებურად დავიწყე ფიქრი „მიმაგრებულ ამხანაგზე“... მიმეძინა.

— აუტანელია, ასეთი ცხოვრება... თავის ხელით ლუკმას ვერ ჩაიდებს პირში. ყველაფერი მე უნდა გაუმზადო. თუ რამე არ მოეწონა, ცხვირში ამომკრავს, მცემს, მაწამებს, — ლაპარაკობს ჩემი ცოლი კრებაზე.

„მიმაგრებულ ამხანაგს“ შეაქვს წინადადება: „გამოეცხადოს ელიზბარს უკანასკნელი გაფრთხილება და მაკრინეს უფლება მიეცეს ერთი კვირის ვადით უსადილოთ დასტოვოს თავისი ქმარი“.

— ხალხნო, ჩემს დღეში „გენაცვალე“-ს მეტი არაფერი მიკადრებია ჩემი ცოლისთვის, სტყუის, იწამეთ ღმერთი, გამოარკვიეთ, ჰკითხეთ ყველას, — ვყვირი კრებაზე, მაგრამ არავინ მისმენს.

როცა წინადადება ერთხმად იქნა მიღებული, შეშინებული წამოვარდი ჩუზე, გამომეღვიძა.

— მადლობა ღმერთს, სიზმარი ყოფილა,—ვსთქვი და ისევ დავწევი.

წარმოიდგინეთ, სიზმარმა ისე იმოქმედა, რომ ხელმეორედ ძილი ველარ მოვიბრუნე. ვერ მოვისვენე.

— ვინ იცის, იქნება მართლა ასეთი ამბავია კრებაზე, —ვფიქრობ ჩემთვის.

ავდექი ჩავიცვი ტანზე და გამოვედი გარეთ. დაღამებულა.

— ვიცოდე მაინც, სად არის ის კლუბი? სად დადის ჩემი ცოლი? იქნება მატყუებს; იქნება პოემანზე დადის? არა. არა. ეს როგორ შეიძლება! ამას არ იკადრებს... განსაკუთრებით რომ იკაზმება წასვლის წინ? მერე რა უყოთ, „აკურატნობა“ უყვარს... — ასეთ ფიქრებში გართულმა თვალი მოვჰკარი ჩემს ცოლს, რომელსაც მხარ და მხარ მოჰყვება ახალგაზრდა ვაჟი. ელექტრონის სინათლე მკრთალად ანათებდა და ვერ შევნიშნე, — მკლავში ჰქონდა თუ არა ხელი გაყრილი.

მომიახლოვდენ და ვხედავ, რომ ახალგაზრდას მაგრად უჭირავს ჩემი ცოლის მკლავი ხელში და რაღაცას ეჩურჩულება.

— ელიზბარ! — მომაძახა ცოლმა დანახვისთანავე, გაიცანი ჩვენი „მიმაგრებული ამხანაგი“.

ვაჟმა მაშინვე ხელი გაუშვა ჩემი ცოლის მკლავს, რომელიც „მიმაგრებული“ ჰქონდა გულზე და თავაზიანად ხელი ჩამომართვა.

ამ საღამოს შემდეგ მე აღარ მომისვენია. ძალიან დამაფიქრა ამ „მიმაგრებულმა ამხანაგმა“.

მინდოდა გამომერკვია მისი ვინაობა. თანამდებობა, ფუნქციები და რაც მთავარია, ჩემს ცოლთან ურთიერთობის საკითხი.

ერთ დღეს, როცა ჩემი ცოლი ჩვეულებრივ წავიდა „კრებაზე“, ფარულად უკან გავყევი. ჯერ მინდოდა გამეგო სად იყო იმისი კლუბი.

მიდის, მივყვები, მოუხვევს—მოუხვევ. ძალიან დაშორებით მივდივარ მისგან, რომ თვალი არ მომკრას.

მიადგა ერთ სახლს. მე ამოვეფარე ტელეგრაფის ბოძს. მან მიიხედ - მოიხედა და კარები გაიღო. შევიდა ჩაიკეტა კარები.

მივედი იმავე კარებთან და თავი მივეცი ფიქრებს.

რა უნდა ვქნა! დავაკაკუნო? ვაი თუ მიფრინა „მიმაგრებულმა ამხანაგმა“! კი, მაგრამ, ეს ხომ კლუბს არ ჰგავს. ეს უბრალო ბინაა!

გადავსწყვიტე დაველოდო აქ ბოლომდე, სანამ კრება გათავდებოდეს. ხომ გამოვლენ გარეთ? თუ ბევრი ხალხი გამოვიდა. მაშასადამე, კლუბიც ყოფილა და კრებაც, თუ არა და საკითხი ნათელია.

დაღამდა. ჩამობნელდა. ვდგევარ ზაჰესის ბოძივით, ამ სახლის პირდაპირ და ვზვერავ არე-მარეს.

გაიღო კარები. მე გავექანე ბნელი კუთხისაკენ და ბოძს ამოვეფარე.

გამოვიდა ჩემი „კნეინა“ და გამოჰყვა „მიმაგრებული ამხანაგი“. ერთიც ჩემს თვალწინ მაგრად ჩაჰკოცნეს ერთმანეთი და ხელი-ხელ გაყრილი გაუდგენ გზას.

ჩემი სახლის შესავალ კარებთან გამოირკვა საკითხი: რის კრება, რის მიმაგრებული ამხანაგი, თურმე ჩემი ცოლი ვიღაც გაფხეკილ სტუდენტთან დადის და იქ ისმენს „მიმაგრებულ ამხანაგის“ საუბარს.

სეგეირ—ბენ შეიხ.

# თავისებურად გაიგო



მილიციელი: (ხულიგანს, რომელიც თავისუფლების მოედანზე ღრიალებს).

— მოქალაქე, რას ღრიალებ, არ იცი, რომ ქალაქში წესრიგის დარღვევა აკრძალულია?

ხულიგანი: — ვა, მე სხვა ქუჩაზე ხომ არა ვყვირი, აქ თავისუფლების მოედანია და მეც თავისუფლად ვიქცევი...

# ცოლი გამიბატონდა

იგი სალოკავი თითი, რომელიც თავმჯდომარეს ოუწიე არჩევნების დროს ლადამში რომ მეკრა არ ძერჩია?! რავა გამომშხამა ტერ-მოყვარეში, როგორი საათივით მოწყობილი ოჯახი ამისვარა... და დამისვარა. რავარი უცნაური პერევაროტი მომიხდინა ოჯახში. რომ გამახსენდება ბრაზისაგან ცეცხლი მეკიდება ფიოფიყაზე.

ერთს რომ დევიყვირებდი, ორფეხი და ოთხფეხი შიშით ხვანხვალობდენ. მიქარავდა ჩემბერლენები ჩემთან. ბევრჯერ მეინდომა კესარიამ ჩემი განიარაღება, მარა ბრახწი გოუკეთე. მშვიდობიანობის კომისიაც კი შემომიჩინა თავისიანებისაგან შემდგარი, მარა ახლოსაც არ გევკარე. ჯამაგირს რომ ევიღებდი, დუქნიდან — დუქანში გადავდიოდი ყირაზე, მთელი დღის ნაქეიფარი სახლში რომ მევიდოდი დედი მისი შვილი იყო და ვინმე წარბს შეაქანებდა და ნიკოლოზს სალდათივით არ გაჩიკინდებოდა შავი დღეი ელოდათ; ქე ვიყავი ბატონი და მბრძანებელი, რომ ასეთ ყოფაში დევვეყენებიე იმ ხბო ყაძახს, მარა არ შეგჭამოს ჭირმა; გამოამცხადა პროფკავშირის კრებაზე პრიკაზია მოსული კავშირის წევრებმა თავიანთი ცოლები უნდა გააქციონ არონიონ კრებებზე და ქალთა სადელეგატო ინსტიტუტში"-ო, როგორც კისრის მოჭრა, ისე მისი კრებაზე გარევა არ მინდოდა. მარა ნათქვამია, „ერთმა თუ იცის ლორმაც იცის"-ო და ჩემი კნეინას ყურამდისაც მისულა ეს პრიკაზი. გევიხედე ერთ შავ დღეს ქე არ წამოსკუპებულა ქალთა კრებაზე პირველ რიგში? ვისკვლიცე შუბლში ხელი, მოუსვი სახლისაკენ გოდოურაზე კარები. სანამდი არ შემომფიცა „აწი აღარ წავალო", მანამ ოთახში არ შემოვახედე.

გევიდა სწორი, კიდევ შევისწარი კრებაზე. პოვდექი მომდექიო?!. მოძდგა მარა რა მომდგა აგი ენა ჩავარდნილი, 10 წელიწადია მისგან სიტყვის შემობრუნება რომ არ მახსოვდა, არ მომჯდა ზურგზე?!. ვიფიქრე, მოჰხედა ღმერთმა, ნამდვილათ ვინცხა შეუყვარდა, თუ გავთავისუფლდი ახლა მეშველა მეთქი, ვზდიე კრებებზე სიშრიკივით მარა ანაგებად რომ არის მგზავსი იმისანე ვერაფერი უნახე. რამდენი დღეი გევიდა იმდენი გული და გამბედაობა მიეცა. რომ შეუტიე და შეუყვირა დამერჩა, ქალთა ორგანიზაციაში გიჩივლეფ და საჯაროთ გაგასამართლებ"-ო. ქე გეჯეროს, ნათქვამია „ქალმა თუ გეიწია 10 ულელ კამეჩს გაათრევს"-ო, და მე ორ გოჯიანი ყაზახი ხომ ამომთხარა ძირ-ფესვიანათ დედა მიწის გულიდან მეთქი, რას იზამ ძალა აღმართს ხნავს.

ამდენ ხანს თვითონ პეხვეწებოდა და ახლა მე გამიხდა ყვავილ ბატონებისავით საბოდიშებელი, გოუშვა, რავა გოუშვა ხომ წელით თუ რამე გამარჩია და დამაჯინა ცივ ქვაზე! საწყლი მაგენისკენ გადაქანდა. რავა ამოვიღებ ხმას. ახლა რვა მარტია და ქალების დღესასწაული გვაქო დაგვირიშტობს კრებიდან - კრებაზე და კონფერენციებზე, მაგისი შიშით სამიკიტნოში ველარ შემიხედნია; ისევე უნდა დავჯდე სახლში და უფშუკური ბუხარში ნიგუზალს.

რას იზამ, თუ იცი? უტავარიშოთ ხმას ვერ გასცემ, ქენადელი მისია და რავნაპრავია, სულ ქვეშ კაი მეიგონეს მაგი თანასწორობა, მარა მეც ქე გამასწორა ჩემმა კესარიამ დედამიწასთან და აგია!

ვახტანდი.

# გალმა გაედავე...



„დიდი თოვლის გამო ბევრს ხაზებზე გაჩერდა სამგზავრო მატარებლები". — გაზეთებიდან.

**რევიზორი:** მოქალაქე, თქვენ უბილეთოდ მგზავრობისათვის დაჯარიმებული ხართ.

**მგზავრი:** რავა გეკადრება, პირიქით, მე უნდა დაგაჯარიმოთ; რომ სამი დღეა თოვლში გამაჩერეთ და ხუქმეს გამაცდინეთ.

# რადიო--ანგარიში

**(ხმები მწერალთა ყრილობიდან)**

რადიოთი ტარტაროზის სააგენტოს გადასცემ შემდეგი ინფორმაცია:

7 მარტს თბილისში გაიხსნა სრულიად საქართველოს მწერალთა და პოეტთა ყრილობა. ყრილობას ხსნის სილვა თოდრია.

თავმჯდომარე — საქართველოს მწერალთა კავშირს უკანასკნელი წლების განმავლობაში უფრო მშვიდობიან პირობებში მოუხდა მუშაობა. ჩვენ შევერჩიეთ გეგმების განხორციელებას. სამუშაო გეგმა შევასრულეთ 50 პროცენტით. გთხოვთ პატივი სცეთ განსვენებული მწერლების ხსოვნას. (მხცოვანი მწერლები ფეხზე დგებიან, ფუტურისტები ჯდებიან) რადიო ხშირად წყდება. ამიტომ სტენოგრაფიულ ანგარიშის მთლიანად გადაცემა არ ხერხდება. მოგვყავს ნაწყვეტები ფ. მახარაძის მოხსენებიდან —საკმაოდ შევამცირეთ წ.-კ. უცოდინარობა. ადგილი აქვს დიდ კულტურულ ზრდას, მასების კულტურული მოთხოვნილება იზრდება.

**(ხმები სხვადასხვა ადგილებიდან)**—ჩვენ ვიცით წერა.

— ჩვენ მიზანს შეადგენს კულტურულ მუშაობაში ფართოდ ჩავაბათ ქვეყნის სასიცოცხლო ძალები

**ხმები** — ე, ბიჭო სიმონიკა, ეგება იშოვო ადგილი.— გაუმარჯოს ჯამაგირიან პოეტებს.—გოგლა ჯან, სამსახურს მოუთვალთვალე.

— მწერალმა უნდა აგრძნობინოს მასას თანამედროვე აღმშენებლობის სიდიადე. მწერლობის თემა უნდა წარმოიშვას დღევანდელი სინამდვილის საფუძველზე.

ცეცხლაძე — მინდოდა, მაგრამ ჩემი ლექსები არავის ეგრძნო.

გალაქტიონი — პოოჰ. თოჰ.გრძნობა უმთავრესია. დიახ, დიახ. გრძნობაა თვით ლექსი... მწერლობა... პოოჰჰ. დიახ. გენია ყველაფერი. კაი ღვინოც ფრანიშნავია...

ამხ. ფილიპე მახარაძის მოხსენებით პირველი სხდომა იხურება ოფიციალურად. ყრილობის სტუმრები განაგრძობენ:

— ჩვენ მოვითხოვთ, „მწუხარე გედების“ ასოციაციიდან დაშვებული იყონ დელეგატები ყრილობაზე.

— მწერალ ქალებს ცოტა ადგილები აქვთ დათმობილი, გამიშვით ყრილობაზე!

— „ყვითელ ზამბახების“ კორპორაცია პრეზიდიუმში მოითხოვს ორ ადგილს. მოგვეცით მანდატები

### მეორე სხდომა

ბ. ბუაჩიძე. მწერლობაში ჩვენ გვაინტერესებს ფორმის შინაარსია და მიდგომის საკითხი. ძველი მწერლობით ჩვენ ვსარგებლობთ ნაწილობრივ.

**ხმა ფუტურისტებიდან.** ჩვენ ვსარგებლობთ ახალი რუსული მწერლობით.

— ჯან. სიმონ. დასცხე!

კაპანელი — ჩვენ, ბატონებო, შეზარხოშებული არაფები გახლავართ საქიბოშიც კარგი ბოხბაში და ხაშლამა სცოდნიათ. იქიდან წამოყოლილი თანამესუფრეობა— პოეზიაშიაც შეგვაქვს დანარჩენს გრონტი მოგახსენებთ.

არ. ქუმბაძე—მიდგომის საკითხი სარიტოროთ ჰიმარნია. სახარებაში სწერია: „და მიუდგა აბრაამი რებეკას, რომელმაც შვა ისააკ.

**ხმა იპოლიტე ვართაგავას** ხკამიდან.—სახარებაში ეგრე არ სწერია „სრული წმინდა გადმოვიდეს მარიამსა ზედა და იშვას მეაია...

რაჟდენ — მოითმინეთ, მოითმინეთ პარადობაზე არ იყოს ლაპარაკი!

გრიშაშვილი — დაიცადეთ კაცო რა პირში უვარდებით. ჩვენც გვინდა ლაპარაკი. თავმჯდომარე—გრიგოლ, დარეკე ზარი.

პაოლო—თავი დავანებოთ აბრამისა და რებეკას ეშმაკობას. მაშინ უკულტურო ხალხი სცხოვრობდა და გამოთქმებით არ ივიწროებდენ თავს. არც ჩვენ უნდა შევიწროვდეთ. მე ჩემი ლექსისთვის ათი წელიწადია, რაც თემა დამზადებული მაქვს. საჭიროა მხოლოდ მოფიქრება და დაწერა. როდისმე მაგასაც ვიზამ, ეხლა კი მოვითხოვთ, დაგვიცვათ ლუარსაბიძის რეცენზიებისაგან.

— ჩვენ ვართ, ჩვენ (ისმის მემარცხენეთა სკამებზე) რადიო გადაცემა შეწყდა. ალლო, ალლო, ლაპარაკობენ მწერალთა ყრილობიდან. კამათი გრძელდება და დასასრული არ უჩანს—ხვალ მოისმინეთ საანგარიშო მოხსენება. თქვენ გაიგებთ, თუ რამდენი ლექსი დაიწერა ერთი წლის განმავლობაში. რამდენი პოეტი დაიბადა, რამდენი წევრი ყავს მკითხველთა საზოგადოებას.ალლო, ალლო, ლაპარაკობს თბილისი. ხვალ გადმოვცემთ მწერალთა ყრილობის ანგარიშს. ალლო, ალლო!

რადი გრამის ჩამწერი—როქი.

---

# გამოფენა



— ქალო, ახეთ სიცივეში რათ ჩაგიცვამს საზაფხულო პალტო?

— ეს ზამთარი ისე გაჭიანურდა, რომ გაზაფხულის დაცდა აღარ შემიძლია და მე კი ჩქარა მინდა ხალხს ვაჩვენო რომ ახალი კოვერკოტის პალტო მაქვს.

# „განმარტება“




— ვაცო, უბრალო მოწმობის მისაღებად მთელი თვე უნდა მაცდევინოთ?

— ჩვენი ლოზუნგია: მუშაობის წინ წაწევა, მეც შენი განცხადება წინ გადავდე...

# ივლიანე ჯიბუა თბილისში

თუ ისეთი დრო დადგებოდა, რომ ქალი ყველაფერში აჯობებდა კაცს, იმ ჩემ ყაზირალს შევაბრუნებდი, საიდანაც გამოძვრა!

ვოჯო! გადავყევი მის სწავლა-განათლებას; გავახრიგინებიე სოფლის ორკლასიანი სასწავლებელი თუ არა,— ერთი პროტექცია და ზე ამოვაყოფიე თავი ნასილჩიკათ თბილისის ქალაქის სტანციაში.

ვიფიქრე: — აწი კი დევისვენებ და ცხოვრებაც სახარბიელო მექნება მეთქი.

მარა არ გოუარია ორ თვეს და ქე მომადგა კარზე.

— ბაბო! ზაკრაშენიაში მომახვედრესო!

რაღა მექნა. ეეიკარი ჩემი ბარგი-ბარხანე; გევიგდე წინ ჩემი ბალანე და ოთხ საათში შვლექა გავადინე პლატფორმაზე. ვაი ისე გაჯახირდა ჩემბერნელისსული, რავარც მე გამაჯახირა კონდუქტორებმა.

ჩამეიარა მატარებელმა თუ არა, ვეცი ვაგონის კარებს. დაკეტილია! ვეტეკე მეორეს, — დახურულია, ვესკვლიცე მესამეს, — დარაზულია, მოვახტი მეოთხეს, —იჭყრიტება ფანრით რუსის ქალი. „პრახადი“-ო მიძახის. შემიშვი, ქაღალდსაც გიჩვენებ და ბილეთსაც — მეთქი. არ წამილანდა სიახლოვეს. იბლავლა პოვეზმა; მომედვა ცეცხლი... ე! ბიჭო ივლიანავ! თუ გივარგა წელი — მეთქი, — შემოუძახე თავს, ვისკუპე და ზე მივეფსკვენი უკან.

ჩივედით თბილისში. ვეტეკე სიმონა ბუზის ღლაპიას. შევპირდი ყოველივე სიკეთე და მეორე დღესვე ჩააზარინ დიდი უშველებელი ნომერიანი ფართუკი ჩემ ბიჭს.

მოვაკვარახჭინე საქმე თუ არა, გადავწყვიტე რაღამც თბილისში ჩამევედი, ერთს გევილაღანებ მაინც-მეთქი.

დოუყევი ტოტროუარს. მარა რა ნახა ჩემმა დასაფშუკვმა თვალებმა! რომ მივდივარ ამ „გლავნი“ ქუჩაზე, ჩამოქროლა ერთმა გაზიზინ-გატკიცინებულმა ციცამ გვერდით; ისეა გადანდალებული, რომ პადრუჩკის გაკეთებას ვერ აიტანს. ახლა ჩაცმას არ იკითხავ?! (ვაი მისი ჭირიმე!) კაბა აცვია იმისმოკლე, იმისმოკლე, რომ მუხლის კვირისტავზე ერთი ტკაველით არის აცილებული. წელზევით თლა შიშველია. დამემართა ბანდალეი, დამესხა ტარაბუა. რას ნახავს ამის უკეთეს ჩემი თვალები — მეთქი და ავეტორღიალე უკან. მიდის და მივზდევ უკან. გევიხედე — ჩამიქროლა მეორემ. მარა, აგი თლა გადასარევია. მივატუე იგი და ავედევნე ამას. გააჩერეს კონკილაი. და უნდა რომ შეაჯინონ. აწიაფეხი, წამევიდა ეს ისედაც მოკლე კაბა და ზედ მიეხვეტა იმაზე.

ჩამიწყდა გულის ძარღვი; ამეწვა ფირფიტაი. ვეტეკო, რავა ვეტეკო, — არა და რავა გოუშვა.

— რას დაგიღია პირიო ჩამძახა ვიღაცამ ყურში.

მევიხედე — ჩემი ბიჭი აკაკიე. თუ დეილუპე, შვილო, აქანე დამელუპები ამგენის შემხედვარე — მეთქი: წამოი ისევ შინ, ვთოხნოთ და ვფოცხოთ ყანები!

არა, ბაბა შენ გეტოშა, თვარა ჩვენ თვალი გვაქვს შეჩვეულიო.

— რას ამბობ ბიჭო! დედაშენი შის ჭირისუფალს კოჭებამდე ყავდათ ჩითის კაბაში გახვეული და მისი კუდი ერ საყენზე მიფორიალობდა უკან, მარა ჯვრის წერამდე სამჯერ გადოუხტი ბაღჩაში! მოწამლული ხართ ახალგაზრდები, თვარა ერთი ვერ დამიძვრება ხელიდგან!

— ბ-ბა აგენი სულ სხვა პოლიტიკიზა იმოკლიბენ კაბასო... რამდენი შემოკლიბა ჩატარდება შტატისა, აგენი იმდენ დაოკლებას ახდენენ კაბისას, რათა ამით მიიქციონ ყურადღება გამგისაო.

— ბაბა! გამახარე ამ სიბერის დროს და, ითხჯერ რომ ზაკრაშენია მოხთებ ...ისა და კაბისა, თუ შინი თავი შეიდობით გადამირჩეს, მომწერე, ჩამოვალ და მაშინ უკეთესი სანახავი იქნება — მეთქი, — დავუბარე ჩემ ბიჭს დამოვედი შინ.

ალბათ გაზაცხულზე მოხდება, როცა დოუსიცხებს, აგი ამბავი და ერთი უნდა ევირბინო თბილისში!

ყოსტაიდო.

# ქე არ მიხსნა ობლიგაციამ

დედა, დედა, თურმე ფულში ყოფილა ყოლიფერი და მე კი არ ვიცოდი! ვაი, რავა მიღრენდა ძაღლივით, რავა ბურტყულებდა დაჭრილი დათვივით ჩემი ედუკია! ღვთის წყალობა რომ მეთქვა, ღვთის რისხვად ეყურებოდა! მაინც და რომ გადმოაგდებდა ღლავის ბოლოსავით იმ წანკლიან ენას და დეიწყებდა ტარტალს, მთელი ლეგიონი, რომ მიგეყენებია, მაინც ვერ გააჩუმებდი იმ გლახის პირს, იმ ლორჯოს იმასა!

— „წამომიყვანეო, ვერ მარჩენო, ყველა ლაქის ტუფლებით და შალის კაბებით დეიარებაო, მე კი ყოლიფერი მენატრებაო!!!... რომააწყობდა ხოსია მეჩანგურესავით, თელი კვირა ტიროდა მის გამომცემელს! ვიყავი მთელი ჩემი სიცოცხლე: ჩხუბში და ვაი-უშველებელში! ვითამ ცოლათ ქე მეთელებოდა, მარა თუ წელიწადში ერთხელ რაცხაის ხელი არ იყოს, ხასიათზე მევიდოდა და მომიშაქრდებოდა, თვარა ვიყავი გაბდეგილ ბერივით და უყურებდი შორიდან.

ერთხელ უთხარი: — ედუკია, ყველა ყიდულობს, იგი რაცხა ოფლიგაციებია თქვა და მოდი პატარა ჩვენც გევიჭიროთ და ერთი ოფლიგაცია ვიყიდოთ თქვა. დედა, რავა გერმანცკი ტახივით შემომიტია!

— „ბოვშებიზა წუღა ვერ ჩაგიცმევია და შენ რა უნდა იყიდო, შე გლახის პირო, შე მათხოვარო შენა!“-ო.

ვეუბნები: — ბოშო, ვიყიდოთ გეითამაშებს ლატარიაში და...

— რაიო, რაიო? სად გაქვს შე მაიმუნო ლატარიაში ჩასაგდები ფულიო!? ბოშო, კი არ იკარგება თქვა. როცხა გინდა შეიტან ბანკში და ოფლიგაციის საფასურს გამეიტან უკან თქვა; მარა არ შეგჭამოს პირმა! რომ დატრიალდა უკუღმა ბესარიონ ხუცესის ჯორივით, სამ საათს ყარა ტლინკები! „რავა, ლატარიაში ჩანაგდები კიდო იკარგებს, ამას მელაპარაკები შენო! ერთი თუ ჩავარდა მორჩა, დეიწვის. და ის იქნებაო!“.

ბევრი ველაპარაკე, მარა ვერ დევიყოლიე. ურო ვერ დავარტყი თავში და ნებით ვერა შევასმინე რა! მე მაინც არ დოუჯერე და ვიყიდე ერთი ოფლიგაცია, დევიჭირე ხელში და გულის ფანცქალით ველოდი მის გათამაშებას.

რავარც იქნა გათამაშდა ამ წარსულ თებერვალს და ათასი მანეთი მერგო ხახვივით! რომ გამევიტანე ბანკიდან და დოულაგე წინ ჩემს ედუკიას, სიხარულით რაღმე დამკვნიტა კაცი! ჩამეფსკვნა კისერში და მკოცნა და მკოცნა! „ჩემო ბიჭო, ჩემო კარგო, ჩემო ლამაზო, ჩემო ჭკვიანო, ჩემო ტანადო, მოყვანილო, ეშხიანო, შაგვრემანო“... და რა ვიცი რაები არ მითხრა!

დედა, დედა, ფულო, შენ დაგექცეს თავდაპირველი მომგონი! ახლა შევიქენი: ლამაზიც, ჭკვიანიც, ეშხიანიც და ყორისფელი! წინეთ, როცა ფული არ მქონდა, მთლათ მიწასთან მასწორებდა ჩემი ედუკია! „შე გლახა, შე მაიმუნო, უშნო, ლორჯო, ჯუჯავ, უდღეო“... და ვინ იცის რას არ ბრიოდიალობდა!

ეხლა კი კისერზე მყავს ჩამოპორწიალებული და ულვაშები თელათ დამიწყვიტა ბევრი ზევით აგრეხით: „მიყვარს, როცა უყურებ გაშტრიკინებულ ულვაშებს“-ო. დედა, რავა მევისვენე, რავა მევითქვი სული, რავა მიხსნა გაჭირვებიდან ოფლიგაციამ. თვარა ისტე იყო საქმე, რომ, ბაწარში უნდა გამეყო თავი! ვაი, ვენაცვალე მის მომგონს, ვინცხამ ეს ოფლიგაციის ლატარია მეიგონა და ჩემი დასამხელი ედუკია დააწყნარა, თვარა რამდენ წელიწადს უნდა მეყურებია მის დაჯღანულ სახისათვის! მე ქე მომინელებდა და!....

გოგია.

# „ფაქტიური ქორწინება“

ჩამევიდენ თუ არა კომუნისტები პირდაპირ ერთი საჟენი გევიზარდე.

ყველაზე უფრო ის მაინტერესებდა, რო ქალებთან წაიმაქნება თავისუფლებათ შეიძლებაო. ვიფიქრე ბოშო ახლა კი გავკეთდი კაცი-თქვა.

გედევიწკიტინე ულაშები. გამევიკვარწე წელში ნიკალა დოლონაძის წევარივით. ჩავაზიაცკდი. საპრაზდნიკო რუსულით გამევედი ბულვარდში. გევიარ-გამევიარე. ჩაფუნთრუშებული უჩენიცები ყუათში მომივიდა. გოდოურუსულე ერთ გვრიტუნიას. იმანაც ჩამიჩურჩულა ვერუსულე და ვერუსულე ერთ კუკლას. ალარც მე ვიცოდი მეტი რუსული და ალარც იმან. ერთი მეორის სამყვარული კუჭში ჩაგვივარდა.

ქე მივაცოციალე სახში მშვენიერი გვრიტუნია. თავლის ჭამა რო გავათავე ბოშო, მერე ამიტეხა ოჯახში ერთი ორომტრიალი. შეიქნა კეტობია. ნიგუზლობია, ცბენობია. ერთ საღამოს გამიშალა და ლობიით სამსე ქოთანი ქე მდლუზა თავში. ქე არ გადმომეწრაწა აგრეხილ ულაშებზე უმარილო ლობიო!

მდლუზა —ვლრუზე. მდლუზა, ვდლუზე, კარგად როშეედლუზეთ ერთი-მეორე. დავაყენეთ ტროიკა. ზამთარმა მოაწია და ქე შევრიგდით. შეიდ თვეზე ქარ გამომიკოტრიალა ბულუტუნე ბიჭი? (კაი ჯიშის გოგო იყო თვარა ასე უცეფ რავა მეიგებდა!)

ამივარდა გული. ეს ბიჭი სხვას ჰგავს. მე ქე ვემამები. ამიტყდა თელი ქვეყანა. მერე შენი ტერი ჩავარდა ქალების ყბაში.

ერთ საღამოს ევიღე და მისი აკვნიანა გაუძახე გარეთ.

გევიხედე— მევიდა უწყება. ალიმენტი ერგება ამდენხანს ამდენი და ამდენიო. რას ვიზამდი, უნდა მეძლია...

პატარა წუწკი რო არ ვიყო, არ ვიტყვი. გამევედი ჭონდო გულვარში. ამეპორწიალა ვინცხა ოხრის შვილი და ქე მევიყვანე სახლში. იმანაც ერთი ახვისი შვილი მომიგორა კერიასთან. ალიმენტი დეინიშნა და ქე ცხოვრობს არახეინათ თავისთვის.

რაც იყო იყო. ახლა კი ვისწავლე ჭკუათქვა და დევიწყე სურიოზნობა.

ახლა, ბოშო, გამოსულა რაღაცა ფაქტიური ქორწინებაო, თუ მისა ოხრობა.

თუ როდისმე დალაპარაკებიხარ ქალს,—გატოვა დონ პაპოვა. შენი ცოლია მერე. არც ჯვარის წერაა საჭირო და არც ხელის მოწერა.

გევიხედე გუშინ წინ და რაც ქალებს ვიცნობდი, ან დაველაპარაკებივარ,ან მიბწკენია ბოშო,ქი არ მომადგენ კარებზე!

სახლში რო ვყოფილიყავი, რავა შამოუშობდი, მარა რაცხა უბედურათ გულვარდში ვიყავი. ხო იცი—გაწუწკებული კაცი გლახაა.

მევედი მარა რას მოხვალ. ქე არიან ჩამოწკრივებული სახლში. ეპრაქსია, მატრონია, ეკაია, ელპიტელა, ქთონია, სოფიელა და რა ვიცი.

რო შეგეხედა, ლანირ-ქვიტირის ბაზრობა გეგონებოდათ.

შევედი თუ არა, შამომესიენ. არა ჩემი ქმარი ბარა ჩემიო.

გამწიეს და გამომწიეს, გავწიე და გამოვწიე. მოვარდა მამაჩემი. დამერია ჩემი ცოლებიანა. წინ საწყალი ნიკოლოზა გარბის და უკან ქალები მისდევენ. ფაქტიურმა ქორწინებამ ეს დღე დამაყენა.

შიხლინსკი ბოშო.

# „წმინდა ოჯახი“



„წმინდა ოჯახი“, რომელიც უწმინდურ ნაძირალე-ბისაგან შესდგებოდა.

# სიტყვა—ასმული ანტოლოგია

(საჩანგლე. ხალხის ნაწარმოებთა კრებული)

## წინათქმა.

ბევრი გამოდის სიტყვა-კაზმული ანტოლოგიები; სადაც მოთავსებულია მხატვრულ მწერლობის ნიმუშები. ალბად გამომცემელთა ცალმხრივობით უნდა აიხსნას, რომ არც ერთ ანტოლოგიაში ქვემოთ მოყვანილ ავტორთა დამახასიათებელი ნაწარმოები არავის მოუთავსებია. ამიტომ გადავწყვიტეთ ცალკე ანტოლოგის შედგენა. გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად ჩვენს ანტოლოგიას ეწოდება არა სიტყვა-კაზმული, არამედ სიტყვა - ასმული.

## ნაწილი პირველი

**მოლარე:**

გადი-გამოდი ციფრები
ქვითარი ბანი უთხარი
შეუხმატკბილოთ ერთმანეთს..
რომ კასას ძირი უთხარით.

**„ხჩეტოვოდი“:**

ახ! ნეტა რამე მაქცია
გლავბუხათ გადამაქცია.
ბუღალტრის ენა მასწავლა
ჟონბანკებს შემომაჩეია.

**ნოქარი:**

ზოგჯერ თქმა სჯობს უთქმელობას.
რაც მართალი მართალია,
რა მოხდება ნაცნობთათვის;
გადვინახო ფართალია.

**გამგე:**

გოგო, ვისი ხარ მალხაზი
დაურჩი მედსამშენსათ
როცა სამსახურს მორჩები
შემოირბენდე ჩემსათ.

**მენშევიკი:**

მოსავალს ბევრი უცადე,
კაცი სულით გრძელიათ
აქამდე ჭორებს ვცოხნიდი,
ისიც შემომელიათ.

**ემიგრანტი:**

მე უცხოეთში დავყავი
ბარე შვიდი წელიათ.
მაგრამ ამდენ ნოიზმობას
ყურიც იქ გაუძელიათ.

**ობივატელი:**

ვოცნებობ! წყნარი ღამეა
შაიბურიც კი არ ისმის;
ხომ კარგათ ვცხოვრობთ ძამიო,
რათ გსურთ ჯერ სოციალიზმი.

**რომანტიკოსი:**

სჯობს ბარიტონსა ტენორი
ვით ბულბულს იადონია:
კაცი რომ პორთფელს იშოვის
თავი ნარკომი ჰგონია.

**მაკლერი:**

ნეტა რა წყალში ჩავარდე
რით ამოვავსო ჯიბეო
სამშენთან ვერას გახდები
თუხლ ასჯერ შეეჯიბროო.

**უბინაო:**

ახ! ნეტა გამაგებინა
ვისია ეს. „შენობაო.
„კვარტირავ! სკანი ჭირიმე
ძნელია უშენობაო.

**მეხჩარი:**

არ გავცვლი მე ჩემს ცხოვრებას
მთელ ქვეყნის საცხოვრებელზე.
სჯობს პატიოსან შრომასა,
იჯდე ნოხზე და მებელზე.

**კონტრ - აგენტი:**

ვაი მე და შენ ქვითარი
ვიწვით ჩვენ ერთ ტაფაშიო
თქმა რად გინდა, შენც ქე იცი
რომ ვერვინ მჯობს „ქაფვაშიო“.

**ვატმანი:**

გრაჟდანკა! სმესტოვ ნიეტუ
მადამ! სვას გავარიატო,
მოდი და კატოს ტროფობაში
შენ თუ მაჯობებ „ფიატო“.

**გამფლანგველი.**

სოლომონ ბრძენი იტყოდა
ბევრი ჩერვონცი კარგია,
რასაც „იმასჭნი“ შეხვდა
რაც არა დაგიკარგია.

**კონტრაბანდისტი:**

ქალი სახლში მეჩხუბება
კაცო! მუდამ რად თვრებიო,
ძან რა იცის, რომ გვპეუმ
ამირია დავთრებიო.

**სპეცი:**

ნიღაბი კობტად იხმარე
ჩაიცვი, დაიხურეო,
გეგმები ბევრი ადგინე
და ცოტა იმსახურეო.

დონ-კიხოტი.

# რასპუტინის ტიკინები




მშრომელთ მხრებზე ედგათ ტახტი
ჯალათებს და გაიძვერებს,
ხალხის სისხლით უხვად მთვრალნი
ფიცულობდენ გრიშკას წვერებს.

რასპუტინი მეფე—ჯალათს
თვის დაკრულზე, აცეკვებდა
და ვერ გრძნობდენ — მშრომელთ რაზმი
თუ რა რისხვას უმზადებდა.

## კერენსკის მონოლოგი

რევოლიუციამ თებერვლისამ
არ დააშუშა გონება თქვენი.
მეც მინისტრობამ წამახალისა
და ბოლოს თქვენგან მივიღე ძღვენი.
რევოლიუციამ თებერვლისამ
ნიკოლოზ მეფის დაამხო ტახტი.
გული ხომ არ მაქვს რამე რვალისა,
რომ მეფისათვის დამერტყა ლახტი?
მომაგონდება ჩემი დიდება,
როცა დროებითი მთავრობით მთვრა-
ლი
ვიყავ და... გული ამიტირდება,
(რადგანაც გული არა მაქვს რვალის).
მე, როძიანკო და წერეთელი
ერთად ვიდოდით, ერთად ვიყავით,
ახლა კი ვირი გვჯობნის წყნეთელი...
(ოხ, ოქტომბერო, ეს რა მიყავი?).
დღეს ამერიკის მილიარდერთან
ვიყავ კარებში ამოტუზული
იქ შვეიცარიც იდგა კარებთან...
იმას რა ესმის ჩემი რუსული?
პატრიოტული გრძნობებით სავსე
იდეისათვის ვიბრძვი კარებში.
ეს ბოლშევიზმი დარდს მიათასებს
და არ მასვენებს უცხო მხარეშიც.
ჰოი, ნიკოლოზ ნიკოლოზისძევ,
რატომ დაჩლუნგდა ეგ შენი ხმალი?
ან შენ კირილევ, ჩემო საშიშევ,
რად არ დაგიდგა ამდენ ხანს თვალი?
დღეს ჩვენ სამივე დავალთ „პოდ-
რუჩკით“
ერთად ვთხოულობთ რამე წყალო-
ბას,
მაგრამ ვინ გიჟი გაკოცებს ტუჩში,
ვინ გაიგონებს „ტროის“ გალობას?
მაინც სად გაქრა ენტუზიაზმი,
რომელიც ყველას გულს გვიტოკებ-
და?
დღეს ჩაფლეთილი თეთრების რაზმი
თითონვე მიდის სახრჩობ თოკებთან.
ჩამოხეული სამოსით დადის
დღეს ჩვენი მეფის ორი ნაცვალი,
მონატრული ვართ დღეს ყველა მჭა-
დის
(ვეღარც ვიყიდე ქვედა საცვალი...)...

ტერხიტი.

# კირკიტაძის ინტერვიუ

## ჭიათურა

გავსწიე კომუნ. მეურნეობის გამგესთან ინტერვიუსათვის. გზაში მრავალი ტალახის ზღვები გავსკურე და მივადექი კომხოზის კარებს. გადავწყვიტე კანცელარიაში გავლა და შევაღე კარები. უცებ შევკრთი მოულოდნელი სურათით, უკან დავიხიე და წამოსასვლელათ მოვემზადე, მაგრამ დარაჯმა დამინახა და შემეკითხა:

— რა გნებავთ, ამხანაგო?

— არაფერი... ეს მე... ისე:::

— მაინც, მაინც?

— უკაცრავად. მე კომუნალური მეურნეობა მინდოდა, და მგონია, ბალნიცაში მოველი შეცდომით....

— ესაა სწორედ კომუნ. მეურნეობა. ჩემო ბატონო.

— კი. მაგრამ ეს საბნები რატომა აქვთ ყველას წამოხურული?

— ეს ბატონო, დიდი ზამთარია და...

— მერე?

— ხომ მოგეხსენებათ რეჟიმ-ეკონომია..

— რა შუაშია აქ რეჟიმ-ეკონომია!!!

— რომ შეშა არ დაგვეჭირდეს და „ლიშნი“ „რასხოდით“ არ დავქვეითოთ დაწესებულება, გადავწყვიტეთ საბნებში ვიმუშაოთ.

— არა, თქვენ მე მატყუილებთ. ეს უსათუოდ საავადმყოფოა და...—ის იყო უნდა გამოვბრუნებულიყავი, რომ სიმონ აბულაძის მისუსტებული ხმა შემომესმა:

— ეს მე გახლავართ, ბატონო კირკიტაძევ, დაწესებულების მდივანი!

დავაკვირდი და მართლაც ვიცანი. საწყალს სიცივისაგან ცხვირი გალურჯებოდა და ბადრიჯანივით ეკიდა წინ. ქრისტინე და ნატო ერთმანეთს ჩახუტებოდნენ და ერთ საბანში გამოხვეულნი, აკანკალებულნი ძლივს მოსჩანდნენ საბნიდან! ვინახულე ბუღალტერიაც, სადაც საცოდავათ მოკუნტულიყვნენ სიცივისაგან კრიჭა-შეკრულნი: გრიშა, ამბროსი, კოსტა და გულნარა, ისე დაპატარავებულიყო სიცივით, რომიქავე, მაგიდაზე მდებარე ფულის ყუთში ჩამძვრალიყო და იქიდან კუსავდა თვალებს. ბუღალტერი სიმონ კიკნაძე კი ამ დროს მის კაბინეტში მეურმეს ეჩხუბებოდა, რომლიდანაც წარსულ კვირას ერთი ურემი შეშა ეყიდნათ და ფულს არ უწერდა, რადგან ბიუდჟეტს არა აქვს გათვალისწინებული ურმობით შეშის ყიდვაო. ხმა-მაღალი ლაპარაკი შეიქნა ბუღალტერისა და მეურმეს შორის. მე შემეშინდა, მოწმეთ არ დამასახელონ-მეთქი და სწრაფად გამოვედი ბუღალტერიიდან. დიდის მოწიწებით შევაღე გამგის კარები, სადაც უარეს აყალ-მაყალს წავაწყდი! გამგის წინ იდგა „პაჟარნი კამანდის“ უფროსი ამხ. ვანო და ცხენის საჭმელისათვის ფულის გამოწერასა სთხოვდა.

— არა, არ შემიძლიან, ვერ გამოგიწერ.—გადაჭრით უარი უთხრა გამგემ.

— კაცო, მაშ რა უქნა იმ ცხენს?—აღელვებით შეეკითხა ვანო.

— რაც გინდა, ის უქენი. ხომ ხედავ ბუღალტერი არ იძლევა.

— არ იძლევა იმისთვინა, რასაკვირველია, რომა ბიუჯეტში არ არის შეტანილი.

— დედაია! კაცო, ცხენმა რა იცის შენი ბიუჯეტი! იმას ჭამა უნდა, ჭამა!

— რა ვიცი აბა, ეგრე კია და.

— ეგრეა და აწი თქვენ ჩააქრეთ პაჟარი.

ეს სიტყვები სთქვა ვანომ და გაჯავრებული გავიდა გარეთ. რაკი მარტო დავრჩით მე და გამგე, შევეკითხე: რატომაა, რომ თანამშრომლები საბნებში არიან გახვეულნი - მეთქი?

— ეს, რასაკვირველია, ბუღალტერმა შეშა არ გამოგვიწერა და....

— როგორ, ბუღალტერი იწერს, თუ თქვენ?—საჩქაროდ შევეკითხე მე.

— მე ვიწერ, მაგრამა ფულის მიცემა არ უნდა!

— მერე და რა. მისწერეთ, უბრძანეთ, დადეთ რეზოლიუცია და ბუღალტერი გასცემს ფულს.

— მთელი დღე სულ რეზოლიუციებს ვწერ, მაჯა მეტკინა ამდენი ხელის მოწერით, მაგრამ მაინც თავისას არ იშლის*).

კი. მაგრამ თქვენ როგორც მუშა, როგორ უყურებთ ამ მოვლენას? მუშამ, რომელმაც შექმნა რაიმე ღირებულება თქვენს სასარგებლოთ, ხელფასის მიცემა უნდა თუ თუ არა დროზე?

— რასაკვირველია, მიცემა უნდა, მაგრამ ისინიც, ის მამაცხონებულები მაინცა და მაინც ორშაბათს, ოთხშაბათს და პარასკევს მოდიან და....

თუ ფული გერგებათ. უნდა მოხვიდეთ სამშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს, ხოლო დანარჩენ დღეებში ფული არ გაიცემა.

— კარგია, ჩინებულია! მესმის აკურატნობა! დანიშნულ დროზე მოხვალ კაცი და შენს ნაშრომს მიიღებ.

— დიახ, რასაკვირველია, თუ თქვენი მისაღები ფული ბიუჯეტით გათვალისწინებულია და ბუღალტერი გუნებაზეა.

— კეთილი, მაგრამ რითი უნდა გავიგოთ რომ ბუღალტერი გუნებაზეა?

— ამას ჩვენი სანიტარიის ექიმი ალექსანდრე მოგახსენებთ, რადგან ის აქიმობს და ყოველდღე აქვეყნებს ბიულეტენებს.

— დიახ, დიახ, ეტყობა, რომ ზედმეტი საქმეებით ყოფილა დატვირთული თქვენი ექიმი და იმიტომაცაა, რომ ქალაქს ცოტა ანტისანიტარული მდგომარეობა ემჩნევა. დიახ, გასაგებია ყველაფერი!

ამ დროს გაისმა ძლიერი ზარის რეკა, სტვენა და შეიქნა ჩოჩქოლი! მეც სასწრაფოდ დავემშვიდობე გამგეს და გამოვვარდი გარეთ. „პაჟარი, პაჟარი“, გაიძახის ხალხი და ერთი მეორეს ეხეთქება! ამასობაში მეც მივაწიე „პაჟარნი კამანდამდე“. ელვის სისწრაფით გაებათ ცხენი „ტაჩკაში“ და აპა, მოუქნიეს კიდეც მათრახი, მაგრამ თქვენ არ მომიკვდეთ!.. შეყარა და შეყარა ტლინკები და ადგილიდან არ დაიძრა! მიაწვა უკანიდან მთელი კამანდა, მაგრამ ფეხიც ვერ დააძვრევინეს!

— ამხანაგებო!—დაიძახა ხანძრიდან დაბრუნებულმა მოქალაქემ,—კმარა, აღარაა საჭირო—სახლი უკვე დაიწვა!

დაბრუნდა კამანდა და.... მეც დავბრუნდი სახლში.

კირკიტაძე.

*) ჩვენს ბუხალტერს ჰგვანებია!

მკითხველი.

# ჩემი მგზავრობა

ტანცია საწირის ახლოს ქე ვცხოვრობ და რავა ვიფიქრებდი, თუ პევეზი გამასტრებდა! მარა კირილე დიდიძე რო იქნება მორიგე, მაშინ ხეირს ნახავ კაცი? ვწევარ ლოგინში და უცდი, როის დარეკენ ზარას პევეზის ტუიბულიდან გამოსვლისასო. მარა თურმე კ. დიდიძე გინებაშია გართული და არ სცალია ზარის დასაძახებლათ?

პევეზი მევიდა ტანციაში. დავფაცურდი, მარა რას გავხდეობოდი! დავრჩი.

ვიფიქრე: შევივლი ალმასკომში, „პაშპორტი" არა მაქს და იმას მაინც ევიღებთქვა.

მიუხედავად იმისა, რომ აგერ 10 საათი სრულდებოდა, მაინც ალმასკომში არავინ არ დამხვდა ფხაკაძის მეტი.

— ამხანაგო, „პაშპორტი" არა მაქვს და მომეცით.

— შენი აფხანაკი საახალწლოთ დაეკალი საუცხოვოთ ვიქეიფეთ მე, ჩვენმა მდივანმა ილიკომ და საქმის მწარმოებელმა აბდალაძემ! — მითხრა ფხაკაძემ.

— რეიზა მატყუებ, შე კაი კაცო; კომუნისტი კაცი და ახალწელიწადს (რაიც ძველი სტილით) ქეიფობა გაიგონია".

— იმე, ვიქეიფეთ კი არა, თლათ ცხვირპირი დოუმტვრიეთ ერთმანეთს.

ამ ლაპარაკში რო ვართ, შემევიდა ილიკოც (11 საათი იყო.) მე უთხარი: — ამხანაგო ილია. პირადობის მოწმობა მინდა და თუ კაცი ხარ მომეცით!

— ეს რა ჩემი საქმეა. მეიცადე, საქმის მწარმოებელი აბდალაძე მოვა და ის მოგცემს!

გავიფიქრე: — „ტყულა გაჩერებას, ტყულა სიარული სჯობია"-თ და სამკითხველოსაკენ წევედი... წევედი. მარა კარებს ბოქლომი ედვა.

— ნეტაი ეს მენახა ოდესმე გაღებული და მერე თუ გინდ მოვკვდე, აღარ დევეძებ! — წამოვიძახე და ღაყაპირე გამობრუნება, რომ ამ დროს ერთი ჩემი ამხანაგი, შემომხვდა და ვკითხე: ბიჭო ხომ არ იცი — სადაა საშა, რომ ეს სამკითხველო გაღოს და კაცმა შიგ გაზეთი წაიკითხოს?

— სადაა და — მითხრა იმან — ჯანდაბაში, რა ვიცი — ვინცხა ძიროვნელმა კაცმა დაპატიჟა ყველა მასწავლებლები ქორწილში და იქნე წევიდენო.

ამ დროს (12 საათი იყო) ქე „მობრძანდა" აბდალაძეც.

უთხარი: — მოწმობა მომეცი აფხანიკო.

— მოწმობა თუ გინდა თავმჯდომარეს ვერ ეტყვი? — შემომიბღვირა აბდალაძემ,

მივიხედ - მოვიხედე, თავმჯდომარე ვერსად დავინახე და გარეთ გამევედი ცარიელი.

ამასობაში „პევეზმაც" გამეიარა. ჩავჯექი შიგ და გავწიე ქუთაისისაკენ. ჩევედით ხრესილში და შევიარე ტანციაში. სამორიგეო ოთახში „ობერი" ყვირის: — სადაა მორიგე?

ბევრი ძებნის შემდეგ მეისრეებმა ნახეს „დაკარგული" მორიგე ა. ჩიხლაძე გვენეტაძის დუქანში. ვიღაცას დაეპატიჟებია (სულერთია ძალად დაპატიჟებინებდა თავს, — ისე საქმეს არ გაუკეთებდა) და ქეიფობდა.

გეიარა კაი ხანმა და როგორც იქნა წევედით ხრესილიდან და პირდაპირ ქუთაისში ამოვყავი თავი.

ბახრა.

# ჩვეულება

ქიათურაში გახშირდა
ჩხუბი დაკა-დაკაო.
ტარტაროზ, შენი ჩანგალი
მრავალჯერ გამოგვადგაო.
ჯერ გავიაროთ ბაზარში
ნინოშვილისა ქუჩაზე.
„წითელი სასადილო"-ო
არის წარწერა შუაზე.
მოიჯარადრე ნინუა
აქ ვაჭრობს ტეხნიკურადა;
სდგას როიალი კუთხეში,
„პესნებს" ამღერებს ძმურადა.
მუშტარიც ბლომად ესევა, —
არის ცეკვა და ლხინია.
მაგიდას ჰფარავს ბოთლები.
(ვითომდა თივის ზვინია).
მერმე ერთმანეთს დასცხებენ;
არის ბოთლების ტრიალი;
და მთელ ბაზარში მოისმის
მოქეიფეთა ღრიალი.

მეთოდე ყალთი-ბანდობით
ტყავს აძრობს კლუბში ხალხსაო;
ორ მანეთი სადილი,
ორჯერ-მეტს იღებს ფასსაო.
მუშტრებს თან გვერდში ჩაუვლის,
გადაჰკრავს ჰიქა-ღვინოსა;
ჯერ ადღეგრძელებს ძმა-ბიჭებს,
რომ ტკბილათ ილილინოსა.
იძახის: — არ მსურს მოგება,
მხოლოდ გავიძლო კუჭიო;
მინდა ქეიფით მოვსჭამო!
ცხოვრება ესე ფუჭიო!
ასეთი გაიძვერობით
მეთოდეს გააქვს ლელოო;
ღვინო იმისთვის ფულია
და სასადილო მდელოა.
აქაც კი ხდება, ტარტაროზ,
მთვრალების ჩხუბი ხშირადა
და ამ ხალხისა გაცოცხვა
არ დაგვიჯდება ძვირადა.

შახი.

## სწორი მისამართი




— ჩვენი ექიმი ხომ არ გინახავთ აქეთ?
აქეთ რა უნდა, აი იქ იქნება ალბად.

# „სტუდენტი" შვილი

— სტეფანეს კაი გამარჯობა,

— იმე! სიკო ხარ შენ?!. საიდან? ხომ მშვიდობით?

ხომ კარგათ? როდის ჩამოდი ხო მშვიდობაა ჩვენში?

— მე ორი კვირეა ჩამოვედი, მარა ნეტეი ფეხი გამხმობოდა და აქეთ პირი არ მექნა!

— რა ამბავია ბერა! რა დაგემართა?

— რა და.... ბიჭი მყავს აქანა, სტუდენტია; რავაცხა იყო ჩვენში შვიდი კლასი ერთი გავათავებიე, ცხრა კლასი მეორე გავათავებიე. სულ თექვსმეტი კლასი და... გამოუშვი აქანა უნივერსიტეტში... მე მეგონა მიღებულია და მალე დოხტური გამოვათქვა... დოხტური კი არა, გოუყრია ხელი ვინცხა გოგოზა და დატლიკინობს. სადაა თურმე... არც მიუღიათ და არც არაფერი...

— არა, მაგი არაფერი, მარა ქალი თუა მაინც კაი?

— არ მითხრა სტეფანეს ჭირიმე მაგი! კაი კი არა. გოუტლიკინებია ყანჩასავით კანჭები, მუხლებამდი კაბა აცვია, და ერთი რო წინ გადიხითქოს, შენს ტერს—სიოცხვილის ჭამა—ბატონო. რას, დევედებ! ასეთი უქნია —სულ ტიტველი უარია.... რა ჯანდაბათ უნდოდა ქალი? ამისთვის გამოვგზავნე აქანე?!..

— რავა, არ სწავლობს?

— აბჰაა!! სწავლობს! რო არ მიუღიათ სად ისწავლოს?

— რას ფიქრობ ახლა?

— რა უნდა ვიფიქრო? თუ იმ გოგოს კანჭების ყურება ეყოფა, იყოს და უყუროს. სახში არ შამოუშობ და.. ვინცხა იჭმევს აქანა, ქე ვნახავ ამასაც!

— მაგაზე გული ნუ დაგწყდება, ჩემო სტეფანე ჩემმა შვილმა ხუთი წელიწადი მატყუილა— სტუდენტი ვარო და ის თურმე ისე დაყიალობდა ქუჩებში, მერე სამსახური ეშოვა, მამომითვალა: ქეც ვსწავლობ და ქეც ვმსახურობო...

— უუ! ისემც კაი დაგემართოს, ჩემსას რომ არც სამსახური აქ და არც არაფერი.

— ჩამოვედი. ვიფიქრე ამბავს გევიგებთქვა, მოგეცა ღვთის წყალობა ის დამხვდა. ტანი გინდა, ფეხი გინდა, პურლევინოს ნულარ მკითხავ... დღეში ოცზე მეტი ქალი და კაცი მოაკითხავდა. მარტო კარების გაღებამ ამოშილო ტვინი.

— უუ! ისემც კაი დაგემართოს, მერე, მერე?

— რა კაი დამემართოს, შენს მტერს დაემართოს, რაც მე დამემართა... თურმე ჯამაგირი მარტო ორმოცდა-ორი მანეთი ქონია თვეში და ის დღეში ას მანეთს ხარჯავდა.

— ქე საიდან ბერა?..

— საიდან და რასტრაჩას აკეთებდა თურმე.

— იი!! ისემც კაი დაგემართოს, ძაან ხელობა არ უსწავლია? ნეტაი ჩემ ბიჭსაც ესწავლა მაგ რასტრაჩენია, თუ რაცხაა!

— ღმერთმა დაგიფაროს.

— რავა ბერა?...

— რავა და რასტრაჩენია ქურდობაა. რო შამოვიდოდა კასაში ფული აკლებდა და აკლებდა ყოველ დღე ხან 100 მან. ხან ორას, გოუგეს და ზე ატუციეს თავი ნაობახტში.... ახლა კიდო რავა წავა საქმე არ ვიცი..

— უუ! ქე არ დაღუპულხარ კაცი, ა! გამიშვი შენი ჭირიმე, ჩემი ბიჭი უნდა ვნახო, არ გაუწყროს ღმერთი რასტრაჩენიე არ გააკეთოს.

უშველე, უშველე ჩემო სტეფანე.

ვას—ბალი.

---

## ჭიათურის ცეცხლის მქრობელი რაზმი



## ოჩანი რაზმი

კომბოზისა გამგეებსა
სცვლიან ყოველ კვიოაზეო,
მაგრამ „პაჟარნი კამანდის"
ცხენს იბანენ ჯინაზეო,
საჭირო დროს ტლინკებს ისვრის
და გადადის ყირაზეო!
სად გინახავთ სწრაფ საქმისთვის
ცხენი ეგრეთ ოჩანიო?
რაში არის საქმე დღემდე,
მე ვერ გამოვიცანიო!
ოცდა ხუთსა თებერვალსა
სასამართლოს გაჩნდა ცეცხლი,
ერთიანად გადიბუგა
დარჩა მხოლოდ ნაცარ - ფერფლი!
დატრიალდა ჩვენი ვანო
საქმენი ჰქნა საგანგებო,
მაგრამ შუა ბაზარს ცხენი,
გაუჩერდა „სანაქებო"!
ბევრი სცემეს და უყვირეს,
ფეხიც ვერ მოაცვლევინეს,
მერე უკნიდან მიაწვეს,
„ბოჭკა" ძლივს წაათრევინეს!
სანამ ზევით ავიდოდენ.
ცაში ასწვდა ცეცხლის ალი,
მაგრამ დახეთ სასამართლოს,
არ ჰქონია არსად წყალი!
ზიდეს წყალი: ვედრით, ქუდით,
მდინარიდან ამოჰქონდათ,
ამ დროს ცეცხლსა ჩვენი „სული".
გაჰქონდა და გამოჰქონდა!
რათ გინდა რაზმის უფროსი,
ბიჭი ესოდენ ფხიანი,
თუ არ არის წყალსადენი
და არც ცხენი როგიანი?!
გამობრუნდა რაზმი უკან,
შერჩა მხოლოდ „მაციონი";
ცხენს ოჩნობას უჩივიან,
მაგრამ რაზმიც ოჩნობს მგონი!..

ფაშ.

# ზესტაფონი, თეატრში



— ხად მიგაქვს, სონა, მაგ სკამი?
— თეატრში მიმაქვს... ხომ იცი, ვისაც თავისი სკამი ექნება, მას შეუძლია აბაზიანი ბილეთით ყველას წინ წამოიჯიმოს.

# კომედია ერთ საცოდავ სანახაობათ

## სოფ. ქვედა სიმონეთი

მოქმედება სწარმოებს სოფ. ქვედა სიმონეთის კოოპერატივში. ნოქარი გერონტი ბოჟგაძე ანგარიშის დროს ჩოთქის მაგიერ ხელებზე ითვლის (ვინაიდან ჩოთქზე ანგარიში არ იცის). კოოპერატივი ცარიელია დიაცვანის ჯიბესავით. ერთ დღეს მოვიდა კოოპერატივში ორიოდე თოფი ჩითი და რამოდენიმე წყვილი კალოში, ხალხი ბუზივით ირევა. ნოქარი გერონტი იგინება.

გერონტი:—დეიწით უკან, დეიწით! რა დაგემართათ რო აწობით ერთი მეორეს და ეს დახლი შემომატვრიეთ? ბარემ მეც შემაჯექით ზურგზე და ის იქნება.

1 მყიდველი: — აფხანიკო, ერთი პაპიროზი ძომეცი და მერე აქედან რომ აღდომაა იმდენაზე აღარ გაგეკარები.

გერონტი:— ბრაა, აფხანიკო, პაპიროზი... ცოტა უკან დეიწარით, რა ამბავია რა!?

1. მყიდველი:— რავა ბრაა, კაცო, მაგერაა ორი კარობკა „ზავეზკი"? მერი მაინც არაა და მაგი მაინც მომყიდე!

ნოქარი:—შენ რო გაგიცივებია თავი და ლაყლაყებ, უნდა დეიჯერო რო გეტყვიან: არაა, მაშ რაა, მორჩა და გათავდა. ორი თუა, ვერ მხედავ რო პირში სულ გამოკვეხებული მაქვს პაპიროზი და ის მე მინდა... ეხლა შებრუნდი ზურგისაკენ, სახლისაკენ და იალა (დასტვენს)

1. მყიდველი:—იმე, იმე რავა ლაპარაკობ, შენ აფხანიკო? იმისთვის გამოგზავნეს აქანე, რო—ხალხი ლანძღო და რაც რამე გამოგიგზავნონ ყველა შენ მეიხმარო? ვაი გაახმო და გააფშიკა ღმერთმა შენი აქანე გამომგზავნი... მალე შეაყოლებ შინა გვენეტაძესავით ბუზურ-ბუზურით აქედან

გერონტი: — გეეთრიე აქედან შე ძამაძაღლო შენა! ვის უბედავ მაგას შე „მუჟიკო" შენა? გამიშვით ერთი (ჭყიდველი გარბის).

ვერიჩკა:- -გერონტი, შენ გენაცვაბე ერთი აქეთ მეიხედე; რას მემდური შე კაი კაცო? ხო არაფელი მიწყენინებია, რომ ხმას აღარ მცემ და აქეთაც აღარ იხედები?

გერონტი:— ოო! ვერიჩკა შენა? შე ქალო ამდენხანს ვერ მითხარი აქანე თუ იყავი? ღმერთო მოძკალი ალა! რა გნებავს, შენი ჭირიმე მითხარი, თვარა ამ მუჟიკ ხალხს თუ უყურე, აქანე ამათ საქმე არ შემოგლევათ.

ვერიჩკა:—მომიჭერი, გერონტი, ერთი მეტრი მიტკალი.

გერონტი:—ეხლავე (სჭრის ვარაუდით, რადგან მეტრის ხმარა არ იცის. ნახევარ საათს წვალობს, რომ დაკეცოს, მაგრამ მაინც ვერ კეცავს ნაჭერს).

ვერიჩკა:—იყვეს ეგრე, ჩემო გერონტი, არა უშავს, ეგრე წევიღებ-ადა იანგარიშეთ.

გერონტი: — (ანგარიშობს ჯერ ჩოთქზე, მაგრამ ვერაფერს გებულობს და ისევ თითებს მიყოფს ხელს).

გლეხი:—ა კაცო, ჩემი თითებიც ძიათვალე, თუ შენი არ გეყო.

გერონტი:—ატ! შე ხეპრე შენა! ვინ გკითხავს შენ? ხომ გაგიგონია: „არა მკითხე მოამბეს" ამბავი? გასწი ახლავე აქედან. (შეშინებული გლეხი გადის. შემდეგ ვერიჩკას) წეიღე და მერე რო მოხვალ იქინე, მაშინ ვიანგარიშოთ.

ივანე: — ერთი აზიაცკი კალოში გექნება; თუ კაცი ხარ მალე მომეცი, მეჩქარება.

გერონტი: მეც ძალიან მეჩქარება. მარა შენ მაინც თუ გეჩქარება მანდ კარებია და გადი, ჰაერს ნუ ახდენ ტყუილა აქანე.

მართა: მომიჭერი ორი მეტრი ჩითი.

გერონტი:—(უჭრის, მაგრამ ველარ კეცავს. მიჭუჭ-მოჭუჭნის, დახლზე მოუსვამს, მოწმენდს და აძლევს).

მართა: —(გულმოსული) ვაი შენ გაგიხმა მაგ ხელები! რავა, ამითი არ მოწმინდო, სხვა ვერაფელი ნახე? ჩქარა დაკეცე და მიანგარიშე!

გერონტი:—დაკეცე, თვარა დაუკეცლათ რავა გეკადრება შენ! (ანგარიშობს) მეტრი— ათი შაური და სამი კაპიკი. ორი მეტრი... ორი მეტრი... სულ 2 მანეთი და... და... და... ექვსი.., ექვსი...

მართა:—რა ამბავი ამდენი ექვსი, ექვსი? ორი მანეთი კია არა ერთი მანეთი და 6 კაპიკი გერგება. ჰა წეიღე ეს ერთი მანეთი და ესეც ერთი აბაზი, დანარჩენი თოთხმეტი კაპიკი ხუთლა მომეცი.

გერონტი:—ოჰ, ოჰ! მასწავლა არა? ჰა, წეიღე ხურდა, მარა ოთხი კაპიკი არა მაქვს და მერე გამახსენე. (აძლევს თავის აბაზიანს ისევ და კიდევ ორ შაურს; ქალი მიდის და თავისთვის ჩაილაპარაკებს).

მართა:—ანასუნ შენ საქმეს. შენ გინდა მეტი აგელო ჩემდან და აქეთ ქე გაცმომაყოლე.

ვაჭარი:—გერონტის ვახლავარ... გერონტი რა ღირს კალოში?

გერონტი:—სამი მანეთი და 75 კაპ.

ვაჭარი:—მომეცი, შენ გენაცვალე, 10 წყვილი კალოში. ჰა ფული აიღე.

გერონტი;— მიირთვი, მარა ხო იცი მაყარიჩი შენზე იქნება (აძლევს 10 წყვილს კალოშს. ვაჭარი აძლევს 40 მანეთს. გერონტი დიდი ხნის ანგარიშის შემდეგ აძლევს ხურდათ 2 მან. 50 კაპიკს. მაგიერ 4 მან. 50 კაპ. ვაჭარი გახარებული გადის).

პეტრე სოფლელი:—გერონტი მომეცი ორი წყვილი კალოში.

გერონტი:—ორ წყვილის გაყიდვა ერთ პირზე არ შეიძლება. ერთს მოგცემ თუ ძალიან დამიმადლებ!

პეტრე:—დაგიმადლებ რავა ტყულა ხო არ მაძლევ? ვაჭარს 10 წყვილს ატან და მე არა? კაი ენახოთ...

გერონტი:—ვინ გკითხავს შენ რო წაგიგდია ენა და ლიკლიკობ? შენ სადოური რევიზია ხარ?!

პეტრე:—სად არის რევიზია, თორემ ის ქე გეიგებს რა შვილიცა ხარ.

გერონტი:—გაბრძანდით გარეთ, სადილზე მივალ... ჩქარა, ჩქარა... (ხალხი გადის ნოქარი კი ვაჭართან მიდის სადილად).

თონ.—გან.

# სამტრედია

ქალაქში ხმები გავრცელდა:
გიჟი, ოხერი ბიჭოო —
სად დაიკარგა ნეტავი,
ჩვენი ჰაგნელი ბზიკიო.
და მეც ავიღე კალამი,
რომ ლექსი ავაწიკვიო:
წერა დავიწყოთ ქარხნიდან—
(ქარხანამ მომკლა, ქარხანამ)
არავინ იცის (ჩემს გარდა)
თუ იქ რა ხდება ამ ხანად.
ყველა უმცროსი უფროსობს,
უფროსი „დიდი ვინმეა!".
ზოგისთვის სატანჯველია,
ზოგისთვის შვება — ლხინია.
შვიდასი ქალი მუშაობს,
შვიდი ათასი ჭორებით!
და რაც სურვილი მაქვს თქმისა,
მას ჯერ ვერ ვიტყვი სწორებით.
მუსიკის სასწავლებლიდან,
ისმის მუსიკის გოდება!
და ხმა მწუხარე კლავიშის,
გულს ხვდება დარდათ ლოდებად.
ახალი გამგე ესტუმრა,
ავ თვალსა არ ენახება:
ქალია, მარა რა ქალი,
ველარ შევამკობ ნახევრად.
კვირაში ერთხელ იხილავთ;
სკოლაში იმის „ალერსსა!".
შემდეგისათვის დავტოვოთ,
ვერას რითმებით გალექსვა.
სულო ამოდი, გათავდი,
რას ხედავს ამას თვალები!
დღეში ორმოცჯერ იღება,
ალმასკომისა კარები.
და მაინც ქუჩა, ბაზარი,
ისევე განსაცდელშია!
ჩვენი იმედი ტრიფონ;
ახობაძისა ხელშია.
თოვლი, ყინვა და წვიმები,
ერთმანეთს ეჯიბრებიან!
ინტელიგენტურ აქტივში;
შეიქმნა რაღაც ხმებია.
ასამართლებენ სამართალს,
მიწაზე, მაღლა ცაზედა!
ისეთებს ხელსა კიდებენ,
ღმერთი რომ წყრება, რაზედაც;
„ვინ არის დამნაშავე"-ში
„სალიხე" გაგვითამაძეს!
ქება - დიდება მიუძღვნეს:
„თეთრი საყელო"-ს თამადებს.
არის ხმაური; ერთმანეთს
ხვდებიან კლდეთ და ლოდებად!
ძმაო აქტივო, აქტივო.
გული სწუხს, გული ღონდება.
„ეპო"-სა სასადილოსა,
იღბალი აღარ ჰქონია!
გასათხოვარი რომ იყოს,
დაბერდებოდა მგონია
ვინ, ვინ დასწყევლა ნეტავი,
საწყალი ასე მწარეთა!
ცეცხლი გულს მომეკიდება,
როს მას შევხედავ გარედან.
ჩხუბი და აურ - ზაური.
არასდროს აღარ შორდება!
და დასისხლული თავები,
ვინ მოაშუშებს, განკურნავს,
წუხილს და ჩვენსა იარებს?!
საყვედურისა ღირსია,
სერგო და ხევერიანე.
ვილაცამ ლოტო გაგვიხსნა;
ათასნაირი ქსელებით!
თუ მხიარული შედიხარ,
გამობრძანდები ცრემლებით.
კვერცხი გაძვირდა. ქათამმა
გადიკაკანა წამებით!
ლანძღვა - გინებამ წაიღო,
ოქროს წუთი და წამები
ახალგაზრდობამ ეს ლოტო,
კრულვითა მოიხსენია!
ვინ მოაშუშებს, განკურნავს,
ეს ჭირი და ეს სენია?!
თუ კი ზამთარი გრძელდება,
ეს სულ „ეპო"-სა ბრალია!—
(კიდევ არა სჩანს დარები,
და ეს გვაღონებს ძალიან.).
ფანელი, ნარმა, მიტკალი,
ადამ - ევის დროს თუ იყო—
თორემ ჩვენ აღარ გვიხილავს,
ტარტაროზ, ჩემო სულიკო.

ჰაგნელი ბზიკი.

# ტარტაროზის ფოსტა

ცამუს. (ს. ჩდილი) მასწავლებელ შალიკოს სამდურავი არ კოქმის. მართალია ბავშვებისაგან მოზიდული შეშა მეზობლისთვის მიუცია, მაგრამ ხომ გაგიგონიათ. „პატივი ეცი მოყვასსა შენსა, რამეთუ ხარ კაცთმოყვარე" შალიკო მაღრაძესაც ამიტომ ცოდვათ არ უნდა ჩაეთვალოთ ლამაზი მეზობლის გათბობა. და თქვენმა ლო[illegible]მაც ჩვენი უფსკერო გოდორი გაათბოს.

ბოლუეხ. თქვენი ლექსი ასე იწყება:

მინდა ეს ლექსი დავსწერო,
მაგრამ არ მანქვს ამის ძალა
და თუ რამე შემეშალოს
ალარ იქნეს ჩემი ბრალი".

არარც ჩვენი ბრალი იქნეს თუ თქვენ ლექსს რამე უსიამოვნება შეხვდეს უფსკერო გოდორში, სადაც ის თავდაყირა გადაეშვა.

გულადს. ოღონდაც დიდი გულადობაა საჭირო. რომ:

„დლიდან ახანლგაზრდობისა
მყავდა ერთი ვარდისკონა
თუ რომ ის ვინცხაზე გამცვლიდა
მე მიდლემჩი არ მეგონა"...

და ერთ მშვენიერ დღეს ალმოაჩინო წინაამოიგია შეხვიდე მის ბნელ ოთახში და

ხუთარშინაიანი ფიცარი
ზურგში მრეხვა ვინცხამ მაგრა,—
უცბათ გაშპა კარებიდან
რავაც გინახავს შველია.

თქვენი ლექსიც გაშპა უფსკერო გოდორში და მიდლემჩი ველარ ამოვა იქიდან.

დო-ლის: მეთოდეს სიმღერამ, მართლაც სიმღერის გუნებაზე დაგვაყენა:

„მე ვარ მეთოდე კუბლაშვილი,
სოლომონის კუკლას შვილი:
მაბარია საჭვირთავი.—
მე ვარ მისი ათისთავი...
მართალია მუშას ვძულვარ,
რადგან ვარ მე ავი,
მაგრამ მაინც გლახა არ ვარ,
არ მომიკვედს თავიათ".

ოღონდაც, რომ სასიმღეროდ ჰქონია მეთოდეს საქმე: კაცი კუკლას შვილი ყოფილა და ათისთავობა მიუღია. ეს კიდევ არაფერი: ის თურმე მუშებს სძულთ, მაგრამ მაინც გლახა არ ყოფილა. თქვენი ლექსი კი არ გვძულს, მაგრამ მაინც გლახაა. ამიტომ მან სიმღერით გამოისეირნა გოდრის ძირში.

ნიგოითელ ობოლს: თეოფილეს საჯაყი საქმე დამართნია:

„ამ ჩვენმა თეოფილემ
ასეთი ქალი გამონახა,
რომ მისი კაპასობითა
ხუთივე ობოლი გალახა...
შენ რას იტყვი ტარტაროზო
რა მოუხდება ამფერ ამბავს?

ტარტაროს მხოლოდ შეუძლია მწუხარება გამოსთქვას იმის გამო, რომ შენ მეექვსე ობოლი არა ხარ თეოფილესი, რომ დედინაცვალს გაელახე ასეთი საჯაყი ლექსის დაწერისათვის.

აკ. ჯვარცხმელს: თქვენი შარადა მართლაც გაგვიხდა შარადა, არ გამოგვადგა—არადა რადგან, მას ვერაფერი გაუგეთ, ხოლო რაც შეეხება სტრიქონებს:

„უხილავი რამე ძალა,
ქრის, ზუზუნებს, ხეებშია" და სხვ.

გეთანხმებით, ლექსს აშკარად ეტყობა „უხილავ ძალის ქროლვა"—შარადა უხილავ იქმნა უფსკერო გოდორში.

ნახეს. სოლიკო ცინცაძე მოფიქრებული კაცი ყოფილა, თუ მოწაფეებს ისე ამზადებს, რომ შემდეგ გადასამზადებელი გროშები იშოვოს. ასეთი წინდახედული რომ იყოს მაგალითად. ჩვენი სატყეო ტრესტი ამ ზამთარში შეშა გვექნებოდა. ამიტომ გაუგებარია თქვენი სტრიქონები:

უნდა გითხრა ტარტაროზჯან,
ყველაფერი არს აქ რიგზე და სხვ.

თქვენ სცდებით, მანდ ყველაფერი რიგზე არ ყოფილა, ამას ამტკიცებს თქვენი ლექსის მუსიკალობა. ის ექსკურსიით გავაგზავნეთ გოდრის ძირი დასათვალიერებლად.

დო-ის. თქვენ გვწერთ:

ტყიბულშიც ხშირად ხდება
ამბი გასაკვირველი
ამიტომაც ტარტაროზჯან
შენ აქ მოსვლა გეჭირვება:
რომ ამოხვიდე იცოდე
შემოიარე ფოშტაში,
ფოშტის მოხელე გოგელაშვილსა
მაგრათ ჩასცხე გოგრაში.

მანდ თუ ჩამოვიდა ტარტაროზი, ასეთი ლექსის დამწერის გოგრამაც თავს უნდა უშველოს

ლი.

# აფეთქება



თებერვლის დილა გათენდა, რა ქარიშხალი დგუბაო,
თვითმპყრობელ ჯალათის ტახტი, თავდალმა ყირავდებაო,
მშრომელთა სისხლით ნასუქი რა დიდი ლორი კვდებაო,
მისი სკიპტრა და გვირგვინი ბურტულივით იპენტებაო;

მუშათა ტალღა ბობოქრობს, მტერს შიშით სული ძვრებაო,
საიქიოსკენ მიფრინავს, ჯალათთა მთელი კრებაო,
თოფ-ზარბაზანი გრიალებს, ძველი სამყარო ქრებაო;
და დიდი ოქტომბრისაკენ ბრძოლით გზა იკაფებაო.

კოლიგრაფტრესტის მე-ხ-ე სტამბა, კამოს ქ. № 8

კვირა. 18 მარტი 1928 წ. № 144 წელიწადი მეხუთე ფასი 15 კაპ.

# ტარტაროზი




ამხ. ფილიპე: გადი-გამოდი ტრაქტორო,
მოხან ყამირი ველია,—
რომ სარჩო-საბადებელი
მოვიდეს ულეველია.

ამხ. საშა გეგეჭკორი: ამ თესვის კამპანიაში
ყველა ჩავაბათ განაო,
ხომ უფრო ბარაქიანი
ჩვენ მოგვივიდეს ყანაო

# მაუდის ქვეშ

— ო-ო-ო. ჰა-ჰა-ჰა...— დაამთქნარა საქმეთა მმართველმა და ზარი დარეკა.

შიკრიკი უცებ აღიმართა მაგიდის წინ, როგორც ალაშაძის ჩოგანი.

— რაზე მეძახდით ამხანაგო?

— როგორ თუ რაზე გეძახდი?—შეიკრა შუბლი საქმეთა მმართველმა. რას გავს ეს მაგიდა?

— რას უნდა გავდეს? მაგიდას გავს...

— არა, ეს მაუდი რატომ არის ჩაწეულ- ამოწეული?

— რა ვიცი, ალბათ თქვენი ქაღალდები იქნება.

საქმეთა მმართველმა მაუდის საფარი გადააწია და ქვევიდან ქაღალდები ამოალაგა. ეს იყო: მოწერილობა, დადგენილება, მიმართვა, დანართი, ბრძანება განკარგულება, ოქმი და სხვა ამისთანები. ამ ქაღალდებს, დროის უქონლობის გამო საქმეთა მმართველი თვეობით აგროვებდა მაუდის ქვეშ, რადგან მათ შესასრულებლად არ ეცალა.

საქმეთა მმართველმა ქაღალდები დარაჯს გადასცა. დარაჯმა წაიღო და შიკრიკს მიუტანა. შიკრიკმა დამლაგებელს შეაჩეჩა ხელში. დამლაგებლები კი, ხომ იცით რა ხალხია, ყველაფერს სანაგვე ყუთში ყრიან ხოლმე.

საქმეთა მმართველი არ იყო მაინცა და მაინც ჩინოვნიკი. იგი ქაღალდებს არ მისდევდა, ვოლოკიტას ერიდებოდა.

ერთ დღეს მან მიიღო ფრიად სასწრაფო ხასიათის დირექტივა, რომელიც ერთი თვის განმავლობაში უნდა გაეტარებინათ ცხოვრებაში რომელიღაც ორგანიზაციებს.

დიახ, მახსოვს, ეს იყო დირექტივა საშემოდგომო თესვის კომპანიის ჩატარების შესახებ, გამოგზავნილი მთავრობის მიერ.

— რა რდოს შემოდგომის თესვაა, ჯერ ზაფხული არ გათავებულა,— გაჯავრებით ჩაილაპარაკა საქმეთა მმართველმა, რომელიც მემანქანე ქალზე იყო გულმოსული.

დირექტივა მაუდის ქვეშ ამოსდო. ასე იცოდა ყოველთვის, როცა ცუდ ხასიათზე იყო.

რა ექნა დირექტივას? მას მაშინ აქვს გავლენა, როცა მზეზე გამოდის, თორემ საქმეთა მმართველის ტირანობით მაუდის ქვეშ ამოფარებულს ბევრი არაფერი შეუძლია.

— იმ სიშორიდან აქამდე მშვიდობით მოვაღწიე და ნუ თუ ამ მაუდის ქვეშ უნდა დამამყაყოს ამ ოხერმა?—ფიქრობდა დირექტივა.

საქმეთა მმართველმა ქუდი დაიხურა და წავიდა.

ერთი კვირის შემდეგ ხსენებულმა დაწესებულებამ კიდევ მიიღო ქაღალდი. საქმეთა მმართველი მაშინ ვიღაცას ელაპარაკებოდა ტელეფონით და ქაღალდი არც წაუკითხავს ისე ამოსდო მაუდის ქვეშ.

— ეე! ეს რა ფინარი ვინმე ყოფილა —წამოიძახა დადგენილებამ.—მე აქ განა იმიტომ მოვედი, რომ მაუდის ქვეშ ამომდონ?

დირექტივა, რომელიც აქამდე მარტო განისვენებდა მაუდის ქვეშ, გამოფხიზლდა.

— შენ ეი რომელი ხარ მანდ, რას ბუტბუტებ?—იკითხა მან.

— ეს მე ვარ, —დადგენილება,—უპასუხა დადგენილებამ. შენ ვინღა ხარ?

— მე ჩემო ძმაო, დირექტივა გახლავარ.

— როგორ კაცო, შენ ამდენი ხანია გამოგგზავნეს და ისის მაგივრად, რომ საქმე შეგესრულებია, აქ გაშოტილხარ? განა ასე ჩატარდება თესვის კამპანია?

— ვნახოთ შენ როგორ წაიყვან მშენებლობის საქმეს, —ირონიით უპასუხა დირექტივამ და განაგრძო: —საშინელი ბიუროკრატი ყოფილა ეს საქმეთა მმართველი, სრულებით არ აქცევს ყურადღებას ქაღალდებს.

— შენ საიდან მოდიხარ?

— მოსკოვიდან, შენ?

— აქვე, თბილისიდან, ის კი არა და ამავე შენობიდან.

— არ გასულა ერთი თვე, რომ საქმეთა მმართველმა კიდევ მიიღო რაღაც გადაუდებელი ქაღალდი.

— დღეს სახელის დღეობაში მივიდვარ, ქაღალდებისათვის არ მცალია, ჩაილაპარაკა მან და ქაღალდს მაუდის ქვეშ უკრა თავი. ეს იყო არა უბრალო ქაღალდი, არამედ ცირკულიარი, რომელიღაც კამპანიის მოსამზადებელ მუშაობის ჩატარების შესახებ.

მაუდის ქვეშ მოქცეული ცირკულიარი გაშეშდა. პირველად მან ვერაფერი გაარჩია სიბნელეში. შემდეგ კი თანდათან შეეჩვია მაუდის ქვეშა ატმოსფერას.

— ვერაფერი სახარბიელო აპარტამენტია შენ ნუ მომიკვდები,— უკმაყოფილოდ ჩაილაპარაკა ცირკულიარმა და გრძელი წინადადებები გაისწორა,— რა ეშმაკი პომაცდევინებს ამ დახუთულ ჰაერში?

დირექტივამ პუნქტები სცქვიტა.

— რომელი ხარ მანდ ყმაწვილო?

— მე ვარ ცირკულიარი. შენი თავიც გამაცან!

— ეს მე დირექტივა ვარ, არ გახსოვს, ერთად ვიყავით...

— ოჰ! როგორ არა შე კაცო, ეს ვინღაა, მანდ რომ სძინავს.

— ეს დადგენილებაა. ადე კაცო, ამხანაგი გვესტუმრა.

დადგენილებამ პარაგრაფები მოიფშვნიტა და ცირკულიარს გადახედა.

— ვინ არის ეს ახალგაზრდა?—იკითხა მან.

— ეს ჩვენი საერთო ნაცნობი ცირკულიარია, არ გახსოვს?

— ვაი შენ ჩემო თავო, წამოიძახა დადგენილებამ და მუხლებზე დაიკრა ხელი—მახსოვს, როგორ არ მახსოვს, კარგა ხანს ვისეირნეთ ერთად მე და მაგან...— მასალები არ წამოგყოლია თუ როგორ მარტო მოხველი?

— როგორ არა, მასალებიც გამომატანეს, მაგრამ საქმის მწარმოებელს დაეკარგა. ხომ იცი მაგათი ამბავი.

რამოდენიმე ხნის შემდეგ საქმეთა მმართველმა ერთი დიდი გეგმა მიიღო.

— გეგმის დრო არ მაქვს ახლა, რა დროს გეგმებია,— ჩაილაპარაკა მან და დანართის წერა განაგრძო. გეგმა კი იმავე მაუდის ქვეშ მოათავსა.

— რა სივიწროვეა, —საყვედურით წარმოსთქვა გეგმამ და სული შეეხუთა.— აქ რა მუშაობის გაშლა შეიძლება?

ცირკულიარს სიცილი წასკდა, დირექტივაც ახითხით და. დადგენილებამ მწარედ გაიღიმა.

— რომელ მუშაობაზე ლაპარაკობ ყმაწვილო? შეეკითხა იგი გეგმას და თავი გააცნო. მეგობრებიც წარუდგინა.

სანამ ესენი მეგობრულ მასლაათში იყვენ გართული, საქმეთა მმართველმა კიდევ მიიღო ერთი ქაღალდი. ეს იყო ბრძანება ერთ-ერთ საქმის დაკვრითი წესით შესრულების შესახებ.

— ბრძანების დრო წავიდა,—სთქვა საქმეთა მმართველმა და ქაღალდს მაუდის ქვეშ ჩააყოფინა თავი.

დამხვედრები უცებ გაჩუმდენ.

— მაშ თქვენც ასე გაგიბედეს ამხანაგო ბრძანებავ?— მოკრძალებით შეეკითხა დირექტივა და ისევ გაკმინდა ხმა, როცა ბრძანების შეკრული შუბლი დაინახა.

— მეც გამიბედეს, მაგრამ თუ აქედან ამოვედი, მე ერცი რასაც უზამ მაგ ბიუროკრატს, —გაჯავრებით სთქვა ბრძანებამ.

მეორე დღეს მაუდის ქვეშა ბინის კარები უცებ შეირხა და ტუსაღებთან აჩქარებული დეპეშა ჩავარდა.

— ბიჭოს, ესრა მიყვეს —ბუზღუნებდა დეპეშა,—გამგესთან ვიყავ გაგზავნილი და აქ ჩამომაგდეს...

— მეც მაგ დღეში არ ჩამაგდო მაგ ბიუროკრატემა!— შემოილაპარაკა მოწოდებამ და კარები შეაღო.—ფართო მასებიათვის ვიყავი გაჩენილი და ახლა აქ მიკრეს თავი.

# სახიფათო ნატვრა



სააღრიცხვო მაგიდის უფროსი: როდის იქნება, კაპიტალისტური უმუშევრობა მოისპოს, რომ მოვისვენო, გავწყდი წელში ამდენი მუშაობით.

უმუშევრები: მაშინ ხომ შრომის ბირჟაც მოისპობა, შენც ჩვენსდღეში ჩავარდები!

---

ეს ერთი თვეა მადგინეს, მადგინეს და ძლივს შემადგინეს. თურმე რისთვის?..

იმ ღამეს არავერთის არ ეძინა. მხოლოდ ცირკულიარის ხვრინვა ისმოდა, ისიც დროგამოშვებით.

მეორე დღეს, იქნებოდა შუადღის 1 საათი, როცა სამსახურში ახლად მოსულმა საქმეთა მმართველმა მიიღო საინფორმაციო ხასიათის წერილი, ერთ-ერთ დიდ ოქმთან ერთად.

— რა დროს ოქმები და წერილებია ამ უთენია!— უკმაყოფილოდ ჩაიბუტბუტა მმართველმა და მაშინვე ლუ-რად წაიღო ხელი მაუდისაკენ.

ნაშუადღევის 3 საათზე მმართველმა რამოდენიმე შეა— მიიღო. შეკითხვები, ცხადია, კითხულობდნენ, თუ რა იქნა დირექტივა, ან ბრძანება, ან ცირკულიარი, ან სხვა საქმეები.

— სამსახური თავდება, რა დროს წერილებია,—სთქვა საქმეთა მმართველმა და ყველას მაუდის ქვეშ უკრა თავი.

ერი ჰაა!—წამოიძახა საინფორმაციო ხასიათის წერილმა,—მე ვატყობ, აქ ჩქარა საბინაო კრიზისი შეიქნება. ამოდენა ხალხი სად დავეტევით?

— სიჩუმე ამხანაგებო,— წარმოსთქვა დირექტივამ.

— და წესიერება,— დაუმატა მოწმობამ.

— ხალხნო, სად ხართ ამდენი ხანი,— თითქმის ერთხმად იკითხეს შეკითხვებმა.— იქ ჩვენებს თქვენი იმედი აქვთ და თქვენ აქ გძინავთ?

— უთაობა, ჩემო კარგებო, უთაობა,—უპასუხა გეგმამ და ოქმს მიუბრუნდა: —ქადრაკი ხომ არ წამოგიღია რაციონალურად მაინც გამოვიყენოთ ეს დრო.

- რა გექადრაკება შე კაცო,—უსაყვედურა დეპეშამ და ცირკულიარს შესჩივლა: —სად უნდა ვიყო და სად ვარ, ჩემი ტრაგედია წარმოგიდგენიათ?

— სიჩუმე ამხანაგებო,— გააჩუმა ისინი დირექტივამ —ხომ ხედავთ ბრძანებას ეძინება.

— მეც წავიძინებ ცოტას,—სთქვა ოქმმა და წამოწვა.

— მაგის საწინააღმდეგო მეც არაფერი მაქვს, დაეთანხმა გეგმა და იქვე გაგორდა.

— თუ მასეა, მეც თვალს მოვატყუებ,—ჩაილაპარაკა დეპეშამ და ხვრინვა ამოუშვა.

— მოდი ერთი მეც დავიძინო,— ჩაიდუდუნა ცირკულიარმა.

— მე ვილას მეცამეტე გოჭი ვარ?—იკითხა დირექტივამ და მიწვა.

— არც მე მოვიკლავ თავს უძილობით,— უპასუხა ახლად გამოღვიძებულმა დადგენილებამ და ისევ დახუჭა პარაგრაფები.

— ვერც მე გამოვიჩენ მეტიჩრობას,— სთქვა საინფორმაციო ხასიათის წერილმა და ოქმში ჩაჰყო ცხვირი.

რამოდენიმე ხნის შემდეგ მაუდის ქვეშ მყოფმა საზოგადოებამ ისეთი ხვრინვა ამოუშვა, რომ მკვდარს გაეღვიძებოდა. მოწმობა ბოხგავდა, ბრძანება ბოხი ხმით ხვრინავდა. დირექტივა ბარიტონით ეხმაურებოდა, ცირკულიარი ცხვირით უსტვენდა, დეპეშა კოლორატურული სოპრანოთი კიკინებდა, საინფორმაციო ხასიათის წერილი ოქმს ჩაჰკვროდა და ორივე ფშვინავდნენ.

გაკვირვებული შეკითხვები პირველ ხანებში თვალს არ უჯეროდნენ, მაგრამ ბოლოს ისინიც სძლია ძილმა...

არავინ უწყის (საქმეთა მმართველს გარდა), თუ სანამ გაგრძელდებოდა ზემოხსენებულ საზოგადოების ცხვირთა სიმფონია, მაგრამ უცებ... გაისმა მედგარი ხმა:

— აბა, ვნახოთ თქვენი ნამუშევარი!

ეს გახლდათ მუშათა და გლეხთა ინსპექცია, რომელიც მოულოდნელად დაეცა თავს დაწესებულებას.

საქმეთა მმართველმა აკანკალებული ხმით მოახსენა, რომ ყველაფერი რიგზეა.

ამ დროს მაუდის ქვეშ ცხვირის დაცემინების ხმა გაისმა.

— აქ რა ამბავია?

მაუდის საფარი გადაიხადა და...

— ააა! ოოო! მოსულა! გაუმარჯოს! ძლივს... ყვიროდნენ აღტაცებული პატიმრები.

— აბა, თავთავის გზით, ნაბიჯით წა!—გაისმა ინსპექციის განკარგულება.

მართალია, ყველა თავის საქმეზე გაემგზავრა. საქმეთა მმართველიც... შრომის ბირჟისკენ გაემართა...

ალლარ-ალლარხან.

# დადგენილება

## თესვის კამპანიის ჩატარების შესახებ

საგაზაფხულო თესვის კამპანიის თავის დროზე და წარმატებით ჩასატარებლად „ტარტაროზმა“ შეადგინა განსაკუთრებული რესპუბლიკანური კომისია, რომელმაც საჭიროდ სცნო ასეთივე კომისიების გამოყოფა ავტონომიურ რესპუბლიკებსა და მაზრებში. სამაზრო კომისიების ხელმძღვანელობით დაარსდება სარაიონო კომისიები, სარაიონოები გამოჰყოფენ სათემო კომისიებს, სათემოები—სასოფლოებს, სასოფლოები—საუბნოებს, საუბნოები—საკუთხოებს, საკუთხოები—საოჯახოებს და ასე შემდეგ.

მთელ ამ კომისიების ქსელს ევალება სასტიკად ადევნონ თვალყური თესვის კამპანიის წარმატებით ჩატარებას.

თესვის კამპანიისათვის რესპუბლიკანურმა სატარტაროზო კომისიამ შეადგინა დადგენილების პროექტი, რომელიც უკვე დაამტკიცა უმაღლეს სატარტაროზო საბჭოს და ალმასკომის გაერთიანებულმა პლენუმმა.

დადგენილება შეიცავს შემდეგს:

**მუხლი 1.** დადგენილების ქვემორე განსავითარებლად, პურეულის და ტეხნიკურ კულტურების სივრცის გასაფართოებლად

**სასტიკად აკრძალულია თესვა.**

საქართველოს რესპუბლიკაში და ავტონომიურ ერთეულებში მდებარე სახნავ-სათესი მიწების გარდა, სადაც აუცილებლად **უნდა დაითესოს: პური, სიმინდი, ხორბალი; ქერი, ბამბა, თამბაქო, ჩაი; და სხვა მცენარეები".**

**მუხლი 2.** დატუსაღებულ იქნეს ის გლეხი, ან სხვა მოქალაქე, **რომელიც დაიწყებს თესვას, დროისა და ენერგიისა რადგან თესვის კამპანია მოითხოვს მთელი მოსახლეობის ენერგიის დაჭიმვას.**

**მუხლი 3.** გლეხთა მასებმა კარგად უნდა შეიგნოს, **რომ არ შეიძლება თესვა** გაფუჭებულ და წამხდარ თესლით, რადგანაც ცუდი თესლი დასცემს მოსახლეობას. **დათესვა შეიძლება მხოლოდ გაწმენდლი და საღ თესლით.**

**მუხლი 4.** ყოველ გლეხს ევალება უკუაგდოს მამაპაპაური გუთანი, რადგანაც საგაზაფხულო **თესვა უნდა მოხდეს სასოფლო - სამეურნეო გაუმჯობესებულ იარაღმანქანების საშუალებით.** ამისათვის გლეხობამ უნდა გამოიყენოს სოფლად არსებული მანქანა-იარაღები და აგრეთვე შეიძინოს ახალი იარაღები.

**შენიშ.** იმ ადგილებში, სადაც არ არის ახალი იარაღები დასაშვებია მამა-პაპური გუთნით, ბარით, თოხით და სხვა ხელსაწყოებით.

**მუხ. 5.** თესვის კამპანიის ინტერესების დაცვის მიზნით, **აბსოლიუტურად აკრძალულია მიწის მოხვნა ზერელეთ. მიწა უნდა დაიხნას ღრმად,** ისე, რომ თესლმა მაგრად გაიდგას ძირი და მოგვცეს კარგი ნაყოფი.

**მუხ. 6.** თესვის კამპანია რაციონალურად ჩატარდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, **თუ გლეხობა თავს დაანებებს ხორბლის** თესვას. ისეთ რაიონებში, სადაც მართალია, პური; ან სიმინდი არ ხეირობს; მაგრამ კარგად იხარებს ბამბა, თამბაქო, ჩაი, კანაფი და სხვა ტეხნიკური ძვირფასი მცენარეები. **ხორბალი შეიძლება დაითესოს ისეთ ადგილებში, სადაც იგი კარგ ან გვარიან მოსავალს მაინც იძლევა.**

**მუხ. 7.** რომ ტყუილ-უბრალოდ შრომა და ენერგია არ დაიკარგოს, ამიტომ სატარტაროზო საბჭო ადგენს: **აკრძალულ იქნას ხელოვნური განოყიერება, ანუ გასუქება ისეთ მიწების,** სადაც არაფერი იქნება დათესილი, ან სადაც მიწის გასუქება არ გამოიღებს შედეგს. **მიწა უნდა განოყიერდეს: ნეხვით, მინერალური სასუქით, მორწყვით და სხვა მოსახერხებელ საშუალებით.**

**მუხ. 8.** საგაზაფხულო თესვის კამპანიაში მონაწილეობის მიღება **და თესვა ეკრძალება ყველას, გარდა გლეხებისა, მათი შვილებისა; მოჯამაგირეებისა, გლეხი ქალებისა. კოლექტივებისა, არტელებისა; კომუნებისა, სახალხო მამულებისა და სოფლის ყველა ცოცხალი ძალებისა და ორგანიზაციების. თესვის კამპანიას მთელი ძალღონით** უნდა დაეხმარონ ქალებიც.

**მუხ. 9.** თესვის კამპანიაში აგრონომიულ ღონისძიებათა გასაძლიერებლათ, **აგრონომებს ევალება დატოვონ ბინები და გადაიკარგონ** სოფლებში, საყანეებში; ხნულებში; ბაღებში და სხვა ისეთი ადგილებში, სადაც ისინი არიან გლეხებისთვის საჭირო და აუცილებელი.

**მუხ. 10.** მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატს, სოფლის კავშირს, სასოფლო-სამეურნეო ბანკს, ადგილობრივ ალმასკომებს; კოლექტიურ მეურნეობათა ცენტრს; სახალხო მამულთა ტრესტს და სხვა დაინტერესებულ ორგანიზაციებს ევალება შეაჩერონ მუშაობა და უმთავრესი **ყურადღება მიაქციონ თესვის კამპანიას და ყოველმხრივ შეუწყონ ხელი ამ კამპანიის წარმატებით** ჩატარებას. თესვის კამპანიაში მონაწილეობის მიღება, ზემოაღნიშნულ დაწესებულებებს გარდა შეუძლიათ ყველა იმ დაწესებულებებს, ვისაც ამ კამპანიისთვის რაიმე სარგებლობის მოტანა შეუძლია.

თესვის ჩამტარებელ სატარტაროზო კომისიის პ.-მგ;
მდივანი **ტერსიტი.**

## საფუძვლიანი შიში



პირველი: რა უბედურებაა, ამდენი ჭკვიანი ხალხი რომ იხოცება?

მეორე: შენ ეგა თქვი და! ამ ბოლო დროს მეც ცუდათ ვგრძნობ თავს!

# კინო-კარიერა

„დასადგმელად მიღებულ სცენარებს წლობით აცდევინებს საკინმრეწვი“.
კინოს შესახებ კამართულ კამათიდან..



1. ჭაბუკი იყო როცა
გახდა არტისტი კინოს,
ხიბლავდა სიყმაწვილით
კინო-არტისტკა ნინოს....
2. ელირსა, მისცეს ერთხელ
მას როლი შესაფერი.—
მაგრამ მოსთხოვეს მკაცრად,
მოეშვა ულვაშ-წვერი.
3: ბევრი უცადა დადგმას
და როს მისი ჯერიც დადგა,
უკვე მოხუცი იყო
და აღარ გამოადგა!..

# ნაღრძობი ტვინი

სოფელ ნივრიანის გლეხები ამჩნევდნენ, რომ საკრედიტო ამხანაგობის თავმჯდომარეს სონკა კურდღელაშვილს ბოლო ხანებში რაღაც არაჩვეულებრივი ამბავი დაემართა; მუშაობას თავი დაანება და მთელი დღეობით ცენტრიდან მოსულ ჟურნალ - გაზეთებს იზეპირებდა.

— ორატორობა უნდა ისწავლოს—ეუბნებოდა ერთმანეთს თანამშრომლები და ჩუმათ იღიმებოდენ.

მის შემდეგ კი, რაც ქალაქიდან ჩამოსულმა აგრონომმა გლეხთა საერთო კრებაზე ვრცელი, სამსაათიანი მოხსენება გააკეთა ჩემბერლენზე, მის ოჯახურ მდგომარეობაზე, სპილოების ზნე-ჩვეულებაზე, ინდის ხურმის მოშენებაზე, მთვარის დაბნელებაზე და სხვა გადაუდებელ საკითხებზე, კურდღელაშვილში მოხდა უეცარი გარდატეხა. დასჩემდა ახირებული ჩვეულება. თუ რამეს გაიგონებდა, მაშინვე კითხვებით შეუდგებოდა მის მეცნიერულ შესწავლას საერთოდ ის კითხვითი ნიშანსაც კი დაემგვანა.

ერთ მშვენიერ დღეს მასთან კანცელარიაში შემოვიდა გლეხი მიხა ხატიპარიაშვილი და შეევედრა:

— შენ გენაცვალოს ჩემი თავი, სონკა, წუხელ დასალუპავ მგლებს ჩემი ძროხა დაუგლეჯიათ და როგორმე სესხი უნდა მომიხერხო თორემ ოჯახი მთლათ დამელუპება“.

— ძროხა? — ნაღვლიანათ წამოიძახა სონკამ, — რა არის ძროხა? თუ ჩვენ მოვიგონებთ სამხვთო რჯულიდან მოსე წინასწარმეტყველის ხანას დავინახავთ, რომ მაშინაც კი ყოფილან ძროხები. აქედან ცხადია, რომ ეს მწერი ანუ ფრინველი საერთაშორისო მასშტაბით დიდ როლს თამაშობს პოლიტიკაში. მაშასადამე...

— ჰეი, სონკავ, თავი დაანებე ხუმრობას, ბავშები ამომიწყდება შიმშილით.

— ბავშები? — რა არის ბავშები? ბავშები არიან ჩვენი მემკვიდრეები, მათ უნდა გააგრძელონ ჩვენ მიერ დაწყებული უდიდესი საქმე პოლიტიკაში, ერთა ლიგის და მისი დიქტატურის გაიძვერობის წინააღმდეგ. უნდა გაილაშქრონ და ხუთ წვეტიან ვარსკვლავით ხელში გაანათონ მთელი მსოფლიო ამოსულ მზესავით, რომელიც ყოველდღიურ ცხოვრებაში...

— შე ოჯახქორო, რამ აგიქავა ენა, საკრედიტო ამხანაგობის თავმჯდომარე ხარ და თუ შენ არ გამიწევ დახმარება — სხვა ვიღას მივმართო?!

—დახმარება? — გააწყვეტინა სიტყვა სონკამ—გადახმარებას საერთოთ ჩვენ უწევთ ერთმანეთს, თუ ჩვენ მოვინდომებთ გადავხედოთ ისტორიას,დავინახავთ რომ ჩვენი წინაპრებიც ეხმარებოდნენ ერთმანეთს და მრავალი იყო მაგალით, როდესაც ასე თუ ისე სიმართლის გულისთვის და სხვა მიზეზების გამო...

სონკამ ერთი საათი ილაპარაკა. მოთმინებიდან გამოსულმა მიხამ გააქნია თავი და გავიდა კანცელარიიდან.

მალე სონკამაც გაათავა რეჩი, ჩაალაგა უჯრაში ქაღალდები და გამოვიდა კარში, სადაც მას შეხვდა ქერიფელო და შეეკითხა.

— სონკა, დღეს მესამეთ მოვდივარ და ვერ იქნა, ვერ მივიღე დაპირებული ოთხი ფუთი ფქვილი, რაშია საქმე?

— ფქვილი? — გამოცოცხლდა სონკა, — რა არის ფქვილი? თუ ჩვენ გადავავლებთ თვალს წასულ საუკუნოებს — დავინახავთ, რომ ფქვილს ჩვენი მამა - პაპები ხმარობდნენ პურის გამოსაცხობად. პურის გარდა ფქვილიდან კეთდება ნაზუქი, ხაჭაპური, ხინკალი და სხვა. საერთოდ, ეს საკვები ნივთიერებაა. ურომლისოდაც ვერ შესძლებს განვითარებას უდიდესი პროლეტარული მოძრაობა საერთაშორისო, მასშტაბით ე.ი. ინტესიურ და ექსპრესიულ ნიადაგზე ამოსული პურის მარცვალი. ან, როგორც ჩვენ უწოდებთ, ხორბალი, მიუხედავად ერთა ლიგის და მის მოქიშპეების კიჟინისა, მაინც წისქვილში იფქვება და სწორეთ ეს არის ჩვენი დღევანდელი....

— სონკა. ფქვილიდან რომ პურს აცხობენ მეც კარგათ ვიცი, საქმე იმაშია, რომ მე ოთხი ფუთი ფქვილი მჭირდება დროებით. ჭირნახული რომ მოვა დაგიბრუნებ...

— ჭირნახული? — ჭირნახულის საკითხი ძველზე უძველესი საკითხია. ჯერ კიდევ მეფე დავითის დროს ჭირნახულს დიდ ყურადღებას აქცევდენ და როდესაც ჩემბერლენმა...

— ი-ი-ი პ! — ღვინითა ხარ გაჟღენთილი და რა უნდა გელაპარაკო, — ხვალ მოვალ და ფქვილი დამახვედრე.

— ღვინო!?!—ღვინო პირველათ მოიყვანა ნოემ... კიდევ გააგრძელებდა სონკა რომ პელო არ გაბრუსებული ყო და არ მოშორებოდა.

იმ საღამოს სოფელში ხანძარი გაჩნდა. შუაღამისას სონკა გააღვიძეს და უთხრეს: — ბასილ ლურჯაშვილის ქოხს ცეცხლი გაუჩნდა და მოგვეშველეო.

— ცეცხლი?! — ცეცხლი მწვავე ნივთიერებაა, — სთქვა სონკამ და ნელის ნაბიჯით გასწია ხანძრისაკენ.— როგორც ისტორია იტყობინება, ცეცხლი იესო ქრისტემდეც არსებობდა, ცეცხლზე ხარშავდნენ ლობიოს შეჭამადს. ხრაკავდენ კატლეტებს და უქმე დღეობით სწვავდენ მწვადებს ხახვით. ხახვი ბოსტანში მოდის და იხმარება როგორ საჭმელში, ისე ყურებზე დასაჭრელადაც.

— დაანებე ლაყბობას თავი, მოგვეშველე. წყალი მოგვაწოდე! — უთხრა ერთმა გლეხმა, როდესაც სონკა მიუახლოვდა ლურჯაშვილის ქოხს.

— წყალი არის სითხე, რომელსაც სვამენ როგორც კაცი, ისე ცხენი, ძროხა, კამეჩი და ყველა ცხოველი ლოთობს გარდა, რომლებიც ღვინოს და არაყს უფრო ეტანებიან. ზოგიერთ გაზეთის მოხსენებაშიც მოიპოვება წყალი მაგრამ ეს წყალი ხანძარს ვერ ჩააქრობს...

—ხელიდან წაგვივიდა სონკა, ჭკუიდან შეიშალა საწყალი ახალგაზრდა ლაპარაკობდენ გლეხები და თავს აქნევდნენ.

ხანძარი რომ ჩააქრეს გლეხებმა ერთმანეთში ბაასი გააბეს. დიდხანს ლაპარაკობდენ და წარა-მარა ნაღვლიანათ სონკას უყურებდნენ.

— არაფერია ამხანაგებო, მე მაგას ხელდახელ მოვარჩენ, — სთქვა საბჭოს მდივანმა ქიტემ.—თქვენ მხოლოდ მხარი დამიჭირეთ და მაგას ხვალვე ჭკუაზე დავაყენებო, —და დაუწყო გლეხებს ჩუმათ ლაპარაკი.

მეორე დღეს სონკა სახლიდან გამოსვლისას შეხვდა ერთ გლეხს და მიესალმა:

— ლუკას სალამი!

— სალამი?! — სთქვა ლუკამ და განაგრძო: რა არის სალამი შემოღებულია ჩვენი წინაპრების მიერ, რომლებიც მიუხედავათ იმისა. რომ...

— მოიცა! რეებსა ბოდავ კაცო! — ჰკითხა სონკამ.

— ვბოდავ? — რა არის ბოდვა? — ბოდვა იგივე ლაპარაკია. იმ განსხვავებით....

გაკვირვებულმა სონკამ თავი დაანება ლუკას და მიმართა მიწყალ ოლოლს:

— საწყალი ლუკა, მგონი ავად უნდა იყოს, სიცხე ექნება ალბათ.

— ავათ არის? -- მიუგო სოლომ. — მეორე რა არის ავადმყოფობა? -- ავადმყოფობა არის...

სონკამ აღარ გაათავებინა სოლოს და მოკურცხლა სამსახურისაკენ. კანცელარიაში თავის თანაშემწეს მიესალმა.

გამარჯვება!

— გამარჯობა?! რა არის გამარჯობა? რომ საფუძვლიანათ დაუკვირდეთ, გამარჯვება იგივე დამარცხებაა და დამარცხება კი...

შეშინებულმა სონკამ სტაცა ქუდს ხელი, სახლისაკენ გაექანა. შევარდა ოთახში და დაიღრიალა:

— მალე წყალი!—

— წყალი? რა არის წყალი?! — შეეკითხა ცოლი. — წყალი არის ერთგვარი სითხე, რომელიც...

სამი დღის შემდეგ სონკა კარგად გახდა, თავი დაანება ორატორობას და შეუდგა გაცხოველებულ მუშაობას.

რევაზ.

# ზეპირ მკურნალობა

„დაზღვეულთა ბინაზე. ზოგიერთი ექიმი დაგვიანებით ცხადდება და ავადმყოფს ზედაპირულად შინჯავს".

მუშკორის წერილიდან.



ექიმი: (შორიდან ენა გამოყავი, ისუნთქე, დაახველე. ჰო; ალბად გრიპი გაქვს, შეიძლება სახადიც იყოს, ან სურდო; ან ჭლექი. ყველანაირ წამალს გამოგიწერ და რომელმაც გარგოს ის იხმარე!

# „იდეოლოგიური" მიდგომა

კვიროსი ოჩმახურელი (პოეტობაში აკვირინეს შვილი), თავის მაგიდას უზის და იდეოლოგიურად „მისაღებ" მოთხრობის წერას იწყებს, დასწ‚რა პირველი სტრიქონები:

...„ღამეა. სოფელი ძილს მისცემია. აქა-იქ სარკმელიდან მოსჩანს მკრთალი სინათლე"..

— არ ვარგა. არ არის იდეოლოგიურად სწორი, — ჩაილაპარაკა კვირო ოჩხამურელმა და გადაასწორა:

...„ღამეა, მაგრამ სოფელს მაინც ღვიძავს. თვითეულ სარკმლიდან მოსჩანს ზაჰესის კაშკაშა სინათლე"..

— ეხლა გავყვეთ ქვევით,— კმაყოფილებით ჩაახველა კვიროსმა და განაგრძო წერა.

...„გარე წევს სუფთად გაშლილ სარეცელზე. ათასფრად აქარგულ საბანში გამოქანდაკებული მისი სათუთი სხეული ირხევა ჰოფლივით"...

— არ ვარგა! დავიწყოთ ხელახლა:

...„მარო წევს გამურულ ლოგინზე. ათას ადგილას დაკერებულ საბანში გაბანდული მისი ვაჟკაცური სხეული ისე ბორგავს, როგორც ტრაქტორი მინდორზე"...

ესლა განვაგრძოთ:

...„მაროს მიეძინა. ირგვლივ სიწყნარეა... აქა- იქ მოისმის ძაღლების ყეფა"..

— არ ვარგა! ასე სჯობს:

...„მაროს არ ეძინება. ირგვლივ ხმაურია. ყოველგან მოისმის ავტოს გუგუნი"....

:...„მამლის ყივილი მაროს ისე ჩაესმა ძილში, როგორც შორეული ზარის რეკა"....

არ ვარგა!

ქარხნის საყვირის ხმა მაროს ისე ჩაესმა ძილში, რო-როგორც ჩაქუჩის დაკვრა"..

— ასე ნამდვილი რევოლიუციონერია;—კმაყოფილებით სთქვა ოჩხამურელმა. და განაგრძო:

...„ამ დროს რეზო აწყობდა საშინელ გეგმას. ემზადებოდა შურის საძიებლად. მას გუშინდელი სცენა მაროსთან არ ასვენებდა"...

არ ვარგა!

...„ამ დროს რეზო აწყობდა კრებას. ემზადებოდა მოხსენებაზე გამოსასვლელად. მას გუშინდელი დავა მაროსთან კიდევ არ დავიწყებოდა"..

...„ეჰ! სანამდე უნდა ვითმინო! მაროს არ ვაპატიებ აბუჩად აგდებას. მან მიღალატა, მაგრამ გაუსწორდება-ლაპარაკობდა თავისთვის რეზო"...

არც ეს უნდა ვარგოდეს მგონი!

...„ამხანაგებო, გთხოვთ მოისმინოთ! ნუ იკადრებთ წესრიგის დარღვევას... მოღალატეები და კონტრ-რევოლიუციონერები ჩვენ გვიპირობენ დამხობას, მაგრამ ჩვენ გაუსწორდებით,— დაიწყო ლაპარაკი რეზომ"...

— კი, კარგი ეს ყველაფერი მაგრამ ეხლა როგორ გადავაბა ერთმანეთს რეზო და მარო,— ჩავარდა საგონებელში „მწერალი" ოჩხმაურელი.

— გადავიკითხოთ თავიდან. რა გამოვიდა ვნახოთ —სთქვა „მწერალმა" და გადაიკითხა:

— აკი არ ეძინა! როგორ ჩაესმა ძილში, თუ არ ეძინა. არა! უნდა დავაძინო, მეტი გზა არ არის!—შეიტანა შესწორება კვიროსმა და განაგრძო კითხვა:

....„ამ დროს რეზო აწყობდა კრებას"...

— მარო დავაძინე, მაგრამ ამ რეზოს რაღა უყო? ის კრებას აწყობს, მაროს სძინავს. თავი და თავი მაროს და რეზოს დაკავშირებაა ერთმანეთთან. არა! ისევ უნდა გამოვაღვიძო მარო,—სთქვა ოჩხამურელმა და სათანადო შესწორება შეიტანა:

„მას გუშინდელი დავა მაროსთან კიდევ არ დავიწყებოდა.- -ამხანაგებო, გთხოვთ მოისმინოთ, ნუ იკადრებთ წესრიგის დარღვევას. მოღალატეები და კონტრ-რევოლიუციონერები ჩვენ გვიპირებენ დამხობას, მაგრამ ჩვენ გაუსწორდებით, — დაიწყო ლაპარაკი რეზომ"...

— მარო სადღაა? რა უბედურებაა! არაფერმა უშველა. რამდენჯერ დავაძინე, რამდენჯერ გამოვაღვიძე, მაგრამ რეზოსთან მაინც არ მოდის,— ჩაფიქრდა კვიროს ოჩხამურელი.

— სჯობს ისევ ორივე დავაძინო, მაგრამ ძილისთვის რა საჭირო იყო ამდენი წვალდობილა? სჯობს ისევ გავაღვიძო და ავამოქმედო ორივე.

კვიროსი დაფიქრდა: გავაღვიძო თუ დავაძინო? რომელი აჯობებს ნეტა? ეს პრობლემა გადასწყვიტა კვიროსის მძიმე ხვრინვამ.

**ხეგეირ-ბენ-შეიხ.**

# წინდახედული შვილი

„ამ ბოლო დროს მეტად გახშირდა მცირეწლოვანთა დაკარგვა, რომლებიც ოჯახიდან გაპარებიან".

გაზეთებიდან.



— მამარჩემო, თუ დაიკარგო იცოდე, აგერ ქიქხები— ამერიკაში!...

# „ამერიკელ ძიას" გოდება

(„პორთფელო ჩემანალა"-ს ხმაზე)

ვაჰ სეზონო, რაშიგან ხარ,
რას გვაბრუნებ რა ზნე გჭირსა,
გუშინ ფულებით ამავსე
დღეს მაყენებ კარზე ჭირსა.
საშას ჰკითხეს რად არა სდგამთ
„ამერიკელ ძიასაო"
მან მიუგო ის „სადაროთ"
გავატანეთ ნიავსაო.
არშაკამ სთქვა დრამას ვზივარ,
ვერვინ მოვა ჩემზედაო,
გავიხედე და „რაზლომი"
შემჯდარიყო გემზედაო.
წინ მატრასები მოუძლევის,
დაგეშილი ჩემზედაო,
ამწიეს მეც დამადევს,
ქონიან ნიჩაფზედაო.
დღეში სამჯერ ვიდგმებოდი
როგორც ხედავთ, დღეს გამიშვეს:
უეადო შვებულებაში.
ლაერენიევის „პარახოდი"
„გოსდრამაში" ბრუნდება!
ი ჩემანალო ჩემი დრო
ნუ თუ არ დაბრუნდებაო?!

**დონ-კიხოტი.**

# სანაგვეზე




საწყელ ფურათა ჰყავდათ ჩვენი თეატრი დრამის
„დეზერტირკა“ და „ძია“ ამკრებად იყვენ დრამის
ხელთ იგდეს მელპომენის ბურთი და მოედანი
ხურჯინით ზიდეს ფული, ყველას უგანეს-განი

მაგრამ ნამუსიც—თქმულა საქონელია კარგი
ველარ ათრია მეტი ეს სამარცხვინო ბარგი,
და ღონიერი ტორი ორივეს მაგრად სდრიკა,
და სანაგვე უთს მისცა „ძია“ და „დეზერტირკა“.

## პოემა „ჩემანალა“-დან

I

ერთხელ ჩვენმა აზიანმა
ტკბილად და თავაზიანად
„დეზერტირკა“ მოიტანა
და თეატრი აზიარა.
შემდეგ თვითონ არტისტებმა
გაალამაზ — ფრაზიანა:
ყველას ახსოვს ამ პიესამ
როგორ გაგვაბრაზიანა.
ყველა დარგი აუმხედრა,
ყველა გაალიზიანა!

——

ეს რა არის ერთიც ვნახოთ,
(ამ სიტყვისთვის არ გამლახოთ
სანამ უნდა ვიჩანჩალოთ?)
ყვავს იმედი მუდამ ჰქონდეს
ცხოვრებაში რაც რამ მოხდეს
ღლიანდ სული არ ამოხდეს.

——

რომ გვგონია ვილუპებით,
„დეზერტირკა“ დაგვიძველდა,
ხალხი უკვე აღარ დადის
მასზე ფიქრიც გაგვიძნელდა.
ამ დროს ცქვიტად ჰორიზონტზე
ამოგორდა ჩვენი „ძია“.
აზანზალდა დელპომენა
და კედლები შეანძრია...
ეხლა იმას აღარ მკითხავთ
პიესაში თუ რა ყრია?
მართალია კაცი უნდა იყოს
უბადრუკი და ავყია,
რომ ეს შრომა ჩვენს „ნიკორას“
ჩაუტაროთ ისე ფუჭად,
ამიტომაც მთელი ხალხი
ფულს აწვდიდა მუჭა-მუჭად,
თუმც დაგვასხა თავზე ლაფი;
თავის-თავიც გაიფუჭა,
მაგრამ რაა, ფულისათვის
რას არ იზამს ეხლა კაცი,
და გინებას მოგვაყმინა
(ვწუხვარ თემას ხომ არ ავცდი)
მკვდარი ზევით ამოიღო
ცოცხლებს სულ გააცლო გნაცი.
აჩუხჩუხდა რუსთაველი
დედას ისე ახსენებენ
თითქოს ყველას უხარია
ტუჩებს დორბლით ასველებენ
ერთი სიტყვით, მოკლედ მოვჭრი,
აღარავის ასვენებენ.
მაგრამ რაა დღეს მეფობა,
ბოლომდის ვის შერჩენია?—
ახმაურდა ხალხი ერთხმად:
„თეატრს მატლი შესჩვევია.
ჩვენ ასეთი პიესები
არც გვქონია, არც გვჩვევია“
და ტყაპანი მოადინა
სანაქებო „ძიამ“ ძირსა
თეატრიც კი გამოფხიზლდა
მიანება თავი ძილსა.
შემოიჭრა კრეისერით
ქარიშხლიან ხმებით „რღვევა“
ჩემანალა „დეზერტირკა“
და „ძიები“ გააძევა.

**ხოსრო ბიჭი**

# ბნელეთის აგენტები---მზის სინათლეზე

„სახ. პოლიტსამმართველომ დონის მადნეულ რაიონებში აღმოაჩინა ეკონომიური კონტრ-რევოლიუცია. დამნაშავენი დაპატიმრებულნი არიან“.

გაზეთებიდან.



ყველა ჯიშის ქვეწარმავალთ მუხანათებს, გაიძვერებს,— მშრომელ ხალხის რკინის ხელი გასრესავს და გაამტვერებს

# მდგომარეობასთან შეფარდება

— გამოდის, რომ დღეს სადილი არ გვექნება?—ა?
— სწორია.
— სწორია!, სწორია! რატომ არის სწორი?
— იმიტომ, რომ უშეშოთა ვართ. ესე იგი შენ შეშისათვის არ ზრუნავ.

ეს კი მეტის მეტი იყო, ჩემი ცოლის კადნიერებამ საზღვარს გადააჭარბა და ხმას აუწია:

— როგორ?!!! მე არ ვზრუნავ შეშისათვის? ჩვენ დაწესებულებაში ხომ ორას ხუთი კაცია? ამ ორას ხუთმა კაცმა ხომ მხოლოდ სამი კაცი აირჩია შეშის კომისიაში? ამ სამმა კაცმა ხომ მე, ხოლოდ მე ამირჩია თავმჯდომარედ და მე არ ვზრუნავ შეშისათვის?

ცოლი მახეში გაება, იმის დავიწყება რომ კომისიაში ამირჩიეს სულ ერთი კვირის წინად, როცა რკინისგზებზე დიდი თოვლის გამო მოძრაობა შეწყდა არ შეიძლებოდა.

— აი, გენაცვალეთ,— ეუბნებოდა სწორედ ერთი კვირის წინად ჩემი ცოლი ჩვენსას თავმოყრილ ქალებს, შეშის კომისიაში აურჩევიათ, აგერაა ადგილკომის დადგენილების ასლი, ისეთი ცეცხლი გავაჩაღო, რომ წასვლა არ იფიქროთ. ქალები კითხულობდენ ოქმს.

— ნეტავი შენ! თავმჯდომარის ცოლი გახდი! უსიტყვოდ ამბობდენ ისინი და გული შურით ევსებოდათ.

— მაშ, როგორ გეგონათ ა? არ იცოდით რომ ჩემი ქმარი თქვენებს არ გავდა?—უსიტყოდვე უპასუხებდა ჩემი ცოლი თავმომწონედ.

მე თითქოს გაზეთს ვკითხულობდი. ნამდვილად კი

იმათ უსიტყვო მუსაიფს და სახის მოძრაობას თვალ-ყურს ვადევნებდი და ჩემთვის ვიძახოდი:

— „მაშ, მაშა! ეგრე ვიცის ჯაყომა".

ჰო, ცოლთან გამართულ დიალოგზე მოგახსენებდით. მის საყვედურზე მე უპასუხე:

— შენ მუდამ ეგრე იცი, საყვედურებით აავსებ კაცს.

არა კაცო, ნუ გაცხარდები, მე ის მინდოდა მეთქვა, რომ, თუ კი შეშა არ გვექნება, კომისია მაშ რისია?

— ხა! ხა! ხა! ხა! „თუ კი შეშა არგვექნება, კომისია მაშ რისია? მე და ჩემმა ღმერთმა მშვენიერი რითმაა.

ცოლმაც კმაყოფილებით ჩაიცინა და ჩვენ შორის დროებით ზავი ჩამოვარდა.

— ხორცი და კარტოფილი ისე არ მენანება, მწვანილია მისხლობით ნაყიდი—განაგრძობდა ის.

— მაინც რა მიეცი მაგ კონაში.

— კონობას თავის დაანებე მისხლობითაა ნაყიდი, ორი აბაზი მიმიცია.

— მერე მაგაზე დარდობ? ბონობია ხომ გახსოვს? მე მაშინ სამი კაცი მესტუმრა და ექვსას ორმოცდა ათი მი-- -ნ- მანეთის მწვანილი ვიყიდე და არც კი გვეყო.

— ერთი შენც დაა! ყველაფერს ხუმრობაში ატარებ, მომეცი ეგ გაზეთი მეც წავიკითხო....

მე მოთხოვნილებას ვასრულებ, გაზეთს ხელიდან უშვებ, ტახტზე ვწვები და პალტოს ვიხურავ საბნის მაგიერ.

ვფიქრობ ცხოვრების ავკარგზე.

„ტყიბულის რაიონში თოვლი ორ მეტრამდე აღწევს, ხოფლის სკოლებში სწავლა შეწყვეტილია". კითხულობს ჩემი ცოლი და კომენტარიებსაც უკეთებს:

— საწყალი ბავშები სწავლაზე სცდებიან, რა თავგასულებია სოფლის დვორნიკები, რატომ არ ახვეტენ თოვლს?

ჩემი ცოლი ქალაქელი ქალია, მაგრამ სოფლის საკითხებში თავი სპეცად მოაქვს და კამათის ატეხას ვერიდები.

— ჰო, გენაცვალე ეს დვორნიკები თავნება ხალხია, —უპასუხებ და ვჩუმდები.

— „ხაჯევახო-ნიგოითს შუა გრიგალმა წააქცია 240 ბოძი".—კითხულობს კვლავ იგი და დასძენს:

— ეგ არაფერია, დარწმუნებული ვარ, „ტელას"-ს იქ ჯერაც არ გაუყვანია სინათლე.

მინდა განვმარტო, რომ ზაჰესის სინათლე ნიგოითისათვის არაა გამიანგარიშებული, მაგრამ ელექტროფიკაციის საკითხშიც სპეცად ძოაქვს თავი ჩემ მეუღლეს და კვლავ ვჩუმდები.

— რა გააჭირეს საქმე ამ „ზინოვიევის წერილი"-თ, რა უყოთ რომ ზინოვიევი კომუნისტია, ისიც მამაკაცია და იუსტინა ჩემბერლენს სასიყვარულო წერილი გაუგზავნა, ამბობენ ჩემბერლენი ლამაზი ქალია და წერილებით ბევრი პაკლონიკები უგზავნიან-"ო. ეხლა უკვე გაცხარებით განაცხადა ჩემმა ცოლმა, გაზეთის კითხვას მორჩა და ჩემგან პასუხს ელის.

— იუსტინე კი არა, ოსტინ ჩემბერლენი, ის წერილი ამას გარდა, სულ არ იყო სასიყვარულო, არამედ ყალბიც კი იყო.... დავიწყე მე და საჩქაროდ შევჩერდი, მომაგონდა. რომ იუსტინე აბულაძე დღესაც კომინტერნის თავმჯდომარედ სთვლის ზინოვიევს. ჩემ ცოლს კი დიდ პოლიტიკოსად მოაქვს თავი და კამათი არ ღირს.

ვწევარ და განვაგრძობ ფიქრს.

კარგია მდგომარეობასთან შეფარდება. მაგალითად, საშინელი ზამთარია, სიცივით იკრუნჩხები, ნუ დარდობ ამაზე, შენ მხოლოდ გამოარკვიე გაზეთის საშუალებით, რომ ეს ციკლონის ან ანტიციკლონის მიზეზია.

ვთქვათ, მიდიხარ არხეინად ქუჩაში, ხულიგანმა მუცელში დანა გატაკა, ამისაც ნუ გეშინია, შენ მხოლოდ გამოარკვიე რა დანა იყო, ბებუთი, ყასბის დანა თუ უბრალო ჯიბის დანა. ვთქვათ, არსად მიგეჩქარება, ფეხით სიარულზე ხელი აიღე და ტრამვაიდან ათვალიერებ ვიტრინებს, თანაც გულში იმეორებ „აჩქარებითა სოფელი ვერავის შეუქამია, ნელა წავალთ და ქე მივალთ გზაში, თუ არ დავიმტვერითო". სწორედ ამ დროს დაეჯახა ტრამვაის საბარგო ავტომობილი, მოხდა აურ-ზაური, თავი შენი გატეხილია, როგორც ასეთი, ნუ ფიქრობ სასწრაფო დახმარებაზე, ჩაიწერე შეღებილი იყო თუ არა საბარგო ავტომობილი და გულდამშვიდებით დაუცადე კომისიის დასკვნას, ის ყველაფერს გამოარკვევს, შოფერი იყო მთვრალი თუ ვატმანი.

დაუშვათ შენი 12 წლის ვაჟი პირველი, მეორე და მესამე დღეა სახლში არ გამოცხადდა. დარდი გულთან ახლოს არ მიიკარო, ადრე თუ გვიან, წაიკითხავ ცნობას, რომ საერთოდ ახალგაზრდობის ერთი ნაწილი სადღაც მიილტვის ბედის საძიებლად, ზოგი დარცხვენილი უკანვე ბრუნდება და ზოგი იღუპება....

— აჰა! ადექი! ადექი! რესტორანში წავიდეთ, —მესმის ცოლის ხმა.

— უჰ! ჩამძინებია?—ვიძახი მე და ცალ თვალს ვახელს.

— ადექი ჩქარა!—მესმის განმეორებით ბრძანება. სავსებით ვერკვევი და საკუთარ თავთან შეწყვეტილ მუსაიფს განვაგრძობ:

— რესტორანში სამჯერ მეტი დამეხარჯება, ვიდრე სახლში, ჩემი ბიუჯეტი ამას ვერ გაუძლებს, მაგრამ არა უშავს, ამის მიზეზი უექველად უშემობაა, საჭიროა მდგომარეობასთან შეფარდება.— ვასკვნი მე და ძალაუნებურ მხიარულად მივეძართები რესტორანისაკენ.

სიმონ-ალა.

## თავდაცვის იარაღები



1. ცოლთან ბრძოლის დროს—ბალიში.
2. ბიუროკრატ გამგესთან—ბოქლომი.
3. ქუჩაში—საფურთხებელი.

# ბიუროკრატის კაბინეტში



— რას დაეძებ ბოშო ამ იატაკზე?

— რას და მამაჩემმა თქვა, გუშინ ამ დაწესებულებაში ხუთი საათი დავკარგეო და იქნებ ერთი ოქროს საათი მაინც ვიპოვო.

# ბრუციანის ფიქრები

„ტარტაროზის" ფურცლებზე მკითხველმა საზოგადოებამ ბევრი გამოჩენილი კაცი გაიცნო და ეს მეტად დიდ დამსახურებათ უნდა ჩაითვალოს ჩვენს პატარა საქართველოში, ჯერ-ჯერობით. პოლიკარპე აბუჩიძეს კი ალბათ ბევრი არ იცნობს იგი ერთ დროს მართლა კარგი ყმაწვილი იყო, მაგრამ ცოტა ახალგაზრდა პოეტების მეგობრობამ მოახდინა მასზე გავლენა და ეხლა ზოგიერთი იმ აზრისაა, თითქოს პოლიკარპე მოიჩურჩუტებდეს.

უკანასკნელი წლის განმავლობაში პოლიკარპეს ერთი უბედურებაც შეხვდა. იგი ცალი თვალით დაბრუციანდა და ცხვირი დაუგრძელდა. ცხვირის დაგრძელებას ექიმები იმ გარემოებით ხსნიან, რომ ჯამაგირს ღებულობს 60 მან. და 75 კაპეიკსო და აქედან, რომ გამოუქვითავენ კავშირის საწევრო გადასახადს, ადგილკომის შეანახ პროცენტებს, ურთიერთი დახმარების სალაროს წევრობის გადასახადს, რემედაას საწევრო ფულს, ინდუსტრიალიზაციის სესხის ობლიგაციის გამოსასყიდს და ორიოდე გროშს კიდევ სხვა პარაგრაფებით და ხელში დაბრუნებიას ჯიბეზე თხლათ არისო. ამაზე ფიქრებით ცხვირი დაუგრძელდაო. (სისულელეა, ცხვირით ხომ არ ფიქრობდა!).

პოლიკარპეს ბრუციანობაში კი ბრალი მარტო ტრამვაის უნდა დავდოთ. როცა 1-ლ ან 2-რე ნომერს ელოდა ზემელის აფთიაქთან, ყოველთვის მე-5 ან მე-6 ნომერი,

მიდიოდა. გასცქეროდა პოლიკარპე ამ გაჩირაღდნებულ ქუჩას და შორიდანვე კითხულობდა ვებერთელა 5-ს. შესწუხდა მას ციფრი 5 და რომ იგი მასწავლებელი იყოს, არც ერთ კარგ მოწაფეს 5-ს არ დაუსვამდა. ეხლაც ხშირია, როცა პოლიკარპე იცდის ყორულის ქუჩის ჯვარედინთან და საყვარელივით ელის მე-4 ნომერს. უცქერის ტრამვაის და არ იქნა, არ მოვიდა არც ერთი მარქსის მოედნისკენ მიმავალი ვაგონი. იცდის პოლიკარპე.

ექიმებმა დაადასტურეს, რომ პოლიკარპეს ცალი თვალით დაბრუციანება უნდა მიეწეროს ტრამვაის ლოდინს.

პოლიკარპე ამბობს:

—ახირებულია, ღმერთმანი! კაცი დათვრება გამოვა ქუჩაში და მიდის. დაეტაკა აგერ ვიღაც ცანგალას.

— უი, მიშველეთ, ისმის ქალის ხმა.

— ეი დოროგუ პიანომუ ჯენტლემენუ, ხრინწით ამოალაგებს სიტყვებს კაცი.

მოვარდა მეეზოვე. ასტეხა აყალ-მაყალი და კაცს მიუსაჯეს ციხე — ხულიგნობისათვის. ვინ არის დამნაშავე?

კაცი მართალია, დამნაშავეა ღვინო, ანუ ვენახი, ანუ ის კაცი ვინც ვენახს ამუშავებს, ანუ ის ორგანიზაცია, ვინც მევენახეობას ანვითარებს. რატომ მოყავთ ღვინო?

პოლიკარპე ამბობს: კაცი მიდიხარ ქუჩაში. გაწყობილი ხარ მხიარულად. გავიწყდება ვალები, სამსახურის უსიამოვნება, ცოლის საყვედურები, უტანიაამოსობა და... გიხარია, რომ ცოცხალი ხარ. წინ მიდის ორი ცქრიალა ქალი. ვერ მიხვდები გასათხოვრები არიან, თუ ქმრიანები. რა კარგები არიან: მოკლე კაბებში თავზე შემოჭირებულ ქუდებში, შეკრეჭილ თმებში „ვიქტორიას" ჩულქებში, შოლტივით ფეხებით მზეს რომ ეთამაშებიან.

— უუხ, ამოიხვნეშა კაცმა.

— ხეპრევ, უზრდელო, ლაწირაკო, მოისმის რუსული ზმნა.

გამოჩნდა მილიციელი და კაცი წაიყვანეს კომისარიატში. ვინ არის დამნაშავე? კაცი მართალია, დამნაშავეა „ვიქტორიას" ჩულქები, მოკლე კაბები, კონტრაბანდის ტანისამოსი, მოდა, დამნაშავენი არიან თვით ქალები, რომელთაც ნაცნობობა აქვთ კონტრაბანდისტებთან.

პოლიკარპე დაასკვნის:

კაცი მოესწრო ტრამვაის ვაგონში შესვლას. სიამოვნებისა და ბედნიერების აღსანიშნავად სურს გააბოლოს მხოლოდ ერთი პაპიროსი. ბედნიერებით თავდავიწყებულს, მას ავიწყდება ყველაფერი და უცბათ თამბაქოს ბურანში აღმოჩნდება. კონდუქტორი მას აჯარიმებს 50 კაპიკით.

ან და კაცი მიდის რუსთაველის პროსპექტზე. წვიმიანი დღეა. მოუარა ხოშმა მიაფურთხოს ასეთ ამინდობას. და ერთიც შეუკურთხოს წვიმის მომგონს ადამიანსა, ეს არ შეიძლება! აგერ გამოიარა მეეტლემ ქოთოიანი ცხენებით. ქოთოიანმა ცხენმა გაამინძურა ქუჩა კაცმა ველარ მოითმინა და გააფურთხა მეეტლეს მისამართით, რადგან მან არ დაინდო ავათმყოფი ცხოველი და ვიღაც ორი ცილინდროსანისათვის გასწირა მათი ჯანმრთელობა. წამსვე მოდის მილიციელი და კაცს აჯარიმებს. კაცს ფული არა აქვს. მიყავთ კომისარიატში. მაგრამ კაცის ჯიბეში ფული მაინც არ იბადება. კაცი ზის სამი დღე. ვინ არის დამნაშავე? პირუტყვების და ცხოველების მეგობართა საზოგადოება, ავათმყოფი ცხენი, წვიმა თუ კეთილი გულის მაგრამ უფულო კაცი?

კითხულობს ამას პოლიკარპე და უკვირს — რატომ არ აუკრძალეს ცხენს ასეთი საქციელი ხალხით გაჭედილ ქუჩაზე? პოლიკარპე კითხულობს. ეს ყველაფერი იმით ხომ არ აიხსნება, რომ ის ცალი თვალით ბრუციანია და თავისებურად უყურებს ცხოვრებას, თავისებურად ფიქრობს?

ვერ გაუგია პოლიკარპეს!

როქი.

## თხოვნა ტარტაროზს

(სოფ. ნაჩხეტაური)

ვერ მოვისვენებ, ამ სოფელს,
მსურს რომ უმხილო ჭირია
ზედმეტი ბარგის აღგვა ხომ
დღეს მეტის-მეტად გვჭირია.
პირველი მინდა ტარტაროზს,
მე ვასილიკოს მხილება
ამ სოფლის ჩარჩზე-ჩარჩია
უხვად აქვს გამოცდილება,
მალულად ვაჭრობს მუდამ დღე
გლეხებს გააძრო ტყავია,
მის ჭუჭყიანი სარდაფი
უხილავ უნახავია.
მაკარო პატარაია.
ამ რესტორანის გმირია,
როცა დათვრება მისთვის ხომ
ყველანი განაწირია.
ამას წინადაც მაკაროს,
თავში აუტყდა ქარია.
ჭიქის სროლაში ნაჩვევმა
ამსხვერპლა მეძებარია
ყურშას, გონიერ ცხოველსა,
უგმირა ტყვიით გულია,
ყვიროდა: სხვებსაც დავაკლავთ—
ისე ვარ ჟინმოსულია!..
ტარტაროზ, უთხარ აღმასკომს:
ნიხოს ვასილის დუქანი
მის კლანჭებისგან გახადოს
გლეხობა თავისუფალი.

მ—კ. ქ.

## მ უ შ ტ ა რ ი



—ძია, თუმნიდან რამდენს მომცემ ხურდას 2 კილო შაქარი და 2 კილო ყველი რომ ვიყიდო?

— 6 მან. და 50 კაპ. რათ კითხულობ?

— ისე, სკოლაში ასეთი ამოცანა მოგვცეს და უნდა მესწაველა!

## გაკვეთილზე



მასწავლებელი: ვის ეწოდება ცრუმორწმუნე კაცი?
მოწ[illegible]ე:—იმას, ვინც ობსერვატორიის წინასწარმეტყველებას უჯერის.

## დიდუბის მმაჩში

2 საათია —დიდუბის მმაჩ-ში სდგას გასაქორწინებელ ხალხის რიგი.

მმაჩის გამგე: აბა მოყევით რაზედ ანებებთ ქმარს თავს.

ოლია: მე მაგას ვაჩვენებ სეირს. „მერზავეც“, „სკოტინა“, „ნევგოდიაი“.

ქმარი: „სამა“, „სამა“, „სამა“.

ოლია: ერთი თვეა რაც მაგასან ვცხოვრობ, ოხ აღარ შემიძლიან, „პრიამო უჟას“. იმ დღეს უთხარი ინდიკოს კოსტიუმი უყიდა ჩემთვის. ამის თქმა და მაგის ნერვების აშლა ერთი იყო. გიჟივით მომვარდა, რომ მეზობელი სიკო არ დაგვესწრებოდა მატკენდა რასმე. რაც პასუდი მქონდა სულ ჩამილეწა. წარმოიდგინეთ შიფონერკიანი შკაფიც კი დალეწა. მე მაგასთან აღარ მეცხოვრება.

ქმარი: „სამა“, „სამა“.

ოლია: ჩვენს დვორში წარმოიდგინეთ ერთი ინჟენერი სდგას, მისი მოახლე, რომ ნახოთ დიდი კაცის ცოლის გეგონებათ. სულ შევიოტებში ზის. ჩემთვის კი წარმოიდგინეთ, არც ინდიკო, არც კოვერკოტი, არც კაშმი, არც ლორიგანი, არც ვიკტორია. „მერზავეც“ სკოტინა. არა, მაგასთან ცხოვრებას უნდა გავექცე. ჩქარა შენ გენაცვალე ნულარ მაყურებინებ მაგის მიწადასაყრელ თვალებზე.

ქმარი: რათ უნდა გამექცეთ ნელა მიბრძანდით. რომელ მხარეზეც გნებავთ, შეურაცყოფას ნუ მაყენებ, თორემ პასუხისგებაში მოგცემ.

მმაჩის გამგე: მოაწერეთ ხელი. გაყრილები ხართ.

### მეორე რიგი

ცოლი. ცოტა დაიჩქარეთ ბატონო თორემ შეხედეთ როგორ მიბრიალებს თვალებს. ოი, მიწა დაგაყარე მაგ კამეჩის თვალებზე!

მმაჩის გამგე: რატომ სცილდებით ერთმანეთს?

ცოლი: ვაი მაგის კუბო ვნახე დღეისწორამდე. რავარი ქალი გამაუბედურა მაგ ეშმაკის კერძმა. ექვსი დოხტური მიწერს ხელს, რომ ქალიშვილი ვიყავი. ბუზიც კი არავის აუფრენია ჩემთვის თავზე და უყურე როგორ მიბრიალებს თვალებს. ვაი რეიზა არ დეიქცა იგი დღეი როცა მაგას გვერდში მოუდექი. სამ დღეს ქე მიალერსა და მერე მაგის ძნახველი კაცოც კი ვერ ვნახე. დეიწყო ლოთობა, სმაი, ქეიფი, არღანი და ზურნა დღე და ღამ. ასეთი ამბავი რა ხეირს დამაყრიდა თქვენი ჭირიმე. მეტი აღარ შემიძლია შენ გენაცვალე თუ რამე მეკუთვნის მომეცით, თვარა კანონს მივმართავ.

ქმარი: (მთვრალი) მიეცით არ აწყენითო. კანონს მიმართოს. არ გაუშვათ მოვიდე ამაღამ სახლში, გიტირებ ყოფის კარებს,— აღარ გახსოვს როგორ გიმტვრევდი გვერდებს? სად მიხვალ. გზის ფული არ გინდა?

მმაჩის გამგე: სასამართლოში მიბრძანდით.

ქმარი. გაუშვით არ აწყენიოთ — კანონს მიმართოს, ფული მიეცით, გზის ფული, კავალრები აღარ აესხებენ. მუშტს ულერებს, ცოლი გულშემოყრილი ეცემა.

მმაჩის გამგე: მილიციონ-ე-ე-რ!..

ძნელ-ოღლი.

## „უკაცრავად“

(სცენა ოჯახში: ქმარი ტახტზე წამოწოლილია, სინდიკატის ოჩერედიდან დაბრუნებული ცოლი გაწიწმატებული შეპოდის).

— ღმერთო ფეხები დაუმიწე ამ გადარეულ ხალხს, როგორ მიჯლაგუნობენ გზაში. კაცი კაცის გაჭირვებას ვერ გაიგებს, თორემ სული მხთება...

— რაშია საქმე კონწოროხათ, რომ გადაიქეცი შექალო!?

— ვაი, ვაი ამ მაზოლებმა გამათავეს და იმ ავარა ბიჭმა ისე დამაბიჯა ფეხი, რომ სული კინაღამ ამომწვდა, —„იზვენაუსო“ მითხრა, ჩავდექი პურის რიგში, ვიღაცამ პაპიროსი მოსწია და ისეთი მუჯლუგუნი მითავაზა, რომ თვალები კინაღამ წამომცვივდა, —„უკაცრავადო მითხრა. მეეტლემ მათრახი, ცხენის მაგიერ მე გამიტყლაშუნა და „უკაცრავად“ შეიძახა. შოფერმა ავტომობილი დამაძგერა თავდა-ყირად გადამაგდო და „უკაცრავადო“ მომესმა. ტრამვაიში ჩავჯექი, ვიღაცამ ჯიბეში ჩამიყო ხელი, მე გავახსენე სხვის ჯიბეში ხელის ჩადება და ბუჯნა სასტიკად აკრძალულია მეთქი, „უკაცრავად ჩემი ჯიბე მეგონაო“. ცოცხალ მკვდარი მივეთრიე, შენ წამოზაპულხარ და ხვრიხავ.

— ვინ შეგეხვეწა წადიო.?

— იეთრიე შე სამიწევ და პური გააჩინე ეხლავე!

— შენ აგათრევ ერთს, რომ აგიზელ მაგ გვერდებს, არც ბოდიშს მოგიხდი ამიზა და არც არაფერს. შენ თუ ვინმემ ბოდიში მოგიხადა კიდევ ჯავრობ?

— შენისთანა ქმარს დავაყარე ჯოლით მიწა გულზე.

— დედავ ღმერთო, რას ზედავ შე აშარო, თუ იცი!

— ვინ არის აშარი, მე?.. მე გიჩვენებ ფეთებას. ჯერ გროშები აჩხრიალდა ქმარის ცხვირზე. დაიწყო სკამებმა ხან ცოლის და ხან ქმარის ზურგზე მოგზაურობა. ბოლოს ქალი ეცა ქმარს მოკაუჭულ ცხვირზე, ქმარს აღარაფერი დარჩა, დაუწყო იღლიაში ხიცინი, ქალი ქვევით მოიქცია. აათამაშა მუთაქა ქალის ცხვირზე, ქალმა კვლავ წაიღო ხელი ქმრის ცხვირისკენ. მან თავი განში გააქანა, თხლიშა კედელს და დაბრუებული ძირს გადაკოტრიალდა. შეშინებული ცოლი ერთხანს ხელებს ასრესდა, ბოლოს ხმა შეარბილა და მიმართა:

— უკაცრავად, იზვინიუას, ბოდიში მომიხდია; ბოდიში ხომ უებარო წამალია დაჩეხილ ადამიანის მოსარჩენად, გამოფხიზლდი—შე მიწა დასაყრელო!

მეხი —მიხაძე.

## თავზეა თუ რას ამბავი

წკრრრრუ.... წკრრრრრუ... ვინ ხარ ტარტაროზი? აპავინ? თანამშრომელი? სხთოვეთ ტარტაროზს მოვიდეს ტელეფონზე, — ამხანაგო ტარტაროზო თქვენ ბრძანდებით? ძალიან კეთილი მე ეხლა დაკეტილ კაბინეთიდან გელაპარაკებით, თვითონ არ ვიცი სად ვარ, ან რომელ დაწესებულებაში, თქვენი დავალების შესასრულებლად მივდიოდი მაგრამ უცაბედათ ერთ შემთხვევას გადვემტვერიე.

სერგოს ქუჩის მოსახვევში ავტომობილმა კინაღამ გამსრისა, რომელიც ქუჩაში უადგილობის გამო ტროტუარზე მოჰქროდა. გავიფიქრე ხმალაძეს შევატყობინებ მეთქი ავტოს ნომერს და უკან დავედევნე. უცბათ ავტო ერთ ერთი საავადმყოფოს კარებთან გაჩერდა. რვაიოდე დაღვრემილი სახის მგზავრები პორთფელებით გადმოვიდენ. მთლად გადამავიწყდა თქვენი დავალება. ჩემი უჩინ მაჩინის ქუდი თან მქონდა. გადავიცვი, ავეტორღიალე და მათთან ერთად ამოვყავი თავი კაბინეთში. — ჩამოვჯექ ფანჯარაზე და ყური დაუგდე.

— აი ილიკო, ახია ჩვენზე ადრე გითხარ მაგრამ საშველი არ დაგადგა. იმ წუნკალმა დედაკაცმა — დაგვიმწარა სიცოცხლე, მართალია იმას აქიდან ამოუსვით— მაგრამ საჩივარი თავისას შვება. რა უყოთ ეხლა ამ ხალხს. სტუდენტები მაინც არ იყვენ ის ოჯახქორები, სადღა იშოვენიან ასეთ იოლ სამსახურს, რომ მუშაობის დროს ლექციებზე დაესწრონ. ხომ გაიგონე რა თქვეს.... თქვენი მდივანიც სმეტით მათ რიცხვში შედის...

— რას ამბობს ვალოდია! იმათ თუ ვკითხე!?! ამას წინადაც კი ჩავატარეთ საკრაშჩენია, სიებიც გამოვკიდეთ, მაგრამ მეორე დღეს ქე მივიღეთ. ისე ვქნათ ეხლაც.

— ეტოო ბეზ ტოო ტაკ ბუდეტ ნო მე ის მაკვირვებს სადაური დოხტურებია ამ ერკაიში, რომ საექიმო საქმეს სწყვეტენ, აქაოდა ამბულატორიაში კარტიჩკები უნდა გავაუქმოთო, იქ საქმის შემოკლება უნდა მოხდესო ბუღგალტერია უნდა გავანახევროთო — ყველგან გაჰკრეს კბილი და მგონი ათიოდე კაცი მოგვიხსნან.

— იასონ, კოტე, სერგო, პეტია, ვანო ასე უნდა ვქნათ. მგონი ამას კავშირის ხაზით გავატარებთ. დავსწეროთ ოქმი—ვანო შენ სპეცი ხარ ოქმების წერაში, შენც ხომ გიქადნიან შემცირებას, ასე გამოვიყვანოთ.

— ჩვენ ყოველწლიურად ვცდილობთ შტატის გადიდებას სადაც არის და არ არის საჭირო, რათა მეტი ჩვენი ხალხი ჩავაბათ მუშაობაში და შრომის ბირჟას შეუმსუბუქოთ მდგომარეობა ეს ერკაი კი ჯერ დამტკიცების დროს გვიმოკლებს. მერე ეხლა შუა საანგარიშო წელში არევ დარევას გვიხდენს და ხალხის საკრაშჩენიას გვიშერება. ოქმის ასლები გადაუგზავნოთ ბირჟას სტრახკასას და ვთხოვოთ მიიღონ უზენაესი ზომები. მე მგონია არც შემცირება მოხდება და ერკაის გაუქმებაზედაც დასვამენ საკითხს. ოღონდ ფრთხილად ტარტაროზის ყურში არ ჩავარდეთ. თორემ ქვეყანას გააგებინებს და ერკაის ყურამდე თუ მივიდა, ჩვენი გადაწყვეტილება უკულმა აგვისრულდება. ადნიმ სლოვომ გამოიყვან, რომ ერკაი მეშაეტ პლანოვოი რაბოტე — გესმით? ამას დაგვიანება არ უნდა, ეხლავე დაბეჭდეთ ოქმები. —

ყველამ მოისმინა და ისე გაშმაგებული გავარდენ კარებში რომე მე გამოსვლა ველარ მოვასწარი. დავრჩი დაკეტილში.

გამაცვიფრა კაბინეტის სიდიდემ და მორთულ-მოწყობილობამ. ჩვენმა უქმა რომ ეს იცოდეს, ამ კაბინეტიდან ოთხ კაბინეტს გამოიყვანდა. მაგრამ.

ვერც ამ ხალხის გვარები გავიგე ვინაიდგან სულ ბიჭოთი და კოტე — ილიკოთი ლაპარაკობდენ. ესარგებლობ შემთხვევით, რომ კაბინეტში ტელეფონია, და მართალია სულ სხვა რამეს გატყობინებთ, მაგრამ როგორც კი კარებს გააღებენ იმ წუთში თქვენი დავალების შესასრულებლად დავტრიალდები.

**ციკლოპი.**

## ზესტაფონიდან — ზესტაფონურად

მე მატარებელს ჩამოვრჩი ცხრამეტ თებერვალს
სალამოს,
და ასეთი დღე ეშმაკმა ჩემს მტერსაც ნუ დაუღამოს;
ველარც ოჯახში მივაგენ, ვერც ნაცნობები ვნახეო,
ტალახის უფსკრულს ვერ ავცდი და ვერც გზა
დავინახეო.
ქალაქში ირგვლივ ბნელაა, სიწყნარე, თოვლი წვებაო,
წყალობას კანდიტერთან დგას მილიციელთა წყებაო,
შუაში ჩამდგარა უფროსი „ვაშკაცი“ მაღლაკელია,
გამვლელ-გამომვლელს უძახის: „ასწიეთ მაღლა
ხელია“.

თურმე ფიქრობენ ქუჩაში გაივლის ის ბაცაცაო,
რომელმაც წუხელ მეზობლათ ქათმები მოიტაცაო,
ძლივსღა შემოველ სადგურში მივადექ ვასო გურულსა,
ფხიზელ და ერთგულ აგენტსა საქმეთი გადაყურულსა,
უთხარ ქალაქი ჩემო ძმავ, ბნელათ რათაა ქცეული?
მან მიპასუხა რა უყოთ, ზესტაფონია წყეული.
გამოვიძიე თუ ასე სიბნელე რას მოყოლია.
გადმომცენ: “კომუნხოზშია ზის ბრძენი კაცი კოლია,
რომელმაც მექანიკებსა ბოთლი ახალ ფერდშია
და ჩვენ თვალები დაგვივსო, ჩაგვყარა ჯოჯოხეთშია“.
თურმე ეს კოლა წუხელის შევარდა ელსადგურშია,
მუშები მთვრალი რომ ნახა ურტყა ყბაში და ყურშია,
და ამის გამო უეცრად შეწყდა მოტორის გრიალი
და საქათმეში შეიქნა ქურდობის ორომტრიალი.
მაგრამ რა ენა დაშვრების ტარტაროზ, ამბავთ წერითა,
სჯობს თვით ეწვიო ზესტაფონს მაგ შენი ჩანგლის
წვერითა...

**ტრისტანი.**

## ხულიგანის მონოლოგი

ეს ზამთარი ციხეში გავატარე,
ლადარივით თბილი გვქონდა კამერა.
თქვენ ელოდით გაზაფხულის ტკბილ დარებს
და ლოდინში ცივმა ქარმა გაგბერათ.

ყოველ ღამით თქვენს ოთახში ციოდა,
ყინულივით ცივი გქონდათ საწოლი,
და გაყინულ ცოლთან თქვენი შეხვედრა
იყო მუდამ მჟავე, როგორც მაწონი.

ღამეთა გათევა ეხლა შეიძლება
ბაღში, სადგურში ან და ბნელ კუთხეში,
დღეებო: მომეცით ძლიერი შეძლება,
მოდის გაზაფხული და ჩემი ნუგეში.

როცა დაეშვება ღამე მთვარიანი,
შეყვარებულებით ბაღი აივსება.
ვგრძნობ ახლა მეცა ვარ ბიჭი გვარიანი,
დამდევს ხულიგნობა წყეული თვისება.

ოხ! მალე ჩამოვიდეს თბილი ღამეები.
ხის ძირად დასხდებიან გრძნობით დამთვრალები.
და როცა ქალს ვაჟი ყელზე მოეხვევა
სიერცეში როს წავა ორთავეს თვალები;

მე ელვის სისწრაფით ხელს ვსტაცებ რედიკულს
რომელიც იქავე მდელოზე ეგდება.
ხშირად ვინახულებ ბაზარს ამერიკულს;
ჩემთვის ვინ მოიცლის, ვინ დამედევნება.

წყეულ მილიციას ვერსად ვემალები
დამდევს მსუნაგივით.. დაჭირვა სწადია.
მე ცეცხლს მიკიდებენ თმა-მოკლე ქალები,
რომლებიც ხოროსივერ ჩულქებით დადიან.

**იანო.**

# სწორი პასუხი

„ქ. ახალციხის 9 წლედში ლუმელები არ ზურდება, სიცივის გამო მეცადინეობა ფერხდება".

კორესპონდენციიდან.



გეოგრაფიის მასწავლებელი: დამისახელეთ დედამიწის ზურგზე ყველაზე ცივი ადგილები.
მოწაფეები: ჩვენი სკოლა მასწავლებელო!

# ჭიათურა

სალამი შენდა „ტარტაროზ",
მისმინე, შენი ჭირიმე,
შეიგებ ჩემი წუხილი,
გაიგე რისთვის ვტირიმე.
სატარტაროზო მასალებს
მოვკიდე რა კი ხელია,
უკან დახევა და შიში,
მე ვფიქრობ აწი ძნელია.
მე მინდა რიგზე ავაწყო,
მოვიყვე ყველაფერია
და ხალხია ოჯგულთ უშიშრად,
ზურგს აიაინო მტვერია!
ზოგიერთების სახელი
მინდა ნიშნობლივ ალვბეჭდო
გთხოვ მომეხმარო და ესე
მასალა მალე დაბეჭდო.
რათა გავძიოთ ჩვენ რკინა,
საამ ჯერ იგი ცხელია,
იქნება დროზე გავწმინდოთ,
ეს ჩირქი კუთხე ჭრელია!
ჩვენი მაზრისა ქალაქი,
რომ არის ზესტაფონია,
თქვენც კარგათ მოგეხსენებათ
ესე ამბავი, მგონია.
ჰო და ამ ქალაქს ნიმუშათ
ჰყავს ერთი ინჟინერია,
შუბლზე: „კაკარდა", „კანტი" კი
უფრო მოლურჯო ფერია!
კაიხანია მოგვესმის
ამ ინჟენერის ქებანი,
ჭიათურისა ალმასკოშა—
ალუთქვა დახმარებანი!
წყალის გასინჯვა დასჭირდა,
ძმაო, არგვეთის თემსაო,
შეპირდა: „მომიცადეთო,
ნამდვილათ მოვალ დღესა"-ო,
წავიდა ირიდიოხი,
ეს თავმჯდომარე ჩვენია,
სარჩერის სადგურს უცადა:
სამი ღამე და დღენია!
მობრძანდა ჭიათურაში
ეს ჩვენი „კაკარდოსანი",
კანტებში გამოჭიმული,
რალაც უცხო რამ ფრთოსანი!
კომბოზის გამგეს წარუდგა,
მოუაა „რეჩები" გრძელია:
„ჩორტ ;ოო ბერი თჭ;ჯნ გზაზედ
მოგზაურობა ძნელია!
სულ დავიმტვერი — დავიმსხვერ,
არ მძინებია წვეთია,
სარჩერეს წასვლა არ ძალმიძს,
თავშიც რომ მირტყა კეტია!
უნდა დავბრუნდე ზესტაფონს,
გამოვიძინო რიგულზედა,
თუ გნებავთ მერე ვიფიქროთ,
არგვეთის სამსახურზედა".
სთქვა და გაქუსლა-წავიდა,
გაბრუნდა ზესტაფონშია,
მას თავმჯდომარე ჩვენი-კი
უცდიდა სარჩერეშია!
წავიდა დაამინებლათ
ბიუროკრატი ჩვენია,
მას ცდაში თავმჯდომარესა,
დაადგა შავი დღენია!
იმ ინჟენრისა შემყურე,
გაჯავრდა. ავად გაგვიხდა,
არგვეთის საქმემ ხომ ფუჭად
ჩაგვიარა და წაგვიხდა!
ნეტავ სად ნახა მაზრამა
ეს გვამი კეთილშობილი,
დღესაცა ხვრინავს, მგონია,
სალათას ძილით მპყრობილი!
არგვეთია ხალხი, საქმენი,
მისთვის ზედმეტი ბარგია,
ტარტაროზ", შენი მათრახი
მას მოუხდება, კარგია.
ამოსცხე ამოუქირე,
ზურგზე აამრე ქონია:
ტყუილი, ხალხის აგდება,
მას ადვილი ნუ ჰგონია!

ია.

# ამაღლება

(გურია)

კულტსექციის თავმჯდომარეს
კულტსექციის თავმჯდომარევ
სულ ზედმეტი ბარგი ხარ,
არც მექათმეთ. არც მეღორეთ
არცერთში არ გვარგიხარ.
აბა, კულტურულ საქმეში
ფაქიზოის ბატი ხარ, *)
ერთი კულტწრეც ვერ მოაწყვე
და უსაქმოთ დადიხარ.
კედლგაზეთი, რომ ჩაყრუვდა
მოს დღეშიც არ ჩადიხარ,
შენ ვერ შველი სხვას არ აცნობ
აქაც წუნარი კაცი ხარ...

**შვიდწლედის მასწავლებლებს**

„ძვირფასო" მასწავლებლებო
თქვენზეც მინდა რამე ვსთქვა,
რადგან ხშირათ ნერვებს მიშლის
თქვენი სიბრძნით სავსე ჰკუა.
ძირში გახმეს ჩემი ენა
ჩემი სიტყვა ტყვილი თუა.
ზოგს ვირს არქმევთ, ზოგს კი კამეჩს
ზოგს თხა ჰქვიათ, ზოგს კი ღორი,
ამით, მოწაფეებს ლუპავთ
უნდა გითხრათ პირში სწორი.
მაგრე აღზრდილ მოწაფეებს
ბატიც არ ენდობათ მგონი,
გინება სულ ეყვარებათ
ისე როგორც კატას ქონი...

ა. ოროკელი.

*) ფაქიზოის ბატი. ყველასათვის ცნობილია ჩვენს თემში, ვინაიდან სულ სამკითხველოში ბინადრობს.

# ბაქი-ბუქი

(ანუ ქალაქიდან დაბრუნებულის საინფორმაციო მოხსენება მეზობელ გლეხებს).



— იცით როგორ ვცხოვრობდი თბილისში?






— ყოველ დღე მიხა ცხაკაიას ვხედავდი....

— ხშირად მოსკოვშიაც დავდიოდი...





— თვითონ ფილიპე მახარაძე მიკეთებდა მოხსენებას.

— და საერთოდ, ხშირად ხელზე მატარებდნენ.

პოლიგრაფტრესტის მე-ა-ე სტამბა, კამოს ქ. № 68

კვირა. 25 მარტი 1928 წ. № 145 წელიწადი მეხუთე ფასი 15 კაპ.

# ტარტაროზი

## ნამდვილი მიზეზი



— აი, ყოჩაღ! როგორი ერთგული მოსამსახურეები ჰყოლია ამ ჩვენს სამმართველოს — ექვსი საათია და უკვე სამსახურში მოდიან!

— ეს იმიტომ, რომ სახლში შეშა არა აქვთ და სცივათ; დაწესებულება კი გამთბარია!!

# სადირექტივო ხასიათის წერილი

ბიუროკრატიზმთან ბრძოლა რომ გამოცხადდა, მაშინ ჩვენი საერთო ნაცნობი ბიურო კრატიძე ხინკალ ტრესტის თავმჯდომარის მოვალეობის აღმსრულებლათ ითვლებოდა და ჯამაგირის გარდა სხვა „შემოსავალიც“ ჰქონდა.

— სასტიკი ბრძოლა ბიუროკრატიზმს! — ეწერა მიღებულ ცირკულიარში, რომელიც მეხივით დაეცა თავზე კრატიძეს.

— სასტიკია, სასტიკი იყოს — გაიფიქრა კრატიძემ და დაუყოვნებლივ შეადგინა საერთო ღონისძიებები ცირკულიარის საფუძველზე სადირექტივო წერილის გამოსამუშავებლად. მოიშველია მოადგილე, საქმეთა მმართველი, საქმის მწარმოებელი, იურისკონსულტი და მისი თანაშემწე. შეადგინა სპეციალური კომისია გამოჰყო ქვეკომისია და საქმიანი პრეზიდიუმი და დანიშნა მთელი შტატი ბიუროკრატიზმის საწინააღმდეგო სადირექტივო წერილის შესადგენათ.

ქვე-კომისიამ სულ რაღაც სამი თვის განმავლობაში შეადგინა სადირექტივო წერილის საერთო სქემა და წარუდგინა კრატიძეს. კრატიძემ, დროის უქონლობის მიუხედავათ, მაინც მოახერხა აქმის ზოგადი გადათვალიერება და ექვსი თვის შემდეგ სქემა დასკვნისთვის გადასცა კომისიას.

კომისიამ, რომლის საპატიო თავმჯდომარეთ თვით კრატიძე იყო ერთხმად არჩეული, მოიწვია რამოდენიმე გაფართოებული პლენუმი და სადირექტივო წერილის სქემა საფუძვლიანათ შესცვალა; რის შემდეგ თავისი მოსაზრებები წერილობითი სახით წარუდგინა კრატიძეს.

კრატიძე არ დაკმაყოფილა მოსაზრებებმა და კვლავ გამოჰყო განსაკუთრებული სამეული კომისიის მიერ წარდგენილ საერთო მოსაზრებათა განსახილველად. სამეულს დაევალა ვრცელი წერილობითი მოხსენების შედგენა მოსაზრებათა შესახებ. სამეულის თავმჯდომარეთ ერთხმად არჩეულ იქნა თვით ბიურო კრატიძე.

სამეულის მუშაობა დაკვრითი წესით წავიდა და სულ რაღაც ზამთარ - ზაფხულის განმავლობაში შედგენილ იქნა ვრცელი მოხსენება სადირექტივო წერილის სქემის მოსაზრებათა შესახებ.

— ბიუროკრატიზმთან ბრძოლის საგრძნობი ეტაპი უკვე განვლილია — ხელების ფშვნეტით ამბობდა კრატიძე და ადგენდა ახალ გეგმებს.

ბოლოს მან კვლავ დანიშნა დამატებითი კომისია სამეულის მოხსენების განსახილველად.

დამატებითი კომისიის მიერ ამორჩეული ძირითადი მომენტები მთელ მასალებთან ერთად გადაეგზავნა საქმიან პრეზიდიუმს, რომელიც რამოდენიმე კვირა მუშაობდა სადირექტივო წერილის სქემის. მის შესახებ შედგენილ მოსაზრებების დასამუშავებლად და ერთი მეორესთან შესათანხმებლად.

ბოლოს... ძნელი დასაჯერებელია მაგრამ... ბიურო კრატიძე დარწმუნდა, რომ საქმის არსებითი მხარე დამთავრებულ იქნა.

მოიწვია კომისიების და ქვე-კომისიების გაფართოებული პლენუმი, რომელზედაც განიხილეს მთელი მასალები, რაც შეიცავდა რამოდენიმე ათეულ ფურცელ „უნდერვუდის“ სისტემის მანქანაზე დაბეჭდილ ქაღალდს.

— კომისიების და ქვე-კომისიების პლენუმის სადღესასწაულო სხდომა გახსნა ბიურომ (კრატიძემ), რომლის წინადადებით სხდომამ პატივი სცა ბიუროკრატიზმის სადირექტივო წერილის და მისი მასალების შედგენაში დაღუპულ დროის და ენერგიის ხსოვნას. საქმიან და საპატიო პრეზიდიუმის არჩევის შემდეგ სხდომა დაიხურა, რადგანაც პლენუმის მომწვევ საინიციატივო ჯგუფს დღის წესრიგის შედგენა დავიწყებოდა. ამით დამთავრდა პლენუმის მუშაობა.

პლენუმის მუშაობისა და მისი შედეგების შესახებ ბიურომ თავის დაწესებულების მემანქანე ქალთან ინტიმიურ საუბრის დროს განაცხადა, რომ პლენუმის საქმიანობა ფრიად ნაყოფიერი იყო, მაგრამ დღის წესრიგის უქონლობის გამო პლენუმს არც ერთი საკითხი აღარ განუხილავს.

ბიურო ამით მაინც არ დაკმაყოფილდა და იურისკონსულტის და მთავარი ბუღალტრის მოადგილის საშუალებით მაინც შეადგინა სადირექტივო ხასიათის წერილი, რომელიც მრავალ ცალად დაიბეჭდა ყველა დაგროვილ მასალებთან ერთად.

არსებითად, ეს იყო არა სადირექტივო ხასიათის წერილი, არამედ ბრძანება, რომელიც დაახლოებით შემდეგს შეიცავდა:

შესაფერ ორგანოების დადგენილების თანახმად, სასტიკად აკრძალულია ბიუროკრატიზმის თუნდაც ნასახის გაჭაჭანება ჩვენდამი რწმუნებულ დაწესებულებაში. ამიტომ ცხადდება:

დარაჯებს სასტიკად ეკრძალება გამგის კაბინეტის კარებთან დგომის დროს თვლემა ან მით უმეტეს ჩამოძინება, რადგანაც ამით სარგებლობენ ზოგიერთი პირები და ათასნაირი განცხადებებით შედიან გამგესთან, რითაც ხელს უშლიან მის მუშაობას.

დამგვლელებს ევალება ფხიზლად ადევნონ თვალყური ბიუროკრატიზმის ისეთ ნიშნებს როგორიც არის მტვერი (განსაკუთრებით გამგის კაბინეტში). მაგიდებს ქვეშ შეყრილი პაპიროსის ნამწვები და ქაღალდები და ფურთხი. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს დაგვის გაჭიანურების, ანუ ვოლოკიტის მოსპობას.

ბიუროკრატიზმთან ბრძოლის მთავარ მომენტად უსათუოდ უნდა ჩაითვალოს მთხოვნელების დგომა გამგის და მისი მოადგილის კაბინეტის წინ. რაც უშლის საქმის ნორმალურ მსვლელობას. ამიტომ გამგის კაბინეტის წინ მყოფ დარაჯთა რიცხვი უნდა გადიდდეს ერთი კაცით, ანუ 33 პროცენტით. მასვე დაევალოს გამგის მოადგილის კარების დამცველთა დახმარება ისეთ განსაკუთრებულ შემთხვევების დროს, როცა მთხოვნელები და განმცხადებლები მეტის მეტად აწვებიან კარებს.

სასტიკად აკრძალულია გამგის ან მისი მოადგილის, ან გამგეობის წევრის კაბინეტის კარებში შეჭყრიტინება (გასაღების ჭუჭრუტანიდან) იმ დროს, როცა ამა თუ იმ კაბინეტში იმყოფება რომელიმე მემანქანე ქალი, ან მდედრობითი სქესის წარმომადგენლები საერთოდ. დარაჯები, შიკრიკები და თვით დამგვლელებიც უნდა ეცადონ რომ არც თითონ დაუშვან ჭყრიტინი და არც მთხოვნელებს მისცენ სათანადო უფლება და შესაძლებლობა.

ბუფეტის პატრონ ქალს აბსოლიუტურად ეკრძალება ორი დღის სლოიკის და რძის შეტანა გამგის კაბინეტში, როგორც ამას ხშირად აქვს ადგილი, რადგანაც დაყოვნებული რძე ხელს უშლის გამგის ჯანმრთელობის დაცვის საქმეს და მით თავისთავად ართულებს ბიუროკრატიზმთან ბრძოლას.

პოლარის საყურადღებოდ ცხადდება, რომ სასტიკად აკრძალულია გაილანძვა საპატიო მიზეზების გარეშე (უკანასკნელი პუნქტი ეხება სამნეო ნაწილის გამგესაც).

რომ ხსენებულ სადირექტივო წერილის წაკითხვის საშუალება მიეცეს ჩვენი დაწესებულების უმცროს თანამშრომელთა ფართო მასებს. ამიტომ დაკვრითი წესით ცხადდება წერა-კითხვის უცოდინარობასთან ბრძოლის კამპანია, რაც უნდა ჩატარდეს ბიუროკრატიზმთან ბრძოლის ნიშნითა და ლოზუნგით“.

სადირექტივო ხასიათის წერილს ხელი მოაწერა კრატიძემ, რომელმაც დამთავრებულად ჩასთვალა ბიუროკრატიზმთან ბრძოლა და შეუდგა წინასწარ მოსამზადებელ კამპანიის ჩატარებას ბიუროკრატიზმთან ბრძოლის შედეგების შესახებ მოხსენების დასაწერად.

ალლარ-ალლარსან.

# წყლის ნავა

მშვიდობის მოციქულებსა ჟენევას ჰქონდათ ყრილობა.
იმათ სახესა მანჭავდა მტრობა და დალრეჯილობა.
შემოკრბენ ერთად სალაყბოთ, ამაზე ჰქონდათ ცილობა:
„ტანკს თუ გაზს ძალუძს უფრო-მეტ დახოცვა და სიკვდილობა?"
ადგა ოსტინი ჩემბერლენ, პრემიერ მონოკლიანი.
ბრჭყვიალა სიტყვებს ისროდა ოსტატი ენა-წყლიანი:
„ყველას სჯობს კრეისერები ვეება ზარბაზნიანი;
მას ძალუძს ყველაზე უფრო მტერს მიაყენოს ზიანი.
„ზღვიდან ხმელეთსა ავიღებ, ყველაფერს გადავბუგავო.
„დავიპყრობ მრავალ ქვეყანას, მათ კარებს მივალუქავ.
„უნდა შევსცვალო როგორც მსურს ყველა ქვეყნების რუქაო.
„ვერ შემაშინებს ვერავის მუქარა. ბაქი-ბუქაო"...
ბრიანმა წამოიძახა: „ტროიკა" შეაჩერეო.
„ისე ამბობ, რომ გგონია ქადრა-კი, ანდა ჩერეო.
„როცა ბოლოსა მოიგო ჩონგურზე დაამღერეო;
—ეხლა კი ყური დამიგდე და ჩემი ჩაიწერეო.
„ჩემს აეროპლანს რას ავნებს ის შენი კრეისერია?!
„ცის გუმბათიდან მეხს გესვრი, მოგტეხო რომ კისერია.
„საფრანგეთს უნდა ემონოს ქვეყნის ყოველი ერია...
„ჩემს ჰაეროფლოტით შენს ზღვის ფლოტს სიცოცხლე არ უწერია".
გაისმა ხმალთა ჟღარუნი... ამბობს მუსოლინ ავია:
„თქვენზე ნაკლები ვინც იყოს შეურცხვეს იმას თავია.
„დღედას გიტირებ სუყველას,—დღე დაგაყენო შავია...
„მივესალმები სისხლის ღვრას... ძირს მშვიდობა და ზავია".
ამ დროს წინ წარსდგა უჩინრათ მშვიდობის ანგელოსია.
უსაყვედურა ოსტინმა: „წა! მოსვლა აქ რა დროსია?!"
ბრიანი ეტყვის: „დაიცა! ხომ ხედავ შესამოსია?!
„გამიშვლებულა, ვითარცა ველური ესკიმოსია!"
სთქვა ანგელოსმა ყვედრებით: „მითხარით, რა ამბავია?
„მუდამჟამს ჰყვირით: „გვწყურია ქვეყნათ მშვიდობა, ზავია"...
„კონფერენციებს წარა-მარას ველარ გავართვი თავია!
„რამდენჯერ მე აქ მოვსულვარ არა აქვს სათვალავია!



„ამ ერთა ლიგამ მთლათ მომსპო... სესია არის ხშირათ.
„აქ სიარულით ბოტინკებს ერთობ გაუცვდა ძირით.
„ჩექმები მაინც მიყიდეთ გამძლე და არა ძვირიო...
თქვენ რომ რამეს იქმნეთ, ისევე შეგირცხვეს ყველას ცხვირიო".

ენუქი.




გულზე მაწევს დარდი მძიმე,
ნისლიანი დადგა დილა;
ქარმა, თოვლმა და სიცივემ
ბევრი კარგი მოგვაცილა.

ერთი სკამი მქონდა—დავწვი
და არ ვიცი რა ვქნა ხვალე,
გულმოსული ჩემი ცოლი
მიბრიალებს ბოროლა თვალებს.

გუშინ დილით ჩვენ ორივე
სიცივისგან ვკანკალებდით;
ვარჩევდით რა დავსწვავად,
ყოველ საგანს თვალს ვავლებდით.

იქ, კუთხეში, მივარდნილსა
ქალმა აგურს მოკრა თვალი;
გაუღიმა უცებ სახემ;
იწყო ცეკვა და ფართქალი.

მოიტანა ფეჩთან ახლო;
სთქვა: გადარჩა ჩვენი სკამი....
და დაასხა აგურს ნავთი
მთელი ერთი, ორი, სამი....

ავიღე და ის აგური
გაჟღენთილი ნავთით სავსე, —
როგორც დიდი საგანძური
ფრთხილად ფეჩში მოვათავსე.

ანთებული „სპიჩკა" ცოლმა
მიიტანა ფეჩის კართან;
ამოვარდა ცეცხლის ალი
და ქორივით დატრიალდა.

ალმა თმები „დაშიპცული"
მიატრუცა, მოატრუცა....
და მას შემდეგ გაბღუჩული
მე მიცქერის ჩემი ნუცა:

— რისთვის არ გაქვს კაცო შე[illegible]
ხომ ხედავ რომ დავქენი ქალი!
რას შვრებოდი, რომ მე პირში
ჩამვარდნოდა ნავთის ალი?!—

მეჩხუბება, მიტირჩინებს,
აკვიატებს ენას მწარედ.
შორ გაზაფხულს ვერ დაუცდი
ფეჩი უნდა გაედგა გარედ.

იანო.

# „სიძე“

## კონკურსი

ჟურ. „ტარტაროზი“-ს რედაქცია აცხადებს კონკურსს ამ მოთხრობის გაგრძელებაზე. ჟიურის მიერ მოწონებული იქნება სამი გაგრძელება. პირველი ჯილდო—50 მანეთი; მეორე—30 მან. და მესამე 20 მანეთი. აგრეთვე მოთავსებული იქნება მოწონებულ ავტორთა სურათები, თუ ასეთებს გამოგზავნიან ავტორები.

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველას, გარდა ჩვენი მუდმივი თანამშრომლებისა და გამოჩენილ მწერლების.

ჟიურის უფლება აქვს მოხსნას პირველი ჯილდო, თუ ნაწარმოები ვერ იქნება ხავსებით დამაკმაყოფილებელი.

მასალა უნდა იყოს დაახლოვებით „ტარტაროზი“-ს ერთი გვერდი, დაწერილი გარკვეულ ხელით, ქაღალდის ცალ გვერდზე და მელნით: (სასურველია რემინგტონით ნაბეჭდი).

გამოგზავნის უკანასკნელი ვადა არის 15 აპრილი.

გარდა ფსევდონიმისა, სავალდებულოა ავტორის ხრული ვინაობა და მისამართი.

კონვერტზე უნდა იყოს წარწერა: „კონკურსისათვის“.

დაწუნებულ მასალებს რედაქცია არ შეინახავს და მათ შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს.

ჟურ. „ტარტაროზი“-ს რედაქცია.

---

როცა ქალაქიდან დაბრუნდა მეზობელი და ამბავი მოიტანა:

— თვითონ სონიას არაფერი უთქვამს ჩემთვის, მაგრამ სხვებმა მითხრეს, რომ ერთ ახალგაზრდა ვაჟზეა შეყვარებული და მალე გაითხოვდებაო!—მშობლებს ელდა ეცათ გულზე.

— დედა-კაცო, ხომ გეუბნებოდი, რომ სახლში გდებულიყო ის გოგო! დაიჩემეთ შენ და მან—უნივერსიტეტში წასვლა... ახლა ხომ აგეწყა კუდის რიკი!—უსაყვედურებდა მათე თავის ცოლს—მაკრინეს.

— კაცო, ყველაფერზე გადარევა რომ იცი, დაიცადე ცოტა... თუ თხოვდება, რა იცი, რომ კარგ კაცს არ მიჰყვებაო!—ანუგეშებდა გულგატეხილ ქმარს ცოლი.

— კი, აბა!.. რამდენი წვივებდატლინკული გომბიოა სულ ასალებენ ქალაქში, ქალო, იქ კი არა, ხეირიანი კაცი აქ არავინ შეირთავდა...

მაგრამ მეორე დღეს წერილი მიიღეს ქალიშვილისაგან, რომელიც სწერდა:

...არ მინდოდა მოწერა, მაგრამ თქვენ მაინც გაგებული გექნებათ. მე ახლო ხანში გავთხოვდები და სააღდგომოთ გესტუმრებით. კარგი ბიჭია. კარგი სამსახური აქვს... იმედია, ჩემო ძვირფასო დედ-მამავ, არ გეწყინებათ ჩემი ახეთი საქციელი.

თქვენი სონია.

— აი, შე გამოტვინებულო და შე ყაყანავ!—ნიშნის მოგებით ეუბნებოდა მაკრინე მათეს და წერილს ჰკოცნიდა.— ხომ ხედავ, რა ბედი მოგვიგორდა! შენთვის რომ დაეჯერებია, ჩვენი სონიაც აქაურ სოფლის გოგოებსავით ნაცარში ეგდებოდა მუდამ!

— მე რა ვიცოდი, თუ კარგი კაცი იყო მისი საქმრო... ახლა, როცა გავიგე, კიდეც მიხარია... ვენაცვალე ჩემს გოგოს; ყოველთვის ჭკვიანი იყო და ახლაც ჭკვიანია!—ამბობდა მათე.

—:—

— ესეც სიძეს... ეს სანთლის არაყიც ჩემს სიძეს... ვენაცვალე ჩემს სიძეს; ეს ხაჭაპურები სულ მან უნდა შესჭამოს... არაფერი დაგვავიწყდეს... გოჭი. ინდაური: სამი ქათამი; მისი ჭირიმე; აწი თუ მოვკვდებით, აღარ ვჩივი, რა კი ასეთი ბედნიერება მოგვასწრო ღმერთმა!

— რას ამბობ. ქალო? სიცოცხლე აწი გვინდა, შე სულელო! ასეთი კაი სიძე ვიშოვეთ და აწი მოვკვდეთ? აწი რაღა გვიჭირს! უდარდელი და გემრიელი ცხოვრება გვექნება...

—:—

— ძაან ჩქარა კი მიდის აგი მატარებელი, მარა მაინც ხომ ვერ ჩავედით!

— შენსავით კი არ ეჩქარება სიძესთან!—

ოი, მისი ჭირიმე, იმას ენაცვალოს ჩემი თავი!— ხშირათ ჰქონდათ ასეთი ლაპარაკი ცოლ-ქმარს მატარებელში.

— დღეს კვირაა. ალბათ ჩვენი სიძე სამსახურში არ იქნება და სახლში დაგვხვდება სონიასთან... როგორ ფიქრობ შენ მათე?

— მეც მასე ვგონია... მარა, ისიც შესაძლებელია რომ ხომ, იცი, დიდი საქმის კაცი ყოფილა და შეიძლება არც დაგვხვდეს სახლში!

— შენს ენას თავის შაქარი! რასაქვია არ დაგვხვდეს! ნუ გამიხეთქავ გულს...

—:—

— მომილოცავს, შვილო, გაბედნიერება!— მიაძახა ეზოში მაკრინემ სონიას და ჩახვევის უმალ მიაძახა:—სიძე თუ არის სახლში, მისი ჭირიმე?

— მალე მოვა... ამ დილით სხდომა აქვს და იქ წავიდა...

მაკრინე სულ ქუჩაში იცქირებოდა.

ვისაც კი ლამაზათ ჩაცმულ კოხტა ახალგაზრდას დაინახავდა, ყველა თავისი სიძე ეგონა და შვილს ეუბნებოდა:

— ეგერ რომ მოდის ის მშვენიერი ყმაწვილი, აუცილებლათ ჩემი სიძე იქნება!.. კი, კი!..

— არა, დედა, იგი არ არის!

—:—

გაწყობილ სუფრას შემოუსხდენ.

მშობლები სასიძოს თვალს ვერ აშორებდენ.

სასიძო კი ლაზათიანათილუკმებოდა. ეს არც გასაკვირია. დიდი ხანია, რაც სოფლიდან წამოვიდა, ასეთი სუფრა თვალითაც არ უნახავს.

— წარმოიდგინეთ თქვენ,— ამბობდა ლუკმის გადაყლაპვის პაუზებში სასიძო —ყათლან ქაქანიძე, —რომ მე ძალიან მიყვარს სოფლური საჭმელები: გოჭი, ხაჭაპური, შემწვარი ინდაური, ჩურჩხელები და სხვა ასეთები. დილით მურაბიანი რძე გიახელით, მაგრამ ამ საჭმელებმა ისე გამიხსნეს მადა, რომ სიამოვნებით ვჭამ...

— მიირთვი, მიირთვი შენი ჭირიმე... შენთვის წამოვიღეთ ეს ყველაფერი!— ეუბნებოდენ სიდედრ-სიმამრი ყათლანს, რომელიც ლუკმებს შორის თანდათან ამცირებდა ანტრაქტებს და ზედიზედ ყლაპავდა.

— შენი ჭირიმე, ერთი ის მითხარი, რა მოხელე „ნაჩალნიკი“ ბრძანდებით!— შეეკითხა სიმამრი, როცა საჭმელს მორჩენ და „საბჭოთა პაპიროსის კოლოფიდან ცალობით ნაყიდ „ფედერაცია“-ს პაპიროსის წევა დაიწყეს სასიძომ და სიმამრმა.

— რრრეგისტრრრატორი გახლავარ!..—დაიწყო ქაქანიძემ თავისი სამსახურის შესახებ მაგრამ სიხარულისაგან ალტაცებულმა სიმამრმა არ დაასრულებინა;

— პოოო. სრანს დიდი თანამდებობა არის: რეგისტ-რატორი... გუბერნატორი... ალბათ უწინდელ გუბერნა ტო-რი-ს სამსახურია...

— კი... კი... მასე იქნება უეჭველათ!— დაუდასტურა მაკრინემ და სასიძოს ყელზე შემოეხვია.

— რა შეადგენს შენს სამსახურსა და მოვალეობას?— იკითხა სიმამრმა.

— მაგალითად: დაწესებულებაში რა ქალალდიც არ უნდა მოვიდეს, პირველათ მე უნდა მივიდე, ნომერი უნდა დაუსვა. ავღნიშნო წიგნში და ამის შემდეგ მიეცემა იმ ქა-ლალდს მსვლელობა...

— სად მსახურობთ!..

— მთავრობაში. „ცაკს" რომ ეძახიან!

— მერე და ასეთი დიდი თანამდებობა როგორ იშოვ-ნე ახალგაზრდა კაცმა? ალბათ კომუნისტი იქნებით?!



— არა, კომუნისტი არა ვარ, მაგრამ. ხომ იცით, ნას-წავლი და სპეცი ხალხი აკლიათ და იმიტომ მიმიღეს...

ასე რომ, თუ შენგან დასმული ნომერი არა აქვს ქალალდს, ისე არ განიხილავენ?

— შეუძლებელია... ვსთქვათ, მაგალითად: თქვენ გინ-დათ თხოვნა მისცეთ ფილიპე მახარაძეს... ჯერ მე უნდა მი ვილო თქვენი თხოვნა და შემდეგ გადავაცემ ფილიპეს...

— დედა, დედა რა ყოფილა... შენი ჭირიმე შენი... რო-მელ დედას გაუჩნდი ასეთი ჭკვიანი.::

— არა გამოსარჩენი ბევრი გექნება, რადგან ყველა-ფერი შენზე ყოფილა დამოკიდებული!?

— გამოსარჩენის, ჩემო სიმამრო, რა გითხრა... რომ ვიკადრო, გიყვარდეს ერთ თვეში მილიონერი გავხდები, მაგრამ...

— ბევრი არა და, ცოტა არ არის ცოდვა!

— არა, ჩემო სიმამრო. მე მაგას ვერ ვიზამ. არც მესა-ჭიროება...

— დედა, შენი ჭირიმე, ვერ გვანახვებ შენს სამსა-ხურს?— ჰკითხა მაკრინემ სასიძოს...

— მობრძანდით ხვალ; საღამოს უფრო თავისუფლო-ბა იქნება და ყველაფერს განახვებთ!

—:—

ყათლანმა მეორე დღეს გამგესთან მოიმიზეზა:

— ბატონო. თუ შეიძლება ნება მომეცით საღამოს ისევ მოვიდე და სამუშაო დავასრულო; ბევრი ქალალდები გაუტარებელი, ვინაიდან დღეს უამრავი განცხადებები შე-მოვიდა!

გამგემ ნება დართო.

—:—

საღამოს ექვსი საათი იქნებოდა, რომ რეგისტრატორი ყათლან ქაქანიძე გამგის კაბინეტში იჯდა და განაბული ყურს უგდებდა, თუ როდის მოესმოდა სტუმრების ფეხის ხმა დერეფნიდან.

დარაჯი აყვირდა:

— შენს ალაგას დაჯექი. თორემ ხვალ გამგეს ყველა-ფერს ვეტყვი. გადაყყევი მე ამ კაბინეტის დასუფთავებას...

მაგრამ ყათლანმა „მოქრთამა" დარაჯი:

— სამაგიეროთ ქორწილში დაგპატიჟებ და ისე ლაზ-თიანათ გაქეიფებ, რომ სამ დღის ჭკუაზე ვერ მოხვიდე. აქ მოვლენ ჩემი საცოლოს მშობლები. ისე მომექეცი. რო-გორც გამგეს. ჩემს დარეკაზე სწრაფათ შემოვარდი... ჰა, გესმის? ფეხის ხმა ისმის... მოდიან... აბა შენ იცი!—დაა-როგა დარაჯი და სავარძელში გაიჭიმა.

—:—

რა მდიდარი ყოფილა ჩვენი სიძე?!—მათე. ხედავ რა მშვენიერი შენობაა? რა ხელმა გააკეთა ასე ლამაზათ!— ეუბნებოდა მაკრინე მათეს და ყველაფერს ათვალიერებ-და.

— წინ დაიხედე, ფეხი არ დაგიცდეს ამ სარკესავით გაწმენდილ „პოლზე" და სირცხვილი არ აჭამო სიძეს!— არიგებდა მაკრინეს მათე, რომელიც ფრთხილათ აბიჯებ-და. ამ ლაპარაკში მათემ თავი მიახალა ვეებერთელა სარ-კეს, რომელიც მას არ შეუმჩნევია. რადგან სარკეში მოსჩა-ნდა დერეფანი, რომელშიაც ეგენი მიდიოდენ.

დარაჯს სიცილი წასკდა, მაგრამ შეიმაგრა თავი და სტუმრებს შეეკითხა:

— თქვენ ვინ გნებავს?

— ყათლან ქაქანიძე... ჩვენი სიძეა...

— მობრძანდით!—და კარები გაუღო გამგის კაბინე-ტში შესასვლელათ.

— დაბრძანდით!—თავაზიანათ მიუთითა ყათლანმა წინ ორი ბრილი სავარძელი სიდედრ-სიმამრს.

სანამ სტუმრები კაბინეტის თვალიერებას მორჩებო-დენ, ყათლანმა რამდენჯერმე დარეკა ტელეფონზე. ის აიღებდა ასმენ მილს, ყურზე მიიდებდა, ხოლო საჩვენებე-ლი თითით აწვებოდა მილის ჩამოსაკიდს, რომ ცენტრა-ლური სადგური არ გამოეძახებინა. ე. ი. ტელეფონი დაკე-ლი ყოფილიყო.

თითქოს ვილაცას დიდ საქმეზე ელაპარაკებოდა, ხან ბრაზი მოსდიოდა და ხმამაღლა ედავებოდა:



— არავითარი ფული არ მისცეთ. მე მაგ საქმეში ასი თითი მანეთი ჩავყარე და ჯერ კიდევ არ იქნა მისი დასრუ-ლება. ჭკუით იყოს, თორემ ოცდაოთხ საათში დავითხოვ სამსახურიდან. მისი პროფესორობა ვერ უშველის... ინჟე-ნრებიც ჭკუაზე მოვლენ, თორემ ციხე და მისი ჯანი...

ამ ლაპარაკის დროს სიდედრ-სიმამრი გაშტერებით უც-ქეროდენ სასიძოს. რომელსაც ალელვება ეტყობოდა

— კარგი, ყათლან, გულს ნუ მოიყვან!—ეალერსებო-და სონია საქმროს და ნაზად თავზე ხელს უსვამდა. ყათ-ლან კი ბოლთას სცემდა და პაპიროს აბოლებდა კაბინეტ-ში.

— შვილო, შენი საქმე ხომ არ ხდება? სახელმწიფო საქმეა? ამისათვის არც კი ღირს ასე გულის მოყვანა!— ეალერსებოდენ და არიგებდენ ყათლან ქაქანიძეს სიდედრ-სიმამრი.

— ეჰხ! რა ძნელია სახელმწიფო მოღვაწეობა!— ხელ-ჩაქნევით სთქვა ყათლანმა და დარეკა.

დარაჯი სწრაფათ იქ გაჩნდა.

— წადი და ავტომობილი მოიყვანე; სახლში წასვლა მვინდა!— განკარგულება მისცა დარაჯს, რომელმაც სი-ცილი ტუჩებზე კბილების დაჭერით შეიმაგრა და გარეთ გამოვიდა. აქ კი დიდხანს იცინა. შემდეგ, როცა სიცილით გული იჯერა, შევიდა და მოახსენა:

— გუშინ თქვენ რომ საჩქაროთ ბრძანდებოდით, ავ-ტომობილს დინამო გასტეხია და უმოძრაოთ სდგას.

ოჰხ! რანაირი ხალხია ქვეყნათ!— სთქვა გაბრაზებით ქაქანიძემ და მაგიდაზე მუშტი დაჰკრა.

— კარგი, გენაცვალე, ფეხით წავალთ; ნუ გე... შორს არ ვართ. ამიტომ გული რატომ მოგდის?

— ჰო, ჰო, ფეხით წავიდეთ, გენაცვალე!— ... სიდედრ-სიმამრმა და დერეფანში გამოვიდენ.

ბჟელი.

# „ს ი ძ ე“

## კ ო ნ კ უ რ ს ი

ჟურ. „ტარტაროზი“-ს რედაქცია აცხადებს კონკურსს ამ მოთხრობის გაგრძელებაზე. ჟიურის მიერ მოწონებული იქნება სამი გაგრძელება. პირველი ჯილდო—50 მანეთი; მეორე—30 მან. და მესამე 20 მანეთი. აგრეთვე მოთავსებული იქნება მოწონებულ ავტორთა სურათები, თუ ასეთებს გამოაგზავნიან ავტორები.

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველას, გარდა ჩვენი მუდმივი თანამშრომლებისა და გამოჩენილ მწერლების.

ჟიურის უფლება აქვს მოხსნას პირველი ჯილდო, თუ ნაწარმოები ვერ იქნება ხაჯხებით დამაკმაყოფილებელი.

მასალა უნდა იყოს დაახლოვებით „ტარტაროზი“-ს ერთი გვერდი, დაწერილი გარკვეულ ხელით, ქაღალდის ცალ გვერდზე და მელნით: (სასურველია რემინგტონით ნაბეჭდი).

გამოგზავნის უკანასკნელი ვადა არის 15 აპრილი.

გარდა ფსევდონიმისა, სავალდებულოა ავტორის სრული ვინაობა და მისამართი.

კონვერტზე უნდა იყოს წარწერა: „კონკურსისათვის“.

დაწუნებულ მასალებს რედაქცია არ შეინახავს და მათ შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს.

ჟურ. „ტარტაროზი“-ს რედაქცია.

---

როცა ქალაქიდან დაბრუნდა მეზობელი და ამბავი მოიტანა:

— თვითონ სონიას არაფერი უთქვამს ჩემთვის, მაგრამ სხვებმა მითხრეს, რომ ერთ ახალგაზრდა ვაჟზეა შეყვარებული და მალე გათხოვდებაო!—მშობლებს ელდა ეცათ გულზე.

— დედა-კაცო, ხომ გეუბნებოდი, რომ სახლში გვებულიყო ის გოგო! დაიჩემეთ შენ და მან—უნივერსიტეტში წასვლა... ახლა ხომ აგეწყა კუდის რიკი!—უსაყვედურებდა მათე თავის ცოლს—მაკრინეს.

— კაცო, ყველაფერზე გადარევა რომ იცი, დაიცადე ცოტა... თუ თხოვდება, რა იცი, რომ კარგ კაცს არ მიჰყვება!—ანუგეშებდა გულგატეხილ ქმარს ცოლი.

— კი, აბა!.. რამდენი წვივებდატლინკული გომბიოა სულ ასალებენ ქალაქში, ქალო, იქ კი არა, ხეირიანი კაცი აქ არავინ შეირთავდა...

მაგრამ მეორე დღეს წერილი მიიღეს ქალიშვილისაგან, რომელიც სწერდა:

...არ მინდოდა მოწერა, მაგრამ თქვენ მაინც გაგებული გექნებათ. მე ახლო ხანში გავთხოვდები და სააღდგომოთ გესტუმრებით. კარგი ბიჭია. კარგი სამსახური აქვს... იმედია, ჩემო ძვირფასო დედ-მამავ, არ გეწყინებათ ჩემი ახეთი საქციელი.

თქვენი სონია.

— აი, შე გამოტვინებულო და შე ყაყანავ!—ნიშნის მოგებით ეუბნებოდა მაკრინე მათეს და წერილს ჰკოცნიდა.—ხომ ხედავ, რა ბედი მოგვეგონოდა! შენთვის რომ დამეჯერებია, ჩვენი სონიაც აქაური სოფლის გოგოებსავით ნაცარში ეგდებოდა მუდამ!

— მე რა ვიცოდი, თუ კარგი კაცი იყო მისი საქმრო... ახლა, როცა გავიგე, კიდეც მიხარია... ვენაცვალე ჩემს გოგოს; ყოველთვის ჭკვიანი იყო და ახლაც ჭკვიანია!—ამბობდა მათე.

—:—

— ესეც სიძეს... ეს სანთლის არაყიც ჩემს სიძეს... ვენაცვალე ჩემს სიძეს; ეს ხაჭაპურები სულ მან უნდა შესჭამოს... არაფერი დაგვავიწყდეს... გოჭი. ინდაური: სამი ქათამი; მისი ქირიმე; აწი თუ მოვკვდებით, აღარ ვჩივი, რა კი ასეთი ბედნიერება მოგვესწრო ღმერთმა!

— რას ამბობ, ქალო? სიცოცხლე აწი გვინდა, შე სულელო! ასეთი კაი სიძე ვიშოვეთ და აწი მოვკვდეთ? აწი რაღა გვიჭირს! უდარდელი და გემრიელი ცხოვრება გვექნება...

—:—

— ძაან ჩქარა კი მიდის აგი მატარებელი, მარა მაინც ხომ ვერ ჩავეღირთ!

— შენსავით კი არ ეჩქარება სიძესთან!—

ოი, მისი ქირიმე, იმას ენაცვალოს ჩემი თავი!—ხშირათ ჰქონდათ ასეთი ლაპარაკი ცოლ-ქმარს მატარებელში.

— დღეს კვირაა. ალბათ ჩვენი სიძე სამსახურში არ იქნება და სახლში დაგვხვდება სონიასთან... როგორ ფიქრობ შენ მათე?

— მეც მასე ვგონია... მარა, ისიც შესაძლებელია რომ ხომ, იცი, დიდი საქმის კაცი ყოფილა და შეიძლება არც დაგვხვდეს სახლში!

— შენს ენას თავის შაქარი! რას ქვია არ დაგვხვდეს! ნუ გამიხეთქავ გულს...

—:—

— მომილოცავს, შვილო, გაბედნიერება!— მიაძახა ეზოში მაკრინემ სონიას და ჩახვევის უმალ მიაძახა:—სიძე თუ არის სახლში, მისი ქირიმე?

— მალე მოვა... ამ დილით სხდომა აქვს და იქ წავიდა...

მაკრინე სულ ქუჩაში იცქირებოდა.

ვისაც კი ლამაზათ ჩაცმულ კოხტა ახალგაზრდას დაინახავდა, ყველა თავისი სიძე ეგონა და შვილს ეუბნებოდა:

— ეგერ რომ მოდის ის მშვენიერი ყმაწვილი, აუცილებლათ ჩემი სიძე იქნება!.. კი, კი!..

— არა, დედა, იგი არ არის!

—:—

გაწყობილ სუფრას შემოუსხდნენ.

მშობლები სასიძოს თვალს ვერ აშორებდნენ.

სასიძო კი ლაზათიანათ ილუკმებოდა. ეს არც გასაკვირია. დიდი ხანია, რაც სოფლიდან წამოვიდა, ასეთი სუფრა თვალითაც არ უნახავს.

— წარმოიდგინეთ თქვენ,— ამბობდა ლუკმის გადაყლაპვის პაუზებში სასიძო —ყათლან ქაქანიძე, —რომ მე ძალიან მიყვარს სოფლური საჭმელები: გოჭი, ხაჭაპური, შემწვარი ინდაური, ჩურჩხელები და სხვა ასეთები. დილით მურაბიანი რძე გიახელით, მაგრამ ამ საჭმელებმა ისე გამიხსნეს მადა, რომ სიამოვნებით ვჭამ...

— მიირთვი, მიირთვი შენი ქირიმე... შენთვის წამოვიღეთ ეს ყველაფერი!— ეუბნებოდნენ სიდედრ-სიმამრი ყათლანს, რომელიც ლუკმებს შორის თანდათან ამცირებდა ანტრაქტებს და ზედიზედ ყლაპავდა.

— შენი ქირიმე, ერთი ის მითხარი, რა მოხელე „ნაჩალნიკი“ ბრძანდებით!— შეეკითხა სიმამრი, როცა საჭმელს მორჩნენ და „საბჭოთა პაპიროსის კოლოფიდან ცალობით ნაყიდ „ფედერაცია“-ს პაპიროსის წევა დაიწყეს სასიძომ და სიმამრმა.

— რრრეგისტრრრატორი გახლავარ!..—დაიწყო ქაქანიძემ თავისი სამსახურის შესახებ მაგრამ სიხარულისაგან აღტაცებულმა სიმამრმა არ დაასრულებინა;

— ჰოოო, სჩანს დიდი თანამდებობა არის: რეგისტრატორი... გუბერნატორი... ალბათ უწინდელ გუბერნა ტორი-ს სამსახურია...

— კი... კი... მასე იქნება უეჭველათ!— დაუდასტურა მაკრინემ და სასიძოს ყელზე შემოეხვია.

— რა შეადგენს შენს სამსახურსა და მოვალეობას?— იკითხა სიმამრმა.

— მაგალითად: დაწესებულებაში რა ქალალდიც არ უნდა მოვიდეს, პირველათ მე უნდა მივიდე, ნომერი უნდა დაუსვა, ავლნიშნო წიგნში და ამის შემდეგ მიეცემა იმ ქალალდს მსვლელობა...

— სად მსახურობთ!..

— მთავრობაში „ცაკს" რომ ეძახიან!

— მერე და ასეთი დიდი თანამდებობა როგორ იშოვნე ახალგაზრდა კაცმა? ალბათ კომუნისტი იქნებით?!



— არა, კომუნისტი არა ვარ, მაგრამ, ხომ იცით, ნასწავლი და სპეცი ხალხი აჭირიათ და იმიტომ მიმიღეს...

ასე რომ, თუ შენგან დასმული ნომერი არა აქვს ქალალდს, ისე არ განიხილავენ?

— შეუძლებელია... ვსთქვათ, მაგალითად: თქვენ გინდათ თხოვნა მისცეთ ფილიპე მახარაძეს... ჯერ მე უნდა მივიღო თქვენი თხოვნა და შემდეგ გადავაცემ ფილიპეს...

— დედა, დედა რა ყოფილა... შენი ჭირიმე შენი.:. რომელ დედას გაუჩნდი ასეთი ჭკვიანი.::

— არა. გამოსარჩენი ბევრი გექნება, რადგან ყველაფერი შენზე ყოფილა დამოკიდებული!?

— გამოსარჩენის, ჩემო სიმამრო, რა გითხრა... რომ ვიკადრო, გიყვარდეს ერთ თვეში მილიონერი გავხდები, მაგრამ...

— ბევრი არა და, ცოტა არ არის ცოდვა!

— არა, ჩემო სიმამრო, მე მაგას ვერ ვიზამ. არც მესაჭიროება...

— დედა, შენი ჭირიმე, ვერ გვანახვებ შენს სამსახურს?— ჰკითხა მაკრინემ სასიძოს...

— მობრძანდით ხვალ; საღამოს უფრო თავისუფლობა იქნება და ყველაფერს განახვებთ!

—:—

ყათლანმა მეორე დღეს გამგესთან მოიმიზეზა:

— ბატონო, თუ შეიძლება ნება მომეცით საღამოს ისევ მოვიდე და სამუშაო დავასრულო; ბევრი ქალალდები გაუტარებელი, ვინაიდან დღეს უამრავი განცხადებები შემოვიდა!

გამგემ ნება დართო.

—:—

საღამოს ექვსი საათი იქნებოდა, რომ რეგისტრატორი ყათლან ქაქანიძე გამგის კაბინეტში იჯდა და განაბული ყურს უგდებდა, თუ როდის მოესმოდა სტუმრების ფეხის ხმა დერეფნიდან.

დარაჯი აყვირდა:

— შენს ალაგას დაჯექი. თორემ ხვალ გამგეს ყველაფერს ვეტყვი. გადავყევი მე ამ კაბინეტის დასუფთავებას...

მაგრამ ყათლანმა „მოქრთამა" დარაჯი:

— სამაგიეროთ ქორწილში დაგპატიჟებ და ისე ლაზათიანათ გაქეიფებ, რომ სამ დღეს ჭკუაზე ვერ მოხვიდე. აქ მოვლენ ჩემი საცოლოს მშობლები. ისე მომექეცი, როგორც გამგეს. ჩემს დარეკაზე სწრაფათ შემოვარდი... ჰა, გესმის? ფეხის ხმა ისმის... მოდიან... აბა შენ იცი!— დაარიგა დარაჯი და სავარძელში გაიჭიმა.

—:—

რა მდიდარი ყოფილა ჩვენი სიძე?!—მათე ხედავ რა მშვენიერი შენობაა? რა ხელმა გააკეთა ასე ლამაზათ!— ეუბნებოდა მაკრინე მათეს და ყველაფერს ათვალიერებდა.

— წინ დაიხედე, ფეხი არ დაგიცდეს ამ სარკესავით გაწმენდილ „პოლზე" და სირცხვილი არ აჭამო სიძეს!— არიგებდა მაკრინეს მათე, რომელიც ფრთხილათ აბიჯებდა. ამ ლაპარაკში მათემ თავი მიახალა ვეებერთელა სარკეს, რომელიც მას არ შეუმჩნევია. რადგან სარკეში მოსჩანდა დერეფანი, რომელშიაც ეგენი მიდიოდენ.

დაარაჯს სიცილი წასკდა, მაგრამ შეიმაგრა თავი და სტუმრებს შეეკითხა:

— თქვენ ვინ გნებავს?

— ყათლან ქაქანიძე... ჩვენი სიძეა...

— მობრძანდით!—და კარები გაუღო გამგის კაბინეტში შესასვლელათ.

— დაბრძანდით!—თავაზიანათ მიუთითა ყათლანმა წინ ორი ბრტყელი სავარძელი სიდედრ-სიმამრს.

სანამ სტუმრები კაბინეტის თვალიერებას მორჩებოდენ, ყათლანმა რამდენჯერმე დარეკა ტელეფონზე. ის აიღებდა ხასმენ მილს, ყურზე მიიდებდა, ხოლო საჩვენებელი თითით აწვებოდა მილის ჩამოსაკიდს, რომ ცენტრალური სადგური არ გამოეძახებინა. ე. ი. ტელეფონი დაკეტილი ყოფილიყო.

თითქოს ვიღაცას დიდ საქმეზე ელაპარაკებოდა, ხან ბრაზი მოსდიოდა და ხმამაღლა ედავებოდა:



— არავითარი ფული არ მისცეთ. მე მაგ საქმეში ათასი მანეთი ჩავყარე და ჯერ კიდევ არ იქნა მისი დაბრუნება. ჭკუით იყოს, თორემ ოცდაოთხ საათში დავითხოვ სამსახურიდან. მისი პროფესორობა ვერ უშველის... ინჟინრებიც ჭკუაზე მოვლენ, თორემ ცოხე და მისი ჯანი...

ამ ლაპარაკის დროს სიდედრ-სიმამრი გაშტერებით უცქეროდენ სასიძოს, რომელსაც აღელვება ეტყობოდა

— კარგი, ყათლან, გულს ნუ მოიყვან!—ეალერსებოდა სონია საქმროს და ნაზად თავზე ხელს უსვამდა. ყათლან კი ბოლთას სცემდა და პაპიროს აბოლებდა კაბინეტში.

— შვილო, შენი საქმე ხომ არ ხდება? სახელმწიფო საქმეა? ამისათვის არც კი ღირს ასე გულის მოყვანა!— ეალერსებოდენ და არიგებდენ ყათლან ქაქანიძეს სიდედრ-სიმამრი.

— ეჰხ! რა ძნელია სახელმწიფო მოღვაწეობა!— ხელჩაქნევით სთქვა ყათლანმა და დარეკა.

დარაჯი სწრაფათ იქ გაჩნდა.

— წადი და ავტომობილი მოიყვანე; სახლში წასვლა მინდა!— განკარგულება მისცა დარაჯს, რომელმაც სიცილი ტუჩებზე კბილების დაჭერით შეიმაგრა და გარეთ გამოვიდა. აქ კი დიდხანს იცინა. შემდეგ, როცა სიცილით გული იჯერა, შევიდა და მოახსენა:

— გუშინ თქვენ რომ საცეირნოთ ბრძანდებოდით, ავტომობილს დინამო გასტეხია და უმოძრაოთ სდგას.

ოჰხ! რანაირი ხალხია ქვეყნათ!— სთქვა გაბრაზებით ქაქანიძემ და მაგიდაზე მუშტი დაჰკრა.

— კარგი, გენაცვალე, ფეხით წავალთ; ნუ გეშინია შორს არ ვართ. ამიტომ გული რატომ მოგდის?

— ჰო, ჰო, ფეხით წავიდეთ, გენაცვალე!— დაუმატეს სიდედრ-სიმამრმა და დერეფანში გამოვიდენ.

ისელი.



**ქალი:** — მიშველეთ... ხულიგანი!!
**ხულიგანი:** — ვაჰხ! მე შენი შემეშინდა და შენ რა გაყვირებს?

# საწყალი ჩვენი პეტოა

თერთმეტი წელიწადი ალა მაცაკანის მაღაზიაში ვმსახურობდი.

მაღაზაში შვიდი კაცი პრიკაშჩიკი ვიყავით: მე, ოხჩუმ კარაპეტა, ლილიპუტა ონიკა, დაუშტვინე პეტოა, ჯლანოა სუმბათა, კოხტა გოგია და სულის ფითილა კრამიტონა.

ხაზეინი სუყველას ერთნაირად არ გვეპყრობოდა. მე, სულის ფითილა და კოხტა გოგია ვეჯავრებოდით, რადგანაც ცოტათი ვსოციალ-დემოკრატობდით. ჯლანოა სუმბათა და ლილიპუტა ონიკა ალა მაცაკანას შპიონები იყვნენ და ამიტომ ხაზეინი მათ ხანდისხან თავის კერძის ჯამში ხელს აყოფინებდა. ოჩხუმ კარაპეტა ქლესობდა, დღეს ჩვენი იყო, ხვალ კი იმათი,—მაგრამ სუყველაზე მაზალო და არიგინალნი რამე გახლდათ დაუშტვინე პეტოა.

„დაუშტვინე“ მეტი სახელათ მას უწოდა ჩვენმა უპრაველიაიუშჩმა მინაი იაგორიჩმა; ჩვენ კი მას ვეძახოდით „ოინბაზა პეტოას“, რადგანაც დიდი ფოკუსნიკი რამ იყო.

პეტოას ოინები ჩვენი ბიჭების გულის მალამო იყო. ვინც ჩვენ გვჩაგრავდა, პეტოაც იმას ილებდა ჩუქურთმებში და ქვეყნის სასაცილოს ხდიდა. ჯანჯალ ხაზეინს, ზეთ ზავედიუშჩს, ანგალ მუშტარს, ფრანტიფრუტი მდიდრის შვილებს, ცხვირაწეულ მადამებს ისე გააპუსტიაკებდა, რომ კვირაობით მათ შალას უკარგავდა.

დღეს—მძინარე მინაი იაგორიჩს ჯიბეში ლაყე კვერცხს ჩაუდებდა და ააყროლებდა აბრეშუმის ახალუხს. ხვალ—კაპრიზიან მადამას ლამფის შუშის მაგიერ სხვა უცნაურ რამეს გაუხვევდა ქაღალდში

რომელი ერთი ჩამოვთვალო. პეტოას ოინები სულ რომ დავწერო, თორმეტი ტომი გამოვა. ტფილისში ძველი პრიკაშჩიკი არ არის, რომელმაც პეტოას ერთი ათი ანეგდოტური საქციელი მაინც არ იცოდეს. ამათ შორის ძალიან საინტერესო არის ის ფოკუსი, რომლის გამოც პეტოა ხაზეინმა სამსახურიდან დაითხოვა და ულუკმაპუროთ ამოუწყვიტა ცოლშვილი.

აი საქმე რაში იყო. ჩვენი ალა მაცაკანა ძალიან ხელმოჭერილი და კრიუანკი კაცი გახლდათ. გლახას რომ კაპეიკს მისცემდა, პოვერს პროვიზიის ფულიდან გამოუჩოტკავდა ხოლმე. მაგრამ ამასთან ერთათ თავმოყვარე კაცი იყო ხალხში თავის გამოჩენაც უყვარდა. აი ამიტომ ხაზეინის ინსტიტუტკა ქალებმა, ალავენიკამ და არევპატამ თავიანთ პაპაშას გააბედინეს სოფსტვენი ეკიპაჟის შეძენა.

მინაი იაგორიჩის რჩევით ალა მაცაკანამ იყიდა ნახმარი შარაბანი. ადინარჩკა ფაიტონის შეძენაზე ჩვენმა ხაზეინმა უარი განაცხადა, რადგანაც კუჩერის შენახვა ძვირი ჯდებოდა, და შარაბანს კი თითონ პატრონი გაუძღვებოდა. ეკიპაჟი ცხენით უნდა დასჯდომოდა არა უმეტეს ხუთი თუმნისა. ჩვენ ხაზეინს ძალიან უყვარდა პლანით მუშაობა: კაპეიკის ადგილას კაპეიკი უნდა დახარჯულიყო და მანეთის ადგილას მანეთი. თუმცა მაშინ გოსპლანები არ არსებობდა, მაგრამ პლანს და რეჟიმ ეკონომიას კარგათ იცნობდენ.

მინაი იაგორიჩმა შარაბანში მისცა თვრამეტი თუმანი და ცხენისთვის რჩებოდა მხოლოთ შვიდი თუმანი. ოინბაზა პეტოა ცხენის დალალის შვილი იყო და ამ საქმისა კარგათ ესმოდა. ხაზეინის აზრით პეტოა, როგორც გამოცდილი კაცი, ამ ფულით შეიძენდა კარგ ცხენს. პეტოას კი ამგვარ დავალების მასზე დაკისრება მიაჩნდა ერთგვარ შეურაცყოფად, რადგანაც კარგი საშარაბანო ცხენი მაშინ ფასობდა ხუთმეტ თუმნამდე.

მაშინ პეტოა ოინბაზ პეტოა არ იქნებოდა, რომ ამ მდგომარეობიდან გამოსვლა გაძნელებოდა. პეტოამ ცხენი იყიდა. ცხენი იყო წაბლის ფერი. მაღალი ტანისა და ხაზეინსაც მოეწონა.

დადგა კვირა დღე. ალა მაცაკანა ჩაუჯდა თავის ორთავე ქალებს შარაბანში და კოხტათ ჩაატარა ეკიპაჟი იარმუკაზე. ცხენის ნალების ბაკუნი ალა მაცაკანას გულს ახარებდა, როგორც დუხოვოი მუზიკა.

მშვენივრათ მიმავალ ცხენმა ვარანცოვის პამიატნიკთან ერთბაშათ ხასიათი გამოიცვალა. ალა მაცაკანა ვოჟეებს მუშტაიდისკენ სწევდა, ცხენს კი წასვლა რიყისაკენ უნდოდა. ამ ბრძოლაში დამარცხებული ჩვენი ხაზეინი დარჩა—ცხენი ჩქარი ნაბიჯით გაეშურა ციციანოვის აღმართისაკენ.

ალა მაცაკანა ინტერესში ჩავარდა. იფიქრა—ალბათ იხინს ძველ ხაზეინთან უნდა სტუმრათ წასვლაო და მიუშვა ვოჟები სოფსტვენი ეკიპაჟის პატრონი მწარეთ მოტყუვდა: ცხენმა ჩვენი ალა მაცაკანა თავის ორი ინსტიტუტკა ქალით გააჩერა ხოჯევანქის სასაფლაოს გალავანის წინ. ჩვენი ხაზეინი ჭკვიანი კაცი იყო და კარგად მიხვდა რაში იყო საქმე.

მეორე დღეს მინაი იაგორიჩმა გამოარკვია საქმის ვითარება. ჩვენ პეტოას ცხენი შეეძინა მეკუბოე მერაბოვისაგან. პირუტყვი თორმეტი წელიწადი თურმე კვდრებს აკატავებდა კატაფალკაში და რასაკვირველია. ცოცხალ ალა მაცაკანას მუშტაიდში საკატაოთ არ გამოადგებოდა. ცხენი მიჰყიდეს მეკალბასის, პეტოა გახადეს საკომბასეთ. და ალა მაცაკანას და მისი ქალების გულის გასახარებლათ იმ წელს ტფილისში ელექტრიჩესკი ტრამვაის მუშაობა დაიწყო, რომლითაც ჩვენი ხაზეინი თავის უჭკოლბუჭულით შაბათობით მიბრძანდებოდა მუშტაიდში.

ეხლანდელ პრიკაშჩიკებს მფარველები ბევრი მოეპოება. ნარკომტრუდა, პროფკავშირი, ადგილკომი და ყველა მშრომელი ხალხი. მაშინ ალა მაცაკანები და მსუქანი დუქნის მუშტრები ჩვენი სულის და სხეულის ბატონ-პატრონები იყვნენ, რაც უნდოდათ, იმას გვიშვრებოდენ. ჩვენ კი არც ორგანიზაციები გვქონდა და არც შეგნება ნამდვილი ბრძოლისათვის. ოინბაზი პეტოები თავისებურათ ყრილობდენ ჯავრს იმათზე, ვინც ჩვენ თვითმოყვარეობას ფეხქვეშ სთელამდა.

ჩვენი ბრძოლა დაიწყო პეტოას ოინებით, მერმე მაღაზიის შუშების ჩამტვრევით და ამ გზით მოველით დღევანდელ დღემდე.

**ვინმე.**

## დღიეს-დღეს 1929 წლის წინეთ



იოსებ დურგალი („ღვთისმშობელ მარიამს) — შენ შემოგევლე, ჩემო მშვენიერო გოგონა! ჰა, სამაგიეროთ საჩუქარი ჩემგან!

## „სასწავლებელი“—მასწავლებლები

### საჯევახოური სუმრობა

მოქმედება სწარმოებს საჯევახოს კლუბში, რომელშიაც მოწვეულია გამოჩინებულის თემის მასწავლებელთა საერთო კრება, მოხსენებას აკეთებს მასწავლებელი შალვა ბოცვაძე შემდეგ თემაზე: „საზოგადოებათ მეცნიერების სწავლების ახალი მეთოდი შრომის სკოლებში“.

ოსიპო:—ამხანაგებო, გამოჩინებულის თემის მასწავლებელთა საერთო კრებას გახსნილათ ვაცხადებ. საჭიროა ავირჩიოთ თავმჯდომარე (ხმები დარბაზიდან: — ეკატერინე ავირჩიოთ, ეკატერინე!). მაშ. ამხანაგებო, კანდიდატი წამოყენებულია. ვისაც გსურთ აუწიეთ ეკატერინეს.

ხმები: „ერთხმათ არის გასული.. ყველას გვსურს, ყველას“.

ეკატერინე (მეწუხებით): — ბიჩა, რავა გეკადრებათ! ჩემს მეტი არავინ არის აქ? აგერ თამარე, ნადიე, ზინობიე, თედორე, გრიშა.

ხმები: „თქვენ გვსურხარ, თქვენ; გთხოვთ დაიჭიროთ ალაგი.

ეკატერინე:— მე, ამხანაგებო, კრების გათავებამდე აქ ვერ მოვიცდი, რადგანაც შორიდან ვარ მოსული და გზაზე დამაღამდება; თავმჯდომარე კი კრების გათავებამდე აქ უნდა დარჩეს.

ხმები (ვაჟებიდან):— ჩვენ მოგაცილებთ ბინამდე რა გინდ ღამე იყოს.

თედორე:— სახლში კი არა, საიქიოში წავყვებით რომ მთხოვოს.

ეკატერინე (მხიარულათ):— მაშ, იმ პირობით ვდგები თავმჯდომარეთ, რომ სადამოს სახლამდე უნდა მიმაცილოთ (იჭერს თავმჯდომარის ადგილს) ამხანაგებო, სიტყვა ეკუთვნის შალიკოს.

შალვა (იწყებს მოხსენებას): ამხანაგებო, რადგანაც მე დავალებული მაქვს გაგაცნოთ მასწავლებლობის ისეთი რამ, რაც თქვენს ყურს ჯერ არ სმენია,—ამისათვის ნება მომეცით რომ დავიწყო და დაწვრილებით გადმოგცეთ „საზოგადოებათ მეცნიერების სწავლების ახალი მეთოდი“.

— მართალია, მეთოდე კაცსაც ქე ჰქვია სახელათ. მაგრამ მეცნიერებაში კი სხვაფერ გულისხმობენ. მე მგონია იგიც კომპლექს ჰგავს. ასე გავიგონე როცა თ. პუმბურიძემ გააკეთა ქუთაისში მოხსენება ამის შესახებ და მასწავლებლობას გაგვაცნო საზოგადოებათ მეცნიერების მნიშვნელობა.

თამარა (მეწუხებით): — მაგ კომპლექსმა დამანელა და ეს არის! ბიჩა, სულ ბაღანასავით რავა ვიზეპიროთ გაკვეთილი ყოველ დღე? მოწაფეობას მაშინ მოვრჩი, როცა შვიდწლედი გავათავე და აქ დამნიშნეს მასწავლებლათ... მასწავლებლობა რა ოხრობათ მინდა, თუ პატარე არ დავისვენე (ნადია, ლიპა. ჭუჩია ეთანხმება, ზინა და ნიკოლაიშვილის ქალი ნეიტრალიტეტს იცავენ).

შალვა:—ჰო-და იმას ვამბობდი. ამ ახალი მეთოდით, ანუ კომპლექსით უნდა ვასწავლოთ ჩვენ მოწაფეებს ამხანაგებო, ერთი რამ უნდა დაიმახსოვროთ — კომპლექსი და მეთოდი ერთიდა იგივეა, მხოლოდ მეთოდი უფრო ახალი სახელწოდება არის, კომპლექსი კი— ძველი... ესენი არ უნდა აგერიონ ერთი-მეორეში (შანგირაძეც ეთანხმება).

ამხანაგებო! ეს ახალი კომპლექსი —მეთოდი იმაში გამოიხატება, რომ საზოგადოებათ მეცნიერება, რომელიც სახელიც ამ საგანმა სულ ცოტა ხანია შეიძინა, შით უნდა შედიოდეს სხვადასხვა საგნებიც, როგორიცაა, მაგალითად: ისტორია, ბოტანიკა, მორფოლოგია, ბიოლოგია, ტავტალოგია და დემაგოგია.

ხმები: ორი უკანასკნელი საგნის სახელი ჯერ არ გაგვიგონია. გთხოვთ აგვიხსნათ, ამხ. შალვა!

შალვა:— ამხანაგებო! ბოდიშს ვიხდი, მაგრამ „არ ცოდნა, არ ცოდვაა“... ეს ორი საგანი, ალბათ, ჩვენ რომ გავათავეთ ცხრაწლედი, შემდეგ შეუტანიათ სასწავლო პროგრამაში, ამიტომ მისი განმარტება არც მე მეხერხება.

ხმები: (ქალებიდან:) —ბიჩა, ამას რა გვეშველება?! რაფერ ვასტავლოთ ბალღებს.

შალვა:—მაშასადამე, მეგობრებო, საზოგადოებათ მეცნიერება, წინეთ კი მხოფლიო ისტორიათ წოდებული, გულისხმობს ყველა ჩემს მიერ ჩამოთვლილ საგნების ცოდნას და მათ მოქცევას ერთ სინთეზში, რომ მოწაფეს წარმოდგენა ქონდეს რაც კი არსებობს სინამდვილეში.

ხმები: აგი სინთეზი რა ღხრობაა აწი?

შალვა (ყოყმანობს):— სინთეზი არის ამხანაგებო, მაგ.: თქვენ გაქვს მარცვლები: სიმინდის, პურის, ღომის, ლობიოს, ბრინჯის, ცერცვის... ყველა ესენი რომ ერთმანეთში აურიო და ტომარში ჩაყარო ამას ჰქვიან სინთეზი. მაშ. მეგობრებო, აწი იმედია ამ ახალი მეთოდით ასწავლით მოწაფეებს.

ეკატერინე: — მაშ, ამხანაგებო, კრებას დახურულათ ვაცხადებ... მხოლოდ დარჩებიან ისინი, ვინც მომცა პირობა სახლამდე მიცილების:

ხმები (ქალებიდან):— ჩვენც უნდა მოგვაცილოთ სახლამდე, რადგანაც უკვე დაღამებულია და შეგვშინდება.

თედორე:—ამხანაგებო, გაინაწილეთ და რამდენი ქალია, თითო ვაჟთან წაყვეს (ნაწილდებიან. ქალებს თითო ვაჟი ხვდება. გარდა ზინასი, რომელიც გაბუტული მიდის მარტო. კრება დაიშალა ღამის 10 საათზე).

„მირცეცხლი“.

# საპატიო მიზეზი



მოქალაქე (მკერვალს): — რატომ მზად არ არის ჩემი ხალათი?
მკერვალი: — ვერ ხედავ არა მცალია! პასუხისმგებელ მუშაკის შარვალს ვაკერებ; სხდომებზე ჯდომისაგან უკან მთლათ დაფლეთილია!

# „ლატარია"-ზე

მეც მხვდა წილად დალოცვილი ადგილკომის საშუალებით ფასდაკლებული ბილეთი „ლატარია"-ზე.

დღე იყო იგი ოთხშაბათი. ჟამსა მას საღამოს 8 საათზე ქუდმოგლეჯილი მივაშურე ოპერის კარებს და შურდულივით შევარდი ვესტიბიულში.

— თქვენი ბილეთი! — მეკითხება ქერა კაცი, რომელიც ანძასავით სდგას შესავალთან.

რასაკვირველია, ამაყად ამოვიღე ჯიბიდან ბილეთი, რომელზედაც 2 მ. 40 კაპ. იყო წარწერილი, თუმცა მე შვიდი აბაზის მეტი არ გადამახდევინეს.

— თქვენი წიგნაკი?

— რა წიგნაკი.

— საანგარიშო წიგნაკი...

— ამხანაგო, ოპერაში ვარ, თუ მუშკოოპში? გულმოსული შევეკითხე მე.

— თქვენ ვერ შეხვალთ წარმოდგენაზე, სანამ საანგარიშო წიგნაკს არ წარმოადგენთ, — მეუბნება ქერა, რომელსაც ვხედავ, არ მოეწონა ჩემი გახუმრება.

— ადამიანო, წარმოდგენა უკვე დაიწყო, ეხლა სად გირბინო წიგნაკისათვის?!

— ასეთია წესი, — სთქვა მან და პირი ამარიდა.

გავჩერდი. ვფიქრობ როგორ მოვიქცე. ვეხვეწო? — აქნებ სულ გაფუჭდეს საქმე... ვსთხოვო? — უარი რომ მითხრას, მაინც უსიამოვნება მომივა.

ამ ფიქრებში უკვე გათავდა პირველი მოქმედება.

მეორე მოქმედება რომ იწყებოდა, ამ დროს თვალი მომკრა ერთმა „გავლენიანმა" პირმა, რომელმაც ერთი შეხედვით გაიგო ჩემი გაჭირვება, გადაულაპარაკა ქერას და მეც შემიშვეს თეატრში.

შესვლის ხანს ქერამ მომაძახა: „მეორეჯერ არ მოხვიდე უწიგნაკოთო". მეც აღუთქვი რომ არასოდეს ასეთ რამეს არ ჩავიდენ.

შევედი თეატრში პარტერში (ერთხელ ჩემს ცხოვრებაში) და ვეძებ ჩემს ადგილს.

— ამხანაგო, ეს ჩემი ადგილია! გთხოვთ დამიცალოთ; — მივადექი რიხიანად ერთს ხანში შესულ მოქალაქეს.

— უკაცრავად, თქვენ სცდებით, მე ჩემს ადგილზე ვზივარ!..

— გვიჩვენეთ თქვენი ბილეთი?

— რიგი მე-9-ე, სკამი მე-11-ე, — მივადე ცხვირთან ბილეთი მოქალაქეს. მანაც ამოიღო ბილეთი, მომადო ცხვირზე და მითხრა:

— ხედავ! რიგი მე-9-ე, სკამი მე-11-ე, ეს ჩემი ადგილია.

— ჩემი ბილეთი არ ბილეთობს? რატომ შენია და არა ჩემი? — გამოვედავე მე.

— მე შენზე ადრე მოვედი, სკამს დავეპატრონე, ეხლა წადი და გამოარკვიე სალაროში, — მიპასუხა მოქალაქემ, რომელიც, როგორც ახლა ვაკვირდები, მართალი იყო.

ამ დროს უკვე უკანასკნელი ზარი მისცეს. მე გავო-




— აი, ეხლა კი მივხვდი, თუ რად იყვენ ჩვენი წინაპრები ცეცხლმთაყვანის მცემლები... სად არის ცეცხლი, თორემ მეც სიამოვნებით ვსცემდი თაყვანს!

ჩეცი სალაროში „გამოსარკვევად", მაგრამ სამწუხაროდ, ვერაფერი გამოვარკვიე.

მეორე მოქმედებაც დაიწყო. მე დავრბივარ დერეფანში. მეკარეებს ვეხვეწები შემიშვან პარტერში.

არ მოგიკვდეთ ჩემი თავი, არავინ ყურადღებას არ მაქცევს; ყველა „გალიორკაზე" მიშვერა ხელს. „პარტერში შესვლა არ შეიძლება, როცა წარმოდგენა მიდის" — ესეც ვიცი.

მკლავს მხოლოდ იმის ჯავრი, რომ ერთხელ მეღირსა დაკლებულ ფასიანი ბილეთი პარტერში და მაშინაც სხვა დაეპატრონა ჩემს სკამს.

ავდივარ ერთი სართულიდან, მეორე სართულზე, მეორედან მე-3-ზედ და ვიძახი ჩემთვის: „არა შეჯდა მწყერი ხესა არა იყო გვარი მისი" და თანაც ადგილკომის საყვედურს ვლაპარაკობ.

გავიდა უკვე მეორე მოქმედება. მე არაფერი მინახავს. ჯავრით ვკვდები გულზე.

მესამე მოქმედების წინ ანტრაქტზე მივუახლოვდი ჩემი ადგილის „მიმთვისებელს" და ვსთხოვე, როგორმე მიწეულიყო და სადმე ჩავეჯინე. (არ დაივიწყოთ. რომ საქართველში კი არ ყოფილა ფასდაკლებული ადგილი. „ვენსკი" სკამებია ჩარიხინებული რიგსა და რიგს შუა. ასე, რომ გაჭექილი ხარ ყოველ მხრივ.

მოქალაქემ ისინდისა და გაიწია. სკამის კიდეზე ჩამოვჯექი სიმწრით. მაგრამ მეორე გვერდიდან მჯდომმა ძალიან „ზორბა" მანდილოსანმა, რომ ამოისუნთქა, დავცურდი და კინალამ საჯაყი საქმე მომივიდა..

უეცრად თვალი მოვკარი მეოთხე რიგში ცალიერ ადგილს — წამოვდექი და ნახევრად სიბნელე რომ იყო დარბაზში, დავიკავე ცალიერი სავარძელი.

— ამხანაგო, ეს ჩემი ადგილია! — მომადგა ვილაც ახმახი მოქალაქე.

მაშინვე ზეზე წამოვხტი და კუთხისკენ გავიქეცი. გავჩერდი კედელთან. მოქალაქე არხეინად დაჯდა სავარძელში და წელში გასწორდა.

არ გასულა ხუთი წუთი, რომ ის მოქალაქე, რომელმაც მე წამომაგდო ადგილიდან, თვითონ წამოაგდეს ადგილიდან და მასაც კედელს მოაშურა.

ბრაზმორეულმა ჩაულაპარაკე:

— მე წამომაგდე, მაგრამ არც შენ დაგადგა ნაკლები დღე!

— მე სხვას დაუთმე, — მიპასუხებს მოქალაქე.

— ისემც, ღმერთი შენ გიშველის!..

ამ ლაპარაკში რომ ვართ, მოგვადგა წესიერების დამცველი და ორივეს წინადადება მოგვცა დაგვეკავებია ადგილები.

— სად დავიკავო, მიჩვენეთ და დავიკავებ, — ვეუბნები მე და თანაც ვუჩვენებ თორმეტ აბაზიან ბილეთს.

მე-3-ე მოქმედება ისე დაიწყო და ისე გათავდა, რომ მე კიდევ დერეფანში დავრბოდი.

მეოთხე მოქმედება გავატარე თეატრის პარიკმახერთან. რომელსაც რამდენჯერმე ენახა „ლატავია" და დიდად აღშფოთებული იყო იმით, რომ ბალეტში ქალები შიშველად გამოდიან.

— შენ, ძმაო ჩემო, ბალერინები შიშველიც გინახავს და ჩაცმულიც. მე უბედურმა ვიკითხო, რომ ჯერ თვალიც არ მომიკრავს.

ავად იყო თუ კარგად, მეხუთე მოქმედებაზე შევძვერი პარტერში და ფეხზე დგომით ბოლომდე პატივი ვეცი „ლატავიას".

ბოლოს ტანისამოსის მიღების დროსაც შემემთხვა ერთი ხათაბალა.

დარაჯმა მომაწოდა პალტო და კალოშები, რომლებიც ჩემზე უფროსები იყვნენ. როცა უთხარი, რომ ეს ჩემი კალოში არ არის, მან მიპასუხა: — სულყველას გასტუმრების შემდეგ გამოირკვევა თქვენი კალოშების ბედი!

მეც ვიდექი და ვუყურებდი. ორის ნახევარი რომ შესრულდა, თეატრში დავრჩით: მე, ერთი დარაჯი და ჩემი კალოშები.

ასე ნასიამოვნები დავბრუნდი ოპერიდან.

სოგაირ-ბან-შაიხ.

# იჭვიანი ცოლი



— რას ეჩურჩულებოდი იმ ქალს? მობრძანდი სახლში და იქ გაგცემ პასუხს!
— პროტექციას ვსთხოვდი — სხვა არაფერს!

# არსენალის აბანოში

(საცოდაობა ერთ დაუდევრობათ)

შაბათია. საყვირის შემდეგ მუშები მიდიან ქარხნის აბანოში, სადაც სივიწროვე და მოუწყობლობაა).

პირველი მუშა (მეაბანოეს):— მიკიტა. შენი დედა მოვიდა ტყიბულიდან. ჩქარა გააღე კარი და არ მითხრა ვარი თვარა ხომ იცი...

მიკიტა (მეაბანოე):—პადაჟდი, მამა ძაღლო; ვადა იშო ხალოდნი..

მეორე მუშა:—ნიჩევო, ნიჩევო მიკიტა, ცივიც მეტია ჩვენზე; აჩქარე კარები... (მიკიტა გააღებს კარებს. მუშები შეცვივიან შიგნით, არის აყალმაყალი ადგილებისა და ბოჩკების საშოვნელად).

პირველი მუშა (მეორეს): ე... ე... სად მიგაქვს ეგ ბოჩკა? ჩქარა დადე თავის ალაგას თორემ ისე გაგიხდი მაგ ცხვირს, რომ...

მეორე:—გიჟი ხომ არა ხარ ძმაო? რამდენი ხანია ეს ბოჩკა ხელში მიკავია და ახლა შენ მედავები—ჩემიაო?!?

პირველი:—მე ვირიშვილო, შენა (მივარდება და ყელში წაუჭერს) არ დადებ ახლავ? (სცემს)

ყველანი:—მიდი მიდი მაგას არ გაუშვა ეგ მამაძაღლი...
ძიძგი, ძიძგი მამალო,
შენ იცი და მაგანა...

მესამე (სიცივისაგან კანკალებს): ვაი დედასა... რა მივქარე და ამ საყინულეში შემოვედი. (ყვირის) მიკიტა! შე სუკინსინო, შენი მოუშვი გარიაჩი ვადა, თვარა გეკითხები კაცი!

მიკიტა:—ჩტო ტი კრიჩის კაკ იშაკ! დურაკ ჩტო ლი?!.

მესამე:—იშაკიც შენა ხარ და ბერი ვაკიც. შე ოხერო, ვერა ხედავ გაყინული კაცი! დავაი სკარეი გარიაჩი ვადა...

პირველი:—პუსტი, მიკიტა, გარიაჩი ვადა და ვეჩერომ სტაკან ვოტკა ბუდეტ...

მიკიტა:—ეალი ვოტკა ბუდეტ, სეჩას (გაეპარება გარეთ).

პირველი:—ხელად არ მოვატყუე საწყალი! მაგას გონია— მართლა ვუყიდი ვოტკას. (წყალი ერთბაშად გაცხელდება. მეხუთე მუშა ხელს შეუშვებს და დაიდურთხავს).

მეხუთე:—ვაი, ვაი..მიშველეთ რამე მიშველეთ დავიფუფქე კაცი...

მეორე:—ეგრე გინდა, ჩემო ძმაო, რავა თვალდახუჭული მისდგომიხარ მაგ წყალს!?

მეხუთე:— შენ ტუზიანი ხომ არ გაკლია, ვილაცა ხარ? თვალები აქ რა შუაშია, ისე ცივი წყალი იყო და ერთბაშად გაცხელდა...

მეორე:—გაგაცხელა ღმერთმა. მერე მე რაღას მიყვირი?.. (პაუზა)

პირველი:—ვიბანო, თორემ ჩემი დედაკაცი ახლოს არ მიკარებს, ჭუჭყიანი ხარო!..

მესამე:—განა მაქამდე მიეცი უფლება?..

პირველი:— რას იზამ, ჩემო ძმაო. ჩაეწერა ჟენ-ადელში და ისე მაგრათ ყვირის „რავნაპრავაათ“, რომ წეილო ყურები.

კოტე (ახალგაზრდებს):— ბიჭებო, ვიმღეროთ რამე.

ახალგაზრდები:—ვიმღეროთ, ვიმღეროთ (მღერიან).

მამას ჰყავდა ერთი ძაღლი
მას ის უყვარდა:
მან შეჭამა მისი ხორცი;—
მამამ ის მოჰკლა.

მეოთხე:—თქვე ლაწირაკებო, რა დროის სიმღერაა? აქ სიმშილით კუჭი მეწვის!

კოტე:— შენ თუ არა ჰღერი, შენმა მზემ. ამ წუთში გაძღები აი.. ბიჭებო, ვიმღეროთ:

უ პაპა ბილა სობაკა,
ონ ევო ლუბილ
ია სელა ფუნტ მიასა
ონ ევო უბილ...

(ამასობაში წყალი სავსებით შეწყდება).

პირველი:— ვაიმე, ბიჭებო, წყალი აღარაა... რა უყოთ ამ საპონს?..

მესამე;—რავა არაა,კაცო. ხომ არ გაგიჟდი... აბა ასე ხომ არ უნდა ვისხდეთ?

პირველი: —რავარიც გინდა ისე და ჯექი ბიძია წყალი კი არაა. (ახალგაზრდეში ერთ საპონწასმულ მუშას ბოჩკას აძლევიან).

მეექვსე:— თქვე მამაძაღლებო, მოიტათ წყალი... თვალები მეწვის... მოვკვდი კაცი. (ყვირის) მიკიტა, მიკიტა, პამაგაი... კოლდუ დავაი... (მიკიტა შემოიტანს ერთ ვედრო ცივ წყალს და მ...ქისი ... თავზე გადაასხამს)

მეექვსე (სიცივისაგან კანკალებს):— ჩტო ტი სდელალ? ხომ მოვკვდი კაცი!

პირველი:—მიკიტა, ზაჩემ ვადი ნეტ?...

მიკიტა:—ვადა სავსემ ნე ბუდეტ. ფარაუნკა სლამალსა...

მეორე:— ვაი შენ დაგექცა ოჯახი, რავაც ჩვენ გვაწვალებ!.. (მუშები გამოდიან და საპონს პარსახოცით იწმენდენ. სიცივისაგან კანკალებენ).

მეექვსე:— ვაი დედავ რა შვილი გიკვდები! რაღა ღმერთი გამიწყრება და აქეთკენ კიდევ გამევიხედავ...

მიკიტა:—ჩტო ვი დურაკა ვალაიტე, უხადიტე სკარეი ატსუდა...

მეექვსე:— აი, დაგენგრა შენ ოჯახი... უხადიტე— არა ბიჭო და აქ დაგიდგები, აი! შენი ცქერა გამათბობს, შენმა მზემ!.. წავიდეთ, იქნებ ჩემმა დედაკაცმა მაინც გამათბოს...

ხიგი.



— თქვენი ალმასკომის თავმჯდომარე ალმშენებლობას ეწევა თუ არა?
— როგორ არა: ისეთი ორსართულიანი სახლი დაიდგა ეზოში, რომ უკეთესი მთელ თემში არ მოინახება!

# ნარევი

გეოფიზიკურ ობსერვატორიის ოფიციალური ცნობით.

## მზის დაბნელება

დღეს მთელი დღის განმავლობაში ამერიკაში მოხდება მზის დაბნელება, რაც გაგრძელდება საღამომდი, ესე იგი ჩვენში მზის ჩასვლამდი. ალბათ, ეხლა მთელი ამერიკა სიბნელეშია გახვეული; ხოლო ქალაქები კი განათებულია ელექტრონით.

მზის დაბნელება ჩვენშიაც არის მოსალოდნელი. დაიწყება საღამოს 6—7 საათიდან და გაგრძელდება მთელი ღამის განმავლობაში, ესე იგი დილამდი.

ზაჰესი უკვე მზად არის ქალაქისათვის სინათლის მისაწოდებლად.

## ახალი ცვლილება

ობსერვატორიის უკანასკნელი დაკვირვებით და მეცნიერთა გამოკვლევით დადასტურდა, რომ ამ ბოლო თვეებში დღეები თანდათან იზრდებიან ღამის ხარჯზე (ესე იგი ღამე მცირდება, კლებულობს). ეს მოვლენა ჩვეულებრივ მოქალაქეთათვისაც შესამჩნევია. ამ გარემოებამ (დღის გაზრდამ, ღამის შემცირებამ) საგონებელში ჩააგდო მთელი საზოგადოება:

— ვაი თუ დღემ მთლად მოსპოს ღამე! მაშინ ხომ მუდამ მუშაობაში ვიქნებით და დაძინება აღარ შეგვეძლება?!

— ღმერთმა დაიფაროს, რომ მუდამ დღე იყოს, თორემ პაემანზე როგორი წავალ!— მოსთქვამდენ შეყვარებული ქალები.

ჰეე, გიჟია ოხერი! მე ღამე მარჩენს, თორემ დღისით ვის გაუგონია ქურდობა!? ასე რომ, მოხდეს, ხომ სიმშილით მოვკდი!?

— მაშინ ხომ საჭირო აღარ იქნება ზაჰესი და ჩვენც დაგვითხოვენ! — მოსთქვამდენ ზაჰესისა და სხვა ელსადგურების მუშა-მოსამსახურენი..

ერთი სიტყვით, კაცობრიობა სასოწარკვეთილებაში ჩავარდა.

მაგრამ, ბოლოს მეცნიერებმა აღმოაჩინეს, რომ დღე მაისის შემდეგ აღარ მატულობს. ამ აღმოჩენის შემდეგ ხალხმა გული მოიბრუნა და დამშვიდდა.

ობსერვატორია აცხადებს, რომ ეხლანდელმა დღეების ზრდამ საზოგადოებაში პანიკა არ უნდა გამოიწვიოს.

## მიწისძვრა

გეოფიზიკურ ობსერვატორიის სეისმოგრაფებმა გუშინ აღნიშნეს შორეული მიწისძვრა, რომელსაც ადგილი ჰქონდა თბილისის სადგურში მოსკოვიდან ექსპრესის შემოსვლის დროს.

## მოძრაობის შეწყვეტა

დიდი თოვლის გამო ახალციხისა და ახალქალაქს შორის მატარებლების მიმოსვლა დროებით შეწყვეტილია.

## გრიგალი ზღვებზე

სამი დღეა, რაც საშინელი გრიგალი ძძვინვარებს კასპიისა და შავი ზღვებზე. ბათომიდან ბაქოში მიმავალი გემი „გრანდ-ტყუილი“ ყარსის ნავთსადგურიდან ველარ გადის.

ქუთაისიდან გასული გემი „ხვანჭკარა“, რომელსაც ადგილობრივ ქარხნებში დამზადებული მანქანები მიჰქონდა ამერიკაში გასასყიდლად, ხონის პორტში ჩაიძირა და კამეჩების საშუალებით ძლივს ამოათრიეს ნაპირზე.

დაიღუპა რამოდენიმე ვირთხა, რომელნიც მეორე დღეს ზღვამ გამოაგდო ქვიშაზე. დაღუპული ვირთხები გადააგზავნეს გასასყიდად ბათომის ბაქტეროლოგიურ ლაბორატორიაში, რომელსაც მონოპოლია აქვს აღებული ვირთხებზე.

## მოსალოდნელი ამინდი

თბილისი. ზომიერულად თოვს. სიმულიანტივით ხშირ-ხშირად წყდება თოვა. თუ თოვა შეწყდა და მზე გამოვიდა, ხვალ კარგი დარი იქნება. თუ ქარმა ხელი არ შეუშალა. სითბო ბუხართან, რომელშიაც ცეცხლია — 15 გრადუსი, ხოლო, რომელშიაც არ არის — ნოლს ქვემოთ ერთი გრადუსი (ასეთივეა გარედაც).

ქუთაისი. ჯერჯერობით კიდევ თოვს. თუ თოვა არ შეწყდა. მოსალოდნელია კიდევ გათოვდეს. გარეთ და შიგნით თანაბარი ტემპერატურაა. მოსალოდნელია კარგი დარების დაჭერა თუ ამინდმა ხელი შეუწყო.

ბათომი. თოვს და ცა არა სჩანს; ამიტომ შეუძლებელი ხდება გავიგოთ: ცა მოწმენდილია თუ ღრუბლიანი. ქალაქში თოვლი ერთ არშინამდეა. ზღვაზე არა თოვს, რაც სჩანს იქიდან, რომ ზედ თოვლი არ არის.

თუ კარგი დარები დაიჭირა, თოვა შეწყდება. მოსალოდნელია ქარის ამოვარდნა, თუ მაგრად მოიქროლა. რასაც მოჰყვება ზღვის ღელვა, თუ ზღვა არ იქნება დამშვიდებული.

ხაშური. ჩვეულებრივი დარია. მზეს გამოსვლა უნდა, მაგრამ ხელს უშლის ღრუბელი. თოვა რომ შეწყდებოდეს და ცა მოიწმინდებოდეს, კარგი დარი დადგებოდა. მოსალოდნელია ამინდის შეცვლა, თუ კი ცვლილება მოხდა ჰაერის ატმოსფერის წნევაში. თუ სიცივემ დაიკლო, სითბო მოიმატებს.

ბორჯომი. თუ თოვა შეწყდა და მზე გამოვიდა, სითბო მოიმატებს. გარეთ სამი გრადუსი სიცივეა; შიგნით —5 გრადუსი.

ლევარსი.



— არა გცხვენია საყდარში დადიხარ და ლოცულობ?
— არა ღმერთმანი, არა ვყოფილვარ!
— ნუ სტყუი; შენ უკან მე ვიდექი ეკლესიაში!

## ლეღვან—მარელისი

შორაპნის სატყეო სურვილითა გნახეო...
უვარგისნი მსახურნი შენში ბევრი ვნახეო.
მიკვირს — დღემდე ისინი როგორ შეინახეო.
ხე-ტყის საქმეა ეღუპება იმათ მიერ მახეო.
შეხე — თითონ გამგესა როგორი აქვს სახეო!
გადამალე იმისი და წარსული ნახეო.
სახლში გზავნის დარაჯებს — მიმიხედეთ სკასაო.
როცა მორჩეთ ერთ საქმეს, — ხელი ჰკიდეთ სხვასაო.
ვერავინ ვერ გააგონებს საყვედურის ხმასაო,
რადგან „ხარსა კამეჩი არ შეარჩენს რქასაო".
ყურადღებას არ აქცევს შორეულ ტყე-მთასაო...
ამბობს: — როგორ წავიდე, ვერ გავიკლევ გზასაო...

—:—

იკაფება ტყეები... და წყლის სათრთხე დიდია,
და არსად არ დარჩება მდინარეზე ხიდია...
(მაგრამ გამგეს ეს საქმე ფეხებზე არ ჰკიდია)!

„შეშინებული".

## ავდრიან ამინდში

ვაქებ თემსა კულაშისას
სახელ-განთქმულს თავის გზებით,
რომელთაც ჯერ ვერ ვაკეთებთ,
ალბად, რაღაც მოსაზრებით.
მგონი პირველად განვიხილო
მეურნეები განაპირა.
თუ გაზიშვა წყალ-ტალახმა
და ორსართულში არ ჩამძირა.
აქ არსად სჩანს წყალ დამწრეტი,
აღარც არხი, აღარც კალო;
დგება წყალი სანაოსნო.
ალაგ აქვს წასავალი.
თუ კი ვინმე გაბრიაოს და
აქეთკენ სვლა მოასურვა,—
ვერ წამოვა, თუ არ იცის
მორიე წყალში კარგი ცურვა:
აქ თავს კაცი არ იწუხებს
ტალახისგან ფეხის ფხეკით...

—ცურავს ბატი, ცურავს ღორი,
გარბის ხარი კუდ-აზიდით.
ვინც აქ ურმით, ან სხვა ეტლით
მოასვლას განიზრახავს,—
სახლში ჩუმად დაიკვეხოს,
რაც სიამეს იგი ნახავს.
ვერც უბნებს რომ მოვიარო,
სადმე მინდა ენახო რამე,
თუ გავშორდი „საგურეს".
და გზაში არ დავალამე.
ცენტრში ჩავალ და რას ვხედავ:
რა ფაფაა?!— რა ქაფია?!
(რად ვერ მიხვდი ჩემო თავო,
ეს კულაშის „თავსლაფია"!)
როცა აქეთ მოგზაურობ,
ფრთხილად ყოფნა გმართებს სრული;
დაგესვრება კუდის რიკიც,
თუ არა გაქვს დამალული.

ჩვენი გზების გაფუჭებას
მე ვაბრალებ მხოლოდ იმას,—
ვინც ზეციდან მიწისაკენ
უხვად გზავნის თოვლს და წვიმას
ის თუ არა, ჩვენ ამდენხანს
გზები კარგი გვექნებოდა,
რადგან წყალი უწვიმობით
ქვაბშიც კი დაშრებოდა.
ასეთ გზების შეკეთებას,
მეგონია, ეს სჯობს ბევრად, —
მივაკითხოთ ავიოქიმს
ჩავეწეროთ ყველა წევრად.
იქნებ ამით ავიშოროთ
ჩვენ ეს დიდი განსაცდელი;
(თუ შევიძენთ ჰაეროპლანს,
რა გვექნება სადარდელი?)
სხვებს თუ არ სურს, ნუ შეიძენს
არავის არ ვაიძულებ.
მე კი მსურს და ამ ჩემს წადილს
მოკლე ხანში შევასრულებ.
თუმცა ჩვენში ჰაეროპლანს
აფასებენ ძლიერ ძვირად,
შევიყიდი მაინც,, თუნდაც
დამჯდეს ერთ თვის ჯამაგირად.

ღარიბი.

## დიდი-ჯიხაიში

ორშაბათია საღამო...
გიორგი ზეზე დგება,—
და ნოეს „ტრაქტირს" კარებზე
თამამათ მიადგება.
მიანგარიში „წინ"-ისა
ოთახში ელოდება...
„ძმა-ბიჭნი" იკრიბებიან,
ქეიფი გაჩაღდება.
ჭიქებს ჭიქებზე დაცლიან,
შიგ წვეთი აღარ რჩება.
—ვინც გმირი არის ჩვენს შორის
დავლიოთ, გამოჩნდება!—
—ნოე, „ნერადი" დაუკარ,
ტკბილი ხმა გვიამება...
გიორგი დგება მარდათა,
ამ, ცეკვა მოუნდება.
ბრტყათ, მოხდენით უვლის წრეს,
ფეხია თითებზე დგება....
ვასოც გადადის საცეკვათ,
თან შურით აივსება...
ფეხზე ფეხს გაკრავს „დათვუ-
რათ",
გიორგი წაიქცევა,—
ფეხი მოტყდება წვივშია
და ზეზე ველარ დგება...

—:—

დრო გადის... სამკურნალოში
გიორგი აღარ ჩნდება...
საბრალო მოწაფეები
„კარ" ელოდება.
მშობლებთან ერთად მოთქვამენ:
—რა ვქნათ, რა გვეშველება.
ვასო კი სულაც არ დარდობს—
აბა რა ენაღვლება!..

ციხო.

# „ლოღიკა“



მუშტარი: — კილო ფქვილი ხუთმეტი შაური, — რა ამბავია, როცა გამომცხვარი პური გირვანქა ცხრა კაპიკი ღირს.

მეწისქვილე: — ვა, შე დალოცვილო, გამოცხობის და შეშის არაფერს ანგარიშობ?!

# „პაპაშას კლუბში“

## სუფსა

სცენა წარმოადგენს მოზრდილ ოთახს ყავახანაში, სადაც არის: ნარდები, ბანქოები და სხვადასხვა სათამაშოები.

ანტონი:—შვილო რაშია საქმე? რატომ დაიგვიანეს თუ იცი?

რიზა:—არა, ჯერ არ არის გვიანი; ხომ იცი—წუხელის ორის ნახევარი იყო, როცა წავიდნენ, და ალბათ, ძილი არ ეყოთ.

ანტონი (გულის ტკენით)—: ეჰ, შვილო, შტატნებიც რომ იგვიანებენ, ახალი წევრები რაღას იზამენ!? (შემოდის ილიკო).

ილიკო:—გამარჯობა, ამხანაგებო.. ამხანაგო, ყავეჯი, რაზედ ლაპარაკობდი ასე აღელვებული?

ანტონი:—რაზედ, შვილო, და ამ ბოლო დროს გულგრილობას იჩენთ და ეს არვარგა. ამას გარდა, ბევრი თქვენგანი საბჭოთა მუშაკების კლუბებშიც დადის თურმე, რის ნებაც არ გაქვთ ჩვენს წევრებს.

რიზა:—მერმე, ილიკოსთან რა გინდა? ეს კაცი მუდამ აქ არის; სადილსაც აქ უზიდავენ სახლიდან!

ილიკო: — ამხანაგებო, ყავეჯი, დღევანდელ კრებაზე უნდა იქნას წაკითხული სია ჩვენი აქტიური წევრებისა (შემოდიან სხვები).

რიზა:—ამხანაგებო, სუფსის რაიონის ყავახანის წევრთა კრება გახსნილია... დაასახელეთ თავმჯდომარე.

ყველანი (ერთად):—ნიკა ევგენიძე,.. ნიკა ევგენიძე.

რიზა:—ამხანაგო ნიკა, დაიკავეთ ადგილი.

ნიკა:—ამხანაგებო, გთხოვთ სიწყნარეს და დღის წესრიგს გაგაცნობთ პაპაშა ანტონი.

ანტონი:—შვილებო, თქვენ იცით ჩვენი დაწესებულების დაარსების და მისი განვითარების ისტორია, ისიც იცით, თუ რამდენი მტერი ჰყავს ამ ჩვენს დაწესებულებას. ამისათვის საჭიროა გამოიჩინოთ აქტივობა. თქვენ მიერ არჩეულმა საკონტროლო კომისიამ, ჩვენი წევრები გაჰყო ორ ნაწილათ, მისი აქტივობის მიხედვით... გთხოვთ სიწყნარეს და, კომისიის მდივანი, ამხ. სერგო ჰყონია წაიკითხავს სიას.

სერგო (კითხულობს სიას):— ევგენიძე ნიკა, თავართქილაძე ჯანსუხი, კომახიძე კირილე, ქლენტი ვალიკო, ზენაიშვილი გიორგი, ესაძე ილიკო, ტულუში ანთიმოს, სარიშვილი გიორგი, სარიშვილი იასონ, ქლენტი ირაკლი, მოქია გრიგოლ, თავაძე ალი, მასხულია ვარლამ, სირაძე ლადიკო და თქვენი მონა-მორჩილი — სერგო ჰყონია.

თავმჯდომარე:— ამხანაგებო, სიტყვა ეკუთვნის ამხ. ნესტორ გვასალიას.

ნესტორი:—ამხანაგებო, თქვენ კარგათ იცით, საერთოდ რკინისგზელების პირობები და მეც ამის მიხედვით მინდა თქვენთან ვიყვე, როცა კი ამ ოხერ სამსახურს მოვრჩები... გთხოვთ მიმიღოთ.

თავ-რე:—ნესტორ, თქვენ განცხადებას განიხილავს პრეზიდიუმი.

თავ-რე:—ამხანაგებო, კრება დახურულია; შეგიძლიათ ითამაშოთ.

კირილე:—აბა, ვის გინდა სამში კონჩინა?

ნიკა:—ყავეჯი, გეთუერ სამეცკი პაპიროსი.

სევერიან:—კარაპეტავ, ერთ პერიოდს მოვცემ და მეთამაშე.

კიკილა:—სულ არ იცის თამაში ამ ბიჭმა! რა დროს მისცა კაი ორიანი?!

(ისმის დედის გინება და სხვა ასეთი „ზრდილობიანი“ სიტყვები. დამის ორი საათია).

ხოკო კვერცხი.

# გურული სცენა

ჩემბერლენსავით თლა იხტიბარ გატეხილი და უნამუსო არ ყოფილა აი ღმერთი!? ზამთარი გავათოხარიკე მეგონა... თურმე ახლა იწყებს ახალი სტილით... ახლა დეიწყო თოვნა ჩემ ჯინზე, და არ დაადგა საშველი და სახიდებელი... რაფერი ყინვებია ახლა ამას აღარ მკითხავ? დვაინოი სტეკლო ვერ უძლებს... მოწყობილი რომ ვერ დავხთი ამ ზამთარს, აია ჩემი სატირალი.

საბანი რომ მქონდეს თელი, ყორიფელს გუუძლებდი კიდო. მარა, ისეია დაბლენილი რომე ვინცხას ეშმაკის ნათამაში ეგონება.... კაი კაძახობა გინდა დილას—ქალი და ბალანაი რომ გამოხსნა საბნიდან, ზოგი ფეხითაა გაბმული შით და ზოგი თავით. წუხელისაც ასე დამემართა:... დავწევი. მარა რა გაგათფობს! იალონის მოსვლამდი ერთი სული მაქ. რავარც იქნი მივიტანე სული იალონამდი. ავდექი და მივაშურე მეზობლის ლობეს. მოვარღვიე ერთი კლავი ნალობარაი და „მუაფშუკუნე“ ცეცხლი. ჩემი ცოლიც ადგა. მარა რომ არ ამდგარიყო, ქე იყო უკეთესი ჩემდა. სულის მოთქმა და პაწაი მოსულიერება არ მაცალა. გაღმიდან დამიჯდა და დაიწყო მისი გაუთავებელი წილადობილაი: — შენ ხელში რომ ჩამოუარდი, მერე ტანი არ მღირსებია და ფეხი, გარება და გამორება, გემოიანი ცხოვრება არ მინახავს. აი ერთი ცეხლის დასაბრაწავი კაბა მქონდა და აიც ქი დავხიე დაბლა ნაწიწავი. წინ ვიფარებ, სირცხვილი არ ვქამო და არ მევიჯაყო. ახლა რას ფიქრობ, ტანზე აფერი არ მინდა თუ იცი?!

— ოჯო, რა ვქნა?!

— რა ქნა და, პაწაი გუუქანე და ისე ქენი, როვაც სხვაი შობა. სანამდი უნდა ვიყო ასე?

ტუტილაი მიჩითდი: შემატანიე კომპერატიაში საწევრო და მერე აფერი არ გვიჭირს— წევრი ვიქნებით!

— მე ჩემი ვალი შევასრულე; წევრი გავხდი, მარა თუ მევიდა რამე ჩვენი ნოქარი წევრს და უწევროს არ არჩევს:

— წევრი და უწევრო გავარჩიოთ კი არა, ანგარიში ვერ გუუკლიე თავი და ბოლო.

მეტი რა გზაი მქონდა... ავდექი და გაუდექი გზას... ვაი ჩემ დღეს უბედურს! ქალმა თუ დაგიჯაბნია და შეგაკუგა კეხი, მერე ნუღარ ელი სიკეთეს! შინაური რომ არ დეინახავს და არ დაგიჯერებს შენ გაჭირვებას, —სხვაი რუიზა დეიჯერებს!!!! ნეტამაინც მე მეცვას რამე ტანზე და მას არ ვაცუმდე! მაშინ იტყოდა კაცი რამეს კიდო. მე ისეი ვარ ჩაბღლენილი რომ, ვინცხა რომ შემხვდეს გზაზე, ტყიდან გამოვარდნილი „ქაჯი“ ვეგონები.

„ეშმაკის ფეხი“.

# ო რ ნ ი



# მ ო ჭ ა დ რ ა კ ე

შემჩნეულია, რომ ზოგიერთ დაწესებულებაში სამსახურის დროს თამაშობენ ჭადრაკს. ასეთი მოვლენების წინააღმდეგ საჭიროა ზომების მიღება. (გაზეთებიდან)

დავივიწყე ნარდირობა, რაც გადამხდა ხათაბალა...
მაგრამ იმას ვილა ჩივის, ეხლა გავხდი მაჩანჩალა,
თითო რამე არ დამაკლდა, ჩემზე მოდგა ყველაფერი,
ვინც „შახმატი“ მოიგონა, მას დაექცეს თავზე ჭერი!
დამიჟინეს: — კაცო, პეტრე, შენ გაგიწყრეს ღმერთი, ხატი;
გაერიე მასიაში, შენც ისწავლე ეს შახმატი.
იცი? კარგი მოთამაშე „პრიზებს“ იღებს და მდიდრდება...
შენც რას კარგავ? იმის სწავლასცირდი ჯაფა არ სჭირდება.
გავგიჟდი და ამ ფერხულში მეც ჩავები, დავკეწაფე,
დავიწყე და შევეჩვიე, დავხელოვნდი, გავიწაფე,
როგორიც ერთხელ ნარდირობა, ისიც ისე შევიყვარე;
არ გამაჩნდა დღე და ღამე, დავივიწყე მზე და მთვარე.
სამსახურსაც უდრო-უდროდ აუშვებდი, ვთამაშობდი;
რა მეგონა?! თითქო კიდეც მე ჭკვით ვამაყობდი.
გამიტაცა ამ ოხერმა მე ტუტუცი, დოყლაპია,
და ეხლა კი უადგილოდ დავყიალებ წია-წია!

ნაპერწკალი.

# ს ი ლ ნ ა ლ ი

ჩემო ქამანჩავ ერთგულო,
მუდამჟამს ნატვრის თვალო, —
ნუ გეშინიან დაუკარ,
დროებამ დაგვავალო...
პირის-პირ უნდა ვეკვეთოთ,
თუნდ იყოს ხათაბალაო;
რა ამბავია, რომ ჩვენში
გაქრა ყოველი ქალაო.
სცენისთვის ერთი არ არის,
რა ქირმა დაგვიმალაო, —
ისე კი ფეხს ვერ აუქცევს,
მოსულან ვითა ჭალაო.
დაუკარ სტვირო დაუკარ,
ენახოთ ექიმი ჩვენია;
დაზღვეულები რითი სძულს,
რა ჭირი გამოსჩენია?!
იქნებ იმიტომ, რომ მათგან,
სახარჯო არა შთენია!
ქალებს ეცემა საჩუქრით,
თუ კაცის განაწყენია....
აფსუს! უმაღლეს სწავლულო,
„დიპლომის“ არა გცხვენია?
სილნალის ჯანმრთელობასა,
„ქანაპარ“ განუსვენია, —
თორემ აქამდე კუტლაძეს
თბილად რად მოუსვენია!?.

ცხრაკბილა.

# ცნობათა მიღება

წრუმწუპს (ოზურგეთი): ფოსტალიონს ნუ უსაყვედურებით; თქვენს წერილებს კი ვღებულობთ, მაგრამ არ ვბეჭდავთ. მასე ადვილი რომ იყოს „ტარტაროზი"-ს თანამშრომლობა, მაშინ რა უჭირდა.

კვანტს. (დიდი-ჯიხაიში) — ჩვენ ვერ გავიზიარებთ თქვენს მსოფლმხედველობას: „არც მწვადი დაიწვას და არც შამფური", რომ ამით დავიმსახუროთ „კარგი პოვრის სახელი".

თუ კი თქვენს კოოპერატივში სამგლოვიარო შავი ბლომად იშოვება (როგორც ამას თქვენ იწერებით), რა გიშავდათ თქვენი ეს „შიშველი ფაქტები" შავში მაინც შეგეხვიათ და მით დაეფარა თავისი (კოოპერატივის) „სასირცხვილო ადგილები და სიმახინჯე"! გარდა ამისა თქვენს „შიშველ ფაქტებს" შავი ძალიან მოუხდებოდა, რადგან ისინი (ფაქტები) უფსკერო გოდორში მოთავსებისა გამო დაგლოვიარებული არიან და ტრაურში იმყოფებიან. ყველა ამის შემდეგ „დიდი-ჯიხაიშში ყველაფერი ჩინებულივით აწყობილი რომ არ იყოს", — არ არის გასაკვირი.

„ცნობათა მიღება"-ში იმიტომ არ გიპასუხეთ, რომ ერთგვარი „პატივი გეცით"... მაგრამ რაკი თქვენს ეს გწყინათ, — გიპასუხებთ: — თქვენი „კარდინალური საკითხები" ისე რთული გადასაჭრელი დარჩენ, რომ ისინი უფსკერო გოდორს გადავეცით განსახილველად.

ყველა ამის შემდეგ, ვფიქრობთ, ჩვენს შორის გაუგებრობა ამოწურულია... მაშასადამე: ჩვენს შორის „შავი" ჩამოვარდნილია.

ვლადიკოს (ახალ-ციხე): — აკი იყო ამის შესახებ? სხვა რამეზე მოგვწერეთ. მასალა ადგილობრივ ცხოვრებიდან უნდა იყოს. სტრიქონები უფრო შორი-შორის დასწერეთ, რომ გასწორების დროს შეიძლებოდეს შიგ სტრიქონების ჩამატება.

გუტ-მორგენს (ფოთი): — ასეთ თოვლსა და სიცივეში თუ:

ერთს საღამოს ათ საათზე
ფიდო ბაღში სეირნობდა;
(მის პირდაპირ შენობაში
მემანქანე მუშაობდა...).

რას ერჩით მას! პირიქით, შექების ღირსია ასეთი თავგანწირვისათვის.

ვიას! თქვენ — ფეხლოებს გიკვირთ, როცა ხედავთ ასეთ შეყვარებულს, რომელიც:

ბაღში მუხლამდი თოვლში
აძაგძაგებდა იმას...
უძლებდა სატრფოსათვის
თოვლჭყაპს. ქარსა და წვიმას.

თქვენ კი გამოსულხართ და დასცინით მას!

ვანოს: — კაცმა ასეთი შარადა დასწეროს და ისიც ხუცესზე. — პირდაპირ საკვირველებაა... თუ საქმე არა გაქვთ, მახათით შეიკერეთ თავი.

**მკითხველს: უფასოა.**

ალ. ნათიძეს (გალი. აფხაზეთი): — მასალა უნდა შეეხებოდეს ადგილობრივ ცხოვრებას. წერილი სხვა კილოზე უნდა იყოს დაწერილი.

ჰკუამახვილას (ჭალა): — ილიკოზე სწერთ:

საბრალო ჩემი ფეხი
ჩემი თავის გადამკიდე,
როგორც „მეშოკს" დამატარებს
და მაინც იმდენად ვღირდე....

ეჰ! რას იზამ!.. მარტო ილიკოს როდის სჭირს ასეთი უბედურება!.. კოლეგას არ უნდა დასცინოთ...

თაკარას (სუფსას): — ჩვენის აზრით თქვენაც იმ ამბავს ეხებით, რომელიც დღევანდელ ნომერში იბეჭდება (იხილეთ სოკო კვერცხის — „პაპაშას კლუბი"). ვნახოთ; თუ იმ წერილმა ვერ უშველა საქმეს, შემდეგ ეგეც „მივარტყათ".

ჩხიკვჯიკველს (ხვარებთი. გურია): — ბედაური ბოლოსა, — თქვენც ასე იქცევით... ჯერ გლეხკომის სასადილოზე სწერთ:

გლეხკომის სასადილოში
არის: ბოთლების ფრიალი
და მუდამ აყალ-მაყალი,
ბებუთ-ხანჯალის ფრიალი...

აი ასეთ ხმაურობაში. თურმე, მაინც გახაგრძობენ ძილს ალმასკომი და თემკომი... ჩვენ არ შეგვეძლოო! ალბათ სალათას ძილით არიან შეპყრობილნი და მინამ არ გაივლის. — მათი გაღვიძება შეუძლებელია.

ალმასკომის თავმჯდომარეს
სძინავს და გთხოვ გააღვიძო...

კი მაგრამ... ეგებ ახლად დაძინებულია და ტყუილათ კაცს გამოღვიძება! ანდა რა უნდა ჰქნას ასეთ ამინდებში! დაიძინოს, მოისვენოს და როცა გაზაფხულზე კარგი ამინდები დაიწყება, — მაშინ უყურეთ რა საქმე გააკეთოს... (დაპირებას შეასრულებს).

ურას (ქუთაისი): ტყუილათ გგონიათ, რომ თქვენი წერილი გამოასწორებს ნაკლს; მაგრამ რაკი დარწმუნებული ხართ ამაში, ჰა ვათავსებთ:

კლუბის დარაჯი კოლია
მეტად ზარმაცი გვყოლია.
თვითონ რომ საქმეს ვერ უდის.
დამხმარე ვილაც ჰყოლია.

კოოპერატივის სასადილომ იკითხოს, თორემ თქვენ რა გენაღვლებათ თუ:

რაკი დასრულდა ქეიფი,—
დაჰკივლეს: „მოუ ლალეო".
ნახარჯი ჩვენზე დარჩება,
უთუოდ მოგცემთ ხვალეო...
დღეები რბიან... ნახარჯი
იქ დავთარს ჩაჰკონებია.
და დღემდე იმის გადახდა
არც ერთს არ მოჰგონებია

(ნეტამ გულმავიწყობა იცის!)

ხმას (ლელევან-მარელისი): — კაცო, სხვას რას დასცინი!? ლექსის წერაში თქვენაც ისეთი „სპეცი" ყოფილხართ, როგორც კოლია ბალოსნობაში. აი, ნიმუშიც:

ლელევანს მოაწყო სოფელი
„დეკორატივნი" ბაღებით.
მგონი ასეთი „ბაღ-სპეცი".
არ უნდა იყოს მის მეტი.

ჩიმ-ჩაირას (სოფ. სარგვეში. შორაპნის მაზრა): — ასე სწერთ მასწავლებელზე:

სკოლის ჯავრი არა აქვს
და არ იტკენს თავებს...

რატომ არ იწერებით, თუ რამდენია ეს „თავები"? მართლაც საკვირველია: კაცს „თავები" ჰქონია და სტკიოლის მაინც:

გაუჩნდა ცეცხლი ძლიერი,
დაიწვა, მა რას იზამდა...
ეს მოხდა ახალ წელიწადს,
სკოლაში რომ ქეიფობდენ...

რას ერჩით მასწავლებლებს! ეს, ალბა[illegible] განათლების მიზნით ჰქნეს. ხანძარი გაანათებდა სოფელს. განათლება და განათება ერთმანეთს ჰგავნან, ხოლო ერთი ასოთი „ლ" არის მათ შორის განსხვავება და განა ასე უბრალო განსხვავებაზე ღირს ლაპარაკი?!

გარეშეს (ქუთაისი): — თუ სურათს გამოგვიგზავნით, სიამოვნებით მოვათავსებთ და ამ წარწერასაც მიუწერთ ქვეშ:

ქუთაისის ალმასკომის სტატისტ.-ეკონ. განყოფილების გამგე — იპოლიტე ქობალავა: — ნეტავი საუკეთესო ბიუროკრატზე გამოაცხადებდენ კონკურსს! აუცილებლად ჯილდო მე შემხვდება!

# —აპრილისათვის—

## ხელის მოწერა უკვე დაიწყო

## გაზ. „მუშა“ და ჟურ. „ტარტაროზზე“

## აპრილში გამოვა „ტარტაროზი“-ს

# ══ხუთი ნომერი══




— რა გახარხარებს? ვერა ხედავ წარწერას, რომ სამკითხველოში სიცილი და ხმაურობა აკრძალულია?!
— ვა, „ტარტაროზი“ წავიკითხო და არ გავიცინო!?

ტფილისში ხელისმოწერა მიიღება გაზ. „მუშა“-ს მთავარ კანტორაში, ჯორჯიაშვილის ქ. № 6. სხვა ქალაქებსა და დაბებში—მთავარკანტორის განყოფილებაში და რწმუნებულებთან

**გამოიწერეთ „მუშა“ და „ტარტაროზი“**

## ფასი ოთხი აბაზი

ხელი აიღე ჩვენგანა,
მე წყეულო მარტის თვეო...
ვით ნაგავი თორმეტ თვიდან,
არჩეულო მარტის თვეო...
ჰაზირა.

გაქიანურდა ზამთარი.—
ეს უსირცხვილო ქალარა.
მარტი თავდება, და იგი
ალარა მიდის, ალარა.
ამ დროს, შარშან და უწინ
ისმოდა ბუკი-ნაღარა.
ამდენი ხნითა სევდამა
გული დასჭრა და დაღარა;

—:—

მაგრამ.... ახლოა აპრილი,
მოდის ის ნათელ-გზიანი.
მოდის და მოაქვს უხვადა
დღეები მხურვალ-მზიანი.
ერთს გადავვიხდის თრათა,
რაც მარტმა მოგვცა ზიანი:
ვერრას დააკლებს მას მარტი
თავხედი და ბრაზიანი.

—:—

ჰა. უკვე კვდება და მიდის,
ძალღონე გამოელია...
თოვლის დაფლეთილ თეთრეულს
(ხომ ხედავთ მიწა ჭრელია?
იქა-აქ ურანს მას „ხორცი“...)
გადიძრობს მინდორ-ველია...
მზად უნდა დახვდეს გაზაფხულს
ნამდვილი ვინც მკითხველია.

—:—

ჰე, რას სჯობია „ტარტაროზს“,
რომ გაზაფხულის პირია?!
სადაც არ უნდა წახვიდე,
იგი ყოველთვის გჭირია.
კარგსა და ავსა ყოფაში
იგი ერთგული გზირია.
ის ხელში უნდა გეჭიროს,
რომ გაგექარვოს ჭირია..
რა უნდა ამას ამდენი?
იგი არც ისე ძვირია!
სუყველა შესძლებს მის ყიდვას
აქვს თუ არ—ჯამაგირია.
ამისთვის არც ღირს, რომ კაცმა
ჩამოუშვას ცხვირია.
ოთხი აბაზის გაღება
არც ისე გასაკვირია.

—:—

აპრილში ხუთი კვირაა.—
და „ტარტაროზი“-ც ხუთია.
მის გამოწერას არ უნდა
ყოყმანი რაი ფუთია.
საქმარისია თამამათ.
ერთი წამი თუ წუთია;
ჯიბეზე ხელი გაიკარ,
ან და გაალე ყუთია...
ამოამშრალე მანეთი
(არ მისცემთ ჯიბეს ზიანსა!).
მანეთში ხურდას მიიღებთ
თქვენ ვერცხლის აბაზიანსა.
დროულათ გამოწერა სჯობს
გამოწერასა გვიანსა...
„ტარტაროზი“-თ ვცნობთ ყოველს
კაცს დარბაისელს, ჭკვიანსა.

პოლიგრაფტრესტის მე-ა-ე სტამბა.კამოს ქ. № 08

კვირა. 1 აპრილი 1928 წ. № 146 წლიწადი მეხუთე ფასი 15 კაპ.

# ტარტაროზი



ახალი განცხადება (ძველს): ფუი, რასა ჰგავს!? რა საშინელებაა!?

ძველი განცხადება: ეჰ, ჩემო კარგო, პირველათ მეც შენსავით მშვენიერი ვიყავი, მაგრამ ეხლა აქედან ასეთი მივდივარ... შენც ჩემი ბედი მოგელის: შენს თავს ხელიდან ხელში ერთმანეთს მიუგდებენ, გათრევენ, გაჩანჩალებენ, გაგცვეთენ, დაგასნეულებენ და ბოლოს ჩემსავით სადმე სანაგვეში მიგადებენ!

# კონკურსი

## „საუკეთესო სექცია"

ის ორი სექცია, რომელზედაც არის, ანუ იქნება, ან შეიძლება დარჩეს ლაპარაკი, მუშაობდა ერთ მაზრაში. მაზრის სახელწოდება, გეოგრაფიული მდებარეობა და მისი მეურნეობის განვითარების მდგომარეობა იმდენათ არ არის ჩვენთვის საინტერესო. საკმარისია მოვიგონოთ, რომ ამ მაზრაში მუშაობდა ორი სექცია (იგულისხმება თემის საბჭოს სექციები).

ასეა თუ ისე, ეს ორი სექცია მუშაობდა. ცხადია, ორივე სექციის დანიშნულება იყო ხელის შეეწყოთ სოფლის მშენებლობისათვის.

რაღა დაგიმალოთ, ერთი იყო განათლების, მეორე—ჯანმრთელობის სექცია.

ორივე სექციის მუშაობა იმდენათ გაღრმავდა, რომ მათ სხდომაც კი მოიწვიეს და ბოლოს საკითხების გარჩევასაც შეუდგენ.

განათლების სექციის წინაშე ერთ დღეს (გამოურკვეველია, ეს დღე მშვენიერი იყო თუ უმშვენიერო) დაისვა საკითხი ადგილობრივ სკოლის შეკეთების შესახებ. სექციამ დაადგინა სკოლის შეკეთება და ორიოდე დღის შემდეგ მუშაობასაც შეუდგა.

ჯანმრთელობის სექციამაც ბევრი არ აცადინა. მანაც მექანიკურად წამოიჭრა საკითხი საექიმო პუნქტის დაარსების ირგვლივ.

ჯანმრთელობის სექციამ ბევრი იმსჯელა და ბოლოს გამოიტანა შემდეგი რეზოლიუცია:

„მშრომელთა ჯანმრთელობის საქმე ჯანმრთელობის ორგანოების საქმეა. ეს ფაქტი ხაკმაო სიცხადით აღნიშნა ჩვენი სექციის ბიუროს კომისიის მიერ გამოყოფილ ქვეკომისიის სხდომამ, რაც აღნიშნულია ქვე-კომისიის სხდომის ოქმის მე-18 გვერდზე. ამიტომ ჩვენი ვალია ვიზრუნოთ ჯანმრთელობის საქმეზე, რადგანაც ჩვენ ვართ ამ სოფლის ხაზეინი.

დირექტიულ წერილებში ჩვენ საკმაო სიცხადით გავიგეთ, რომ სოფლად განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ჯანმრთელობის დაცვას, რადგანაც ჯანმრთელობის გარეშე შეუძლებელია კარგათ ყოფნა.

საბჭოთა კავშირის (საერთოდ), ამიერ - კავკასიის (ზოგადათ) და საქართველოს (კერძოთ), შინაური და საერთაშორისო მდგომარეობა გვიკარნახებს ფხიზლათ ვადევნოთ თვალყური ჯანმრთელობის საქმის გაუმჯობესებას, რადგანაც არა-ჯანმრთელი ადამიანი იგივეა (თითქმის), რაც ავადმყოფი, რომელიც ვერ შესძლებს პერმამენტულ რევოლიუციის გაღრმავებას. ამ თვალსაზრისით ჩვენ აუცილებელ საჭიროდ ვთვლით ჩვენ სოფელ მოსკანეთში საექიმო პუნქტის ორგანიზაციას.

ვინაიდნ სოციალისტური სექტორის გაფართოება მოითხოვს მუშათა და გლეხთა ჯან-ღონის დაჭიმვას, ეს უკანასკნელ კი (იგულისხმება ჯან-ღონე), შეუძლებელია ხაექიმო დაწესებულებათა ქსელის მოწყობის გარეშე, ამიტომ ჩვენმა სექციამ აუცილებელ საჭიროდ უნდა სცნოს საექიმო პუნქტის ორგანიზაცია, რადგანაც საექიმო პუნქტი უნდა შევიდეს იმ საექიმო დაწესებულებათა ქსელში, ურომლისოდაც შეუძლებელია ჯანმრთელობის დაცვა, ჯან-ღონის შეძენა და სოციალისტურ სექტორის გაფართოება, რომელიც არის სამკურნალო ქსელის გაფართოების შედეგი და რომელშიაც (ქსელში) ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილად შედის ჩვენში გასახსნელი საექიმო პუნქტი, რომელიც (პუნქტი) აუცილებელია სამკურნალო ქსელის გასაფართოებლათ, რადგანაც ვიმეორებთ, ჯანმრთელობის გარეშე უაზრობაა კარგად ყოფნაზე ფიქრი და კარგად ყოფნა კი, როგორც ცნობილია, არის სამკურნალო ქსელის შედეგი, რომლის ორგანიული ნაწილი იქნება ჩვენში გასახსნელი საექიმო პუნქტი".

ასეთი იყო იმ რეზოლუციის შესავალი, რომელიც ჯანმრთელობის სექციამ გამოიტანა საექიმო პუნქტის მოწყობის შესახებ.

საერთოდ, რეზოლიუციის შედგენას და მის საბოლოო რედაქციას მოუნდა სამი თვე.

რას აკეთებდა ამ ხნის განმავლობაში განათლების სექცია?

არსებითად არაფერს. მაშინ, როცა ჯანმრთელობის სექციის თვითეული წევრი ოფლში იწურებოდა რეზოლუციის შედგენაზე, — განათლების სექციის წევრები არხეინად ისხდენ სახლში და მხოლოდ დროგამოშვებით იწვევდენ სხდომებს. განათლების სექციის სიზარმაცე იქამდე მივიდა, რომ მან სავსებით დაანება თავი რეზოლიუციების წერას.

ერთად-ერთი საქმე (თუ კი ეს საქმედ ჩაითვლება)— ეს იყო, რომ განათლების სექციის თაოსნობით შეკეთდა ორიოდე სკოლა, გაიხსნა ერთი სასოფლო-სამეურნეო სკოლა და დაარსდა ქოხ-სამკითხველო. ეს იყო და ეს. მართალია, რადიო-სადგურიც მოაწყო ამ სექციამ, მაგრამ რა უყოთ მერე, რადიო-სადგურები ახლა ყველგან ეწყობა.

მთავარი მოვალეობა შეუსრულებელი დარჩა განათლების სექციას: მას არც ერთი რეზოლიუციაც არ დაუწერია.

ჯანმრთელობის სექციამ კი სულ რაღაც 9 თვის განმავლობაში 27 რეზოლიუცია გამოიტანა, რაზედაც დაიხარჯა სამი კვარტი მელანი, 17 ოზმა ქაღალდი, გატყდა 19 სამელნე ბოთლი და რამოდენიმე ათი ცალი ფანქარი. ამას გარდა, სექციის მდივანს გაუჩნდა მეტეტი ბევრი წერის გამო.

გარდა ამისა, ჯანმრთელობის სექციის წევრთა 90 პროცენტს გაუცვდა შალვარი სხდომებზე ჯდომით და 70 პროცენტს გაუჩნდა ბუასილი იმავე მიზეზის (ჯდომის) გამო.

მართალია, სექციის დადგენილებები ცხოვრებაში არ გატარებულა, მაგრამ ხომ იცით ობიექტურ მიზეზების ამბავი?

ამჟამად ორივე სექცია მონაწილეობს იმ კონკურსში, რომელიც გამოცხადებულია საბჭოს—საუკეთესო სექციაზე.

ცხადია, განათლების სექცია ყურ-ჩამოყრილია, მას არც ერთი რეზოლიუციაც არა აქვს შედგენილი, მაშინ, როცა ჯანმრთელობის სექციის ყოველ წევრს რეზოლიუციებით აქვს ჯიბე გატენილი.

ბოროტი ენები მაინც ამბობენ, რომ ჯილდოს განათლების სექცია მიიღებსო.

ალლარ-სალლარხანი.

აპრილისათვის
კიდევ მიიღება
ხელისმოწერა
გაზ. „მუშა"-სა
— და —
ჟურ. „ტარტაროზ"-ზე

# უდიდესი პროლეტარული მწერალი-მაქსიმ გორკი

## მისი იუბილეს გამო

ნახ. კუკრინიკსისა

სურათი ამოღებულია ჟურ. „პროჟექტორი"-დან.



გადახვეწილი რუსეთის ემიგრაცია საზიზღარ ჭორებს ავრცელებს მაქსიმ გორკის წინააღმდეგ. რომელიც გულწრფელად თანაუგრძნობს მშობლიურ პროლეტარულ სახელმწიფოს—საბჭოთა რესპუბლიკების კავშირს,

## ჟენევის „მშვიდობიანობის მოციქულები“ ლიტვინოვის მოხსენების დროს



არ ესიამოვნათ!

# ლევარსი როხროხაძე

ამ ბოლო ხანებში რკინისგზებზე გახშირებულმა კატასტროფებმა, ლევარსი როხროხაძე მეტად დაალონა და დააფიქრა.

— რა არის ნეტავი ამისი მიზეზი?!—იჯდა და ფიქრობდა ლევარსი მთელი დღეების განმავლობაში.

ბოლოს მან გადასწყვიტა—დაეთვალიერებია რკინის გზის ლიანდაგი და კიდეც გაუდგა გზა- სადგურისაკენ.

ლევარსი მიდიოდა ლიანდაგზე და სათითაოთ ათვალიერებდა შპალებსა და ლიანდაგს. ხელითაც კი სინჯავდა სიმაგრის გასაგებათ, მაგრამ წუნი ვერაფერი უნახა.

— აბა, რა ორხობა ემართებათ ამ მატარებლებს?!—ჩაილაპარაკა თავისთვის და წინ სივრცეში ლიანდაგს გაჰხედა.. შეკრთადად აუ ცბათ გაკვირვებისაგან, როგორც თვითონ ამბობს, სამი საჟენი სიმაღლეზე შეხტა

— აღმოვაჩინე!— მხოლოდ ეს დაიძახა და პირი იბრუნა უკან სადგურისაკენ, მაგრამ მოსახვევში მომავალი მატარებელი დაინახა...

ლევარსიმ მორთო ყვირილი:

— გაჩერდით! არ წამოხვიდეთ, თორემ დაიღუპებით!—მაგრამ არავის ესმოდა მისი ყვირილი.

ლევარსის მოაგონდა, რომ მატარებლის გასაჩერებლათ საჭირო იყო სიგნალი. სწრაფათ შემოიხია ჩოხაზე დიდი ნაჭერი და ააფრიალა; თანაც ჰყვიროდა:

— გაჩერდით... გაჩერდით, თორემ დაიღუპებით!

მატარებელი მართლაც გაჩერდა, რამაც მგზავრებსა და რკინისგზელ მოსამსახურეებში პანიკა გამოიწვია.

ორი ინჟინერი მაშინვე გადმოჰხტენ მატარებლიდან და ლევარსისთან მივიდენ.

— რა ამბავია? რა მოხდა?—ეკითხებოდენ ისინი ლევარსის.

— მიცნობდეთ, მე გახლავართ ლევარსი როხროხაძე.

— როგორ არა, გიცნობთ!—და ლევარსის ხელი ჩამოართვეს.

— მე მაინტერესებდა,—განაგრძო ლევარსიმ, გამეგო ნამდვილი მიზეზი მატარებელთა ასე ხშირი კატასტროფებისა და აი, კიდეც აღმოვაჩინე!—და ლევარსიმ ხელი გაიშვირა წინ, საიდანაც არაფერი არა სჩანდა, გარდა ლიანდაგისა.

— ჩვენ ვერაფერს ვერ ვხედავთ?!

— როგორ თუ ვერ ხედავთ?! გახედეთ აი იქ, შორს, როგორ უახლოვდებიან ერთმანეთს ლიანდაგი და ბოლოს კიდეც ერთდებიან?! აი, ეს არის მიზეზი კატასტროფებისა... რა თქმა უნდა, ასეთ ლიანდაგზე მატარებელი დაიმტვრევა.

— ამხანაგო ლევარსი,— ღიმილით და სიცილის შეკავებით მიმართეს ინჟინრებმა ლევარსის,—ეს მხოლოდ თვალს ეჩვენება; სინამდვილეში კი ასე არ არის... ამ მოვლენას ფიზიკაში, ასე ვთქვათ, „ოპტიკური მოტყუილება“ ჰქვია....

— აბა მიიხედეთ ეხლა უკან; ხედავთ იქაც ასეთივე მდგომარეობაა. ამაზე რას იტყვით?— გაბრაზებით უთხრა ლევარსიმ და ხელი დიდხანს ჰქონდა ჰაერში გაშვერილი.

— ესეც „ოპტიკური მოტყუილებაა“...

— უბედურებაც ის არის, რომ ზოგი კონტრ-რევოლიუციონერი ინჟინრები, გვატყუილებენ. ვინც ეს ლიანდაგი ასე დააგო, დასახვრეტია.

— შემობრძანდით ვაგონში!—შეჰპატიჟეს ინჟინრებმა ლევარსი რბილ ვაგონში, რაზედაც ლევარსის უარი არ განუცხადებია, რადგან გულში ფიქრობდა:

— ახლა მთავრობასთან წარმადგენენ და ფულებით დამასაჩუქრებენ!

როცა მატარებელმა სვლას უმატა, ლევარსიმ მხოლოდ მაშინ შეამჩნია და გიჟივით კარებთან გამოვარდა.

— ხალხნო, დავიღუპებით; მატარებელი დაიმსხვრევა! გადაუხტეთ, თავს უშველოთ!—ჰყვიროდა იგი.

—!—

ლევარსი კოჭლობით და ყვირილით შემოვიდა სადგურში.

დავიმტვრიე, მაგრამ არა უშავს; მადლობა ღმერთს, რომ ასე ადვილათ გადავრჩი; კიდევ ყოჩაღათ ვიყავი, თორემ მეც იმათსავით დავიღუპებოდი.:: ნეტა-მაინც არ გამეფრთხილებიოს ის განწირულები!

ცოტა არ იყოს, სადგურის უფროს ექვი დაებადა და მეორე სადგურს შეეკითხა...



— **აღმოვაჩინე მიზეზი მატარებლის კატასტროფისა!** ხედავთ, აი იქ, როგორ თანდათან უახლოვდებიან ერთმანეთს ლიანდაგი და ბოლოს კიდეც ერთდებიან?! რა თქმა უნდა, ასეთ ლიანდაგზე მატარებელი დაიმსხვრევა!...

— მატარებელი დაიმსხვრა.... უშველეთ... ხალხი დაიღუპა... მე წინასწარ შევნიშნე და გაქანებულ მატარებლიდან გადმოვხტი სამი საჟენის სიმაღლიდან... მარტო მე გადავრჩი... სხვა ყველა დაიღუპა.. კისერი და ცხვირ-პირი ხელფეხისა და გვერდების დამატებით კა

— რას სულელობს ვიღაცა არის?! ხომ არ გაგიჟებულა!—ისმოდა ტელეფონის მილში მეორე სადგურიდან.

ჭმუკი.

# ერთგული ლაქია



მაკდონალდი (ლორდ კეშენდენს—ინგლისის წარმომადგენელს ერთა ლიგის განიარაღების კონფერენც. სესიაზე ჟენევაში):—ბატონო ჩემო, რატომ არაფერს არ მიირთმევთ?!

ლორდ კეშენდენი: თავი დამანებე! არაფერი არ მინდა... ლიტვინოვის გამოსვლამ სესიაზე დამარეტიანა და ჭამის მადა დამიკარგა!

## უსათაურო

1911 წლის 16 დეკემბერს ნორვეგიელმა მოგზაურმა როალდ ამუნდსენმა მიაღწია სამხრეთ პოლიუსამდე.

1912 წლის 18 იანვარს კი იმავე პოლიუსამდე მივიდა ინგლისელი მოგზაური კაპიტანი სკოტი და დაბრუნებისას გზაში გაიყინა.

ინგლისის ბურჟუაზია ვერ შეურიგდა იმ აზრს, რომ ნორვეგიელი პირველად მივიდა პოლიუსამდე და პატარა ბავშვებს დღესაც ასწავლიან ინგლისის სკოლებში, რომ სამხრეთი პოლიუსი პირველად თითქოს ინგლისელმა სკოტმა იხილა. 1912 წლის 15 ნოემბერს „ინგლისის სამეფო გეოგრაფიულმა საზოგადოებამ“ ბანკეტი გაუმართა მოგზაურ როალდ ამუნდსენს.

ბანკეტს ხელმძღვანელობდა საბჭოთა მოქალაქესათვის კარგად ცნობილი ლორდ კერზონი, რომელმაც წარმოსთქვა ისტორიული სადღეგრძელო:

— „ვსვამ იმ ესკიმოსის ძაღლების სადღეგრძელოს, რომელთა დაუხმარებლად მისტერ ამუნდსენი ვერ აღმოაჩენდა სამხრეთ პოლიუსს“.

წაკვირვებული და შეურაცყოფილ ამუნდსენს კი ნიშანი მისცა მარჯვენა ხელის მაღლა აწევით, რომ შეკამათება არ შეიძლება.

მაშინ ვერავინ გაბედა შეურაცყოფილ ამუნდსენს გამოსარჩლებოდა.

1927 წლის 13 ნოემბერს ამუნდსენმა ოფიციალურად განაცხადა, რომ მას აღარ სურს ითვლებოდეს „ინგლისის სამეფო გეოგრაფიულ საზოგადოების“ საპატიო წევრად.

ვუკვეთებ რა შეჯამებას ზემოთთქმულ ამბებს, მივდივარ იმ დასკვნამდე, რომ მოხდა: „ჩხუბი სულ არაფერზე“.

ქართველი ან კახელი გლეხი, (ოდეს თამადობას) ქორწილში უეჭველად წარმოსთქვამს ასეთ სადღეგრძელოს: — ეს იმ ნიკორა კამეჩებსაც გაუმარჯოს, რომლებმაც რომ მეფე-პატარძალი მოლალა ამ ქორწილში..

ლორდ კერზონსაც ასე უნდოდა ეთქვა, მაგრამ დაავიწყდა, რომ საქართველოში ამ სადღეგრძელოს სვამენ მაშინ, როცა მეფე-დედოფალის და ყველა დამსწრეების სადღეგრძელო უკვე მირთმეულია...

თუ გურულს რომელიმე ქეიფში ყურადღება არ მიაქცია თამადამ, იგი რიხიანად განაცხადებს:

— ძალიან აფხანაკო თამადა! ერთი ორი ღერი სიტყვა მეც მათქმიეთ; გამოყრუებული არ ვარ,აბდლურს აფერს ვიტყვი, ქვეყანა დამიარია — ბათომში მინახავს და ფოთი!!! — და ამას მოჰყვება გრძელი „რეჩი“..

იმ გურულის არ იყოს, ამუნდსენს ქვეყანა მოვლილი აქვს და ორიოდე სიტყვის ნება ბანკეტზე რომ მიეცათ, ასეთი დავიდარაბა არ მოხდებოდა.

როალდ ამუნდსენის გამოსვლა „სამეფო გეოგრაფიულ საზოგადოებიდან“ უეჭველად დიდი მარცხია ინგლისელებისათვის.

მართალია პოლიუსი წელს თავისი ფეხით მოვიდა ჩვენში, მაგრამ სხვა შემთხვევაშიც რომ მარცხი არ მოუვიდეს ინგლისელებს, მიზანშეწონილი იქნება — გამოგზავნონ წარმომადგენლები ჩვენში კურსებზე და ვასწავლით, თუ როდის და როგორ „შესვან“ სადღეგრძელოები: „ღვინის მამგონი“-ს, „ვაზის ჩამყრელი“-ს, „ყურძნის დამწურავი“-ს, „ქვევრიდან ამომღები“-ს, „ბოთლებში ჩამომსხმელი“-ს, „სუფრაზე მომტანი“-სა და სხვა.

თუ დაიჯერებენ კარგია, თუ არა და მით უარესი ინგლისელებისათვის.

სიმონ-აღა.

# სამართლიანი საყვედური



ტარტაროზი: (დანიელ ჭონქაძეს, აკაკი წერეთელს და ილია ჭავჭავაძეს): — რატომ შეგიწუხებიათ თავი დ[illegible] ადმასკომში...

დანიელ ჭონქაძე (ბრაზისაგან ტარტაროზს აწყვეტინებს სიტყვას): — განცხადება უნდა შევიტანოთ ა[illegible] მასკომში, რომ გვარსა და სახელს ნუ გამოგვიცვლიან... აკაკისა და ილიას კიდევ არა უშავს — მარტო გვარი გ[illegible] მოუცვლეს... მე კი, გარდა ამისა, — დანიელის მაგიერ დავითი დამარქვეს!

## დ ი ა ლ ო გ ი

### პოეტი

ვინ შეაჩეროს
თამაში დროთა?...
თამარს უწერდა
პოემებს შოთა.
აფრთოვანებდა იმას
მზე-ქალი,
ლამაზი შუბლი,
ტუჩი და თვალი.

—:—

დღეს აღარ არის:
თამარი, ნინო,
შოთასებურად,
რომ გვაწერინოს.
ჩვენც ამას ვგოდებთ,
ამას ვკალალებთ,
რომ შნო არა აქვთ
ეხლანდელ ქალებს.

### ქალის პასუხი

თანამედროვე
ქალებმა თურმე
თქვენი ოცნება
ვერ აალშფოთა.
ათასი თამარ
რომ დავსვათ ტახტზე
არ შეიქნებით
თქვენ მაინც... შოთა.

—:—

„დღეს ქალს არა აქვს სილამაზე"
თქვენ გაიძახით.
ვიტყვით სიმართლეს
ამ სიტყვისთვის თუ გინდ ჩამქოლონ:
მართალი არის:
ჩვენ არ ვგავართ მილოსელს სახით,
მაგრამ მითხარით:
რომელია თქვენში... აპოლონ?!

„სან".

# დამცველის სიტყვა

პატივცემულო მოსამართლენო! სწორედ მოგახსენოთ, სავალალოა და თითქო სასაცილოც პირადი ჩემი მდგომარეობა, რომ მე გამოვდივარ იმ კაცის დამცველად, რომელსაც შეცდომით ქურდის დაღი დაასვეს, ქურდის სახელი უწოდეს, ალალ-მართალი კაცი გაამავეს, მხოლოდ იმიტომ, რომ მას ხელში აღმოაჩნდა ამ კაცის, ვითომ დაზარალებულის ნივთები, ესე იგი ვითომ და ნაქურდალი ნივთები.

რომ ეს ასე იყოს, მე რასაკვირველია, და არა მარტო მე, არც ერთი ვექილი არ გამოვიდოდა ამ საქმეზე, მაგრამ აქ არავითარ ბოროტმოქმედებას ალაგი არა აქვს.

ამ საქმეში, ესე იგი, როგორც გამოძიების ოქმშია აღნიშნული, ვითომ ქურდობაში, — ჩემი კლიენტი სრულებით დამნაშავე არ არის და აი რატომ: როდესაც ჩემი კლიენტი ბინდისას ქუჩაში მიდიოდა, რაღაცა მოუნდა, რომლის დასახელება აქ საჭიროდ არ მიმაჩნია, თქვენ არ გეგონოთ, რომ „რაღაცის" ქვეშ მე ქურდობას ვგულისხმობდე! არა, ამას თქვენ თითონ მიხვდებით, ცოცხალ კაცს ხანდახან რაც მოუნდება ხოლმე. დიახ! და თურმე ეს ვითომ გაქურდულ დაზარალებული სცხოვრობს და დაინახა კარები; მას საჭიროების ალაგი ეგონა, არ იცოდა, რომ ოთახი იყო, მივიდა, ნახა — კარები მოხურულია, მიაწვა, შეაღო და თურმე საცხოვრებელი ოთახი კი აღმოჩნდა. მიიხედ-მოიხედა, ვერავინ დაინახა და ძალიან გრაზი მოუვიდა, რომ ასეთ მშვენივრად დალაგებული ოთახი ღია და უპატრონოთ დახვდა, და რომ ოთახის პატრონისათვის, ესე იგი თქვენებურად რომ ვსთქვათ, ვითომ დაზარალებულისათვის ეგრძნობინა, რომ მეტი ყურადღება საჭირო ბინისათვის, ჩემმა კლიენტმა გამოიტანა იქიდან რაღაცა უმნიშვნელო ნივთები, რომლებზედაც ლაპარაკი არა ღირს, მაგალითად: ბუდილნიკი, კედლის პატარა ხალიჩა და აბრეშუმის სუფრა. იქვე კედელზედ თვით დაზარალებულის ფოტოგრაფიული სურათიცა ყოფილა ჩამოკიდებული. ჩემს კლიენტს მომჩივანის სახე დაუხსომებია. მეორე დღეს როცა ჩემმა კლიენტმა ერთ მაღაზიასთან გაიარა და სურათით იმ ოთახის პატრონი იცნო, მივიდა და ხუმრობითა ჰკითხა.

— ამ ნივთებს არ იყიდით? და წინ გადაუშალა თავისი ნივთები, პატრონმა რო დახედა, რასაკვირველია იცნო თავისი ნივთები. მაშინვე მილიციელს დაუძახა და დაპატიმრეს. მოპასუხე. სწორედ გითხრათ, ეს ამაღელვებელი ფაქტია. კაცმა თავის ფეხით, თავის ხელით მიუტანა პატრონს ნივთები; ამით მან გააფრთხილა იგი, რომ გიმეორებ, ოთახის კარები მაგრათ ჩაკეტეო.. და ხოლო მომჩივანმა მადლობის მაგიერათ დააჭერინა ეს პატიოსანი კეთილშობილი მოქალაქე. და ეხლა გეკითხებით თქვენ, პატივცემულო მსაჯულნო, განა ეს ქურდობაა?! არა... ეს ქურდობა არ გახლავთ. ნივთები რომ ქურდობის აზრით წაეღო, მაშინ თვითვე აღარ მიუტანდა პატრონს. მაშასადამე, ჩემი ბრალდებული მართალია: პირიქით მადლობის ღირსია; მეტსაც ვიტყვი, საჩუქრის ღირსიც გახლავთ. ამიტომ მე ვშუამდგომლობ, რომ ჩემს კლიენტს გამოუტანოთ გამართლების განაჩენი და მომჩივანს კი გადახდეს სასამართლოს ხარჯები და მასთან ბოდიში მოიხადოს ჩემის კლიენტის წინაშე შეურაცყოფის მიყენებისათვის, ესე იგი ქურდობის დაბრალებისათვის.

მათე.

# ვირთხების გასაჭირი

## ერთა ლიგასთან შეფარდებით

„ერთა ლიგაში იმპერიალისტურ სახელმწიფოების წარმომადგენლები ბევრს ლაყბობენ განიარაღებისა და საერთაშორისო მშვიდობიანობის შესახებ. იმ მოტივით. რომ მათ შორის განიარაღებაში პირველობას არავის კისრულობს, — ერთმანეთის მიბაძვით კიდევ უფრო იარაღდებიან".

(გაზეთებიდან).



აწუხებდა კატავ ირთხებსა და თაგვებს
რომლებიც მის შიშით ვერ ჰპოვებდენ საკვებს...

და შემოკრბენ ერთად, მოიყარეს თავი.
რომ კატასთან შეჰკრან მშვიდობა და ზავი..,

ითათბირეს ბევრი; ჰქონდათ ბჭობა დიდი,
მაგრამ ვერსად ნახეს გასასვლელი ხიდი....

ბოლოს, ადგა ერთი, ხელი აიშვირა;
— არის ხსნა და შველა!—რიხით დაიყვირა...

გაიბა სხდომა; სმენათ იქცა ყველა,
და დაიწყო სიტყვა, როცა ჩააჩველა:

— აღარ არის სხვა გზა, გარდა ამ ჩემს გზისა;
„თუ კი შევასრულებთ, ის გვიშველის, ისა....

„თქვენ იცით, რომ კატა გვეპარება ჩუმათ;
„დაგვეცემა თავზე და მოგვირთმევს უმათ...

„დღეს ორს შეგვჭამს, ხვალ—სამს; ჩვენი მოდგმა წყდება...
„თუ ჰკუა გაქვთ, მიხვდით—ასე რატომ სდება?!

# გ უ გ უ ნ ა ყ ა თ ი

ხშ სამკითხველო ჩვენც გვქონდა
პატარა, ღარიბულია;
ხანგრძლივი სენით პყრობილმა
[illegible]ტანჯვით დალია სულია.
ავის დაფარვა არ მიყვარს,
უნდა ვსთქვა რაც სათქმელია;
დროა ვალიკო გავიცნოთ,
პატარა გამფლანგველია.
სამკითხველოსთვის დაიდგა
საღამო დიდებულია;
მაგრამ ვალიკომ შესჭამა
რაც იგდო ხელში ფულია
ვიცი მას ჭკუას ასწავლის
თქვენი ჩანგლისა წვერია
და მეც იმიტომ ეგ ლექსი
შემითხზავს დამიწერია.
-აი ეს არის, ტარტაროზ.
ჩვენი სოფლისა სახეო;
ზოგნი სხვის ნაამბობია,
ზოგი მე თვითონ ვნახეო.

პ. თე-ვილი.

---

„დიახ, მართალია, სწორათ დაუმატა:
„— ვერ ვგებულობთ, როცა გვეპარება კატა...

„და ამგვარათ, კატას რომ ეკიდოს ზარი,—
„რაღას დაგვაკლებდა წუწკი, საზიზღარი?!

„გავიგებდით რეკით, რომ ის გვეპარება;
„თაროებს და კუთხეს ტყვილათ ეფარება...

„ რა გვიჭირდა მაშინ,—ვუშველიდით თავსა;
„გადვირჩენდით ყველა საკუთარ ჩვენს ტყავსა..

„და სადამე მაშა—შველა ჩვენს ხელთ არი,—
„ხოლო კატას ყელზე ჩამოვკიდოთ ზარი..

„შემდეგ გავუგზავნოთ მას სასტიკი ნოტა....
„და მოგვარდა საქმე,— დარჩა მხოლოდ ცოტა...

— გაუმარჯოს.. ვაშა!—და გაისმა ტაში
და ნობელის ჯილდო მიაკუთვნეს „ხსნაში".

— ეს კარგია, მაგრამ!...—ვიღამც დაიძახა...
შეწყდა: ტაში, სტვენა და დაალეს ხახა.—

— ეს კარგია, მაგრამ თქვენში თავს ვინ იდებს
და ზარს კატას ყელზე თქვენში ვინ შეჰკიდებს,



აგერ მობრძანდება კატა ჩვენსკენ ნელა!...
— რაო?! რაო!? ვაჰმე!—და გა[illegible]ქცა ყველა.

ისელი.

# კ უ ლ ა შ ი

[illegible]რ ვიცი რა ვთქვა ისეთი,
[illegible]ც შენს გულს მოეწონება!
[illegible]ული არა მაქვს, რომ მოგცე,
[illegible] არც[illegible]ა დიდი ქონება).
[illegible]ც სამსახური ხელს მიწყობს,
გაგხადო პორტფელიანი!
ვფიქრობ — რა გიყო კოტეჯან.
სანამ არ არის გვიანი?!
შ[illegible]ი ჯულოსთვის (ვფიცავარ)
ხ[illegible] ცას, ხან მიწას ვეხები. —
რომ მოგაშორო სოფელსა,
არ შე[illegible]წუხო გლეხები.
რა იქნებოდა შე კაცო.
გეველო [illegible]თი დღეს ჰკვიანად?!
(შენზე ფირქმა და ოცნებამ,
თავი სულ დამიზიანა).
აგრონომი ხარ, კაცი ხარ,
მიწის შვილი ხარ, მფლობელი!,
და რად გემდურია კულაშის
ბუნება და თვით სოფელი?!
ნეტავ სანამ გვაქვს სურვილი
ასე იყო და იარო?!
(ო, ღმერთო, ღმერთო კოტეზე,
როდემდის ვიმგლოვიარო?!)
ან თავს მოვიკლავ ილოდ
ან გამიტაცებს რიონი
და ვერ მიშველის შენი ხმა,
ვერც შენი ბესარიონის.
ნეტავი მომცა იმედი
წონით ათასი ფუთია!
(ამ უიმედო მიდამოს
თვალიბმა ღამე უთია).
წ[illegible]ამის სიჩუმის,
ჩ[illegible] კრულვა ქუჩების!
[illegible]მა სული დალია,
გ[illegible]ვიულს ვერ გადურჩებით).

—:—

აღმასრულებელ კომიტეტს,
ლექსით ეკუთვნის ძღვენია!
მუდამ ღამე და მუდამ დღე.
სვამენ, ჭამენ და ძღებიან.
სამართლისათვის მოსულნი
ბაღში. კაცი და ქალია!
ღრუბლები ცასა აბნელებს,
წვიმა, ყინვა და ქარია.
აღმასკომი კი სად არის?—
კარები დაკეტილია!..
ამ სიცივეში საწყლები
მოსთქვამენ, მწარეთ სტირიან.

—:—

სამკითხველოზე უნდა ვსთქვა
სიტყვა მწარეზე მწარეა,
ვლარ შორდება უბედურს
ტანჯვა და სიმწუხარეა.
ვხედავ და გული მერევა —
აღარც წყალია, არც ღვინო!
გამგეობა და თვით გამგე
მაურს შემდეგ ავაწრიპინო...

ბაგნელი ბზიკი.




# ტ ყ ი ზ უ ლ ი

გოგიას საყასბოს წინ მრავალ ხალხს მოუყრია თავი და ელოდებიან ხორცს. კარებში ნიკო სდგას ხელში და-ნით. ძაღლები უსვრიან და ერთმანეთს უღრენენ, კბენენ.

ნიკო (შეუტევს ძაღლებს):—აი, თქვე მგლის კერძო, მომშორდით, დამაცათ ცოტა.— საცაა უშობელს დავკ-ლავ და გაგაძღობ ყველას.

ერთი მოქალაქე:—ნიკო. მალე დაჰკლავთ საქონელს?

— ნიკო:—აი, გოგია წავიდა საქონლის ექიმიც თან წაიყვანა, საცაა მოიყვანებენ და სულ ათ წუთში გავა-გდებინებ თავს!

ქალი:—რავა! ექიმი რათ უნდა?—ავად ხომ არ არის საკლავი.

ნიკო:—ავად კი არა, ისეთია, რომ... . მარა ექიმმა მაინც უნდა შეამოწმოს, ასეთია წესი; ექიმმა თუ ფეჩატი არ დაკრა. ისე ვერ დავკლავ. (გამოჩნდებიან გოგია და ექიმი, რომლებსაც მოჰყავთ გაძვალტყავებული მომაკვ-დავი საკლავი; საქონელი რომ არ წაიქცეს,—ექიმი რქე-ბში ჩაფრენია, ხოლო გოგია— კუდში).

ექიმი (გოგიას ხუმრობით):—გოგია, თუ ძმა ხარ, ერთი ორი ფუთი ქონი შემინახე.

გოგია:—შენ ალაგზე მიმაყვანიე ცოცხალი და თუ ამისი შიშხინა მწვადით არ გაგაძღო, მოგიკვდეს ჩემი თავი.

ერთი მოქალაქე:—ეი, ხალხნო. ზედაური მოჰყავთ და გზა უტიეთ არ დაფეთდეს,თორემ ყველას დაგვლეწავს.

მეორე:—ნეტავი სად მიათრევენ ამ მკვდარ საქო-ნელს?!

მესამე:—ალბათ საექიმოთ.

მეოთხე:—ამას რაღ უნდა აქიმობა, როცა უკვე წა-სულა ხელიდან!

ნიკო (დანებს მოიმარჯვებს): — ამხანაგებო, საკლა-ვი მოჰყავთ. გვიტიეთ; მოგვეცით საშუალება დავკლათ!

ვიღაც:—რაღ უნდა ამას დაკვლა, ისედაც მკვდარია და ის არის! (ჰკლავენ. ძაღლები დაფაცურდებიან... ხალ-ხში ჩოჩქოლია: „რასა ჰგავს?! ვინ სჭამს ამის ხორცს?! ფუი... ფუი“).

გოგია (ჰყვირის):—უყოლია, უყოლი... უშობელია, უშობელი.... პა, პა. პა, პა... მთლათ ქონია, მთლათ ქო-ნი:::: ვის უნდა კარგი ხორცი, აქეთ, აქეთ!

ერთი მოქალაქე (შეამჩნევს საკლავს ფეხებზე ნა-ლებს):—კაცო, რო ჰყვირი—უშობელიაო, სად ნახე, რომ უშობელს სჭედავდენ?!

გოგია:—ახალი გამოგონებაა, ახალი; შენ თუ არ იცი, სხვას ჰკითხე (განაგრძობს ყვირილს). პა, პა. პა, პა... რა ხორცია, რა ხორცი! ვინც არ შესჭამს, ან დღე მოკვ-დება; ან ღამე.... გეიყიდა. აღარ დარჩა, ვინც არ იყიდის, არ გადარჩა...

მრავალთაგანი (მიდიან უკანვე სახლში):—მართლაც არ გადავრჩები მაგის ხორცი რომ ვჭამო! (სხვებიც მი-დიან).

ექიმი:—ნუ მიბრძანდებით, იყიდეთ, გოგია მართალს ამბობს—უყოლია, უშობელია,—სად ნახეთ, რომ ხარს ჰყოლოდეს?! ნამდვილი უშობელია!

ახალმოსული მოქალაქე:— გოგია, ხორცს მომცემ?

გოგია:—არ შეიძლება; უკვე გაყიდულია; სასადი-ლოებისათვის დავკალი!

მოქალაქე:—თუ ძმა ხარ. სამი გირვანქა ხორცი რო-გორმე დამითმე,— სახლში ავადმყოფი მყავს და ინა-ტვრა.

ექიმი:—დაუთმე თუ ძმა ხარ, ავადმყოფისათვის უნდა; რა ვუყოთ, ჩვენი ძმაა.....

გოგია:—ამისა და შენი ხათრისათვის, ექიმო, თო-რემ... (თავისთვის) ავადმყოფისათვის თუ არა-და, მოარ-ჩენს ეხლავე....

ექიმი:—გოგია, ეს კარგი პოლიტიკაა! ამნაირათ სულ გავასაღებთ ამ ხორცს! ოკრიბელი რქიანი.

# „ჟ ე ნ ა დ ე ლ შ ი“

„ჟენადელის“ გამგე:—რა მოგდის ქალო?! გუშინ შეგარიგე ქმართან და დღეს კიდევ ჩივი? თუ არ გინდა ქმარი, ბარემ „ატკრევენათ“ თქვი! მოხვალ, იჩივლებ, ქმარს ვიბარებ, საქმეზე აცდენ, ერთი-მეორესან გარი-გებ, გათანხმებ და მეორე დღეს კიდევ აქ მორბიხარ! ღმერთო ჩემო, ამდენი კაპრიზი ქალების მნახველი არას დროს არ ვყოფილვარ! კაპრიზობა, ისტერიკა, ნეკრესობა და ჯანდაბა. სულ თქვენი ბრალია ეგ აყალ-მაყალი! განა მე არა მყავს ქმარი!? განა მე არ მომდის ქმართან ჩხუბი?! მაგრამ მაგას სერიოზულობის ხასიათს არ ვაძლევ. თუ ერთ წუთში ქმარს ავეშლები, მეორე წუთში ურიგდები და ვეალერსები. თქვენ კი მოგივლით რაღაც და.—მორჩა —„ჟენადელი“ და მისი ჯანი, აბა, ეხლა მითხარი, რაზედ იჩხუბეთ გუშინ.

სონა:—გუშინ მუშკოოპთან გავიარე. ისეთი „პოკრი-ვალა“ და დანა-ჩანგალი ვნახე „ვისტავკაში“, რომ თვალს ზედ შემრჩა. ქმარს ვსთხოვე ეყიდა ერთიცა და მეო-რეც. ამის თქმა და,—შემომიტია და შემომიტია. ველარ მოვითმინე, ნერვები ამეშალა, ისტერიკა მომივიდა და თქვენთან წამოვედი. ქმარმა მითხრა:—ჯერ მაგის ფული არ მაქვსო, ოჯახს მილუპავს შენი „ტრებოვანიებიო“.

„ჟენადელის“ გამგე:—ჩემო დაო, მორიგდებოდით და ის იქნებოდა! იმ პაკრივალას და დანა-ჩანგალს ხვალ-ზეგ ვიყიდდი; ქმართან ჩხუბს მოთმენა გერჩია. წადი და ხვალ ქმარი მოიყვანე. კიდევ ჩხუბი არ დაუწყო (მეორეს). თქვენ რა გნებავთ. ქალო?

კატო:—ჩემს ამბავს ნუღარ იკითხავ. (ტირის). ხი..: ხი..: ხი::: ხი::. ხი.... ჩემი ქმარი სხვას ჰყვარობს; მე კვი-რეში ერთ დღესაც აღარ მეკარება; აღარ მიყვარხარო; ალემენტს მოგცემ და მიდიო.

„ჟენადელის“ გამგე:—ეს არის თქვენი ქმარი?

კატო:—დიახ, ეგ არის ეგ მიწა-დასაყრელი.

„ჟენადელის“ გამგე:—ნუ ლანძღავთ... მართალია რასაც თქვენი ცოლი ამბობს? რატომ მოგდით ჩხუბი?.. მორიგდით გთხოვთ. არ არის ლამაზი—ცოლიც, საყვარე-ლიც... .

ქმარი: ეგ პირველად მესმის.. გთხოვთ გააშინჯვი-ნოთ ექსპერტებს ეგ ქალი. თუ ეგ ისტერიკიანი არ იქნე-ბა, მე სანიძლეოს დავდებ, მართალია, ღამით გვიან მივ-დივარ სახლში. მაგრამ მოგეხსენებათ სულ „ნაგრუზკი“-ს ბრალია. ძლიერ ვარ დატვირთული სამუშაოთი. ამის საბუთებიც მაქვს. მაგას რას უყურებთ. გამარჯობა რომ ვინმემ მითხრას,—ისიც ჩემი საყვარელი ჰგონია. მივალ სახლში,—მლანძღავს, ტყავს მაძრობს კუდის რიკამდე, აბა თქვენ განსაჯეთ—როგორი იქნება ჩემი ცხოვრება მა-გის ხელში?!

„ჟენადელის“ გამგე:—საქმე გამორკვეულია... (მეორეს): თქვენ რა გნებავს?

ქეთო:—ქმარი მეჩხუბება, მლანძღავს, ისტერი-კიანს მეძახის.

ქმარი:—თითონ ეგ მლანძღავს: „დურაქს“, „მერზა-ვეცს“ და ვირს მეძახის.

ქეთო:—მე კი არა, ეგ მლანძღავს.

ქმარი:—ტყუილია. ეგ მლანძღავს.

„ჟენადელის“ გამგე: სირცხვილი.. რა ამბავია, ღმერთო ჩემო!... (და ასე სულ..). ძნელ-ოლლო.

## სწორი შედარება



ბიუროკრატი: როგორ არხეინად და უდარდელად ზის ეს კრუხი თავის ბუდეში! სწორედ ჩემს თავს მაგონებს, როცა კაბინეტში ვზივარ.

# ჩემი უბედურება

როდესაც ვქორწინდებოდა ჩემ მეუღლეზე და მილოცავდენ ბედნიერებასა, ჩემი თავი მართლაც ბედნიერი მეგონა და ყველას მადლობას ვუხდიდი.

ერთ თვეს არაფერი და მერე აუშვა საღერღელი:

— მე კარგს კაცს მივყავდი... აქ არაფერს არ გავაკეთებ... კარგად უნდა ჩამაცვა და დამახურო... ყველგან უნდა წამიყვან-წამომიყვანო: მეხომ იცი, შენი თანასწორი ვარ! რასაც შენ იზამ, იმას მეც ვიზამო.

დედაკაცო,—ვეუბნები,— თანასწორზე მეტიც ხარ. თმა ჩემზე კოხტად შენ გაქვს შემოპარსული. პაპიროსს „გატოვის" შენ ეწევი; (მე დაჭრილ თუთუნსაც კარგად გავახვევ ხოლმე); თავზე მშვენიერი ქოკე შენ გახურავს, —მე კი მთელი წელიწადია ეს ერთი გაფუცქნილი ქუდი მაქვს...

მაგრამ თავისას მაინც არ იშლის.

ამ ერთი კვირის წინეთ აიჩემა:—მშობლებს უნდა ვესტუმროო!... (ქუთაისელია).

— ქალო, ზესტაფონში ვერ გიშვებ გარედ და ქუთაისში ამაზე ნაკლები ოხერი ხალხი კი არაა!—უთხარი უარი. მარა რას იზამ; გაგჟიუტდა ზესტაფონის ცეცხლისმქრობელი რაზმის ცხენივით.

ავდექი და წავიყვანე. ჯერ ძლივს გავიარეთ მარქსის ქუჩაზე. კალოშებს ვინ ჩივა წელს ქვევით რაც გვეცვა კინაღამ ყველაფერი დავტოვეთ ტალახში (ზესტაფონზე გელაპარაკებით). ოთხ საათამდის მატარებელი არ მოვიდა. ავიღე, როგორც იქნა ბილეთი. გავედი სადგურში, მაგრამ სად ნახავ ცოლს!? ელექტრონი ზესტაფონში ღამით კვირაში ორჯერაც არ ანათებს. ჩამქვრალა სადგურში სინათლე და ხალხი ეძებს ერთმანეთს. აშენა ღმერთმა მისი ოჯახი, ბუფეტჩიკმა აანთო ლამპა. შემდეგ მათემაც მოგვისწრო და გაანათა „გაზავლი ფანარი", თუმცა ელექტრონის განათებაა სადგურში, მაგრამ მაინც მათე დარჩა ზესტაფონის მნათეთ. მოვნახე ქალი და გავაგზავნე.

მივდივარ სახლში და ვფიქრობ: დავისვენე და ეს არის!—

მაგრამ, როცა სახლში შევედი სადღაა რამე? ის ღამე შეურჩევიათ ქურდებსაც. ალბად იფიქრეს—ცოლის წასვლისა სიხარულისაგან რომ ჭკუიდან არ შეცდეს, ცოტა მის სიხარულს ფრთა უნდა შეუკვეცოთო.

მეორე დღეს ავდექი და დავიწყე ქურდების ძებნა. მთელი დღე მშიერი დავაღამე. ერთი ჭიქა ცივი ჩაი დავლიე წყალობასთან (ალბად იფიქრა—ცხელი ჩაი ისედაც გაცხელებულ გულს უფრო დაუთუთქავსო). დაღამდა და ზესტაფონის დამტვრეულ საბარგო ავტომობილივით მივედი ოთახში.

ჩამეძინა თუ არა, ერთმა ალიაქოთმა გამომაღვიძა: ჩემ გარშემო ათამდე მამაკაცი და დედაკაცი შეკრებილიყო და მემუქრებოდენ:— გაეთრიეთ აქედან, თორემ...

მე ავდექი და შევეკითხე, თუ რაშია საქმე! მათაც ამიხსნეს, რომ ჩემ სახლის პატრონს როცა დაუნახავს ცარიელი ჩემი ოთახი, სიხარულით ფრთა გამოუსხამს, მაშინვე მოუნახავს ახალი მდგმური, რომელსაც სამი თვის ფული წინდაწინ მიუცია და ჩემი ბინა მისთვის მიუქირავებია. რაღას ვიზამდი, ის ღამე სადგურში გავათიე, მას აქეთ კი ეს ერთი კვირაა ამხანაგებისას ვწევარ.

დღეს მოვიდა ჩემი ცოლი. თურმე უბილეთოდ წამოსულა, დაუშტრაფავეთ და სადგურში მის დასახსნელად მომთხოვეს 15 მანეთი ბევრი ველაპარაკე სადგურის უფროსს:

— კაცო, თუთხმეტი მანეთის მზითევიც არ მოუციათ ჩემთვის მაგის ცოლათ შერთვაში და თქვენ ერთ წამოყვანაში მახდევინებთ?!

მაგრამ არაფერი გამივიდა.

ეხლა მიმყავს, მაგრამ სად მიმყავს არ ვიცი?! მე კი ვწევები ხან ერთ ამხანაგთან, ხან მეორესთან, მაგრამ ქალს რა ვუყო? იგი ვისთან დავაწვინო? ვინ გამიწევს კიდევ ამდენ ამხანაგობას?

ძგუნტი.

## რ[illegible]ონის ქუჩაზე



## სიმულიანტი



კოჭლი (ბრმას): გამყოლი რა უყავი? გზას როგორ გაიკვლევ?.

ბრმა: ჩუმად, შე სულელო! გამყოლი მათხოვრობის დროს მჭირია, თორემ ეხლა კინოში მივდივარ სურათის სანახავად.

## ჩოხატაური

ტარტაროზო მოგახსენებ
„ცოტა“ საქმის ვითარებას.
ერთ საღამოს, რა თქმა უნდა
უცაბედათ, მოვხვდი კრებას.
გამიკვირდა, არ მინახავს
კრება ესრედ მცირეოდენ,
ოთხი კაცით შესდგებოდა
და რაღაცას „ძმურად“ ბჭობდენ!.
შევნიშნე, რომ საქმე იყო
საიდუმლო ყაიდაზე.
ჩემებურათ შევძვერ შიგნით
და უჩინრად მივწევ განზე;
ზე წამოდგა მათში ერთი
ვაჟი ფრიად დანაყუდი
და შუბლზე ხელგადასობით
მაგიდაზე „ელრეცა“ ქუდი,
(ისე მაგრად, რომ საცოდავს
კინაღამ წაწყდა რიკზე კუდი),—
და სთქვა,—„ჩემო მეგობრებო!
ყური მიგდეთ ვიტყვი რასო,
ცხადია, რომ სულელი ვართ,
ვერ ვაფასებთ თავის თავსო,
ჩვენ, რომ ძველი მოღვაწე ვართ,
სამართალი სად არიო?
რას გვეყოფა თვიურ ქირად
რაღაც ასი ქანქარიო?!.
მართალია, თუმცა ხშირად
დავალთ მივლინებაშიო,
კვირის საქმეს ერთ თვედ ვაქცევთ
ღლიურების ლებაშიო,
მერმედ კიდევ ხერხიც ვიცით
საბუჰგალტრო დავთრებშიო,
ვალი თუ გვაქვს, გადუმარხე
„გარდამავალ“ თანხაშიო,—
მარა მაინც კუჭს ვერ ვაძღებთ
ჩვენ ასეთი თანხებითო;
მივიმატოთ ჯამაგირი,
თქვენც თუ დამეთანხმებითო!..
დასრულდა რა მოხსენება,
ორატორმა ქუდი თავზე
დაიხურა და ამაყათ
გადააწვა იქვე სკამზე!..
მოისმინეს... დაადგინეს..:
სთქვეს: „სიტყვაა გემრიელი“..
და იმ კრების სამმა წევრმაც
მოაწერა ოქმზე ხელი...
ამნაირი საქციელი
ნეტა ვის არ გააკვირებს,
არვის ჰკითხენ ისე ჩუმად
იმატებენ ჯამაგირებს!!..
თუ ასეა, რაღას ვერჩით
მცირე ქირის საწყალ ნოქრებს,
როს ისინი დახაკლისში
მუქთად ყიდდენ თავის ქოხებს?!..

წაველა.

## ოზურგეთი

კოპერატივი ამაყობს —
დუქნების გაფართოვებით,
ცოტა საქონლის მოტანით,
ბევრი მუშტრების გროვებით.
კერძო ვაჭრები ამაყობს—
საქონლის გაძვირებითა,
დიდი ნალოგის გადახდით.
ვაგლახით, გაჭირვებითა.
ზოგი დარაბის მიკეტვით
და სახლში გამგზავრებითა,
საერთოდ, ყველა ვაჭრები —
ბუზღუნით, გაჯავრებითა.
ქალაქის საბჭო ამაყობს —
წლიურათ ორი კრებითა,
მაშინაც თავის ხმოსნების
ნახევრათ შემოკრებითა.
„ბალნიცა“ — აკუშერკებით
და მოწყალების დებითა,
ავადმყოფების სიმცირით,
შტატების გადიდებითა.
ქალაქის სანიტარები
ამაყობს — ბინძურ ხევითა,
დაგროვილ ნეხვის გუნდებით—
სახერხი ქარხნის ზევითა.
ექიმი — დაზღვეულებზე
მუქთი რეცეპტის ძლევითა
და აფთიაქი — უფასო
წამლების გამოლევითა.
სავაჭრო ტრესტი ამაყობს—
დაუხერხავი მორებით,
მთიდან რომ ბარში წამოვა,
თავდაღმა, გადმოგორებით.
მუშათა კლუბი — რადიოს
ადრე მოწყობის ჭორებით,
ზამთარში ცივი დარბაზით,
ცუღლუტი აქტიორებით.
ჩვენი ქალაქი ამაყობს—
მოხეტიალე ღორებით,
ტალახიანი ქუჩებით.
ჩამქრალი ელექტრონებით.
და გაზეთები (კედლისა)
თვისი ზარმაცი კორებით
ორმოციოდე მკითხველით,
თხ-თიხი რედაქტორებით.

ხათაბალელი.

## ფ ო თ ი

ბესომ სთქვა:—გვაჯა, რად გვინდა
კოლექტივი და ბანკია!?.
კოოპერატივი და ნადი
ჩვენი საქმისთვის მანკია.
ჩვენც ხელოსნებათ ვითვლებით,—
საქმის დიდი გვაქვს ტრიალი,
და ჩვენს ჯიბეში (თუ დახლში)
გაისმის ფულთა ტრიალი.
ჩუმათ ავრიოთ კავშირი
და ნადის საქმიანობა,—.
მაშინ არავის მოუვა
ჩვენზედა იჭვიანობა...
ასე უნდა, ასე სწადის
შაქარლამის პატრონს ბესოს..
კარგი არის, ტარტაროზო,
შენი კბილი რომ მას ესოს. —ჯი.

# ნადიმი

(ჭიათურის შავი ქვის მუშათა ცხოვ-რებიდან).

აიღეს ჩვენმა მუშებმა,
სიმწრით ნაშოვნი ფულები
ო …ქსპედიტორ კლემენტის,
მიართვეს მოხრაკულები!
მიირთვი, ჩვენო მფარველო,
ჩვენო მზეო და მთვარეო,
წყალობის თვალი მოგვაპყარ:
მოგვხედე მოგვეხმარეო!
კლემენტის „რეჩი“ ძლიერი
ბაგეთა გადმოსდინდება;
მუქთა ყლაპვა და ქეიფი
უყვარს მას, არა სწყინდება!
შეხურდენ ჩვენი მუშები
და სმა შეიქნა ძლიერი:
თვით იხრჩობიან ღვინოში,
ცოლ - შვილი უცდით მშიერი!





დათვრეს, ჩალესდენ საძაგლათ,
აუტყდათ სლოკინ-რწყევანი;
ღვინით ნაყლეპთი კლემენტი
ღუის, ვით ყურძნის მტევანი.
დასრულდა ესე ქეიფი,
ნადიმი ჩინებულია;
მეორე დღეს კი მუშებსა
აღარ აქვთ პურის ფულია!
მიმართეს ისევ კლემენტოს
— მფარველო, მოგვეხმარეო,
აღარ გვაქ გროში, კაპიკი,
დღე გვადგა ერთობ მწარეო!
მოგვიხერხევი ავანსი,
ვიქნებით ყმანი შენიო,
შენი მონა და მორჩილი
მუდამ ჟამს, ჩვენი დღენიო.
მეორე „პალუჩკამდისინ“
მიგვატანიე სულიო;
მერე კვლავ ჩავჯდეთ ჭამადა:
ვსვათ, გავიხაროთ გულიო.

— ვნახოთ, ვეცდები, იქნება
გაგიწყოთ სადმე ხელია,—
თუმც უნდა გითხრათ წინდაწინ,
საქმე არს ერთობ ძნელია.
სთქვა და წავიდა, მოშორდა.
ეს ჩვენი „ტარიელია“,
დარჩენ მუშები უპუროდ
და ჯიბე ცარიელია!
ასეა მუდამ, არ სწყდება;
ეს ჯადოსნური რკალია,
მუშებო, მოდით გონზედა,
დროა გაახილოთ თვალია.

ძე.

# ლიხი

მუშის დაშინებაში მას არა ჰყავს სწორია;
სიტყვის შემბრუნებელი ბევრჯერ გაუჯორია.
მევახშობას ეწევა, ვით ყოფილი ბატონი,
რადგან „აჩუღდენის“ არის ბატონ-პატრონი..
ხელობით გზის ოსტატი მოქმედებით ქველია...
გამოცნობა იმისი აწ არის ძნელია...
იშვიათად, რომ იყოს სადმე მისი ტოლია,
ხომ კი მიხვდით, რომ არის ეს მაღრაძე კოლია.

—:—

ეხლა გამოუაროთ აქვე ახლო გვერდშია.
ზაქროს ვნახავთ კიკაძეს, მასაცმ ოეცხოთ ფერდშია;
მასაც ჰკუა ვასწავლოთ, რომ თოუკლოს გინებას,
თორემ ნახავს ცხვირიდან წითლათ სისხლის დინებას.

—:—

შემდეგ ვნახოთ ესტატე—კაციმ აჭანკალია.
გაარიგ-გაათხოვა მან მრავალი ქალია.
იყოს ნათვლა-ქორწილი, ან სხვა პურ-მარილია;—
ვერვინ ასწრებს იქ მისვლას, ისე დაგეშილია.
ვასოს სამიკიტნოში მყრალი სუნი მოგიტნს.
ნუ მოაკლებ „წყალობას მუშის მყვლეფელ მიკიტანს.
ამის ნაცვლად ფარდული დააშვენდა სადგურსა;
მგონი ქრისტოც თანახმობს, როგორც ვუგდებ მას
ყურსა.
მოგვაშორე თავიდან სიბინძურის სათავე.
ჯერჯერობით წერილი ამ ამბით დავათავე.

პაშკუნ-რეხვაძე.

# ნატვრა



— ჰაეროპლანი და ნავი ჩვენს გზებზეა საჭირო... ესენი კი ჰაერსა და წყალში დანავარდობენ.

# სამილიციო კომისარიატში

უბნის უფროსის კაბინეტის კარები ხმაურით გაიღო და შიგ მილიციელის თანხლებით რამდენიმე მოქალაქე შემოვიდა.

— აი, ამ ბიჭმა, — დაიწყო ერთმა მოქალაქემ, — ჯიბეში ხელი ჩამიყო, დროზე შევუტყვე და ხელი ჯიბეშივე დავუჭირე...

— ამხანაგო კომისარო — უნდოდა თავის მართლება ქურდს, მაგრამ კომისარმა შეუტია:

— ვინ არის შენი ამხანაგო, შე ჯიბგირო, შენა!

— მე დავინახე, რომ ამ მოქალაქეს საფულე ჯიბიდან უვარდებოდა, რადგან ამოწეული ჰქონდა, და, რომ არ დაჰკარგოდა პატივი ვეცი — ვუსწორებდი' მაგას ეგონა, რომ მე ვპარავდი და ჯიბგირი მიწოდა.

— თქვენ რა გნებავთ?—შეეკითხა უბნის უფროსი ერთ სოფლელს.

— რა მნებავს და თქვენი დღეგრძელობა... მე აქ უნივერსიტეტში შვილი მყავს სტუდენტათ, სადოხტურო ნაწილში. ჰოდა იმის მეტი არაფერი გვყავს; ის არის ჩვენი ამომავალი მზე და მთვარე. სოფელში ქალები დურეინობით ეძლევა, მარა არ ქნა, მასავით ნასტავლი უნდა... ჰოდა, რაღა ბევრი გავაგრძელო, შევიტყვე — ვიღაც რუსის ქალი ატორღიალებია... რად მინდა რძლათ რუსის ქალი?! მე რუსული არ ვიცი და მან ქართული; მუნჯურათ რა უნდა მივახდინო!..

— კი, მაგრამ მოქალაქევ, ამისათვის აქ რა გინდათ?! ეს ხომ ჩვენი საქმე არ არის!?

— შე დალოცვილო, თუ თავიდან არ გითხარი, ბოლო როგორ მიგახდინო!?! ჰოდა, შენ ხარ ჩემი ბატონი, რომ შევიტყვე ეს ამბავი, რაღაცები მივყიდ - მოვყიდე სახლში და მე და ჩემი დედაკაცი გამოვქანდით აქეთკენ... თან ბოდიში თქვენთან მომითხოვია, — ბუასილიც მაქვს და ვიფიქრე — აპელაციასაც გავიკეთებ მეთქი.

დღეს დილით გეახელით აქ. სტანციიდან, რომ გამოვედით, კონკა ჩამოდგა. რომ ჩავჯექით, გვერდით ეს ვაჟბატონი მომიჯდა. შეხედულება კაცის აქვს; კისერში არშინიანი ლალსტუკი მოუჭერია. რავა წარმოვიდგენდი მაგაზე ცუდს. რაღაც კი მეკვროდა თანდათან უფრო — ახლოს, მარა, ვიფიქრე კონკა გვაქანავებს მეთქი. უცბად, შენ ხარ ჩემი ბატონი, რაღაც ჯიბეში ინძრევა, ვიფიქრე: —რა შემიძვრა? ამ პატიოსან ხალხში რავა შეჰრება თავი! — შეშინებული ვიტაცე ხელი ზედ და ამ პატიოსან ინტელიგენტ ლალსტუკიანის ხელს არ წავაწუდი? კინაღამ გამფცქვნა ამ კინტომ: ფუი, შევარცხვინე შენი „პავედენიე“ და ლალსტუკი... ა, ბატონო, აწი რასაც უზამთ თქვენ იცით... ნაღდი დასახრენტია. კინაღამ დამტოვა ცარიელ დაშვლეპილი თითივით ამ თფილის ქალაქს... რო დოუჭირე, ბატონო, ხელი, მეუბნება: — აშიპკით მომივიდა და ნუ ჰყვირით... კონკა გააჩერეს; ეს მილიციონი კაციც მობრძანდა; მაგას უშველოს ღმერთმა, — კარგათ ჩაატანა კინჩხოში ხელი და ორიოდე ქეც უთავაზა გვერდებში... ამ აურზაურზე ჩემს ცოლს ფოტინეს, ბატონო, ეეშალა ნომრები და ძლივს დავამწყნარე... მერე, ბატონო, ქე ხედავთ აგერ არის ეს ღვთის პირიდან გადავარდნილი! — და მიუბრუნდა ისევ ჯიბგირს.—უჰ! რა უტეხი შუბლი და თვალები გაქვს! შენ დროზე თუ არ დაგხრინტეს, მთელ ქვეყანას დააქცევ.

— სრულიათ ტყვილათ, უდანაშაულოთ მლანძღავს ეს კაცი! — დაიწყო თავის მართლება ჯიბგირმა. — მე, მართალია, მაგის გვერდში ვიჯექი... ჰოდა ჩაფიქრებული ვიყავი და უცბად ამერია... და ჩემს ნაცვლად მის ჯიბეში ჩავყავი ხელი... როგორც კი მიხვდა, იმ წუთშივე ბოდიში მოვუხადე, მაგრამ მაინც არ გაჩერდა, შეურაცყოფა მომაყენა ხალხში და მილიციონერით თქვენთან წამომიყვანა

— მე თქვენ გიცნობთ, რაც შვილები ხართ! მიმართა უბნის უფროსმა ორივე ჯიბგირებს. — პირველათ არ ხართ ასეთ საქმეზე აქ მოყვანილი! გასწით აქედან, გაეთრიეთ და მეორე ხელ არ ჩამივარდეთ ხელში, თორემ...

გახარებულმა ჯიბგირებმა ერთხმად მადლობა გადაუხადა უბნის უფროსს:

— ვეცდებით არ ჩაგივარდეთ ხელში! — და მხიარული ღიმილით გარედ გამოვიდნენ.

— შე დალოცვილო, მილიციის უფროსი ხარ, თუ ქრისტეს მოციქული?! ჩაილაპარაკა გაკვირვებულმა სოფლელმა და კომისარის კაბინეტიდან გამოვიდა.

გურული.

**ჩვენ თანამშრომელთა საყურადღებოდ!**

**„ტარტაროზი“ № 148**

**არის სპეციალური სააღდგომო ანტირელიგიური ნომერი.**

**მოგვაწოდეთ მასალები**

# ცნობათა მიღება

პს. გურულს: თქვენი წერილი არაფერში არ გამოგვადგა, გარდა იმისა, რომ მისთვის გასაცემი პასუხი მისგანვე ამოვიღეთ: „სადაც არის ბედი შენი, იქ მიგიყვანს ფეხი შენი“... აი, მხოლოდ ეს ერთი წინადადება გამოვიყენეთ და დანარჩენი თავის საკუთრება ფეხმა მიიყვანა იქ, სადაც იყო მისი ბედი, ესე იგი უფსკერო გოდორში. წერილი ქაღალდის ცალ გვერდზე უნდა დაწეროთ.

სკიპი-ს: ჩვენ ვგონია, რომ ხუმრობით გამოგვიგზავნიათ ეს მასალა და არა დასაბეჭდათ, თორემ არც ისეთი გულუბრყვილო იქნებით, რომ ასეთი მასალისვარგისიანობა გწამდეთ.

ჰა, თქვენი მეორე წერილი კიდევ. ვასრულებთ თქვენს თხოვნასა და სურვილს—ვბეჭდავთ თქვენს ლექსს:

ლექსის წერა ვერ ვისწავლე,
მუდამ ამას ვსტირი მე;
სად ხარ ჩემო ლობიო,
მუდამ მზად მაქვს პირი მე.

—:—

როცა ტფილისში ჩამოველ
შამოუხტენი ტრამვაის;
ათი შაურით დამშტრაფეს
და ვიძახდი: „ვაი-ვაი“-ს.

—:—

კახური ღვინო დავლიე,
თავში ტვინი ამირია;
ამის გამო გოლოვინსკიზე
შემოვძახე: „რია-რია“.

ალბათ, ეს ლექსიც მაშინ დაგიწერიათ.

მათრახს (ჩოჩხათი):—ნუ ხართ გულუბრყვილო. თითქოს საქმე გამოკეთდებოდეს:

აქ დაარსდა „კოლექტივი“,
რომელიც თავს ირთობს „ჩერე“-თ..
ტარტაროზო, უთხარ იმათ:
— შესწყვიტეთ და შეაჩერეთ!

ვეტყოდით, მაგრამ მაინც არაფერი გამოვა აქედან.

აქ იმათთან ზის ერთად
კომკავშირელი შალვა,
(ჯიჯიეშვილი გვარათ).—
უყვარს კრებებზე მალვა.
ვერ ცოდნია კარგი დამალვა!

ძნელ-ოღლის (დუშეთი):—ასეთ ამოცანას იძლევით გამოსაცნობათ ადგილობრივ ამბულატორიის ექიმის შესახებ:

სახლში მიგყავს... ერთიც ვნახოთ:
გამობრუნდა ავადმყოფი,—
მაშინ ექიმს გაუფრთხილდით—
დაიჭექებს როგორც თოფი;
ნაპერწკლებს ჰყრის თვალებიდან
ბრაზისაგან განაცოფი.

—:—

ერთი ვნახოთ: მოკვდა კაცი,—
მან შემოდგა სახლში ფეხი...
„მკვდრისთვის რატომ მეძახოდით?,“—
დაიქუხებს, როგორც მეხი,—
თქვენისანა უგუნურებს
„ზურგზე უნდა ედგათ კეხი“.

ამას ვინ არ მიხვდება, რომ ეს არის ექიმი შახტინაროვი! ამიტომაც ეს თქვენი მასალა არ დაიბეჭდება.

შოლტს:—თუმცალა ჩვეულებრივ ამბავს იწერებით, მაგრამ ჩვენ მხოლოდ ის გვაკვირვებს, რომ:

ალმასკომის თავმჯდომარე მთელი დღე სამიკიტნოში ქეიფობს... იგინება, ილანძღება... დილით სამიკიტნოს ვარებთან გდია, მისივე პირიდან ამონთხეულ სიბინძურეში... გამვლელები მაზე გადადიან“.,

საკვირველია, რატომ არ მიხედავენ ქუჩაში ჭაშხლართულ კაცს და არ ეპატრონებიან!

არ არის გასაკვირი, რომ კაცს ასეთი საქმე დამართია, რადგან:

ყაფიალდებმა და ძმა-ბიჭებმა
ის მიატოვეს, ვით მეფე ლირი....
იქვე კარებთან დაეცა პირქვე
და მისვე „მმმბეეე-“ში ჩაარჭო ცხვირი.

საწყალი ცხვირი... კიდევ კარგი, რომ ლორს არ მოუჭამია.

იშხვარს (თეთრი-წყარო. ხარაგოული): — თქვენს ლექსთა წყობას და შის რითმებს ვაგზავნით პოეზიის ქალაქ აბდა-ბოდვაში, სადაც ახლო ხანში გაიმართება კონკურსი და გამოფენა საუკეთესო ლექსებსა და რითმებზე.

პუპი რომ ამ საქმეს ჩადის
ჩემი თვალით ვნახე.
ნათლობა თუ სადმე იქნა,
არ იშურებს ხარჯებს.
ტარტაროზჯან, ინახულე
მასწავლებელი პუპი
მათრახიც თან წამოიღე
ერთი მაგრათ უჰი.

(ცნობისათვის ქალაქი აბდა-ბოდვა იმყოფება უფსკერო გოდრის დასავლეთ ნაწილში).

ბირცეცხლს (საჯევახო):—აი, რას ნიშნავს მოუფიქრებლობა და გაუგებრობა! თუ ვერამ არ თანაუგრძნო თქვენს სიყვარულს, თურმე ასე მოიქცევით::

გავალ მტკვარში ვერის ხიდზე
და შევდგები მოაჯირზე;
მე იქიდან თავს დავიხრჩობ,
დაგაქვრივებ ჟინზე, ჟინზე....

კი, მაგრამ საჯევახოდან ტფილისში უნდა ჩამობრძანდეთ თავის დასახრჩობათ?! არც ისეთი ბუმბერაზი ბრძანდებით, რომ ახლობელმა დიდ მდინარეებმა ვერ გაგიწიოთ სამსახური. კაცი თავს იხრჩობთ, ესეც კმარა, და რატომ სწევთ სამგზავრო ხარჯებს!? აი, ამას ჰქვია უთავბოლო და შეუსაბამო ხარჯები.

კანჭარაკუნას:—შედარებითია ყველაფერი.: თქვენ გვწერთ, რომ ეს ლექსი აუცილებლათ მოგვითავსოთ. რადგან იგი თქვენ დაგაწერინა იმ საუცხოვო სანახაობამ, რომელიც თქვენ წინ გადაიშალა, როცა:

იქით გორა, აქეთ გორა,
შუაში მთა ნისლიანი;
გადამეწვა ცეცხლისაგან
ერთი ფაცხა ისლიანი.

ამ ლექსს აკლია სიმხურვალე და ცეცხლი. ალბათ, არ ეყო ფაცხის დაწვა. უფრო დიდი რომ რამე დაგეწვებოდეს, ალბათ, უკეთესი სანახაობა იქნება და ლექსსაც უკეთესს დასწერთ. რაც უნდა იყოს, ამ ლექსის შესათხზველათ არ ღირდა ფაცხის დაწვა.

ახლა მიხვდი, თუ ნერონმა
რატომ დასწვა ცეცხლით რომი...
ცეცხლს უცქერდა და ლექსს სწერდა.
ქვის კედელზე მინაყრდომი...
პოეტებიც ლექსს მაშინ ვწერთ,—
როს თავი გვაქვს მეტად ცხელი....
და მეც თავი გამიცხელდა
და კალმისტარს ვსტაცე ხელი...

ეგლა კიდევ არაფერი, — მაგრამ რა გეშველებათ, როცა ზაფხულის სიცხეები დაიწყება!?

# „ჯადოსნური წრე“



1. ექიმს უსმენდა მოხსენებას: პაპიროსის წევა და ღვინი სმა საწამლავია ჩვენი ჯანმრთელობისათვის!!.

2. როცა სახლში დაბრუნდა, ცოლი გაახარა· მე აწი არც პაპიროსს მოვსწევ და არც არასოდეს დავთვრები!



3. მეორე დღეს სამეურნეო დარგის მუშაკს უსმენდა: ვინაიდან სახელმწიფოს დიდი შემოსავალი აქვს თამბაქოსა და ღვინისაგან, ამიტომ ჩვენ ხელი უნდა შევუწყოთ ამათ ზრდასა და განვითარებას“...

4. და იგი გალეშილი დაბრუნდა სახლში.
ხმა, კრინტი არ დაბერო! ემუქრებოდა ცოლს, მე საზოგადო საქმეს ვაკეთებ... მე სახელმწიფოს ვეხმარები! პაპიროსსა და ღვინოს ვენაცვალე მე.

პოლიგრაფტრესტის მე-6-ე სტამბა; კამოს ქ. № 68

კვირა. 8 აპრილი 1928 წ. № 147 წელიწადი მეხუთე ფასი 15 კაპ.

# ტარტაროზი

ევროპიელი „მესია"

„ბზობა"





იქა-აქ მსმენელთა თავები სავსე ღომის თავთავებსავით დახრილიყვენ, თითქოს გამგეს მოკრძალებით სალამს აძლევენ:

— დილა მშვიდობის... დილა მშვიდობის!...

მაგრამ მომხსენებელი (იმავე დაწესებულების გამგე) უფრო და უფრო ხმამაღლა და რიხით აგრძელებდა თავის სიტყვას, რომ დაჩრდილა ჩაძინებულთა მაგარი ხვრინვა, რომელიც, თითქოს უამრავი რადიო-მიმღები ხრიწინებსო, დარბაზს აყრუებდა.

—... ამგვარათ, ამხანაგებო,— ამბობდა მომხსენებელი,— გაფლანგვა და ბიუროკრატობა არ არის მოგონილი მარტო ადამიანის მიერ. მეცნიერულათ ჩემს მიერ დამტკიცებულია. რომ გაფლანგვა, რასაც დღეს ადგილი აქვს ჩვენს სავაჭრო დაწესებულებებში, ცხოველთა სამეფოშიაც ყოფილა.

ავიღოთ, მაგალითად, ძველი „დედა-ენიდან" ასეთი ამბავი:

## „თხამ შეჭამა ვენახი"

ალბათ, გემახსოვრებათ, რომ... თხამ შეჭამა ვენახი, თხა შეჭამა მგელმა, მგელი— თოფმა, თოფი—ჟანგმა, ჟანგი—თაგვმა, თაგვი—კატამ და ასე სულ.. აი, ასეა ერთმანეთზე გადაბმული დამნაშავეთა მთელი რიგი და საგამომძიებლო ორგანოებსა და პროკურატურას ძალიან უჭირს (და არც გასაკვირია) ყველა დამნაშავეების გამოაშკარავება..

ჩვენს დაწესებულებებში ჯერ კიდევ ბევრია: თხები, მგლები, თაგვები და სხვა ასეთები... და სწორეთ, აი ამიტომ არის, რომ ასეთ სამწუხარო მოვლენებს ადგილი აქვს ჩვენს ცხოვრებაში.

მართალია: ვენახის შემჭმელმა თხამ უკვე მიიღო საკმაო სასჯელი, მაგრამ არა ვენახის პატრონისაგან, რომელსაც შეეძლო დაეკლა ან გაეყიდა იგი და ნაწილობრივ მაინც დაეფარა ვენახის დეფიციტი თხის მიერ მიყენებული, — არამედ მგელისაგან, რომელმაც გემრიელათ შეახრამუნა ვენახით გამძღარი თხა და თავის გზას გაუდგა.

ეს არის, ამხანაგებო, ე. წ. „სამოსუდი", რისთვისაც მგელს პასუხი უნდა ეგო და კიდეც აგო—ის თოფმა მოჰკლა.

ეხლა გადავბრძანდეთ ბიუროკრატიზმზე, რომლის საუცხოვო ნიმუშს იძლევა იგივე „დედა-ენა", სადაც სწერია:

## „რწყილი და ჭიანჭველა"

თქვენ იცით, რომ რწყილი მივიდა ღორთან ჯაგრის სათხოვნელათ, რომ ამით გადაერჩინა წყალწაღებული ჭიანჭველა,—და ისიც იცით, თუ რა უპასუხა ღორმა:

— რკო მომიტანე და შემდეგ მოვილაპარაკოთო!...

ეს, ამხანაგებო, პირწავარდნილი ბიუროკრატობაა ღორის მხრივ... კიდევ მეტი და კიდევ უარესი,—ეს არის ქრთამი....

შემდეგ აქედან მიდის ყვავთან, იქიდან—ორმოსთან, ფეტვთან და ასე...

სანამ ჯაგარს მისცემდა ღორი, ჭიანჭველას უკვე თავისი დაემართა—დაიხრჩვა წყალში; წყალდიდობამ მოუსწრო... ბევრი ეძება დამხრჩვალი მეგობარი რწყილმა, მაგრამ ვერც „წყალის დამხრჩვალთა დამხმარე საზოგადოების" მცველებმა ნახეს, რადგან წყალი ამღვრეული იყო....

ვინ იყო ამისი მიზეზი?

აქ ორი პასუხი არ შეიძლება.

ამის მიზეზი იყო ბიუროკრატი ღორი, რომელსაც შეეძლო საჩქაროდ დახმარებოდა (და მით უმეტეს ასეთ შემთხვევის დროს) და საქმე არ გაეჭიანურებია...

ჩვენს დაწესებულებებში ბევრია ასეთი (უკაცრავათ თქმაა, ბოდიშს ვიხდი საკუთარი თავის წინაშე) „ბატონი ღორები" და მჩხავანა ყვავები, რომლებიც წარა-მარა ყველაფერზე უჩხავიან დაბალ მოსამსახურეებს.

კიდევ ერთი პატარა ნიმუში:

## „ხარაბუზა და ფუტკარი"

ვის არ გაგიგონიათ:

**ხარაბუზა ფუტკარს შეხვდა,**
**მიაძახა:—გზა მომეო.**

თქვენ როგორ გგონიათ—ეს არ არის ბიუროკრატობა?!

არის და მერე როგორი? ძალიან დიდი.

ხარაბუზა დარბის, დაბზუის და მას არავითარი სარგებლობა არ მოაქვს; ხოლო ფუტკარი კი ჩუმათ, უჩინრათ თაფლს აკეთებს. აქ შეიძლებოდა ასეთი პარალელის გავლება: ხარაბუზა, როგორც ჩვენი დაწესებულებების ზოგიერთი გამგე; ფუტკარი კი— როგორც დაბალი მოსამსახურე, რომელსაც თავი ჩაუკრავს ქაღალდებში და დაუზარებლათ მუშაობს.

ბევრი ასეთი ცოცხალი ნიმუშების მოყვანა შეიძლებოდა, მაგრამ რა საჭიროა, როცა ყველაფერი ისედაც გამორკვეულია.

ჩვენ უნდა ვებრძოლოთ ბიუროკრატობას და რითაც არ უნდა დაგვიჯდეს მოვსპოთ იგი.

ხელისუფლების ხელმძღვანელები ამბობენ:

— **სისტემატიური და ხანგრძლივი ბრძოლა ბიუროკრატიზმსო.**

მე კი ასე ვეტყოდი მათ:

— არა, ჩვენო ძვირფასნო; მაგ თქვენს დევიზში თქვენ ვერ ატყობთ, მაგრამ ჩაქსოვილია თვით ის ბიუროკრატიზმი, რომელსაც ებრძვით.. „**სისტემატიური და** ხანგრძლივი",—ეს ხომ ბიუროკრატიზმის დამახასიათებელია! ეს ხომ ბიუროკრატიზმის თვისებაა?!

ამიტომ მე ვამბობ:

— არა სისტემატიური და ხანგრძლივი, არამედ დაუყოვნებლივ... 

— არა სისტემატიური და ხანგრძლივი, არამედ დაჟყრითი და გადამჭრელი ბრძოლა ბიუროკრატიზმს!..—და მომხსენებელმა, თავისი თავის კმაყოფილმა, ტაში დაუკრა თავის თავს და თანაც მადლობა გამოუცხადა მას (ესე იგი, თავისთავს).

დარბაზი მომხსენებლის ტაშმა გამოაღვიძა.

— გაუთავებია მოხსენება... მადლობა ღმერთს... კი გვმართებს ტაში!—და მთელმა დარბაზმა ტაშით გააცილა სცენიდან მიმავალი მომხსენებელი.

**ენუქი.**




აქ ვიყიდი ავეჯს, —
არ იქნება ძვირი...

რომ გაიგო ფასი, —
ჩამოუშვა ცხვირი.

# „დაკარგვა“

საერთოდ, დაკარგვა, როგორც მესმება ჩემთვის მიუღებელია. მაგალითად, არ მიყვარს, როცა რამე იკარგება.

წარმოიდგინეთ დრო: ორატორმა, რომელმაც გახსნა კრება. კრების გახსნის განმარტებას მოანდომა ორი საათი. ბოლოს მაინც იმით დამთავრდა რომ მან კრება გახსნილად გამოაცხადა, თუმცა ყველა გრძნობდა, რომ კრება კარგი ხანია გახსნილი იყო. აქ გულუბრყვილო მოქალაქეს ეგონება, რომ ორატორმა დაკარგა დრო, მაგრამ ეს მოქალაქე უთუოდ ცდება. აქ იკარგება დრო, თვით მომხსენებელს ეკარგება ხმა, იკარგება კრების ზოგიერთ დელეგატის მოთმინება, იკარგება გულისყური, იკარგება ელექტრო-ენერგია, შალვრის უკანა ნაწილი (ცვდება), იკარგება ორატორის სიტყვების მეორე ნახევარი (რადგანაც მას არავინ არ უსმენს) და სხ.

ასეთია დაკარგვის ერთი უარყოფითი მხარე.

მაგალითად, იკარგება ფული. ერთი რომ ფული, როგორც ასეთი ეკარგება პატრონს; მეორე—ფულის პატრონი კარგავს დაკარგულ ფულის ნახვის იმედს, იგივე პატრონი კარგავს დროს დაკარგულ ფულის ძებნაში, იგივე პატრონი კარგავს ფულის მპოვნელის პოვნის იმედს; იმედის დაკარგვით კაცი ვარდება უიმედო მდგომარეობაში, მას იპყრობს პესიმიზმი, ანუ უიმედობა და ბოლოს იგი ხდება პოეტი.

ამრიგათ, ზოგიერთ რამის დაკარგვას შეუძლია პოეტობამდე მიიყვანოს დამკარგველი. თვით პოეტობას კი, ხომ იცით ბევრი რამის დაკარგვა მოსდევს: ასეთია მაგალითად, ზოგიერთ ნაწარმოებთა გამოცემაში ქაღალდის დაკარგვა, ქაღალდის ტრესტის ნდობის დაკარგვა, რითმების ძებნაში დროის დაკარგვა, ამავე რითმების გულისთვის იდეოლოგიური ფრონტის დაკარგვა და სხვ.

—:—

სულ სხვაა, როცა ადამიანი იკარგება. ადამიანი ხანდისხან ფულზე მეტი ღირს და დროზე უფრო ძვირფასიც არის. ადამიანის დაკარგვას ხშირად გაზეთში გამოცხადებაც მოსდევს და ხან ინტერვიუც იბეჭდება მოქალაქეთა დაკარგვის ობიექტიურ მიზეზების შესახებ.

მილიციის ზოგიერთი თანამშრომელი, მაგალითად, ამტკიცებს რომ ახალგაზრდები იკარგებიან იმიტომ, რომ ამერიკაში მიდიან კინო-მსახიობათ გახდომის გულისთვის. მათ თურმე ხიბლავს ამერიკული ტრიუკებიანი კინო-სურათები და მიდიან საოცარ ამერიკის სანახავად.

არის მეორე, საწინააღმდეგო მიმართულების ჯგუფი, რომელიც ამტკიცებს, რომ მოქალაქენი მართალია



ზოგ პროვინციების ალმასკომის თავმჯდომარე (თავის ახლობელ თანამშრომლებს):— დალოცვილია კულტურა და ინდუსტრიალიზაცია... ცხენს ავტომობილი სჯობია,—არც შენი თივა უნდა და არც უნაგირი, ჩაჯექი შიგ არხეინათ და გააბოლე უდარდელათ!

ტკარგებიან კინო- სურათების მიზეზით, მაგრამ დაკარგვის მოტივი სულ სხვა არის: ისინი ველარ უძლებენ სახკინმრეწვის სურათების ნახვას და იკარგებიან.

პირადათ ჩვენ გვგონია, რომ ეს უკანასკნელი არგუმენტი არ არის არა საყურადღებო.

მაგრამ არის სხვა მომენტებიც, როცა ადამიანი იკარგება სახკინმრეწვის მიზეზის გარეშეც. ასეთია მაგალითად ეს ამბავი:

ამ სტრიქონების დამწერი რამოდენიმეჯერ დაიკარგა ქ. თბილისში, უბრალოთ კი არა, საფუძვლიანად დაიკარგა.

შემთხვევა პირველი: იგი (სტრიქონების ავტორი) წავიდა ელექტრონის მომწესრიგებელ სამმართველოში ელექტრონის ქირის შესატანად. იცადა რიგში, იცადა და ბოლოს მოთმინება დაკარგა. ადგა და გაზეთში შემდეგი განცხადება გაგზავნა:

**დავკარგე მოთმინება ემსში (იგივეა, რაც თუესი, ანუ ელექრტონის მომწესრიგებელი სამამრთველო), ჩ. გ. (ჩ. გ. ნიშნავს—ჩაითვალოს გაუქმებულად).**

შემთხვევა მეორე: იგივე მოქალაქე, მმარ-ში იდგა რიგში. სამი საათის ლოდინის შემდეგ მან ისევ გაგზავნა განცხადება:

**დავკარგე განქორწინების იმედი. ჩ. გ.**

მეორე დღეს განქორწინების შემდეგ იგივე მოქალაქე შეუდგა ახალი ცოლის ძებნას და პირველი ცოლის ალიმენტის საკითხის მოგვარებას. სამისოდ მან მიმართა იურისკონსულტს, რომელმაც საქმე სასამართლოში გადაიტანა.

მოგეხსენებათ, სასამართლოში საქმეების გარჩევის სასწრაფის ამბავი. ხსენებული მოქალაქე სამი წელი ელოდებოდა საქმის გარჩევას, მაგრამ ბოლოს იძულებული გახდა ასეთი განცხადება შეედგინა:

**დავკარგე სასამართლოში საქმის გარჩევის იმედი ჩ. გ.**

იმავე მოქალაქეს, რომელიღაც საბჭოთა დაწესებულებაში გამგის ნახვა დასჭირდა. სამი დღე გაატარა მან გამგის კაბინეტთან დგომაში და დარაჯთან პოლემიკაში, მაგრამ ამაოდ: მეოთხე დღეს მან ისევ დასწერა განცხადება.

**დავკარგე დაწესებულების გამგის ნახვის იმედი. ჩ. გ.**

ამავე სუბიექტს წყალის ფული დაურჩა შესატანი. ალმასკომის სალაროსთან დგომის დროს მან შემდეგი განცხადება ჩააჭიკჭიკა:

**დავკარგე ალმასკომის სალაროში ფულის შეტანის იმედი და თვით შესატანი ფულიც. ჩ. გ.**

იყო ასეთი დროც, როცა ეს მოქალაქე უმუშევარი გახლდა და არც პროფკავშირის საწევრო წიგნაკით იყო შეიარაღებული. ბევრი ირბინა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა: სამუშაოზე არ მიიღეს — კავშირის წევრი არ ხარო და კავშირშიც არ ჩასწერეს, — რადგანაც კავშირში თურმე მხოლოდ მომუშავეებს იღებენ. ამ ხეტიალს შედეგათ ასეთი განცხადება მოჰყვა:

**ერთი მეორის მიზეზის გამო დავკარგე სამუშაოს შოვნის და პროფკავშირში ჩაწერის იმედი. ჩ. გ.**

ჟენევაში განიარაღების მოსამზადებელი კონფერენცია რომ უშედეგოთ დამთავრდა, ხსენებულმა პირმა შემდეგი განცხადება გამოაქვეყნა:

**დავკარგე განიარაღების იმედი ჩ. გ.**

იგივე მოქალაქე ფრიად დაინტერესებული იყო ჩინეთის ამბებით, მაგრამ არ იქნა და არა! ვერც ჩინელ გენერლების სახელები და ვერც ჩინეთის რაიონების სახელწოდებები ვერ დაიმახსოვრა. ამას მოჰყვა შემდეგი:

**დავკარგე ჩინეთის ამბების გაგების უნარი სა-ჩაო-ბაუ. (ვითომ—საჭიროა ჩაითვალოს გაუქმებულად).**

ერთხელ, ლენინის რაიონში მოგზაურობის დროს ამავე მოქალაქემ დაკარგა ტრამვაის ვაგონის მოსვლის იმედი და შემდეგ, როცა ავ[illegible]მბრიდან სახლში ბრუნდებოდა, დაკარგა გონება ვიღაც ხულიგნის კეტის დაკვრის გამო.

ასეთია დაკარგვათა კონკრეტიული შემთხვევები. აქედან ცხადი ხდება, რომ ჩვენ ყოველი ძალ-ღონით უნდა ვებრძოლოთ დაკარგვას, როგორც სოციალურად მავნე მოვლენას, და დაკვრითი წესით გამოვაცხადოთ დაკარგვათა საწინააღმდეგო კამპანია.

ალდარ-ალდარსანი

# ტრამვაის პარკთან

(ყურ-მოკრული)

— შენ დღიზა რომელ სმენაში ხარ?

— ნაჩნოიზა.

— ნაჩნოიზა რატომ? გუშლამ არ ჲყავი ნაჩნოი?

— კი, მარა რაცხა აშიპკა მოსვლია ჩასპრედელიტელს.

— რომელ უჩასტკაზედ ხარ დანიშნული?

— ვერინცკი პადომზედ და გალავინცკიზედ.

— იქინე რა უშავს, იქინე დღისითაა ბრევლი მუშაობა, თვარა ნაჩნოიზა არაფელია.

— მაგი კი, მარა გვიან მივალ სახლჩი.

— სმენა ვის უნდა გოუკეთო ბოშო"?

— მელაძეს.

— მართალია, აქით მეიხედე! ქალოვნას უმატებენო, მართალია? მე ხომ იცი, ოტპუსკში ვიყავი და გუშლამ ჩამევედი.

— აჰ! გაჩუმდი, თუ ძმა ხარ, თვარა დეიწყება კიდოვ საკრაშჩენიე, აპა ისთე რას მოგიმატებენ.

— მეიცა, ერთი ის მითხარ, რავაა ის საქმე, შენი ვაგონიდან კაცი რო გადმოვარდა და თავი გეიტეხა?

— კაცო! იცი, მერე რავა იყო საქმე?.. ჯერ-და ვაგონი არ იყო ასტანოვკაზედ გაჩერებული, რომ ვინცხა ოხერი შემოხტა გაქანებულ ვაგონზედ, ნეჩაიხად ულიცაზედ მორე კაცს წეეჯიკავა და ორივე წეიქცენ. მე ვაგონი გავაჩერე, სვისტოკი მივეცი, მილიცია მევიდა და პრატაკოლს შოუდგა, — მარა მოგროვდა ვაგონები, იბუნტა პასაჯირებმა — რაიზე გვაჩერებთო და იგი მილიციაში წეიყვანეს, ჩემი ვაგონის ნომერი და ჩემი გვარი ჩეიწერეს და წევიდენ. რით გათავდება ჯერ-და არფელი ვიცი.

— ნიჩაო, პუსტიაკი! ჩეივლის ისთე, ტყვილა,

— მშვიდობით, მშვიდობით, აგერ მევიდა ჩემი ვაგონი.

— მშვიდობით!

მათე.

# პირი სოფლისაკენ



„ამერიკელი ძია"

როცა ქალაქი წამართვეს,—
სოფლისკენ ვქენი პირია.
რა მიჭირს, თუ კი თან მახლავს
მე ჩემი ორი გმირია.
არშაკ მინაიჩ, კომბალა,
რათ ჩამოუშვით ცხვირია
გამხნევდით, ნუ გეშინიათ,
კვლავ სიყოჩალე გვჭირია.
თუმცა ქალაქი წაგვართვეს,
მაგრამ სოფელი ჩვენია.
თქვენს თავს ვფიცავარ—ნაკლები
იქ არ მივიღოთ ძღვენია...

არშაკ მინაიჩ და კომბალა

გამხნევდით!... მაგრამ ძნელია...
„რღვევა" მოგვისწრებს იქაო,—
და მაშინ ნახავ, რომ ყველგან
გაგვძვრება ტყავი, სიქაო.

# სოფ. ობჩა

(ქუთ. მაზრა)

შენ გევედრები მოგვხედე,
ტარტაროზ, კოხტა რქიანო,
სოფელ ობჩაში მოფრინდი,
არამც არ დაიგვიანო.
სვირის ფოსტაში შეძვერი
მიავლ-მოავლე თვალიო;
მამგეთ იქ სერგო ბრძანდება,
ხომ არ არის ცოტა მთვრალიო?
გამოუძახე ლეოსა,
რათ არ ააწყობს ბოგირებს?
(ასეთ მუშაკსა — მგონია
ჩანგალი აბოგინებს.)

—:—

იქვე ფოსტაში, ტარტაროზ.
აბესაძესა დასწვდიო,
უთხარ: — გიჩივის გლეხობა,
რომ წერილებს არ აწვდიო.
შემდეგში აღარ დაყაროს
ასეთი სამკითხველოში.
თორემ პანღურის გაკვრითა
შეძვრება თავეთა — ხვრელოში.

ახალი დოსტი,

# ჭადრაკის გავლენით

— ეხ! კარგია შევბულება!.. უფრო კარგია— ერთითვის რომ იყოს.. უკეთესია—ამ გამხმარ ცხენზე არ ვიჯდე და ჩვენ სოფელს საეტლე გზა უდგებოდეს... ამაზე უკეთესია.. ვინ იცის რამდენ ასეთ „უკეთესს" გამოვნახავდი, რომ ჩემი ფიქრები ფოსტის დარაჯის დანახვას არ შეეწყვიტა.

ჩემო სონიჩქა ისე მიყვარხარ
რომ დამეკარგა მე შენგნით ჭკუა,
მოვალ სოფელში, დაგეტაკები,
როგორც მოჭიდავე ესებუა.

მოიმღეროდა იგი „დავიარები ბნელ ბნელ ქუჩებში"-ს ხმაზე და ჩემკენ მოდიოდა.

— ბიჭოს! ეს ხომ ის ლექსია, პოეტს რომ საგანგებოთ დავაწერინე და სატრფოს გაუგზავნე ჩემი სახელით? ამ ოხერმა საიდან იცის?!—ვფიქრობ და თან გამოკითხვის მერიდება.

— გამარჯობა ალექსანდრე! ეს ლექსი სად გისწავლია?—უნებლიედ შევეკითხე, როცა გაუსწორდი.

— შახ!—იძახის ალექსანდრე და ჩემ ცხენს ცხვირწინ უჩერდება.

სადღაც ჩაუხეთქია!—ვფიქრობ და მას კი ხმა-მაღლა ვეუბნები:

— ეხლა შახიც შენ ხარ და სულთანიც, მაგ ცხენს წინ ნუ დაუდგები, კბენა იცის.

— თავს ნუ იკატუნებ! კარგათ იცი, რომ ცხენი პირდაპირ ვერ დადის, როგორც „გ"-ეს აკეთებს, მარა ხომ ხედავ იმ ოფიცერს? მაშინვე მოჰკლავს შენ ცხენს:

მე განზე გავიხედე და დავინახე ფრიად მშვიდობიანი მოხუცი; მისგან არ შეიძლება ცხენის მოკვლა; დანამდვილებით ვიცი—ქათამიც არ დაუკლავს თავის სიცოცხლეში და ოფიცრადაც არასოდეს ყოფილა.

ცხენს მათრახი გადავკარი და საჩქაროდ წინ გავსწიე.

— უკანონო სვლაა, უკანვე დააბრუნე,—მომაძახა ფოსტის დარაჯმა.

— სხვა დროს ვიწუსაიფოთ! სხვა დროს!—ხმამაღლა დავუყვირე მას და ჩემთვის კი ჩავილაპარაკე: — ჩემო ძმაო, სიფხიზლეში არ გაქვს ჭკუა და სიმთვრალეში ხომ არ მოგემატება!

სახლში მისვლამდე ფოსტასთან შევჩერდი: მინდა გამოვარკვიო:—როგორ მოხდა, რომ ჩემი დახურული წერილი ფოსტის დარაჯმა წაიკითხა, ან იქნებ დამაეიწყდა და დახურულის მაგიერ ღია წერილი გამეგზავნე?

— გარდე!—მომახალა ფოსტის უფროსმა მისვლისთანავე და თავისი წვეტიანი რკინის ჯოხი ჩემ პატარა ჩემოდანს დაუმიზნა. მე შიშმა ამიტანა. გამახსენდა, რომ ფოსტის დარაჯი მთვრალი მოდიოდა და ხელად დასკვნა გამოვიტანე—სადმე ერთად უქეიფნიათ მეთქი.

— გარდე!! გარდე!! რა უნდა ნეტავი?! აჰა! გარდე?

— თქვენ გაინტერესებთ, თუ როგორ გაკეთდა მატი, არა?—დაიწყო ისევ წინ და ფოსტაში შემიძღვა.—აი ხომ ხედავ ამ მეფეს (ხელში ჩემი წერილი აიღო, სწორედ ის სატრფოს, რომ მივსწერე). იმას იცავდა ეს პეშკა (მან კონვერტზე მიმითითა, საიდანაც წერილი ამოიღო), მე დავემუქრე ამ ოფიცრით; (მან ლამპა მიჩვენა, თანაც აანთო და თვალსაჩინოებისათვის კონვერტს გახედა). მეფეს ჩამოეფარა ეს ტური (კონვერტიდან ლურჯი ქაღალდი (სარჩული) ამოაძრო, რომელშიაც სინათლე ვერ გაატანს). მაშინ ეს დედოფალი (ხელში მაკრატელი აიღო), ცხვირ წინ დაუსვი და მატიც გაკეთდა.. ჰა.. ჰა!.. ჰა.:: ჰა::: როგორი ლამაზი მატია, ა?

— კარგია, კარგი!—საჩქაროდ მივაძახე და გარეთ გამოვარდი შეშინებული.

—:—

ჩემი ახლო მეზობელი ნიკო ეზოში დასეირნობდა. მე გამაკვირვა იმ გარემოებამ, რომ ეს საუკეთესო მეურნე არავითარ ყურადღებას არ აქცევდა ძროხის ბლავილს და თხის პეტელს.

— ნიკოს გაუმარჯოსა!—გადავძახე მე.

— შახ! შახ!— მომაძახა მან და მე ცხენი ავაჩქარე.

სკოლას მიუახლოვდი. ეზოში მოთამაშე ბავშს ცხენიდან გადავძახე.

— აბა, პატარა ბიჭო, ერთი სთხოვე მასწავლებელს გამოვიდეს.

— თქვენი გამბიტი მიღებულია!—მომაძახა მოწაფემ და სკოლაში შევარდა.

— სანდროს ჩემი სალამი! ვისია ეს ყოჩაღი ბავში —შევეკითხე ძველ მეგობარს.

— ეს უბრალო პეშკა არ გეგონოს,—დედოფლობა არ ასცდება, ძალიან წინ წავიდა,—მომიგო მასწავლებელმა და ერთ საგონებელში ჩამაგდო. სკოლის ეზოში წყალი სავსე ბოჭკა შევნიშნე და წყალი მოვითხოვე, რომ სიჩუმე დამერღვია.

— თქვენ თქვენი ცხენით ემუქრებით იმ ტურას; (ბოჭკაზე მიმითითა), მაგრამ ვერ ამჩნევ იმ ჩამორჩენილ პეშკას (ეხლა სკოლის დარაჯისაკენ მიიხედა) ცხენის გაცვლა პეშკაში დაუშვებელია...

— უკაცრავად!..., უკაცრავად! გამოვიარ და მერმე ვილაპარაკოთ!—დავუძახე და ცხენს მათრახი გადავკარი.

— ეჰე!!! მეფის ადგილიდან დაძვრა საზარალოა, თქვენ როკიროვკის უფლება დაჰკარგეთ!—გავიგონე უკანასკნელი სიტყვები და გადავწყვიტე არც ერთ ნაცნობს არ მივკარებოდი სიახლოვეს.

— სიცოცხლე და კარგათ ყოფნა ჩემო ბატონო! რავა ბრძანდებით, რავა კარგათ?—მომესმა დარბაისელი მოხუცის ხმა და შევჩერდი.

ძლივს გავიგონე ხმა, ჩემთვის გასაგებ ენაზე და სიხარულმა ამიტაცა.

— თქვენ როგორ გიკითხოთ, ჩემო გიორგი? თუ იცი შახი, ოფიცერი, ტური, როკიროვკა, პეშკა, დედოფალი?—ისეთი ტონით შევეკითხე, თითქოს მე ვიცოდი და მის გამოცდას ვაპირებდი.

ცხენზე აღარაფერი ვკითხე, იმიტომ რომ ვიცი ცხენი, ცხენია. ოფიცერზე და დედოფალზეც არ მინდოდა მეკითხა, მარა მოხუც იაკობთეს რომ ოფიცერი დაუძახა ფოსტის დარაჯმა და ეს ჩემი ყურით გავიგონე, სწორედ იმან დამაფიქრა. მაკრატელიც ვიცი; დედოფალიც ვიცი, მაგრამ ფოსტის უფროსმა მაკრატელს რომ დედოფალი უწოდა, ამ ამბავმა ერთიანად დამაბნია.

— მაგი რავა არ ვიცი, ჩემო ბატონო! მაგან გადარია და შეშალა ჩვენი სოფელი. შოთა რუსთაველმა რომ დასწერა „ნარდი ხელია, ჭადრაკი ჭკუა"-ო (ეს კაცი ყველაფერს შოთა რუსთაველს აწერს), იმიტომ დასწერა, რომ ჭკუიანი ხალხის საქმეა მაგი თამაში. რათ უნდა ახლა ნიკოის ჭადრაკი. დღე და ღამე აღარ სძინავს რაც მაგი თამაში შემოიღეს ჩვენ სოფელში.

— შახ! შახ!—იძახის მუდამ, დიებნა ჭკუა, ძროხის მორეცია ჩალა ხბოს დოუყარა, ხბოს პორცია ძროხას. ხბომ ჩალა გააფუჭა და ძროხამ ბლავილით შეაწუხა ქვეყანა.

— აჰა! მე ყველა მთვრალი მეგონა... თურმე ეს ჭადრაკი ყოფილა, ჩემო გიორგი არა?

— ვითომ არ იცი ისე კითხულობ!

ღმერთმანი არ ვიცი,—გულწრფელად განუცხადე ამ ერთად ერთ ჩემის აზრით ჭკუიდან შეუშლელ კაცს.

— ჰე! ჰე! ჰე! ჰე! საქმე რომ დარჩეს, შენ დოხტურობა შეგიძლია, და მაგი თამაში როვა არ გეცოდინება?! ჩაიჩითხითა მან და გზას გაუდგა.

— თუ ჭადრაკის თამაში არ ვისწავლე, აღარ ეწყობა ჩემ საკუთარ სოფელში ველარავინ მიცნობს!

**სიმონ-ალ.**

# ცემ-ცხელება



ცოლი (ქმარს): — რატომ ასე ადრე დაბრუნდი სამსახურიდან? ავათ ხომ არა ხარ?!

ქმარი:—ჰო... ისე... რევიზია მოდისო და ავად გავხდი!

## მაუდის ქარხნის სასადილოში

სასადილოს გამგეობა
ვერ სცნობს სხვას და მისიანს,—
და იძლევა ხელგაშლილად
ყოველ კაცზე ნისიას.
მას მუშტრები თავს ეხვევა...
ვალი ფეხზე კიდიათ..
შიგ თვეობით თავს ირჩენენ...
ქეიფობენ... მიდიან...
თვის ბოლოს კი არის ჩხუბი—
ვინ შეჭამა... ვინ იყო?!
ასეთ წესით გაკოტრება
დაიძახებს:—ყიყლიყო.

იანო.

## გამოცანა

ნატანებისათვის.

ასე ჰქვია: „წმინდა მამა“,
„ცოდვა-მადლის გამკითხავი“...
ხრიკებით და ტყუილებით
მთლად გააძრო გლეხებს ტყავი.
რა რომ ეხლა აღარ სწყალობს
ძველი დრო და ძველი ძალა,—
ვით მუცელი, ისე ჯიბე
მას სავსებით დაეცალა.
ეტყობა რომ „მოღვაწეა“,
შეასრულა საქმე ძნელი,—
სალოცავის ასაგებათ
მან გაზიდა სკოლის ძელი.
ყელს გამოგჭრის თუ გიხეირხა,
თუ მოუდგა რამე ხერხით;
ოღონდ ავი გააკეთოს
და სტამბოლში ჩავა ფეხით.

ნალმი.

# მისი გაჭირვება

იგი სალოკავი თითი, რომელიც ჩვენ თავმჯდომარეს ზუსტე არჩევნების დროს, ჩონჩორიკში რომ მეკრა არ მერჩია?

რავა გამომშხამა და გამომწყვიტა ტერ-მოყვარეში? როგორი საათივით აწყობილი ოჯახი ამისვარ-დამისვარა? რავარი უცნაური პერევაროტი მომიხდინა ოჯახში, რომ გამახსენდება, ცეცხლი მეკიდება ფირფიტაზე.

ერთს რომ დევიყვირებდი, ოთხფეხი და ორფეხი შიშით მიწაში მიძვრებოდენ; თავს იგდებდა ჩემბერლენი და მისი პოლიტიკა ჩემთან. ბევრჯერ მეინდომა კესარიამ ჩემი განიარაღება, მაგრამ ბრანწი მივართვი, მშვიდობიანობის კომისიაც კი შემომიჩინა თავისიანებისაგან შემდგარი, მაგრამ ახლოსაც არ წევიკარე. ჯამაგირს რომ ევიღებდი, დუქნიდან დუქანში გადავდიოდი. ვინც გაბედავდა ჩემ წინაშე ენის შებრუნებას, და წარბის შეჭანებას, აუცილებლად ვაი-უბედურება ელოდა ჩემგან, ისინიც ძალას ხედავდენ ჩემში და ენა ჩავარდნილი იყვენ.

ჰო-და ასე ქე ვიყავი ბატონი და ბრძანებელი, რომ დევეეყენები.

გამოაცხადეს პროფკავშირის კრებაზე:—პრიკაზია; ყველა პროფკავშირის წევრები ვალდებულია გააქტივონ თავიანთი ცოლები, არონიონ კრებებზე და „ქალთა სადელეგატო ინსტიტუტში“-ო,

როგორც კისრის მოჭრა, ისე მისი კრებებზე გაჩვევა არ მინდოდა, მაგრამ ნათქვამია „ორმა თუ იცის, ღორმაც იცის“-ო. და ჩემი ცოლის ყურამდეც მისულა ეს პრიკაზი. ერთ შავ ზოლებიან დღეს, ქე არი წამოსკუპული ქალთა კრებაზე პირველ სკამზე?! ვიტკვლიცე შუბლში ხელი, მოუსვი სახლისაკენ და გადაურაზე კარები. სანამდე არ შემომფიცა: „აწი არ წავალ“-ო, მანამ სახლში არ შემოვახედე.

გავიდა ერთი კვირა და სწორზე კიდევ შევისწარი მოვდექი!...

— ;აი, შე გაჭირვებულოო,— და მომდგა, მარა რა მომდგა; იგი ენა-ჩავარდნილი, 10 წელიწადია, მისგან სიტყვის შემობრუნება რომ არ მახსოვდა,— არ მომედა ზურგზე?! ვიფიქრე:—მომხედა ღმერთმა; ვილაცა კი უნდა ჰყავდეს შეყვარებული და თუ გავთავისუფლდი ამისგან, ახლა მეშველა მეთქი. უტრიალე აქეთ-იქით; ვზდიე კრებებზე ნიკოლოზის სისჩიკივით, მარა თქვენც არ მომიკვდეთ. მსგავსი ვერაფერიც ვერ უნახე. რამდენი დღე გევიდა, იმდენი გული და გამბედაობა მიეცა;

გამიხდა ყვავილ ბატონებიანივით მოსაბოდიშებელი. ჩივვარდი ცეცხლში; გოუშვა, რავა გოუშვა? — არა და, —ჩაჯექი ნაცარში და უფშუკური ნიგუზალს... სიბერემდე— სიქალეო,— ჩემზეა სწორეთ ნათქვამი!

კონტაიდი.



ხშირათ ნახულობდენ მოლარეს თავისი ცოლი დაპატარა ვაჟი სამსახურში... და როცა პატარამ მამას თვა-ლი მოჰკრა რკინის ხლართულების იქით, დედას ალტა ცებით შესძახა:



— დედილო, ხედავ მამას სალაროში?
— არა, შვილო; ეს სალარო კი არ არის,—ეს გამსახ.ლია...

# ხრესილის ბაზრობა

## ბაზარში

ესობა:—ამხანაგო, ერთხელ და სამუდამოთ უნდა იცო-დე, რომ ამ ხეზე ხარებს მე ვაბამ და ვერავინ ვერ გადა-მელობება წინ. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ღმერ-თი მაინც აღარ გწამს? ვინ იცის რამდენი მილიციელი გამომითვრია ამ ხის მისაკუთრებაში!?

**მელიტონა:**—კაცო, ხომ არ გადირიე?!—კამისარი მე დამპირდა ამ ხეს და სათანადო მაყარიჩსაც დავპირდი.

ესობა:—შენ იმდენს ილაპარაკებ, რომ ჩხუბსაც მაქ-ნევინებ და ცხვირსაც გამაწითლებიებ.

**მელიტონა:**—აბა, მობრძანდი თუ კაი ბიჭი ბრძან-დები, იცოცხლე შენ კბილები ჩაგამტვრიო (სცემენ, ერთ-მანეთს. ხალხი მოგროვდება და ყვირიან).

**მილიციელი:**— ვის არის, რომ ჩხუბობს?! აბა, წა-მობრძანდით კუტუსკაში (ხელს ჩაავლებს).

**მიკიტანი:**—ბატონო მილიციელო, მაგი პატიოსანი კაცია, აწი აღარ ჩაიდენს ასეთ საქმეს და ეხლა გაუ-შვი.

**დაპატიმრებული:**— წამობრძანდი, ბატონო მილი-ციელო; აგერ სამიკიტნოში და ცოტა პურღვინო მიირ-თვით; კამისარიც იქ სვამს და ეგებ მან გამათავისუფ-ლოს.

მილიციელი: —გააწყობ კარგ პურ-მარილს ხომ?

**დატუსაღებული:**— კი ბატონო, მხოლოდ კამისარიც დაპატიჟე ჩვენს კამპანიაში.

## სამიკიტნოში

მილიციელი (პატაკით);— ბატონო კამისარო, ჩემს მორიგეობის დროს მოხდა ხრესილის ბაზარში ჩხუბი, ორი დატუსაღებულია და აგერ მოვიყვანე; მკვლელობას ადგილი არ ქონია.

კამისარი (დაპატიმრებულთ):— შერიგდებით?

ერთი დაპატიმრებული:— კი, ბატონო, აბა, რა გვაქვს საჩხუბარი, მარა თქვენ რომ ხე შეგვპირდი, იმაზე მოგვდის ჩხუბი; ქენი სიკეთე და ან ერთს მოგვაკუთნე, და ან მეორეს.

მიკიტანი:—ბატონო, კამისარო, მაგენი შერიგდებიან და პურ-მარილის გაწყობა კი აუცილებლად საჭიროა. აბა რათ გინდა მაგენის დატუსაღება! ჩვენ რა შეგვეძი-ნება მით. რომ მაგენი სატუსაღოში ჩავყაროთ?!

კამისარი:— მაშ, ვნახოთ როგორ ღვინოს ჩამოასხა-მენ?

დაპატიმრებულნი:— გაგვიშვით, ბატონო, კამისარო, და პურ-მარილი ჩვენზე იყოს, აბა, დაჰერი ინდაური და გახსენი ყიფიანის ღვინო (მიკიტანი დატრიალდება და გააწყობს სუფრას).

**მილიციელი:** — ამხანაგო, ტოლუმბაშათ უნდა ავირ-ჩიოთ კამისარი. (ერთხმათ ირჩევენ).

**კამისარი:**— იმ ბუნებას გაუმარჯოს, რომელი ბუნე-ბაც ასეთ კომფლიქტებს არ მოსპობს, თორემ რა ეშვე-ლება მილიციას, ხომ უნდა დაწყდენ შიმშილით (გარე-დან ისმის ყიჟინი: „მოჰკლეს... მოკლეს... უშველეთ, სად არის მილიცია“ და სხვა).

**კამისარი:**—აცალეთ, ჯერ დაამტვრიონ ერთმანეთს ცხვირ-პირი და შემდეგ ასეთივე მახეში გავაბათ, რო-გორც ესენი...

**რქიანი:**



— ცოლი შეგირთავს და ქორწილში არ დამპატიჟე?
— ქორწილის გადახდა ვერც კი მოვასწარი,—უკვე განსაქორწინებლათ მივდივართ ზმახ-ში!.

# „განაჩენი“

...„მოისმინა რა და განიხილა რა საქმე ბრალდებისა, გამო № სოფლის, № თემის, № მაზრის მცხოვრებისა და **ნოე ნაბიჭვრიშვილისა** („უკანონო შვილისა“) მიმართ **მაქსიმე ნაცოდვილარისშვილისა.** შეურაცყოფისა ხელყოფით ქმედობაში, გათვალისწინებული სისხლის სამართლის კოდექსის № მუხლისა, 1 ნაწილით, სცნო: იყო რა იგი (ვინ?) ნასვამი ღვინით, შეხვდა რა ნაცოდვილარისშვილი გასულ წლის მარტის 2 რიცხვში შეძახებით „ვინა ხარ“ აჩერებს მას და მის მიმართ უკანასკნელი იღებს ჯიბიდან ხელს, რისი უფლებაც მას არ ჰქონდა და როცა იგი შემობრუნდება (ვინ?) და როცა დააპირებს წასვლას უწმაწური სიტყვის ხმარებით იჩენს მისდამი შეურაცყოფის გამომწვევ ქმედობას და როცა პირველი მეორეს სიტყვას შეუბრუნებს, მეორეც პირველს არ შეარჩენს „მამაძაღლის“ წარმოთქმით, უპასუხებს რა იგი „სვოლოჩ“, რაიც გააბრაზებს მას და ეტყვის „სუქინსინ“, რაზედაც ის უპასუხებს „შენი დედა“ და თავის მხრივ ზედ დაურთავს „ცოლი“, რა ნიადაგზედაც ხალხი შექუჩდება და დაიწყება გაწევ-გამოწევა და უკანასკნელი (!) კიდეც მოასწრებს და გაარტყამს მას, რომელიც არის ადამიანის პირადობის შეურაცყოფა საერთოდ და კერძოდ კი მოპირდაპირისადმი, რომელიც როგორც სასამართლოს მასალებიდან სჩანს არ არის საბაბის მიმცემი და არც რაიმე უკმაყოფილება და არც ნაცნობობა ჰქონია მასთან და პირველადვე არ უპასუხნია მას, თუმცა მართალია მან სთქვა უხამსო სიტყვა „მამძაღლო!“, მოპირდაპირე უპასუხებს „სვოლოჩ“, თუმცა არც „სვოლოჩს“ დაყაბულდა და ზედ დაუმატა „შენი დედაც“, რაც უსათუოდ მეტად შეურაცმყოფელია „ცოლის“ დაყოლებით, ყოველივე ამის შემდეგ სასამართლო იღებს რა მხედველობაში, რომ მას თან დაერთო მარჯვენა ხელის შეკუმშული მუშტის დარტყმა ისეთ ადგილას, როგორიც არის თავი, რაც შესაძლებელი იყო ძალიან მძიმედ დაზიანებულიყო, მით უფრო, რომ ამ უკანასკნელს თმა თავზე არ აქვს და როგორც თვითონ აცხადებს არც დარტყმის დროს არ ჰქონია და მოწმეების ჩვენებით უკვე მრავალი წელია თავმოტიტვლეპილი დადის. ესე იგი არის მელოტი, ყოველივე ეს დასტურდება სასამართლოს გამოძიებით, ამიტომ იხელმძღვანელა რა ზემოდ ჩამოთვლილი მოსაზრებებით და საქმეში დართული მასლებით, სასამართლო მიდის იმ დასკვნამდე, რომ ბრალდება მიმართ ბრალდებულისა დამტკიცებულად უნდა ჩაითვალოს, თუმცა თვითონ ბრალდებული თავს დამნაშავედ არ სცნობს და აცხადებს, რომ გინებას ადგილი არ ჰქონია, მაგრამ განა გინება არ არის „სვოლოჩ“, „სუქინსინ“, „შენი დედა“ და „ცოლიც“, ან იქნება ის ფიქრობს, რომ სასამართლო მას დაუჯერებს და არ დაემყარება ფაქტიურ მასალებს. ყოველივე ზემოდ აღნიშნულის გამო სასამართლომ დაადგინა: ბრალდებულ **მაქსიმე ნაცოდვილარიშვილის** მიმართ საბრალმდებლო სკამზე კი ზის ნაბიჭვრიშვილი!) ჩაითვალოს დამტკიცებულად და თანახმად № მუხლის 1 ნაწილისა მიესაჯოს მას თავისუფლების აღკვეთა 6 თვის ვადით. სასამართლომ მხედველობაში მიიღო მთელი რიგი შემამსუბუქებელ გარემოებისა და როგორც ხულიგანს (!) სასჯელი გაუნახევრა“...

განაჩენის წაკითხვის შემდეგ ირკვევა, რომ ბრალდებული ყოფილა ნაბიჯვრიშვილი. განაჩენს დაერთვის **შენიშვნა:** „ვინაიდან საბრალმდებლო სკამზე აღმოჩნდა ნაბიჭვრიშვილი და არა ნაცოდვილარიშვილი, **მისჯილი** სოცდაცვის ღონისძიება ნაცოდვილარისშვილისაგან გადატანილ იქნეს ნაბიჭვრიშვილზე, ხოლო ნაცოდვილარიშვილი კი ცნობილ იქნეს უდანაშაულოდ“.

**სვეირ-ბენ-შეიხ.**




— რა დაგმართია, დაოჯან! როგორ გამხდარხარ?

— ჩვენი სოფლის კოოპერატივი თვითონ გამგეებმა შესჭამეს და მე ალარაფერი დამრჩა... კიდევ კარგი, რომ მომინახულე, თორემ აქედან წასვლის თავიც არა მქონდა!

## ზესტაფონი

რა ვუყო ძმაო, ტარტაროზ,
ამ ქალაქს ზესტაფონსაო?!
მართალი კაცი ვერასდროს
აქ ხომ ვერ გავა ფონსაო!
ყველა პატარა დიდკაცობს,—
დიდი რას იზამს, თუ იცი?
ამდენ „დიდკაცი“-ს წინაშე
მცოდნე გახდება უვიცი.
თითქოს ლოთობას სპობენ და
ბრძანებას მუდამ სწერენო.
უცხო თუ ვინმე დაითვრა,
იმ წუთში დაიჭერენო...
შინაურს არას ეტყვიან
შინაურს—„დიდკაცებსაო“,
რომლებსაც ღვინო უეცრივ
„საგმიროთ“ იტაცებსაო.

—:—

ამ წინათ „პიტომნიკისკენ“
სტურუა, კიკალიშვილი
შაქრო ბაქრაძეს გაჰყვენ და,—
შემოხვდათ მათ ქალიშვილი...
და თურმე შაქრომ რა ნახა
ეს ქალი მარტოთ მავალი,—
გახელდა კაცი და უცებ
კოცნა მიუზღო მრავალი.
ქალი კი შეშინებული
ჰყვიროდა: „პუსტი მერზავეც“...
იქ მყოფი კიკალიშვილი
მიჯნურიც იყო, მოზავეც.
სტურუა არას ამბობდა,
შესცქეროდა დარდიანათა
და ამ დროს ქალმა შაქროსა
გააწნა მადიანათა...
შაქრო რომ გონზე მოვიდა,
წინ შ...რს გარბოდა ქალია...
ზესტაფონს გაეშურა და
მათ მოუმზადა გალია.
დღეს გალიაში ღრიალებს
ეს სამი როგორც „ვეფხვიო“
კარგი იქნება ტარტაროზ,
რომ მათ ჩანგალით ემთხვიო.

ტრისტანი.

## დიდი-ჯიხაიში

ალბად შენც იცი ჯიხაიშს
აქვს ეპო დიდი ხანია.
ყავს ბუღალტერი ქებული,
სიმღერის იცის ბანია.
სამიკიტნოში ხშირ-ხშირად
ის გალეშილი მთვრალია.
„ნერადა“ უკრავს, თვით უსვამს,
(რა ვუყოთ ღვინის ბრალია!).
ერთი იმსხვერპლა ცეკვაში.
ფეხი მოსტეხა მარდადა.
მეორე რომ გადაურჩა
მხოლოდ ის ჩაჰყვა დარდადა.
ეპოს კანტორის დარაბებს.
ხელად მიჰხურავს „საწყალი“,
თუ ნახა შიგა შესული
საქმისათვის ვინმე მან ქალი.
რა ჰქნას ესეც ხომ არ არის,
მე მგონი მისი ბრალია.
რადგან მას უყვარს ქალები
და მათი ეშხით მთვრალია.

—:—

ეხლა იცნობდეთ, თქვენ ეგებ,

დიდიძე ისიდორესა.
ქაფვაში რომ დაიჭირეს,
ედება ლობე-ყორესა.
ბანკისა იყო ის ძველი
გამგეობისა წევრია.
გლეხებს რომ ფული შეჰქონდა,
მას წიგნში არ უწერია.
ეხლა ირკვევა ყოველი
ბოროტებისა კვალია.
ხელში მიჰქირავს საბუთი,
როგორიცა ჩემი ვალია.
ეს კარგად იცის ახალმა.
ბანკისა გამგეობამა.
ნეტავი ხომ არ დაფარა.
შინაური ძმა-ბიჭობამა?

ხვლიკი.

—:—

## ყურ-მოკრული

**ს. ოზჩა (ქუთ. მაზ.).**

— სანდრო თუ კაცი ხარ, მოუყევი ჩვენი საბჭოს სექციების მუშაობის შესახებ... ხომ იცი, კონკურსი დაიწყო!?

— კონკურსი დაიწყო თუ ფოკუსი, ეს მე არ ვიცი,—ხოლო ბევრი რომ არაფერი გაკეთებულა, ამას ბრმაც კი ხედავს... ერთი პატარა სახლი ააშენეს სკოლისათვის. გასაკეთებელი დარჩა ოთხწლედი, სამკითხველო, კოოპერატივი და სხვა ასეთი წვრილმანი. თეატრის აშენებაც გაიფიქრეს, მაგრამ არა უშავს, არ ეჩქარებათ.

— როგორია გზები?

— გზისკომის თავმჯდომარემ იმდენი „იმარჯვა“, რომ ამდენი ხნის განმავლობაში 50 საჟენი გზა შეაკეთა; დარჩა რაღაც ხუთიოდე ვერსი, მაგრამ იმასაც „მალე“ მოათავებს.

— საადგილ-მამულო განყოფილება რას აკეთებს?

— არაფერს... ძველათ რომ „სამიწე კომისია“ იყო, მთელი „ფრონტის“ მიწები იმათმა დეიყვეს და ეხლა ესენი ქე არიან უსაქმოთ დარჩენილი.

— ჯანმთელობის სექცია რასა შვება?

— მადლობ! ქე არის გვარიანად. მისმა თავმჯდომარემ უკვე ბოთლებით დაიწყო სმა და ალბათ საქმე უფრო გამოსწორდება. „ვისკაპლენიებს“ უკეთებს ქალებს, მარა ამისანა დოხტურები კიდევ ქეა ჩვენში ბლომათ... ამას გარდა ერთი „ცირკულიანტი“ გააკრა სახლებზე, რომ ფეხისადგილი (უკაცრავად პასუხია) შარაზე არ დადგათო.

— კარგი... კმარა.. მე მეგონა საკონკურსოთ გამოდგებოდა ჩვენი საბჭოს სექციების მუშაობა და რაკი ასეთია...

— საკონკურსოთ თუ არა, სატარტაროზოთ ხომ მაინც გამოდგება და ესეც საქმეა!

თენებოურის ქაჯი.

# „ბრძოლა ჰაერში“

იტალიიდან მიიღეს მალარიის გამავრცელებელ კოღოების კვერცხების გამანადგურებელი თევზები, რომლებიც დაიგზავნება მალარიან ადგილებში.

(ქრონიკიდან).



ლევარსი როხროხაძის წარმოდგენით

# დიდი-ჯიხაიში

ოთხშაბათი დღეა
(ბაზრობაა დიდი)
გუნებაში გზების
საკითხს გზაზე ვჭრიდი.
აქ ტალახით ორმო,
იქით-სავსე წყლებით,
და მგზავრობას ასეთს
ვწყევლი, ვწყევლი, ვწყევლი.
როგორც იქნა ტანჯვით,
მივაღწიე ბაზარს!
ვხედავ სურათს აქ სულ
საშინელს და საზარს.
ბაზრის კიდეს გლეხებს
მოუყრია თავი!
(საუბარი მათი
ისმის ჩუმად, კრძალვით).
ერთი ამბობს:—ძმაო,
მეზობელო ჩემო!
ალმასკომი რომ ჩვენ
ჩვენთან გავაჩეროთ,
საჭიროა სიტყვა,
რომ ვთქვით მასზე მეტი!
აწ არ გვარგებს ცზომით:
არშინით და მეტრით.
მეორე კი მიწყობს,
საყვედურებს ესერის!
ბრაზობს:—მისი არც ჩვენ,
ჩვენი არც მას ესმის.
დანარჩენი ცრემლით,
სასწავლებლებს გოდებს!..
აფთიაქს და „ეპოს“
ახსენებდენ ოდეს,
წამოვიდა წვიმა
დასავლეთის მხრიდან
და ტალღებად იქცა
ქუჩა თხრილებიდან.
გადავრჩი თუ როგორ
აღარ მახსოვს მაშინ!
როგორც იქნა ძლივს-და
გამოვსცურე ტბაში.

ჭაგნელი ბზიკი.

# გაწამაწია

## შარჟი ერთ მოქმედებათ

### მომქმედნი პირნი:

| | | |
|---|---|---|
| გამგე—კომუნალურ მეურნეობის | 44 | წლ. |
| კვიროსი — საქმის მწარმოებელი | 60 | " |
| მელქო — კომსომოლა | 20 | " |
| ხუცესი | 60 | " |
| ხრიკიშვილი — სახლის მეპატრონე | 45 | " |
| ვაჭარი | 50 | " |
| მუშა | 35 | " |
| ლუბა | 35 | " |
| სონა | 30 | " |
| დესპინე | 50 | " |
| სალომე | 50 | " |
| ვალიკო —დარაჯი | 25 | " |

მოქმედება სწარმოებს პროვინციაში.

### კვიროსი და ლუბა

(მოქმედება სწარმოებს კომუნალურ მეურნეობის გამგის კანცელარიაში, სცენაზე ზის საქმის-მწარმოებელი კვიროსი. მოხუცი კაცია, ყურს აკლია, სამოცი წლისაა, საქმეებშია ჩაფლული და მუშაობს, სათვალეებს ცხვირის წვერზე იკეთებს. ბეჭედს იღებს და ხანგრძლივათ აორთქლებს: ჰო, ჰო, ჰო, ჰო, !... შემდეგ ქაღალდზედ რაც ძალი და ღონე აქვს აწვება ბეჭედს, ამ დროს შემოდის ლუბა: პატარა ტანის დედაკაცია, ერთობ ნერვებაშლილია; შემოვარდება და რაკი გამგეს ვერ დაინახავს, ეცემა კვიროსს).

ლუბა:—სად არის გამგე?

კვირ.:—(ვერ გაიგონებს) ჰა?

ლუბა:—ვაი შენ და შავი ჭირი! (უფრო ხმა-მაღლა) გამგე სად. არის, გამგე?

კვირ.: გამგე!.. (თითებს ორივე ყურების ზევით მიიდებს და თითების თამაშით და სიცილით) იჭირავს!

ლუბა:—ვის იჭირავს, ვის! ვაი შენს პატრონს! აბა, მისი ყოფილა ქვეყანა! სად არის თქვა მითხარი ჩქარა, თვარა ამ ქაღალდებს თავზე დაგაფხრეწავ (ხელს წამოუსვამს ქაღალდებს, მაგრამ კვიროსი სწვდება ხელში).

კვირ.:—გედირიე!!?

ლუბა:—გადვირიე კი არა, თქვენს ხელში რატომ სრულიად არ შევიშლები! (აიღებს ორდერის წიგნს, რომელსაც ისე ახლო მიიტანს თვალებთან წასაკითხავათ, რომ თითქმის თვალებზე მიიკრავს), ეს ის ორდერის წიგნია განა, რომლითაც მე სახლიდან გამომაგდეთ! (ესვრის კვიროსს), შე მუხის ჯირკო, შე ყასპის კუნძო, შენა! მე თქვენ გაჩვენებთ: შენცა და იმ შენ გამგესაც, თუ როგორ უნდა სახლიდან გამოგდება!

კვირ.:—დედაია! გედირია სწორედ!!!. ბატონო, ჩემთან რა გინდებიენ! მე მიბრძანეს და, რავაც საქმის-მწარმოებელმა, ორდერი გამოგიგზავნეთ..

ლუბა:—მწარმოებელი თკარა, ბევრი რამ გესმის შენმა თავის გაფხრეწამ!

კვირ:—(ვერ გაიგონებს) ჰა?.

ლუბა:—ზახრუმა!

კვირ:—ხუმრა!!!..

ლუბა:—(გაჯავრებული) რა ხუმრაო, რის ხუმრაო!.. ხომ არ გინდა ეგ ჩიჩილაკივით მოშობილი წვერი აგაპუტო თელათ! (მიიწევს) მეხი კი დაგაყარე მაგ უტვინო თავზე!.. ვერ უყურებთ ამ ნაგვის გოდორს, როგორ მასხარათაც მიღებს! თფუ!!! შეგარცხვინოთ ღმერთმა! (მიაფურთხებს და საჩქაროთ გადის, მერე ისევ მობრუნდება და კარებიდან) მე თქვენ გაყურებიებთ სეირს! დავიჭერ, სადაც იქნება იმ თქვენ გამგეს და სულ ყურით მოვათრევ აქა! (გამგე ამ დროს გაალებს გვერდის კარებს და შემოვა, მარა რა დაინახავს ლუბას მისდაუნებურად წამოიძახებს: „ვაიმე ლუბა!" და მსწრაფლ გავარდება, ლუბა ვერ დაინახავს). აბა ვნახოთ როგორ გამაგდებთ!

კვირ.:—ჰა!?

ლუბა:—უი შენ და ზახრუმა! (კარს მიარახუნებს და გავარდება).

### გამგე და კვიროსი.

კვირ.:—უი, დასწყევლოს ღმერთმა! რავა კუროდმოზვერივით დამეტაკა!

გამგე:—(იმავე გვერდის კარებს ფრთხილათ გაალებს და რაკი ლუბას ველარ დაინახავს, შემოდის და სიცილით კვიროსს) იჭირავს?!.

კვირ:— (ყურებზე თითების ჩვენებით) მაი დასურდეიჭირავს ყურდღელს! (ორივენი ჯდებიან) აგია იგი?..

გამგე:— (სიცილით) ვინ იგი?

კვირ.:—აგია იი ქალიი!

გამგე:—(სიცილით) ჰო, აგია იგი! (ამოიღებს პენსნეს, გაიკეთებს თვალებზე და თვალის ძირში თითებ-მიბჯენილი, დიდათ ჩაფიქრებული სინჯავს ქაღალდებს. კვიროსიც იკეთებს მის სათვალეებს ცხვირის წვერზე და სწერს; ამ დროს შემოდის მუშა და უკმაყოფილოთ, ეტყობა მრავალჯერ ყოფილა გამგესთან, მაგრამ გაწბილებული წასულა. შურდულივით მივარდება გამგეს).

### იგინივე და მუშა:

მუშა:—(მკვახეთ) რაია, ამხანაგო, აგი?!.

გამგე:—გამარჯობა, ამხანაგო! რას გვიბრძანებ?

მუშა:—მე არავის არ ვუბრძანებ. მე, მუშას, რატომ არა მაქვს ერთი ოთახი. როდემდის უნდა ვიყო ცისქვეშ!

გამგე:—რა გვარი ხართ, ამხანაგო?

მუშა:—კაცო, დავბერდი აქანა სიარულით და, რავა, კიდო გვარს მეკითხები!?

გამგე:— შენ დაბერდი და მე აქანა სული ამომხადეს აწდენმა მთხოვნელებმა! რამდენი კაცი აქან მოვა, სად მახსოვს მისი გვარი! მე გეკითხები რა გვარი ხართ-თქვა!

მუშა:—(წყენით) სიკინჭელაშვილი!

გამგე:— (უძახის კვიროსს) კვიროსი?

კვირ.:—(არ ესმის).

გამგე:—(უყვირის) კვიროსი!..

კვირ.:—ჰა!

გამგე:—ჩვენ სიკინჭელაშვილს ხომ მივეცით გუშინ ორდერი, ხომ მივეცით სიკინჭელაშვილს?

კვირ.:— ბერი!.

გამგე:—ბერი კი არა მალაზონი არ გინდა!? ორდერი, ორდერი, ხომ მივეცით სიკინჭალაშვილს?

კვირ.:—კენჭოშვილს?

გამგე:—კენჭოშვილს კი არა, **სი-კინ-ჭე-ლა-შვილს!**

კვირ.:—კი, კი!

გამგე:—(მუშას) აბა, რაღა გინდა! ორდერი მოგეცით!

მუშა:—ცარიელი ქაღალდი რა ეშმაკათ მინდა, სახლში არავინ შემიშვა!

გამგე:—საქმე რაშია... აბა, სხვას გამოგიწერ. კვიროსი გამოუწერე რაჟდენ ხრიკიშვილის ბინაზე ერთი ოთახი, დაბლა სართულში.

მუშა:—(აწყვეტინებს) როგორ თუ დაბლა! ჩვენ მისდღემჩი არ უნდა გველირსოს ზევით ცხოვრება?!

გამგე:—საქმე რაშია... ნუ, ზევით იყოს, ვსიო რავნო, ჩემთვის სულ ერთია, სადაც გინდა იქ დავაკრავ ბეჭედს და ხელს მოვაწერ. კვიროსი, გამოუწერე ორდერი ზევით სართულში.

კვირ.:—ვისას?

გამგე: —რაჟდენ ხრიკიშვილისას (კვიროსი ვერ გაიგონებს).

კვირ.:— ჩხიკვიშვილისას!

გამგე:—ჩხიკვიშვილისას კი არა, **ხრი-კი-შვი-ლისას!**

კვირ.:—იქინე გუშინ ქე არ გამოუწერე ერთ უჩიტელს!?

გამგე:—უჩიტელს?!.. აბა, რა ვქნათ! (მარჯვენა ხელის სანიშნებელს, და შუა თითს თვალების ძირში მიიდებს და უცებ) საქმე რაშია... გამოუწერე... ან არადა.. ჰო, მაიცა, მაიცა!.. არა, არა ნიჩევო... გამოუწერე სულ ერთია.

კვირ.:—ნუ შობი მასტე თვარა, დეიჭირავ ყურდღელს!

გამგე:—არაფერია... ნიჩევო.. (მუშას) ა, ბატონო, ე! (კვიროსზე აჩვენებს) მიდი მასთან და გამოგიწერს!

მუშა:—ეს კარგი, ამხანაგო, მაგრამ იქინე სახლაფორთო არა იყოს რა, თვარა არ ვიცი რას ვიზამ!

გამგე:—როგორ თუ სახლაფორთო! მე გაძლევ ორდერს! მორჩა და გათავდა.

მუშა:—კი მარა, ვინცხა უჩიტლიზა რომ მიგიცია ორდელი!

გამგე:— რა ვუყოთ რომ მიმიცია! ვინც მიასწრებთ, იმას დაგრჩებათ.

მუშა:—რავა, მოსწრებაზეა საქმე! ვაი ჩვენ პატრონს უბედურს!

გამგე:— აპა, რავა გგონია! არაა, ამხანაგო, ოთახები... კვიროსი, დასწერე? (კვიროსის არ ესმის).

მუშა:—აპა, რა ძალა აქვს ამ ორდელს?

გამგე:—ის ძალა აქვს, ამხანაგო, რომ: ხელს მოვაწერ, ბეჭედს დავასვამ და მორჩა. მერე შენ თითონ უნდა გაიკვლიო გზა.

მუშა:—კი მარა, ამისთანა ბეჭედი გუშინ უჩიტლიზა დაგისვავს, დღეს მე დამისვამ... ძალა არ უნდა ქონდეს ამ შენ დასმულს, თორემ ისე რა გამოვიდა!

გამგე:—ექნება, ექნება, მიდი და შეხვალ ოთახში! (უძახის კვიროსს) კვიროსი! (არ ესმის). კვიროსი, კვიროსი! ორდერი დასწერე, ორდერი?

კვირ.:—კი, ბატონო, კი. (მიაქვს ორდერი ხელმოსაწერათ) ა, დაასვი ბეჭედი და მორჩა!

გამგე:—(ხელს აწერს და ბეჭედს ასვამს) აი, ამხანაგო, ხელიც მოწერილია და ბეჭედიც დასმულია. მიდი და შედი ოთახში.

მუშა:— კი შედი, თუ შემიშვენ.

გამგე:—კი შეგიშვებენ; კი. ხომ ხედავ ბეჭედი დასმულია.

მუშა:—(მიდის თავის ქნევით) რავა დევიჯერო ჩემ ორდელზე დასმულ ბეჭედს ძალა აქვს და უჩიტელზე დასმული უძალოა!.. არაფერი არ მესმის (გადის გაკვირვებით).

კვირ.:—ბატონო, აი, ხრიკიშვილის ბინაზე რომ უწერ ყველას, იქინე ჩხუბი გეიმართება მე ვიცი.

გამგე:—აი, დარდი! გეიმართოს მე რა!

კვირ.:—კი მარა, ხვალ ისტევლე მოგვადგებიან.

კვირ.:—მოგვადგენ, მერე რა! სანამ გვექნება ქაღალდი,—ვწეროთ ორდერი და ვასვათ ბეჭედი!

კვირ.:—ბეჭედი კი მარა... ამდენი წარა-მარა დასმა, რაცხა....

გამგე:—(აწყვეტინებს) მისი ჯავრი ნუ გაქვს შენ! (ამ დროს შემოდის ხუცესი, შეშინებული, აქეთ-იქით იყურება)

## იგინივე და ხუცესი

ხუცესი:—(შემოდის დიდის მოწიწებით და შიშით აქეთ-იქით იყურება) გაკურთხოთ ღმერთმა.

გამგე:—აქ სამლოცველო არ არის... რა გნებავთ! ბრძანეთ!

ხუცესი: —დიახ, ის მინდოდა მომეხსენებია... ეკლესია დამიხურეს იმ ღვთისგან შეჩვე.... ახ, უკაცრავად, ჰო.... იმას მოგახსენებთ....

გამგე:—ბატონო, ბრძანეთ რაშია საქმე?

ხუცესი:—დიახ, ეკლესია დამიხურეს კომსომოლისტებმა და გამანადგურეს კაცი.... (შიშით იქით-აქეთ იყურება).

გამგე:—რამ შეგაშინათ, ბრძანეთ! აქ კომსომოლი არავინაა.

ხუცესი:—კი მარა, მაინც მეშინია! ის ღვთისგან შეჩვენ... (გადააკეთებს) ღვთისგან კურთხეული მელქო...

გამგე:—რომელი მელქო?

ხუცესი:—კომსომოლისტების უფროსი.. რომ წამომელეწოს, ხომ დავიღუპე კაცი! მერმე მაინც აჩრდილივით მსდევს თანა.

გამგე:—ბატონო, თქვით რა გინდათ?

ხუცესი:—მომისმინე, შვილო და ნუ გამიწყრებით. დიახ, ეკლესია რომ დამიხურეს...

გამგე:—კიდევ! გევიგეთ, ბატონო, რომ დაგიხურეს!. (თავისთვის) არა, ეს თუ არ მოვიშორე თავიდან, ცუდათაა ჩემი საქმე! ბატონო, თქვი ჩქარა, თორემ მევიდა კომსომოლის უფროსი!

ხუცესი:—(შიშით ნახევრად ჩაჯდება) ჰო, უფროსი! რომელი?

გამგე:—რომელი და მელქო!

ხუცესი:—მელქო?! არა, არა, მერე მოგახსენებ!.. (როგორც შურდული, ისე გავარდება. კარებში მართლაც მომავალ მელქოს დაეტაკება და წაიქცევა. ხუცესი რა შეხედავს მელქოს — სასოწარკვეთილი დაიწყებს ღრიალს: „მიშველეთ, მიშველეთ! ვინა ხართ ქრისტიანი!“ ბობღვით გადის, გამგეს სიცილით უსავდება).

## იგინივე და მელქო:

მელქო:—თფუ, დაგწყევლოს ეშმაკმა! როგორ ტახივით დამეტაკა! რა უნდოდა? ქელეხი ხომ არა გონია აქ საჭმელი?

გამგე:—(სიცილით) გულთმისანი ვარ, გულთმისანი! (სიცილით ჩაოსდება).

მელქო:—რა იყო, კაცო, რა გაცინებს?!

გამგე:—ხა, ხა, ხა, ხა!.. მაგ ხუცესს ვუთხარით: წადი ჩქარა, თვარა მოვიდა მელქო თქვა და შურდულივით გავარდა საწყალი შიშით! ხა, ხა, ხა, ხა,!.. კაცო, შენ გერიდებოდა და მაინცა და მაინც შენ დაგეტაკა?! ხა-ხა-ხა-ხა.

მელქო:—უ, დასწყევლოს ეშმაკმა!

გამგე:—სხვა, მელქო, რასა იქ და როგორა ხარ?

მელქო:—ვარ რაღა შენი ლოცვა-კურთხევით. დავდივარ უბინაოთ, გვერდებ-გაცრებული. კაცო, როდემდის უნდა ვიყო ასე, აღარა გრცხვენიან! მოვკვდი, ამხანაგო, აღარ შემიძლიან! ფილტვებამდისა ვარ გაყინული! ე, კაცო, მომეცი ერთი ოთახი, თორემ მოვკვდები და შენთვის ზარალია. კუბო უფრო ძვირი დაგიჯდება.

გამგე:—გიშოვი, გიშოვი!

მელქო:—როდის-ღა! „მოლა მოკვდა და თავზე ფლავი დააყარესო!“ მე თუ მოვკვდები, მერე ჯანაბას შენი თავი!

გამგე:—ოჰო, ჰო, ჰო! ჩემი მტერი ჩავარდა კომსომოლების ხელში! გამოგიწერ, ახლავე გამოგიწერ ორდერს. (უძახის კვიროსს) კვიროსი! კვიროსი!

კვირ.:—ჰა!

გამგე:—გამოუწერე ორდერი რაჟდენ ხრიკიშვილის ბინაზე! (კვიროსი ვერ გაიგონებს).

კვირ.:—ჯინაზე!?

გამგე:—ჯინაზე კი არა, ბინაზე, ბინაზე!

კვირ.:—ვის ბინაზე?

გამგე:— ხრიკიშვილის, ხრიკიშვილის!

კვირ.:—კიდომ იქინე!?

გამგე:—კი, კი.

კვირ.: (გაკვირვებული თავისთვის) ყველას იქინე აგზავნის და აი, ხალხი ერთი-მეორეს თუ დააედება, თვარა, რავა დეეტევიენ! (სწერს ორდერს).

გამგე:— უჰ, ამევიდა სული! რა უყო, კაცო, სად გავაჩინო ამდენი ოთახები!

მელქო:—აბა, რავა გგონია! ძნელია, ბიძია, ხალხის სამსახური.

(გაგრძელება იქნება)



სოფლელები:—ეს ვიღაც პატარა კაცი არ უნდა იყოს! ხედავ გულზე უწინდელ მამასახლისის მედალი ჰკიდია!?

# „კ უ რ ს ე ბ ი“

## სასაცილო უბედურება მრავალ მოტყუილე გათ

„ეკონ. ფინანსიურ კურსების“ დავიდარაბიდან

I

კულისებში კურსების გამგე—დიომიდე ელაპარაკება თანაშემწეს:

დიომიდე:—იპოლიტე, შე გენაცვალე, ხომ ხედავ, როგორ აღელვებული არიან მსმენელები! მე რომ მათ კრებას დავესწრო, ხომ იცი როგორი ნერვებიანი ვარ, გადავირევი და ვინ იცის რა მოხდება!.. წადი და შენებურათ დაამშვიდე... თანაც მოაგონე, რომ ფული შემოიტანონ.. ყველაფერი გამოსწორდება-თქო—დაჰპირდი..

იპოლიტე:—კი მაგრამ.. ბევრჯერ დავპირდით, მაგრამ ერთხელაც არ შესრულებია დაპირება..

დიომიდე:—მერმე რა ვუყოთ!.. არა უშავს... (იპოლიტე ყოყმანით და გაუბედავათ გადის, დიომიდე მოსთქვამს):

ასოც მანეთს ვახდევინებ თვითეულს,
მსმენელი მყავს მე კურსებზე სამასი,
ეს ფული ხომ მარტო ჩემი არ არის,
მხოლოდ მრჩება ორი წილი ამაში.

II.

საერთო დარბაზი. მსმენელთა კრება. აურ-ზაური.

მსმენელი:—ამხანაგებო, ცხადია, რომ ჩვენ ამ კურსებიდან ფინანსისტები კი არა, ფინაჩისტები გამოვალთ (საერთო სიცილი). ამ კურსებს კი არ უნდა ერქვას: „ეკონომიურ-ფინანსიური კურსები“, არამედ: დიომიდეს სახელობის მოტყუილებისა და ყალთაბანდობის კურსები.

ხმები:—სწორია... სწორია.. დაწყნარდით... გამგის თანაშემწე მოდის:::::

ხმები:—არ გვინდა, არ გვინდა.. თვითონ გამგე მოვიდეს, თვითონ გამგე...

იპოლიტე:—ამხანაგებო, დაწყნარდით, დამშვიდდით. გამგე ნერვიული კაცია და ვერ მოვა... სხვა საკრებო და სალაყბო აქ არაფერია... მდგომარეობა გამოკეთდება და ჩადგება კალაპოტში.... დღეს თუ ლექტორი არ მოვიდა, ამის მიზეზი აქვს

ხმები:—გუშინ? გუშინ-წინ?.. და ყოველთვის ასე....

იპოლიტე:—მერე რა ვუყოთ!.. ყოველთვის არის გასამართლებელი მიზეზი.... ხვალ რომ არ მოვა, ამის მიზეზს დღეს გეტყვით. როგორც მოგეხსენებათ, ლექტორის ფული უნდა... ჩვენი სალარო ღარიბია და ამიტომ ფული უნდა შემოიტანოთ...

ხმები:—ვინ შესანსლა შემის ფული?

დიომიდე (რომელსაც ეს ლაპარაკი კულისებში ესმის):—რა დროს შეშაზეა ლაპარაკი, როცა გაზაფხულდება, ასეთ უმადურ ხალხს პატივი ეცით და გაუხსენით კურსები.... (მოსთქვამს):

——თავო ჩემო ბედი არ გიწერია...
მსმენელები ვხედავ გადამერთა....

(გაგრძელება რევიზიის შემდეგ)

გრი—თამა.

# ცნობათა მიღება

„უპწკინეს“:—შე დალოცვილო, მეფოსტე კი არა ბოლშასკომის თავმჯდომარე თვრება, მაგრამ რა უნდა იქნათ?! მაგ კაცს ისიც ეყოფა რომ:

მზეო ამოდი, ამოდი
ნუ ეფარები გორასა...
ღვინით დამთვრალა მეფოსტე,
აგერ ტალახში ჰგორავსა!

ახტალისა. ან წყალტუბოს ტალახი რომ იყოს, რა უჭირს—კიდეც მოუხდებოდა.

„დევს“:—თქვენი ლექსი:
აქეთ გორასა წიხლსა ვკრავ და იქით გორას ძრას ვუზამ...
ხუთას ფუთს რკინას დავლეჯავ და კევივითა ულაპს ვუზამ,—

ჩვენ ასე შევასწორეთ თქვენთან შედარების მიხედვით:

ფურნის კარებსა წიხლსა ვკრავ, შიგ შევალ და პურს ძრას ვუზამ,
ხუთ გირვაქნა პურს დავცოხნი და ცივ მჭადივით ულაპს ვუზამ..

ხარხიცას:—წერილის ბოლოში სწერთ:
„ჰა, ამ ერთ ლექსს კიდევ ვგზავნი უკანასკნელად, თუ ესეც არ დაბეჭდეთ და წინანდლებსავით გადაგზავნით გოდორში,—ამიერიდან თქვენ ვერ მიიღებთ ჩემგან ვერც ერთ სტრიქონს“.
ძალიან სასიამოვნო! ჩვენც ეს გვინდოდა და გვეღირსა კიდეც.

სიმართლეს. (ფოთი):—ჩვენ გვგონია რომ არავის არ ექნება საწინააღმდეგო, თუ „ფოთვაჭს“ სახელს გამოუცვლით და მისცემთ მის დამახასიათებელ სახელწოდებას: „ბუზვაჭი“, ეს უფრო შესაფერი იქნება, რადგან

გამგეები—უამრავი,
თანაშემწე— უფრო მეტი,
ხოლო ტყავი— ერთი ფუთი,
არც ნაკლები და არც მეტი...
და მიუხედავად ამისა:
მიმორბიან, ფაცურობენ,
თითქოს საქმე აქვთ მათ დიდი;
თაროებზე კი არა სჩანს
საქონელი გასასყიდი...

ჩვენ მაინც ვერ მივხვდით, თუ რატომ გინდათ სახელი გამოუცვალოთ და დაარქვათ „ბუზ-ვაჭი“.
ჰა, აქ სწერია ამისი მიზეზი:

„ზაფხულის მოახლოვება უხარიათ „ტრესტი“-ს თანამშრომლებს და ამბობენ:— ბუზების დათვლითა და ჭერით თავს მაინც შევიქცევთ მაშინ-ო!

— თუ კი ასეა, მუშკლეხინმა!— დაუმატებდით ჩვენ...

თენებოურის ქაჯს (ოზრ. ქუთ. მაზრ.):— თქვენს შარიდან ვერავინ ამოვა. განა ესეც დასაძრახია, რომ:

მასწავლებლები: ილია ყორყოლიანი და არჩილ ბურჯანაძე „პრაქტიკული მეთოდით“ ასწავლიან მოწაფეებს. ჩვენი მიზანი ის არის, რომ სკოლამ მოგვცეს სოფლისათვის გამოსადეგი ახალგაზრდობა. ამიტომ ილია მოწაფეებს თავის (იგულისხმება ილიას) სახლში ასწავლის არაყის გამოხდას, ხოლო არჩილი, როგორც დახელოვნებული სპეცი „ღვინის საქიხში“, მოწაფეებს უხსნის რომ:

არაყი ღვინის ცრემლია
ქვაბიდან გადმონაქუხი,
იგი ჭაჭისგან იხდება,
ხეხილმაც იცის თუმცაღა

თეთრ არაყს, წითელ ღვინოსა,
ბავშებო, ყველას სმა უნდა...
ერთ ბორჯომის ბოთლ არაყსა
წყაროს წყალსავით ულაპს ვუზამ...

რატომღაც არ უზამს, თუ კი განათლების განყოფილება არ გაუჩირა ყელში... ეს მისთვის, ალბათ, არც ისე ძნელი საქმეა

კვანტს. ჩვენ უფრო მადლობელი ვიქნებოდით, რომ არ აგველაპარაკებია საწყალი გოგონა თავის მონოლოგით. ნუ თუ თავისი თავის მაინც არ, შეგრცხვათ ამისი დაწერით?.. ბოლოში ასე გვწერთ:

„ამ წერილის დაბეჭდის იმედი კამარაში ავაფრინე; აწი თუ გადმოვარდება და ფრთებს დაიმტვრევს, ეს რა ჩემი ბრალი იქნება“.

რაღა თავი ავიტკიოთ და პასუხი გამოვგონოთ; ისე სჯობია მზადეული პასუხი მოგცეთ:

აფრინეს ალალიო,
რაც არ იყო, არ არიო...

საწყალი! მოწყვეტით ჩაინარცხა გოდორში, ფრთები კი არა, კისერიც არ გადარჩენია.

ნემსს:—ბლაგვი ნემსი ყოფილხართ, ვერ იჩხვლიტებით მწარეთ.

ალიმანოვს (ბულვანი. სენაკის მაზრ.):—შე კაი კაცო, რაღას გვიგზავნიდით და რვა კაპიკიან მარკას ხარჯავდით, თუ კი:

თვალი ცრემლებით მევსება,
როცა ვკითხულობ ამ ლექსსა.
ვიცი ბევრს მიაგინებენ,
ვინც ეს ამბავი გალექსა.

მართლაც სატირალია ასეთი ლექსი; მის პატრონს კი არა, მტერსაც შეეცოდება ეს გაჭირვებული, ესა! ხოლო რაც შეეხება მიგინებას, პირველი ეს იქნება ტარატროზი.

ტარკორს (ახალდაბა):—ალბათ თქვენი ოთხწლედის გამგეც —ციციშვილი ოზრელ მასწავლებლებსავით (იხ. ჩვენი პასუხი—„თენებოურის ქაჯს“) ასწავლის მოწაფეებს პრაქტიკული მეთოდით.

ამიტომ არ უნდა გაგიკვირდეთ, თუ თქვენი გამგე მოწაფეებს ეუბნება:

პრაქტიკულ ვარჯიშობისთვის
ხვალ ჩვენ კვერცხები გვჭირია:
ბაზარზე როგორ ვიყიდოთ,
არ არის,— თანაც ძვირია.
სჯობს მოიტანოთ სახლიდან,—
გასწავლით გამოჩეკასა
და თქვენ აჯობებთ მეზობელ
მეკრუხე მართა, ეკასა.
განახვებთ— კრუხი კვერცხიდან
როგორ სჩეკს თავის წიწილსო“...
ბავშებს რო მოაქვს კვერცხები,—
გამგე უმატებს სიცილსო.
და ეს კვერცხები ჩვენს გამგეს
მიაქვს სახლში და ულაპავსო...
ნეტავი ყურს ვინ ათხოვებს
ასეთ საქმეს და ამბავსო.

დააცადეთ... ჩვენ გვგონია—წიწილების მაგიერ თქვენი გამგე კვერცხებიდან რევიზიას გამოჩეკავს და, შესაძლებელია, შემდეგ მართლად კარგი კრუხი გამოდგეს.

ალექსის:—ეჭვი არ შეგვდის თქვენს პოეტობაში::

ოცი წლისა ვარ ჯეელი,
ლექსები დამიწერია...
ეს ასე არის, თუმცაღა,
ეს ძნელი დასაჯერია.
მაგრამ ეს ვინც არ იწამოს,
დაექცეს იმას კერია
და ერთ ალაგას შეერჭოს
ჭები მისის ჩერია...

# პირი არ დასწვდეს!

ამერიკაში დაკვეთების გამოსასყიდათ გაგზავნილ საბჭოთა ოქროზე ხელს აპოტინებენ პუანკარესა და სხვა სახელმწიფოების დამქაშები.



რა კარგია, გემრიელი, თანაც არის ახლოს;—
მაგრამ, ვაი, როგორ მისწვდეს, პირი როგორ ახლოს?!

პოლიგრაფტრესტის მე-6-ე სტამბა, კამოს ქ. № 68.

კვირა, 15 აპრილი 1928 წ. № 148 წელიწადი მეხუთე ფასი 15 კაპ

# ტარტაროზი

## ყოველთვის ასე



ჩემბერლენზე ამბობენ—შუბლი აქვთ ერთობ მაგარი,
მაგრამ საბჭოთა ქვეყნების ნაშრომი, ნაშმაგარი
ისე განმტკიცდა, ძლეოსნობს, როგორც მზე სხივათ რხეულთ,
რომ ბრიან-ჩემბერლენები სცვივიან შუბლ-დამსხვრეული.

## პრობლემა



ქრისტე:—ავდგე? მარა რაღა ავდგე, ამათ შემხედ ვარემ... არც კი ღირს ადგომა... ისევ აქ სჯობია!

# კირკიტა კვერცხები

(„სააღდგომო“)

### საერთოდ ბარიკადებს იქით

აენთენ მთების ფერცხლები,
ზით მოოქვრილი ვერცხლები,
მოვდივარ, მაგრამ თან ვშიშობ:
არ დამიმტვრიონ კვერცხები!
მთის გადაღმა კი ეგ „ცხვრები“
ლაღობენ, როგორც ვერძები,
ვდგავარ და მთებით დავყურებ:
მე მათი ხილვით ვერ ვძღები!..
მაინც თავ-დაკვრით, მდაბლითა,
საბჭოთა ქვეყნით, მაღლითა,
ბურჟუაზიულ სივრცეებს
ვახლავარ ამ ტკბილ „ტაბლითა“!..
შემდეგ მივმართავ ცალ-ცალკე,
სუყველას იქით-აქეთა,
მოყვრებს ხომ გულს არ დავაკლებ,
მტრებს დავეგები მახეთა!..

### საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკების კავშირს

რაც უნდა „შახტი“ მოგიწყონ,
შახს არ გაიტეხ, ესესერ!
მტრებმა ის უნდა მოიმკონ,
რასაც რომ ხვრელში შესთესვენ!..

### კომპარტიას

არ ტყდება „ციხე შიგნიდან“,
თუმც ისმის ბევრი სისინი,
სიბრძნით განაგებ ცეცხლის გემს
და ჰაბუკივით იცინი!

### კომინტერნს

ბევრი „საბუთი“ მოგიწყვეს,
ურთია დაურღვეველი,
რომ ხმა — მსოფლიოს შენი დღეს
მტკიცეა. დაუძლეველი!.

### საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკას

ბევრი მოსარჩლე გყოლია,
ბოლოს გაგიჩნდა ლე-ვილე!
იქ საქმე არც მე მქონია:
თვალს წყალი დავალევინე!..

### ჟენევის განიარაღების კომისიას

ქალაქი ბევრი მხმენია,
მაგრამ სულ სხვაა ჟენევა:
„განიარაღდი“-ს სენია,
„შეიარაღდი“-ს — შერევა!..

### ამხ. ლიტვინოვს

ჰკრა ლიტვინოვმა საცერეს,
კეშენდენს სტყორცნა ისარი!..
მგელი რომ ხვრელში შეზვერეს,
მე ეს შორიდან ვიცანი!..

### ჩან-ძო-ლინს

ჩან-ძო-ლინ გადინადირა
პეკინი ინა-ცზი-ანი,
შუბლი კლდე ჰქონდა, მაგივრად,
კუდზე აჩნდება ზიანი!..
(ფინ-იუ-სიან თავს გიკრავთ,
კაცია თავაზიანი!.)

# ფარი



— აკი წინააღმდეგი იყავი აღდგომის ტრადიციულა შეხვედრისა და ამის შესახებ დაწესებულებაში მოხსენებაც გააკეთე!
— ღმერთი, რჯული,—მე არ მინდოდა, მაგრამ ეს ყველაფერი ჩემმა ცოლმა იხლაფორთა!

### პილსუდსკის

პილსუდსკიმ ბევრი „ეცადა"
რომ შეეკრიბა სეიმი...
ნახა ის, რაც არ ეწადა:
უჩვენეს თავის სეირი!.

### ლიტვა - პოლონეთს

ვოლდემარასთ კენიგსბერგს
ზალესკის ედავებოდა...
პლეჩკაიტის კი იმავ დღეს
საომრად ემზადებოდა!..

### საბჭოთა ოქროს მოყვარულს

ესესერ ოქრო გაჰგზავნა
ნიუიორკს ერთი ტომარა,
თავისთვის, თორემ „საფანლად"
ყველას რომ გახვდეს, ხომ არა!..

### საბჭოთა ნავთის მტრებს

საბჭოთა ოქრო რუმინეთს
ყელში მშრალ ნერწყვად აწვება...
დეტერდინგ ნავთის სისველით
ლოგინშიც ველარ ჩაწვება!..

### ჩემბერლენ-ხიქსებს

რა უბედური კაცია
ჩემბერლენ თავის ხიქსითა,
თუმც ინდოეთი „აცვია",
ჩინეთზეც დაჰკრის რიქშითა:
ესესერს ნოტა შესთვალა
უდღეო რაღაც, ლიფსიტა
აქ ნოტა ნოტამ შესცვალა,
რომ სჯობდა სიგრძე-სისქითა;
დღეს ყოველის მხრით თვით ნოტებს
მოიხვევს, ნაწერთ სისხლითა:
ნილოსი მოაქვს ეგვიპტეს,
ირაქს — უდაბნო, სიცხითა;
ვაი თუ, სერ, მაუზერი
წაგიხდეს მტრის ხმლით, ფიცხითა!
მე ამ შენს ბოლოს ვუჯერი,
თავს ნუ მაბეზრებ ფიცითა!..

### იმპერიალისტურ „ცხვრებს"

ვსთქვი: „მო, ზოგ „ცხვარზეც" შევჩერდე,
„ძაღლის" და „მგელის" კერძებზე,
შევკრთი: იარაღს შევხედე,
იმდენს მე ამ „ცხვრის" ფერდებზე!..
ამ სააღდგომოთ ცხვრის დუმა
თუმც ვის არ უნდა იამოს,
მაგრამ ვსთქვი: „ვაი, მე თუ მან
კვერცხები დამიზიანოს!"

**ონისიმე.**



# დიაკვანი

აღდგომა ღამეა. ლიტანია უკვე გათავდა, მღვდელი ეკლესიაში შებრუნდა და ლოცვა განაგრძო. ღვთის მოყვარე ბერები თანდათან გროვდებიან საყდარში. დიაკვანმაც თავისი ადგილი დაიჭირა და მღვდლის წარმოთქმულ სიტყვებს საკურთხეველში გალობით იმეორებდა...

— უფლისა მიმართ ვილოცოთ! — გასძახის ხუცესი.

— უუფალოო შეგვიწყალეეე. — მიაღიღინა დიაკვანმა.

დიაკვანი დღეს კარგ გუნებაზეა; წირვის შემდეგ დაკურთხება იქნება და გადაკრავს კიდეც, ნაცნობებიც ბევრი ჰყავს ეკლესიაში, დიაკვანი აქეთ-იქით იყურება და ნაცნობებს ათვალიერებს, ეძებს.

— უუფალო შეგვიწყალეეე.. — ოჰ ჩემს მარკოზს სიცოცხლე! ქრისტე აღსდგა! ჩემო მარკოზ! და დიაკვანმა მარკოზა ჩაჰკოცნა.

— უუფალო შეგვიწყალეეე — მიაწია მღვდელს. — სხვა როგორ ბრძანდები, ჩემო მარკოზ... ხომ კარგათ?

— შენც ხომ კარგათ? — სამაგიეროთ ჰკითხა მარკოზმა.

—ვარ ღვთისა და ჩვენი მღვდლის წყალობით... უფალოოოო შეგვიწყალეეეე. იმე ბერა, რავა გარბის ე ჩვენი ხუცესი. ეჩქარება სახლსა ისე ეტყობა. უი! ჩემო ალათი თქვენი სიცოცხლე. ბრავალს დეესწარი... — და დიაკვანმა ეხლა ალათის გაუშვირა ხელი. — სხვა ბატონო ალათი გაბრიელი მოკვდა! უჰ აცხონოს ღმერთმა, სადაა ახლა მისი ბრალეამიერი? რა კაი ღვინო ილოდა საწყალმა... უუფალოოო შეგვიწყალეეე. თქვენ კარგად იყავით ჩემო ალათი, და გაბრიელმა მოგქამოს ჭირი. ბოლოს და ბოლოს იმისთანას კიდო ქე იშოვნი! — ეშმაკურათ გაეხუმრა დიაკვანი.

— შეენ უფალოოო... ქრისტე აღსდგა მკვდრეთით— ...რა გინდა ბოშო? სამთელი? რამდენის? სიკვდილითა სიკვდილისააა... ორი შაური ღირს მაგი... დამთრგუნველიიი..— თუ არ გინდა შეაყოლე იქით... დასაფლავებით... გადი შე ოხრის შვილო, მიაკვდი შენს პატრონს თფუ... ცხოვრების მიმნიჭებელიიიი...

დიაკვანს გული მოუვიდა დედაბერზე, რომელმაც ორ შაურიან სანთელში სამი კაპეიკი შეაძლია და მაგრათ შეუკურთხა.

— ქრისტსე აღსდგა მკვდრეთით...

— არიქა დიაკვანო! — შემოვარდა მნათე. — პეტრე მღვდელს გული შეუწუხდა საკურთხეველში!

— რა ჯანაბა დეემართა, კაცო? და დიაკვანი გალობით გავარდა საკურთხევლისკენ.

— რა იყო მღვდელო? — შეეკითხა მღვდელს.

— შენი ჯანაბა — ძლივს ამოილუღლუღა ღვდელმა. — მაცალე, ჯერ სული მევითქვა, ღვდლის წყალი მიაწოდეს და თითქმის მთელი კოკა გამოსცალა.

— რა მოგივიდა მამაო? — განცვიფრებით ჰკითხა დიაკვანმა ხელმეორეთ.

— ამაზე მეტი რა უნდა მომივიდეს, შე ბუის თავო! ზიარებას ვსვამდი, და ღვინის მაგიერ ძმარი ჩაგისხამს ბარძიმში, ამომწვა მუცელი და გამიჩნდა პაპარი: შე მუცელზე გასახეთქო, ზიარების ღვინო რომ არ შეგესვა, სხვა ვერ იშოვნე?

— ველარ მიხდი რომ ძმარი იყო! რატომ გამოსცალე? —ჩაილაპარაკა თავისთვის დიაკვანმა.

— ისე მწყუროდა ღვინო, რომ ყურადღება არც კი მიმიქცევია!

— უფალო შეგვიწყალეეეე! — და დიაკვანი გალობით გამოვიდა საკურთხევლიდან...

— უფლისა მიმართ ვილოცოოოო!—მოისმის საკურთხევლიდან.

— ვაი შენს პატრონს... ააამინ!

ხოჯა.



— გაქვს რამე ცოდვები, შვილო?

—მაქვს, მამაო, მეზობელს თავი გავუტეხე ქვით.

— შეგინდოს უფალმა... კიდევ რა ცოდვა გაქვს, შვილო?

— ფული მოვპარე მამაჩემს ხუთი თუმანი.

— შეგინდოს უფალმა... კიდევ ხომ არაფერი ცოდვა გაქვს, შვილო?

— ერთი ცოდვა კიდევ მაქვს მოწყალეო მამაო: ამას წინეთ ერთი ვარია მოვიპარე შენსას!



— რაო? ოი, შე მამაძაღლო, შუსა!




ამხ. ტარტაროზი ხატავს მღვდლის „მეგობრულ შარჟს“

# შ ა რ ა დ ა

ცხენის სამკაულს შეადგენს
ჩვენი ძიების საგანი;
ცხენზე შემჯდარი მას მყისვე
ხელს სტაცებს ყველა თქვენგანი.
ორი ანბანი წინიდან
გვჭირია. შემოვიხსოთ,
შემდეგ დაუყვეთ ქვევით,ყენ,
ახალი სიტყვა მოვნახოთ.
ხაშურს და გორს შუა მდებარე
გვინდა სადგურის სახელი,
ვეჭვობ, რომელი თქვენგანი
არ იყოს მისი მნახველი,
ბოლოდან ერთი ანბანი
მოვსჭრათ, ვისროლოთ შუაშია;
მის ნაცვლად დავსვათ ის ასო,
ჩვენს ანბანს რაც აქვს თავშია.
ამ ორი სიტყვის ნარჩენი
რომ გვქონდეს ერთად, ვით მთელი,—
მათ შორის ჩავსვათ ჩვენ ასო,
ოთხისა გამომხატველი.
შარადა უკვე მზათ არის,
არც გამოცნობა ძნელია,
უკვე მივიღეთ ჩვენ სიტყვა
თუმც ერთი, მაგრამ მთელია;
ხალხს აშინებდნენ ამ სიტყვით:
„იყავით მორიდებული“..
ჰგლეჯდნენ, ძარცვავდნენ მაშვრა-
ლებს;
ხუცები ჩასუქებული!
ამ დღეს სიამით ელოდა:
მორწმუნე ერთად ყოველი...
იკვლოდა, ეწირებოდა,
მსხვერპლად ესოდენ ცხოველი.
მაგრამ ოქტომბრის ტალღებმა
გაჰფანტა: ყვავნი, ყორანნი;
მბრძანებელთ ჩაქცა მახვილი,
ანთავისუფლა მონანი.
ცრუმორწმუნებას მან რიდე,
ჩამოხსნა დღემდის ფარული,
დღეს არავის აქვს ისათი:
პატივი და სიყვარული!

გოგია.

# მ ა მ ა ო ი ა კ ი ნ თ ე

— შვილო, ილიკო! მომილოცავს აღდგომა უფლისა იესო ქრისტესი! მაღალმა ღმერთმა დაგასწროს მრავალ ბედნიერ დღესასწაულს სიხარულით მადიდებლად მართლ მორწმუნე ეკლესიისა. ყოვლად წმინდა დედა ღვთის მშობელი მარიამი იყვეს შენი შემწე ყველა საქმეში. ზეციერმა მამამ ამოაგდოს დედაბუდიანად შენი დუშმანი და ავად სახსენებელი.

ამ სიტყვებით მიადგა კარებზე მამა იაკინთე მემაწვნე ილიკოს და მიუბრიალა საცეცხლური მძიმედ დატვირთულ სახედარს თვალებში.

— ჩემი დუშმანი აგერ გვერდის მეზობელი ივანეა, ცხვირწინ რომ მომდგომია და მოსვენებას არ მაძლევს.

— დაამხობს, შვილო, დაამხობს იესო ქრისტე მაცხოვარმა. კეთილი არა ნახოს ამიერ უკუნისამდე. ამინ!

ილიკომ ქისიდან ზლაზვნით ამოიღო ვაივაგლახით, ნამოები ათშაურიანი, ჯვარზე ემთხვია და მოწიწებით მისცა მოძღვარს.

იაკინთემ, ცოტა არ იყოს, ნაყიში თვალით დახედა ფულს, ჯიბეში შეუმჩნევლად ჩაიდო და შემდეგ მიუახლოვდა ილიკოს მეზობელს:

— შვილო, ივანე! მომილოცავს აღდგომა უფლისა იესო ქრისტესი! მაღალმა ღმერთმა დაგასწროს მრავალ ბედნიერ დღესასწაულს სიხარულით მადიდებლად მართლ მორწმუნე ეკლესიისა. ყოვლად წმინდა დედა ღვთის მშობელი მარიამი იყვეს შენი შემწე ყველა საქმეში. ზეციერმა მამამ ამოაგდოს სახლიანკარიანად შენი დუშმანი და ავად მახსენებელი.

— ჩემი დუშმანი აგერ ილიკო არის, რომ ვაჭრობაში მეცილება და მუშტარს შუაზე მიყოფს. — თავის მხრივ შესჩივლა ივანემ.

— დაამხობს, შვილო, დაამხობს იესო ქრისტე მაცხოვარმა. კეთილი არა ნახოს ამიერ უკუნისამდე. ამინ!

ივანემაც ამოიქექა ჯიბე.

— თვალებიც დაგთხრიათ ორივეს, ეს რა ცოტა ფული მომეცით?! — წაიბუტბუტა სულის მამამ და ახლა ზაქარას კარს მიუკაკუნა მისალოცად.

გიგო ხერხეულიძე.




კოოპ. მაღაზიის გამგე: სმენა, სწორება მარჯვნივ—პასკისაკენ!

# მიხეილ მღვდელი

(სააღდგომო მოგონება)

განსვენებული ბებია ჩემი მეტად ღვთის მოყვარე ადამიანი იყო. ისე ფეხს არ გადაადგამდა, რომ მისთვის ყოვლად შემძლებელი ღვთის სახელი არ ეხსენებია. ოთხშაბათ - პარასკევს სულ მარხულობდა. მარხვაში ხომ ხორცეულობას პირს არ მიაკარებდა.

მაგ კი არა, ერთხელ მახსოვს დიდ მარხვაში ავად გახდა ანთებით. ექიმებმა გვირჩიეს მხოლოდ რძე ასვითო, მაგრამ, თქვენც არ მომიკვდეთ, სიკვდილი არჩია და რძე ახლოს არ მიიკარა. ბოლოს გვითხრა:

— მომიყვანეთ მამაო მიხეილი, თუ ის ნებას მომცემს შეიძლება მაშინ დავლიო რძეო.

ვაფრინეთ კაცი მღვდელთან.

— რა დაგემართა მამა და შვილო? რითა ხარ, ჩემო ხოფო ავად?—და თან მღვდელმა მოწიწებით პირჯვარი გადასახა ბებიას.

სიცხისაგან შეწუხებულმა ბებია ჩემმა ძლივს ასწია თავი მაღლა და დიდი მოკრძალებით ემთხვია მღვდლის ხელს. ჩამოვარდა საერთო სიჩუმე, რომელსაც მხოლოდ ბებია ჩემის ოხვრა - კვნესა არღვევდა;

— მამაო მიხეილ, — შესჩივლა მღვდელს ბებიამ, — ეს ულმერთოები ჩამაციედენ გინდა თუ არა რძე დალიეო. ქალი დავბერდი, დიდ მარხვაში კი არა, ოთხშაბათ - პარასკევსაც არ გამიტეხია მარხვა და ეხლა როგორ ჩავდგა ცოდვაში ფეხი! რა ვქნა? რას მირჩევ? — და აუვარდა საწყალ ბებიას ტირილი...

— ნუ სტირი, ჩემო სანეტარო შვილო, ავადმყოფობა ღვთის გაჩენილია, დალიე რძე, მე გაძლევ ნებას; შენთვის ამ კვირას ვწირავ და შეგინდობს უფალი, — მერე იმედია მალე მორჩები. — ანუგეშებდა მღვდელი.

ბებია ჩემს სახე მეტად გაუბრწყინდა; მღვდლიდან აგრე ადვილად არ მოელოდა ნებართვას.

— მამაო მიხეილ! შენი სულის ჭირიმე, რადგან მიდგები ღმერთთან თავდებათ, ჰა საწირავათ ხუთი მანეთი ძირითვით; ჯერ ეს იყოს; როცა ფეხზე წამოვდგები, მაშინ კიდევ ღმერთია მოწყალე!

— მღვდელს სიხარულით თვალები აუციმციმდა; ფული ჯიბეში უცბათ იტუცა, ბებია ჩემი კიდევ დალოცა და გაუდგა გზას.

არ ვიცი რძე მოუხდა თუ მღვდლის დალოცვა, მარა ბებია კი მორჩა: სამ დღეში რწყილივით წამოხტა ფეხზე.

რა თქმა უნდა პირველი „ვიზიტი“ მამაო მიხეილს გაუკეთა. ის იყო ვნების კვირა იწყებოდა, შვიდი დღე კიდევ და, — აღდგომა კარზე მოგვადგებოდა...

ბებია ჩემმა ბზობას გადაწყვიტა უსათუოდ მიელო ზიარება.

— ბებია, რატომ ქვია ამ კვირას ვნების კვირა? რატომ ჯერ აღდგომაა, და მერე შობა? — აუკვიატდი ბებიას.

მაგრამ პასუხის მაგივრად დამტუქსა:

— ეს შენი საქმე არ არის; როცა გაიზრდები და გაიცნობ ღმერთს, მაშინ ყველაფერს გაიგებ.

— სად უნდა გაიცნო ბებიკო ღმერთი? სად სცხოვრობს? წამიყვანე გამაცანი!

— სუ მე უკულმართო, ცოდვაში ნუ ვარდები, ღვთის სახელს აგრე უბრალოდ ნუ ახსენებ! — შემიტია უფრო ენერგიულად.

ბებია ჩემი, „ვნების“ კვირის ორშაბათიდან შეუდგა ზიარებისათვის სამზადისს. იარა ეკლესიაში ორშაბათს. სამშაბათს. ოთხშაბათს და,—ხუთშაბათს, კი მწარედ დაღონებული ზის თავისთვის და არ აპირებს ეკლესიაში წასვლას

— ბატონო დიდი ხანია დარეკეს, წაბრძანდით ეკლესიაში, დაგაგვიანდებათ, ცისკარს ველარ მოუსწრებთ! — ემუდარებოდა დედა ჩემი.

— ეხლანდელი აღარც მღვდელი ვარგა და აღარც წირვა.

— რა იყო ბატონო,—შენდელს აქეთ აგრე შეწუხებული რომ ხართ? —შეეკითხა გაკვირვებით დედა ჩემი

— რაღა არ დავლონდე ბოშო. მე გუშინ ამბავი გავიგე, ქუჩაზე რომ არ შევიშალე. არ გიკვირს?

— რა გეიგე მაინც გვითხარი, ბეჩა, ჩვენც!

— რა გევიგე და ოთხშაბათს ალსარების ავლის დროს ჩვენს მღვდელს გარსევანას ცოლი პელაგია გაუპარტურებია, წაუწყმენდია ამ ოხერს სული!

ქოხრს იტყოდენ, არ იცი ჩვენებურების ამბავი! — ამშვიდებდა დედა იქ ში.

— რა ტყუილი, რის ტყუილი, მე ტყუილს დავიჯერებდი? ტყუილი კი არა გუშინ სალამოს მთვრალი, გახეთქილი მოსულა სალოცავად ეკლესიაში და დაუძახებია:

— თუ ვინმე დარჩით ახსარება აუვლელი მოდით, თორემ ისე ზიარებას ვერ აიღებთო.

ამ დროს შესულა საწყალი პელაგია. მღვდელს შიგნიდან ეკლესის კარები ჩაუკეტია; გარეთ მდგომ ხალხს ეს არ ეჭაშნიკა თურმე.

გავიდა თურმე ერთ საათზე მეტი და არ გამოდის პელაგია, ხალხს მოთმინება დაეკარგა, იმათაც უნდოდათ ახსარების ავლა, ბოლოს თურმე ირინე მონოზანი შეაგზავნეს უკანა კარებიდან ეკლესიაში. შეიდა თუ არა ეკლესიაში ირინე, უცბათ მოისმა მისი საზარელი ხმა:

— უიმე მიშველეთ ყოველმა კაცმა, ეს რა ნახა ჩემმა თვალებმა!

ხალხს ეგონა ალბათ გული შეუწუხდა ვისმეო. შევარდენ ეკლესიაში და ნახეს, მარა რა ნახეს: პელაგია თურმე იატაკზე გაშხლართული; მიხეილ მღვდელი კი მოსასხამს ეხვია თავზე და რაღაცას ლუღლუღებდა, თურმე; მოდი ახლა და ამისთანა ღვდელთან ეზიარე! — დაასრულა ამბის მოყოლა სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილმა ბებია ჩემმა.

გრი.

## „ურწმუნო“

— ე რა ბარაქიანად დატვირთულხარ, ჩემო მეგობარო!?

— იმდენიც არაფერი! ხულ ცოტაოდენი რამე მიმაქვს სახლში.

— ბატკანიც გიყიდია?

— ჰო, აბა! ხომ იცი ისე არ იქნება?

— გოჭიც?

— ჰო, ბარემ ეგეც იყოს!

— ი ტოპრაკში რაღაა?

— ეგ პასკის ფქვილია.

— პასკასაც აცხობ?

— რას იზამ! ისე აღდგომას ლაზათი არ ექნება, ხომ იცი!

— კვერცხებიც ხომ მიგაქვს?

— რასაკვირველია! არც სალებავი დამვიწყებია!

— თადარიგიანი კაცი კი ყოფილხარ ძმაო, ასე ნაადრევათ რომ შემზადებულხარ!

— სამი დღით სხვაგან მივდივარ და იმიტომა... სწორედ შაბათს მომიხდება დაბრუნება და მაშინ რაღას შოვნას მოვასწრებ!

— სად მიდიხარ?

— ანტირელიგიური კამპანია უნდა ჩავატარო პროვინციებში.

— ჰოო?!

ნადირი.

## „სესიას ფიქრები“

ეს როგორ არის ვერ მივხვდი. როგორი განაჩენია?!
მოვსპოთ: „შობა, აღდგომა და ბზობა“... დაუგიჩემია,
ზედ მივაყოლოთ ყოველი უქმენი საეკლესიო...
არ გამოვაცხოთ ლვეძლები და პასკა უტკბილესიო...
ჩვენ ამ დღეებში არ დავკლათ არც გოჭი, არც ბატკანიო.
არ გავიხადოთ მზადებით ტანზე ტყავი და კანიო.
ჩვეულებრივ დღეთ ჩავთვალოთ სადღესასწაულო დღენიო,
ამგვარათ მოისპობიან შობა და სხვა უქმებიო...
პროტესტი გამოუცხადოთ: მღვთისმშობელს, ღმერთს, ქრისტესაო...
დაიქცეს მისი კერია ვინც რელიგია სთესაო.
მაგრამ... მე მაინც ვერ მიხვდი როგორი განაჩენია?!
არ ეფარდება ჩვენს სიტყვებს საქმე ისევე ჩვენია.
მუშკოოპს ამდენი პასკები სად,როგორ გამოუცხვია, —
რომ ყველა მაღაზიებში, მით მთაწყაზბეგი, უწყვია?!
გამგეს, რომელმაც გუშინწინ დაჰგმო: აღდგომა, ხარება, —
აღდგომისათვის ავნასის გალება არ ეზარება:
— მიეცით თანამშრომლებსო წინასწარ ჯამაგირიო, —
დროზე იყიდონ ყოველი, მინამ გახდება ძვირიო...
და ვინაიდან დღე ერთი სალხინოთ არა კმარაო, —
ზედ მივაყოლოთ მეორეც, რომ არ გავიდეს ჩქარაო...
(„დასვენების დღე“ ვუწოდოთ, რომ ის არ იყოს ღვთისაო;
თუმც რა დროს დასვენებაა — მზე არ გვწვავს ზაფხულისაო!)
მივუსხდეთ სუფრას გაშლილხა, დავსძახოთ „დელა-ოლაო“.
დღეს თუ თქვენ ჩვენსას ქეიფობთ, ხვალ შენსას მოვალთ ყველაო...
ეს როგორ არის ვერ მივხდი, როგრი განაჩენია?!
არ ეფარდება ჩვენს სიტყვებს საქმე ისევე ჩვენია...
სარწმუნოების წინაამდეგ გავმართეთ კამპანიებს, —
მაგრამ შობას და აღდგომას მაინც გვაქვს კამპანიები...

ისელი.



ესაა ნამდვილი სამოთხე და ცხონება.
დეე მოკვდე, თუ ერთხელ მაგრათ ჩამეკონება!

# „ბინის კრიზისი“




—ქრისტე:—ეს არის სამართალი? კომკავშირელებმა საკუთარ ბინიდან გამოგვყარეს და უბინაოთ დაგვტოვეს!

## „წმიდათა“ ანკეტა

### მღვდელი

შენატრება: წირვა-ლოცვა,
საკურთხი და ალაპიო,
მაგრამ არვინ არ მიკარებს,
რაღას ვუქნა აწ ყლაპიო,

### ფოფოდია

შემომაკლდა: გოჭის ხორცი,
ღვინო, ხაჭაპურებიო
მაცხოვარის მერანივით
ჩამოვყარე ყურებიო.

### დიაკვანი

მეც მომბეზრდა დიაკვნობა
და ეს საცეცხლურიო.
უნდა გავხდე მეც „სლუჟაშჩი“,
ბუჰალტრობა მწყურიაო.

# ჩემბერლენის „წითელი სალებავი“



ზის ჩემბერლენი და კვერცხებს ღებავს... და თანაც იგი ასე მღერისა:
აღდგომის კვერცხის სალებავათ მაქვს წითელი სისხლი მრავალი ერისა.

## დეკანოზი

მსურს გავიძრო ანაფორა
გავიპარსო წვერებიო.
შრომის ბირჟაში მივდივარ,
დღესვე ჩავეწერებიო.

## მონაზონი

კმარა რაც მე „ვიმარხულე“,
აწი მსურს გათხოვებაო.
ხლა საქმროს სანთლით ვეძებ,
მსურს ახალი ცხოვრებაო.

## ბერი

მე მონასტერში შთენილი
ვხედავ ობლათ ვრჩებიო
მონაზნები გვითხოვდება,
იპარსება მღვდლებიო.

დონ-კიხოტი

# ამერია ოჯახი

## იმერული სცენა

ვიხცბა ჭკუა შექანჯალებულმა იესო ქრისტეს ზღაპარი სალმთო რჯულში ჩაეწერა, იმის სულს უყეფოს სიბი გრიგორიას ბანჯგლიანმა ძაღლმა.

ისედაც მეყოფა გაჭირვება; სიმჭლესაგან შარვალი დ-ს ყორყოლაძესავით არ მიმაგრდება ტანზე და რაღა დროის ჩემი ქეიფობა და ვახახაეა. ვისაც ოუდგა იგი იესო ქრისტე), იმას უხაროდეს, თუ არა ჩემთვის არც ამდგარა და არც წამომჯდარა; კვდრისაგან კი არა, ცოცხლისაგან ვერ მოველი შველას და დახმარებას. თუ არა მკვდარს მიეწია მისი ჭირისუფალი.

ვყვირი და ვბღავი, მაგრამ ვინ შეგიბრალა, მოახლოვდება შობა და აღდგომა თუ არა, მშვიდობით ოჯახის მყუდროებავ, მშვიდობით მთელი წლის ნაცოდვილარო და ნაამაგარო.

შარშანდელზე შეშინებულმა წაეჩრეკა ცოლი და ბალღები კავშირის კრებაზე. გამოვიდა მომხსენებლმა ჰოდგა მარა რა მოდგა რელიგიას. გაეიტანენ დადგენილება „აღდგომას ბრანწიო".

მომეშვა გულზე.

მოახლოვდა წითელი პარასკევი. შეინძრა ცა და ქვეყანა, ატყდა ცხვრების და თხების პეტელი. გოჭების ჭყვირილი, აბოტდა პასკების სულით ყველაფერი, იშეირა წიხლი და აზელა ქაქებში ცოლმა:

„შენ ხელში მე გამრიელს ვერაფერს ვერ ვჭამო".

— ჩემო ხეითო, ჩვენი საკომპლიმენტო დღეები პირველი მაისი და ოქტომბერია. რომლითაც ადამიანური უფლებები მოვიპოვეთ. აგი შობა და აღდგომა ბურჟუებისაა და აგერ პირველ მაისს გავჭმევ პასკას - მეთქი..

არა აღდგომას მინდაო... არა პირველ მაისს — მეთქი... აღდგომასო. გამოვხსენი ბალღები ქვეშსავეთიდან და შეუდექი რელიგიის საწინააღმდეგო მოხსენებას. გადმოვიბირე ბალღები და დავადგინეთ: აღდგომას აღდგომურათ არ შევხვდეთ!

დაშტომა ცოლმა კულუმბურივით თვალები, დაბჯანა კბილები და ებღლვნა ბალღებს. არ მომასმინა გულმა, ერთი მოწოლილე და მევიქეცი ქვეშ. ქვეყანა ვახახაიას იმახაი და ჩემიას კი ჯოჯოხეთური მოთქმა... კიდევ კაი აღდგომა დღეს იმ მომხსენებელს, გადამიპატიეა, თუ არა საცოდაობას მოვახდენდი ოჯახში;

ახლა შაქარივით ცოლ - ქმრის საქმე, ყენოდელის კაბინეტში ირჩევა, მარა თუ რელიგიის საწინააღმდეგო ბრძოლისათვისაც დამჯიან. ანასუნი მათ საქმეს.

ყოსტაიდი.

# მეგობრული შერყი



გამოგჩეკე... უნდა გახდე გამომჩეკის დამამშვენი.
არც ისეთი პატარა ხარ, როგორც ამბობს გვარი შენი!

# ჩარჩ ოსეფას ლოცვა

ჩარჩ ოსეფას, კუნჭულში, ძველი ხატების წინ სანთელი აენთო და გულხელ ჩოქილი ლოცულობდა:

— ვა, ქრისტეჯან, შენ კი გენაცვალე მაგ ყანყრატოში, მაგ მოუპარსავ სიფათში. შენ რომ არა ყოფილიყავ, რა გვეშველებოდა! წყალი წაგვიღებდა ვაჭარ ხალხს; სიმშილით ამოვიხოცებოდით. შენისთანა კაცი ორი-სამი კიდევ რომ დაბადებულიყო, ჩვენ ბედს ძაღლი არ დაჰყეფდა!..

ვა, გენაცვალე მარიამჯან მაგ კოკობ ძუძუებში, რომ ამისთანა შვილი გამოგიზრდია! არა და ეს ურჯულო ბოლშევიკები გამოზრდიან შეიისთანა შვილებს! ისეთ კონცომოლებს ზრდიან, რომ თოკიდან აწყვეტილები არიან!..

ნამდვილი გოგრა ყოფილხარ ქრისტეჯან! განა რამ გაფიქრებინა ამოდენა რამეები ჩვენი გულისთვის?! ვა ქრის შვილი არ ყოფილხარ! არც მღვდლის შვილი შენი მამობილი ჩემი სეხნია ყოფილა, დურგალი იოსეფა... მაშ საიდან მოგივიდა თავში ეს ვაჭარი ხალხის და მღვდელ-ბერების სასარგებლო პრაზნიკები?!

ჩაესახე მუცელში მარიამს—ხარებაო — ჩვენი ხეირია!..

დაიბადე—შობაო — ჩვენი ხეირია!..

მოინათლე — ნათლიღებაო—ჩვენი ხეირია!..

იერუსალიმში შეხვედი ჯორით—ბზობაო — ჩვენი ხეირია!..

გაწვალეს, გაგაკრეს ჯვარზე, დაგმარხეს—ადექი, აღდგომა ხო ჩვენი ხეირია!..

ამ ცოდვილ მიწაზე მოგწყინდა სიარული, ზეცაში ახვედი—ამაღლებაო —ჩვენი ხეირია!..

არა და ეს ბალშევიკების გამოგონილი უქმეები მოგვცემენ ხეირს! ხელი აუღიათ ყველაფერზე, აღარც ღმერთი სწამთ, აღარც ხატი, ამ უსწავლელ ხალხს სულ იმას ჩასჩიჩინებენ, რომ ვაჭრები და მღვდლები გატყუებენ, თვალი გაახილეთ, ყურიდან ბამბა გამოიღეთ, მტერ-მოყვარე გაარჩიეთო.. ვა, გამოდის ისე, რომ ჩვენ აღარ უნდა ვიცხოვროთ!?.

მაგრამ რას ებოდავ, ქრისტეჯან! განა შენ ჩემზე კარგად არ გესმის ყველაფერი?!. ალალია ჩემმა მზემ, რომ ყოველ შაბათს სანთელი გინთონ ვაჭრებმა! რასაც ამ შენგან მოგონილ-დაწესებულ პრაზნიკებში დამპალ დაბრაკულ საქონელს ვასაღებთ მამასისხლათ ამ ბრიყვ ხალხში, ვინ იყიდდა იმათ ისე პრასტოი დღეებში? ისეთი დაძმარებული ღვინო გამიყიდნია, რომ კაჭკაჭისთვის ჩაგესხა,—აჩხავლდებოდა. აყროლებული თევზისთვის ოჩერედში იდგა მუშტარი!

შენა ხარ ლუკმა პურის მომცემი, ქრისტეჯან, თორემ მთლად დავიღუპებოდით. სხვა დღეებში მუშტარი ჩვენთან არ შემოდის. სულ კოოპერატივში მიდის... პრაზნიკებში კი, როცა კოოპერატივი ვერ უთავდება და მუშტრებს რიგში დგომა ეზარებათ, ჩვენთან მოდიან... ეს სულ შენით არის, ქრისტეჯან... ნეტავი სამი-ოთხი ქრისტე კიდევ ყოფილიყო... მაშინ უკეთესად იქნებოდა ჩვენი საქმე..

პეტახ..




### მოქმედნი პირნი:

**ათანასე**—სოფლის მღედელი.
**ფოფოდია**—ათანასეს ცოლი.
**ბაბინე**—ქვრივი.
**გრიშა**—ბაბინეს ვაჟი, კომკავშირელი
**დათიკო**—გრიშას ბიძა, ბაბინეს ძმა.
**კომკავშირელები.**

სცენა წარმოადგენს ოთახს, რომელსაც ორი კარები აქვს ,— ერთი, პირდაპირ, შემოსავალი, მეორე—მარჯვნივ, რომლითაც სხვა ოთახში შედიან. მარცხენა მხარეზე საძინებელი ტახტი, რომლის ახლოს ფანჯარაა. შუაში სუფრა, რომელსაც აწყობენ გრიშა და ბაბინე. გრიშა ფიზკულტურის ტანსაცმელშია. ახლად დაღამებულია; ლამპა ანთია.

**ბაბინე და გრიშა, შემდეგ დათიკო**

**ბაბინე**:—შვილო, ყველაფერი მზად არის, მაგრამ ღმერთი არ გაგიწყრეს და...

**გრიშა**: ჰმ: კიდევ ღმერთი... ხა-ხა-ხა!

**ბაბინე**:— დასწყევლოს ღმერთმა.. კიდევ არ წამომცდა!.. ფუი ეშმაკს... ჰო, შვილო, იმას გეუბნებოდი, რომ იმ შეჩვენებულს ცუდი არაფერი უქნა, არ მოჰკლა,—თორემ, ხომ იცით— დავიღუპებით (ისმის კარებზე კაკუნი). მგონი მოეთრია ის ოხერი და არაფერი დაუშაო, თორემ... (პირჯვარს იწერს).

**გრიშა**:—მობრძანდით (კარებს უღებს) ჰაა, კერიას ნახშირი... გაუმარჯოს ბიძაჩემს.

**დათიკო**: ოჰო! სწორედ კარგ დროსზე მოვსულვარ (ხელს ართმევს ბაბინეს). აი ასეთი უნდა და და დისწული. (უნდა სუფრას მიუჯდეს).

**გრიშა**:— უკაცრავად, მაგრამ ჯერ დაიცადეთ; თქვენთვის არ არის, ძვირფას სტუმარს ველოდებით—დედაჩემის „სატრფოს“ და იმისათვის...

**ბაბინე**:— ბიჭო, გაჩუმდი... ნუ მასხრობ!

**დათიკო**:—არაფერი არ მესმის თქვენი! აი ამას გადავკრავ და ეგებ ჭკუაზე მოვიდე. (გადაჰკრავს არაყს).

**გრიშა**:—დედაჩემო, შენ ნუ გეშინია, კაცი ჩემგან მადლობის ღირსია და ცუდ რამეს როგორ ვუზამ!?

**ბაბინე**:— რაო?! მადლობის ღირსიაო?!

**გრიშა**:—დიახ, მადლობის ღირსია! მამაო ათანასეს მადლობისა და პატივისცემისათვის ვუმართავ ამ სუფრას.

**დათიკო**:—კი, კი... სწორედ რომ მასე იქნება; კომსომოლებს ძალიან გიყვართ მღვდლები (კიდევ გადაჰკრავს).

**ბაბინე**:—შვილო, შენ გადირიე! იგი შეჩვენებული ათანასე მაინც კი გაიძახის, რომ ღმერთმა კომსომოლები ჭკუიდან შეშალა და გააგიჟაო; შენ მართლაც ამართლებს იმ ეშმაკის მოციქულის სიტყვებს.

**გრიშა**:—მაშ რა უნდა ვუყო?

**ბაბინე**:— სიკვდილის გარდა, რაც გინდა ის უყავი: დედაშენს შეურაცყობა მოშაყენა, მერე სად? შიგ წმინდა საკურთხეველში, და შენ კი...

**დათიკო**:—ხა-ხა-ხა-ხა.. ეხლა კი მოვხდი... ყოჩაღ ათანასე;; შენი სადღეგრძელო იყოს (გადაჰკრავს).

**ბაბინე**: (შეჰყვირებს გრიშას და დათიკოს, რომლებიც ხარხარობენ):—თქვენ ხომ არ გაგიჟდით!?

**დათიკო**:—(მიიღებს სერიოზულ სახეს და ბაბინეს ხელს მოჰკიდებს, თანაც გრიშას თვალს ჩაუქნევს):—რაო, ჩემო დაო, ათანასე მღვდელმა შეურაცყოფა მოგაყენა?

**ბაბინე**:— და მერე როგორი?.. ოი, ჯოჯოხეთში აყეფდეს მისი სული.

**გრიშა**:—აბა უამბე დათიკოს და მან გასაჯოს, თუ ღირს ამისათვის კაცის შეურაცყოფა!

**დათიკო**:—აპა, აპა, მითხარი...

**ბაბინე**:—ზიარებას ვიღებდი ამ სააღდგომოთ... მთელი ერთი კვირა ვიარე წირვა-ლოცვაზე...

**გრიშა**:— (ირონიით) ოი, მისი მადლი კი გაუწყრეს! ათანასეს!

**დათიკო**:—(თითქოს სერიოზულად):—ნუ დასწყევლი, კაცო, თორემ კომსომოლების ენა კვიმატია და აუსრულდება....

**ბაბინე**:—ოი, ნეტავი მართლა ახდებოდეს, მარა, თქვენ მე დამცინით!... არა. არც მე აღარ მწამს აწი ღმერთი და ხატი.... ჰო-და იმას ვამბობდი—აღსარების დროს შევედი საკურთხეველში. თანაც ერთი ბოთლი შავი ღვინო მივუტანე მღვდელს ზიარებისათვის... უი, რა ჰქნა იმ შეჩვენებულმა!... აი ერთი ბოთლი ღვინო აიღო და მთლად ქე არ ჩაასხა ბარძიმში! მერე აიღო და მთლად ქე არ გადაჰკრა!... „ძალიან მწყურიაო“,—და მოვიდა ჩემთან... უი, მეხი კი დავაყარე იმას.... მომკიდა ხელი... ჯერ ვიფიქრე ასე უნდა მეთქი...ხელიდან ქე არ შემოჰყვა შევით...რას შობი მამაო-მეთქი, ვკითხე...მარა,რაღა კითხვა უნდოდა, ცალი ხელი კაბის ქვეშ წაიღო და მეორე ხელით ის იყო უნდა ჩავეკარი. რომ გავუსხლტდი... მარა სად წახვალ, მიეკრა საკურთხევლის კარებს და არ მიშვებს გარეთ. მეუბნება:—ბაბინე, ქალო, ეს ცოდვა არ არის... შენ ქვრივი ხარ...— უი, მეხი კი დავაყარე იმას..:—არა უშავს... ეს ცოდვა არ არის.... თუ გინდ ცოდვაც იყოს, მე სამ-ოთხ ჯერ ვწირავ შენთვის ამ ცოდვის საპატიებლად... აი, აგერ რომ ღვთისმშობელია,—და მიმითითა ღვთისმშობლის ხატზე,—ხომ ხედავ რა მშვენიერია? აი ეს მშვენიერი გოგონა მოხუცმა იოსებმა გააუპატიურა, მაგრამ ამით მას არა თუ ზიზღი დაუმსახურებია, პირიქით, დღეს მთელი საქრისტიანო ქვეყანა თაყვანს სცემს... ბაბინე, ქალო... აქ არავინ არ არის... გევედრები გადავირიე.... ამდენი ხანია შენზე მაქვს თვალი...—და, რა ვიცი რა არ მითხრა იმ შეჩვენებულმა... განა ეს შეურაცყოფა არ არის???

**დათიკო**:—ვერ ყოფილხარ კარგი მორწმუნე, თორემ უნდა შეგბრალებოდა მამაო ათანასე... (ისმის შორეული ზარის რეკა. ბაბინე ინსტიქტიურად პირჯვარს დაიწერს, უცბად მოაგონდება და წააფურთხებს. ესენი გადიხარხარებენ).

**გრიშა**:—აბა, დედაჩემო, ეხლა ათანასე ეკლესიიდან წამოვა. გზაზე დახვდი და წამოიყვანე სახლში. უთხარი, რომ მე ამეღამ დათიკოს მივყვები სახლში, თითქოს ბაბუა ყოფილა ავათ. აქ რომ მოიყვან,—დავათრობთ. მერე მე ვიცი რასაც ვუზამ.

**ბაბინე**:—შვილო, ცუდი არაფერი უქნა.

**გრიშა**:— გეუბნები არა, არც მოვკლავ, არც გავლახავ, არც სიტყვიერათ შევურაცყოფ და არც... არც... ერთი სიტყვით სახიფათოს არაფერს არ ვიზამ... აბა ეხლა წადი (ისმის ძახილი: „ბაბინე“, „ბაბინე“ და ძაღლის ყე-

ფა). ფოფოდია არის!... აბა, დედიკო, შენ აქედან გადი, ფოფოდიამ არ დაგინახოს... ოირეე ცოლ-ქმარს ისე ვასროლინო კუდით ქვა, რომ აქედან სტამბოლში ჩაავდონ. (ბაბინე გადის).

**დათიკო:**—მართალს ამბობს ათანასე: „კომსომოლი და ეშმაკი ერთი და იგივეა".

**გრიშა:**—აბა, დათიკო, ცოტახნით გარეთ მიბრძანდი და შემდეგ შემოდი.

**დათიკო:**—მისგან თუ რამე ხეირია არ დამაკლო, თორემ ვაი შენს ტყავს.

**გრიშა:**—მართლადაც დაგილოცავ (დათიკო პირდაპირ კარებში გადის. ისმის კარებზე კაკუნი და ძახილი: „ბაბინე", „ბაბინე". გრიშა კარებს აღებს) მობრძანდით! (შემოდის ფოფოდია).

**გრშა და ფოფოდია.**

**ფოფოდია** (მსუქანი, სისხლ-ხორცით სავსე. ვნებიანი ლაპარაკი და მიმოხვრა) —უი, როგორ შიშვლათ ხარ, ჩემი სიკვდილი... უკაცრავად... (თთქოს რცხვენია, მაგრამ ქვეშქვეშ უცქერის) მგონი დასაძინებლათ ემზადებოდი გრიშა?

**გრიშა:**—ჯერ რა დროსია ძილი!

**ფოფოდია:**—კი მარა, აბა ასე ტიტლიკანათ... არ გრცხვენია!

**გრიშა:**—რისი უნდა მრცხვენოდეს... ეს ჯანმრთელობაა და ძალღონე (გაივარჯიშებს) მკლავებში რაც კი მომყვება, ყველაფერს დავამტვრევ.

**ფოფოდია:**—ტყუილათ გგონია... დაამტვრევ ვინც უსუსურია, თორემ ჩემისთანას ვერც ვერაფერს დააკლებ.

**გრიშა:**—რატომ გგონიათ!?...

**ფოფოდია:**—აბა სინჯეთ თუ რამე დამაკლოს შენმა მკლავებმა!

**დათიკო** (მარჯვენა კარებიდან გამოიხედავს):— დღეს, მგონი, კარგ ფეხზე ვარ ამდგარი...

**გრიშა:**—კი მაგრამ ეს ხომ ჩახუტება იქნება?

**ფოფოდია:**—მერე რა უჭირს?!

**გრიშა:**—როგორ შეიძლება წმინდა მოძღვარის ცოლი კომსომოლ ეშმაკის მკლავებში! ეს ხომ შეცოდებაა?

**ფოფოდია:**—პირიქით, ცხონებაა! (თვითონ ჩაეკვრება) აბა მაგრად მომხვიე მკლავები... კიდევ... კიდევ უფრო მაგრად... ჰო, მაგრე.:::.აბა ეხლა თუ წამაქციო ლოგინზე!..:

**გრიშა** (სიცილს იმაგრებს):—ეს კი არ ძალმიძს; ამდენი ღონე არა მაქვს...

**დათიკო:** (კარებიდან:—ვაი, შენს პატრონს, მაგი არ შეგიძლია!? ერთი მე ვიყო!...

**ფოფოდია:**—ნუ გეშინია, სინჯე, მე მოგეხმარები (თვითონ მიიწევს ლოგინისაკენ, გრიშა აქეთ იწევა)

**დათიკო:** მეტი აღარ შემიძლია (ჩაახველებს და შემოვა).,

**ფოფიდია:** —უი, ჩემი სიკვდილი (ხელს გაუშვებს გრიშას და თითქოს ინსტიქტიურათ მეეკრება დათიკოს). უკაცრავად... გვაპატიეთ... ვხუმრობდით! (თანაც მაგრად ეკრება),

**დათიკო:**— არა უშავს... არა უშავს, დამშვიდდით ბატონო (თანაც მაგრად ეკრება).

**ფოფოდია:**—(გრიშას), აი ეს კი უფრო ძლიერი ყოფილა, ვიდრე შენ...

**გრიშა:**—დათიკო, ხელი გაუშვი, თორემ ადამიანს სული შეუხუთდება შენს დათვურ მკლავებში (თითქოს ძალით აშორებს).

**ფოფოდია:**—რა კარგია ახალგაზრდობა! როგორი ცელქები ხართ...

**დათიკო:**—დალოცვილი ჯიშის ხართ ყველა ფოფოდიები... აღარ გაქვთ ძველებური შემოსავალი, მაგრამ მაინც შეგრჩენიათ ძველი სისხლი და ხორცი...

**ფოფოდია:**—არც ისე წყალწაღებული გახლავართ, როგორც თქვენ გგონიათ! ისე ღმერთი რავა გაუწყრება ჩვენს სოფელს, რომ კვირაში ვინმე მოხუცი არ მოკვდეს!

**გრიშა:**—კი, მაგრამ მოხუცებულები რომ გამოილევიან, მაშინ რას იზამთ?

**დათიკო:** დარდიც ნუ გაქვს; ფოფოდიას რა უჭირს; ვერა ხედავთ რა სქელი გავა აქვს!?

**ფოფოდია** (სიცილით); უი რა უცენზურო სიტყვებს ამბობ. (ათჭალიერებს თავის თავს და კმაყოფილებით იცინის) ოლონდაც... ოლონდაც... ბაბინე სად არის?

**გრიშა:**—რა გნებავდათ!

**ფოფოდია:** ათანასე ამაღამ სახლში ვერ მოვა და მარტოთ მეშინია... მინდოდა თებრონე წამეყვანა ჩემთან.

**გრიშა:**—დედაჩემი ბაბუას სანახავად წავიდა, ავად არის ბაბუა ჩემი,—და ამეღამ ვერც კი მოვა.

**ფოფოდია** (გაუხარდება მაგრამ... თითქოს ეწყინება): —ვაიმე, რა ვქნა! მარტო როგორ დავრჩე ამაღამ?

**გრიშა** (თვალს ჩაუქნევს დათიკოს):—ძნელია, მაგრამ რას იზამთ, ბედს უნდა შეურიგდეთ. თუ გნებავთ, აქ დარჩით, მაგრამ ეს შეუძლებელია. ეს ერთი ლოგინი გვაქვს და აქ მე და ბიძა ჩემი ვიძინებთ.

**ფოფოდია:**—მერე რა უჭირს... სამნიც კი დავეტევით.... უფრო გემრიელათ და დამშვიდებულათ დამეძინება, რადგან ორი ჯეელი ბიჭი გვერდში მეყოლებით მცველებათ....

**დათიკო:**—(თვალს ჩაუქნევს) გრიშა, შენ გავიწყდება, რომ მე სამ საათში აფთიაქში უნდა წავიდე წამლების მოსაკითხავთ.., ასე რომ მე ამეღამ აქ ღამეს ვერ გავათევ.

**გრიშა:**—ჰო, მართლა...

**ფოფოდია:**—მით უკეთესი. აბა ეხლა მე სახლში წავალ სახლ-კარს დავკეტავ და მოვალ... მაგრამ ღამე ბნელია და რომ მეშინია სახლში წასვლა!?

**დათიკო:**—მე გაგაცილებ, ფოფოდია.. გრიშა, მშვიდობით... მე იქიდან წავალ აფთიაქში; აქ აღარ გამოვივლი.

**ფოფოდია:**—(დათიკოს) შემდეგ, მე აქ მოვალ... ხომ არ დაწვები ჩემს მოსვლამდე?

**გრიშა:**—დავწვები, მაგრამ კარებს ღიას დავტოვებ (უცბათ) მგონი ვიღაც მოდის!

**ფოფოდია:**—ვინ უნდა იყოს?

**გრიშა:**— ვინმე მეზობელი იქნება!

**ფოფოდია:**—აბა ამ კარებიდან გავიდეთ, თორემ ბევრია ბოროტი ენები. (დათიკო და გრიშა ერთმანეთს თვალს ჩაუქნევენ. ფოფოდია გადის, უკან მიჰყვება დათიკო, რომელსაც კარებში გრიშა ეტყვის).

**გრიშა:**—ისე არ გაერთო, რომ დაგავიწყდეს ჩვენი საქმე. დროზე მოდი.

**გრიშა და ბაბინე**

**ბაბინე:**— დათიკო სად წავიდა

**გრიშა:**—მალე მოვა.. როგორ არის საქმე? ათანასე ხომ მოვა?

**ბაბინე:**—იგი ოხერი საკმაოდ მთვრალია უკვე;...

**გრიშა:**—მით უკეთესი.

**ბაბინე:**—დიაკვანისას გამოიარა... იქიდან სახლში გამოივლის, რომ ფოფოდიას უთხრას, თითქოს ვიღაც კვდება და საზიარებლათ მიდის... ერთი სიტყვით მალე მოვა. (ისმის ძაღლის ყეფა). უი, იგი ოხერი უნდა იყოს! მარა ნუ თუ ვერ იცნო მურიამ, რომ ასე გაბრაზებით უყეფს.

**გრიშა:**—ნუ გეშინია, დედაჩემო, ძაღლი გონიერი ცხოველია; ძაღლი ძაღლს ყოველთვის იცნობს. ჩემი ამხანაგები იქნებიან (ისმის „გრიშა" გამოდი გარეთ, თორემ დაგვჭამა ძაღლებმა". (გრიშა გადის).

**ბაბინე:**—აგი ბიჭი, მგონი, კარგს არაფერს უპირებს ათანასეს! რად უნდა ამხანაგები, თუ კი რამე ცუდს არ ფიქრობს?

**იგინივე და კომკავშირელები**

**გრიშა:**—(შემოუძღვება სახლში. იცინიან. კომკავშირელები გადაცმული და ნიღაბ-გრიმებში არიან ღმერთის, ქრისტეს, ღვთისმშობლისა, ეშმაკების, ფოფოდიას, მღვდლისა და დიაკონის განსასახიერებლად) შემოდით, შემოდით სახლში.

**ბაბინე:**— უი, ღმერთო, შენ დამიფარე! (პირჯვარს დაიწერს) ამას რასა ვხედავ? ძაღლი კი არა, კაცი შეიშლება ჭკუიდან ამ სანახაობით.

**„ღმერთი"-კომსომოლი:** რას იზამ, როცა ამათ

ხელში ჩავარდები კაცი. ოი, რა დღეს მოვესწარი! განა ამისათვის ვიხლაფორთე და ვიტანჯე მთელი კვირის განმავლობაში, რომ შემექნა ასეთი მშვენიერ ქვეყანა და ამათ დარჩენოდათ?!! ჰოი, შე გასაჯე, ღმერთო! (იცინიან).

**„ქრისტე"-კომკავშირელი:**—ღმერთი შენა ხარ და თუ რამე შეგეძლო, ამდენხანს უნდა გექნა...

**„მარიამ"**:—მთლად გამოჩერჩეტდა ეს უბედური... არც გასაკვირია, რომ ასეთი დღე გვადგია! აბა, ამ გამოტვინებულ ბატს როგორ შეეძლო თავი და ბოლო გაერთმია ცხოვრებისათვის?!

**გრიშა:**—ამხანაგებო, ბოდიშს ვიხდი, მარა ეხლა მე არ მცალია. გენერალური რეპეტიცია ხვალ გავიაროთ, მაინც კი მოვასწრებთ.

**„მღვდელი"**:—რომელ საათზე?

**გრიშა:**— დილით.

**„ფოფოდია"**:—აბა ეხლა წავიდეთ... წამოდი, მამაო, სახლში (ხელს გაუყრის „მღვდელს" მკლავში და სხვებთან ერთად გადიან).

**„ეშმაკი"** (აძლევს გრიშას ეშმაკის ტანსაცმელს)—ჰს შენი ტანსაცმელი და ნიღაბი ბარემ შენ დაიტოვე! (გადის ძაღლი ისევ დაიწყებს ყეფას).

**გრიშა:**— ო, კარგია... ძალიან საჭიროა.

**ბაბინე:**—შვილო, დავეთხოვოთ ყველაფერ ხლაფორთს. ვინ იცის რა ბოლო გამოებმება ამ შენს ეშმაკობას?!

**გრიშა:**— ვაჰხ! რაშია საქმე? კვირაში, დედაჩემო, ერთი პარასკევია.

**ბაბინე:**—თუ ცუდს არაფერს აპირებ, რად გინდოდა ეს „კომსომოლები" და ისიც ასე საშინლად გამოწყობილები?

**გრიშა:**—ეს, დედაჩემო, იმიტომ, რომ ამ სააღდგომოთ ანტირელიგიური წარმოდგენა უნდა გავმართოთ. (ისმის კარებზე კაკუნი).

**ბაბინე:**—მოვიდა... მოვიდა...

**გრიშა:**—კარები გაუღე::: აბა, შენ იცი, დედა, როგორ ყოჩაღათ იქნები.

**ბაბინე** (კარებს აღებს). —მობრძანდით, მამაო ათანასე.

**იგინივე და ათანასე.**

**ათანასე** (ფრთხილად შემოვა და რა დაინახავს გრიშას, უხერხულ მდგომარეობაში ვარდება):—ჯვარი აქა და ქრისტეს წყალობა (პირჯვარს გადასწერს იქაურობას. ეტყობა გადაკრულშია).

**გრიშა:** მობრძანდით, მამაო ათანასე (ხელზე ეამბორება).

**ათანასე** (გაკვირვებული);—ვითომდა, რა არის ესო!

**გრიშა:**— რატომ გაგიკვირდათ, მამაო? მე უკვე დავრწმუნდი, რომ ღმერთი არის და ჩვენ—კომსომოლები ვსცდებოდით.

**ათანასე** (აღტაცებით):—დიდ არს მეუფეო სახელი და ძლიერება შენი...

**გრიშა:**—მე ბოდიშს ვიხდი მამაო, მაგრამ ბაბუაჩემი ყოფილა მძიმე ავად და ამეღამ იქ მივდივარ...

**ათანასე** (თავისთვის):—აი ღმერთო, ეგებ მოკვდეს-და გაძღომა მხვდეს წილათ.

**გრიშა:**—მობრძანდით, ცოტა რამე მიირთვით (მოუჯდებიან სუფრას).

**ათანასე:**—ჩვენი უკვდავი შოთა რუსთაველი ასე ამბობდა თურმე, როცა სუფრას შემუჯდებოდა:

**ხმა-ჭამა დიდათ შესარგი,**
**დება რა სავარგულია;**
**რასაცა შესჭამ—შენია.**
**რასაც არ—დაკარგულია...**

**გრიშა:**—სწორია, მამაო ათანასე... დიდ სასმისით აძლევს ღვინოს) ეს ღმერთმა და იესო ქრისტემ გაგვიმარჯოს...

**ათანასე:**—ამინ... ამინ::: (დალევენ) ბაბინე, თქვენც მობრძანდით აქ!

**ბაბინე:**— (მეორე ოთახიდან): ამ წუთში, მამაო.

**გრიშა:**—რაღაცებს ბაბუასთან წასაღებათ მიმზადებს და იმიტომ არ სცალია...

**ათანასე:**—ძალიან კარგი ღვინო გქონებია შენ, ჩემო შვილო! (კიდევ გადაჰკარვს).

**გრიშა:**—ეს მამაო, ღმერთმა გაცოცხლოს თქვენ და თქვენი მეუღლე. ყოფილიყოთ მუდამ კარგად და უდარდელად.

**ათანასე** (სვამს):—მადლობ, ჩემო შვილო... ძალიან მიხარია, რომ არ დაეკარგე ქრისტეს... დიდ არს სახელი მისი (პირჯვარს იწერს)... ეხლა ღმერთმა გაუმარჯოს ქრისტეს, რომელიც რომ ყოველ წლიურათ იბადება, ინათვლება, კვდება და დგება,—და ამით ჩვენისთანა მამაკვდავებს საშუალებას გვაძლევს გავძღეთ და, ერთი სიტყვით, მრავალ ჟამიერ იყოს მისი სიცოცხლე და სიკვდილი... (მღერის „მრავალ-ჟამიერს", შემდეგ გამოცვლის სასმის. კარი გაიღება და შემოდის დათიკო).

**დათიკო** (იცინის):—ეს ოხერი აქ ყოფილა და მე კი მისას ბუქნას გადავდიოდი... იცოცხლე, მამაო ათანასე. (ხელზე ემთხვევა).

**ათანასე** (უცქერს, თითქოს ვერ იცნო):—მგონი სადღაც მინახავხართ... ამ ბოლო დროს, მოხუცების გამო, სინათლე დამაკლდა თვალებში... (თავისთვის). სწორე ეს იწვა ფოფოდიასთან წუხან.

**დათიკო:** —არა უშავს, მამაო ათანასე, თვალებში სინათლის დაკლება მოხუცებამაც იცის და ღვინომაც. მე ბაბინეს ძმა ვარ— დათიკო;...

**ათანასე:**—ჰაააა, გიცნობ, გიცნობ... როგორ არის მამაშენი?

**დათიკო:** მგონი საიქიოს წასვლას აპირებს... (ღვინოს ასხამს).

**ათანასე:**—ვარ ასე—არც მთლად კარგად, არც ჰქნას...

**დათიკო;**—როგორ ბრძანდებით მამაო ათანასე?

**ათანასე:**— რავა გეკადრება! (თავისთვის) ღმერთმა მთლად ცუდათ.

**დათიკო:**—თქვენი მეუღლე—ქალბატონი ფოფოდია როგორ ბრძანდება?

**ათანასე** (თავისთვის):— თითქოს არ იცის! ეხლა მასთან იყო (მას) ისიც ჩემსავით არის...

**გრიშა:**—დათიკო, შენ გაუმასპინძლდი მამაო ათანასეს და მე დედასთან შევალ; რაღაცებს ამზადებს ბაბუასთან გასატანათ. (გადუჩურჩულებს) დაალევინე კიდევ;...

**დათიკო:**— რა ყოფილა იგი ოხერი ფოფოდია!? (გრიშა შედის მეორე ოთახში) იცოცხლე, მამაო ათანასე თქვენი ძვირფასი მეუღლით (სვამს).

**ათანასე:**—მადლობ, ჩემო შვილო (თავისთვის) მოსწონებია ფოფოდია... (სვამს).

**ათანასე:**—რა საშინელება იქნებოდა ცხოვრება, რომ სმა-ჭამა არ იყოს, მამაო?

**ათანასე** (მძიმე მთვრალია. ძილი ერევა): ჰო, ალაპი და საკურთხი გემრიელია (თავს ჩაქინდრავს).

**დათიკო:**—ვაი შენს პატრონს... არც კი გამემეტყუნება ფოფოდიას ასეთი საქცეილისათვის... რასა ჰგავს ეს გლახა?... თავისი ვერ მოუხმარია და სხვისას ეპოტინება. (მეორე ოთახის კარებთან) ეს უკვე მზად არის გასაპუტავათ..

**გრიშა:**—ჩვენ ეხლა წავიდეთ.. გამოვაღვიძოთ ათანასე და სხვა შენ იცი დედაჩემო.

**ათანასე** (ძილში):—ბაბინე... გენაცვალე... დავწვეთ. ოოოხ, რა კარგი ხარ::: უჰ! (ესენი იცინიან. დათიკო განგებ ცხვირს დააცემინებს, რაზედაც ათანასე წამოვარდება).

**ათანასე:**—რა ამბავია? მიწა იძრა? მეხი გავარდა?.. (თითქოს მოაგონდაო, პირზე ხელს იფარებს) დასწყევლოს ღმერთმა...

**გრიშა:**—უკაცრავად, მამაო ათანასე, მაგრამ მე და დათიკო მივდივართ....

**ათანასე:**—კი, შვილო კი... ეხლა მეც მივდივართ (თითქოს წასასვლელათ ემზადება).

**დათიკო:**—ჩვენ სხვადასხვა გზა გვაქვს. მამაო... თანაც ისედაც დავაგვიანეთ ხომ იცით, ავადმყოფს წამალი

# „შრომის ბირჟა"... საიქიოში




**ხმა რიგიდან:** ვინ არის ეგ ბებრუხანა, რომ ამ დენი ხანია ფანჯარას აღარ შორდება? მაგას რა სამსახური შეუძლია? „სობეხში" წავიდეს და პენსიას მისცემენ...

**მეორე ხმა:**—რა დამსახურება მაგას მიუძღვის, რომ პენსია დაუნიშნონ!

---

თავის დროზე უნდა მივუტანოთ (ემშვიდობებიან და გადიან; ბაბინეც თან გაჰყვება).

**ათანასე** (ალტაცებით ლეკურს ჩამოუარს სიმღერით „ტაში-ტუში") მეღირსა მაგათი წასვლა. ფოფოდია კი მღალატობს ყოველ ფეხის გადადგმაზე, მაგრამ არც მე ვაკლებ ხელს—არც ერთ ბებრუხანასთვის არ დამიკლია ხელი. ეხლა ამ ჩემ ბაბინესაც... (ისევ ჩამოიარს) აბა რა ეგონა ფოფოდიას.... გადავკრავ და უფრო უკეთესია... (სვამს) აბა, ათანასე.::: ეხლა უნდა იყო ყოჩაღად... (იცქირება სარკეში) ჰაააა, გამარჯობა ათანასე (ფეხზე ძლივს ლა დგება) როგორ გიკითხოთ?.. მერე რა არის, რომ ჰალარა მირევია ეს არაფერია... (შემოდის ბაბინე) გეღირსა... (მიდის და უნდა მოეხვიოს).

**ბაბინე:**— ჯერ დაიცადე, მამაო, ეგებ რამე დაავიწყდათ და მობრუნდენ...

**ათანასე:** —არა. არ მოვლენ...

**ბაბინე:** თუ ჭკუით არ იქნებით და ჯერ ხელს მახლებთ, ის ღდეთ უარესია. ასეთ ბოროტებას ჩავდივართ და ესეც არ კმარა?

**ათანასე:** — არა, ბაბინე... ეს ბოროტება არ არის... ჩვენ მომაკვდავებს კი არა, ღმერთებსაც ჰყავთ საყვარლები და ამაზე უარეს სჩადიან. ღვთისმშობელი ხომ ბებრუხანა იოსების ბუშია? ქრისტეს ბევრი საყვარლები ჰყავდა, მათ შორის პირველი იყო გარყვნილი მარიამ მაგდანელი... რას ამბობ, ჩემო ბაბინე, ეს რომ ცოდვა იყოს, მაშინ ქვეყანა ხომ დაიღუპებოდა?!. (უნდა მოეხვიოს).

**ბაბინე:**— გაიხადე ზემო ანაფორა და მიწექი ლოგინზე. მეც მალე დავწვები...

**ათანასე:**—კი გენაცვალე, კი...

**ბაბინე** (თავისთვის) შენ ენაცვალე ეშმაკებს (თითქოს სახლს ალაგებსო, ოთახში შედის და გამოდის).

**ათანასე** (ტანზე იხდის. წვება და თანაც ღიღინებს):

**გაუსვი და გამოუსვი,**
**ფითომ ჰიანურიაო...**
**მეზობლის ქალს შეუგორდი,**
**ისიც შინაურიაო...**

უხიზლათ ათახასე... ყოჩალათ... (გალობით) უფალო შეგვიწყალე.::: მოგკძადლენ უფალო... ბაბინე, რამე თუ შევიყვარე... (ჩაეძინება):

**ბაბინე** (ფანჯარასთან ლამპას მიიტანს და ცოტა ხანს გააჩერებს):— არაფერი ცუდი უქნათ, თორემ დავიღუპებით... (ათანასეს) უი, შე ეშმაკის მოციქულო შენა.. დაიკარგეთ შენ და შენი ღმერთი... ხალხს ატყუებთ..: რატომ არ მოდიან? ნიშანი ხომ კარგად მივეცი! (დააპირებს ლამპის ისევ ფანჯარასთან მიტანას. მაგრამ ამ დროს შემოდიან დათიკო და გრიშა).

**დათიკო** (გადიხარხარებს როცა დაინახავს დაძინებულ ათანასეს) ოოო. როგორ ხარივით ხვრინავს.

**ბაბინე:**—ჩუძათ. თორემ გამოეღვიძება.

**გრიშა:** გამოეღვიძება კი არა. ყურის ძირში რომ ზარბაზანი ესროლო, მაინც ვერ გაიგონებს. აბა შეუდგეთ საქმეს (მაკრატელს ამოიღებს და სიცილ-ხარხარით შეუდგებიან გაკრეჭას).

(ზეზე წამოაყენებენ. დათიკო თავს უკავებს).

**დათიკო:**—გააჩერე თავი—შენი თავი იყოს გაბერილ გუდაში.

**ათანასე** (ძილში):—ბაბინე... ოოოჰ... (გალობით) უფალო შეგვიწყალე.:: (გაკრეჭენ; თხისებურ წვერს უტოვებენ ნაპირზე. ისევ დააწვენენ და ზემოდან საბანს გადააფარებენ. ამ დროს მოისმის ძაღლის შეყეფება, რომელიც მაშინვე მიყუჩდება).

**გრიშა:**—აბა ეხლა მეორე ოთახში გავიდეთ. ალბათ ფოფოდია მოდის. თავისი თვალით ნახოს.

**ბაბინე:**—აწი აღარ მეშინია... ასე ეკადრება (გადიან მეორე ოთახში).

**იგივე და ფოფოდია**

**ფოფოდია** (კარებს ფრთხილათ შემოაღებს და შემოდის). დასძინებია... რა ეშმაკია! საბანში შემალულა...

უფ! რა სუფრაა, ჩემთვის გაუწყვია. ალბათ თვითონაც გადაჰკრა. რომ უფრო ვნებიანი იყოს... ჯერ მეც ჩიახლო (მოუჯდება და მადიანად ყლაპავს ყველაფერს ერთმანეთზე) რა დათვი ყოფილა დათიკო, მარა... უჰ, შავი დღე კი დავაყენე... აბა გაჭირვებულ ათანასეში რა ჰყრია... ური, მიხი კი დავაყარე: ჯინკივით დაეგდება ლოგინში და ხვრინავს.. მარა ხვრნვა ამასაც ათანასესავით სცოდნია (გადმოხედავს ლოგინს, სადაც საბნის ქვეშ ათანასე წევს).. ალბათ სიზმარში მხედავს და სული უწუხს მინამ მოვუწვებოდე გვერდში... ამ წუთში.::: ამ წუთში (გადაჰკრავს ღვინოს. მივა ლოგინთან და ვნებით ჩაეკონება) ჩემო გრიშა, შენი ჭირიმე... შენი კომსომოლობის ჭირიმე... (ისინი კარებიდან უცქერიან და იცინიან).

ათანასე (ბუზღუნით):—რაო? რა ამბავია!... გამიშვი!

ფოფოდია: არა, არ გაგიშვებ... სად უნდა გაგიშვა... ამდენი ხანია ნინდოდა ხელში ჩავდებია და ახლა გაგიშვებ? ოჰხ! გენაცვალე (მაგრად მოჰხვევს ხელებს).

ათანასე:— ვაიმე, ვაიმე.... ძვლები, ძვლები დამემტვრევა... ვინა ხარ?

ფოფოდია:—ვინ ვიქნები? მე ვარ მე—შენი ფოფოდია (გადახდის საბანს, ჩაეხვევა და ჩაკოცნის).

ათანასე (წამოჯდება): —ქალო ფოფოდია, ეს რა ამბავია? სიზმარია თუ ცხადი?

ფოფოდია (იცნობს):— უი, ეს რა არის? ათანასე შენა ხარ?

ათანასე:—ვერ მიცანი? მარა შენ აქ რა გინდა?

ფოფოდია: ეს რა მოგვსლია? შენ რა გინდა აქ?

ათანასე:— რა ვიცი... რაც შენ გინდოდა!

ფოფოდია (გაბრაზებით):— აი, ახლა ხომ დაგიჭირე, შე გარყვნილო შენა...

ათანასე:— კარგი, კარგი... შენც სსს. და მე სსს...

ფოფოდია:—როგორ გაჩერდე... შენ მე მღალატობდი თურმე; მე კი საწყალი შენი ერთგული ვიყავი და...

ათანასე:—აბრამის ბატკანი იყავი რაღა?! წეხან კაი, დიდი კურო გყავდა სახლში!...

ფოფოდია:—სტყუი... საიდან ნახავდი, როცა კარები ჩაკეტილი გვქონდა!

ათანასე:— ფანჯრიდან შემოვიხედე და დაგინახეთ ორივე. დათიკო გყავდა...

ფოფოდია:—უი. ჩემი სიკვდილი, ფანჯარაზე ფარდა ჩამოუფარებელი დამრჩენია...

ათანასე: მადლობა ღმერთს... გადავრჩი... ეხლა შენც სსს. და მეც სსს...

ფოფოდია:—კი... კი::: შენც სსს და მეც სსს...

ორივე:— შენც სსს და მეც სსს.

ათანასე: ეხლა აქედან ორივე გავიცურცლოთ, თორემ უარესი არაფერი შეგვემთხვეს; ხომ იცი ეს ეშმაკის ოჯახია.... (ადგება და უცბათ თავის თავს სარკეში დაინახავს. შეკრთება) რაღაც საშინელება მომეჩვენა სარკეში. ჩაიხედე ვინ არის....

ფოფოდია:—ვინ იქნება... თავის თავს დაინახავდი!

ათანასე:—თხისებური წვერები ჰქონდა, ეშმაკს ჰგავდა. თავზე ლორის ჯაგარი... (მოისვამს წვერზე და თმებზე ხელს, როცა სიცალიერეს იგრძნობს, შეკრთება და სარკეში ჩაიხედავს, თანაც ეშინია, მაგრამ თანდათან შეეჩვევა სარკეში ჩახედვას). ჰაააა, ეს მე ვყოფილვარ?... გამარჯობა ათანასე... (თავს უქნევს თავის თავს სარკეში).

ფოფოდია:—შენ ეს არ გეგონა!? ვაი ხომ დავიღუპეთ! რა ჰქენი ეს ათანასე? (ტირილით) აწი რა გვეშველება? ქელეხი, ალაპი, და საკურთხი ხომ დაგვეღუპა? რამ მარჩინოს აწი ამოდენა ქალი? რამ ამოავსოს აწი ამოდენა მუცელი? ეკლესიაზე აღდგომას როგორ გახვალ?

ათანასე:—ნუ გეშინია... არხეინად გავალ. გავიპარსები დალაქთან...

ფოფოდია:— დავიღუპეთ... რა მეშველება აწი? რამ ამოავსოს აწი ეს მუცელი?

ათანასე:—ნუ გეშინია, ქალო... გეუბნები, რომ გავიპარსები, გამოვალ კრებაზე და გამოვაცხადებ: ამხანაგებო, მე შევიგნე და ამიერიდან აღარ მინდა მღვდლობა მეც სოციალისტი ვარ აწი და მიმსახურეთ, როგორც გნებავდეთ....

ფოფოდია:—მერე.. მერე.::: შეგეძლება ჩემი შენახვა და გაძღომა?

ათანასე:—ჩვენს კოოპერატივში დამაყენებენ ნოქრათ და იქ ხომ იცი:

ფოფოდია:—აი, ღმერთო, თუ არ დაგვიკარგო ამდენი ხნის სამსახური... კოოპერატივში ყველაფერია...

ორივე:—შენც სსს და მეც სსს. შენც სსს და მეც სსს... სსს და სსს...

გრიშა: (გამოვარდება გადაცმული ეშმაკის სახით და ზურგზე შეაჯდება ათანასეს, რომელსაც მათრახს სცემს. ათანასე და ფოფოდია შიშის გამო დარბიან ოთახში... შემდეგ გარედ გავარდებიან. დათიკო და ბაბინე ლამპის შუქზე უცქერენ მათ და იცინიან).

დათიკო:—შეხედე, შეხედე როგორ მიარბენინებს გრიშა ათანასეს, თითქოს ნიშადური ამოუცხიაო... ფოფოდიაც უკან მისდევს დათვივით... ხა-ხა-ხა-.

ფარდა.

ენუქი.



# მოფიქრებული



— სად მიიჩქარი, კაცო, ასე დატვირთული?

— სახლში სააღდგომო სურსათ-სანოვაგე მიმაქვს... საღამოს მატარებელს უნდა მიუსწრო: პროვინციაში …ვდივარ ანტი-რელიგიურ კამპანიის ჩასატარებლათ.

პოლიგრაფტრესტის მე-ნ-ე სტამბა, კამოს ქ. № 68

კვირა. 22 აპრილი 1928 წ. № 149 წლიწადი მეხუთე ფასი 15 კაპ.

# ტარტაროზი

## მომავალ... მუზეუმში.



მოწაფეები: — ეს რა არის, მასწავლებელო?

მასწავლებელი:— ეს არის ბიუროკრატი: ასეთი ჯიშის ხალხი ცხოვრობდა მეოცე საუკუნის პირველ ნახევარში...

მოწაფეები:— ოიიიი! რა საშინელი ძამახავია! ასეთი საზარი არაფერი გვინახავს ჯერ!

# გადამწყვეტი ბრძოლა




„ძია ვანო“:—ყველგან ცნობილი „კანცელარშჩიკის“ მძიმე წონის ფალავანი ბიურო კრატიძე და საქართველოს მუშგლეხინის ფალავანი ანდრო დოლიძე... ბრძოლა გადამწყვეტის.

## თ ვ ი თ კ რ ი ტ ი კ ა

წინაალმდეგ თანამშრომელთა სურვილისა, ვათავსებთ ამ წერილს, როგორც თვითკრიტიკის დამახასიათებელ ნიმუშს. ჩვენ არ უნდა შევუშინდეთ საკუთარი ნაკლის გამოაშკარავებას. თვითკრიტიკა! ის, უებარი წამალი ჩვენი კიდევ უფრო გაჯანსაღებისათვის.

ტარტაროზი.

თოხშაბათ საღამოს, როგორც იქნა, რამდენიმე თანამშრომელმა ძლივს მოვიყარეთ თავი რედაქციაში, რომ შევსდგომოდით მომავალი (ე. ი. აღდგომის) ნომრის გამოცემის საქმეს.

— რა დროს ჟურნალზე ლაპარაკია! — უკაცრავად სევერ ბენ-შერს. — ჯერ კიდევ არ არის გამოსული თავიდან „სააღდგომო ლხინი“, რომელიც ისე სდუღს შიგ, ვითარცა ქვევრში მაჭარი. ამიტომ ამხანაგებო, ჩემი წინადადება იქნება...—მაგრამ მხატვარმა დონიმ, რომელმაც თითქოს ეხლა გამოიღვიძა, არ გააგრძელა სევერ-ბენ-შერის სიტყვა!

—...„ჩემი წინადადება იქნება“, რომ ფეხზე ადგომით პატივი ვსცეთ იმ ინდაურებსა და გოჭ-ბატკნებს, რომლებმაც ამ სააღდგომოთ პატივი გვცეს მათი ჩვენს მუცელში ჩაბრძანებითა... აგრეთვე, ამხანაგებო, საუკუნო თავმტვრევა და ხანმოკლე ხსოვნა იმ თხევსა და ცხვარ-ბიჭებს, რომლებიც ვირულათ (უკაცრავად — გმირულად) შეწირული გახდენ ერთმანეთს შორის ცემა-ტყეპისა სააღდგომო ქეიფის შემდეგ.. გთხოვთ აბრძანდეთ! — და მასთან ერთად ყველანი ფეხზე წამოვდექით.

— გთხოვთ დაბრძანდეთ ვისაც სკამები გაქვთ! — დაიწყო თავისი სიტყვის გაგრძელება სევერ-ბენ-შერმა. — წეღან იმისი თქმა მინდოდა, რომ მუშაობას შევუდგეთ ხვალიდან. ხოლო ეხლა კი ვესტუმროთ ენუქის, რომელსაც, როგორც მახსოვს, თუმცალი ძლიერ მთვრალი ვიყავი, მაგრამ არც იმდენათ, კიდევ დარჩა ღვინო რომელ ღვინოსაც, კონკრეტიულათ რომ ვსთქვათ და ლაკონიურად ჩამოვყალიბოთ მოცულობაში, აუცილებლათ დალევა ესაჭიროება, რომ არ დამჟავდეს და მით არ ეზარალოს მის პატრონს.

— ე. ი. ისე, როგორც შენ შენს პატრონს?! — პარალელი გააკეთა ისელიმ.

— დიახ!.. და ამავე დროს ჩვენ საშუალება მოგვეცემა მოვიგონოთ ისელის ძალადგარდაცვალებული მამა რომელიც, სიხარულისაგან, ამიტომ გარდაიცვალა, რომ ასეთი საამაყო შვილი ჰყავს, როგორიც არის-ეს ჩვენი მშვენიერი აყლაყუდა ისელი.

# პარად ალე



— კი მარა, ძალიან ლეიბოზე ქალს ფეხობს და რატომ უნდა იზარალოს?!
— იკითხა ვიღაცამ, რომელსაც როგორც ხმიში ეტყობოდა, სანახევროდ ეძინა.

— მარა საქმე ის არის, რომ ჩვენ ვიზარალებთ... აი, სად მარხია ძაღლის თავი! — დაუმატა დიტომ.

— რაო? ძაღლის თავიო!? ძაღლის თავიც შენა ხარ და ლოთისაც! — წამოიძახა ძილში ალლარ-ალლარსაზეში და მუშტებ-მოხვეულებული ხეზე წამოვარდა, მაგრამ მალე ჩამოეცვია, — დაუწყევლოს ლმერთმა, გუშინდელი ამბავი დამესიზმრა და კინაღამ დაკლეწე აქაურობა...

— ლომია, ნამდვილი ლომი! — დასცინა დონიმ.

— რომელი ლომი?

— კი ის, — ისო ქრისტე რომ იერუსალიმში შევიდა ბზობას!..

— ვა, შე გლახა: ის ლომი კი არა ვირი იყო...

— რა ვიცი, მთლად ამისი ალლი იყო!

— კაცო, ამდენ ლაპარაკათ ლირს მაგ ორი ბაყაყი?! აილე და გამოსცალე! — ვიღაცას ელაპარაკებოდა თავჩაქინდრული ტერმიტი.

— ტარტაროზი მოდის! — შემოიძახა კარებიდან ახალგაღვიძებულმა და დაფეთებულმა ევგენიმ (ჩვენი დარაჯია) ბასი ხმით; (ჩვეულებრივათ მას ბარიტონი აქვს).

ყველანი გაჰოფშხიზლდით.

მისალმების შემდეგ, ამხ. ტარტაროზმა გამოგვიცხადა:

— ამხანაგებო მომავალი ნომერი იქნება თითქმის სპეციალური - ექსპრომტული ბიუროკრატიული ნომერი.

— ეს როგორ შეიძლება?! ხუმრობთ?

— არაფერსაც არ ვხუმრობ!

— კი მაგრამ, ამხ. ტარტაროზო, როცა ჩვენ სპეციალურ ნომერს ვუშვებთ, წინასწარ, რამდენიმე ნომრის წინ ვაცხადებთ ამის შესახებ, რომ თანამშრომლებმა სათანადო მასალები მოგვაწოდონ, ეხლა კი, ისიც ამ ნაადრევმა და ასე მოულოდნელათ... არაფერი გამოვა...

— მართალია. მართალს ამბობს ისელი! — დაადასტურა ყველამ.

— საქმეც ის არის, რომ მოულოდნელათ უნდა დავეცეთ თავს, ამისათვის ეხლა ძალიან მოხერხებული დროა იმიტომ, რომ სადღესასწაულო თავდავიწყებაში არიან. თუ ჩვენ, როგორც ისელი ამბობს, წინასწარ გამოვაცხადეთ და გაფრთხილება მივეცით, მაშინ ისინი, ე. ი. ბიუროკრატები, ჩვენი მტრები და მოწინააღმდეგენი მიიმალებიან და ხელიდან გაგვისხლტებიან. აი, სწორეთ ამიტომ უნდა გამოვსცეთ თითქმის სპეციალური ნომერი. ასე თხოულობს სამხედრო ტაქტიკა და სტრატეგია. ასე მოქმედებდნენ გამოჩენილი სარდლები, არ არის საჭირო ოფიციალური გამოცხადება, ეს იქნება, ასე ვსთქვათ, პარტიზანული ბრძოლა ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ და ასეთ ბრძოლას, დამერწმუნეთ, დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლია...

— კი მაგრამ, ერთი ჩვენს თავებსაც შეკითხეთ?

— ვსთქვი და გათავდა; ეს ასე უნდა იყოს, ხვალ ამ დროს ყველა თქვენთაგანი ჩამაბარებთ მასალას! ნახვამდის! — და ამხანაგი ტარტაროზი წავიდა.

— ჰმ! კარგია შენ ნუ მომიკვდე! ბრძანება დაიწყვეტა!.. ეეე. ძიაჯან მაგეთები არ იყოს, თორემ ისეთს ავაფარებ სიფათში, რომ! — ლუღლუღებდა დიტო ამხ. ტარტაროზის მიამართით და თანაც პაპიროს სთხოვდა ზმუკის, რომელიც თამბაქოს არ ეწევა.

— რა დავსწერო, როცა თავი გაბრუებული მაქვს! — ცრემლიანი ხმით ჩაილაპარაკა სიმონ-ალამ და ბარბაცით კარებში გავიდა.

ისელი.

წ. შ. როგორც წერილის დასაწყისშია ნათქვამი, წერილი იბეჭდება წინააღმდეგ ჩემი სურვილისა, რის გამოც ამხანაგების წინაშე თავის თავს არ ვსთვლი დამნაშავეთ.

—ი.

# უარესი იმედი

რკ. გზ. ჯანმრთელობის განყოფილებამ გამოუშვა ანკეტა, რომელიც 106 კითხვისაგან შესდგება და მისი შევსება დაავალა მასწავლებლებს.

(მოწერილ ამბებიდან).



აღმწერი მასწავლებელი: — ორი-სამი დღე კიდევ გაუძელით და მგონი დასრულდეს თქვენი ანკეტის შევსება.

# ზოგიერთი გამგე

დიდი თანამდებობა
ხშირად მოქმედობს ცუდად;
ნდობა და წარჩინება
ზოგმა გაიგო მრუდად.

ამპარტავანი გახდა,
პორტფელმა გადარია;
ასე ჰგონია ბრიყვსა—
ცა ქუდათ აფარია.

დადის მედიდურობით,
„პენსნეს" იკეთებს თვალზე;
საქმის კეთების ნაცვლად
ფიქრობს ის მხოლოდ ქალზე.

არავის აგდებს ჩიროდ,
მიმოდის გაბღინძული,
ასე ჰგონია მის მეტს
მკერდში არა აქვს გული.

თუ რომ საქმე გაქვს მასთან
გატარებს მთელი წელთ,
მერმე იკადრებს პასუხს:
„ეჰ, ვწუხვარ, ვერ შევძელი.

და არც კი ახსოვს კარგად
თუ საქმე იყო რაში,
მყის მიატოვებს ადგილს
და გაბრძანდება კარში.

იქ ელოდება ავტო,
ან ეტლი ფეხმარდი რაშით;
გაისეირნებს ლაღად,
სურვილი უდუღს თავში.

იტყვის:—საქმისთვის მივალ,
ისე არა აქვს საქმე;
შეუჩვევს მყის „ტურფასთან",
და დაითვრება სადმე.

გულს გაიხარებს ასე,
და დაბრუნდება შემდეგ,
მის კაბინეტთან ხალხი
ყვირის: — „დაიცა, შესდექ".

ჩემია „ოჩერედი",
შენ რად მიდგები წინა;
ორი კვირაა აქ ვარ...
ახ დედავ, გული მტკივა.

არ იქნა მაგის ნახვა,
მეუბნებიან: „ხვალე",
მეტის არ ძალმიძს თმენა,
ოჰ: როგორ გავეწვალე"..

და მობრძანდება გამგე
ხელში ლამაზი ჯოხით;
დარაჯი წამოხტება
და სალამს აძლევს ჩოქით.

დაარაწკუნებს ზარას
და ეტყვის დარაჯს იგი:
— დღეს ვერ მივიღებ ვერვის,
ხვალისთვის უყვეს რიგი.

და ასე მუდამ, მარად
იწევი „შრომის ქაპანს"
სანამ არ ჰკრავენ პანღურს
და სტუმრებენ საკანს.

დაჯდება ოთხ კედელში
დაუგრძელდება ცხვირი,
ასეთი შემთხვევები
არის მრავალი, ხშირი.

ფსარი.

## ახალი „თვითმპყრობელი“

„ხშირია შემთხვევა, როცა ერთ პიროვნებას რამდენიმე თანამდებობა უჭირავს, ვითომცდა ყველა საქმის კარგი მცოდნე იყოს“.

(გაზეთებიდან).



„თვითმპყრობელი ბიუროკრატი: — ვინ სთქვა, რომ ცალ ხელში ორი ნესვი არ დაიჭირებაო?! აკი არხეინათ მიჭირავს!?

## კინოს მსხვერპლი

— ე უბა რაზე მოგლრეცია, ბიჭო, რა დაგემართა? თვალის სიბრუნდავე არ გეყოფოდა, რომ ეგეც ზედ დაგმატებია!

— რამდენი ხანია კინოს შესახებ ვკამათობთ კაცო და იმაზე მომივიდა.

— ვაი, შე საწყალო! კინოს საქმეს კი ვერ გამოას. წორებ და ე უბა კი ტყუილად გაგიბრუნდებია. აფსუს! არა სჯობდა ერთი კაი ჩხუბში მოგეტეხა, ვიდრე კინოზე ლაპარაკში!

ნ—ი.

## უსტარი ტარტაროზს ქუთაისიდან

ტარტაროზჯან! ჩამოსვლა
აქ რით დაგვეიანე?
ნუ თუ არ მოგენატრა
ეს კილაძე ივანე?
„გოსიზდატის“ გამგეა
მხცოვანი და ჭკვიანი,
ქე რომ უმათ შესანსლა
კოლა ახვლედიანი.
ყარტოლ დარჩა ივანე,
მასთან მხოლოდ „ისია“, —
და ეს უკანასკნელი
მართლაც სამისოა.
თეატრში თუ შეივლი,
სურათია წარმტაცი:
ქანდარის გადამკიდე
ცხვირს მოიმტვრევს აქ კაცი.
რეჟისორი — კარგია;
მშვენიერი დასია, —
მაგრამ ვერ შეამცირეს
ბილეთებზე ფასია.
რკინის გზა ხომ ჩვენია,
ჩვენი გზა და ხიდია.
აქ არიან: ვალიკო,
დათა, კოსტაიდია.
აქვე არის ნესტორი,
ჩოგოვაძე ვასილი.
ოთახი პოგილკომის
მუშკორებით გავსილი,
თვითეული ფუსფუსებს,
მიაქვს თითო აგური,
რომ შენობა ააგონ
შრომის ამხანაგური.
წინეთ იყო სეზონი
და მომსხო დოტაცია
რეჟისორი ბარველი
არც თუ ჩია კაცია.
ჩაატარეს სეზონი
სულ ახალი ძალებით
და მათი მუშაობაც
ვნახე ჩემი თვალებით;
თითო პიესას ჰქონდა
ოცი ეპიზოდია—
(და ავტორიც ამითი
ცუდი ბიჭი როდია!)
თავში — „კონტრაბანდისტი“,
შემდეგ „იმერიადა“
და გეგონა სეზონი
ეხლაც ისე იარდა.
გეგონა, რომ ეს საქმე
ყოფილსავით მოსჩანდა
და ქორელის მაგიერათ
აქ პარველი ჩოჩავდა, —
მაგრამ ეს ყოველივე
ქე აღმოჩნდა „მირაჟი“
და სეზონიც გათავდა
აგერ, წარსულ კვირაში.
— კვირაშია ერთი დღე,
(სამშაბათი მგონია)
[illegible]ატრთან ამა დღეს
ხელჩართული ომია.
თუ ბილეთი აშოვე,
მუჯლუგუნებს არ ჩივი
— ამ დღეს გაასამართლებს
„ჯაყოს ხიზნებს“ აქტივი.
არის ერთი ამბავი,
დაი-უშველებელი!

გვერდებს დაგიზილავენ,
გყავდეს ასიც მხლებელი.
მართლაც საინტერესო
დავაა და კამათი:
— ათ მაურათ „ეფიგ“
აქ მოსმენა ამათი..
მაგრამ ერთი არ ვარგა:
ერთნაირობს მიზნები.
მუდამ ჯავახიშვილის
„საყელო“ და „ხიზნები“,

—:—

სცოცხლობს — კინო-თეატრი,
სურათები — მკვდარია,
სამიოდე მნახველსაც
ნახავ (თუ კი დარია).
კონტრამარკა ბევრია,
უფულოთ და უფასო;
ხოლო ფულს ნურც თქვენ იხდით
ფასა რომ არ დანაკსოთ.
—კვლავ ბევრია ძმაოჯან
საქმე სატარტაროზო,
მაგრამ შემდეგ გაუწყებ,
ვინძლო კარგათ გაროზგო.

ჯგირი კოჩი

## „საახალკვირო“

რად ადგა არ ვიცი
ეს ოხერი ქრისტე,
ყოფილიყო საფლავში
მარიამთან „ისთე“..
შევსვით და შევჭამეთ
რაც კი რამ გვებადა..,
(გავიგე ჩემბერლენს
ბიჭი დაებადა).
კვირას და ორშაბათს
ვიძახეთ „ურა!“
სამშაბათს სიმშილით
უყეფდა მურა.
აკვნესდა აგრეთვე
საცოდავი „ვასკა“
(რა უთხა მე მუშკოპს
რომ მომყიდა პასკა...)
ორშაბათა მომადგა
კარზე მე ელპიტე;
(ინგლისს მეტად „უყვარს“
სნეული ეგვიპტე).
— მომეცი ვალი,
გუშინ გნახე მთვრალი
მე რა მესაქმება,
დაითხარე თვალი.
— არა მაქვს, ელპიტე,
გეფიცები შენს თავს;
ლანძღვას ხელი უშვი,
ნუ ჩაიდენ ავს...
რაც რომ კი მებადა
სულ დავხარჯე ფარაჯ
გინდა დაიჯერე,
და თუ გინდა არა...
— პურის ფული ეხლავ—
ყვირის ჩემი ცოლი,—
სულ წახდი, შე საწყალო,
აღარ გყავს ტოლი....
აღარ აღსდგე, ქრისტე,
თუ გიყვარდე მეტი;
იწექ შენთვის დინჯათ
ნუ იქნები ცეტი,—
თუ არ გინდა თავში
მოგხვდეს ჩემი კეტი.

გრი,



ორშაურიანი საქმე ოცი მანეთის ქაღალდზე.

## მამაო სოსოს ფიქრები

(თელავიდან)

მოძღვარი სოსო ოხვრითა
დიაკვანს ეუბნებაო,
— ეს ორი-სამი კვირაა
აღარავინა კვდებაო.

აღარსად სამხთოებია,
აღარც ვინ ქორწინდებაო;
აღარსად ქელეხებია,
კუჭი შიმშილით დნებაო.

კომუნისტური რეჟიმი
ჩვენთვის არ გამოდგებაო;
ვაებამ გული მომიკლა,
ოჯახი მელუპებაო.

წვერს აცანცარებს მოძღვარი,
სიბრაზისაგან კვდებაო,
— აბა, მიშველე დიმიტრავ
„სტაროსტაა“ ეუბნებაო.

შემოიარე სოფელი,
სად რა ამბები ხდებაო.

იქნება ვისმეს ვახსოვართ,
ანდა ისეთი კვდებაო,—

რომ ჩვენი მომხრე, მაურველი
პირსუფალი რჩებაო;
მუქთად დავმარხოთ ასეთი
ქელეხი ხომ შეგვრჩებაო!

წყეული კომუნისტები
თანდათან გვიმრავლდებაო,
ღმერთო, გასწყვიტე ესენი,
ძილშიაც მელანდებაო.

ახ, ცხონებულო ნიკოლოზ,
შენი დრო მენატრებაო
ნეტავი როდის იქნება
ეს ხალხი რომ გაქრებაო.

თუ მოვესწარი ამ დროსა,—
ღიპი კვლავ გასქელდებაო;
სულ ვარალალეს ვიძახებ
დედა ნუ წამიწყდებაო.

ი. დ.—ლი,




ქმრები: კიო, კიო, ჩვენო კიო,
შენ გენაცვალეო.
ძველი ცოლი დამიბერდა
გამომიცვალეო.



მელაკუდობა სჩვევია;
გამგესთან ბევრ. თანამშრომელს

„ტარტაროზი"-ს შემდეგ ნომერში
გამოცხადებული იქნება კონკურსი
„ლიგა"-ს გამარჯვებაზე



მაყურებელი. (რომელიც უცქერის კანდელაკს, ჩუმათ ეუბნება ცოლს): მაგისთანა ჯანი და ღონე რომ მქონდეს, მაშინ ვერაფერს გამიბედავდი, ეხლა რომ ყოველდღე მცემ და ფეხქვეშ მიგდებ!

ცოლი: — ტყუილათ გგონია! მე როცა ისტერია მომივლის, ვერც კანდელაკი გამიმკლავდება!

# ს ა მ ო ლ ო ო დ

დიდხანს ვიფიქრე, მაგრამ ვერაფერი სახეირო მოვიგონე ბიუროკრატიზმზე დასაწერი.

უცბათ თავში შუქურასავით გამიელვა და აღტაცებით წამოვიძახე:

ევრიკა! წავალ, ვინახულებ ჩემს ახლობელ ნაცნობს — დავითს, რომელიც განყოფილების გამგეა. იგი ხომ ტიპიური ბიუროკრატია. გამოვკითხავ ყველაფერს და დავსწერ წერილს. აი, ეს იქნება ნამდვილი ცოცხალი მასალა! — და გავუდექი დავითისაკენ.

ნახევარ საათის ლაპარაკის შემდეგ, როგორც იქნა, ხელში ჩავიგდე ერთი აიტყვა, რომლიდანაც ადვილათ გადავედი საჭირო საკითხზე.

— ბატონო დავით! — მივმართე მას. — მეც აწორედ ამიტომ შეგაწუხეთ... თუ შეიძლება გვითხარით რამე ბიუროკრატიზმზე, რომელსაც სასტიკი ბრძოლა აქვს გამოცხადებული და რომლის შესახებ ამ ბოლო ხანებში გაცხოველებულ კამპანიებს აწარმოებს პრესა.

— ხა-ხა-ხა-ხა... შენ გინდა „ტარტაროზში“ „ჩაგვაგდო“? მაინც რანაირი ცნობა გაინტერესებს? — ირონიით მკითხა მან.

— მაგალითად, აი ასეთი: როგორია თქვენი შეხედულება ბიუროკრატიზმზე და, რაც მთავარია, მასთან ენერგიული ბრძოლა დამთავრდება თუ არა გამარჯვებით?

— ოი, წმიდაო გულუბრყვილობავ!.. ხა-ხა-ხა-ხა...

— გთხოვთ ნუ დაიზარებთ; გვითხარით რა შედეგით დასრულდება ეს ბრძოლა?

— **„ვის რა უნდა სთქვასო, წისქვილმა კი ფქვასო“...** სხვა, ძალიან კარგი ამიდე და დაიჭირა ამ ნაალდგომევს!

— დიახ, მაგრამ... მიპასუხეთ — როგორ დასრულდება ბიუროკრატიზმთან ბრძოლა?

— აკი გიპასუხეთ? მეტი რა გინდათ!

თითქოს ენა მუცელში ჩამივარდაო, უსიტყვოთ გამოვემშვიდობე და გაშეშებული წამოვედი.

მაგრამ უცბად ისევ გამიელვა თავში: **„მამაო მგლის თავზე სახარების კითხვა“.**

— არის, მართალია: როგორც ამავე ანდაზიდან ჩანს მარტო სახარებით ვერაფერს გახდები, მაგრამ სახარება ხომ მოვამშველებ ბიბლიას, ძველსა და ახალ აღთქმას და სხვა მრავალ საეკლესიო წიგნებს. მაშინ ხომ მორჯულდება მგელი! (იგულისხმება ბიუროკრატი).

— კი მაგრამ მაგ საშვალებით ბრძოლა პიუღებელია ჩვენთვის! — მომესმა ხმა იდუმალი. — ეს ხომ სარწმუნოების აღიარება იქნება? ჩვენ რელიგიას ვამითებრივით, შენ კი საეკლესიო წიგნების დახმარებით და ლოცვა-კურთხევით გინდა დაამარცხო მტერი?... ხა-ხა-ხა-ხა... ყოჩაღ, ყოჩაღ, კარგი ტარტაროზელი ყოფილხარ, კარგი შენს ცხვირს მოუვა!

სიწითლე ვიგრძენი. სირცხვილისაგან ტანში დამცხელა. კიდევ კარგი, რომ დაღამებული იყო და ვერავინ შემამჩნია სახეზე ჩემი ასეთი მდგომარეობა.

— დღეს ხეირი არ იქნება; ნავსიანი დღეა, ხვალიდან შევუდგები. ამაღამ ანდაზება მოვიგონებ და ხვალ სალამომდი რამეს კი ჩავახლაფორთებ! — გავიფიქრე ეს და სახლში წავედი.

ხუთშაბათი დილა ქარიანი გათენდა.

მაგრამ ჩემს თავში მაგრად იყვენ ჩამჯდარი რამდენიმე ანდაზები და ქარი ვერაფერს აკლებდა.

— ვინ სთქვა, რომ: **„არ გათეთრდება ყორანი რაც უნდა ხეხო ქვიშითა“?** ისეთი გავხეხო, რომ გათეთრდეს კი არა, ძვალი რბილათ ექცეს. ახლავე დავიჭერ ყორანს და აბა ვნახოთ თუ არ გავათეთრო ხეხვით?!

ამას რომ ვფიქრობდი თვალი მოვკარი დარაბაზე დიდ აბრას:

### „მონადირეთა კავშირის მაღაზია“.

— ვაი, ამ ქამას! — წამოვიძახე და შევჩერდი, რადგან მომაგონდა, რომ „მონადირეთა კავშირის დადგენილებით აპრილიდან ოქტომბრამდე აკრძალულია ყოველგვარი ნადირობა“ (იხ. გაზეთში ქრონიკა).

— არა უშავს; კიდევ მაქვს სხვა ანდაზა: **„ასე ურტყი დავითასა, მაინც იზამს თავისასა“...** მომაგონდა ეს ანდაზა და ისევ აღფრთოვანდა იმედი ჩემში.

— მართალია, ასი დარტყმა ვერ აჯობებს დავითას (თუ გინდ, ავიღოთ ჩემი ახლობელი ნაცნობი ბიუროკრატი დავითი), მაგრამ ასზე მეტი, მაგალითად: ორასი, სამასი, ხუთასი და კიდევ მეტი ხომ კი მოარჯულებს!? ცემა ჩვენ გვკითხონ! — ველაპარაკებოდი ჩუმათ



„ძია ვანო“: — ოცდაათი წუთი უშედეგოთ.

კოლდუბნი: (თავისთვის): — აი, ეხლა კი მივხვდი თუ რა ძლიერი ყოფილა ბიუროკრატიზმი და ძნელი მასთან ბრძოლა

საკუთარ ჩემს თავს და ალტაცებაში ბრაული თანდათან ვუმატებდი ნაბიჯს. რომელიც სირბილში გადადიოდა.

ამ დროს შრომესმა მილიციელის სტვენა და მე შევჩერდი.

— ალბათ მიხვდა, რომ მე ბიუროკრატების ცემას ვაპირებდი! — გავიფიქრე და „ვაჟ-კაცური“ გამომეტყველებით მისკენ წავედი.

— გამარჯობათ, ამხანაგო მილიციელო! და მე გავაცანი თავისი თავი. — გილოცავთ თქვენს დღესასწაულს მძიმე წლის თავს. ბოლოში ვიხდი თუ ხვალ ზეიმს ვერ დავესწრო.. ეხლა ის მითხარით — ამაზე მეტ გარტყმისათვის სასჯელი ხომ არაფერი იქნება? ხომ მაქვს ამისა უფლება?

— არავითარ შემთხვევაში. გარტყმის უფლება, წარმოიდგინეთ თქვენ. ამ ბოლო ხანებში თვით ხულიგნებსაც კი შეუწყვეტიათ. გამრტყმელი პასუხისგებაში იქნება მიცემული და არც მთლად ისე მცირე სასჯელი მოელის.

— გმადლობთ, რომ გადამარჩინეთ ამსახლს! — მადლობა გადავუხადე და გავბრუნდი.

— არ ყოფილა საშველი და ის არის! აქაც კოვზი ნაცარში ჩამივარდა! — ვსთქვი გვარიან ხმამაღლა და გამოვედი მთავარ ქუჩაზე.

ვიალც ყურებ-ჩამოყრილი და ცხვირ-ჩამოშობილი მიდიოდა და დათვივით ლუღლუღებდა:

— ცოტა კი მეშინოდა იმ რევიზიისა, მაგრამ ასეთ დაკვნას თუ გამოიტანდა ჩემს შესახებ, ეს კი არ მეგონა!

მე ვილანი — ეს იყო ჩემი ახლობელი ნაცნობი დავითი. რომელმაც გუშინ მასთან ყოფნის დროს ასე მიპასუხა: „ვის რა უნდა სთქვასო, წიხქვილმა კი ფქვასო“.

— რა მოგივიდათ, ბატონო დავით, რომ ცუცხლის ფერი არ გადევთ სახეზე? უბედურება ხომ არაფერია?

— ძალიან დიდი: სამსახურიდან დამითხოვეს და მგონი პასუხისგებაშიაც მაძლევენ.

— რატომ? რისთვის?

— ბიუროკრატობისათვის...

— ჰაა... მერე ’ა ვუყოთ, ხომ გაგიგონიათ ხალხური აბდაზა: „რაც მოგივა დავითაო, ყველა შენი თავითაო?“... თქვენც ხომ დავითი გქვიან! და მერე მივილე რა „სერიოზული“ სახე და პოზა, მძიმე-გრძელი ნაბიჯით რედაქციისაკენ გავეშურე და ტარტაროზს ჩავაბარე ეს მასალა, რომელიც თქვენ ეხლა წაიკითხეთ.

ენუქი.



ვირი (ქრისტეს):— უმადურო, არ გახსოვს ჩემი მამაპაპა როგორ გატარებდა იერუსალიმში? მიშველე რამე — ტყავი გამაძვრეს მაწონისა და ნახშირის ზიდვით!

ქრისტე:—ეჰ, რა ვქნა, ჩემო კარგო, როცა არავითარი გავლენა აღარა მაქვს და მეც დავარდნილი ვარ იშკილებიდან!

## მღვდლის გოდება

„ზეპირად ვიცი დიდი ხანია,
რომ ღმერთმა შექმნა ეს ქვეყანაო:
(სემინარია რომ დავასრულე
იქ არ მასწავლეს ყველა, განაო!)

მაგრამ კუჭია იმის მიზეზი
მე რომ შევიქენ სულის მამაო.
ავსუს, დროებავ, საით გაფრინდი,
საით წაიღე სმა და ჭამაო?

მალხის გონების დაბნელებისთვის!
მქონდა პატივი, მქონდა დიდება,
როცა ვიგონებ მშიერი ამას,
გულს სევდის ცეცხლი წამეკიდება!

წარმოიდგინეთ — ხელზე მკოცნიდა
თვითონ მეფეც კი პირონცებული.
ქრევლი—ცხვრის დუმა—სათალი იყო,
ვის არ ექნება ეს გაგებული!

ვიცოდი კარგად, რომ სიცრუითა
მოიპოვების ნდობა და ფული,
და ეს მუცელი, დღეს რომ შემახმა,
იყო საკურთხით გასუქებული!

მოახლოება დღესასწაულის
ჩემში იწვევდა დიდ სიხარულსა...
დღეს რაღა არის ჩემი ცხოვრება,—
ვაი ჩემს ყოფას აოხრებულსა.

„პასკა უცულისას“ რომ შევძახებდი,—
მლოცველი ჩემსკენ აპყრობდა ხელსა
და წირვის შემდეგ შინ წავიღებდი
„ლოისეულ ნადავლს“ აურაცხელსა.

იყო ფულები,, პასკა-ტაბლები,
გოჭი-ქათმები, ღვინო და ფლავი...
ავსუს,, აჰ, ავსუს, ძველო დროებავ,
ახლა რაღა ვარ და რა ვიყავი?!

ჩემს ფოფოდიას ყბა მოეღრიცა,
შიმშილით ლაჭის მოკვდეს საწყალი;
არავის უნდა ჩემი კურთხევა,
არც აიაზმა, და ნათთლის წყალი!

დასწყევლოს ღმერთმა ვინც მოიგონა
სოციალიზმი, თავისუფლება;
ამან დალუპა ჩვენი სახელი,
ჩვენი ნდობა და ჩვენი უფლება.

გომბორელი.

## უდიდესი სასჯელი

ვირის ოფლში გაწურული ბრალდებული საგანგებო რიხით აბოლავებს თავის ყოველ მხრივ დასაბუთებულ სიტყვას:

— ამხანაგებო! ბრალდებულის ყოველივე დამაშაული დამტკიცებულად უნდა ჩაითვალოს ყოველივე მუხლში. ის ღირსი არის სამაგალითო სასჯელისა და ვფიქრობ, რა სასჯელი იქნება მის შესაფერი, რომ მოვითხოვო ხუთი წელიწადი გამასწორებელი სახლი — ვაი თუ ამნისტიით სულ ერთიან განთავისუფლდეს. მოვითხოვო ათი წელიწადი — ამნისტია გაუნახევრებს, კიდევ გაუნახევრებს და ბოლოს მაინც სულ არარაფერი დარჩება. მოვითხოვო სიკვდილით დასჯა — აქაც ამნისტია მიეშველება და ცოცხალს დასტოვებენ,გამსახლიც პირობითად ჩაეთვლება და ეს რაღა სასჯელი იქნება.

,,დამნაშავისთვის მე მოვითხოვ ისეთ სასჯელს, რაც უველაზე უდიდესია, რაც სამაგალითო იქნება უველასათვის და რასაც ამნისტიაც ვერას გზით ვერ შეეხება

ბრალდებულს ყველა პირდაღებული მისჩერებია და ფიქრობენ:—ნეტავ რა არის ეს უმძიმესი სასჯელიო!

— მე, როგორც ბრალდებული, დამნაშავისთვის მოვითხოვ მაშ უდიდეს სასჯელს: ვერის დაღმართზე მხოლოდ ერთ დღეს სამჯერ აიარ - ჩაიაროს ფეხით და ჰულაპოს იქ აყენებული მტვერის ბუღი! მაგნაირ მძიმე დამნაშავესთვის ამაზე შესაფერი სასჯელი მე ვერ გამომიძებნია და ეხლა თქვენ სინიდისზე მომინდვია მოსამართლენო ამისი მიღება, ან უარყოფა.

ბრალდებულის სისასტიკეზე ხალხში გაისმის ჩოჩქოლი და შებრალებით უცქერიან სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილ დამნაშავეს.

### მოიგო

ტრამვაის დირექტორი და მისი გულითადი მეგობარი საუბრობენ ერთად.

მეგობარი. ჩემო კარგო რამდენი ხანია ჩვენ ერთად პურ-მარილი აღარ გვიგემია. მოდი საღამოზე ერთად ვივახშმოთ. მხოლოდ...

დირექტორი. მხოლოდ რა?

მეგობარი. მხოლოდ ფსონი ვინ გადაიხადოს.

დირექტორი. რახან შენ დაიწყე—ბარემ ფსონიც შენ გადიხადე.

მეგობარი. არა! მოდი ასეთი პირობა დავსდოთ: თუ დღეს ტრამვაი არავის ან არაფერს არ დაეჯახა, მაშინ მე ვიხდი ფსონს. თუ დაეჯახა და მაშინ შენ გადიხადე

დირექტორი. მაშ ეხლავე დამიპატიჟიხარ ძმაო!

და დირექტორს ჩაჰყავს თავისი მეგობარი მახლობელ სარდაფში.

ნადირო.

# გაფრენილი ხიდი

## გურია (ოზურგეთის მაზრა)



ამბობენ: იანეტ ...ი
უხიდობისგან სწუხდაო.
მდინარე სუფსა წყეული
ღრიალით გადმოქუხდაო,
ხიდის აგებას შეუდგენ
სრული მეოთხე წელია,—
მაგრამ არ იქნა აქამდე,
ვერ მოუთავეს ხელია.
ერთი ხანია გააბეს
მარტოდენ სახელურია;
ბესარიონს და ვალოდის
სქირიათ საყვედურია.
ნიკიფორესაც მოხვდება,
რადგან ვერ უგდო ყურია,
ხიდის აგების საქმე რომ
მიუჩქმალ- მიუხურია.
თბილისელ ამხანაგებმა,
რომ გადუგზავნეს ფულია,—
ეგონათ აშენდებოდენ.
იმედიც ჰქონდათ სრულია.
შვიდას-რვაასი მანეთით
დიდ საქმეს შეეჭიდენო.
„ხიდს თავი-ბოლო არ უჩანს
წყალში რომ ფულებს ყრიდენო“
ასე ამბობენ „ბოროტი,
მოსიარულე ენები“...
სოფელი ისევ ხიდს უცდის
მწარედ გულშენაღონები.
მათ თბილისიდან კაპიკსაც
არ მიაწვდიან არაო,
ეყოფათ რაც რომ იძინეს,
ეს საყვედურიც კმარაო.

**რაია?**

# „პარიზელი ქალი“

კინო „მინიონი“
რეჟისორი—ჩარლ ჩაპლინი

ამ სურათს ერთდროულად უჩვენებდენ ორ კინოში: „არფასტოსა“ და „მინიონში“.

თუ არ ვცდები „არფასტოში“ მხოლოდ ერთ კვირას გასძლო ამ სურათმა. სამაგიეროთ „მინიონში“ ამჟამადაც გრძელდება მისი დემონსტრაცია და მაყურებლებიც ბლომად ესწრება.

რა არის ამის მიზეზი?

რატომ „არფასტოში“ მალე მოიხსნა ეს სურათი და „მინიონში“ ისევ გრძელდება?

ჩვენ პირველათ, ერთი კვირის წინათ, ეს სურათი ვნახეთ „არფასტოში“. სურათი მოგვეწონა. თამაშიც კარგი იყო, მონტაჟიც—დამაკმაყოფილებელი,—მაგრამ სურათს „რაღაც“ მაინც აკლდა, და, სწორედ ამ „რაღაცის“ ბრალია, რომ „არფასტოში“ მალე მოიხსნა ეს სურათი.

გუშინ ჩვენ ეგივე სურათი ვნახეთ „მინიონში“ და ჩვენს განცვიფრებას საზღვარი არ ჰქონდა.

ადამიანი პირდაპირ გენიოსი უნდა იყოს, რომ ასე მოკლე დროის განმავლობაში და მანძილზე („არფასტო„ და „მინიონი“) მოახდინო ასეთი სასწაული, რასაც ადგილი აქვს „მინიონში“ ამ სურათის დადგმით.

ერთი კვირის განმავლობაში, თითქოს გაზრდილან, დახელოვნებულან როგორც რეჟისორი, ისე ოპერატორ-შტატვარი და ყველა მსახიობები.

რეჟისორი ჩარლ ჩაპლინი, რომელიც „არფასტოში“ სხვა მასიურ როლში გამოდიოდა, ეხლაც მასიურ როლშია, მაგრამ სულ სხვა გმირს თამაშობს.

ედნა პურვიანი ისევ მერის („პარიზელი ქალი“) როლს თამაშობს, მაგრამ დიდი განსხვავებაა მის „არფასტოს“ და „მინიონის“. მერში. აქ („მინიონში“) მას უკვე დაძლეული აქვს როლი, რომელსაც ასრულებს სრული გაგებით და განსახიერებით. მისი გარდერობი (ტანსაცმელები) აქ უფრო მდიდრული და ძვირფასია.

აგეთივე ტრანსფორმაცია განუცდია ადოლფ მენჟუსაც. „არფასტოში“ მისი თამაში აქაურთან შედარებით რეპეტიციათ უნდა ჩაითვალოს და ისიც არა გენერალურ რეპეტიციათ. აქ უფრო თამამათ უჭირავს თავი და უფრო ხშირად იცინის ირონიით.

კარლ მილერი ჟანის როლში აქ კიდევ უფრო დაკვირვებით თამაშობს.. კარგია მისი ფინალი სცენა—თვითმკვლელობა. აქ პირდაპირ აუზში უვარდება თავი. (იქ კი შადრევანის ქვითკირზე ეცემოდა).

დედის როლს აქ სხვა მსახიობი ქალი თამაშობს. მისი თამაში ს...ტია ვიდრე უწინდელი („არფასტოში“) დედისა, მაგრამ საერთოდ „მინიონში“ ეს სურათი უკეთესად დადგმულია, ვიდრე „არფასტოში“.

ლევარსი როხროხაძე.

# გაჭამაჭია

(გაგრძელება, იხ. „ტარტაროზი“ № 147)

კვირ.:—ვის სახელზე გამოვწერო ორდერი?

გამგე:—მელქოს! (კვიროსი ვერ გაიგონებს).

კვირ.:—ქეთოს!

გამგე:— ქეთოს კი არა, აგრაფინეს! მელქოს, კაცო, მელქოს!

კვირ.:—მელქოს! კი, ბატონო.

გამგე:—ამ ოჯახქორს ზარბაზანი უნდა ურტყა ყურში, თვარა არაფერი არ ესმის.

კვირ.:—(მოაქვს ორდერი) ა, ბატონო, დაასვი ბეჭედი და მზათაა.

გამგე:—(ხელს აწერს და აძლევს მელქოს) ა, ძმაო, წადი და ჩასახლდი. თქვენ ჩემა მტერმა მოგიმდურათ.

მელქო:—კი, მაგრამ ამ ბინაზე სხვისთვის ხომ არ მიგიცია კიდევ ორდერი?

გამგე:—საქმე იმაშია... ამხანაგო...

მელქო:—(აწყვეტინებს) არა, მართალი სთქვი, მართალი.

გამგე:—(იცინის) არა, არა, ნუ გეშინიან.

მელქო:—მე არაფრის არ მეშინიან, ბიძია, შენ არხეინათ იყავი. მაგრამ თუ ორდერი სახლაფურთო დამირჩა, ვაი შენს ტყავს! აბა, ნახვამდის, ნახვამდის! (მიდის).

გამგე:— (სიცილით) მელქო, გინდა იმ ხუცესთან ჩაგასახლებ, წელან რომ დაგეტაკა..

მელქო:—ოჰ, გაუშვი, კაცო, ხომ გაუსქდა გული მტრედივით, მე რომ დამინახავს! (მელქო შუა კარით გადის, ხოლო გამგე—გვერდის კარებით).

## კვიროსი და სონა

სონა:— (შემოდის და მიმართავს კვიროსს, რადგან მას გამგე ისა ჰგონია) თქვენა ბრძანდებით კომხოზის მმართველი?

კვირ: ვინა?

სონა:—მმართველი. ბატონო, მმართველი!

კვირ.: — მართული! სკლადშია ბატონო, ჩემთან რა გინდა!

სონა: ღმერთო ჩემო, ეს რეებსა ჰბოდავს! რა მართული, რის მართული!? (ამ დროს გამოდის გამგე) გამგე ვინა ბრძანდებით, გამგე?

გამგე:—(დაჯდება თავის მაგიდასთან და თავაზიანად) მე გახლავართ, ბატონო. რა გნებავთ? დაბრძანდით.

სონა:—ახ!.. თქვენა! უკაცრავად, პარდონ!

გამგე:—დიახ, ბატონო. მე გახლავართ, რას მიბრძანებთ?

სონა:—მე, მოგეხსენებათ, ქსახიობი ქალი გახლავართ.

გამგე: —დიახ, დიახ! მე შორიდან გამაცნო თქვენი თავი თეატრის გამგემ.

სონა:—მერე და ოთახის შესახებ არაფერი უთქვამს?

გამგე:—რომელი, ვისი ოთახის!

სონა:—ჩემი, ბატონო, ჩემი! აგერ ორი კვირაა, რაც ჩამოვედი ამ თქვენ ქალაქში, და, მიუხედავად, ათას ჯერ თხოვნისა, ჩვენმა გამგემ მაინც არ იქნა და ერთი პაწია ოთახი ვერ მიშოვა! ალბათ ის სრულებით არა ზრუნავს ჩვენზე, თორემ როგორ დავიჯერო.. (თვალების ჭუტვით და არშიყულად) თქვენ ასეთი თავაზიანი ბრძანდებით და ნუ თუ ჩემთვის ერთი ოთახი... (გადახედავს მომხიბვლელის თვალებით).

გამგე:—საქმე რაშია, ეე, ჰო... გიშოვით, გიშოვით..

სონა:— მერე, როდისლა, თქვე დალოცვილო! აგერ ორი კვირაა ერთ ქალთანა ვწევარ, ერთ „კუშეტკაზე“ და სულ დამემტვრა გვერდები!.. (დამწველი თვალებით). ნუ თუ არ გებრალებით!

გამგე:—აბა, რა ბრძანებაა!..

კვირ.:—(ხელებს ყურებზე მიიდებს და თითების თამაშით) დეიჭირავს! აუცილებლათ დეიჭირავს!

სონა:—(გაკვირვებული) რას დაიჭირავსო! ეს ვინ არის?

გამგე:—(კვიროსის თვალებით გაჩუმებას ანიშნებს) სუუ! (სონას) არაფერია, ბატონო, მე მკითხავს: იმ ოთახს, თუ დაიჭერსო, მაგრამ ის თქვენთვის არ გამოდგება, ძალიან შორს არის თეატრზე.

სონა:—შორს რა სათქმელია! მე უსათუოდ თეატრის ახლო უნდა ვიყო, თორემ ღამე, წარმოდგენის შემდეგ ამისთანა ლაფში ვინ ივლის! მერე თქვენს ქალაქში: არც ფაიტონია, არც ტრამვაი და ავტომობილზე ხომ ლაპარაკი მეტია! მაშ ასე. ხომ მომცემთ საშუალებას, რომ ამაღამვე რბილ საწოლში....

გამგე:—ამაღამვე.. დიახ..

კვირ.— (ისევ თითების ქნევით) დეიჭირავს..

გამგე (კვიროსის) არა, არა, ის შორს არის! ნუუ!! (სონას) გამოგიწერთ, ბატონო, ორდერს!

სონა:—კი, მაგრამ ამაღამვე მინდა..

გამგე:—ამაღამვე... ასე ჩქარა?..

სონა:—დიახ, ამაღამვე, მეტი მოთმენა აღარ შემიძლიან!

კვირ.: —(იცინის) დეიჭირავს!

გამგე:— (კვიროსის) არა, კაცო, იქ არა! (ჩუმათ) სუ! (ხმა-მაღლა) გამოუწერე, კვიროსი, რაჟდენ ხრიკიშვილის ბინაზე, ზემო სართულში.

კვირ.:—კი, ბატონო! (გვერდზედ) ეს მეოთხეს უწერს ერთ ბინაზე!

სონა:—ღმერთო ჩემო, რა თავაზიანი ყოფილხართ! როგორ ჩქარა შემისრულეთ თხოვნა! ჩვენმა გამგემ კი ყურიც არ გააპანტყურა! უტყობა უზრდელია ვიღაცაა!

გამგე:—ნუ თუ! არა მგონია.. ის, რაც უნდა იყოს, არტისტია და...

სონა:—(აწყვეტინებს) რის არტისტი! არტისტი კი არა, მჩვარია, ტომარაა. არშიყობისა სრულებით არა გაეგება რა! ბერია, ვიღაც ეშმაკია!

გამგე: —ხა, ხა, ხა, ხა! აბა, შტეინახი გაუკეთოთ, ბატონო, შტეინახი!

სონა:—დიახ, სწორეთ რომ საჭიროა. თქვენ წარმოიდგინეთ: სეზონი იხურება და ერთი საარშიყო სიტყვა იმისგან არ გამიგონია! (მომხიბვლელი ცქერით). სამაგიეროთ თქვენ ასეთი თავაზიანი ბრძანდებით...

გამგე:—(დაბნეულათ) მე.. მე... დიახ, დიახ..

კვირ: (მოაქვს გამგესთან ორდერი) ა, ბატონო, სტკუცე ბეჭედი და მზათაა

სონა: — ეს რა უზრდელი ვიღაცაა!

გამგე:—არაფერია, ბატონო, მოხუცებულია და ეპატიება!

სონას: სწორეთ მოხუცებულს არ ეპატიება ასეთი ლაპარაკი, თორემ თქვენ რომ.... ნაზათ კისერს მოუღერს. (გამგე ეშხით მთვრალი ხელის კანკალით აძლევს ორდერს) გმადლობთ, მერსი! მაშ ამაღამ რბილათ დავიძინებ.

გამგე:— დიახ დიახ, რბილათ...

სონა:— (მომხიბლავი თვალებით გადახედავს გამგეს) ნახვამდის, გმადლობთ, მერსი! (გადის).

გამგე:—(დაბნეულად) ნა... ნახვ...ამდის.:::

**ხმები კულისებიდან**:—გამიშვი, გამიშვი, ჩემი ოჩერეზია, ჩემი.

გამგე:—(კვიროსის) კვიროსი, მიშველე! მე გევიპარები, თვარა ამდენი ოთახები სადა მაქვს, რომ მაგენს დოურიგო!

**ხმები**:—ოთახი, ჩემი ოჩერეზია, ბინა, თვარა დავწყდით!

გამგე:—(ზარს რეკავს. შემოდის დარაჯი) მოდი აქ ჩქარა! (მოდის დარაჯი) მე გევიპარები და აბა, შენ იცი!

ვალიკო:—კი, მარა, რომ მკითხონ სადააო!

გამგე:—უთხარი, რომ სხვაგან წავიდა-თქვა.. რაც გინდა უთხარი! (გამგე მეორე კარით გადის, მაგრამ ამ დროს ხალხი შემოცვივა ხმაურობით: „შეგვიშვით“, „ჩემი“ „ოჩერეზია“!. მოაწვებიან ერთმანეთს და ჯგროთ შემოცვივიან).

ერთი:—არიქა, გამგე გაგვეპარა მეორე კარით! (ყველანი გაეკიდებიან გამგეს ყვირილით: „სად მიხვალ, სად!“ „ოთახები“, „ბინა“, „სამართალი მოგვაჩიჭე!“. ყველანი ყვირილით და სირბილით მისდევენ გამგეს).

ვალიკო:—ოჰო, ჰო, ჰო, ჰო, რავა გარბის საწყალი ჩვენი გამგე!

კვირ.:—დასურ გარბის!?

ვალიკო:—გარბის კი არა, ორ ტრუბიანი პარავოზიც ვერ მიეწევა (გადის).

## კვირიკე და ლუბა

ლუბა: (შემოვარდება ძალიან გაჯავრებული. ხელში ორდერის ქაღალდი უჭირავს. მიუვარდება კვიროსის ყვირილით)—ეს ორდერი ვ.ა დასწერა?

კვირ.:—რა ვიცი!

ლუბა:—როგორ თუ არ იცი! აბა, ვინ დასწერა?

კვირ.:— (გაკვირვებული) დედაია! მე რას დამეტაკე.. რა გინდა ჩემგან!?

ლუბა:—აი, შენ დაგეტაკოს შავი ჭირი და ხორველა! ვერ უყურებთ ამ საკალბასეს რეებს მიბედავს! ეს რა არის? ეს რა მოგიწერიათ! როგორ, არ გეყოთ ერთი ბინიდან გამომაგდეთ, რომ მეორედანაც მდენით! სად, სად არის გამგე?

კვირ.:—ჰა! —

ლუბა: გამგე, გამგე!

კვირ.:— გამგე?! მირბის!

ლუბა: —სად მირბის. საით წავიდა?

კვირ.: —რა ვიცი. იმას ეშმაკიც ველარ მონახავს!

ლუბა:—მაშ რატომ აქამდის არ მითხარი! თუ წავიდა. ..ალას მალაპარაკებდი!

კვირ.:—როის მკითხე! შემოდი და ასვარე ყორისფელი!

ლუბა: —ასე აგსვრით შენცა და იმ შენ გამგესაც, რომ სულ ფუტკრები ? ..ეოდენ; დამაცადეთ! აბა, ვნახოთ. როგორ გამომაგდებთ სახლიდან! (გარბის და კარებიდან ისევ მობრუნდება) მითხარი, როდის მოვა?

კვირ.:—თოვა!?

ლუბა: თოვა კი არა წვიმა! როდის მოვა, როდის?

კვირ.: — იგი სულ არ ძოვა.

ლუბა:— ესეც მის ჭკვაზე ყავს დარიგებული და ორივენი მატყუილებენ! ძალიან კი უნდა ბატონ გამგეს, რომ არ შემხვდეს არსად, მაგრამ უკაცრავათ, ვერ მივართვი პატრიეანი! ვერსად ვერ დამემალება! (კვიროსის) მაშ არ მეუბნები სად წავიდა!? ძალიან კარგი, მე მოვნახავ იმას! (გადის შუა კარით და იქვე მოეფარება კარებს).

## იგინივე და გამგე

გამგე—(უცებ შემოაღებს კარებს და რაკი კაბინეტში არავინ დაუხვდება, სიხარულით მიდის და მის მაგიდასთან ჯდება). მადლობა ღმერთს, არავინ არ არის. ცოტას დევისვენებ, თვარა აღარ შემიძლიან!.

კვირ:—შემოვარდა ის გადარეული ლუბა და კინაღამ გამთხლიშა შვაზე!

გამგე:—მერე!

კვირ.:—მერე და გაშპა! შენ დაგეძებს.

გამგე:—ძალიან კარგი. მადლობა ღმერთს, რომ გადურჩი და ვერსადა მნახა!

ლუბა:—(უცებ შემოვარდება) ვერ გადამირჩები, ვერა! აქ გახლავარ.

გამგე:—ვაიმე!

კვირ:—(პირჯვარს იწერს) დედაია!

ლუბა:—არ მომელოდი გინა! რას მემალები, რომ ძემალები!? სარგებლობ განა ჩემი სუსტი მხედველობით! შემოვალ თუ არა, მაშინვე იპარები! ეხლა სად წამიხვალ, სადა! ნუ გრცხვენიან, ნუ! რა ვიცი ამ ორდერს ძალიან მიგზავნი და...

გამგე:—საქმე რაშია, ლუბა სილბისტროვნა...

ლუბა:—ჩუმათ! არა, რომ მასახლებ სახლიდან სახლში, რავა, ბოლოს სად გინდა რომ წამიყვანო! მე მოქალაქე არა ვარ? მე ბინა არ მინდა! თუ მთვარეზე აპირებ გადასახლებას! შენ აქ მკვდარი ვიყო არ გეგონოს, რომ ნალები აჰყარო! მეც ვიცი ადგილი, თუ სად გაგებიოთ პასუხი, მაგრამ მწარეთ კი გაგებიებ იცოდე.

გამგე:—კი, ბატონო, მაგებიე, ოღონდ დაწყნარდი.

ლუბა:—მაწყნარებ, რომ დავწყნარდე! ორდერს ორდერზე მიგზავნი, სახლიდან - სახლში მისვრი და ბოლოს გინდა, რომ გადამასახლო მაგრამ ვერა!

გამგე:—(სიცილით და მოფერებით გვერდში დაუჯდება), ნუ ჯავრობ, ლუბა სილიბისტროვნა! საქმე რაშია... ჩვენ ხომ ძველი ზნაკომები ვართ.

ლუბა:—შენ რომ ზნაკომობა და პურმარილი იცოდე, არც ამ დღეს დამაყენებდი!

გამგე:—ნუ ჯავრობ, ლუბა სილიბისტროვნა. მე შენ ისეთ ბინაზე გამოგიწერ ორდერს, რომ მადლობელი დამრჩები. მხოლოდ ის ბინა კი უნდა დასცალო.

ლუბა:—უკაცრავად! ის ბინა დავცალო და მერე...

გამგე:—(სიცილით) შე ქალო, ახლავე გამოგიწერ ორდერს სხვა ბინაზე. თუ არა და, ჩემთან მოდი. ორივენი დავეტევით.

ლუბა:—შენ ხუმრობ და მე სულაც არ მეხუმრება!

გამგე:—სულაც არ გეხუმრები. ეხლავე გამოგიწერ. (უძახის კვიროსის). კვიროსი. გამოუწერე ლუბას ორდერი რაჟდენ ხრიკიშვილის ბინაზე, ზემო სართულში.

კვირ.:—(ვერ გაიგონებს) ზაფხულში!?

გამგე:—ზაფხულში კი არა, ზამთარში!... ზემო სართულში, ხრიკიშვილის ბინაზე გამოუწერე ლუბას ორდერი.

კვირ.:—(ძალიან გაკვირვებული). დედაია! კიდომ იქნე! რავა ოურია ერთმანეთში ქალი და კაცი!.

გამგე:—(სიცილით ლუბას) იმისთანა ბინაზე გაგგზავნი, რომ გრაფინიასავით იცხოვრო.

ლუბა:—გრაფიც შენა ხარ და ბარონიც. რა გიჭირს, იქეიფე, მაგრამ იცოდე, რომ ჩემთან ხუმრობა არ გამოგადგება!

კვირ.:—ა, ბატონო, ორდერი მზათაა.

გამგე:—(აწერს ხელს და ლუბას აძლევს) ა, მიბრძანდი და მოეწყვე, რავარც გინდა.

კვირ.:—(გვერდზე) დედა, რა სეირი იქნება ხრიკიშვილისას!

ლუბა:—კაი, მე წავალ. წავიღებ ამ ორდერს, მაგრამ თუ მოტყუილებული დავრჩი კიდო, იცოდე, რომ ცოცხალი ვერ მომრჩები! ან შენ უნდა იყო და ან მე. (გადის).

გამგე:—კი, ბატონო. კი, კი!

კვირ.:—კაცო ე ხრიკიშვილისას რომ დენი ყველას, რავა ამ ხალხს ავიჩინებ, თუ სარდინკათ აწყობ!?.

გამგე:—(იცინის) ხა, ხა, ხა, ხა! რაიო, სარდინკაო!

კვირ.:—აპა, რავა! ერთი - მეორეზე თუ დააწყობ ფირჩხულივით, თვარა ამდენ ხალხს სად ტიებ!

გამგე:—დღეს ხომ მომიშორე თავიდან და ხვალისთვის ვნახოთ რა იქნება.

## იგინივე და შემოცვივიან: ვაჭარი, ხუცესი, მეურმე და სხვა.

ერთი:—აგერ, არ ყოფილა გამგე!

მეორე:—(გამგეს) ძლივს არ გიპოვეთ! ისიც კაბინეტში დამჯდარი! სასწაულია სწორედ!

კვირ.:—აი, სეირსკელი თუ ყველა ხრიკიშვილთან გოუშვა, დასურ სეირი არ იქნება!

ვაჭარი:—გასპადინ, გამგე, ეს ორდელი რომ გამო-

გიწერია, რავა; მე ჩასასახლებელი რა მაქვს, ისედაც ვირთხასავით ვარ გამომწყვდეული! შე კაი კაცო, აგზავნი და ისიც ხალასტოი ხალხს! მართლა სირცხვილ-ნამუსი აღარ არის! ქალები არიან, გახდა გვინდა, დაწოლა; მართლა ერთმანეთში ხომ არ ავისვრებით!

გამგე:—რა მოხელე ხარ?

ვაჭარი:—კაცო, ნეუჟელი აღარ მიცნობ! ვაჭარი ვარ ამ გოროდის!

გამგე::—რა გინდა?

ვაჭარი:—ის მინდა, ბატონო, რომ ეს ჩასახლების ორდერი გააუქმო...

გამგე:—(ხუცესს) შენ რა გინდა?

ხუცესი:—მე... რაღაი ეკლესია აღარა მაქვს, ამიტომ სახლში ვლოცულობ, თქვენ კი სწორეთ ამ სამლოცველო ოთახზე გამოგიწერიათ ორდერი. მამაშვილობას, გთხოვთ გააუქმოთ ეს ორდერი, თვარა აღარ ვიცი სად ვახსენო უფლის სახელი!

გამგე:—საქმე რაშია... ხო... დაბრძანდით..; განვიხილოთ;

ვაჭარი:—ბატონო გამგე, ყურადღება მოგვაქციეთ პაეალუსტა, თორემ სირცხვილ-ნამუსი დავკარგეთ ეს არის! თქვენ გიბრძანებიათ ჩემთან ჩასახლება და როგორ იქნება! ბატონო, დედაკაცი მყავს, რომ ნახოთ ჭეშმარიტად მოგეწონებათ. მეხუთე ცოლია, მაგრამ ყველას თვალია იმ ცხონებულების! ახლა, მეც ადამიანიშვილი ვარ. (ტირილით), ოთხი ქალი დამიმარხავს და, ნეუჟელი, ეს მეხუთეც გინდათ რომ შიშმა მომიკლას! ღმერთი აღარ არის თქვენში! (ტირილს უმატებს), მერე ის ცხონებულები რა ადამიანები იყვნენ! სულ შაქარი გადმოსდიოდათ პირიდან! ვაი, აფსუს როგორ დავიღუპე მე უბედური!...

გამგე:—დაბრძანდით და გავარჩევ.

მეურმე:—ამხანაგო! თქვენ რომ ქესტები მიაკარით ურმებს და ქესტის ფულს გვახდევინებთ, ის კამბეჩიან ურმებზე ყოფილა დადგენილი და ჩემი საქონელი კი ზაქები არიან. მოხსენი შენი ჭირიმე ის ქესტები. კამბეჩების გადასახადი ზაქებმა რატომ უნდა გადაიხადოს!

გამგე: დაბრძანდით და გავარჩევთ. (ზარს რეკავს).

ხუცესი:—მე იმ სამლოცველო ოთახზე მოგახსენებდით...

ყველანი:—ამხანაგო, ყურადღება მოგვაქციე!...

გამგე:—(თითონ სწერს) ჰო, ბრძანეთ, ამხანაგო, ყველამ ილაპარაკეთ ერთად, მე ყველაფერს გევიგონებ. (დარაჯს. რომელიც შემოდის ზარის დარეკაზე), გაიტანე ეს ქუდი და გარეთ დამახვედრე. მე თუ ამათ არ დაუძვერი ხელიდან, ნაწილ-ნაწილათ გადამყლაპვენ! აბა, ჩქარა! მე რომ აქედან ქუდ დახურული გავიდე, მიმიხვდებიან, რომ გაპარვა მინდა. (დარაჯს ქუდი გააქვს გარეთ და გადის).

### იგინივე და დესპინე

დესპინე:—მადლობა ღმერთს, რომ მეღირსა, ბატონო გამგევ, შენი კაბინეტში დანახვა! მთელი დღე დავეძებ და არ იქნა ვერსად გიპოვნე!

გამგე:—რაშია, ბატონო, საქმე?

დესპინე:—რაშია, შენ დაგენაცვლე და ხომ მოგეხსენება. რომ მე ერთი ოთახი მაქვს და შუშაბანდი წინ...

გამგე:—მერე?

დესპინე:—შენ გიბრძანებია და მომადგნენ ვიღაც მუშები და წინას მართმევენ! ვერაფლამდის ვერ გამოვდენე გარეთ! მიშველე შენი მუხლების ჭირიმე!

გამგე:—შუშაბანდს?

დესპინე:—დიახ, წინას შუშაბანდს მართმევენ და მთლათ მკეტავენ. შენ დაგენაცვლე!

გამგე:—გკეტავენ!?

დესპინე:—დიახ, წინიდან მკეტავენ და მომეხმარე!

გამგე:—კარგი, დაბრძანდი და გავარჩევ.

დესპინე:—კი, შენი ჭირიმე, კი შენ დაგენაცვლე. (ამ დროს მეხივით შემოვარდება სალომე. მისწევს დესპინეს გვერდზე და გამგეს სხაპა-სხუპით ეუბნება)

### იგინივე და სალომე

სალომე:—მიშველე, პატონო გამგე, მიშველე!

დესპინე:—(სალომეს) გეთაყვა, ბატონო, ჩვენ ველაპარაკებით ჯერე. მოვრჩებით და მერე თქვენ.

სალომე:—შენი მონარჩენი შენ ბალნებს ჰქონდეს! მე აქანე ცეცხლი მეკიდება და შენ გიყურებ შენმა სიკვდილმა! (მიუბრუნდება), ბატონო გამგე?

დესპინე:—(აწყვეტინებს) ჩვენი მოისმინე, ბატონო ჩვენი!

სალომე:—(ხელს ჰკრავს დესპინეს), იქით დეიკარგე შე კუდიანო, თორემ ილოცხლოს სალომემ მე შენ!...

დესპინე:—რაიო, რაიო? შენ ხმა გეიქრე, თორემ... შენ, ალბათ, ვერ იცნობ დესპინეს! ქოფაკი!

გამგე:—ნუ ჩხუბობთ,, ბატონო, ორივეს მოგისმენთ,

სალომე:—ქოფაკიცა ხარ და უნამუსოც!

დესპინე:—(ყელში ეცემა) ვინ არის უნამუსო! შე მართლა უნამუსო და გაიძვერავ, შენა!

სალომე:—დაგახრჩობ, შე ნამუს გაყიდულო შენა! (შეიქნება ჩხუბი).

კვირ.:—(წამოვარდება ძალიან გაჯავრებული), დასურ ბაზარი ხომ არ არის! ფუი, თქვენს ქალობას! (ჩხუბის დროს გამგე იპარება).

დესპინე:—(სალომეს) ჰე!... მოგხვდა!...

სალომე:—(დესპინეს) ხომ დაგიმტვრიე გვერდები!

ვაჭარი:—(მოიხედავს და რაკი გამგეს ვერ დაინახავს) ვაიმე, გამგე გაპარულა!.

ყველანი:—არიქა, დავეწიოთ. (გარბიან).

კვირ.:—დედა, რავა გარბიან! არიქა, მიეწიეთ, ჰო! ჩვენ გამგეს თქვენ კი არა, მწევარიც ვერ დეიჭირავს!

### კვიროსი და ხრიკიშვილი

ხრიკიშვილი:—(შემოდის აღელვებული) გამგე სადა ბრძანდება?

კვირ.:—მირბის!

კვირ.:—ვინა ბრძანდები თქვენ? ხარი!

კვირ.:—ვინა ბრძანდები თთქვენ?

ხრიკიშვ.:—ხრიკიშვილი.

კვირ.: —(ვერ გაიგონებს) ტიკიშვილი?

ხრიკიშვ.:—ტიკის კი არა, რუმბის! ხრიკიშვილი, ხრიკიშვილი!

კვირ.:—ხრიკიშვილი! რაჟდენე!

ხრიკიშვ.:—კი, კი, რაჟდენა.

კვირ.:—რა გინდებიენ?

ხრიკიშვ.:—რა მინდა და გამაგებინეთ: ვის მიეცეს ჩემი ერთი გაფხეკილი ოთახი!

კვირ.:—ვის მისცე?!.. ორდერი ხომ გაქვს?

ხრიკიშვ.:—ორდერი ერთი კი არა, ბარე ხუთია.

კვირ.:—აწი!

ხრიკიშვ.:—აწი და ეს ხუთი მოსახლე რომ გამომიგზავნეთ, რავა ჩემი სახლი პასტაიალი დვორია, თუ კაზარმა, რომ მთელი ვეზდა დეეტიოს შიგ!

კვირ.:—აწი!

ხრიკიშვ.:—აწი და ლობიო! რავა აწიო! რატომ გამოწერეთ ხუთი ორდერი!

კვირ.:—მიბრძანეს და გამოვწერე.

ხრიკიშვ.:—რავა, მართლა თავზე ხომ არ დევიეენ! შე კაცო; მეც კაცი ვარ, ოჯახი მაქვს, ქალი მყავს, ბალანე მიმსვლელი და მომსვლელი!

კვირ.:—ასტეა.

ხრიკიშვ.:—რავა, ასტეაო! დამიჯაბნიეთ, მარა მეც ქე მოვნახავ სამართალს.

კვირ.:—(ვერ გაიგონებს) ფართალს!

ხრიკიშვ.:—ფართალს კი არა, ნიახურს! აპა, რა ველაპარაკო ამ ყრუს! ისტველე წევიდე და გამგე მოვნახო, სადმე. სჯობიან. (გადის).

კვირ.:—ყველა მე რომ მიწყრება, რავა, რა უნდებიან ჩემგან!

### იგინივე და კვიროსი

გამგე:—(შუა კარიდან თავს გამოყოფს და რაკი კაბინეტს ცარიელს დაინახავს, საჩქაროთ შემოდის). აბა, კვიროსი მიაწვდის) კვიროსი, ლუბა ხომ არა ყოფილა? ვინაა,

კვირ.:—ახლავე. (მიაქვს ქაღალდები).

გამგე:—(პენსნეს იკეთებს და აწევის ხელს, რასაც კი კვიროსი მიაწვდის) კვიროს, ლუბა ხომ არა ყოფილა?

კვირ.:—ლუბა? იყო, აპა!

გამგე:—საქმე რაშია... უნდა მოვასწროთ, თვარა თუ წამოგვეწია, შენი მტერია, აატორიაქებს აქაურობას!. (ამ დროს მეორე კარით შემოდის ლუბა, რომელსაც შემოსვლისთანავე კარებში ჯოხი გაუვარდება და ასაღებათ დაიღუნება; გამგე ამ შემთხვევით ისარგებლებს და გავარდება გვერდის კარით. კვიროსის საფარად წინ წააგდებს და თითონ დაღუნული გადის).

კვირ.:—ვაიმე. ახლა კი დევიღუპე თელათ!

## კვიროსი და ლუბა

ლუბა:—სადა ბრძანდება გამგე?

კვირ.:—არ მოსულა, ბატონო, დღეს.

ლუბა:—როდემდის დამემალება, როდემდის! სულ ცეცხლს წოუკიდებ!

კვირ.:—რეიზა?

ლუბა:—აგი რაია? (მიწერილ ორდერს აჩვენებს).

კვირ.:—ქაღალდია;

ლუბა:—გამოცანა გერგება! მე თქვენ გაჩვენებთ თუ რავა უნდა ჩემი მოტყუილება! (ამ დროს კარებში თავს შემოყოფს გამგე და რა დაინახავს ლუბას, მაშინვე უკან გავა). ძალიან მემალება ის შენი გამგე, მარა მიწაში ამოვთხრი და მაინც ვიპოვი. აქ დავჯდები და აღარ წავალ. ამ ქუდიზა არ შემოვა მაინც!? (დაჯდება არხეინათ).

ლუბა:—ფუი შენ და შავი ჭირი!

კვირ.:—(ვერ გაიგონებს) ვირი!

ლუბა:—ვირი კი არა, ჯორი არ გინდა! გაჩუმდი, შენ არ გელაპარაკები! (პაუზა, ლუბა ზის გაჩუმებული).

კვირ.:—(წერის დროს გადმოხედავს ლუბას, წავიდა, თუ არაო).

ლუბა:—(წამოხტება და ნერვიულად ხელს დაკრავს მაგიდაზე.

კვირ.:—დედაია! რას შობა აი ქალი!

ლუბა:—ღმერთო ჩემო! როდემდის გასტანს ჩემი ასეთი მასხრათ აგდება! გამომიწერა ორდერი ვიღაც ხრიკიშვილთან, სადაც უკვე ოთხი სხვა ორდერი გაუცია! ამ ცხელ გულზე უნდა ვნახავდე გამგეს, რომ სულ თვალები ამოვაწიწკნო; მაგრამ მაინც ვერ გადამირჩება (გადის).

კვირ.:—უჰ, მადლობა ღმერთს! ეს გამგე ამ ლუბას ნამდვილათ გაარიოზგიებს ჩემს თავს! გამგე შემოიხედავს კარებში და რაკი ლუბას ვერ დაინახავს, შემოდის).

## კვიროსი და გამგე

გამგე:—კვიროსი აბა, მომეცი ხელმოსაწერი ქაღალდები.

კვირ.:—(გამგესთან მიაქვს ქაღალდები) გადამარჩინე იმ ლუბას თვარა ამეილო სული!

გამგე:—რაიო, რა მინდაო?

კვირ.:—რა ვიცი, რაიო! შენ ვერ გნახულობს და მე მამტვრევს თავზე კეკალს!

გამგე:—ნუ გეშინიან! ვერაფერსაც ვერ გვიზამს. (შემოდის ხრიკიშვილი).

## იგინივე და ხრიკიშვილი

ხრიკიშვილი:—(გამგეს) მადლობა ღმერთს, რომ უჩრეჟდენიაში გნახე! გამაგებინე, ეს რა ამბავია ჩემ თავს?

გამგე:—არ ვიცი!

ხრიკიშვ.:—რავა არ იცი! ეს ხუთი ორდერი რომ მომაყენე ერთად, რავა ჩემი სახლი გასტინიცაა, თუ რა ამბავია!?

გამგე:—მერე, რა?

ხრიკიშვ.:—როგორ თუ რა!? ერთ ოთახზე ხუთი ორდერი!? კაცო, მეც კაცი ვარ: სტუმარია, მტერი, მოყვარე... სად წავიყვანო! მერე, შემოცვივდენ ორდერებით და ერთი ჩხუბი და ალიაქოთი ასტეხეს: „არა მე უნდა შევიდეო და არა მეო!".

გამგე:—იჩხუბონ, შენ რა გენაღვლება!

ხრიკიშვ.:—(გაჯავრებული) როგორ თუ რა მენაღვლება! სახელი გაუტყდა, ძმაო ოჯახს, სახელი!

გამგე:—ნიჩევო, არაფერია!

ხრიკიშვ.:—(აენთება სიბრაზით). ვა, კიდევ იძახის არაფერიო!

გამგე:—განა შენთვის ერთი არ არის, იმ ოთახში პეტრე შევა, თუ ივანე!?

ხრიკიშვ.:—ეე!... კიდო თავისას გეიძახის!

## იგინივე და სონა

სონა:—(გაჯავრებული) როგორ არა გრცხვენიანთ, ასე მომატყუილეთ!

გამგე:—როგორ, ბატონო?

სონა:—მე ორდერი მომეცით და იმავე დროს, იმავ ბინაზე კიდევ სხვა ოთხი ორდერი გაგიციათ!

გამგე:—მე სრულებით დანაშაული არა ვარ ამაში. ალბათ ჩემი საქმისმწარმოებელი თუ შესცდა. მე რა ვიცი, მე რასაც მომიტანებენ, ყველაფერს ვაწერ ხელს.

სონა:—ბატონო ჩემო! კაკ მოჟნო ასეთი საქმე?!.

გამგე:—უკაცრავად, ქალბატონო!... პატარა აშიბკა მოგვივიდა, მარა გამოვასწორებთ...

ხუცესი:—მე, იმ სამლოცველო ოთახის შესახებ...

გამგე:—(გაჯავრებული) გვადროვეთ, ბატონო, გვადროვეთ!

ხუცესი:—ჩემ სამლოცველო ოთახზე ორდერი გამოგიწერიათ და მიშველე. გააუქმე.

გამგე:—მომშორდითქვა, მე შენ გელაპარაკები! (ხუცესი ბუზღუნით გადის).

მელქო:—(შემოდის გაჯავრებული. გამგეს) არა, ამ ხრიკიშვილთან განა რამდენი ოთახია!...

მუშა:—(ძალიან გაჯავრებული) ამ ხრიკიშვილის ბინაზე, რომ მიგვადენე ამდენი ხალხი, რაშია საქმე, ამხანაგო?

ლუბა: (შურდულივით შემოვარდება და და მიაშურებს გამგეს) არა. ვინაა შენი მოსატყუებელი! მაგას ამბობდი, რომ ის ოთახი დასცალეო და სხვა კაი ბინას გიშოვიო! ისიც დამაცლევინე და ეხლა გარეთ დამტიე! რავა, მე მოქალაქე არა ვარ, მე ბინა არ მინდა!?

გამგე:—მოითმინეთ, ბატონო! საქმე რაშია... —

ლუბა:—(აწყვეტინებს) როგორ თუ რაშია! განა ასეთი მოტყუილებაც შეიძლება!

სონა:—(ლუბას) მოითმინეთ, მადამ! როგორ შეიძლება დაწესებულებაში ასეთი მოქცევა!

ლუბა:—(მივარდება სონას) შენ ვინა გკითხავს! არა, შენ ვისი ტიკი-ტომარა ხარ?.

სონა:—უზრდელი!

ლუბა:—უზრდელიცა ხარ და უნამუსოც!

სონა:—ვინაა უნამუსო! მე შენ გაჩვენებ სეირს!

ლუბა:—ვის აჩვენებ. ვისა! (შეიქნება ჩხუბი; ყველანი აზავებენ. ლუბა სჯობნის სონას, რომელიც ტირილს დაიწყებს). ღმერთო, ეს რა ამბავია ჩემ თავს!

მელქო:—(ისევ გამგეს) ამხანაგო! რა ამბავია, რასა ჰგავს ეს ტყუილი!

გამგე:—რა ვქნა, ამხანაგო, არ არის ოთახები და მე ხომ ვერ ავაშენებ ეხლა!

ლუბა:—მაშ რას გვიწერ ამ ორდერებს, ბატონო!

ყველანი:—(ყვირილით და ჩოჩქოლით) ოთახები მოგვეცი ჩქარა, ოთახები!

მუშა:—(გამგეს). ბინა მომეც, ამხანაგო, ბინა!

გამგე:—(უკან-უკან იწევს და იპარება). კი, ბატონო, ჟი, მოგ-ხერხებთ! (გარბის).

ყველანი:—სად მიხვალ, სად! ვერსად ვერ წახვალ! (მისდევენ).

კვირ.:—(ფანჯრიდან) დედაია, რავა კურდღელივით გარბის ჩვენი გამგე!...

გოგია.

# ტარტაროზი „ბიუროკრატებს“



ბიუროკრატები (ტარტაროზის მეკარეს): ბოლოს და ბოლოს შეგვიშვით შიგ!
მეკარე: — ჯერ არ სცალია; ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ მასალებს ამზადებს.
ბიუროკრატები:—აი, ეხლა კი მივხვდი როგორი ცუდი ყოფილა ბიუროკრატობა.

პოლიგრაფტრესტის მე-6-ე სტამბა, კამოს ქ. № 08